

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

**ნინო შიოლაშვილი, თამარ ფხალაძე,
ლია ახალაძე, გვანცა ბურდული, გელა ქისტაური**

**თრუსოს ხეობის
დემოგრაფია
და მოსახლეობის კულტურული
იდენტობები**



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2023

წიგნში შესწავლილია საქართველოს ისტორიული მხარის თრუსოს დემოგრაფია და მოსახლეობის კულტურული იდენტობები (თრუსოში მოვიაზრებთ საკუთრივ თრუსოს, მნის ხეობისა და კობის ქვაბულის სოფლებს). მდიდარ საისტორიო და საარქივო წყაროებზე, ასევე ექსპედიციის შედეგად მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით გაანალიზებულია თრუსოს მოსახლეობის ეთნიკური ისტორია უძველესი დროიდან XIII საუკუნის დასაწყისამდე, თრუსოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIV საუკუნიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე, XVIII-XIX საუკუნეების ევროპელ დიპლომატთა და მოგზაურთა ჩანაწერები, „ოსეთის სასულიერო კომისიის“ და „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების“, საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის ფონდის საარქივო მასალები, XIX-XX სს. ქართულ-ოსური კულტურული ურთიერთობის თავისებურებანი და დემოგრაფიული პროცესები კამერალური აღწერებისა და საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით, თრუსოში XX საუკუნის I ნახევრის საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ არსებული საბუთები. ექსპედიციის საფუძველზე შესწავლილია თრუსოს თავდაცვითი და საცხოვრებელი ნაგებობანი, წერილობითი კულტურის ძეგლები და ა. შ.

ნაშრომს ახლავს მდიდარი დოკუმენტური მასალა, რომელთა ნაწილი ცნობილია, ხოლო ნაწილი პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში და დიდ დახმარებას გაუწევს, როგორც თრუსოს და მნის ხეობების, ასევე საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკვლევრებს.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტების, საქართველოს ისტორიითა და კულტურით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.



შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION

ნაშრომი მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის - „**თრუსოს ხეობის დემოგრაფია და მოსახლეობის კულტურული იდენტობები**“ (FR-19-7379) - ფარგლებში.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და, შესაძლოა არ ასახავდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

საგრანტო პროექტის შემსრულებლები:

პროექტის ხელმძღვანელი: **ნინო შიოლაშვილი**

პროექტის კოორდინატორი: **თამარ ფხალაძე**

წევრები: **ლია ახალაძე, გვანცა ბურდული, გელა ქისტაური**

რედაქტორები:

როინ მეტრეველი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

ვახტანგ გურული - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

სალომე ბახია-ოქრუაშვილი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თამარ შინჯიაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

ISBN 978-9941-33-542-6

DOI: <https://10.52340/9789941335426>

© საავტორო უფლებები დაცულია, 2023

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2023

© ნინო შიოლაშვილი, თამარ ფხალაძე, ლია ახალაძე, გვანცა ბურდული, გელა ქისტაური, 2023

St. Andrew the First Called University
of Georgian Patriarchate

**Nino Shiolashvili, Tamar Pkhaladze,
Lia Akhaladze, Gvantsa Burduli, Gela Kistauri**

DEMOGRAPHICS OF TRUSO VALLEY AND THE CULTURAL IDENTITY OF ITS POPULATION



Publishing House “**UNIVERSAL**”

Tbilisi 2023

The book examines the history, demography and cultural identities of the population of the Truso and Mna valleys of the historical parts of Georgia. (In the Truso we mean the actual Truso and Mna valleys including the village of Kobi). Based on rich historical and archival sources, as well as materials obtained as a result of the expedition the ethnic history of the population of Truso from ancient times to the beginning of the 13th century, the political and socio-economic situation of Truso from the 14th century to the beginning of the 19th century, records of European diplomats and travelers of the 18th - 19th centuries, "Theological Commission of Ossetia". " and "Society for the Restoration of Christianity in the Caucasus", archival materials of the Foundation of the Archdiocese of Georgia, peculiarities of Georgian-Ossetian cultural relations of the 19th-20th centuries and demographic processes according to chamber censuses and church records are analyzed, existing documents about the educational institutions of the first half of the 20th century in Truso.

On the basis of the expedition, defensive and residential buildings of Truso, monuments of written culture, etc. were studied..

The work is accompanied by rich documentary material, part of which is known, the part enters scientific circulation for the first time and will provide great help to researchers interested in the history of Truso and Mni valleys, as well as in Georgia.



The research was prepared by *Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia* within the framework of the grant project: „**Demographics of Truso Valley and the Cultural Identity of its Population** " (FR-19-7379).

Any idea in this publication are those of the authors and may not reflect the views of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

Performers of the grant project:

Project leader: **Nino Shiolashvili**

Project coordinator: **Tamar Pkhaladze**

Members: **Lia Akhaladze, Gvantsa Burduli, Gela Kistauri**

Editors:

Roin Metreveli - Doctor of Historical Sciences, Professor, Academician of the National Academy of Sciences of Georgia

Vakhtang Guruli - Doctor of Historical Sciences, Professor

Reviewers:

Salome Bakhia-Okruashvili - Doctor of Historical Sciences, Professor

Tamar Shinjiashvili - Doctor of Economics, Professor

ISBN 978-9941-33-542-6

DOI: <https://10.52340/9789941335426>

© Copyright reserved is protected, 2023

© Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia, 2023 © Nino Shiolashvili, Tamar Pkhaladze, Lia Akhaladze, Gvantsa Burduli, Gela Kistauri, 2023

ს ა რ ო მ ი

| | |
|---|-----|
| შესავალი (ღია ახალაძე, ნინო შიოლაშვილი)..... | 7 |
| თავი I. ნაშრომის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ბაზა და სამეცნიერო ლიტერატურა (ღია ახალაძე) | 11 |
| თავი II. თრუსოს მოსახლეობის ეთნიკური ისტორია უძველესი დროიდან XIII საუკუნის დასაწყისამდე (გელა ქისტაური) | 27 |
| თავი III. თრუსოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIV საუკუნიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე (ნინო შიოლაშვილი) | 35 |
| თავი IV. თრუსოს ხეობის კულტურული იდენტობის პრობლემები ევროპელ დიპლომატთა და მოგზაურთა ჩანაწერებში (თამარ ფხალაძე)..... | 44 |
| თავი V. „ოსეთის სასულიერო კომისიის“ (1744-1861), „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების“ (1863-1917) და საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის ფონდის საარქივო მასალები თრუსოს ხეობის შესახებ (გვანცა ბურდული) | 59 |
| თავი VI. ქართულ-ოსური კულტურული ურთიერთობების თავისებურებანი და დემოგრაფიული პროცესები კამერალური აღწერებისა და საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით (XIX საუკუნე-XX საუკუნის დასაწყისი) (ნინო შიოლაშვილი) | 83 |
| თავი VII. საგანმანათლებლო დაწესებულებები თრუსოში საარქივო მასალების მიხედვით (XX საუკუნის I ნახევარი) (თამარ ფხალაძე) | 102 |
| თავი VIII. თრუსოს თავდაცვითი და საცხოვრებელი ნაგებობანი (გელა ქისტაური) | 107 |
| თავი IX. თრუსოს წერილობითი კულტურა და მოსახლეობის კულტურული იდენტობები (ღია ახალაძე) | 114 |
| დასკვნა (კვლევის შედეგები)..... | 128 |
| დანართები | |
| 1. ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიული დოკუმენტები თრუსოს შესახებ | |
| ა) 1780 წლის 5 ივლისის აღწერა თრუსოს სოფლებისა (ანოტაცია და დოკუმენტი) | 129 |
| ბ) 1793 წლის 14 ივლისი. ვახტანგ ბატონიშვილის ვალის გადამხდელთა სია (ანოტაცია და დოკუმენტი) | 131 |

| | |
|--|-----|
| 2. საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის ფონდის საარქივო მასალები (დოკუმენტები) | 133 |
| 3. მეტრიკული წიგნების აღწერილობა და დოკუმენტები | 201 |
| ა) აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნები (1828-1916 წწ.) | 205 |
| ბ) კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნები (1828-1917 წწ.) | 479 |
| 4. კამერალური აღწერები და საოჯახო სიები - მოკლე მიმოხილვა და დოკუმენტები | 687 |
| 5. თრუსოსა და კობის სასოფლო საბჭოების სარეგისტრაციო წიგნების მონაცემები 1922-1935 წლებში (დემოგრაფია და საქმიანობა) - მოკლე მიმოხილვა და დოკუმენტები | 934 |
| 6. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დაგეგმვისა და აღრიცხვა -ანგარიშების კაბინეტი (დოკუმენტები) | 953 |

ანოტაციები ინგლისურ და რუსულ ენებზე

Annotations in English and Russian

| | |
|--|-----|
| - Demographics of Truso Valley and the Cultural Identity of its Population | 960 |
| - Демография ущелья Трусо и культурная идентичность населения..... | 972 |

ბიბლიოგრაფია

| | |
|---|-----|
| - საარქივო მასალები | 989 |
| - ბეჭდური წყაროები | 992 |
| - სამეცნიერო ლიტერატურა | 994 |
| - პრესა | 998 |
| - ინტერნეტრესურსები | 998 |
| თრუსოსა და მნის ხეობა. ტაბულების აღწერილობა | 999 |

შესავალი

საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულმა და გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მიგრაციული პროცესების სიხშირე ადრეული პერიოდიდანვე განაპირობა. საუკუნეების განმავლობაში აქ მკვიდრდებოდნენ, როგორც მახლობელი აღმოსავლეთიდან, ასევე ჩრდილოეთიდან მოსული ეთნიკური ჯგუფები. დროთა განმავლობაში მიგრანტთა ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობაში ან სხვა ეთნიკურ ერთეულებში გაიტეჟიფა, სხვებმა კი ბოლომდე შეინარჩუნეს თავიანთი კულტურული იდენტობა. საქართველოს სახელმწიფოს ისტორიისა და მისი მოსახლეობის ეთნო-კულტურული თავისებურებების ობიექტური შესწავლა შეუძლებელია ქართველი ხალხისა და საქართველოში მიგრირებულ და დღეს მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფთა ყოფა-ცხოვრების წესის ურთიერთშედარების, ტრადიციულ კულტურათა ელემენტების მსგავსება - განსხვავებებზე დაკვირვების გარეშე, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ამ სფეროში არსებული მრავალფეროვნება ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა.

ცენტრალურ კავკასიონზე მდებარე მაღალმთიანი თრუსოს ხეობა, მნის ხეობასთან და ხევთან ერთად, საუკუნეების მანძილზე, საქართველოს სამეფოს ჩრდილოეთ კარიბჭის სასაზღვრო-თავდაცვით სისტემაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა. ამ რეგიონს დღესაც სტრატეგიული მნიშვნელობა და გამორჩეული ადგილი უჭირავს რუსეთის ფედერაციასთან არსებულ საქართველოს ჩრდილოეთ სასაზღვრო ზოლში.

გეოგრაფიულად თრუსო კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილო კალთებზე, მდინარე თერგის სათავეებში მდებარეობს და ადმინისტრაციულად მცხეთა-მთიანეთის მხარის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის. ჩრდილოეთით ემეზობლება რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკა - ალანია; სამხრეთ-აღმოსავლეთით - დუშეთის მუნიციპალიტეტი; დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით - რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ახალგორის და ჯავის რაიონები.

თრუსოს ეტიმოლოგია. სანამ აღნიშნული ტოპონიმის ეტიმოლოგიას შევხებით, გვინდა აღვნიშნოთ, რომ თრუსო ხეობის სახელწოდებით XIX საუკუნის რუსულ დოკუმენტებში ჩნდება და, შესაბამისად, რუსული მმართველობის დროს უნდა იყოს დამკვიდრებული. XIV-XVIII სს-ების წერილობით წყაროებში იგი მხოლოდ თრუსოდ იხსენიება.

აღნიშნული ტერიტორიული ერთეული ყველაზე ძველ ქართულ წერილობით წყაროებში შემდეგი სახით გვხვდება: „თრუსუი“ „თრუსუ“ „თრუსუით“ „თრუსუს“ („ძეგლი ერისთავთა“), „თრუსო“ („სამთავისის სამწყსოს დრამისა და შესავლის წიგნი“), „თურუსო“ (XVIII ს. საბუთი). ხოლო ადგილობრივი მაცხოვრებლები „თრუსუელნი“-ს („ძეგლი ერისთავთა“), „თრუსოველთაჲცა“-ს („გერეგტის სულთა მატიაწე“) და „თურსის“ (XVIII ს., პაპუნა ორბელიანი) სახელით იხსენიება. აღნიშნულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერიტორიას ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი „თრუსოდ“ მოიხსენიებს. დროთა განმავლობაში სახელწოდებამ ფონეტიკური სახეცვლილება განიცადა და „თრუსო“ დამკვიდრდა. დღეისათვის იგი თრუსოს და თრუსოს ხეობის სახელითაც იხსენიება.

ტოპონიმ თრუსოს ეტიმოლოგიას პირველმა გულდამ ჩიქოვანმა მიაქცია ყურადღება და აღნიშნა, რომ სიტყვა „თურს“, როგორც გეოგრაფიული სახელწოდება, სულხან-საბას აქვს მითითებული¹.

¹ გულდამ ჩიქოვანი. თრუსოს ისტორიული გეოგრაფიისათვის (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1985, №2.

თრუსოს ტოპონიმია კიდევ უფრო საფუძვლიანად შეისწავლა ვახტანგ ითონიშვილმა - „თრუსო“-ს ასახსენლად ყველაზე უფრო ფასეულია ქართული დრუსო - „ზღუდე ქვისა მაღალი, კეთილად ნაგები კოშკ-კოშკოვანი“¹ - და თრუსო („ცელის პირის ასაწყობი სალესი ქვა“), რომელთა დახმარებით საძიებელი სახელი ადვილად შეიძლება გაიშიფროს, როგორც ქვის მაღალი ზღუდე, ხერგილი, კლდეკარი ან გააზრებულ იქნეს ქვის სახეობის აღმნიშვნელი ადგილობრივი ტერმინებისაგან მომდინარე ტოპონიმი. ამასთან, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ „თრუსო“-ს ამდაგვარი ახსნა სრულ მხარდაჭერას პოულობს თერგის ხეობის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის ლანდშაფტური, ონომასტიკური თუ ეთნოგრაფიული რეალიების მხრიდანაც². აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულია ისტორიოგრაფიაში.

თრუსო უძველესი დროიდან საქართველოს სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო და ქართველური ტომებით - ჯერ წანარებით, მოგვიანებით კი დვალეებით იყო დასახლებული. დაახლოებით XVII საუკუნიდან აღნიშნულ რეგიონში ჩრდილო კავკასიიდან ოსების შემოსვლა დაიწყო, რამაც მასიური ხასიათი XVIII საუკუნეში მიიღო, საქართველოში მათი შემოსვლა და დამკვიდრება ზოგჯერ ძალით, ზოგჯერ კი ქართველ მეფეთა ინიციატივითაც ხდებოდა. 1801 წლიდან რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების ეტაპობრივი დაპყრობის შემდეგ, თრუსოს და მნის ხეობებში კიდევ უფრო გაიზარდა ოსთა შემოსვლა, რასაც საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობამ და ამ გზის ირგვლივ არსებული ინფრასტრუქტურის მომსახურებაზე დასაქმების შესაძლებლობამ შეუწყო ხელი.

XX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირობებში, საბჭოთა პროპაგანდისტულმა მანქანამ სცადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შეფერხება და ხელოვნური კონფლიქტური კერების შექმნა აფხაზეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში (ე.წ. სამხრეთ ოსეთში). მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ შეძლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება და უკვე 30 წელზე მეტია სუვერენული სახელმწიფოა, ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს მიერ ოკუპირებულია ორი მხარე, რომლებიც ქართველთა ისტორიული საცხოვრისი და ქართველთა კოლექტიური ისტორიული მეხსიერების განუყოფელი ნაწილია.

ასეთ ვითარებაში მეზობელ სახელმწიფოში კვლავ იწერება ახალი ნაშრომები, რომლებშიც კონცეპტუალურად ცვლიან საქართველოს ისტორიას და ცდილობენ „ისტორიული სამართლიანობის“ ეგიდით, ახალი პრობლემები შექმნან საქართველოს სახელმწიფოს საზღვართან, მათ შორის თრუსოს და მნის ხეობებშიც. აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის ისტორიულ კონტექსტში თემის აქტუალობა ღიადა ჩანს.

ამ პრობლემამ განაპირობა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში თრუსოს შესახებ ორი საგრანტო განაცხადის გამარჯვება: *პირველი*, საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ერთწლიანი საგრანტო კონკურსის გამარჯვებული გახდა, ხოლო *მეორე*, ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამარჯვებული სამწლიანი პროექტი. პირველის კვლევის შედეგები, საგრანტო პირობებიდან გამომდინარე, გამოქვეყნდა 2021 წელს³, ხოლო მეორის შედეგები ასახულია წინამდებარე ნაშრომში. მიუხედავად იმისა, რომ ორივე საგრანტო

¹ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 292.

² ვახტანგ ითონიშვილი. დვალეები და დვალეთი, ტ. II, თბილისი, 2016. გვ. 316.

³ როლანდ თოფჩიშვილი, გიორგი ბაგრატიონი, გიორგი გაგოშიძე, გიორგი გოგოჭური, ნათია ჯალაბაძე, ლავრენტი ჯანიშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი, თრუსო - ისტორიული და ეთნოკულტურული პრობლემები, თბილისი, 2021.

პროექტი ეფუძნება მსგავს წყაროთმცოდნეობით ბაზას, ჩვენი კვლევის შედეგები განსხვავებულია.

2021 წელს პროფ. **როლანდ თოფჩიშვილის** ხელმძღვანელობით გამოქვეყნებულ ნაშრომში შესწავლილია თრუსოს ისტორიული და ეთნოკულტურული პრობლემები, ხოლო ჩვენს ნაშრომში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია თრუსოს ხეობის მოსახლეობის კულტურულ იდენტობებსა და დემოგრაფიულ პრობლემებზე.

თრუსოს ხეობამ მკვლევართა ყურადღება თავისი მრავალფეროვანი პოლიტიკური, სოციალური და კულტურულ-ისტორიული წარსულით მიიპყრო. ჩვენი კვლევის ჯგუფისთვის, როგორც აღვნიშნეთ, საინტერესო აღმოჩნდა მოსახლეობის კულტურული იდენტობის კოლექტიური მახასიათებლები, რომელშიც ერთიანდება ტრადიციები, ენა, რელიგია, წეს-ჩვეულებები და ნორმები, კულტურის სიმბოლოები, ისტორიული არტეფაქტები - თავდაცვითი და საკულტო ხასიათის ნაგებობები, საცხოვრებელი სახლები, დამწერლობა და სხვა. ამ კონტექსტში ფასდაუდებელია რეგიონის შესახებ არსებული ისტორიული ნარატივის, დოკუმენტური მასალების, ჩანაწერებისა და სხვა სახის წყაროების ცნობები, რომლებშიც გამოსატულია რეგიონის მოსახლეობის კულტურულ ღირებულებათა და ფასეულობათა ერთიანობა. აქედან გამომდინარე, ნაშრომის *კვლევის მეთოდოლოგია და თეორიული ჩარჩო* ეფუძნება ისტორიულ-შედარებით და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზისა და სინთეზის მეთოდს, წყაროების ციკლური შესწავლისა და თვისებრივი კვლევის მეთოდთა ტექნიკას. კვლევა ეფუძნება თრუსოს შესახებ არსებულ სხვადასხვა სახის ისტორიულ წყაროებს: ნარატიულ თხზულებებს, ისტორიულ საბუთებს, მათ შორის საეკლესიო ხასიათის დოკუმენტებს, მოგზაურთა და დიპლომატთა ჩანაწერებს, მოგონებებს, მოსახლეობის აღწერის დავთრებს, ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ხასიათის ლიტერატურას, თრუსოს მატერიალური კულტურის, საეკლესიო და თავდაცვითი ნაგებობების, საცხოვრებელთა ტიპების, წერილობითი კულტურის ძეგლების და სხვა მასალების ისტორიულ ანალიზს, რომელიც შესრულებულია სავსე სამუშაოებისა და საბიბლიოთეკო კვლევის პირობებში.

პროექტის ფარგლებში 2021 წლის სექტემბერში განხორციელდა სავსე ექსპედიცია. ექსპედიციის წევრები: ნინო შიოლაშვილი, თამარ ფხალაძე, ლია ახალაძე, გვანცა ბურდული და გელა ქისტაური. ჩვენს ექსპედიციას მხარი დაუჭირა სტეფანწმინდის მუზეუმის დირექტორმა იაგო კაზალიკაშვილმა და მუზეუმის თანამშრომელმა ლია ფირანიშვილმა; მათთან ერთად ერთგული მეგზურობა გაგვიწიეს გელა ფირანიშვილმა და ოთარ კიკალიშვილმა. გვინდა თითოეულ მათგანს გულთბილი მადლობა გადავუხადოთ ექსპედიციის დროს გაწეული მხარდაჭერისა და საინტერესო მოსაზრებების, განსაკუთრებით ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული მასალების გაზიარებისთვის. თითოეულმა მათგანმა ხევისთვის დამახასიათებელი სტუმარ-მასპინძლობის წესით, სიყვარულითა და თანადგომით სავსე დღეები გვაჩუქა. თრუსოს ექსპედიციამ ხეობის და ქვეყნის ერთგული ადამიანები შეგვძინა და გვწამს, ჩვენი თანამშრომლობა მომავალში აქტიურად გაგრძელდება.

ნაშრომში პირველად ქვეყნდება ისტორიული დოკუმენტები: 1780 წლის თრუსოს სოფლების აღწერის საბუთი, 1793 წლის ვახტანგ ბატონიშვილის ვალის გადამხდელთა სია, „ოსეთის სასულიერო კომისიის“, „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების“, საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის ფონდის, აბანოსა და კობის ეკლესიების მეტრიკული წიგნები, XIX საუკუნის მოსახლეობის კამერალური აღწერები და საოჯახო სიები, 1922-1935 წლების თრუსოსა და კობის სოფლის საბჭოების სარეგისტრაციო წიგნების მონაცემები, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დაგეგმვისა და აღრიცხვა-ანგარიშების კაბინეტი და სხვა მასალები, რომლებიც ყველაზე უკეთ ასახავენ რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიულ პროცესებსა და კულტურულ იდენტობებს.

კვლევის სიახლე და ინოვაციურობა. ჩვენს მიერ ჩატარებული სავსელე სამუშაოების და საბიბლიოთეკო კვლევის საფუძველზე, თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად კვლევის ჯგუფის მიერ დამუშავდა:

- ✓ ქართული და უცხოური წერილობითი ძეგლები, რომლებშიც საინტერესო ცნობებია დაცული თრუსოს ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული არეალის, კულტურის ძეგლების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის - ყოფისა და ტრადიციების შესახებ.
- ✓ გაანალიზებულია რუსეთის იმპერიის მიერ დაარსებული „ოსეთის სასულიერო კომისიისა“ (1774-1861 წწ.) და „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების“ (1863-1917 წწ.) მასალები, რომლებიც ფასდაუდებელ ცნობებს შეიცავენ თრუსოს მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური და საგანმანათლებლო ცხოვრების შესახებ.
- ✓ დამუშავდა რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის დავთრები, რომლებიც თრუსოს მოსახლეობის ეთნიკურ ისტორიასა და სოციალურ ყოფაზე დაკვირვების შესანიშნავ მაგალითებს იძლევა (მიგრაციის დინამიკა და მიზეზები, საარსებო სივრცის თავისებურებები, გვაროვნულ-თემობრივი ინსტიტუტის რღვევა).
- ✓ კვლევის ჯგუფმა დაამუშავა და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე შეისწავლა თბილისის არქივებში და სტეფანწმინდის (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, რომლის ნაწილია თრუსოს ხეობა) ისტორიულ მუზეუმში დაცული საარქივო დოკუმენტები და XIX-XX სს-ის ქართულ პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი კორესპონდენციები.
- ✓ სავსელე ექსპედიციის დროს კვლევის ჯგუფმა აღწერა თრუსოს თავდაცვითი და საცხოვრებელი ნაგებობების ტიპები. განხორციელდა ხეობის ეპიგრაფიკული ძეგლების არქეოგრაფიული აღწერილობა და ფოტოგრაფირება, მოხდა მათი ქრონოლოგიური, გეოგრაფიული და არეალური კლასიფიკაცია. ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი და პალეოგრაფიული ანალიზი.

ნაშრომში დანართების სახით წარმოდგენილია თრუსოს და მნის შესახებ არსებული ისტორიული დოკუმენტების აღწერილობა, ანოტაციები. მათი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა კვლევის ჯგუფის მნიშვნელოვან მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს.

ნაშრომს თან ერთვის ინგლისურ და რუსულ ენებზე შესრულებული ანოტაციები. ინგლისური თარგმანი შეასრულა მარინე ხუროშვილმა, ხოლო რუსული ტექსტი ეკუთვნის ირინე კაპანაძეს. ამას გარდა, დამუშავდა XIX საუკუნის ფრანგულ და ინგლისურენოვანი რარიტეტული გამოცემები - ფრანგული ენიდან ტექსტები თარგმნა მარიამ ფარეშიშვილმა, ხოლო ინგლისური ტექსტის თარგმანი ეკუთვნის ქეთევან ამირეჯიბს. წიგნის დანართში წარმოდგენილი „საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის“ ფონდის დოკუმენტების ქართული თარგმანი ეკუთვნის ზეინაბ შიოლაშვილს.

თითოეულ მათგანს გაწეული შრომისთვის დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ბუნებრივია, ამ ფორმატის ათას გვერდიანი წიგნი ვერ იქნება სრულიად უნაკლო, კვლევის ჯგუფი სიამოვნებით მიიღებს და გაიზიარებს ყველა საინტერესო და საქმიან წინადადებას, რომელიც ხელს შეუწყობს თრუსოს ისტორიული წარსულისა და მოსახლეობის კულტურულ იდენტობათა შესწავლის სამეცნიერო პროცესს.

თავი I. ნაშრომის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ბაზა და სამეცნიერო ლიტერატურა

თრუსოს და მნის ხეობის დემოგრაფიისა და მოსახლეობის კულტურული იდენტობების განსაზღვრა შეუძლებელია რეგიონის შესახებ არსებული მრავალრიცხოვანი საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის გარეშე. საკითხის წყაროთმცოდნეობითი ბაზა ეფუძნება გამოქვეყნებულ და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილ, ასევე პროექტის ფარგლებში მოძიებულ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულების მქონე მასალებს. ჩვენი ჯგუფის კვლევა ეფუძნება თრუსოს ირგვლივ არსებულ საისტორიო წყაროებს, თეორიული სამეცნიერო ხასიათის ლიტერატურას და საველე ექსპედიციის შედეგებს. არსებული წყაროების დაჯგუფებას, სისტემატიზაციასა და კლასიფიკაციას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საკითხის კომპლექსური შესწავლის დროს. სამაგიდე კვლევისა და საველე სამუშაოების საფუძველზე შეგროვდა სხვადასხვა ტიპის მრავალრიცხოვანი წყარო, რომელთა შინაარსობრივი კლასიფიკაცია შემდეგ სახეს მიიღებს:

1. **ნარატიული თხზულებები** (ავგაროზ ბანდაძის „ძეგლი ერისთავთა“, „გერგეტის სულთა მათიანე“, ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“, პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ და მრავალი სხვა).
2. **ისტორიული დოკუმენტები** (საქართველოს მეფეთა, უმაღლეს საერო და სასულიერო პირთა მიერ გაცემული დოკუმენტები, მოსახლეობის აღწერის დავთრები. ძირითადად, ეს არის სხვადასხვა სახის საარქივო მასალა, რომელიც ჩვენს კვლევას თან ახლავს).
3. **მოგზაურთა და სიძველისმოყვარულთა ჩანაწერები**, მათ შორის უცხოელთა დაკვირვებები და შეხედულებები თრუსოსა და მნის ხეობების შესახებ.
4. **მატერიალური კულტურის ძეგლები** (საერო და საეკლესიო არქიტექტურა, ეპიგრაფიკული ძეგლები (ლაპიდარული და ქედური წარწერები), სხვა სახის არტეფაქტები)
5. **პრესის მასალები** (ქართული პრესა).
6. **ფოტოკლორული მასალა**

წყაროების თითოეული ჯგუფი მოიცავს ქვეჯგუფებს. თრუსოსა და მნის ხეობის მოსახლეობის დემოგრაფიისა და კულტურული იდენტობის შესახებ არსებულ ისტორიულ ცნობათა სისრულის, სანდოობისა და სიზუსტის ხარისხის, წყაროთა ურთიერთმედარებისა და ურთიერთდამოკიდებულების გარკვევის შემდეგ, ცხადი ხდება, რომ ეს მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა ზოგჯერ სანდო და ზუსტ, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას გვაწვდის. არსებული ისტორიული წყაროების კლასიფიკაციისა და ანალიზის შემდეგ, ცხადი გახდა, რამდენად მრავალფეროვან და მდიდარ მასალასთან გვაქვს საქმე. ვფიქრობთ, მათი კომპლექსურ-ინტერდისციპლინარული კვლევის შედეგები სამომავლოდ აუცილებლად უნდა გაიზომოს და გამყარდეს არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე მოძიებული მასალით, რაც რეგიონში არქეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების გაგრძელებას, მუდმივმოქმედი მრავალწლიანი არქეოლოგიური ექსპედიციის ჩამოყალიბებას და ეპიგრაფიკული ექსპედიციის განხორციელებას მოითხოვს.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს მიერ შესწავლილი ნარატიული, საარქივო – დოკუმენტური, პრესისა და სხვა სახის საისტორიო წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნებულია, ხოლო ნაწილი პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. აღნიშნული წყაროები შესწავ-

ლილი და გაანალიზებულია ნაშრომის სხვადასხვა თავებში, შესაბამისად, მათი ციკლური შესწავლა, მრავალი საგულისხმო დასკვნის საფუძველს იძლევა, თუმცა ამავე დროს ცხადყოფს, რომ თრუსოს კვლევა დასრულებული არ არის, პირიქით ის სწორედ ახლა იწყება!

კვლევის პროცესში გავეცანიტ სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილ სხვადასხვა შეხედულებებს, დაკვირვებებს, დებულებებსა და ჰიპოთეზებს, რომელთა ჭეშმარიტების დადგენა ცდება ჩვენი კვლევის საგანს. მიუხედავად ამისა, თითოეული მათგანი ყურადღებას იქცევს ფაქტოლოგიური მასალის სიუხვით, რაც მნიშვნელოვნად დაგვეხმარა თრუსოსა და მნის ხეობების მოსახლეობის დემოგრაფიის, კოლექტიური ისტორიული მენსიერების მახასიათებლების დადგენასა და კულტურულ იდენტობათა გააზრებაში.

ისტორიული მნიშვნელობის ნარატიული თხზულებები, რომლებიც თრუსოს წარსულის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას დაცულია მხოლოდ ქართულ ენაზე. ცალკეული ცნობები არის სხვა ენებზეც, მაგრამ რეგიონის წარსულის კვლევის ძირითადი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, ბუნებრივია, ქართულია. თრუსო და მისი მიმდებარე რეგიონები სხვადასხვა სახელით გვხვდება უძველეს ქართულ საისტორიო თხზულებაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრების“ კრებულში. ერთ-ერთი უძველესი ნარატიული საისტორიო წყარო, რომელშიც თრუსო ამავე სახელწოდებით გვხვდება არის XIV საუკუნის ქართველი მემკვიდრისა და კალიგრაფის ავგაროზ ბანდაძის თხზულება „ძეგლი ერისთავთა.“¹ თრუსოს სახელით რეგიონი დასახელებულია „გერგეტის სულთა მატიაწეში“, ბერი ეგნატაშვილის², პაპუნა ორბელიანის³, ვახუშტი ბაგრატიონის⁴ თხზულებებში. აღნიშნულ წყაროებში, რეგიონის შესახებ დაცული ცნობები გაანალიზებულია ნაშრომის შესაბამის თავში.

მოსახლეობის ეთნიკური ვინაობისა და კულტურული იდენტობის შესასწავლად ერთ-ერთ პირველხარისხოვან საისტორიო წყაროს წარმოადგენს იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“.⁵ დოკუმენტი საშუალებას იძლევა მეტნაკლები სისრულით აღვადგინოთ შუა საუკუნეების თრუსოს ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობა, საზღვრები, სახელმწიფოებრივი კუთვნილება, სამხედრო და სამოქალაქო ცხოვრების ისტორიები, ყოფისა და ტრადიციების ელემენტები და ა.შ.

თრუსოს და მნის ხეობების შესახებ ძვირფას საისტორიო წყაროს წარმოადგენს ძველი ისტორიული საბუთები და XIX-XX სს. დოკუმენტური მასალები, რომლებშიც ერთიანდება საქართველოს მეფეთა, უმაღლეს საერო და სასულიერო პირთა მიერ გაცემული საბუთები, „ოსეთის სასულიერო კომისიის“ მასალები, რუსეთის მიერ საქართველოს სამეფო-სამთავროების გაუქმების შემდეგ, თრუსოს ისტორიის შესასწავლად პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენს „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების“ დოკუმენტები, საქარ-

¹ ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიაწე), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის – ნაკვეთი 30, თბილისი, 1954.

² ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. მეორე ტექსტი. წიგნში: „ქართლის ცხოვრება“. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი. 1959. გვ. 444.

³ პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ე. ცაგარეიშვილმა, თბილისი 1981. გვ. 113.

⁴ ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წიგნში „ქართლის ცხოვრება“ ტ. IV. ტექტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი. 1959. გვ. 357, 363, 634, 644, 547, 648;

⁵ იოანე ბატონიშვილი. „ქართლ-კახეთის აღწერა“, ტექსტი მოამზადეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბილისი, 1986.

თველოს ეგზარქოსის კანცელარიის ფონდის საარქივო მასალები, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები, მოსახლეობის აღწერის დავთრები, მათ შორის კამერალური აღწერები და მეტრიკული ჩანაწერები, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დაგეგმვისა და აღრიცხვა – ანგარიშების კაბინეტის ფონდის მასალები და ა. შ. ეს არის მდიდარი საარქივო მასალა, რომელთა ნაწილი ცნობილია სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ხოლო ნაწილი დანართების სახით პირველად ქვეყნდება ჩვენი კვლევის ფარგლებში და ხელმისაწვდომი ხდება ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის. აღნიშნული მასალა, განსაკუთრებით საინტერესოა საკვლევი თემის კონკრეტული საკითხის – თრუსოს ხეობაში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების შესასწავლად.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კულტურული იდენტურობა ეფუძნება მთელი რიგი ტრადიციების, ღირებულებებისა და ადათ-წესების ერთობლიობას, რომელიც გამოხატულია ქვეყნის წესებში, თვითმყოფადი კულტურის ისეთ დისკრეტებში, როგორიცაა არქიტექტურა, ფერწერა, დამწერლობა, მცირე ფორმის რელიეფური ხელოვნება, საცხოვრებელი ნაგებობები, ხასიათი, ფოლკლორი, სიმღერა, ცეკვა და ა.შ. ყოველივე ამას ქმნის გარკვეული საზოგადოება ან ადამიანთა კონკრეტული ჯგუფი. კულტურული იდენტობის საშუალებით, ადამიანებს შეუძლიათ შექმნან კუთვნილების გრძნობა, რაც აუცილებელია თითოეული ერის თავისებურებების შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, კულტურული თვითმყოფადობის ცოდნა საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ საკუთარი თავის, ან სხვისი კულტურული იდენტიფიკაცია, დავაკვირდეთ და ამოვიცნოთ სხვადასხვა ხალხის მიერ კონცეპტუალურად ჩამოყალიბებული იდენტობის ძირითადი მახასიათებლები.

ბუნებრივია, ამა თუ იმ ქვეყნის, მხარის, მიკრორეგიონის მოსახლეობის კულტურული იდენტობის საკითხის გარკვევაში გვხვდება კულტურის ის დისკრეტები, რომელიც რეგიონში მცხოვრებმა ხალხებმა შექმნეს და დღემდე არის შემორჩენილი. თრუსოს ხეობის მოსახლეობის კულტურულ იდენტობათა ძირითადი მახასიათებლების გააზრება შეუძლებელია რეგიონის მატერიალური კულტურის ძეგლების დაკვირვებისა და შესწავლის გარეშე. აქედან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის სპეციფიკურ საისტორიო წყაროს წარმოადგენს ხეობაში დღემდე შემორჩენილი და დაცული მატერიალური კულტურის ძეგლები – თავდაცვითი და საცხოვრებელი ნაგებობები, საერო და საეკლესიო არქიტექტურა, წერილობითი ძეგლები, მათ შორის ლაპიდარული წარწერები, ასევე სხვა სახის არტეფაქტები, რომლებსაც გარდასულ ეპოქათა სუნთქვა შემოუნახავს. მათი თანაარსებობა ისე გადაჯაჭვულა ხალხურ შემოქმედებასთან, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა მხატვრული ცნობიერებისა და კოლექტიური მეხსიერების ისტორიულ სიუჟეტებს ქმნიან.

ყურადღება მიიქცია ერთმა საგულისხმო ფაქტმა, XIX-XX საუკუნის მიჯნის თრუსოსა და მნის ხეობის ისტორიის, მოსახლეობის ყოფისა და ტრადიციების ამსახველი მასალა, ძირითადად ქართულენოვან ამ საქართველოში გამოცემული პრესის ფურცლებზე გვხვდება. საკვლევი საკითხის შესახებ ზოგჯერ ფრაგმენტული, მაგრამ რეგიონის ისტორიული სურათის სრულყოფილი გაცოცხლებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია დადასტურებულია XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის გაზეთებში: „ივერია“ და „დროება“. პუბლიკაციებში თრუსოს და მნის ხეობის ამბები განხილულია ხევთან ერთად, ხშირად განიხილება კობის ამბები და ა. შ. კორესპონდენციების ავტორები, ძირითადად, ამბის თვითმხილველი ქართველი საზოგადო მოღვაწეები ან უბრალო ადამიანები იყვნენ, რომლებიც ადგილზე იცნობდნენ ვითარებას და აღწერდნენ რეალურ ისტორიულ ფაქტებს.

თრუსოს შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა ორ ნაწილად შეიძლება დავაჯგუფოთ: *პირველში* თრუსოს და მნის ხეობების მომიჯნავე მხარეებია (მაგ. დვალეთი,

ხევი, მთიულეთი და ა.შ) შესწავლილი და ამ მათი კვლევის კონტესტში გაანალიზებულია თრუსოს და მნის ხეობების ისტორიასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები; მეორე ჯგუფის ლიტერატურა საკუთრივ თრუსოს და მნის ხეობებს ეხება. ამ სახის სამეცნიერო ლიტერატურა არც ისე მრავალრიცხოვანია და მისი ზოგადი მიმოხილვაც კი საკმარისი არგუმენტია იმისთვის, რომ ხეობის კვლევა მომავალში აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

თუნდაც ჩვენი ჯგუფის მიერ თრუსოს დემოგრაფიისა და მოსახლეობის კულტურული იდენტობების კვლევის დროს მოძიებული მრავალრიცხოვანი საარქივო მასალა, რომელიც რვაას გვერდზე მეტს მოიცავს, ასევე ექსპედიციის დროს იდენტიფიცირებული დაკვირვების მონაცემები ცხადყოფენ, რომ ამ მასალებს ხანგრძლივი კომპლექსური შესწავლა, ხოლო ადგილზე ისტორიულ-არქეოლოგიური, ხელოვნებათმცოდნეობითი, ეთნოლოგიური, ანთროპოლოგიური და კულტუროლოგიური ხასიათის დაკვირვება სჭირდება.

ბუნებრივია, ჩვენი ჯგუფის ყველა კვლევა ეფუძნება წინა კვლევებსა და იმ ისტორიოგრაფიულ გამოცდილებას, რომელიც თრუსოსა და მნის ხეობების შესწავლის პროცესში დაგროვდა. ყველა მეცნიერი, რომელიც თრუსოს და მნას იკვლევდა პატივისცემას და მადლიერებას იმსახურებს, რადგან თრუსოსა და მნის ხეობის ულამაზესი ხედების გარდა, არსებობს რეგიონის რთული ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, უგზოობა და ინფრასტრუქტურის უქონლობა, რაც ადგილზე მუშაობას აძნელებს. მიუხედავად ამისა, ეს საქმე დაიძრა და ორივე ხეობაში რამდენიმე ექსპედიცია ჩატარდა. სამწუხაროდ, რთულ გეოპოლიტიკურ არეალში მცხოვრები ჩვენი პატარა ერი, რომელმაც დიდი კულტურა და ისტორია შექმნა, მეზობელი სახელმწიფოების ზოგიერთი მეცნიერის ან სეპარატისტული ისტორიოგრაფიის მხრიდან საზღვრისპირა რეგიონებზე მუდმივად ისმენს დაუსაბუთებელ პრეტენზიებს. ძირითადად, ეს არის მეცნიერულ საფუძველს მოკლებული პუბლიკაციები, რომლებიც პრაქტიკულად პოლიტიკურ პროპაგანდას წარმოადგენენ და არაფერი აქვთ საერთო მეცნიერებასთან. ამ ტიპის „მეცნიერებაზე“ დაყრდნობით ცდილობს მეზობელი სახელმწიფო უძველეს ქართულ მხარეში - ქართლში - შიგ საქართველოს გულში შექმნილი ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გამართლებას. უფრო მეტიც, თვალი გაუბრის საქართველოს სხვა ისტორიულ მხარეებზე, მათ შორის თრუსოსა და მნის ხეობებზე. ასეთი არაჯანსაღი დამოკიდებულება გვაფიქრებინებს, რომ ამ მიმართულებით მეცნიერებმა მყარ არგუმენტაციას დაუფუძნებელი და დასაბუთებული სამეცნიერო დასკვნები უნდა დადოს.

თრუსოს დემოგრაფიისა და მოსახლეობის კულტურული იდენტობების ცალკე სამეცნიერო კვლევა არ განხორციელებულა. დღემდე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა ეხება თრუსოს ისტორიულ გეოგრაფიას, ისტორიას, ეთნოგრაფიას, მოსახლეობის აღწერების ისტორიულ ანალიზს, არქეოლოგიურ დაზვერვითი სამუშაოების ანალიზს, არქიტექტურულ ძეგლებს, ეპიგრაფიკული ძეგლების პირველად აღწერას, მოსახლეობის სამეურნეო ყოფისა და მიგრაციის საკითხებს. სხვადასხვა დროს, თრუსოს და მნის ხეობების ისტორიას, მოსახლეობის ეთნიკურ ვინაობას, მიგრაციულ პროცესებს, ტრადიციულ ყოფას, ორიგინალურ საერო და საეკლესიო არქიტექტურას იკვლევდნენ ისტორიკოსები, ეთნოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები, არქეოლოგები და ა.შ. თითოეულმა უაღრესად ღირებული სამეცნიერო ნაშრომი შექმნა, და რომ არა ეს კვლევები, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა ახალი სამეცნიერო კვლევითი კითხვები და ახალი იდეები.

ერთ-ერთი პირველი, ვინც თრუსოს და მნის ხეობების ისტორიას შეეხო იყო **ვახტანგ გამრეკელი**, რომელმაც კონცეპტუალური ხასიათის ნაშრომები დაგვიტოვა ცენტრალურ კავკასიონზე მდებარე საქართველოს ისტორიული მხარეების – დვალეთის, თრუსოს, მნისა

და ხევის შესახებ. 1957 წელს მან დვალთა ეთნიკურობისა და ისტორიული ბედის საკითხებზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია¹, რომლის გაგრძელებას წარმოადგენს მონოგრაფიული კვლევა „**დვალელები და დვალეთი, ახ. წ. I-XV სს.**“². ცენტრალური კავკასიონისა და ზოგადად კავკასიის კვლევის საკითხებს მეცნიერმა რამდენიმე ნაშრომში მიუძღვნა: „დვალეთის კარნი ცენტრალურ კავკასიონზე“³, „აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიასთან XVIII საუკუნეში“⁴, „აღმოსავლეთ საქართველოს ინტერკავკასიური პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობები (XVIII საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს – XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი)“⁵. აღნიშნული ნაშრომის მეორე ტომი ავტორის გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ გამოქვეყნდა⁶, რომელზე დაყრდნობით მან, ჯერ კიდევ 1973 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „აღმოსავლეთ საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობის საკითხები XVIII საუკუნეში“.

დვალეთის ისტორიის კვლევისას ვახტანგ გამრეკელი არაერთხელ შეეხო თრუსოს და მნის ხეობების ისტორიას, ისტორიულ გეოგრაფიას, რეგიონზე არსებულ წყაროებს და ა. შ.. ავტორი აღწერს დვალეთიდან, თრუსოში გადამავალ გზაზე არსებულ ციხე-სიმაგრეთა ნაშთებს, გადასასვლელ ბილიკებს და ხაზს უსვამს მხარის სტრატეგიულ მნიშვნელობას ჯერ ქართლის სამეფოს, ხოლო შემდეგ გაერთიანებული საქართველოს სამეფოს ეპოქაში ჩამოყალიბებულ თავდაცვით სისტემაში. ამ სისტემას მნიშვნელობა არ დაუკარგავს საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგაც, როცა დვალეთი, თრუსო, მნა და ხევი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა.

ვახტანგ გამრეკელის აზრით, კასრის კარი, ხილაკას ხევი, ჩამხერგავი კედელი N2 და დარიალის ციხე-კედელი, ერთ განედზე განლაგებულნი, ქმნიდნენ თავდაცვით ნაგებობათა ერთიან ხაზს, ისინი კეტავდნენ ვიწროებში სამ მთავარ ხეობას (თერგის, ფიაგდონის, არდონის), რომლითაც შუა საუკუნეებში მიიმართებოდნენ მთავარი სამიმოსვლო გზები ქართლსა და ოსეთს, და, საერთოდ, ცენტრალურ ჩრდილო კავკასიას შორის. ეს გზები არა კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილებზე, არამედ ჩრდილოეთით, ხევების ვიწროებში მიემართებოდა. ხაზგასასმელია, დარიალის, ხილაკას და კასრის-ხევის სიმაგრეების მშენებელთა მიერ კავკასიონის ოროგრაფიის მშვენიერი ცოდნა. იშვიათი ოსტატობით არის გამოყენებული ბუნებრივი პირობები – ვიწროებების და ყინულოვან მთათა მასივების მონაცვლეობა. ავტორის დასკვნით, ამის შედეგად საბოლოოდ მიღებული იქნა ერთიანი გამაგრებული ზოლი: ყარაუგომ, ადაიხოხის ყინულოვანი მასივი – ხილაკას ხევის კედელი N2, გიმარაის და ყაზბეგის ყინულოვანი მასივი – დარიალის ციხე და კედელი – შინოს მთის მასივი⁷.

დვალთა ეთნიკური ვინაობის გარკვევისას, ავტორი ცენტრალურ კავკასიონზე თრუსოს

1 В.Н. Гамрекели. Двали и двалетия в I-XV вв. н.э. (К вопросам этнической принадлежности и исторических судеб двалов) : Дис... канд. ист. наук /АН ГССР, Ин-т истории. Тбилиси. 1957.

2 В.Н. Гамрекели. Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э. Тбилиси, 1961;

3 ვახტანგ გამრეკელი. დვალეთის კარნი ცენტრალურ კავკასიონზე, ძეგლის მეგობარი, ტ. 5. თბილისი, 1965. გვ. 23-33;

4 В.Н. Гамрекели. Торговые связи Восточной Грузии с Северным Кавказом в XVIII в. кн.1. Тбилиси. 1968.

5 В.Н. Гамрекели. Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии (конец 60-х – начало 90-х гг. XVIII в.). Документы и материалы. АН ГССР, Комис. по источникам истории Грузии, 1 вып.. – Тбилиси, 1980.

6 В.Н. Гамрекели. Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии (конец 60-х – начало 90-х гг. XVIII в.). Документы и материалы, АН ГССР, Комис. по источникам истории Грузии. 2 вып. Тбилиси, 1991.

7 ვახტანგ გამრეკელი. დვალეთის კარნი ცენტრალურ კავკასიონზე, გვ. 32-33.

და მნის ხეობების მოსახლეობის ეთნიკურობაზე და დვალეთის საზღვრებზე საუბრისას იმოწმებს ვახუშტის ცნობას, რომ ძველად თრუსოს და ხევის ხეობებიც დვალეთს ეკუთვნოდაო¹. ვახუშტი აღწერს თავის თანამედროვე დვალეთის საზღვრებსაც და აცხადებს რომ, „დვალეთს აღმოსავლეთით ესაზღვრება: მთა თრუსოსა და ხევს შორის და მთა კასარის ხეობასა და ვალაგირს შორისო“.²

მონოგრაფიის დასკვნით ნაწილში ვახტანგ გამრეკელს დასაბუთებული აქვს, რომ დვალეთი უძველესი დროიდან ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე, იმყოფებოდა იბერიულ-კავკასიური, კერძოდ, ქართველურ-ვეინახური ენების გარემოცვაში და ბუნებრივია, დვალეთში უნდა განვითარებულიყო იბერიულ-კავკასიური ბუნების ენა, რომელიც ცოტა თუ ბევრად ახლოს იქნებოდა ვეინახურ და ქართველურ ენებთან³. ამ გამოკვლევით დვალეები ქართიზებული ვეინახები იყვნენ, მაგრამ ქართულ ენციკლოპედიაში მან დვალეები დასავლურ ქართულ (ზანურ) და კავკასიურ ტომად წარმოადგინა.⁴

ვფიქრობთ, ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. ცნობილია, რომ ეგრის - აფხაზეთის მეფეები აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მიმართულებით სამეფოს საზღვრების გაფართოების დროს, ცენტრალური კავკასიონის გადასასვლელებითაც დაინტერესდნენ. უფრო მეტიც, სამეფოს ჩრდილოეთ საზღვრის დაცვისა და გამაგრების მიზნით, ისინი ალანთა (ოსთა) შორის ქრისტიანობის გავრცელებას იწყებენ.⁵ ბუნებრივია, ეგრის-აფხაზეთის მეფეთა მისიონერული საქმიანობა საკუთარი სამეფოს სტრატეგიული ინტერესებითა და სასაზღვრო ზოლის უსაფრთხოების აუცილებლობით იყო განპირობებული.⁶ შესაბამისად, ცენტრალურ კავკასიონზე გამავალი სასაზღვრო ზოლის ორივე მხარეს ერთმორწმუნე და ერთგული მოსახლეობის გამრავლება მათი სტრატეგიული პოლიტიკის ნაწილი იყო. ასეთი პოლიტიკის არსებობის პირობებში არ გამოვრიცხავთ, რომ სამეფო საზღვრების დაცვის მიზნით, ეგრის-აფხაზეთის მეფეებს ცენტრალური კავკასიონის ამ რეგიონში, დასავლეთ საქართველოდან – მთის სპეციფიკის უკეთ მცოდნე ერთგული ხალხი ჩამოესახლებინა, რომელთა ენა მომდევნო საუკუნეებში, თანდათან ადგილობრივ მეტყველებას შეერია და გაქრა. მოსახლეობის ნაწილი ღიახვისა და არაგვის ხეობების სათავეებთან და მის სამხრეთით მცხოვრებ ქართველებს შეერწყა, ნაწილი თრუსოს ხეობაში მცხოვრებ ქართველ წანარებს, ხოლო ნაწილი ოსურ სამყაროსთან ასიმილირდა.

დვალეებისა და დვალეთის, თრუსოს ხეობის ცნობილი მკვლევარი **როლანდ თოფჩიშვილი** დვალეებს ეთნიკურად და რელიგიურად ქართულ სამყაროს მიაკუთვნებს. ის არ უარყოფს დვალური ენის სვანურთან კავშირს, მაგრამ დვალურ ენაში ზანურის ელემენტებს უფრო მეტს ხედავს⁷. ეს მოსაზრებები კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს შეხედულებას ეგრის-აფხაზეთის მეფეთა მიერ, საზღვრის დაცვის მიზნით, ცენტრალურ კავკასიონზე – დვალეთსა და მის მიმდებარე თრუსო-მნის ხეობებში დასავლეთ საქართველოს მოსახლეო-

¹ В.Н. Гамрекели. Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э. გვ. 20.

² ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1973. გვ. 647.

³ В.Н. Гамрекели. Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э. გვ. 145.

⁴ ვახტანგ გამრეკელი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 3, თბილისი, 1978. გვ. 490.

⁵ ეს ფაქტი დადასტურებულია ბერძნული და ქართული წყაროებით და გაზიარებულია ისტორიოგრაფიაში.

⁶ ღია ახალაძე. ეგრის-აფხაზეთის (აფხაზეთა) მეფეთა ეროვნულ-სარწმუნოებრივი პოლიტიკის საკითხისათვის, თბილისი. 2013. გვ. 67.

⁷ როლანდ თოფჩიშვილი. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. თბილისი, 1997. გვ. 19, 21.

ბის ჩასახლების შესახებ.

აღნიშნულ მოსაზრებას გვიმყარებს კიდევ ერთი მეცნიერის **სალომე ბახია-ოქრუაშვილის** დებულება, რომელიც დვალთა ეთნიკური ვინაობისა და დვალური ენის წარმომავლობის შესწავლისას, ეყრდნობა რა ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას, აცხადებს, რომ ცენტრალურ კავკასიაში მკვიდრობის მიუხედავად დვალები სამხრეთიდან არიან წამოსული. ჩვენი ვარაუდით, წერს მეცნიერი, დვალურ ენაში რომელიღაც ძველი ქართული ენა, ან ქართულის ერთ-ერთი დიალექტია ნაგულისხმევი¹. ჩვენი მხრივ, დავამატებდით, რომ შესაძლოა ეს იყოს ერთ-ერთი დიალექტი, ან ერთ-ერთი ქართველური - ზანური, ან სვანური ენა, როგორც ამას, თავის დროზე, ვახტანგ გამრეკელი ფიქრობდა.

თრუსოსა და თრუსოელთა ეთნიკურ ვინაობასა და ტრადიციებს სწავლობდა დვალეთის ისტორიის კიდევ ერთი **მკვლევარი ბახვა გამყრელიძე**, რომელმაც დვალეთში რამდენიმე ექსპედიცია განახორციელა და დიდხანს იკვლევდა მას. მეცნიერმა ფეხით მოიარა ცენტრალური კავკასიონი და დააზუსტა დვალეთის ისტორიული გეოგრაფიის, განსახლებისა და ტრადიციული ყოფის სხვადასხვა საკითხები. მისი აზრით, ღურძუკეთი და დვალეთი ალაგირის ხეობის ზედა წელში, ნარ მამისონის ხეობებს მოიცავდა და ფარნავაზიდან მოყოლებული XIX ს. 60-იან წლებამდე, საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო. 1859 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ეს კუთხე საქართველოს ჩამოაცილა და ახლადჩამოყალიბებულ თერგის ოლქს მიაკუთვნა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი ჩრდილოეთ ოსეთის შემადგენლობაში შევიდა. ბ. გამყრელიძე ფიქრობს, რომ დვალეთად კვალიფიცირებულ ამ ტერიტორიულ ერთეულს ჩრდილოეთ კავკასიის ბარისა და მთისწინეთისგან განსხვავებით (სადაც დისლოცირებული იყო ირანულენოვანი მოსახლეობა), სამხრეთით, გაცილებით უფრო ფართო საკომუნიკაციო ქსელით ჰქონდა კავშირი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კუთხეებთან, დიდი ლიახვისა და თრუსოს ხეობებთან.² სწორედ ამ საკომუნიკაციო ქსელების არსებობამ შეუწყო ხელი, მონდოლთა შემოსევების შემდეგ, ოსების მიერ დვალეთიდან გამოდევნილი დვალური მოსახლეობის მიგრაციას თრუსოსა და ლიახვის ხეობებში.

დვალეთში გავრცელებული დღესასწაულების აღწერისას **ბახვა გამყრელიძე** საუბრობს **ათენგენობის**³ შესახებ, რომელიც თრუსოს ხეობაშიც დასტურდება. მეცნიერის აზრით, რელიგიური დღესასწაული ათენგენობა ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოში, მაგრამ დღეს ქართველ მთიელებშია შემორჩენილი. ამ დღესასწაულზე ქართველ მთიელებთან ერთად ოსებიც იკრიბებოდნენ და შრომას ორგანიზებულ ხასიათს აძლევ-

¹ სალომე ბახია-ოქრუაშვილი. დვალთა ეთნიკური ვინაობის ისტორიის საკითხები, კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XIII, თბილისი, 2011, გვ. 25-66, 30.

² ბახვა გამყრელიძე. ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიიდან ეთნონიმების „ოსი“ და „დვალი“-ს მიმართების საკითხისათვის, წელიწდეული საისტორიო ძიებანი, ტ. I. თბილისი, 1998. გვ. 80.

³ ათენგენობა გახალხურებული ქრისტიანული დღესასწაულია, რომლის სახელწოდება ირაკლიოპოლის ეპისკოპოსის, ბერძენ მღვდელმონაზმე ათინოგენე სებასტიელის უკავშირდება. ის და მისი ათი მოწაფე სებასტიაში 311 წელს ეწამნენ. ეკლესია ამ დღეს 29 ივლისს აღნიშნავს. ათენგენობა ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოში და მიეკუთვნებოდა მოძრავ დღესასწაულთა ციკლს. ამჟამად მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთაშია შემორჩენილი. ხევსურეთში და ხევში მას ათენგენობას ეძახიან, თუშეთში – ათნიგენობას. მთაში ქრისტიანობის გახალხურების შედეგად მთიელთა ათენგენობას სახელწოდების გარდა თითქმის აღარაფერი აქვს საერთო ქრისტიანულ დღესასწაულთან. ეს არის ტიპობრივი ხალხური დღესასწაული, რომელიც იმართება ივნისის II ნახევარში სხვადასხვა დღეს. ინფორმაცია შევსებულია ნაშრომიდან: სოფიო ბიწაძე, რელიგიური დღესასწაულები ხევში, სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ეთნოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2015. გვ. 45-48; 48-51.

დნენ¹.

ერთ-ერთი პირველი ვინც საკუთრივ თრუსოს მიუძღვნა ნაშრომი და ექსპედიციის ფარგლებში დეტალურად აღწერა რეგიონის ისტორიული გეოგრაფია, დასახლებული პუნქტები, ტოპონიმია და ა.შ., იყო **გულდამ ჩიქოვანი**, რომელმაც 1980-1982 წლებში ყაზბეგში, ხევსა და თრუსოში ექსპედიციის მონაცემებით, ასევე ქართული ისტორიული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შეჯერების შედეგად დაადგინა თრუსოს ისტორიული მხარის საზღვრები.² მანვე პირველმა დააზუსტა, რომ ტოპონიმი „თრუსოს ხეობა“ პირველად XIX საუკუნეში რუსულ წყაროებში ჩნდება და ზეპირ მეტყველებაშიც იხმარება, ხოლო ქართულ წერილობით წყაროებში მოიხსენიება სიტყვა „ხეობის“ გარეშე. ქართული წყაროები მას „თურსი“, „თრუსო“, „თურს“ და ა. შ., იხსენიებენ. ამიტომ მეცნიერის დასკვნით, სამეცნიერო ლიტერატურაში უნდა ვიხმაროთ „თრუსო“ და არა „თრუსოს ხეობა“.³

თრუსოს, ხევის და ზოგადად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კვლევის საკითხში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის **ვალერიან ითონიშვილს**, რომელიც ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან დაინტერესდა მთის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და კულტურის შესწავლით. ავტორის მრავალრიცხოვანი კვლევებიდან ჩვენს საკვლევ საკითხს ეხება შემდეგი შრომები: „ხვნა-თესვა ხევში“,⁴ „ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან“⁵, „მოხვევების საოჯახო ყოფა“⁶, „საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით)“,⁷ „ხევის ტოპონიმია“⁸ და მრავალი სხვა. ჩვენთვის განსაკუთრებით ღირებულია თრუსოს ხეობის საცხოვრებელ ნაგებობათა აღწერილობა, რომელიც მკვლევარმა XX საუკუნის 60-იან წლებში შეასრულა. პრაქტიკულად, დღეს ამ ნაშრომს წყაროს მნიშვნელობა აქვს, რადგან 60-იან წლებში თრუსო ჯერ კიდევ დასახლებულ მხარეს წარმოადგენდა. დღეს უკვე მიტოვებულ სოფლებში საცხოვრებელთა ნაწილი იმდენად დაზიანებულია, რომ მათი თავდაპირველი სახის აღდგენა ზოგჯერ შეუძლებელიცაა.

თრუსოს თავდაცვითი ნაგებობებისა და საეკლესიო არქიტექტურის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი იყო **პარმენ ზაქარაია**. მან პირველმა მიაქცია ყურადღება თრუსოსა და მნის ხეობების საეკლესიო არქიტექტურას და საერო დანიშნულების ძეგლებს, რომელთა შორის გამოარჩია ზურგიანი კოშკები. ზურგიანი კოშკების ლოკალიზაციის საკითხი, – წერდა ავტორი, – თრუსოში და მნაში მნიშვნელოვნად გვეკლინება, რამეთუ ამ ტიპის სათავდაცვო ნაგებობები მხოლოდ ქართველთა განსახლების არეალისთვისაა დამახასიათებელი⁹. ავტო-

¹ ბახვა გამყრელიძე. „ვიქმნეთ ჩვენც ერთგულ ყმად“ – საკითხები ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორიიდან. საისტორიო ძიებანი ტ. 3. თბილისი, 2000. გვ. 214.

² გულდამ ჩიქოვანი. თრუსოს ისტორიული გეოგრაფიისათვის (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), მაცნე ისტორიის სერია, N 2. 1985. გვ. 105-116.

³ გულდამ ჩიქოვანი. თრუსოს ისტორიული გეოგრაფიისათვის (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) გვ. 106.

⁴ ვალერიან ითონიშვილი. ხვნა-თესვა ხევში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, N6. თბილისი, 1953;

⁵ ვალერიან ითონიშვილი. ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960.

⁶ ვალერიან ითონიშვილი. მოხვევების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1970.

⁷ ვალერიან ითონიშვილი. საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, I, თბილისი, 1964.

⁸ ვალერიან ითონიშვილი. ხევის ტოპონიმია, თბილისი, 1971.

⁹ პარმენ ზაქარაია. სიმაგრეთა ერთი უცნობი სახე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XXIII-B. თბილისი. 1962. გვ. 49-82.

რის ეს მიგნება, მყარად ასაბუთებს დებულებას, რომლის მიხედვით, თრუსო და მნის ხეობები, ჯერ ქართლის სამეფოს, შემდეგ საქართველოს სამეფოს ჩრდილოეთ სასაზღვრო სისტემის ერთიანი თავდაცვითი ხაზის ნაწილი იყო.

მოსახლეობის კულტურულ იდენტობათა კვლევის თვალსაზრისით, ისტორიულ-შეღებვით კონტექსტში საყურადღებოა გიორგი ჯალაბაძის დაკვირვებები თერგის ხეობის სამიწათმოქმედო კულტურებსა და ტრადიციებზე¹.

თრუსოს შესახებ არსებულ სამეცნიერო კვლევებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვახტანგ ითონიშვილის ნაშრომი „ღვალეები და ღვალეთი“, რომელიც ავტორის გარდაცვალებიდან მრავალი წლის შემდეგ გამოქვეყნდა, მაგრამ გაცილებით ადრეა დაწერილი. მონოგრაფიაში შესწავლილია ღვალთა გლოტოგენეზის საკითხი და ავტორი ეჭვქვეშ აყენებს იმ მკვლევართა მოსაზრებებს, რომლებიც თრუსოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხევის შემადგენელ ნაწილად განიხილავენ, ხოლო მნა-ოქროყანის მიკრორაიონს (ხევის 4-5 კმ-იანი მონაკვეთი) ტერიტორიულად თრუსოს მიაკუთვნებენ, რაც ავტორის აზრით, სინამდვილის სერიოზული დამახინჯებაა. მით უმეტეს კრიტიკას ვერ უძლებს თრუსოს და ხევის ოსეთის ფარგლებში შეყვანა, რითაც სისტემატურად სცოდავს თითქმის ყველა ოსი და რუსი ავტორის ნაშრომი.

მეცნიერი არგუმენტირებულად ასაბუთებს, რომ თრუსო ფართოდ გაგებული ღვალეთის იმ ვრცელი რაიონის აღმნიშვნელი მიკროტოპონიმია, რომელიც მდ. თერგის სათავეებსა და კასარად წოდებულ ვიწროებს შორის მოქცეულ ტერიტორიას მოიცავს და დღესაც „თრუსო“-ს ძირძველი სახელწოდებით არის ცნობილი. მართალია, ხსენებულ მხარეში მოგვიანებით ჩამოსახლებულმა ოსებმა თავის ახალ სამოსახლო ალაგს თირსი ქომი (Тырсы ком) შეარქვეს, მაგრამ ოსური ენის ფონეტიკური სისტემისა და ონიმური მოდელების შესაბამისად გამართულმა ამ სახელწოდებამ ე.წ. სამხრეთ ოსეთის აო-ს ფარგლებში მოხვედრილი ზოგიერთი გადაოსებული ტოპონიმისაგან განსხვავებით, საბედნიეროდ ვერ მოიკიდა ფეხი საქართველოს გეოგრაფიულ სახელთა თანამედროვე ორთოგრაფიულ ლექსიკონში. იმავე თრუსოს კიდევ ერთ ასიმილირებულ ვარიანტს წარმოადგენს ინგუშური თრუსი (Трүс), რომლისგან არის მიღებული ინგუშური ტოპონომიტი ტრუსო (= „თრუსოელი“)². ავტორის არგუმენტაცია ემყარება სხვადასხვა საისტორიო წყაროს მონაცემებს, მათ შორის, „ძეგლი ერისთავთა“-ში საძიებელი სახელი ფიგურირებს როგორც თრუსუ,³ ხოლო XV-XIX სს-ის წერილობით ძეგლებში ის მრავალგზის მოიხსენიება თრუსო-ს ფორმით, რასაც ადასტურებს სამთავისის დრამისა და შესავლის გარიგების წიგნი,⁴ გერგეტელ საყდრშიველითა საბუთი (XV ს.),⁵ ახალი ქართლის ცხოვრების მეორე ტექსტი,⁶ ბარძიმ არაგვის ერისთავის

¹ გიორგი ჯალაბაძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სამიწათმოქმედო იარაღები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. XXII, N1, თბილისი, 1959. გ. ჯალაბაძე. მიწათმოქმედება თერგის ხეობაში. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XXII-B. თბილისი, 1961.

² ვახტანგ ითონიშვილი. ღვალეები და ღვალეთი, ტ. II, თბილისი, 2016. გვ. 214.

³ „ძეგლი ერისთავთა“, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II. თბილისი, 1965. გვ.106, 113.

⁴ ივანე ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ. II, თბილისი, 1974, გვ.11;

⁵ ქრისტინე შარაშიძე. საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.) „მსკი“, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ.272;

⁶ ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, წიგნში, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959. გვ. 444;

წყალობის სიგელი გერგეტელი საყდრის ყმებისადმი¹, 1732 წ. პირობის წიგნი მიცემული ერთობით მთის კაცთა მიერ ოთარ ამილახვრისადმი,² 1770 წ. ქართლ-კახეთის აღწერა³ და ა. შ. პაპუნა ორბელიანისა და იოანე ბაგრატიონის ნაშრომებში გვხვდება თრუსი⁴, ხოლო გიულდენშტედტის ნაშრომში თრუსოს (Truso) პარალელურად ასახულია „თირსაუც“ (Tirsau), რაც ვახტანგ ითონიშვილის აზრით, უთუოდ ოსური ნიმინაციის გავლენით მიღებული ტოპონიმურ გატია. და, რადგანაც ქრონოლოგიურ ვარიანტებს შორის ამკარად თრუსო დომინირებს, საძიებელი ტოპონიმის ამოსავალ და ყველაზე მიღებულ ფორმად ავტორს სწორედ „თრუსო“ მიაჩნია, ხოლო ამ უკანასკნელის ფონეტიკურ ნაირსახეობად კი „თრუსუ“-ს მოიაზრებს. ჩვენ ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია – წერს ავტორი, „თრუსოს“-ს და „თრუსუ“-ს ოდინდელი სინქრონული გამოყენების შესაძლებლობის დაშვებაც, რასთან დაკავშირებითაც მეტად ნიშანდობლივია საქართველოს მთიანეთის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის ანალოგიური ფონეტიკური ბიფურკაციის ფაქტები (მაგ.: ხახაბო-ხახაბუ, ხიმმო-ხიმმუ, მუცო-მუცუ, მუქო-მუქუ, ჭიჩო-ჭიჩუ და ა. შ.).⁵

არ ეთანხმება რა თედო უთურგაიძის მოსაზრებას თრუსოს (ისევე როგორც ხისოს) ნახური წარმომავლობის ტოპონიმად გამოცხადების შესახებ⁶, ვახტანგ ითონიშვილს თრუსოს ეტიმოლოგიზაციასთან დაკავშირებით შემოაქვს „ქართული და ზოგიერთი სხვა ენის აპელატიური ლექსიკის ფრიად საგულისხმო მონაცემები, მეტადრე ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: ქართული ღრუსო („...ზღუდე ქვისა მაღალი კეთილად ნაგები კოშკ-კოშკოვანი“), თრუსო (ქიზიყ. „ცელის პირის ასაწყობი სალესი ქვა. ხორხომელაა, მოლურჯო, ხმარობენ მშრალად, დაუსველებლად“), თრუშო (ქიზიყ. „თრიმლის წვენი“), თრუსა (თუშ. „უზანი“, მცენ.), ტრუშული („მსხვილი წნულის დობე ორპირად“), რუსული Трешона („ხშირი, გაუვალი ტყე“, „ჩახერგილი ადგილი“ მივარდნილი, მიყრუებული, შორეული ალაგი“) და дресва („წვრილი, ფხვიერი ქვის მასალა“), ძველ-გალური durros („სიმაგრე“) ლათინური turris („კოშკი“, „ციხე“, „სასახლე“), ძველი თურქული tura („სიმაგრე“), ჩაჩნური турс („ფარი“, ფიცრებს შორის არსებული ხვრელის ჩამრახავი ძელი“) და ოსური тьური („მრგვალი ქვა“).⁷

ავტორს მიაჩნია, რომ ჩამოთვლილი ლექსიკის მონაცემებიდან „თრუსო“-ს ასახსნელად ყველაზე უფრო ფასეულია ქართული **ღრუსო** („ზღუდე ქვისა მაღალი, კეთილად ნაგები კოშკ-კოშკოვანი“) და **თრუსო** („ცელის პირის ასაწყობი სალესი ქვა“), რომელთა დახმარებით საძიებელი სახელი ადვილად შეიძლება გაიშიფროს, როგორც ქვის მაღალი ზღუდე, ხერგილი, კლდეკარი ან გააზრებულ იქნეს ქვის სახეობის აღმნიშვნელი ადგილობრივი ტერმინისაგან მომდინარე ტოპონიმად. „თრუსო“-ს ამგვარი ახსნა, აცხადებს ავტორი, სრულ

¹ თედი ჟორდანია, „ქრონიკები“, ტ. III, თბილისი, 1967. გვ.141; ვახუშტი, აღწერა, გვ. 357, 363, 634, 644-648; მისივე, სოფელთა სია, გვ.200;

² დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, თბილისი, 1940, გვ.233;

³ „МПТСВГ“, I, с. 36; „ИЮОДМ“, т. II, с. 39, 243, 246, 343, 346-347;

⁴ პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი 1981, გვ. 111; იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები V, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინათინ ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი, 1986. გვ.35. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1-234/127086/1/Qartl-Kaxetis_Agwera.pdf

⁵ ვახტანგ ითონიშვილი. დვალეები და დვალეთი, ტ. II, გვ. 215.

⁶ თედო უთურგაიძე. ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბილისი, 1966, გვ.103.

⁷ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, მოამზადა ილია აბულაძემ. თბილისი. 1991. გვ. 292; გვ. 252-254; დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ა. შანიძის რედ., თბილისი, 1984, გვ. 1984, გვ.1227; Э. И. Мырзаяев, დასახ. ნაშრომი, გვ.191, 561, 566.

მხარდაჭერას პოულობენ თერგის ხეობის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის ლანდშაფტური, ონომასტიკური და ეთნოგრაფიული რეალიების მხრიდანაც. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ციხე-კოშკების სიმრავლით ღირსშესანიშნავი თრუსოს ხევის ქუშმარიტ მშენებებს კასარად წოდებული კლდეკარი წარმოადგენს (ოს. *Касаеаер* = „ზღურბლი“, „ჭორომი“, „ხერგილი“, მდრ.: არაბ. *Kasr* – „სიმაგრე, ციხე, სახლი“ და ბუდე დვალეთის ცნობილი, კასრი *Касаца*), ხოლო ცელის პირის ასაწყობი ქვის მასალა ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ თრუსოში მოიპოვება, საიდანაც მოხვევები წარსულში საუკეთესო სალესავი ქვებით მარაგდებოდნენ¹.

სიტყვა დრუსო-სგან (=„ქვის ზღუდე მაღალი“) ან ტერმინ თრუსო-სგან (ქვის სახეობის სახელწ.) „თრუსო“-ს მომდინარეობის საკითხი ვახტანგ ითონიშვილმა პირველად განიხილა 1992 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ადმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან“². თუმცა „თრუსო“ – „დრუსო“-სგან თრუსოს სახელის წარმომავლობა პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში გულდამ ჩიქოვანმა ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ ნაშრომში დასვა³. „დრუსო-თრუსო“-ს ურთიერთიმართების საკითხი 1997 წელს განხილული და გაზიარებული აქვს როლანდ თოფჩიშვილს, ნაშრომში „საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები“⁴, რომელშიც ავტორი ზემოთჩამოთვლილ არგუმენტებს კიდევ ერთ დავით ჩუბინაშვილისეულ მოსაზრებას ამატებს: „დრუსო – ზღუდე ქვისა მაღალი, ნაგები კოშკ-კოშკებად“⁵. ვფიქრობთ, „დრუსო“-ს ჩუბინაშვილისეული განმარტება სულხან-საბას ლექსიკონიდან უნდა მომდინარეობდეს⁶. რაც შეეხება როლანდ თოფჩიშვილს, მან ვახტანგ ითონიშვილის არგუმენტაცია კიდევ ერთი არგუმენტით გაამყარა და „დრუსოსა“ და „თრუსოს“ მონაცვლეობის საკითხის გარკვევისას მიიჩნია, რომ ეს ისეთივე მონაცვლეობა უნდა იყოს თანხმომკენებისა, როგორც „დვალეთისა“ და „თუალეთის“ შემთხვევაში გვაქვს.⁷

ვახტანგ ითონიშვილს „თრუსო“ ტოპონიმიური პოზიტიურობის პრინციპით წარმოქმნილ უძველეს ქართულ გეოგრაფიულ სახელად მიაჩნია და აცხადებს, რომ ქართულ „დრუსოსთან“ და „თრუსოსთან“ სემანტიკურად დაახლოებული ტერმინით თრუსო დვალური ენის აპელატიური ლექსიკითაც შეიძლებოდა ყოფილიყო აღჭურვილი, მაშინ თრუსო-ს ენობრივი წარმომავლობის საკითხებიც უკვე სხვაგვარ გადაწყვეტას მოითხოვს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ბუნებრივად აღიძვრება ხსენებულ ტოპონიმში სწორედ დვალური ენის პროდუქტის შეცნობის ცდუნება⁸. დვალთა გლოტოგენეზის საკითხის გარკვევისას, აუცილებელია დვალური ენაში ამ სეგმენტის დაზუსტება, რაც ჩვენი აზრით, უთუოდ შემდგომ ენათმეცნიერულ დაკვირვებას ითხოვს.

¹ ვახტანგ ითონიშვილი. დვალები და დვალეთი, ტ. II, გვ. 216.

² ვახტანგ ითონიშვილი. ადმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბილისი, 1992. გვ. 153.

³ გულდამ ჩიქოვანი. თრუსოს ისტორიული გეოგრაფიისათვის (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), გვ. 105-116.

⁴ როლანდ თოფჩიშვილი. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, 1997. გვ. 18-19. <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4776/1/Topchishvili%20-P.pdf>

⁵ როლანდ თოფჩიშვილი. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, გვ. 18-19.

⁶ დავით ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბილისი. 1984.

⁷ როლანდ თოფჩიშვილი. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, გვ. 19.

⁸ ვახტანგ ითონიშვილი. დვალები და დვალეთი, ტ. II, გვ. 216.

რაც შეეხება მეორე მიკრორეგიონის „მნა“-ს ეტიმოლოგიის გარკვევისას ვახტანგ ითონიშვილი აცხადებს, რომ „მნა“ არის თრუსოს და ხევის გამმიჯნავი კლდეკარისაგან 2 კმ-ით დაცილებული მაღალმთიანი დასახლების აღმნიშვნელი კომონიმი, რომელმაც დღემდე შემოინახა თავი ყაზბეგის რ-ნის ტერიტორიაზე ლოკალიზებული სოფ. მნას სახით. XIV-XVIII სს-ის წყაროებში (მათ შორის „ძეგლი ერისთავთაში“) ხსენებული დასახლებული პუნქტი რამდენჯერმე ფიგურირებს „მნა“-ს ფორმით, რომელსაც ფონეტიკური ცვლილება მას შემდეგაც არ განუცდია, რაც მნის უძველესი მოსახლეობის ნაფუძრებზე ოსები დამკვიდრდნენ¹. მკვლევარი კატეგორიულად მიჰნავს ერთმანეთისგან „თრუსოს“ და „მნას“ და მიაჩნია, რომ მისი როგორც თრუსოს შემადგენელ სოფლად განხილვა ისეთივე სერიოზული უზუსტობაა, როგორც იმავე თრუსოს მიჩნევა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხევის განუყოფელ ნაწილად. მართალია, „ძეგლი ერისთავთა“-ში და „გერგეტელ საყდრიშვილთა საბუთში“, „მნაელნი“, ერთგვარად გამიჯნულნი არიან „თრუსოელთაგან“ და „მოხვეუთაგან“, რაც მნის მაკრორაიონის ოდინდელ ტერიტორიულ განკერძოებულობაზეც შეიძლება მიგვანიშნებდეს, მაგრამ, გვიანდელი წერილობითი წყაროები (მაგ.: გიულდენშტედტის ნაშრომი; 1774 წლის არაგვის საუფლისწულოს აღწერა და სხვ.) ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად მნას ცალკერძ ახასიათებს ხევის ერთ-ერთ მონაპირე სოფლად – წერს ავტორი².

ვ. ითონიშვილის აზრით, მნა მალრან-დვალური წა-ს და ქვემო დვალური თლე-ს მსგავსად ნაღვალარ რეგიონებში ფიქსირებული კიდევ ერთი არასტანდარტულ (ერთმარცვლიანი) ტოპონიმია, რომელიც ერთი შეხედვით არასაკმარისად ღია სემანტიკური სტუქტურითაც გამოირჩევა. ამავე დროს, ის ლოკალურ გეოგრაფიულ სახელსაც წარმოადგენს, რომელსაც ფაქტობრივად არსად არ მოეძებნება თუნდაც ერთი საგულისხმო ტოპოპარალელი³. თუმცა ერთმარცვლიანი ტოპონიმები იმავე ხევის მაგალითზე გვაქვს წარმოდგენილი: „ცდო“⁴, „არმა“⁵, თლი, თლე⁶, და ა.შ.

მნას ეტიმოლოგიზაციასთან დაკავშირებით ვახტანგ ითონიშვილი ყურადღებას აქცევს ქართული „მნე“-ს (1. „თავი, მეთაური, მოხელე, გამგებელი რაიმე საქმისა; 2. ათასის თავი, კარის გამრიგე, მეურნე, სამეურნეო ნაწილის გამგე სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციებში), რომლის ონიმიზაციის შესაძლებლობის დაშვებისას მეცნიერი დვალ-მოხვეუთა საკონტაქტო ზონის ისტორიულ-გეოგრაფიული მახასიათებლების გათვალისწინებით, უშვებს შესაძლებლობას, მნა ეგების გაიშიფროს როგორც თავი, მეთაური, მთავარი, სათავეში მყოფი და დახასიათდეს კონკრეტული სახელდების ობიექტის თავისებური გეოგრაფიული მდებარეობის თუ გამორჩეული სტრატეგიული მნიშვნელობის ამსახველ ტოპონიმ – რეალიად⁷.

ავტორის დაკვირვებით, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მნა ხევის სათავეში მდებარე ყველაზე მაღალმთიან სოფელს წარმოადგენს, რომელიც აკონტროლებს თრუსოდან ხევისკენ მიმავალ კომუნიკაციებს, ჩვენთვის საინტერესო დენოტატისათვის

¹ ვახტანგ ითონიშვილი. დვალეები და დვალეთი, ტ. II, გვ. 217.

² ვახტანგ ითონიშვილი. დვალეები და დვალეთი, ტ. II, გვ. 218.

³ ვახტანგ ითონიშვილი, დვალეები და დვალეთი, გვ. 2017.

⁴ სოფელი ხევში, ვალერიან ითონიშვილი. ხევის ტოპონიმია, თბილისი. 1971. გვ. 33.

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/68626/1/Xevis_Toponimika.pdf ვახტანგ ითონიშვილი.

ეთნიკური ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 2008. გვ. 18. N22.

⁵ სოფელი ხევში. ვალერიან ითონიშვილი. ხევის ტოპონიმია, გვ. 26.

⁶ ნასოფლარი მამისონის წყლის ხეობაში, ვახტანგ ითონიშვილი. ეთნიკური ისტორიის ნარკვევები, გვ. 14. <https://historyoftruso.sangu.edu.ge/wp-content/uploads/2021/11/ethnikuri-istoriis-narkvevbi.pdf>

⁷ ვახტანგ ითონიშვილი. დვალეები და დვალეთი, ტ. II, გვ. 218.

სწორედ მნეს (= „თავი, მეთაური, მთავარი“) შერქმევის მოტივი, ისევე როგორც ონიმიზირებული მნეს მნად ტრანსფორმაციის (მღრ.: მლეთე – მლეთა; ციკარე – ციკარა და მისთ.) ფონომორფოლოგიური კანონზომიერება, ალბათ სრულიად გასაგები გახდება. ამ მოსაზრების გასამტკიცებლად მეცნიერი ისევ „ძველი ერისთავთა“-ს ერთ-ერთ ხელნაწერს იშველიებს, სადაც „მნა“ ასახულია სწორედ მნე-ს ფორმით, რაც მნესგან მნა-ს შესაძლო მომდინარეობის ვერსიასაც უფრო განამტკიცებს.¹

მნას ეტიმოლოგიის ასახსნელად მკვლევარს სხვა არგუმენტებიც შემოაქვს, მათ შორის ძველი ქართული ენის მიერ შეთვისებული ბერძნული სიტყვა მნა//მნასი, რომლის მნიშვნელობის შესახებ ცალკეულ ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში განმარტებულია: „მნა – ებრაულად კინახარეს, ხოლო ელენებრ ტალანტი, რომელ არს ქანქარი... ზოდი ოქროსა გინა ვერცხლისა, ორ ლიტრა-ნახევარი“; მნას – ბერძნული თეთრის სახელია, ერთი მნას შეადგენდა სამოცსა სიკლსა ანუ ასოცს დრამს² ვერცხლსა, გინა ჩვენსა აბაზისა წონასა“; მნა, მნასი (ბერძ.) – ოქროს ან ვერცხლის წონა, ახლანდელი გირვანქა ოდენი, რადგანაც ძველად წონით იღებდნენ საფასესა“.³

გარდა ამისა, ვახტანგ ითონიშვილის აზრით, თუ ტოპონიმ „მნა“-ს ახსნას სწორედ სიტყვა მნა-ს მეშვეობით ვცდით და იმავდროულად სათანადო ანგარიშს გაუწევთ ხევსა და დვალეთში ძვირფასი ლითონების საბადოების არსებობის უტყუარ ფაქტს (აკი ვახუშტის ცნობით ხევში „იტყვან ლითონს ოქროსასა და ვერცხლისასა“; პლინიუს უმცროსის მიერ კი დვალეები, სვანებთან ერთად დახასიათებულნი არიან ოქროს მოპოვებელ ტომად), მაშინ „მნა“ შეიძლება გააზრებულ იქნას ხევის სანახებში ოქროს მოპოვების უძველესი ტრადიციის ამსახველ კულტურალურ ტოპონიმად. ამ კონტექსტში კი მეტად ნიშანდობლივია ის დეტალი, რომ მაინცდამაინც მნასთან უშუალო სიახლოვეში გვხვდება მიკროტოპონიმი ოქროყანა, რომლის გაჩენაც, იქნებ ოქროს მოპოვების ტრადიციითვე იყოს მოტივირებული. ავტორი იმასაც არ გამოირიცხავს რომ საძიებელი ტოპონიმის წარმოქმნა სოფელ მნის ტერიტორიაზე რაიმე განძის არსებობით ყოფილიყო შეპირობებული და ამას უკავშირებს მნის ეკლესიის საძირკველში ბილონური მონეტების მდიდარი განძის აღმოჩენის ფაქტს.⁴

ზემოთქმული არგუმენტების შეჯერების საფუძველზე ვახტანგ ითონიშვილს მიაჩნია, რომ „მნა საკმარისზე მეტი ეტიმოლოგიური გამჭვირვალობის მქონე გეოგრაფიული სახელია, რომელიც თრუსო-ს თანაზიარად მეტადრე ქართული (ვიდრე დვალური) ენის პროდუქტად შეიძლება წარმოვიდგინოთ. თუმცა იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ გადაწყდება მისი ენობრივი კუთვნილების საკითხი, ერთი რამ სრულიად ნათელია – მნას წარმომავლობის, შედგენილობისა და ონიმადელი მნიშვნელობის კვლევისათვისაც მხოლოდ ქართული ენობრივი მასალაა გამოსადეგი და ამ შემთხვევაშიც ოსური ან ნახური აპელატიური ლექსიკის ჩხრეკას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოსდევს...“⁵ საგულისხმოა, რომ იგივე მოსაზრება, შედარებით ნაკლები არგუმენტაციით წარმოდგენილია ავტორის ადრინდელ ნაშრომში, რომელიც 2002 წელს გამოქვეყნდა.⁶

¹ ვახტანგ ითონიშვილი. დვალეები და დვალეთი, ტ. II, გვ. 218.

² ვახტანგ ითონიშვილი. დვალეები და დვალეთი, ტ. II, გვ. 219.

³ ვახტანგ ითონიშვილი. დვალეები და დვალეთი, ტ. II, გვ. 219.

⁴ ვახტანგ ითონიშვილი. დვალეები და დვალეთი, ტ. II, გვ. 219.

⁵ ვახტანგ ითონიშვილი. დვალეები და დვალეთი, ტ. II, გვ. 219.

⁶ ვახტანგ ითონიშვილი. დვალეთის ისტორიის საკითხები მრუდე სარკეში თბილისი, 2002. <https://historyoftruso.sangu.edu.ge/wp-content/uploads/2021/11/dvaletsi.pdf>

თრუსოს უღელტეხილის მნიშვნელობა ვახტანგ ითონიშვილს განხილული აქვს მონოგრაფიაში „ეთნიკური ისტორიის ნარკვევები“, რომელშიც დვალეთის დანარჩენ საქართველოსთან და იმიერკავკასიურ სამყაროსთან დამაკავშირებელი გადასასვლელი გზების საინტერესო შედარებისას აცხადებს, რომ დვალეთს იმიერკავკასიის ქვეყნებთან ორი ხეირიანი გადასასვლელი აკავშირებდა **კასრის კარად** წოდებული კლდეკარი და ქურთათის ხეობაში გადამყვანი **ხილაკის** უღელტეხილი, მაშინ როდესაც თერგის, დიდი ლიახვისა და რიონის ხეობებთან მას (დვალეთს – ლ.ა.) 11 გადასასვლელი აკავშირებდა. მათგან ყველაზე მოსახერხებელ უღელტეხილებს შორის ვ. ითონიშვილი **თრუსოს** ასახელებს, რომელიც მთელი ივნისი – ოქტომბრის ჩათვლით, ზღვის დონიდან 3132 მეტრზე, შედარებით დიდი ხნის მანძილზე იყო ვარგისი ინტენსიური მიმოსვლისთვის.¹ აღნიშნული გადასასვლელების, როგორც უფრო მარტივი საკომუნიკაციო საშუალებების შესახებ საუბრობდა ბახვა გამყრელიძე.²

თრუსოს ისტორიას, ეთნოგრაფიას და კულტურას მრავალი წელია იკვლევს **როლანდ თოფჩიშვილი**, რომელმაც რეგიონის კვლევას მწყობრი და თანმიმდევრული კონცეფციის სახე მისცა ნაშრომებით: „საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნო-ისტორიის საკითხები“, „ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი“, „Об этнической принадлежности двалов. – Осетины в Грузии“, „დვალეთი და დვალეები: საქართველოს დაკარგული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე და ქართველთა გამქრალი ეთნოგრაფიული ჯგუფი“, „თრუსო საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე“ და სხვ. მეცნიერმა თავისი დაკვირვებები ერთგვარად შეაჯამა 2021 წელს გამოქვეყნებულ კოლექტიურ მონოგრაფიაში „თრუსო – ისტორიული და ეთნოგრაფიული პრობლემები“³. ნაშრომის ავტორები არიან როლანდ თოფჩიშვილი, გიორგი გოგოჭური, გიორგი გაგოშიძე, გიორგი ბაგრატიონი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ნათია ჯალაბაძე და გიორგი ავთანდილაშვილი. ინტერდისციპლინური კვლევების საფუძველზე განხორციელდა თრუსოსა და მნის ხეობების ისტორიული, ეთნოლოგიური ხელოვნებათმცოდნეობითი და არქეოლოგიური შესწავლა. ყურადღება გამახვილებულია თრუსოს რეგიონზე, როგორც საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე. წარმოდგენილია მონაცემები თრუსოს ისტორიის, საქართველოს სახელმწიფოსთან მისი მიმართების, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის, ავტოქთონი და მოსული ეთნიკური ჯგუფების ვინაობის და მათი ურთიერთდამოკიდებულების, მატერიალური კულტურის ძეგლების რაობის შესახებ⁴.

ნაშრომი წარმოადგენს თრუსოს ერთწლიანი სამეცნიერო გრანტის კვლევის შედეგებს და ეფუძნება ავტორთა წინა კვლევების გამოცდილებას. ინტერდისციპლინარული კვლევების საფუძველზე, თითოეული ავტორის სამეცნიერო დაკვირვების შედეგები წარმოდგენილია მონოგრაფიული კვლევის შესაბამის თავში, მაგრამ შეჯამებულია დასკვნაში. თრუსოს ხეობა წიგნში წარმოჩენილია კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური რაკურსით. თითოეული ნაშრომი დამატებულ პასუხს სცემს ბოლო ხანებში მომრავლებულ რუსულენოვან პუბლიკაციებს თრუსოს (ასევე კობის) და საერთოდ თერგის ხეობის ზემო

¹ ვახტანგ ითონიშვილი. ეთნიკური ისტორიის ნარკვევები. თბილისი. 2008. გვ. 8-9. <https://historyoftruso.sangu.edu.ge/wp-content/uploads/2021/11/ethnikuri-istoriis-narkvevbi.pdf>

² ბახვა გამყრელიძე. ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიიდან ეთნონიმების „ოსი“ და „დვალი“-ს მიმართების საკითხისათვის, წელიწდეული საისტორიო ძიებანი, ტ. I. თბ., 1998. გვ. 80.

³ თრუსო – ისტორიული და ეთნოგრაფიული პრობლემები, როლანდ თოფჩიშვილის საერთო რედაქციით. თბილისი, 2021.

⁴ თრუსო – ისტორიული და ეთნოგრაფიული პრობლემები, გვ. 2.

წელის (საქართველოს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის) თემატიკაზე, რომლებიც ამ რეგიონს „აღმოსავლეთ ოსეთად“ ან ოსეთის განუყოფელ ნაწილად მოიხსენიებენ, ხოლო ოდითგანვე აქ მცხოვრებ უძველეს ქართველურ ტომებს წანარებსა და დვალეებს, თრუსოსა და მნის მოსახლეობას ოსებად აცხადებენ. რუსულენოვანი და ოსური პუბლიკაციების ავტორები არ ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ მათ მიერ „აღმოსავლეთ ოსეთად“ წოდებული მხარეები ჯერ ქართლის სამეფოს შემადგენლობაში, შემდეგ საქართველოს ერთიანი სამეფოს, ხოლო ბოლოს ქართლ-კახეთის სამეფოს ნაწილი იყო და მათ სასაზღვრო-თავდაცვით სისტემაში წამყვან როლს თამაშობდა. ოსი და რუსი ავტორები არ ცნობენ საქართველოში ოსთა მიგრაციის პროცესს და ამ პროცესის თანმხლებ პრობლემებს, რაც კარგად არის ასახული ქართულ საისტორიო წყაროებში.

აქედან გამომდინარე, კოლექტიური მონოგრაფია „თრუსო – ისტორიული და ეთნოგრაფიული პრობლემები“ რეალური პასუხია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კერძოდ, თრუსოს ისტორიის გაყალბებით დაკავებულ ავტორთათვის. ნაშრომში წარმოდგენილ ინტერდისციპლინურ კვლევებში ნათლად გამოჩნდა ის სიახლეები, რომლებიც კვლევის ჯგუფმა შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში. **როლანდ თოფჩიშვილისა და გიორგი ავთანდილაშვილის** მიერ გამოვლენილია და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია ახალი ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემები თრუსოს ისტორიის, საქართველოს სახელმწიფოსთან მისი მიმართების¹, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის, ავტოქთონი და მოსული ეთნიკური ჯგუფების ვინაობის და მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ². **გიორგი ბაგრატიონის** მიერ შესწავლილია თრუსოს და მნის ხეობების საერო და საეკლესიო დანიშნულების არქიტექტურული ძეგლები³. მის მიერ მოხდა ძეგლების აღწერა, ფოტოფიქსაცია, მნიშვნელოვანი ობიექტების აზომვა და გრაფიკული ანახაზების შესრულება. თერგის ხეობის ზემო წელის გეოგრაფია და ხეობის არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორია გაანალიზებულია **გიორგი გოგოჭურის** მიერ, რომელმაც რეგიონში პირველმა განახორციელა არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები⁴. ექსპედიციის დროს, **გიორგი გაგომიძის** მიერ პირველად გამოვლინდა თრუსოს მხარის სრულიად შეუსწავლელი უძველესი და XIX საუკუნის ქართული ეპიგრაფიკის ნიმუშები, მოხდა მათი შესწავლა-დათარიღება და ისტორიულ კონტექსტში გააზრება⁵. **ლავრენტი ჯანიაშვილის** კვლევაში ასახულია თრუსოს მოსახლეობის სამეურნეო ყოფა, მეურნეობის ტრადიციული დარგები, რომლებიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თრუსოსა და მნის ხეობებში არსებულ გარემო პირობებზე: ნიადაგზე, კლიმატზე, სეზონებზე, მდებარეობაზე და სხვა⁶. იმავე ავტორის მიერ განხილული და წარმოდგენილია თრუსოდან მოსახლეობის მიგრაცია ჩრდილოეთ ოსეთში XX საუკუნის 40-იანი წლებიდან XXI საუკუნის დასაწყისის ჩათვლით⁷. რუსი და ოსი „მეცნიერების“ კრიტიკას ეძღვნება ნათია ჯალაბაძის ნაშრომი „თრუსო რუსული ჰიბრიდული ომის კონტექ-

¹ როლანდ თოფჩიშვილი. თრუსო- საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე (თრუსოლები XVII საუკუნის შუა ხანებამდე და შემდეგ) გვ. 10-73;

² როლანდ თოფჩიშვილი. გიორგი ავთანდილაშვილი. XIX საუკუნის რუსული აღწერები თრუსოს, მნის ხეობის, კობის ქვაბულისა და ღუდის შესახებ, გვ. 74-104.

³ გიორგი ბაგრატიონი. თრუსოს არქიტექტურული ძეგლები, გვ. 142 – 184.

⁴ გიორგი გოგოჭური. თერგის ხეობის არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორია და დაზვერვები თრუსოში. გვ. 105-128.

⁵ გიორგი გაგომიძე. ქართული წარწერები თრუსოსა და მნის ხეობაში, გვ. 129-141.

⁶ ლავრენტი ჯანიაშვილი. თრუსოს მოსახლეობის სამეურნეო ყოფა, გვ. 185-196.

⁷ ლავრენტი ჯანიაშვილი. თრუსოს მოსახლეობის მიგრაცია ჩრდილოეთ ოსეთში (XX საუკუნის 40-იანი წლები- XXI საუკუნის დასაწყისი), გვ. 197-213.

სტში“. მასში ავტორი საუბრობს იმ გამოწვევებზე, რომელიც შექმნა რუსულმა იდეოლოგიურმა პროპაგანდამ, რომ გაყალბებული ისტორიის მოშველიებით, „აღმოსავლეთ ოსეთის“ შესახებ მითების შექმნით, კრემლი იღწვის ეს ტერიტორია ოსების უძველეს სამშობლოდ წარმოადგინოს, მიუერთოს ოსეთს და ამგვარად, კონტროლი მოიპოვოს მისთვის ძალზე მნიშვნელოვან არეალზე¹. ნაშრომიდან ჩანს, რომ კვლევის დროს გამოიკვეთა რეგიონში დღეს მიმდინარე სოციოკულტურული, დემოგრაფიული და ეკონომიკური ტრანსფორმაციის, პოლიტიკური გამოწვევების გავლენა რეგიონში არსებულ ვითარებაზე და ინფრასტრუქტურაზე.

ჩვენს ისტორიოგრაფიულ მიმოხილვაში არ განვიხილავთ იმ ავტორების პუბლიკაციებს, რომლებიც, ფაქტობრივად, იმპერიის მიერ წარმოებული პოლიტიკური პროპაგანდის ნაწილია, შესაბამის ადგილას გაკრიტიკებულია მათი შეხედულებები, რომლებიც ქართველოლოგიისა და საქართველოს სახელმწიფოს თანამედროვე გამოწვევებს წარმოადგენენ. არსებულ გამოწვევათა ერთ-ერთ დასაბუთებულ პასუხს წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომი - „თრუსოს ხეობის დემოგრაფია და მოსახლეობის კულტურული იდენტობები“.

¹ ნათია ჯალაბაძე. თრუსო რუსული ჰიბრიდული ომის კონტექსტში, გვ. 214-236

თავი II. თრუსოს მოსახლეობის ეთნიკური ისტორია უძველესი დროიდან – XIII საუკუნის დასაწყისამდე

თანამედროვე საქართველოს საზღვრისპირა, უძველესი ქართული ეთნო-ისტორიული კუთხეებიდან, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეული – თრუსო წარმოადგენს იმ გეოგრაფიულ არეალს, რომელიც, ზოგიერთ ოს ავტორს სურს, რომ „აღმოსავლეთ ოსეთის“ სახელწოდებით გამოაცხადოს ოსების ისტორიულ ტერიტორიად და მათ უძველეს საცხოვრისად. ოსმა ავტორებმა, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად იციან, რომ წყაროების (ნარატიული, დოკუმენტური, ეპიგრაფიკული, ეთნოგრაფიული) ისტორიული ჭეშმარიტება მათი აზრისა და მიზნის საპირისპიროდ მეტყველებს, მაგრამ, ზუსტად ამ ისტორიული ჭეშმარიტების გაყალბებით ცდილობენ, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული აზრის დანერგვას.¹

თრუსო, რომ ძველთაგანვე საქართველოს ფარგლებში შემავალი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე იყო, სხვადასხვა კლასიფიკაციის ისტორიული წყაროების მონაცემების ობიექტურად წარმოჩენით ნათლად დასტურდება.

ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების მიხედვით თერგის ხეობა, უძველესი დროიდან, მთლიანად წანართა ქართველური ტომით ყოფილა დასახლებული, რომლებმაც შემდგომ ხანებში დიდი როლი ითამაშეს კახეთის სამთავროს წარმოქმნაში. წანარები სათავეში უდგებიან არაბთა წინააღმდეგ ბრძოლას და თანდათან კახეთის ბარში სახლდებიან. კახეთის ბარში მათი მიგრაცია ეკონომიკური ვითარებითაც ყოფილა გამოწვეული.²

წანარების კახეთის მთისწინა ბარში მასიურმა მიგრაციამ კი გამოიწვია ის, რომ თერგის ხეობაში ეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეული გაქრა და ასევე ბარში მათმა ადგილობრივ მოსახლეობასთან შერევამ, მათი მოხსენიება ისტორიული სარბიელიდან მთლიანად გააქრო.³

ქართველი მკვლევრები წანარებს ქართულ სამყაროს მიაკუთვნებენ. მათი თავდაპირველი განსახლების – ხევის ტოპონიმიკა და ეპიგრაფიკა ქართულია. წანარეთი შედიოდა წილკნის საეპისკოპოსოს შემადგენლობაში, სადაც ღვთისმსახურება აღევლინებოდა ქართულ ენაზე. ე. ი. წანარები, სხვადასხვა კლასიფიკაციის წყაროების მიხედვით, სრულიად აშკარაა, რომ ენით და ეკლესიით, ანუ კულტურულ-ისტორიული სახით, იყვნენ ქართველები.⁴

რ. თოფჩიშვილის კვლევის მიხედვით, დაახლოებით XIII საუკუნიდან წანარებისგან დაცლილ წანარეთის ტერიტორიის ნაწილს - თრუსოს მნის ხევამდე ოსებისგან შევიწროებული ძირძველი ქართული ეთნიკური ჯგუფი დვალები იკავებენ. ამავე დროს, ისტორიული წანარეთის მეორე დიდ ნაწილსაც სახელი ეცვლება და ხევად იწოდება.⁵

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის თხზულებაში მეექვსე საუკუნის ქართლის პოლიტიკურ ვითარებაზე საუბრისას, კერძოდ კი, სასანიდური ირანის მიერ ქართლში მეფობის გაუქმებისა და ირანელთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელი გადასასვლელების დაკავების ამბებთან ერთად მოხსენიებულია წანარე-

¹ როლანდ თოფჩიშვილი, თრუსო-საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, თბილისი, 2019, გვ. 3-5; Борис Калоев, Осетины. Москва. 1971, ст. 52, 58.

² როლანდ თოფჩიშვილი, დვალეთი და დვალები, თბილისი, 2016, გვ. 49.

³ როლანდ თოფჩიშვილი, იქვე. გვ. 50.

⁴ გოჩა ჯაფარიძე, წანართა შესახებ, ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში, ტ. I, თბილისი, 2012, გვ. 89.

⁵ როლანდ თოფჩიშვილი, დვალეთი და დვალები, იქვე. გვ. 50.

თის ხევი „და ვითარცა მეფობაჲ დაესრულა ქართლს შინა, სპარსნი განძლიერდეს და ერეთი და სომხითი დაიპყრეს. ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს. და კავკასიათა შვეიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი ოვსეთვე და ორნი დვალეთს და ერთი პარჭუანს ღურძუკეთისასა, და იგი მთიულნი გომარდად დაადგინნეს. და სხუად ვინმე კაცი დაიდგინნეს მთავრად წანარეთისა ჰევსა და მორჩილებაჲ დასდევს მისი“.¹

მოგვიანო ხანის ისტორიულ ძეგლებში მოხსენიებული „ჰევის“ ადგილმდებარეობას შეესაბამება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის „წანარეთის ხევი“. ვახუშტი ბაგრატიონი როდესაც აღწერს დღევანდელი ხევის მდებარეობას და მის მოსაზღვრე ტერიტორიებს, აღნიშნავს, რომ „ჰევი“ შეცვლილი სახელია „არამედ ჰევი რომელი აღვსწერეთ ქართლსა ზედა, არს დუალეთისაჲ, გარნა ვინაითგან მტკიცედ დაიპყრეს მეფეთა ქართლისათა, იგი უწოდეს შეცვლილითა სახელითა ჰევად, ვინაითგან არს ჰევი შუენიერი“.²

როლანდ თოფჩიშვილიც განმარტავს, რომ ისტორიული წანარეთიდან, წანართა ბარში გადასახლების გამო, თერგის ხეობიდან//წანარეთის ხევიდან წანარეთი გაქრა და დარჩა მარტო „ხევი“, რომლის მოსახლეობასაც დღეს მოხევეებს ვუწოდებთ.³

„ისტორიანი და აზმანი შარავანდეთიანი“-ს თხზულების ცნობით, როდესაც, თამარ მეფემ აჯანყებული ფხოველების დასამორჩილებლად ივანე ათაბაგი გაგზავნა მთაში, მოხევეებთან ერთად აქ დასახლებულ მთიელებს შორის თრუსოელები არ არიან მოხსენიებული, როგორც რ. თოფჩიშვილი შენიშნავს, ივანე ათაბაგის ლაშქრობის დროს XII საუკუნეში, თერგის სათავეებში ცალკე ეთნოგრაფიული ჯგუფი თრუსოელი ჯერ ჩამოყალიბებული არ იყო, რის გამოც არ იხსენიებიან თრუსო და თრუსოელი.⁴

ერთიანი წანარეთი X საუკუნის შემდეგ სამ პატარა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხედ დაიშალა: თრუსოდ, მნად და ხევად. მნა თრუსოსა და ხევს შორის მოქცეულ ცალკე შუა მიკრორეგიონს რომ წარმოადგენდა ეს კარგად ჩანს „ძეგლი ერისთავთა“-ს თხზულებიდან, რომლის მიხედვითაც, თრუსოელი და მნაველი ურთიერთ დაპირისპირებულნი არიან. თრუსოდან წანარების მიგრაციის შემდეგ, ამ ტერიტორიაზე სხვა ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფი დვალეები მოვიდნენ.⁵

ჯ. გვასალიას მიაჩნია, რომ ალექსანდრიელი გეოგრაფოსის კლავდიოს პტოლემეაძის (100-178 წწ.) ცნობებში მოხსენიებულ „სანარიელებში“, რომლებიც დასახლებულნი არიან ჰენიოხებთან, სვანოკოლხებთან და ალბანელებთან მეზობლობაში, იგულისხმებიან ხევის ტერიტორიაზე მოსახლე წანარები.⁶ თავის მხრივ, ჯონდო გვასალია ეთანხმება იმ მეცნიერთა გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებსაც „თრუსოში და ზოგადად ხევის ტერიტორიაზე მცხოვრები „წანარები“ სვანურენოვანი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებად მიაჩნიათ და

¹ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V-X სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963, ბ. ტექსტი გვ. 94-95.

² ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 634; ელენე ცაგარეიშვილი, წანარების ტომის ისტორიიდან, მუშაკი სულიერისა ვენახისა, ეძღვნება მიხეილ ქავთარიას 80 წლის იუბილეს, თბილისი, 2012, გვ. 251.

³ როლანდ თოფჩიშვილი, თრუსო-საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, თბილისი, 2019, გვ. 32.

⁴ როლანდ თოფჩიშვილი, იქვე. გვ. 32-33.

⁵ როლანდ თოფჩიშვილი, იქვე. გვ. 34-35.

⁶ ჯონდო გვასალია, წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 59, № 3, თბილისი, 1970, გვ. 754.

თავის მხრივ ამ შეხედულებას სხვადასხვა მასალებით უფრო ამყარებს.* ჯ. გვასალია ხევში მოპოვებულ მასალასაც იშველიებს და აღნიშნავს, რომ წანარებს ხევში ადრე შუასაუკუნეებში უნდა ეცხოვრათ. ხევში არსებული ტოპონიმების კვლევისას ხსენებული მეცნიერი ამბობს, რომ „წან“ ფუძის შემცველი ტოპონიმები აქ უკვე გამქრალია, სამაგიეროდ სვანეთში** კი მსგავსი ფუძის მქონე ტოპონიმები მრავლად არსებობს.¹

მკვლევართა თქმით, წანარებისა და სვანების საერთო ეთნო-კულტურული საკითხის კვლევისას, ტოპონიმები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. მაგალითად, სვანები სვანეთს ეძახიან „შვან“-ს. ხევში კი არის სოფელი „სნო“. თრუსოელი ოსები ხევს ეძახიან „შანა“-ს, ხოლო ინგუშები მოხევეებს ეძახიან „შუან“-ს.² რ. თოფჩიშვილს წანარების ქართველობისა და მათი სვანებთან ეთნოკულტურული სიახლოვის დამადასტურებელ ფაქტად, ასევე მიაჩნია ხევში არსებული სოფელი თოთი და სვანეთში, კერძოდ კი ხაიმის თემში არსებული სოფელი თოთის იდენტური სახელები.^{3***}

* წანარებს სვანებთან ახლო მდგომ ტომად მიიჩნევს როლანდ თოფჩიშვილიც. როლანდ თოფჩიშვილი, დვალეთი და დვალეები, თბილისი, 2016, გვ. 51.

** ჯ. გვასალია სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ანტიკურ პერიოდში და მის შემდგომაც, რაღაც დრომდე, სვანებს (ქართველ მთიელებს) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უნდა ეცხოვრათ. ჯონდო გვასალია, წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 59, № 3, თბილისი, 1970, გვ. 754-755; კლავდიოს პტოლემეაძის მიერ მოხსენიებული წანარების ხევში განსახლების საკითხის შესახებ, აკადემიკოსი თინათინ ყაუხჩიშვილი ვარაუდობს, რომ, დასახელებულ გეოგრაფოსს, წანარების შესახებ ცნობები უფრო ძველი წყაროებიდან უნდა ჰქონდეს ამოღებული. თინათინ ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბილისი, 1976, გვ. 167. თ. ყაუხჩიშვილის ვარაუდის მიხედვით გამოდის, რომ წანარები უფრო ძველი ქართული ეთნიკური ჯგუფი იყო, რომლებიც მოიხსენიებოდნენ კლავდიოს პტოლემეაძის წინარე ავტორებთან (გ. ქ.).

¹ ჯონდო გვასალია, წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, იქვე. გვ. 753.

² ჯონდო გვასალია, იქვე. გვ. 754.

³ როლანდ თოფჩიშვილი, თრუსო-საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, თბილისი, 2019, გვ. 32.

*** წერილობითი, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, წინაქრისტიანულ ქართულ რელიგიურ სააზროვნო სისტემაში მნათობთა თაყვანისცემას განსაკუთრებული ადგილი ეკავა, რომელიც ქრისტიანულ დროშიც კი საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ხალხურ ყოფაში სხვადასხვა მოტივებით მეტ-ნაკლებად შენარჩუნდა. არ გამოვრიცხავ, რომ ხევში და სვანეთში არსებული სოფლების სახელწოდება „თოთი“-ს ეტიმოლოგია მომდინარეობდეს მთვარის და მის წმინდა ცხოველად აღიარებულ ხარის თაყვანისცემიდან. აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, „ფილათეოსის მარტვილობა“-ში (ახლად გაქრისტიანებული ფილათეოსი დიოკლიტიანეს მოღვაწეობისას აწამეს) მოხსენიებულ თივის მჭამელ წმინდა „თოთზე“ ამახვილებს ყურადღებას და წერს (ფილათეოსი წარმომადგენელი ეგვიპტელი იყო), მისი წარმართი მშობლები ღმერთად აღიარებდნენ თივის მჭამელ ძროხას, რომელსაც „თოთს“ ეძახდნენ. ძველი ეგვიპტელების მთავარი ღვთაება მზის ღმერთთან „რა“-სთან ერთად იყო „თოთი“ იგივე მთვარის ღვთაება. „თოთს“ ეგვიპტეში, ასევე მიეკუთვნებოდა თვის ღვთაების შინაარსიც. კ. კეკელიძის ვარაუდით, ეგვიპტურ მთვარე//თოთი//ხარი-ს ღვთაების სახელსა და რელიგიურ ცნობიერებას შეიძლება მივუსადაგოთ

მეგრულ-ჭანების მთვარის ღვთაების სახელწოდება „თუთა“ და ქართული მთვარის ღვთაების სახელი „თუთე“. როგორც ეგვიპტეში, ისე საქართველოში მთვარის კულტი ძირითადი კულტი იყო. ეგვიპტეშიც და საქართველოშიც მთვარე მამაკაცის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. ეგვიპტეში „თოთის“ სახელით აღინიშნებოდა, როგორც მნათობი, მთვარე, ისე წელიწადის თვე. ამის მსგავსად ქართველი ხალხიც (ქართვები, ჭანები, მეგრელები) თუთა-თუთეს სახელით აღნიშნავდნენ მნათობსაც და თვესაც. კორნელი კეკელიძე, ფილათეოსის მარტვილობა (ქართულ-კოპტური კულტურული-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან), ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VI, თბილისი, 1960, გვ. 84-87.

ნ. მარს წანარები „შიშინა ჯგუფის“ ტომის წარმომადგენლებად მიაჩნდა. ამ ჯგუფის წარმომადგენლები კი მისი აზრით იყვნენ მეგრელები და ჭანები, ხოლო, თავის ერთ ნაშრომში კი წანარებს პირდაპირ სვანებს მიაკუთვნებს.¹

წანარების ეთნიკური წარმომავლობისა და განსახლების არეალის შესახებ უცხოელ მკვლევრებში სხვადასხვა აზრი არსებობს. ვარაუდის დონეზე, რაიმე მნიშვნელოვანი არგუმენტის გარეშე, ზოგიერთ მათგანს მიაჩნია, რომ ეს ეთნიკური ჯგუფი ვაინახური წარმომავლობისაა.²

წანარები სომხურ საისტორიო წყაროებში პირველად იხსენიებიან ანონიმურ გეოგრაფიაში, რომელსაც ანანია შირაკელს (VII ს.) მიაწერენ. ამ ცნობის მიხედვით, წანარები მოსახლეობდნენ ალანთა და წელქანის კარების ტერიტორიაზე. წანარების გარდა აღნიშნულ წყაროში, ასევე დასახელებულნი არიან, როგორც საქართველოს სხვა მთიელები (რაჭელები, დვალეები, თუშები, გუდამაყრელნი ...), ასევე ჩრდილოკავკასიაში მცხოვრები არაქართულენოვანი მთიელებიც (ხუნძები, ლეკები ...).³ ამ ცნობით ირკვევა, რომ წანარები ფლობენ ალანთა (დარიალის კარი) და წელქანის კარებს. თომა არწრუნის ცნობით, წანარები ცხოვრობენ ჩრდილოეთ მხარეში მდებარე წანაკის ქვეყანაში, რომლებიც დამკვიდრებულნი არიან მთის სიმაგრეებში უზრუნველად და მშვიდად გარეშე მტრებისგან უსაფრთხოდ. სამეფო ხარკი და გადასახადი მათთვის რჩებათ და თავიანთ სურვილისამებრ თავის გამგებლად ერთ კაცს აყენებენ, მათ ახლოს არის კავკასიის მთა.⁴

იოანე დრასხანაკერტელთან წანარები შემდეგნაირად იხსენიებიან: „წანარნი ალანთა კარამდის და მათი მცველი კარის სიმაგრე“. სომხური წყაროების შესწავლისა და მათი ერთმანეთთან შეჯერების შედეგად ირკვევა, რომ წანარების ქვეყანა ძირითადად ალანთა (დარიალის კარი) კარის მიდამოებში ლოკალიზდება.⁵

წანარები საკმაოდ აქტიურად და თითქმის დომინანტად წარმოგვიდგებიან არაბების წინააღმდეგ ქართველი ერის ბრძოლის ამსახველ ცნობებში. თომა არწრუნის ცნობით, როდესაც ბუღა თურქმა წანარებთან მათი ნებაყოფლობით დამორჩილების შესახებ მოლაპარაკება მოინდომა, ამ უკანასკნელებმა იუკადრისეს ბუღას ქედმაღლური წინადადება მორჩილების შესახებ და მისი მოციქულები ლანძღვითა და გინებით, ნაცემები უკან გამოისტუმრეს.⁶

წარმოდგენილ ფაქტებზე და ცნობებზე დაყრდნობითაც, როგორც უკვე აღვნიშნე, სრულიად შესაძლებელია, რომ ხევსა და სვანეთში არსებული სოფლების სახელწოდება „თოთი“-ს სახელის გენეზისშიც ამოვიკითხოთ ქართველი ერის უძველესი მთვარის, იგივე თუთა//თუთეს ღვთაების თაყვანისცემა, რომელიც თავის მხრივ, იმაზეც მეტყველებს, რომ უძველეს დროში, ქართველი ერის წინაპრებს ეგვიპტელებთან მჭიდრო კულტურული კონტაქტი ჰქონდათ და თითქმის საერთო სახელწოდების მქონე ღვთაებებიც გააჩნდათ (გ. ქ).

¹ გოჩა ჯაფარიძე, წანართა შესახებ, ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში, ტ. I, თბილისი, 2012, გვ. 90.

² გოჩა ჯაფარიძე, იქვე. გვ. 89-95. დამოწმებულ ლიტერატურაში იხილეთ წანართა ვაინახური წარმომავლობის შესახებ არსებული ლიტერატურაც.

³ ელენე ცაგარეიშვილი, საქართველო VII-X საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში, თბილისი, 2012, გვ. 53.

⁴ ელენე ცაგარეიშვილი, წანარების ტომის ისტორიიდან, მუშაკი სულიერისა ვენახისა, ეძღვნება მიხეილ ქავთარიას 80 წლის იუბილეს, თბილისი, 2012, გვ. 250.

⁵ ელენე ცაგარეიშვილი, საქართველო VII-X საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში, თბილისი, 2012, გვ. 54.

⁶ ელენე ცაგარეიშვილი, წანარების ტომის ისტორიიდან, იქვე, გვ. 251.

ბუღა თურქის აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებთან ურთიერთობისა და მათ წინააღმდეგ გალაშქრების შესახებ XI საუკუნის ქართული ისტორიული წყარო „მატიანე ქართლისაჲ“-ც მოგვითხრობს. ოღონდ, აღნიშნულ წყაროში, მთიელები მთიულთა სახელით იხსენიებიან და არა წანარების, როგორც თომა არწრუნთან. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი მთიელებს არსად წანარებთან არ აიგივებს, როდესაც მას უნდა წანარების შესახებ, რომ მოგვითხროს მათ წანარებისავე სახელით მოიხსენიებს. „მატიანე ქართლისაჲში“, გარდა მთიულეებისა და წანარებისა, არაბებთან აქტიურ მებრძოლებად, ასევე გარდაბნელებიც წარმოგვიდგებიან.¹

თომა არწრუნის ცნობების შესწავლის შედეგად მკვლევრები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნულ ავტორს, ზოგი ცნობა წანართა შესახებ სხვადასხვა წყაროდან აქვს ამოღებული და ზოგ ადგილას ავტორს გამიჯნული არ აქვს ტერმინები „წანარები“ და „მთიელი ტომები“. გარდა თომა არწრუნისა, სომეხ ავტორთაგან ტერმინის „წანარების“ არა საკუთრივ წანარების, არამედ უფრო ფართო მნიშვნელობით ხმარების ფაქტი იოანე დრასხანაკერტეცისთანაც გვხვდება, როდესაც ის საუბრობს სომხეთის მეფის ამოტ ერკათად წოდებულისა და უტიელი მთავრის მოსეს დაპირისპირების შესახებ, ის კახელებს წანარებს უწოდებს და კახეთის ქორეპისკოპოსს კი წანართა ქორეპისკოპოსს.²

წანარები ასევე მოხსენიებულნი არიან ლეონტი მროველის „წმიდა არჩილის წამების“ თხზულებაში, სადაც ვკითხულობთ: „მამინ უკუე წარმოდგა წინაშე ასიმისა მთავარი ერთი გარდაბანელი, მიქცეული სარკინოზად, რომლისა მამის ძმა მოეკლა წანართა და მკლველნი მისნი განერივნეს მშვიდობით პაპასა არჩილისსა, ადარნასე მეფესა. ამისთჳს უკუე შური იგო გარდაბანელმან...“.³ წმიდა არჩილის წამების* ამ პასაჟის შესახებ, როგორც ვახტანგ ითონიშვილი აღნიშნავს, XI საუკუნის ავტორის ლეონტი მროველის მიერ წანართა მოხსენიება იმის მაჩვენებელია, რომ VIII საუკუნეში, აღმოსავლეთ საქართველოში არაბთა ბატონობის ხანაში, წანარები უკვე კახეთის ტერიტორიაზეც ჩანან და კახეთის სამთავროს ჩამოყალიბებაში აქტიურ როლსაც ასრულებენ.⁴

VIII საუკუნეში კახეთის სამთავროს ჩამოყალიბებაში თუ ჰეგემონ ძალას წანარები წარმოადგენდნენ, აქედან გამომდინარე, სრულიად კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ 853 წელს ბუღა თურქის წინააღმდეგ მებრძოლ კონსტანტი კახის პიროვნებაში** დავინახოთ

¹ ელენე ცაგარეიშვილი, საქართველო VII-X საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში, იქვე, გვ. 57-59; მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 252; 256.

² ელენე ცაგარეიშვილი, საქართველო VII-X საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში, იქვე, გვ. 57-59.

³ ლეონტი მროველი, მეფე ქართლისა არჩილ, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 246; ლეონტი მროველი, წამებაჲ არჩილ მეფისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1967, გვ. 210.

* აკადემიკოს კორნელი კეკელიძის კვლევის მიხედვით, არჩილ მეფე VIII საუკუნის ბოლოს 787 წლის შემდგომ უწამებიათ. კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე, მარტვილობა არჩილ მეფისა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.), თბილისი, 1969, გვ. 80.

⁴ ვახტანგ ითონიშვილი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, თბილისი, 2008, გვ. 33-34.

** როდესაც თბილისის ამირა საჰაკ ისმაილის ძე განუდგა ხალიფა მუთავაქილს, ხალიფამ მის დასასჯელად 853 წელს საქართველოში გამოგზავნა დიდი ჯარი ბუღა თურქის მეთაურობით. ბუღამ დაამარცხა ამირა საჰაკი, იგი მოკლა და თბილისიც გადაწვა. ბუღა თურქის ლაშქრობის დროს, როგორც ჩანს, კონსტანტი კახი აფხაზეთის მეფის ბანაკში ყოფილა, რომელიც ამირა საჰაკს ეხმარებოდა. ჰაგიოგრაფიული თხზულების მიხედვით, ერისმთავარი კონსტანტი კახი ამირა საჰაკის დამარცხების

წანართა ერისმთავარიც, რომლისთვისაც, აკადემიკოს კორნელი კეკელიძის აზრით, თავის მამულის სახელის მიხედვით უწოდებიათ „კახი“, რომელიც კახეთის ერისთავიც გახლდათ – „მას ჟამსა ოდენ იყო ვინმე ქუეყანასა ქართლისასა, სანახებსა ზენა სოფლისასა, კაცი, რომელსა სახელი ერქუა კონსტანტი, რომელსა ეწოდა კახა სახელად მამულისა მის ქუეყანისა“.¹

მართალია, კონსტანტი კახის მარტვილობის თხზულებაში, არსად, პირდაპირი ცნობა იმის შესახებ არ მოიპოვება, რომ ეს პიროვნება ნამდვილად იყო წანართა ერისმთავარი, ან წანარიის მფლობელი, მაგრამ, ამ ინფორმაციულ სიცარიელეს ავსებს X საუკუნის არაბი ისტორიკოსი ატ-ტაბარი, რომელიც მოგვითხრობს, რომ 853 წლის 7 ნოემბრიდან 5 დეკემბრის ჩათვლით (ქართველი ჰაგიოგრაფის ცნობით, კონსტანტი კახისთვის 853 წლის 10 ნოემბერს მოუკვეთიათ თავი. იხილეთ დასახელებული ჰაგიოგრაფიული თხზულება, გვ. 170.), აბასიანთა სატახტო ქალაქში, სამარაში, ალ-‘ამას კარიბჭესთან, მოუკლავთ ას-სანარიას მფლობელი. გოჩა ჯაფარიძეს მიაჩნია, რომ ატ-ტაბარის მიერ მოხსენიებული ას-სანარიის მფლობელი და კახეთის ერისმთავრად მიჩნეული კონსტანტი კახი ერთი და იგივე პიროვნებაა.²

რადგანაც, VIII საუკუნიდან არაბებს საქართველოს მთიანეთის დამორჩილების დროს, ერთ-ერთ ძლიერ მოწინააღმდეგედ წანარები ხვდებიან, ამიტომ, შუა საუკუნეების არაბულ წერილობით წყაროებში საინტერესო ცნობებია დაცული წანარების შესახებ. არაბულ ნარატიულ წყაროებში წანარების შესატყვისია ას-სანარია, თუმცა არაბ ავტორებთან გვხვდება ამ სახელწოდების სხვა ფორმებიც: ას-სუნარია, ას-სუნნარია და ას-სინარია. არაბულ წყაროებში ას-სანარია გამოყენებულია მხარის, ქვეყნის, სამეფოს და ხალხის მნიშვნელობით.³

არაბი ისტორიკოსის და გეოგრაფის ალ-მას’ უდის ცნობით, X საუკუნის შუა ხანებში ას-სანარები ცხოვრობდნენ კავკასიის მთის მახლობლად და ესაზღვრებოდნენ დარუბანდს. ამ ისტორიკოსის სხვა ცნობით ას-სანარია იყო სამეფო, რომელიც გადაჭიმული ყოფილა თბილისის სასაზღვრო ოლქიდან დარიალის ციხემდე, აღმოსავლეთით კი შაქამდე, როგორც ჩანს, ამ წყაროს მიხედვით, წანართა განსახლების არეალი X საუკუნეში საკმაოდ ვრცელია.⁴

საქართველოში არაბთა პირველივე შემოსევის დროსვე, წანარები საკმაოდ ძლიერ ეთნო-პოლიტიკურ ძალად ჩანან. როდესაც არაბმა სარდალმა ჰაბიბნ იბნ მასლამამ დაიპყრო ქართლის არა ერთი მხარე, მათ შორის, ვისაც არაბი სარდალი ცალკე დაუზავდა ხარკის გადახდის პირობით, ას-სანარები/წანარებიც იყვნენ.⁵

X საუკუნის ქრისტიანი არაბი ისტორიკოსის სა’იდ იბნ ბიტრიკის ცნობით, 622 წელს ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გამზადებულმა ბიზანტიის იმპერატორმა ირაკლიმ,

შემდეგ დაუჭერიათ და მიუყვანიათ თბილისში მყოფ ბუღასთან, რომელსაც მისთვის ისლამის რჯულზე მოქცევა მოუთხოვია, მაგრამ, ვინაიდან კონსტანტის უარი განუცხადებია, იგი გაუგზავნიათ ბაბილონის ქალაქ სამარიაში, სადაც 853 წელს მისთვის თავი მოუკვეთიათ. კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, მესამე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 1951, გვ. 493.

¹ კორნელი კეკელიძე, კონსტანტი კახის მარტვილობა და ვინაობა, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1956, გვ. 136; მარტვილობა კონსტანტი-კახასი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1964, გვ. 165.

² გოჩა ჯაფარიძე, წანართა შესახებ, ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში, ტ. I, თბილისი, 2012, გვ. 86.

³ გოჩა ჯაფარიძე, იქვე. გვ. 83.

⁴ გოჩა ჯაფარიძე, იქვე. გვ. 84.

⁵ გოჩა ჯაფარიძე, იქვე. გვ. 86.

ჯურზანიის (ქართლი) და აბხაზის მალიქებთან ერთად დახმარება ას-სანარიის მთავარსაც სთხოვა. სანაცვლოდ იმპერატორმა მას ჯურზანიის მთავრის მსგავსად, თავის სასახლეში, დარბაზობისას, ტახტზე დაჯდომის უფლება აღუთქვა.¹ ეს ცნობა მნიშვნელოვანია არა მარტო ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლების ქართული პოლიტიკური ერთეულების მმართველებთან ურთიერთობა-დამოკიდებულების საკითხის შესწავლის კუთხით, არამედ, წანართა სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის კვლევის მხრივაც, რომლის მიხედვითაც, წანარები ძლიერ ძალას წარმოადგენდნენ, რაც, ასევე ცნობილია ჰერაკლე კეისრისთვისაც.

X საუკუნის არაბი ისტორიკოსის ალ-მას'უდი წანარებს ქრისტიანებად მოიხსენიებს, ხოლო იბნ ა'სამ ალ-ქუფი ას-სანარებს ქაფირებს ე. ი. ურწმუნოებს უწოდებს, რაც გ. ჯაფარიძის შენიშვნით წარმართს კი არ ნიშნავს, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, არამედ ქაფირი მუსლიმთათვის ქრისტიანის ტოლფასიცაა.²

იბნ ა'სამ ალ-ქუფის ცნობით, ას-სანარები კახეთთან ალიანსში არაბთა წინააღმდეგ ბრძოლებში VIII საუკუნიდან ჩანან, რაც შემდგომ, ეს კავშირი კახეთზე, წანარების პოლიტიკურ ჰეგემონობაში გადაიზარდა. X საუკუნის შუა ხანებში, ალ-მას'უდი წანართა მმართველს ქურუკუსს (ქორეპისკოპოსი) უწოდებს.³ რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ დროისთვის სახელწოდება ას-სანარია//წანარია მთელ კახეთს ფარავს, რაც თავის მხრივ, კახეთში წანართა ჰეგემონობის მიმანიშნებელია.

სუმბატ დავითის ძის ცნობით, გიორგი I მეფობისას (1014-1027 წწ.) საქართველო ბიზანტიის ომის დროს (1021-1023 წწ.), კახეთისგან ცალკე ერთეულად წანარები საკმაოდ ძლიერ ძალად წარმოგვიდგებიან, კერძოდ კი, როდესაც შირიმნის ბრძოლის შემდეგ უკან დახეულ გიორგი მეფეს ბასილ კეისარი ფეხდაფეხ მისდევდა: „გარდავიდა გიორგი თრიალეთად, და მოადგა ბასილიცა თრიალეთადვე. და რა ეახლნეს ერთმანერთსა, კუალად განძლიერდა გიორგი ლაშქრითა, რამეთუ მოიყვანნა წანარნი და შაქნი. ხოლო იხილა რა ესე ბასილი, შეიქცა თრიალეთით და უკუმოვლო ჯავახეთი და არტაანი დღეთა შინა ზამთრისათა, და კუალად უბოროტესადრე მოაოჴრა“.⁴ წარმოდგენილი პასაჟის მიხედვით, წანარები შაქელებთან ერთად გადამწყვეტ როლს თამაშობენ, რადგანაც, გიორგი პირველთან, წანარ-შაქელთა მისვლის შედეგად, ბასილ კეისარმა ბრძოლა ველარ გაბედა და უკან გაბრუნდა.

სუმბატ დავითის ძის ცნობით: „ხოლო დაჯდა რა ესე გიორგი მეფედ, განუდგა ამას ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა, და ღადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი. მათ ქუეყანათ კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი“.⁵ ამ ცნობის მიხედვით, გიორგი I-ს გამეფებისთანავე ჰერეთ-კახეთი განდგომია და ის ისევ ცალკე პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად გარდაქმნილა, რაც გვაძლევს იმის ფიქრის საშუალებას, რომ ბიზანტიის მიერ, საქართველოს წინააღმდეგ, წარმოებული ომის დროს კახეთ-ჰერეთი გიორგი მეფეს არ ეხმარებოდა, ხოლო, ამ ომში, წანარები კი მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. აქედან გამომდინარე, სომეხი და არაბი ავტორები თუ სახელწოდება

¹ გოჩა ჯაფარიძე, იქვე. გვ. 85-86.

² გოჩა ჯაფარიძე, იქვე. გვ. 84-85.

* ალ-მას'უდი წანართა წარმომავლობას არაბებს უკავშირებს. გოჩა ჯაფარიძე, წანართა შესახებ, იქვე. გვ. 87.

³ გოჩა ჯაფარიძე, იქვე. გვ. 85-86.

⁴ სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 383.

⁵ სუმბატ დავითის ძე, იქვე. გვ. 383.

წანარია//ას-სანარია-ში ხშირად კახეთსაც გულისხმობენ,* სუმბატ დავითის ძის შემთხვევაში, წანარიის სახელწოდების ქვეშ კახეთი კი არ იგულისხმება, არამედ სულ სხვა გეოგრაფიული არეალი, შესაძლოა ისევ თრუსო, ხევის ტერიტორია, ანუ წანართა ისტორიული საცხოვრებელი ადგილი, რომელიც, კახეთის სამთავროს დაქვემდებარებაში იყო, მაგრამ, როდესაც კახეთ-ჰერეთი, გიორგი პირველის მეფობის დროს, ისევ ცალკე ერთეულად გავიდა, შესაძლოა, ამ პოლიტიკური მოვლენების დროს, წანარები უშუალოდ საქართველოს სამეფო კარს დაექვემდებარნენ და აქტიური როლიც შეასრულეს ბიზანტიის შემოტევის პროცესში.

განხილული მონაცემების მიხედვით ნათელია, რომ თრუსოს ტერიტორია ისტორიული წანარეთის ერთი ნაწილი იყო. X საუკუნის შემდეგ კი წანარებისგან დაცლილ თრუსოში, თრუსოს ჩრდილო-მოსაზღვრედ მცხოვრები, ოსებისგან შევიწროვებული, ძირძველი ქართული ეთნიკური ჯგუფი დვალეები დამკვიდრდნენ. დვალეების მდინარე თერგის სათავეებში გადმოსახლებით შეიქმნა ახალი მთური კომპაქტური დასახლება „თრუსო“.¹

მდინარე თერგის სათავეებში დვალეების დვალეთიდან მიგრაცია ხელადურის გადმოსასვლელით განხორციელდა. როგორც რ. თოფჩიშვილი შენიშნავს, დვალეთიდან დვალთა გადმოსახლებას თრუსოში ეთნიკური ვითარების ცვლილება არ გამოუწვევია, რადგან დვალეებიც ქართველი მთიელები იყვნენ.²

ერთიანი საქართველოს სამეფოს არსებობის მანძილზე თრუსო საქართველოს სახელმწიფოს ჩრდილოეთ სასაზღვრო სისტემის ნაწილი იყო და ქართული ეთნიკური ტომებით, ჯერ წანარებით, ხოლო დვალთა მიგრაციის შემდეგ, წანარულ-დვალური მოსახლეობით იყო წარმოდგენილი. ამ დროს თრუსო და ჩრდილოეთით მდებარე სასაზღვრო მიწები სამეფო დომენის ნაწილი იყო და მას საქართველოს სამეფო კარი განაგებდა. XI-XIII საუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობა და ლიტერატურა ამ რეგიონს გამოარჩევდა, არა მარტო როგორც სახელმწიფოს თავდაცვითი სისტემით, არამედ ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლებისადმი განსაკუთრებით ერთგული მოსახლეობით.

* როგორც უკვე აღვნიშნეთ, სომეხი მემატიაწე იოანე დრასხანაკერტელიც, არაბი ისტორიკოსის ალ-მას'უდის მსგავსად, X საუკუნეში კახელებს წანართა სახელით მოიხსენიებს, ხოლო მათ მთავარს კი ქორეპისკოპოსს უწოდებს. იოანე დრასხანაკერტელის ცნობა იხილეთ: ელენე ცაგარეიშვილი, წანარების ტომის ისტორიიდან, მუშაკი სულიერისა ვენახისაჲ, ეძღვნება მიხეილ ქავთარიას 80 წლის იუბილეს, თბილისი, 2012, გვ. 252.

¹ როლანდ თოფჩიშვილი, დვალეთი და დვალეები, თბილისი, 2016, გვ. 65.

² როლანდ თოფჩიშვილი, თრუსო-საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, თბილისი, 2019, გვ. 54.

თავი III. თრუსოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIV საუკუნიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე

ისტორიული-გეოგრაფიული მხარის თრუსოს ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ქართული ნარატიული და დოკუმენტური წერილობითი ძეგლები („ძეგლი ერისთავთა“, „გერგეტის სულთა მატიაზე“, „სამთავისის სამწყსოს დრამისა და შესავლის წიგნი“, ვახუშტი ბატონიშვილის, პაპუნა ორბელიანის, იოანე ბატონიშვილისა და სხვათა ცნობები.), XVIII საუკუნის მოსახლეობის აღწერის მონაცემები, სამეფო ხელისუფლების მიერ გაცემული დოკუმენტები და ა.შ.

თრუსოს ტერიტორიულ საზღვრებს ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს: „...მთიულეთის ჩდილოთ არს ჰევი. გარდავალს გზა ჰევს... ხოლო ჩდილოთკენ ერთვის ჰევის მდინარეს ჰევი, და უწოდებენ შთასავალს... ამ...ჩასავალს ზეით არს თრუსო სამ ჰევად. აღმოსავლით აქუს ჰევი, დასავლით ზახა და მდრან-დვალეთი, სამჰრით მთიულეთი, ჩდილოთ ქურთაული და მოზდუდვილ არს კავკასით, თჳნიერ ჰევიდამ¹. როგორც ამ ციტატიდან ჩანს, ვახუშტი ბატონიშვილი იქ სადაც საუბრობს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის, ხევის შესახებ, იქვე აქვს აღწერილი თრუსოც. მაგრამ, მეცნიერი მის საზღვრებს არ უთითებს.

თრუსოს ტერიტორიის საზღვრები პირველად გასული საუკუნის 80-იან წლებში სავლეთ ეთნოგრაფიული მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემების შეჯერებით გულდამ ჩიქოვანმა შეისწავლა. დაადგინა, რომ თრუსოს ტერიტორია მოიცავს მდ. თერგის ხეობის მონაკვეთს მისი სათავეებიდან, ვიდრე ხეობის უვიწროვს ადგილ ყაშარას//კასრამდე, რომელიც წარსულში დვალთა, ხოლო შემდეგ აქ ჩამოსახლებულ ოსთა სამოსახლო ტერიტორიის სასაზღვრო კარები უნდა ყოფილიყო². მანამდე, ქართველ მეცნიერთა ნაწილს კობის ქვაბული და ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია მნა თრუსოს ხეობის შემადგენელ ნაწილად მიაჩნდათ (მაკალათია ს., ზაქარაია პ., ითონიშვილი ვ., ჯალაბაძე გ., და სხვ.³).

ერთიანი საქართველოს სამეფოს არსებობის მანძილზე თრუსო საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა და ქართული ეთნიკური ტომებით – თავდაპირველად წანარებით და შემდეგ დვალელებით იყო დასახლებული. იგი სამეფო დომენს წარმოადგენდა. XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს სამეფო კარზე შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო თრუსო რამდენჯერმე იქნა დარბეული საქართველოს მეფეების დავით VIII-ისა და მისი ნახევარძმა ვახტანგ III-ის დაპირისპირების გამო. იმ დროს, როდესაც მეფე ვახტანგი და მისი ერთგული ერისთავი შალვა ქვენიფნეველი მონღოლებს ურდოში ახლდნენ, დავით მეფემ ქვენიფნეველის მამული – ცხრაზმისხევი ააოხრა. ურდოდან მობრუნებულმა ქვენიფნეველმა და ვახტანგ III-მ დავით VIII-ის მომხრე მთიულეთი, ხევი და დვალეთი დალაშქრეს: „მაშინ მოწუნეს და მოაოჰრნეს ყოველნი ჰევნი

¹ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 356-357.

² გულდამ ჩიქოვანი, „თრუსოს ისტორიული გეოგრაფიისათვის (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)“, კრ.: „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1985, #2, გვ.116.

³ სერგი მაკალათია, ხევი, ტფილისი, 1934, გვ.9; ვალერიან ითონიშვილი, ხევის ტოპონიმია, თბილისი, 1971, გვ.7; პარმენ ზაქარაია, არაგვისა და თერგის ხეობა, ისტორიულ-არქიტექტურული გზამკვლევი, თბილისი, 1972, გვ. 33, 41-44; გიორგი ჯალაბაძე, მიწათმოქმედება თერგის ხეობაში, მუზეუმის მოამბე, ტ.22-B, თბილისი, 1961.

დვალეთისანი და შემუსრნეს და დაარღვვნეს და ყოველნი ციხენი **თრუსუით** აჩაბეთამდის¹ – აღნიშნულია ქვენიფნეველთა საგვარეულო მატრიანეში.

ერთგულების ნიშნად მეფე ვახტანგ III-მ „მიუბოძა შალვას **თრუსუი**, ღუდაა, გაგასძენი, მლეუ, არაჟუეთი, ჯანდოა, ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამული, ძაგნაკორნანი, დიღუამი, გავაზი... აწერისკვეი, ბეჟუმე, და ყოველთა დიდებულთა მისთა უმჯობეს ხედვიდა²“. ამრიგად, XIV საუკუნის დასაწყისიდან თრუსოს ქსნის ერისთავები დაეპატრონნენ. თრუსო ქსნის საერისთავოს შემადგენლობაში XVII საუკუნის დასაწყისამდე უნდა ყოფილიყო. მას შემდეგ, რაც ქართლის სამეფოს ერთ-ერთმა გავლენიანმა თავადმა ზურაბ არაგვის ერისთავმა ხევი დაიპყრო (დაახლოებით 1628 წელს), თრუსოც ამ დროიდან მათ მფლობელობაში უნდა გადასულიყო. მართალია, ამ პერიოდის თრუსოს შესახებ საისტორიო წყაროები არ მოგვეპოვება, მაგრამ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში დაცული მცირე ცნობები XVII საუკუნის თრუსოს პოლიტიკური მდგომარეობის მეტ-ნაკლები წარმოდგენის საშუალებას მაინც იძლევა. მაგალითად, იმავე ზურაბ არაგვის ერისთავმა ხევის დამორჩილების შემდეგ ფშავ-ხევსურეთის დაპყრობაც მოინდობა, ხევსურების წინააღმდეგ რამდენიმე ბრძოლა ზურაბისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. საბოლოოდ, ერისთავს, თითქოსდა, დვალეთზე სალაშქროდ მიწვეული ხევსური თავკაცები თავისთან თრუსოში დაუბარებია.

„შენმც დაგლევეს, ერისთვიშვილო,
ზურაბო, სისხლის წყალიო,
თრუსოს ჩაჰყარნენ ჰევსურნი,
ხელით არჩიენ ყმანიო.

გაატეხიე **დვალეთი**,
თეთრი მადლალე ცხვარიო,
თრუსოს მაასხენ მაშვრალნი,
დანდობით დასჭერ თავიო“³.

როგორც ამ ლექსიდან ირკვევა, ზურაბს ხევსურებთან ერთად ჯერ დვალეთი დაულა-შქრავს, ხოლო შემდეგ იგივე ხევსურები თრუსოში ნადიმზე მიუწვევია და ამოუხოცავს:

„ზურაბო ერისთვისშვილო,
სისხლისიმც დაგლევეს წყალია!
თრუსოს აწიენ ხევსურნი,
ღალატიც დასჭერ თავია“⁴.

თრუსო არაგვის საერისთავოს შემადგენლობაში 1743 წლამდე იყო – მანამ, სანამ საერისთავო თეიმურაზისა და ერეკლეს მიერ არ იქნა გაუქმებული. არაგვის საერისთავოს გაუქმებას წინ 1742 წელს საერისთავოში დაწყებული გლეხთა დიდი აჯანყება უძღვოდა, რომლის მთავარი მიზეზი ბეგარა-გადასახადების გადიდება და მებატონე ერისთავების სისასტიკე იყო. აჯანყებაში გლეხებთან ერთად ერისთავების უკმაყოფილო აზნაურობაც მონაწილეობდა. აჯანყება რამდენიმე წელი გაგრძელდა და მთელი საარაგვო მოიცვა, მათ შორის ხევი და თრუსოც. აჯანყებულებმა მოკლეს არაგვის ერისთავები, თავს დაესხნენ

¹ ისიდორე დოლიძე, „ძეგლი ერისთავთა“, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბილისი, 1965, გვ.106.

² ისიდორე დოლიძე, „ძეგლი ერისთავთა“... გვ.106.

³ ქართული ხალხური პოეზია (საგმირო ლექსები), ტომი IV. ნაკვეთი მეორე, თბილისი, 1975. გვ. 33-34.

⁴ აკაკი შანიძე, ხალხური პოეზია, 1, ხევსურული, ტფილისი, 1913, გვ. 6-9.

ქართლის ფეოდალების სახლ-კარს, აიკლეს და დაიტაცეს დიდძალი ქონება. აჯანყებულებმა თავიანთ ბატონად მეფე თეიმურაზ II მიიწვიეს. მეფე ჯარით შევიდა საერისთავოში და აჯანყებულებს ძველი დაწესებული გადასახადების შენარჩუნებას დაჰპირდა. სამაგიეროდ მათგან მორჩილება მოითხოვა, მეთაურებს მძევლები გამოართვა და საერისთავოში თავისი მოხელეები დანიშნა. თუმცა, ამით საერისთავოს პრობლემა არ მოგვარდა. 1746 წელს აჯანყებამ ახალი ძალით იფეთქა და იგი ქსნის საერისთავოსა და დიდი ლიახვის ტერიტორიაზე გავრცელდა. ამჯერად, ქართლ-კახეთის მეფეებმა აჯანყებულები იარაღით დაიმორჩილეს. თეიმურაზ II ქართლის ჯარით ქსნის საერისთავოში შევიდა და ვანათს დადგა. ერეკლე II-მ კახეთის ჯარით ანანური დაიჭირა. მეფეებმა ორივე საერისთავოს გზები შეკრეს. ერეკლემ პირველად არაგვის ხეობის აჯანყებულ ოსებს შეუტია – „ორმოცი კოშკი აიღეს, დაწვეს, **თრუსი** დაატყვევეს და ყოვლის გზით ყათლანი უყვეს, რომ რისხვა ღმრთისა დასცეს¹“ – გადმოგვცემს პაპუნა ორბელიანი. „...რა ეს ამბავი და არაგვის ოსის წახდენის ამბავი შეიტყვეს ქსნის ერისთავის ოსთა, მოვიდნენ მაშინვე ვანათს და შემოეხვეწნენ მეფეს თეიმურაზს, ყოვლის კეთილის საფუძველსა და მოსთხოვეს დანაშაულის ფარვანი და მოსცეს სრული ბეგარა“².

არაგვის საერისთავოს გაუქმების შემდეგ იგი საუფლისწულო მამულად გამოცხადდა და მათ შორის თრუსოც ერეკლე II-ის შვილებს, ჯერ ვახტანგს – 1743-1756 წწ.; მისი გარდაცვალების შემდეგ მის ძმას, ლევან ბატონიშვილს გადაეცა, ხოლო ლევანის გარდაცვალების შემდეგ, 1781 წლიდან 1803 წლამდე არაგვის საუფლისწულო მამულის მფლობელი ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი იყო.

თრუსოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და სამეურნეო ყოფა. უფლისწულებს თრუსოში, კობსა და მნაში თავისი მოხელეები – მოურავები და ნაცვლები ჰყავდათ დანიშნული. XVIII საუკუნის მიწურულს თრუსოს მოურავად ნინია კობიაშვილი, ხოლო ნაცვლები გოგია და ნინია ნაზღაიძეები იხსენიებიან. ამავე პერიოდში მნის მოურავი იყო ოტია ზანდუკელი, ხოლო კობის მოურავი – ჭიალაშვილი³. ერეკლე II-ის მოღარეთუხუცეს ელისბარის მიერ გაცემული სიგელის თანახმად მეფეს იასე ჩქარიაულისთვის კობის, უხათისა და თოლგოთის ნაცვლობა უბოძებია⁴ (მანამდე, ერისთავების მმართველობის დრო, თოლგოთის, კობის, უხათის და მათ შორის ღუდის მოურავად ჯანუყა ნაზღაიძე იხსენიება⁵). მოურავებისა და ნაცვლების მოვალეობაში გადასახადების აკრეფა, მოსახლეობის აღწერა და ომიანობის შემთხვევაში მეომრების გამოყვანა შედიოდა.

თრუსოს მოსახლეობა სხვადასხვა სახის სახელმწიფო გადასახადს იხდიდა, მათ შორის იყო მიწის გადასახადი, რომელსაც „ყალანი“, იგივე „საკომლო“ ეწოდებოდა. გადასახადი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ 5 ცხვარს, ხოლო მესამე წელს 12 ცხვარს შეადგენდა.

¹ პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, ელენე ცაგარეიშვილის გამოცემა, თბილისი, 1981, გვ. 113.

² პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი... გვ.113

³ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, დოკუმენტი #16597.

⁴ სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, დოკუმენტი #1067.

⁵ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა – შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ – წიგნი მესამე, გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბილისი, 1967, გვ.115-116.

სათარხნო მიწაზე მსახლობელი გლეხები კი მხოლოდ „სამასპინძლოს“ იხდიდნენ, რომელიც სამეფო კარის ან უფლისწულების მიერ წარგზავნილი მოხელეების გამასპინძლებას ითვალისწინებდა. „სამასპინძლო“ ძირითადად პირუტყვის სახით გროვდებოდა. თრუსოს სათარხნო მიწაზე მსახლობელი გლეხებისთვის „სამასპინძლოდ“ დაწესებული იყო სამ წელიწადში ერთხელ სამი ძროხის ან ცხენის მიცემა¹.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისთვის დაწესდა ლეკთა დაქირავებული ჯარის ქირისთვის განკუთვნილი ახალი სახელმწიფო გადასახადი „საღეკო“, რომელსაც მთის მოსახლეობა და მათ შორის თრუსოს გლეხები ნატურით იხდიდნენ².

რუსეთის მმართველობის დროს თრუსოს მოსახლეობის გადასახადები გაიზარდა და თითოეული საკომლო 12 ცხვრით დაიბეგრა, ხოლო სათარხნო ნაკვეთი – ძროხით, რაც ყოველწლიურად ცხვარზე გადასახადი 1 მანეთს, ხოლო ძროხაზე 5 მანეთს შეადგენდა³.

თრუსოში მარცვლეულის სახეობებიდან ძირითადად მოჰყავდათ ქერი, სოფელ ზაქაგორის მახლობლად მცირე ტერიტორიაზე თესავდნენ ხორბალს; მიწას ხნავდნენ გუთნით და წყვილი ხარებით. მოსახლეობის ძირითად სამეურნეო საქმიანობას მეცხოველეობა წარმოადგენდა, განვითარებული იყო მეცხვარეობა და მესაქონლეობა, საამისოდ თრუსოში შესანიშნავი საძოვრები და სათიბები იყო. მატყლისაგან ამზადებდნენ საკმაოდ კარგ ქეჩებს, ყაბალახებს, ნაბდებს, მაუდისგან ქსოვდნენ შალს (იგი ასევე ცნობილია „ოსური მსხვილი შალის“ სახელითაც⁴); რძისგან ამზადებდნენ ყველს, ხოლო ტყავისგან ტყაპუჭებს და ქამრებს. თავიანთ ნაწარმს ჰყიდდნენ როგორც საქართველოს სამხედრო გზაზე, ასევე გასაყიდად მიჰქონდათ თელავსა და თბილისში⁵.

გარდა სახელმწიფო გადასახადისა თრუსოს მოსახლეობა საეკლესიო გადასახადსაც იხდიდა. **საეკლესიო ადმინისტრაციული დაყოფით** თრუსო XV საუკუნის საბუთის მიხედვით სამთავისის სამწყსოში შედიოდა და სამთავნელისთვის „**პური 3 [6], სოფლის თავს სამ-სამი დრამად, თვითო ზურგიელი, ქალამანი 3 [6] და საბელი დ [4]**“ -ს⁶ გადახდა ევალებოდა.

ამავე დროს, თრუსოს და მნის მოსახლეობას გერგეტელ საყდრიშვილთა მიმართაც გარკვეული ვალდებულება – „მოკიდებულის“ – სტატუსი გააჩნდათ – „...**მნაველთაიცა მათ მ[ოი]კიდესა...თრუსოველთაიცა ჴურთიელ-ყან[ი]ობელთა მოიკიდეს**“ – აღნიშნულია გერგეტის სულთა მატთანის 1439 წლის საბუთში. დოკუმენტი „მოკიდებულის“ სტატუსის შესახებ ზუსტ განმარტებას არ იძლევა, მაგრამ, როგორც მეცნიერები ფიქრობენ, მნაველებს,

¹ Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею, Архивъ главногo управления наместника кавказскаго, Том VII, Издавъ под редакциею председателя комиссии Ад. Берже, Тифлисъ 1878, ст.349

² კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დოკუმენტი Hd-3906.

³ Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею, Архивъ главногo управления наместника кавказскаго, Том VII, Издавъ под редакциею председателя комиссии Ад. Берже, Тифлисъ 1878, ст.349.

⁴ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დოკუმენტი Hd-12398.

⁵ Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею, Архивъ главногo управления наместника кавказскаго, Том VII, Издавъ под редакциею председателя комиссии Ад. Берже, Тифлисъ 1878, ст.349.

⁶ ისიღორე დოლიძე, სამთავისის სამწყსოს დრამისა და შესავლის წიგნი, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბილისი, 1970, გვ.198.

თრუსოელებს და მათთან ერთად ჯურთიელ-ყანობელთ ხევის დანარჩენ სოფლებთან შედარებით მონასტრის მიმართ შედარებით იოლი ვალდებულებები გააჩნდათ¹.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ალექსანდრე ყაზბეგის ცნობა, იმის თაობაზე, რომ თრუსოელები მწერლის სიცოცხლეშიც კი გერგეტის მონასტერს ყოველწლიურად კომლზე თითო მათარა ქერს სწირავდნენ. „ამ წმ. სამების მონასტრისათვის გერგეტელებს... მთელს ხევში და **თრუზოს (sic)** ხეობაშიაც კი კომლზედ ყოველ წლივ თითო მათარა (ფუტნახევარ)² ქერს აძლევენ³“-ო, აღნიშნავს მწერალი.

თავად „გერგეტელი საყდრის ყმები“ კი 1733 წელს ბარძიმ არაგვის ერისთავის მიერ გაცემული საბუთის მიხედვით ვალდებულნი იყვნენ თრუსო მტრის შემოსევებისგან დაეცვათ. სიგელში ვკითხულობთ: „... ესე...სიგელი გიბოძეთ თქვენ გერგეტელთა საყდრის ყმათა ...ასე რომე თათარნი ჰვეს გვართმევდენ, სულ მოხვედით თქვენ, თავი დასდევით, ჩვენი თავი ირჩიეთ. ახლა ეს წყალობა გიყავით, რადგან წმ. სამების ყმანი დეკანოზნი ხართ, ჩვენც სხვაგან ლაშქრობა ამოგიკვეთეთ, საყდარი უნდა შეინახოთ ერთი, ასე რომ ჰვეს თუ მტერი მოუხდეს, ჰვესა და **თრუსოს**, უნდა ილაშქრებდეთ, ამას გარდა სხვაგან თქვენ სალაშქროთ ხელი არა გქონდესთ და არც არავინ დაგპატიჟოსთ და გაგიყვანოთ. ამისთვის რომ საყდარსა და ხატს კარგად და მაგრად შეინახვიდით...“⁴“-ო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XV საუკუნის საბუთის თანახმად, თრუსო თავდაპირველად სამთავისის სამწყსოში შედიოდა, ხოლო XVII საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც თრუსო არაგვის საერისთავოს შემადგენლობაში მოექცა, იგი წილკნის საეპისკოპოსოს დაექვემდებარა. წილკნელი ეპისკოპოსები ქრისტიანობის განსამტკიცებლად პერიოდულად თავიანთ სამწყსოში მოგზაურობდნენ ხოლმე. ცნობილია, რომ უკანასკნელი წილკნელი ეპისკოპოსი იოანე ქარუმიძე 1794 წელს ერეკლე II-ს თრუსოში ახადმონათლულ ოსებთან ქრისტიანობის საქადაგებლად გაუგზავნია⁵.

1811 წელს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, რუსულმა მმართველობამ წილკნის საეპისკოპოსოც გააუქმა და მისი სამწყსო ახლადწარმოქმნილ მცხეთა-ქართლის ეპარქიას მიუერთა⁶.

თრუსოს მოსახლეობა. XVIII საუკუნის 30-იან წლებამდე ქართულ წერილობით დოკუმენტებში თრუსოში არაქართველი მოსახლეობის შესახებ ცნობები არ დასტურდება. ყველაზე ადრინდელ დოკუმენტებში, როგორიც არის „ძეგლი ერისთავთა“ (XIV-XV სს. მიჯნა), „გერგეტის სულთა მატთან“ (1439 წ.), „სამთავისის სამწყოს დრამისა და შესავლის წიგნი“ (XV ს.) თრუსოში ოსური მოსახლეობის არსებობის შესახებ ცნობები არ იძებნება.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, საერისთავოს საუფლისწულო მამულად გადაქცევის შემდეგ, თრუსოში ახალმონაშენე ოსური სოფლების შესახებ ცნობები უკვე მოგვეპოვება. ამ

¹ ქრისტიანე შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს) (გერგეტის მატთან), კრებული: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ თბილისი, 1954. ნაკვ. 30, გვ.247.

² დაახლოებით 24 კილოგრამი.

³ აკაკია მოჩხუბარიძე, მოხვევები და იმათი ცხოვრება. გაზ. „დროება“, #1880, ##164.

⁴ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა – შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ – წიგნი მესამე, გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბილისი, 1967, გვ. 141.

⁵ Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею, Архивъ главнаго управления наместника кавказскаго, Том I, Издавъ под редакциею председателя комиссии Ад. Берже, Тифлисъ, 1866, ст. 532.

⁶ 1917 წლიდან, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, თრუსოს და ხევის მოსახლეობა კვლავ წილკნის საეპისკოპოსოს დაექვემდებარა. ხოლო 2002 წლიდან დღემდე თრუსო ახლად დაარსებულ სტეფანწმინდისა და ხევის საეპისკოპოსოში ირიცხება.

საკითხის შესახებ გარკვეული წარმოდგენის შექმნის შესაძლებლობას ვახშუბტი და იოანე ბატონიშვილების ნაშრომები, ასევე სახელმწიფო გადასახადის გადამხდელთა სიები იძლევიან.

ვახშუბტის ცნობით თრუსოს „მოსახლენი არიან ოსნი, ღვალნი“¹. ანუ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში უკვე შერეული მოსახლეობა იყო – ადგილობრივი ქართველი ღვალეები და მოსული – ოსები.

ერეკლე II-ის დავალებით შედგენილ 1770 წლის მოსახლეობის მიახლოებითი აღწერის მიხედვით, „არაგვის საერისთავოს ოსნი ზახას, **თრუსოს**, ჭვრივს, ხადას² და ღუდეს 1200 კომლს“ შეადგენდა³.

საქართველოს ტერიტორიაზე და მათ შორის თრუსოში ოსთა მასობრივი მიგრაცია XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან უნდა განხორციელებულიყო. 1780 წლის საბუთის მიხედვით თრუსოში 11 ოსური სოფელი იყო – **რეში, ტეფი, გიმარა, ყაყიდური⁴, ყარათყავი, დენცე, ქვეით დენცი, ჯახაგორი, საოტისი, აბანო, ქეთერისი** – აღნიშნულ სოფლებში 79 კომლი ოსი ცხოვრობდა⁵. 8 სოფელს უთითებს თრუსოში იოანე ბატონიშვილი – „**თრუსის ხეობა 8 სოფელი, მოსახლენი ოსნი**“⁶.

საქართველოში დასახლებულ ოსებს სამეფო ხელისუფლება შესაბამის პირობებს უქმნიდა, ზოგიერთ შემთხვევაში გადასახადებისგან სრულად ათავისუფლება, ხოლო გაწეული სამსახურისთვის კი ჯამაგირსაც უნიშნავდა. მაგალითად, თრუსოელი ოსი ბათია (ბიდარა) ბოცოშვილი (ბოცოევი) ერეკლე II-მ მგზავრთათვის დასახმარებლად საქართველოს სამხედრო გზის, ჯვრის უღელტეხილზე, მდ. თეთრიწყლის მახლობლად დაასახლა და გასამრჯელო დაუნიშნა⁷. ხოლო მისმა მემკვიდრეებმა, არაგვის ხეობის გამგებელმა ვახტანგ ბატონიშვილმა, იგი ყოველგვარი ბეგარისაგან გაათავისუფლა. ამას გარდა, თუ კიდევ ვინმე ოსი მოისურვებდა აღნიშნულ ტერიტორიაზე დასახლებას, ისიც სახელმწიფო გადასახადისაგან სრულად გაათავისუფლდებოდა. გიორგი XII-მ ბათიას ერეკლე მეფის საბუთი განუახლა და გასამრჯელოდ წელიწადში 25 რუბლი დაუნიშნა. 1801 წლის 12 თებერვალს მემკვიდრე დავითმა წერილობით დაუმტკიცა წინა მეფეების მიცემული

¹ ვახშუბტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, გვ. 357.

² ზახა – ისტორიული ღვალეთის ცენტრალური ხეობა; სოფელი ჭვირი ამჟამად შედის ჯავის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში; ხადა – ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მდინარე მთიულეთის არაგვის სათავეებთან.

³ ისიდორე დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბილისი, 1965, გვ.420.

⁴ სოფელი ყაყიდური ჩვენი აზრით იგივე ცოცოლდა, ჩოჩოლდა უნდა იყოს.

⁵ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Hd-3906; საბუთი იხილეთ აქვე, წიგნის დანართში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ XIX საუკუნეში თრუსოში ოსური მოსახლეობის მომძლავრება კამერალური აღწერების მიხედვითაც დასტურდება, თუ XVIII საუკუნეში თავდაპირველად 8 ოსური სოფელი ჩანს, აღნიშნული საუკუნის მიწურულს 11 ოსური სოფელი ჩნდება, 1804 წლის კამერალური აღწერის თანახმად თრუსოში უკვე 12 ოსური სოფელია, 1831 წლის კამერალურ აღწერაში მათი რიცხვი კვლავ გაზრდილა და 13 გამხდარა.

⁶ იოანე ბაგრატიონი „ქართლ-კახეთის აღწერა“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი, 1986, გვ.35.

⁷ მას მგზავრთათვის უნდა ეჩვენებინა უხიფათო გზის მიმართულება, ხოლო ცუდ ამინდში ღამე უნდა გაეთენებინა მათთვის და თავშესაფარი მიეცა. გარდა ამისა, ქარბუქისა და მოსალოდნელი ზვავების არსებობის შემთხვევაში მგზავრები წინასწარ ზარის დარეკვით უნდა გაეფრთხილებინა. ამ საქმეში მას ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მიერ ჯამაგირი ჰქონდა დანიშნული. ადგილს სადაც ბიდარა ბოცოშვილი იყო დასახლებული ბიდარა ეწოდება.

წყალობა¹. მაგრამ, რუსეთმა საქართველოს მეფეების მიერ დანიშნული ჯამაგირი, რომელსაც მცირე პერიოდით ახალი მმართველობაც აძლევდა, მოუხსნა და გაჭირვებაში ჩავარდნილი ოჯახი იძულებული გახდა უკან, თრუსოს ხეობაში დაბრუნებულიყო².

სოფელ აღმასიანში ვახტანგ ბატონიშვილს ოსი ასა აბაშვილი დაუსახლება და სათანადო პირობები შეუქმნია, მაგრამ, დროთა განმავლობაში აბაშვილს გარკვეული პრობლემა შექმნია, 1792 წელს ბატონიშვილისათვის არზა მიუწერია და შეუჩივლია: „ქ. ღმერთმან ბატონიშვილი ვახტანგის ქირი აღმასიანში მსახლობელს აბაშვილს ასას მოსცეს. ახლა ამას მოგახსენებ, თქვენის ბრძანებით დავდეგ და სოფელიც ავაშენე, რომ ეხლა რვა კომლი კაცი გახლავს. ამას მოგახსენებთ, ვინც მთას გადმოვა, ყველა ჩვენი შემაწუხებელი გახლავთ. ამას გვედრები, რომ ერთი უფროსი გაგვიჩინო და ერთს მართებულს კაცს მიგვაბარო, რომ ჩვენც მოგვიაროს და თქვენ თავსაც გვამსახუროს.

ახლა ამასაც მოგახსენებთ: ეს ამთენი ქარავანი სულ ჩვენ სოფელში დგება, თივა გვეხარჯება და ცეცხლი და ერთს საპალნეს კი არავინ გვანებებს. ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ მეც წილი დამედოს, რომ მეც ვიცხოვრო. თუ წილი არ დამედება, ამას გვედრები, რომ ჩვენთან აღარ ჩამოხდენ, უბრალო ხარჯი მოგვდის³“-ო.

ვახტანგ ბატონიშვილმა ასა აბაშვილის არზას შემდეგი ოქმი დაადო: „ბატონიშვილი ვახტანგი გიბრძანებ, ვინცავინ ჩვენის ბრძანების მორჩილნი ხართ! მერე **აღმასიანი ჩვენ ავაშენეთ და ეს კაცნი ჩვენ დავასახლეთ**. ამას მანამდის ერთს მოხელეს გაუჩენდეთ, ნურავინ რას შესცოდებთ, თორემ ჩვენად შეცოდებათ მოგკითხავთ. და რომელიც ქარავანი ამ სოფელში დადგება, იმათ ბარგს ამათაც უნდა წააღებინებდეთ; რაც ერგებოდესთ, ამათაც წილს უნდა მისცემდეთ⁴“-ო.

XVIII საუკუნის ბოლო პერიოდის დოკუმენტების თანახმად ჩრდილო კავკასიიდან ქართლში ოსთა დიდი ჯგუფების ორგანიზებული გამოსახლება განხორციელებულა.

1799 წელს გიორგი XII თავაურელ ოსებს შემდეგს სწერდა: „ჩვენ მაგიერად **თავაურთ ოსებს, რომელნიც ხიზნით აქ გადმოსასვლელნი ხართ**, ასრე გეუწყოსთ! მერმე, რადგან **კიდევ გარდმოსვლა მოგინდომებიათ ხიზნით**, ჩვენც ჩვენი აზნაურშვილი გაბაშვილი ნინია გამოგვიგზავნია და ჩვენგან დაბარებულს სიტყვას ყველას ეს გიამბობსთ. თქვენც ასე ხათრიჯამნი იყავით, რომ როგორც სანატრელი ჯელმწიფე მამა ჩვენი მწყალობელი იყო თქვენი, ჩვენ კიდევ უფრო მწყალობელნიც ვიქნებით და კარგათ თვალყური გვეჭირება თქვენზედ. ჩვენს სახასოდ ყმად იქნებით, რომ სხვას ვისმე თქვენთან საქმე არავისრა ექნება, **კარგს ბინას და ადგილს გამოვიჩვენებთ და ასეთს ადგილს დაგაყენებთ, რომ კარგა გაგეძლებინებოდესთ**. ჯერ ხანათ ისევ დიდომს უნდა ჩამოხვიდეთ და იქ დასდგეთ და მერმე სადაც **კარგს ალაგს გამოვარჩევთ, რომ თქვენიც მოსაწონი იქნება, იქ დაგაყენებთ და სიმაგრესაც გაგიკეთებთ**. სანამ ხვნისა და თესვის ბინა დაგედებათ, მანამდე სულადის მოცემით ჩვენ გაგაძლებინებთ...“⁵

¹ Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею Архивъ главнаго управления наместника кавказскаго, Том I, Изданъ под редакциею председателя комиссии Ад. Берже, Тифлисъ 1866, ст.526.

² Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею, Архивъ главнаго управления наместника кавказскаго, Том VIII, Изданъ под редакциею председателя комиссии Ад. Берже, Тифлисъ 1881, ст. 47-48.

³ ისიდორე დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, თბილისი, 1985, გვ. 180-181.

⁴ ისიდორე დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, თბილისი, 1985, გვ. 180-181.

⁵ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Qd-1617.

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, საქართველოს სამეფო კარი თავაურელ ოსებს არაგვის საერისთავოს ტერიტორიაზე გადმოსახლებისა და დამკვიდრების საშუალებას აძლევდა და სათანადო პირობებსაც უქმნიდა.

1790 წელს იოანე სახლთუხუცესი გორის მამასახლისის წერილს სწერს და ავალებს, რომ არაგვის ოსები პური, ღვინი და ყველით უზრუნველყოს¹.

თვით ოსებიც ხედავდნენ ქართველი მეფეებისა და ბატონიშვილების მათდამი მზრუნველობას, ერთგულებას უცხადებდნენ საქართველოს სამეფო კარს და საჭიროების შემთხვევაში აჯანყებული ბატონიშვილების გვერდით იბრძოდნენ. 1801 წელს რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ საქართველოში რამდენიმე ანტიკოლონიური და ანტიბატონყმური აჯანყება მოხდა, მათ შორის 1804 წლის სოციალურ ნიადაგზე დაწყებულ მთიულეთის აჯანყებაში თრუსოს მოსახლეობა აქტიურად იყო ჩართული. 1804 წლის 4 ივნისს პოლკოვნიკი თავადი ერისთავი პავლე ციციანოვს აჯანყების შესახებ წერილობით მოახსენებდა: „...5-ჯერ გამოგიგზავნეთ რაპორტი თქვენს ბრწყინვალეობას, 2 რაპორტი აჯანყებულმა მთიულებმა დაიჭირეს და 2 რაპორტი წამოვიდა ქსნის გავლით... მთიულეთის ხალხი დაახლოებით 1000 კაცი მოვიდა კობში. **თრუსოდან ოსები, დაახლოებით 100 კაცი შეუერთდა მათ...**მთიულეთისა და თრუსოს ხალხმა კობიდან წაიღეს სურსათ-სანოვარე და ტყვია-წამალი...

გავხედავ მოვასხენო თქვენს ბრწყინვალეობას, რომ ეს საქმე უბრალო არ არის. ყავთ ხელმძღვანელები და იმერეთში უფლისწულებთან გაგზავნეს ადამიანი. მოკლეს რამდენიმე კაზაკი და 2 სომეხი. ჩემს მიერ გაგზავნილი კურიერი დაიჭირეს, აიღეს წმ. გიორგის ხატი და დაიფიცეს, რომ არ იქნებიან **რუსეთის ქვეშევრდომები**.

... ჩემი აზრით, პირველ რიგში უნდა დავამოშმინოთ **არაგვისა და თრუსოს ხალხი**, ხოლო შემდეგ თავაურელები. მე განზრახული მაქვს თრუსოს გავლით წავიდე თავაურში, მაგრამ ჯარი მცირე მყავს...

თქვენო ბრწყინვალეობავ, არ გაბრაზდეთ, რომ კიდევ დამატებით ჯარი გთხოვეთ. არაგვის ხალხი უვარგისია, ასევე **თრუსოს ხალხი საეჭვო**, ხოლო ჩემთან ერთი როტაა, შანშე ერისთავს ჰყავს 570 კაცი და აქვთ 2 კვირის სურსათ-სანოვარე... როგორც იქნება თქვენი ბრწყინვალეობისგან ორდერი, ისე ვიმოქმედებ“.²

მოგვიანებით მაიორი თორნიკე ერისთავი ციციანოვს აცნობებდა, რომ მან აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად ორი ქართველი მემამულე გააგზავნა. მათთან საუბარში აჯანყებულები არ უარყოფდნენ, რომ მათ კაზაკები მოკლეს, გზები გააფუჭეს და პირობას სდებდნენ, რომ რუსებს არ გაუშვებდნენ თავიანთ გზაზე. ამასთანავე მათ „გაგზავნეს მთიულებთან ხალხი და ელოდებიან უფლისწულებს იულონს და ფარნაოზს. **გადავიდნენ რა კობში, მოიწვიეს თავისთან თრუსოელები** და ხევის ხალხი... კობში რაც კი იყო სახელმწიფო ტყვია-წამალი და ფქვილი ყველა წაიღეს, გზები გააფუჭეს, გაიკეთეს თავშესაფარი და იქ სხედან... იულონ და ფარნაოზი არსად არ ჩანან და არ ვიცით სად იმყოფებიან ისინი“³.

¹ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Hd-12580.

² Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею, Архивъ главного управления наместника кавказскаго, Том II, Издавъ под редакциею председателя комиссии Ад. Берже, Тифлисъ 1868, ст.307-308.

³ Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею, Архивъ главного управления наместника кавказскаго, Том II, Издавъ под редакциею председателя комиссии Ад. Берже, Тифлисъ 1868, ст.313.

აქვე გვინდა წარმოვადგინოთ ალექსანდრე ბატონიშვილის ერთი საინტერესო წერილის ფრაგმენტი ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები თავაურელი ოსებისადმი მიწერილი, მართალია ეს ცნობა თრუსოში მცხოვრებ ოსებს არ ეხება, მაგრამ წერილის შინაარსით კარგად ჩანს ქართველი და ოსი ხალხების საერთო სულიკვეთება, ინტერესი, პრობლემა და სამეფო კართან მათი კავშირები.

წერილი დაწერილია ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ 1812 წლის 16 მაისს, როგორც თარიღის და წერილის შინაარსიდან ირკვევა, იგი კახეთის 1812 წლის აჯანყებისთვის მზადებას ეხება. ბატონიშვილი თავაურელ ოსებს ქვეყნის მიმართ გამოჩენილ ერთგულებას შეახსენებდა. ჩანს, იგი მათზე დიდ იმედს ამყარებდა და აჯანყების გეგმას აცნობდა. თავაურელ ოსებს რუსის ჯარისთვის ჩრდილო კავკასიის გზები უნდა ჩაეკეტათ, ხიდეები აეყარათ. ჩვენთვის უცნობია, ამ წერილმა აღრესატამდე ჩააღწია თუ არა, გამომდინარე იქიდან, რომ წერილი ამჟამად სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდშია დაცულია, სავარაუდოდ, იგი სტეფანწმინდის მოურავ გაბრიელ ყაზბეგს უნდა ჩავარდნოდა ხელთ. მოგვყავს წერილის ნაწყვეტი - „ქ. საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავთ ერთობით თავაურთ უფროსნო და თავაურთ თემის ხალხნო. ჩუენ მიერ მრავალი სიყვარულით აღსავსე მოკითხვა მოგხსენდეს... თქუენც ჩვენს მამათ-პაპათ წინაშე ბევრი ერთგულება გაგიწევიათ, და იმათაც მაგიერი წყალობა უქმნიათ, რომ თქუენს ზოგიერთს ოჯახში ჩუენის მამათ-პაპათ წყალობის წერილები ისევ გაქუსთ, მოიგონეთ თქუენი ძველი ერთგულება და მეფის ირაკლის თქუენზედ დიდი სიყვარული და მამაშვილური შეტკბობა, და თქუენც ჩუენის სამეფოს სახლისათვის თავს ნუ დაზოგავთ. რომელნიც ამისთანას დროს ჩუენს ოჯახს და ჩუენ გამოგვადგებით. ჩუენნი მამანიც თქუენ იქმნებით, ძმანიც და შვილნიც და ჩუენი დიდებაც თუ რამ გუექნება თქუენი იქნება. ზოგიერთს ჩუენის ოჯახის მტერს თქუენ ნუ დაუჯერებთ. ციბირელმა კაცმა რა იცის თქვენს პატივი, ჩუენ ვიცით. მაგ მთებზედ ყოველგან მოგვიწერია. თქუენც როგორც უწინ ირჯებოდით, ახლაც ისე გაისარჯენით და თავს ნუ დაზოგავთ და ეგ ჩუენის უსამართლოს მტრისა და თქუენის მტრის გზები წაახდინეთ, რომ მაგ გზებზედ წამსვლელ მომსვლელი მოსწყდეს. და საქართველოში მყოფის რუსისა ჩუენ ვიცით...“¹

სამწუხაროდ, რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული ეროვნული მოძრაობები საქართველოში წარუმატებელი აღმოჩნდა.

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ შეიქმნა ცენტრალური, რუსეთის გუბერნიების მსგავსი მმართველობა. ქართლ-კახეთის სამეფო ხუთ მაზრად გაიყო. თრუსო, ისევე როგორც ხევი, ღუშეთის მაზრაში გაერთიანდა.

¹ სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, დოკუმენტი#341.

თავი IV. თრუსოს ხეობის კულტურული იდენტობის პრობლემები ევროპულ დიპლომატია და მოგზაურთა ჩანაწერებში

თრუსოს ხეობის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებისა და ისტორიული წარსულის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ნარატიულ და სხვა სახის წყაროებში. თრუსოს ხეობაზე დაკვირვებები აქვს რუსეთის საიმპერატორო აკადემიისა და რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ეგიდით კავკასიაში ჩამოსულ ევროპელ, რუს და სხვა სწავლულებს, მოგზაურებსა და ვაჭრებს.

უცხოელ ავტორთა ცნობების ერთი ნაწილი შესულია, ზოგადად, კავკასიის, ან საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ მასალებში, რომლებიც გამოცემულია თრუსოს ხეობის კვლევის სხვადასხვა ეტაპზე ქართველი მეცნიერების მიერ. ცნობების ნაწილს კი პირველად ვიყენებთ თრუსოს ხეობის კვლევის კონტექსტში.

ჩვენი მიზანია შევისწავლოთ უცხოელი ავტორების მრავალრიცხოვანი ცნობები, რომლებიც ხეობის ინტერდისციპლინარული კვლევის საშუალებას იძლევა და მნიშვნელოვან საისტორიო წყაროებს წარმოადგენენ თრუსოს ხეობის შესასწავლად.

ის, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველოს არაერთი ევროპელი მოგზაური, დიპლომატი თუ ვაჭარი სტუმრობდა და მათ ჩანაწერებში მნიშვნელოვანი და საინტერესო ცნობებია დაცული საქართველოს იმდროინდელი ისტორიული რეალობის, ხალხის ყოფაცხოვრების შესასწავლად, ზრდის ამ ავტორების თხზულებების, როგორც პირველწყაროს მნიშვნელობას.

ქართველი და კავკასიელი ხალხების შესწავლით დაინტერესებულ უცხოელ მკვლევართა და მოგზაურთა შორის, თვალსაჩინო ადგილი დაიკვიდრა გერმანელმა სწავლულმა, პროფესიით ექიმმა და ბუნებისმეტყველმა, რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრმა, **იოჰან გიულდენშტედტმა**. მან 1770-1773 წლებში იმოგზაურა კავკასიაში, მოიარა ყიზლარის მხარე, ყაბარდო, ოსეთი და საქართველო¹. გიულდენშტედტი დაწვრილებით აღწერს თავისი მოგზაურობის მარშრუტს, ასახელებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის დასახლებულ პუნქტებს, მათ შორის მანძილს და ადგილობრივი თემების მმართველ პირებს – „4 ოქტომბერს კობიდან სიონამდე [ვიარეთ] 2 საათი, აჩხოტამდე კი – ½ საათი. აქ პირველად [გავედით] თერგზე და შემდეგ გავემართეთ სტეფანწმინდისკენ, რომელიც უკანასკნელი ქართული სოფელია და არის საჯდომი ქართველი აზნაურისა, რომელიც თვალყურს ადევნებს სასაზღვრო სოფლებს და მეფის მიერ მიღებული აქვს ყაზბეგის ტიტული“.²

ფასდაუდებელია გიულდენშტედტის ცნობები თრუსოს ხეობის ბუნებრივ რესურსებზე – „ტყვიის ძარღვები არის აგრეთვე ზევით თერგზე, ქართულ მხარეში, ხევში, ძველი ციხის დარიალის მიდამოებში. ამ მხარეში, სტეფანწმინდასთან, ხშირად გვხვდება აგრეთვე მარკაზიტი და გოგირდის ალმადანი ბუდეების სახით ფიქალში.“³

თრუსოს ხეობაზე საუბრისას გიულდენშტედტი ასახელებს ქართველებით და ოსებით დასახლებულ სოფლებს (რესი, სივერაუტი, გიმარა, ცოცოლტა, ბურმასეკი, ხუძანი ან

¹ ვახტანგ ითონიშვილი, იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ცნობები ქართველ მთიელთა შესახებ, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ტომი VIII, თბილისი, 2006, გვ. 4.

² გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, თბილისი, 1962, გვ. 179.

³ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 65.

კარათყაუ, ვალანდებძე, დალაგდენძე,¹ ბარსი², სუათისი, აბანო, კეთრისი). მისი მითითებით, ეს მხარე არაგვის ერისთავის მფლობელობაში შედიოდა, თუმცა, ძლიერი და მეფისადმი ურჩი საერისთავოს გაუქმების შემდეგ, ქართლ-კახეთის მეფეს, ერეკლე II-ს დამორჩილდნენ. წინათ კი, თრუსოს რაიონი ყოველთვის ცნობდა ქართველ მეფეებს და დამოკიდებული იყო მათ მიერ დანიშნულ ხევის მმართველებზე. ის ყურადღებას ამახვილებს ხეობაში მცხოვრები ქართველებისა და მოგვიანებით აქ დასახლებული ოსების სამეურნეო საქმიანობისა და ყოფითი კულტურის მსგავსებაზე.

გიულდენშტედტი საყურადღებო ცნობას გვაწვდის 1769 წელს კობის მიდამოებში ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორისა და რუსეთის მიერ ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად წარმოგზავნილი გენერლის, ტოტლებენის შეხვედრის შესახებ – „...1769 წლის ივნისში საქართველოში სამოქმედოდ გაიგზავნა გენერალ-მაიორი გრაფი ტოტლებენი, როგორც რუსული კორპუსის მეთაური. აგვისტოში ის 300 კაციანი რაზმით, რომელიც შესდგებოდა ნაწილობრივ კაზაკების, ნაწილობრივ დრაგუნებისა და ჰუსარები-საგან და რამდენიმე ზარბაზნით გაემართა მოზდოკიდან ხევისკენ. ამ მხარეში თერგზე კობთან, პატარა ველზე, რომელსაც **ქართველები ადოს მინდორს უწოდებენ** შეხვდა მას ერეკლე მეფე. აქედან გრაფი მეფესთან ერთად წავიდა თბილისში და ცხინვალში, სადაც სოლომონ მეფეც მივიდა...“³

საინტერესო ცნობები აქვს **დიტრიხ კრისტოფ ფონ რომელს**, გერმანელ ისტორიკოსს, ეთნოგრაფს და ფილოლოგს (1781-1859). ის მუშაობდა მარბურგის უნივერსიტეტში. ამასთან, 1811-1814 წლებში ეკავა ხარკოვის უნივერსიტეტის ლათინური ენისა და სიძველეთა კათედრა, იყო საუნივერსიტეტო საბჭოს წევრი, ხოლო 1813 წელს სიტყვიერების განყოფილების დეკანი. 1815 წელს დაბრუნდა გერმანიაში მარბურგის უნივერსიტეტის პროფესორად.

ნაშრომი „კავკასიის ხალხები“ მან გამოსცა 1808 წელს ვაიმარში, რომელიც იყოფა ორ ნაწილად: (ა) ზოგადად კავკასიის ხალხთა შესახებ და (ბ) კერძოდ კავკასიის ხალხთა შესახებ. მეორე ნაწილში დიტრიხ რომელი აღწერს კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს: ქართველებს (ქართლები, კახელები, იმერლები, გურულები, მეგრელები, სვანები), აბაზებს, ჩერქეზებს, ბასიანებს (ბალყარლები), ოსებს, ქისტებს (ინგუშები), ლეკებს (ლეზგები), თათრებს. ნაშრომს ახლავს დანართი კავკასიის ისტორიისთვის, სურათები და კავკასიის ხალხების ჩაცმულობის განმარტება.

პირველ ნაწილში კრისტოფ ფონ რომელი კავკასიის ბუნების შეფასებას იძლევა: „ბუნებას დედამიწის არც ერთი კუთხე არ შეუმკია მაზე უფრო წარმტაცი ფერებით, ვიდრე კავკასია; მთები, რომელთაც, დასაბამიდან არ მიჰკარებია მზის სხივი, და რომელთათვის უცხოა სხვა ელვარება, თუ არა მუდმივი თოვლისა, თავზე გვირგვინად რომ ადგას; მთაგრეხილი, რომელიც თავის თვალუწვდენელ სიმაღლეზე ცას არ ეპყება და დაბლა

¹ იგულისხმება სოფლები ზემო დესი და ქვემო დესი.

² იგულისხმება სოფელი ზაქაგორი.

³ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტომი II, თბილისი, 1964, გვ.225.

დედამიწას მიჯნავს, ხოლო მთების კლდოვან მისასვლელებთან და ამ მთაგრეხილის ქარაფებს ქვემოთ ადამიანების გუთანი და მწყემსების ხმა ისმის“.¹

კრისტოფ ფონ რომელის ცნობით, „კავკასიელთათვის წმინდაა ტაძრები და ეკლესიები, ხოლო მთებში პოულობენ ძველ ქრისტიანულ წიგნებსა და ხელნაწერებს, რომელიც ბიზანტიიდან და საქართველოდან ვრცელდებოდა. ამჟამად მისი ადგილი მეტწილად სუნიტურმა მაჰმადიანობამ დაიჭირა; მაგრამ არამტკიცედ, რადგან ნამდვილ კავკასიელს არად უჩანს კანონები. კავკასიელები წარმართულ ჩვევებსაც მყარად ინარჩუნებენ – ამის მაგალითია ცხოველების შეწირვის ხშირი შემთხვევები.“²

ავტორი ასევე საუბრობს კავკასიელ მთიელებში შემორჩენილ ტრადიციებზე, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზე. მიუთითებს, რომ აქ შემორჩენილია ძველი ტრადიციები, მემკვიდრეობითი თავადაზნაურობა, უზუცესების პატივისცემა – „რომელთა ძალაუფლება ისევე დიდია, რამდენადაც დიდია მათდამი ნდობა თემისა ან სოფლისა.“³

ქართველების დახასიათებისას ავტორი წერს: „ძველთაგან საქართველოში მრავლად ცხოვრობენ უცხოელები – ნაწილობრივ გაფანტულად, ნაწილობრივ – თავ-თავისთვის. აქ განსაკუთრებით ოთხი ხალხია... პროვინცია სომხეთში – სომხები, ანუ არმენები, რომლებიც ნაწილობრივ ქართულად, ნაწილობრივ სომხურად ლაპარაკობენ, და ტრუხმენები (თურქმენი) თათრები, რომლებიც თურქულად ლაპარაკობენ და ისლამს აღიარებენ. ეს უკანასკნელნი, მომთაბარეთა მსგავსად კარგ მიწებზე, საუცხოო ტყეებში ცხოვრობენ – ზამთარში სოფლად, ზაფხულობით კი თავისუფალ მიწურებში და მესაქონლეობის შემოსავლით ირჩენენ თავს. ქვეყნის ჩრდილოეთში არიან ოსები, რომლებიც ქართველ თავადებს ემორჩილებიან; ებრაელებს კი ყველგან შეხვდებით. ისინი ცხოვრობენ მევიწროების გარეშე. რადგან ქართველთა ჭირს და ღვინის თანაბრად იზიარებდნენ.“⁴

კრისტოფ ფონ რომელი ნაშრომში საკმარის ადგილს უთმობს ხეობის მოსახლეობის სამეურნეო ტრადიციებისა და კულტურის აღწერას, აქაური სოფლების განაშენიანებასა და არქიტექტურაზე მსჯელობას – „ჩვენ გავედით პლატოზე (ამაღლებულ ვაკეზე), რომელიც თითქმის მთლიანად შედგებოდა გაშენებული მინდვრებისგან. ხეობის მოპირდაპირე მხარეს ჩვენ დავინახეთ მთელი რიგი ქართული და ოსური სოფლები, ხოლო მარცხნივ, კლდის მწვერვალზე აღმართული იყო ძველი დედათა მონასტრის ნანგრევები, რომელსაც იცავდა მაგარი ციხე-სიმაგრე. ამ ადგილის სახელია ზიონი (Zion)⁵. მთის ძირში შევამჩნიეთ მინერალური წყაროები, რომლებიც გადმოდიოდნენ ახლომდებარე მდელოზე... კობი, რომელიც არის ბოლო სადგური და მდებარეობს კავკასიონის მაღალი უღელტეხილის ჩრდილოეთ მხარეს, შედგება მხოლოდ ყაზარმებისგან, რომლებიც განკუთვნილია ჯარისკაცებისთვის, კაზაკებისთვის...“⁶

ავტორი ვრცლად საუბრობს ოსების შესახებაც, ახასიათებს მათ ყოფას, ზნე-ჩვეულებებს, სამეურნეო ტრადიციებს – „ოსები კავკასიელები არიან, რომლებიც თოვლიან მაღალ მთებში ცხოვრობენ, ბასიანთა (ბალყართა) მეზობლად, და თავიანთი ღია

¹ დიტრიხ კრისტოფ ფონ რომელი. კავკასიის ხალხები, რედაქტორი ლია მელიქიშვილი, თარგმანი გერმანულიდან ნ. გიომვილისა, თბილისი, 2011, გვ.13.

² დიტრიხ კრისტოფ ფონ რომელი. კავკასიის ხალხები, გვ.15.

³ დიტრიხ კრისტოფ ფონ რომელი. კავკასიის ხალხები, გვ.16.

⁴ დიტრიხ კრისტოფ ფონ რომელი. კავკასიის ხალხები, გვ.26-27.

⁵ იგულისხმება სოფელი სიონი და ეკლესია.

⁶ დიტრიხ კრისტოფ ფონ რომელი. კავკასიის ხალხები, გვ. 50.

წაბლისფერი თმებით, მოწითალო წვერით და მთელი ჩაცმულობით ჩრდილოეთ რუსეთის გლეხებს გვანან. ქართველები მათ ოსებს ეძახიან, ჩერქეზები და თათრები კუშაებს, თვითონ კი თავს ირონებს უწოდებენ. ოსეთი, რომელსაც რუსეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც აღმოსავლეთ საქართველოსთან დამაკავშირებელ ხიდს, გადაჭიმულია თერგის სათავეებიდან მტკვრის ჩრდილოეთ შენაკადებამდე და იმდენად მაღალი მდებარეობა აქვს, რომ ყველა ნაკადული, აღმოსავლეთით და თუ დასავლეთით არაჩვეულებრივად ჩქარ დინებას იღებს. წერითი ხელოვნების ნაცვლად ისინი იყენებენ საჭდე ჯოხებს, რომლებზეც აკეთებენ ნაჭდევებს რიცხვის ან რაიმე საკითხის აღსანიშნავად.”¹

ავტორი აშკარად ცდება, როცა თერგის სათავეები და მტკვრის ჩრდილოეთი შენაკადები დაკავშირებული აქვს ოსეთის ლოკალიზაციის საკითხთან და ადგილობრივ მოსახლეობას მთლიანად ოსებად მიიჩნევს. მაშინ, როდესაც იმავე პერიოდის ისტორიული დოკუმენტებით, სხვადასხვა სახის ქართული და უცხოური წყაროებით დაზუსტებულია, რომ საუკუნეების მანძილზე ეს რეგიონი საქართველოს სამეფოს ნაწილი იყო, ხოლო ისტორიულ-გეოგრაფიულად ქართლის მთიანეთს წარმოადგენდა - ადგილობრივი ქართული და მიგრირებული ოსური მოსახლეობით.

კრისტოფ რომელი კიდევ ერთ წინააღმდეგობრივ უზუსტობას ავითარებს თავის ნაშრომში. აცხადებს, რომ „ოსეთის აღმოსავლეთ საზღვართან მდებარეობს კავკასიის ჭიშკარი და სასაზღვრო ციხესიმაგრე დარიალი (დარი-ალან – ალანების კარი), რომელიც მცირე რაზმით, გარკვეული გამაგრების შემდეგ, აუღებელი და დაუძლეველი მთის ვიწრობი იქნებოდა“. თუ ავტორს დაუჯერებთ და ოსეთი გადაჭიმულია თერგის სათავეებიდან მტკვრის ჩრდილოეთ შენაკადებამდე, ასევე თრუსოს ხეობას, ხევს და დარიალს თვლის ოსეთის ნაწილად, მაშინ გაუგებარია, დარიალის ორივე მხარეს მცხოვრები ოსები ვისთვის აგებდნენ მიუვალ და აუღებელ ციხესიმაგრეს?

ჩვენი ავტორი იცნობს ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას და აცხადებს, რომ „ოსების ყველაზე საყურადღებო ტომია ღუგორები (დიგორები), ჩერკესეები და დომფარები. დიგორებში, რომლებიც ქვეყნის ჩრდილოეთში ცხოვრობენ, გავრცელებულია მსხვერპლმეჭირვის ადათი. რაიმე საქონელს დაკლავენ ხოლმე, ძვლებს – ტაძარს, ან საკურთხეველს აძლევენ, თვითონ კი ხორცს მიირთმევენ. დიგორებს მიაკუთვნებენ პატარა მშვიდობიან ხალხს ჩერქესეებს. ამათ უჭირავთ ნაკურთხი ჭალა, რომელიც კომლებს შორისაა განაწილებული. ყოველწლიურად ისინი მართავენ ებრაული ტალავრის დღესასწაულის მსგავს 8 დღიან ზეიმს და მოგზაურს ან გამვლელ-გამომვლელს სტუმართმოყვრულად აიძულებენ მონაწილეობა მიიღოს მასში, ერთ-ერთი რომელიმე ოჯახი კი კისრულობს გამასპინძლებას“.² ავტორი კიდევ ერთხელ ცდება და ჩერქეზებს ჩერქესეებად და ოსებად მიიჩნევს, ეს პატარა მონაკვეთიც კი მიუთითებს კ. რომელის თხზულებაში არსებულ უზუსტობებზე და მისი ცნობების უკრიტიკოდ გაზიარება და სამეცნიერო-კვლევითი მიზნით გამოყენება მიზანშეწონილი არ უნდა იყოს.

1891 წელს გერმანელმა მოგზაურმა და გეოგრაფმა **გოტფრიდ მერცბახერმა** მოაწყო ექსპედიცია კავკასიონზე, ხოლო 1901 წელს გამოაქვეყნა ორტომიანი ნაშრომი – „კავკასიის მაღალმთიანი რეგიონებიდან“. ნაშრომში წარმოდგენილ მრავალრიცხოვან ცნობებსა და

¹ დიტრიხ კრისტოფ ფონ რომელი. კავკასიის ხალხები, გვ.57-58.

² დიტრიხ კრისტოფ ფონ რომელი. კავკასიის ხალხები, რედაქტორი ლია მელიქიშვილი, თარგმანი გერმანულიდან ნ. გიოშვილისა, თბილისი, 2011, გვ. 60.

საფუძვლიან გამოკვლევებს კავკასიის შესახებ თან ახლავს მოგზაურობის აღწერები, დასკვნები და შემოვლილი რეგიონების კარტოგრაფია და ილუსტრაციები (ნახატები, ესკიზები), მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფოტომასალა თრუსოს ხეობაში მცხოვრებთა ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ. მერცხაური სხვადასხვა დოკუმენტებზე დაყრდნობით წერს, რომ ჩერქეზებმა ოსების ნაწილი აიძულეს თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე, მათ შორის, თრუსოს ხეობაშიც გადმოსახლებულიყვნენ.¹

XIX საუკუნის ფრანგმა მხატვარმა **ანრი პიერ ლეონ ფარამონ ბლანშარმა**² (1805-1873) იმოგზაურა კობსა და მის მიმდებარე სოფლებში და აღწერა იქაური ბუნებრივი გარემო და არქიტექტურული ძეგლები, თავდაცვითი ნაგებობები და სისტემები – „სადგურიდან რამდენიმე ვერსზე ხეობა ფართოვდება, თერგი დუღს თავის განიერ, მისივე წყლებით მოტანილი კლდის ნატეხებით დაფარულ კალაპოტში, მაგრამ მალე ორ კლდეს შორის ექცევა და ვიწროვდება; ამ კლდეების მწვერვალებზე აღმართულია ძველი ქართული ციხესიმაგრეები, რომელთაგან ერთი, მარცხენა სანაპიროზე, თითქმის მთლიანად დანგრეულია და ორსეთი ეწოდება. მის ძირას მდებარეობს პატარა სოფელი. მარჯვენა სანაპიროს სიმაგრე, სიონად წოდებული, უკეთეს მდგომარეობაშია და საკმაოდ დიდი დასახლებითაა გარშემორტყმული; აქვეა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. ამ წმინდანს საქართველოში დიდად ეთაყვანებიან.“³ ჩვენი აზრით, ბლანშარის ცნობებში დადასტურებულია გორისციხე და სიონის კოშკი, რომლებიც თერგის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე მდებარეობენ.

საკვლევი თემის შესახებ ცნობები დაგვიტოვა შვეიცარიელმა სწავლულმა **ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ**. მან 1831-1834 წლებში იმოგზაურა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე, ყირიმსა და ამიერკავკასიაში. შედეგები გამოაქვეყნა 1839-1845 წლებში, ექვსტომიან ნაშრომში. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ცნობები მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტების - კობი, მნა, ოქროყანა, Noa-kau⁴, უხათის (Oukhaté-don) და დღეისთვის განადგურებული ტაძრების (კობი), ქრისტიანული სალოცავების, საყარაულო კოშკებისა და სიმაგრეების (ოქროყანა, კობი), სანადირო ადგილებისა და სამიწათმოქმედო ტრადიციების შესახებ. მონპერე აღნიშნავს, რომ ხეობაში მოჰყავდათ ქერი, რომელიც აქ გავრცელებულ ერთადერთ მარცვლულ კულტურას წარმოადგენდა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული მონაცემები ეხება არა საკუთრივ თრუსოს ხეობას, არამედ კობის ქვაბულის სოფლებს – კობი, ოქროყანა, ახალსოფელი და მნის ხეობა.

დიუბუა დე მონპერე აღწერს ხევის ბუნებრივ პირობებს და მიუთითებს მეურნეობის გარკვეულ დარგებზეც – „კობიდან 4-5 ვერსის დაშორებით, მჟავე და გოგირდოვანი წყლები ამოედინება. მრავალრიცხოვანმა წყაროებმა, რომელთა უმრავლესობაც რკინანარევიანია,

¹ ხვთისო მამისიმედიშვილი. გოტფრიდ მერცხაური კავკასიის მაღალმთიანი რეგიონების შესახებ, კრებული: „კადმოსი“, ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი, N4. თბილისი, 2012, გვ. 431-452.

² კავკასიაში ბლანშარი ახლად დანიშნული მეფისნაცვლის, ალექსანდრე ბარიატინსკის მოწვევით მასთან ერთად ჩამოვიდა (მარშრუტი საქართველოში: ლაგოდეხი, ყვარელი, თელავი, წინანდალი, თბილისი, მცხეთა, დუშეთი, ანანური, კაიშაური, ყაზბეგი, დარიალის ხეობა, ლარსი).

³ ბლანშარი. ფ. მოგზაურობა ტფილისიდან სტავროპოლამდე დარიალის ხეობის გავლით, 1858, ფრანგულიდან თარგმნა ნინო გაგოშვილმა, კავკასიის ფრანგული დღიური, თბილისი, 2018, გვ. 141-145.

⁴ იგულისხმება ახალსოფელი .

ხეობის ორივე ფერდობი, ქ. კარლსბადის მსგავსად, ტუფით ან ყვითელ-წითელი ნალექით დაფარა. მათი ტემპერატურა მხოლოდ 7-8 გრადუსია. გაზაფხულის მშვენიერ ფურისულასა და ჭაობის გულყვითელებთან ერთად, ყველგან გვხვდება ლამაზი ყვითელი ყვავილი, რომელსაც ამ მხარის მკვიდრნი საკვებად იყენებენ. თვითონ მდინარე თერგი, დასავლეთით ქერის მინდვრებით დაფარული ფართო და ლამაზი ხეობით იშლება, თავისი სოფლებითა და ოქროყანის კოშკის ხედით. ხეობის ძირი აქ უეცრად ვიწროვდება და მრავალი ვიწრო ხეობით განტოტდება. ხეობები მოიცავენ თრუსოს (Tourso) ოსურ დასახლებას, რომლის შემადგენლობაშიც შედის კობი.¹

სამხრეთით, მდინარე თერგის მარცხენა ფერდობებზე, მწვანედ ახასხასებული მინდვრები იშლება და იქაურობა ნამდვილ საჭადრაკო დაფას წააგავს. სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით, ამ მხარეში ყველგან ქერისა და შვრიის კულტურებია გაშენებული, გარდა იმ ადგილებისა, სადაც თითქოს თვითონ ბუნება მიმართავს უმიშარ მხვნელ-მთესველს: „შეჩერდი, თუ გსურს იქით იბატონე, მაგრამ მცირე ადგილი მაინც დაუტოვე ჩემს არჩევებსა და ჯიხვებს.“²

გერმანელი მეცნიერ-მოგზაური **აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი** კავკასიაში 1843 წელს იმყოფებოდა. მისი ცნობები მრავალფეროვანია. ისინი ეხება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების არაერთ ნიშანდობლივ მხარეს – პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სოციალურს, ეთნოგრაფიულს. ჰაქსტჰაუზენი ახასიათებს მოსახლეობას, საცხოვრებლის ტიპებს, სოციალურ ფენებს, საამქრო წყობას და რუსული სამხედრო ძალის დამკვიდრებას³. ჰაქსტჰაუზენი არ კმაყოფილდება ფაქტების უბრალო კონსტანტირებით – გვთავაზობს საკუთარ დასკვნებსაც. მისი ცნობების სანდოობა შეგვიძლია შევამოწმოთ იმავე პერიოდის სხვა მოგზაურ-ავტორთა მონაცემებითაც (კარლ კოხი, მორიც ვაგნერი, კოცებუ და სხვ.), რომლებმაც ასევე ვრცელი აღწერილობები დაგვიტოვეს საქართველოსა და, კერძოდ, თრუსოს ხეობის შესახებ.

ცალკე თავს უძღვნის ჰაქსტჰაუზენი საქართველოში მცხოვრები ოსების ყოფასა და ტრადიციებს. ის ოსების წეს-ჩვეულებებში, გარეგნობაში, სამედიკატორო სასამართლოსა და მემკვიდრეობის წესის შესრულებაში, საოჯახო ინვენტარში, სამიწათმოქმედო იარაღში, ვახშმობისა და ქორწინების ზოგ წესში, მათ სახლებშიც კი, ხედავს მსგავსებას გერმანელებთან. ამიტომ ცდილობს მიმოიხილოს ამ ორი ხალხის „საერთო“ წარმომავლობისა და მიგრაციის საკითხები.⁴ ჰაქსტჰაუზენი საუბრობს ოსების საქართველოსთან კავშირის ისტორიულ და კულტურულ ასპექტებზეც.

საინტერესოა ჰაქსტჰაუზენის ცნობა რუსული მმართველობის ეკონომიკური ხასიათის შესახებაც: რა სახის გადასახადებით იბეგრებოდა მთის მოსახლეობა, რა მექანიზმებს ფლობდა ხელისუფლება ადგილობრივთა სამართავად და, საერთო ჯამში, რამდენად ხელეწიფებოდა იმპერიის მოხელეებს მორჩილებაში ჰყოლოდა მოსახლეობა (კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია ოს მოსახლეობაზე) – „ოსთა ერთი პატარა ნაწილი გადაეცა აგრეთვე

¹ Frederic Dubois De Montpereux, Voyage autour du Caucase, Tome. IV, Paris, 1840, pg.261-262. პროექტის ფარგლებში თრუსოს შესახებ ცნობები ფრანგულიდან სპეციალურად თარგმნა მარიამ ფარემიშვილმა.

² Frederic Dubois De Montpereux, Voyage autour du Caucase, pg. 264.

³ აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი. საქართველოს შესახებ XIX საუკუნის პირველი ნახევარი, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბილისი, 2011. გვ. 18.

⁴ აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი. საქართველოს შესახებ XIX საუკუნის პირველი ნახევარი, გვ.155.

თავად ყაზბეგს. მაგრამ მფლობელობა ძალიან სუსტი იყო, რადგან ოსები მანამ ემორჩილებოდნენ, სანამ სურდათ და სამსახურსა და გადასახადებს მხოლოდ მაშინ იხდიდნენ, როცა შიში აიძულებდათ. რუსული მფლობელობისას ცოტა მეტი წესრიგი დამყარდა მორჩილების თვალსაზრისით. იქ, სადაც რუსი ჯარისკაცები ან კაზაკები გამოჩნდებოდნენ, ოსური სოფლები იხდიდნენ სახელმწიფო გადასახადს, რაც თითო კომლზე შეადგენდა 2 კოდ ხორბალს, 1 კოდ ქერს, ხოლო პოლიციის, ფოსტის, ხიდის და ა.შ. – 8 აბაზს (= 1მან. და 60 კაპ.). სოფლები მთელი ამ ოდენობისთვის სოლიდარულად აგებდნენ პასუხს. მაგრამ ქვეყნის შიგნით, უგზო მთებში, ე.წ. სახაზინო გლეხები სინამდვილეში არაფერს იხდიან...”¹.

ჰაქსტჰაუზენის ჩანაწერები ასევე მნიშვნელოვანია მხარის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის გარკვევის, ასევე, ოსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობის ხასიათის განსაზღვრის თვალსაზრისითაც – „ჩვენ გავიარეთ სოფლები, რომლის მოსახლეობას შეადგენდნენ როგორც ქართველები, ისე ოსები. სახლების მშენებლობის განსხვავებული ტიპი გვამცნობს მოსახლეობის სხვაობას. შემდეგ შემოგვხვდა ოსური სოფლები, რომლებიც მთების კალთებზე მდებარეობდა. რაც უფრო ეშვებით ქართლის ვაკისკენ, მით უფრო დიდია ოსური სოფელი; ზემოთ, მთებში პატარაა და შეიცავენ 20-30 კომლს. უფრო მაღლა კი მხოლოდ 5-6, ეზო-კარი ქმნის სოფელს. მთლად მწვერვალზე კი ცალკეული, გარეგნულად ციხის მსგავსი საცხოვრებელი (გალავანშემოვლებული დიდი კოშკი) თუ დგას. შუა ქედებზე პატარა სოფლებს ქმნის მთლად ერთმანეთზე მიჯრილი სახლები, რომლებიც ამფითეატრისებურად არის კალთებზე შეფენილი. ყველა გამაგრებულია შუაში ძლიერი კოშკით, ანდა ყოველ ეზოში მთავარი შენობა აღმართულია მაღალ, ქვის უფანჯრო საძირკველზე; ან კიდევ მთელ სოფელს ირგვლივ არტყია გალავანი პატარა კოშკით. საკარმიდამოს მთავარი შენობა მიყრდნობილია ფერდზე და შედგება სამი-ოთხი სართულისგან. ქვემოთ არის დიდი დარბაზი, თავლა და საქონლის სადგომი. გარედან კიბეს ავყავართ მეორე სართულზე, მერე მესამე და მეოთხე სართულებზე, რომელთაც წინ ყოველთვის აქვთ პატარა ღია მოედანი, მოთავსებული ქვედა წინგამოწეულ სართულზე, ხოლო გვერდით კი პატარა ეზო, რასაც ქმნის ფერდის დახრილობა. ზოგჯერ ყველა სართულზე გაცილებით მაღლა, შუაში აღმართულია მტკიცე ქვის კოშკი. ქვედა მხარეებში ყოველი კარ-მიდამო შედგება ორსართულიანი შენობისა და ეზოებისგან. ქვედა სართული, ანუ, უფრო უკეთ, ქვემოთ შენობა წარმოადგენს საქონლის სადგომს (თავლას). უკანა მხარით ის შეჭრილია მთაში; მის უკანა და გვერდითა კედლების ერთ ნაწილს მთის ქანები შეადგენს. საკმაოდ ვრცელი ჩაკეტილი ეზო, ამ სადგომთა წინ რომაა, შეიცავს ნაკელის დასაყრელ ადგილს; აქვე აწყვია გუთანი (სახნისი), მარხილი. ურმები აქ არ იციან. აქედან კიბით ავლივართ მეორე ანუ უკანა მინაშენში, რომელიც ცოტა ღრმადაა შეწეული; მისი უკანა მხარე, თუკი ასევე ღრმად არაა მთაში შემჯდარი, ყოველ შემთხვევაში მასშია ამოყვანილი ისე, რომ მხოლოდ მთა ქმნის მის კედელს. ეს უკანასკნელი მეტწილად წარმოადგენს სახლის კედლის ნახევარს. მეორე ნახევარი აშენებულია ერთმანეთზე დაწყობილი ძელებით, ისე როგორც სახლის დანარჩენი სამი კედელი. ყველა სახლი ძელურია, ე.ი. ერთმანეთზე დადებული, ოთხივე კუთხეში ერთმანეთში გაყრილი ძელებითაა ნაგები. ამ მეორე სართულს, ანუ მთავარ საცხოვრებელ შენობას, ასევე აქვს ეზო, მაგრამ არა წინ, სადაც მხოლოდ ვიწრო

¹ აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი. საქართველოს შესახებ XIX საუკუნის პირველი ნახევარი, გვ. 19.

ფართოა, არამედ გვერდით. ამ ეზოში დგას სხვადასხვა ნაგებობა; ზოგი მოსავლის შესანახია, ზოგიც ცალკე საკნებია სხვადასხვა წყვილთათვის. თითო წყვილს, რომელთა რიცხვი ხანდახან 6-ია და ერთ ეზოში ცხოვრობენ, საკუთარი ოთახი გააჩნია. ყოველი ასეთი ოთახი ნესტისგან რომ იქნას დაცული, დგას მიწიდან 4-6 ფუტი სიმაღლის ოთხ საყრდენზე. არცერთ ნაგებობას არა აქვს სახურავი; ყველანი გადახურულია ძელებით, რაც ზემოდან კორდიტაა გადაფარული. ყველა კარი, რომლებიც კი აქაურ სოფლებში ვნახე, ერთი და იმავე ფორმისაა და აქვს საკმაოდ ოსტატურად ნახელავი ხის საკეტი (ურდული). მთავარი შენობის წყობა ყველგან ერთნაირი როდია: გარედან შედისარ ჯერ ერთგვარ ღია დარბაზში; აქვეა გვერდით კალო, სადაც ხარები მარცვალს თელავენ, ოღონდ ისე კი არა, როგორც ქართველებთანაა მიღებული – სალენით. სხვა კავკასიელ ხალხებთან კალო მხოლოდ თავისუფალ ადგილას ვნახე სოფლებში და მათ გარეთ. დარბაზიდან შედისარ ჩვეულებრივ საცხოვრებელში (გოზარ). ესაა დიდი სათავსი, რომელსაც ზემოთ აქვს ერთგვარი ხის საკვამური ოთხკუთხა ღია ჭრილით გამავალი სახურავში. ამ ჭრილის ქვეშ, ორ დიდ ქვას შორის სწორ მიწაზე მოთავსებულია კერია, რომელზეც ზემოთ გადებული ძელიდან ჩამოშვებული რკინის კაუჭზე მუდმივად ჰკიდია ქვაბი (მთლად ისეთივე ფორმის, როგორც ვესტფალიისა და ქვემო საქსონიის გლეხთა სახლებში). ფანჯრები არსადაა, მხოლოდ პატარა ოთხკუთხა ჭრილებია. კერიასთან ზემოთ ყოველთვის დგას ოჯახის უფროსის ხის სავარძელი... კედლებთან დგას უბრალო სკამები, ყველა სამფეხა, რომლებიც კერიასთან პაპის სავარძელთანაა მიწყობილი და მხოლოდ კაცებისთვისაა განკუთვნილი. ქალები, თვით დიასახლისიც კი, მეტწილად მიწაზე სხდებიან.“¹

ჰაქსტჰაუზენის მიერ აღწერილი ყოფითი ცხოვრების ამსახველი რეალობა დამახასიათებელია არამარტო ოსური მოსახლეობისთვის, არამედ გვხვდება საქართველოს სხვა რეგიონების მცხოვრებთა ტრადიციებშიც. მაგალითად, ხევის ტრადიციულ ყოფაზე საუბრისას, ვალერიან ითონიშვილი აღწერს მსგავს საცხოვრებელ გარემოს: მიჯრილი სახლები და მისი გადახურვა, ერთგვარი ღია დარბაზები, მარცვლის სალენავი კალო, ეზო, შინაური ცხოველების სადგომი და ა. შ.²

ჰაქსტჰაუზენი ასევე აღწერს ძველი სალოცავების – ქრისტიანული ტაძრების მდებარეობას და მათი აგების წესს. მიუთითებს, რომ ტაძრების უმრავლესობა დანგრეულია და არ ფუნქციონირებს, თუმცა, მოსახლეობისთვის კვლავაც რჩება თაყვანისცემის ადგილად, სადაც ტარდება გარკვეული რელიგიური რიტუალებიც – „მას შემდეგ რაც გავიარეთ რამდენიმე სოფელი და ვნახეთ კარმიდამოები, ავედით მაღალ შიშველ მთაზე, რომელსაც უნაგირის ფორმა აქვს. ამ მთის მაღალ შვერილზე იყო მონასტრისა და ერთი ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევები. ესენი ამჟამად წარმოადგენს ძალზე განთქმულ მოსალოც ადგილს ყველა ქრისტიანი ოსისთვის...“³

¹ აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი. საქართველოს შესახებ XIX საუკუნის პირველი ნახევარი, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბილისი, 2011, გვ.157.

² ვალერიან ითონიშვილი. მოხვევების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1970, გვ.158.

³ ოსეთში საკმაოდაა ქვის ეკლესიები გაბნეული, ოღონდ მეტწილად ნანგრევებიდაა. თითქმის ყველა განმარტოებით დგას. თვით სოფლებში არსად გვხვდება. მათი შენება მიეწერება თამარ მეფეს, რომელსაც ოსებში ქრისტიანობა უნდა შეეტანა 1171-1198 წლებს შორის. ქრისტიანი მღვდელი მხოლოდ საქართველოს საზღვრებთან გვხვდება, ხოლო დაბადებით ქრისტიანი ოსი მღვდელი არ არსებობენ. აღნიშნულ ნანგრევებს ხალხი ყველგან დიდ პატივს სცემს (მიდიან სალოცავად), ასევე ყველა გამვლელ-გამომვლელი. ამ ძველ ეკლესიებს ოსები ეძახიან „ძუარ“-ს, რაც ქართულ ჯვარს

ჰაქსტჰაუზენი მიუთითებს მეზობელ ოსებზე საქართველოს კულტურულ გავლენაზე – „მათ (ოსებს) არა აქვთ საკუთარი დამწერლობა, არამედ მიიღეს ქართული, რომელიც, თავის მხრივ, ქრისტიანობის შემოსვლისას გაჩნდა. ამ ენაზე დაიწერა და დაიბეჭდა მხოლოდ ზოგი ქრისტიანული რელიგიური ტექსტების ფრაგმენტები.“¹

საინტერესო ცნობებს გვაწვდის კიდევ ერთი ინგლისელი მხატვარი, დიპლომატი და მოგზაური **რობერტ პორტერი**. მან რუსეთის საიმპერატორო კარის დახმარებით 1817–1820 წლებში კავკასიაზე გავლით აზიის ქვეყნებში იმოგზაურა. მოგზაურმა მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვა საქართველოს შესახებ. შეისწავლა ძველი თავდაცვითი ნაგებობები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის უსაფრთხოებისათვის – „ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო შუა ხეობაში, თითქმის იზოლირებულ კლდეზე მდებარე ციხის ნანგრევებმა, რომელიც აღმართულია იმ პირქუში ხეობის თავზე, რომელიც ჩვენ გავიარეთ... ნანგრევები შედგებოდა ერთი მყარი კვადრატული კოშკისგან, რომელსაც გარს ერტყმოდა სქელი მასიური კედლები. ასევე, ამ კედლებით გარშემორტყმული იყო სივრცე, რომელიც საკმარისი იყო რამდენიმე ასეული ჯარისკაცის გარნიზონისთვის. ეს გავდა ხეობის ციხესიმაგრეს“ და „ყველა წერტილში, სადაც კლდეებია შეიძლება მოსახერხებელი თავშესაფარი ყოფილიყო ნებისმიერი გამოცდილი მტრისთვის, დამხმარე თავდაცვითი ნაგებობების ნანგრევები ჩანდა. კოშკის მიღმა არსებულ მთაზე გაჭრილი იყო არხი, გარნიზონის წყლით მომარაგების მიზნით... მიწისქვეშა გადასასვლელი ციხიდან მდინარის ნაპირზე ეშვება, რაც სავარაუდოდ, აკავშირებს სხვა შენობა-ნაგებობებთან, რომლებიც შეიძლება განთავსებული იყოს იმისათვის, რომ ხეობაში შესასვლელი გზა დაუყოვნებლივ გადაკეტონ.“²

რობერტ პორტერი სარგებლობს მისი წინამორბედი მოგზაურების თხზულებებით და აღნიშნავს, რომ გარდა საერთო თავდაცვითი სისტემისა, ძნელად მისადგომ გამაგრებულ პუნქტებს წარმოადგენდა თითოეული დასახლება. საგულისხმოა, რომ რ. პორტერის მომდევნო მოგზაური რობერტ ლაიელიც მსგავს ინფორმაციას გვაწვდის- „ჩვენ შევნიშნეთ უამრავი სოფელი კვადრატული ფუძის და პირამიდული სახურავის მქონე კოშკებით, რომლებიც გარშემორტყმული იყო კედლებით. ეს კოშკები წარმოადგენდნენ იმ შორეული პერიოდების ადგილობრივ ციხესიმაგრეებს, როდესაც მთაში მცხოვრები სხვადასხვა ტომები აწარმოებდნენ ბრძოლებს ერთმანეთის წინააღმდეგ.“³

რ. პორტერი ასევე აღწერს დარიალის⁴ ხეობას, რელიეფს, ბუნებრივ პირობებს – „უფსკრული მდინარის ნაპირიდან ათასი ფუტის სიმაღლეზე აღის. მისი გვერდები

ნიშნავს. ხელით პირჯვრის გამოსახვა, რაც სლავებთან ასე მნიშვნელოვანი ლოცვის წესია, ოსებმა არ იციან (ეს ქართველებთან და სომხებთანაც იშვიათია). ოსები ხანდახან გამოსახავენ პირჯვარს წარმართული ცერემონიებისას. როცა ისინი ახალ მთვარეს ხედავენ, ხანჯლით ჰაერში ჯვარს მოხაზავენ. ვარდნილ ვარსკვლავს რაღაც წმინდად მიიჩნევენ და უწოდებენ „ჯვარათაქტი“-ს, ე.ი. მფრინავ ჯვარს [ჯერ კიდევ VII-VIII სს-ში ოსეთი შედიოდა ქართლის კათალიკოსის სამწყსოში. ქართლის ცხოვრება, ჯუანშერი, გვ.232-გ.გ.], აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი. საქართველოს შესახებ XIX საუკუნის პირველი ნახევარი, გვ. 190.

¹ აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი. საქართველოს შესახებ XIX საუკუნის პირველი ნახევარი, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბილისი, 2011, გვ. 190.

² Lyell Robert. Travel to Russia, Crimea, Caucasus and Georgia. London, T.1, 1825, pg. 472 (ინგლისურ ენაზე) თრუსოს შესახებ ცნობები ჩვენი პროექტის ფარგლებში სპეციალურად თარგმნა ქეთევან ამირეჯიბმა,

³ Lyell Robert. Travel to Russia, Crimea, Caucasus and Georgia, გვ. 469.

⁴ დარიალი მოხსენიებულია როგორც დარიელი.

ნაპრალებად და შვერილებად არის გაყოფილი, რომლებიც მუქი და პირქუშია. ის იმდენად მაღალი, იმდენად ახლო, და ისეა გადმოკიდებული, რომ შუადღისასაც კი ყველაფერი ჩრდილით არის მოცული... კლდოვანი, დასერილი და თოვლით დაფარული; გადაჭიმული აღმოსავლეთით და დასავლეთით, თვალთახედვის არიდან შორს, რომლებიც მაღლა ცისკენ ატყორცნილან... ეს არის სულის შემკვრელი სანახაობა, რომელიც იპყრობს და დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანის გონებაზე ასეთი უზარმაზარი, უძლეველი (ყოვლისმომცველი) სიდიადით”¹

პორტერის დაკვირვებით მთიელები მუდმივად ცდილობენ გააძლიერონ, როგორც თავდაცვის, ასევე შეტევის საშუალებები. ის საგანგებოდ უსვამს ხაზს დარიალის ციხის თავდაცვით მნიშვნელობას – „დარიალის პატარა ციხესიმაგრე იმაზე მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩანს, რადგან იგი მდებარეობს კავკასიის კარიბჭის (Porta Caucasica) ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ადგილას. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო შუა ხეობაში, თითქმის იზოლირებულ კლდეზე მდებარე ციხის ნანგრევებმა, რომელიც აღმართულია იმ პირქუში ხეობის თავზე, რომელიც ჩვენ გავიარეთ... ნანგრევები შედგებოდა ერთი მყარი კვადრატული კოშკისგან, რომელსაც გარს ერტყმოდა სქელი მასიური კედლები. ასევე, ამ კედლებით გარშემორტყმული იყო სივრცე, რომელიც საკმარისი იყო რამდენიმე ასეული ჯარისკაცის გარნიზონისთვის... ყველა წერტილში, სადაც კლდეები შეიძლება მოსახერხებელი თავშესაფარი ყოფილიყო ნებისმიერი გამოცდილი მტრისთვის, დამხმარე თავდაცვითი ნაგებობების ნანგრევები ჩანდა.”²

რ. პორტერი იყო ყაზბეგშიც და აღწერა დასახლება – „ჩვენ ვაგრძელებდით ასვლას და მივალწიეთ სოფელ ყაზბეგს, რომელსაც ჰქვია ამავე სახელწოდების მთის სახელი³, რომლის ძირშიც იგი მდებარეობს. ეს სოფელი შედგება სხვადასხვა ქუჩებისგან, უფრო სწორად ვიწრო ქუჩებისგან, რომლებიც სათანადოდ არ არის დაკავშირებული ერთმანეთთან; ყველა სახლი აშენებულია მუქი ფერის ფიქლისგან, პატარა მრგვალი სახურავებით და გოტიკური სტილის ფანჯრებით, უფრო სწორად ღიობებით და ბრტყელი სახურავებით. მათი უმეტესობა ორსართულიანია, ხოლო ზოგიერთს, იმისათვის რომ ახვიდე მეორე სართულზე, კიბე ესაჭიროება. გარდაცვლილი პოლკოვნიკის, ყაზბეგის სახლი პატარა ციხესიმაგრეს წააგავს, რომელიც მდებარეობს სოფლის ცენტრიდან არც ისე შორს. ეს არის სვეტებზე მდგომი მოგრძო კვადრატული ფორმის შენობა, ორი სართულის სიმაღლის, და გარშემორტყმულია მაღალი კედლით, ადგილობრივი მოსახლეობის ადათ-წესების შესაბამისად. ჩვენ დაგვაბინავეს მისი სახლის ერთ-ერთ ოთახში. ჩვენ ძალიან გვინდოდა სახლის დიასახლისის, პოლკოვნიკ ყაზბეგის ქვრივის ნახვა, მაგრამ, როგორც გვითხრეს, იგი თავს ცუდად გრძნობდა. მისი მეუღლე ადგილობრივი მმართველი იყო, რომელიც მთლიანად რუსეთის სამსახურში იდგა.”⁴

რ. პორტერი საუბრობს ყაზბეგის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე და მიუთითებს, რომ აქაურთა სოლიდური ნაწილი ოსები არიან, რომელთა უმეტესობა

¹ Lyell Robert. Travel to Russia, Crimea, Caucasus and Georgia, გვ. 469.

² Lyell Robert. Travel to Russia, Crimea, Caucasus and Georgia, გვ.472.

³ ამ მთის სახელი სხვაგვარად არის დაწერილი. იგი მოხსენიებულია, როგორც კაზიბეკი, კასი-ბეგი და ღაზი ბეგი. რუსები, რომლებსაც მე ვაკვირდებოდი, მას კაზბეკს ეძახიან. კლაპროთი ამბობს, რომ მას ჰქვია მყინვარი, რაც თოვლის მთას ნიშნავს; ხოლო ოსები მას ეძახიან ცერიტი ცოუბს (Tseritsi-Tsoub), ფიქ დუ ქრისტოს (Pic du Christ), ან აურს-ხოხს (Ours-Khokh), ან თეთრ მთას (White Mountain).

⁴ Lyell Robert. Travel to Russia, Crimea, Caucasus and Georgia. T.1, 1825, pg.479.

ქრისტიანია და ქართველების მოკავშირეებად თვლიან თავს – „ისინი ქართველების მოკავშირეები არიან, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ“.¹

რ. პორტერის ცნობით, ყაზბეგის თვალშისაცემ ნაგებობას წარმოადგენს ტაძარი, რომელიც მდებარეობს მაღალ მთაზე, მისი ძირიდან თითქმის 1500–2000 ფუტის სიმაღლეზე – „ეს ტაძარი, სხვა ეკლესიებთან ერთად, თამარ მეფემ ააშენა დაახლოებით 600 წლის წინ, რომელმაც მის სამფლობელოებში მცხოვრები ხალხი ქრისტიანობაზე მოაქცია“. შემდეგ კი აგრძელებს მგზავრობით გამოწვეული შთაბეჭდილებების გადმოცემას – „ყაზბეგში ცხენების შეცვლის შემდეგ, ჩვენ გავაგრძელეთ გზა, ვტკბებოდით რა ყველაზე დიდებული პეიზაჟებით, რაც კი შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს. ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სიონის (Mount Zion) მთამ, მისმა თოვლით დაფარულმა ქედებმა, მონასტერმა და ციხესიმაგრემ. ისინი წარმოდგენილია სერ გორ ოუსლის მიერ ოსტატურად შექმნილ გრაფიურაზე, რომელიც წიგნის „წერილები კავკასიიდან“ ინგლისური ენაზე მთარგმნელმა გონივრულად წარმოაჩინა თავისი ნაშრომში“.²

რ. პორტერმა გარკვეული დრო დაჰყო სოფელ კობში, მისი ცნობები საინტერესოა იმ მხრივაც, რომ გვაწვდის სხვა პირთა (მოგზაურები, მკვლევარები) შთაბეჭდილებებს კობის შესახებ – „ქალბატონმა ფრეიგანჩმა კობი ისე აღწერა, რომ ზიზღს იწვევს მოგზაურში კობში ჩამოსვლამდე: თუმცა, პოლკოვნიკი ჯონსონის მიხედვით, „ეს პუნქტი კარგად არის აშენებული და მრავალ ვიზიტორსა და მოგზაურს შეუძლია აქ დაბინავება“. ასევე, კობი კარგად აქვს დახასიათებული სერ რობერტ კერ პორტერს. მისი თქმით „ეს პუნქტი, ისევე როგორც სხვების უმეტესობა, შედგება კვადრატული ფორმის ფორტისგან, რომელიც დაცულია მიწაყრილებით, პალისადიებით და ტრანშეებით. რამდენიმე ჭუჭყიანი ოთახი, სადაც საერთოდ არ დგას ავეჯი, გამოყოფილია მოგზაურთა მისაღებად“. ერთადერთი ავეჯი ჩვენს ოთახში იყო სკამი, რომელიც ძალზე ბინძური იყო და, სამწუხაროდ, ფანჯარაც არ იღებოდა. ვინაიდან კობიდან ტყე თორმეტი მილის მოშორებით მდებარეობს, ჩვენ ოთხი მანეთი გადავიხადეთ ერთ შეკვრა შეშაში, რაც საკმარისი იყო სადილის მოსამზადებლად. მაგრამ, როგორც კი ცეცხლი დავანთეთ, ჩვენი ოთახი იმდენად გაივსო კვამლით, რომ გარეთ გამოსვლა მოგვიწია და ჩვენ პირველად ვიგრძენით ჩვენი სამგზავრო ვაგონების ნაკლებობა, რომლებშიც ადრე შესანიშნავად ვისვენებდით. ჩვენ დაველოდეთ ცეცხლის ჩაქრობას, შემდეგ კი სკამზე დავაწყვეთ ბალიშები და დავწექით დასაძინებლად“.³

რ. პორტერი თავის აღწერებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კავკასიის მთიანეთის მოსახლეობის მეომრულ განწყობებს, სოფლების თავდაცვით სისტემებს, რაც არც თუ უმნიშვნელო როლს ასრულებდა ხალხის უსაფრთხოების თვალსაზრისით – „მე ხშირად ვსაუბრობდი კავკასიაში გავრცელებულ მეომრულ განწყობილებაზე. იქ, მართლაც, თითქმის ყველა სოფელს შეიძლება გამაგრებული ვუწოდოთ. ეზოებს გარს ერტყმის მაღალი ქვის კედლები, საიდანაც ამოდის კოშკი, რომელიც როგორც წესი, ვიწრო კვადრატული ფორმისაა. ძველ დროს, ამ ფორტებს ადგილობრივი მაცხოვრებელი თავს აფარებდა. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მთის ტომებს შორის ხშირად იყო შუღლი და ომები. ამჟამად ასეთი დაპირისპირება იშვიათია. ფორტები კვლავ იცავენ კავკასიის ყველაზე მისადგომ ნაწილებს და ზოგი მათგანი კარგ მდგომარეობაშია. მუდმივი ჯარის თავდასხმის შემთხვევა-

¹Lyell Robert. Travel to Russia, Crimea, Caucasus and Georgia, pg. 477.

²Lyell Robert. Travel to Russia, Crimea, Caucasus and Georgia, pg.478.

³ Lyell Robert. Travel to Russia, Crimea, Caucasus and Georgia, T.1, pg. 478.

ში, ამ ფორტებში თავის შეფარება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ხანმოკლე დროით და მკვიდრნი უუქველად მიატოვებდნენ მათ და მიენდობოდნენ მიმდებარე მთებში არსებულ ციხე-სიმაგრეებს. არსებობს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ძალიან თვალშისაცემია მოგზაურისთვის. კავკასიის მთებს შორის, ისევე როგორც ჩრდილოეთით მომიჯნავე დაბლობებში და საქართველოში სამხრეთით, ყველა ადამიანი შეიარაღებულია, როდესაც ის ტოვებს თავის საცხოვრებელ ადგილს. ბიჭებიც კი არიან აღჭურვილი ხანჯლებით და ხმლებით, რომლებსაც ისინი ძალიან ადრეულ ასაკში ეუფლებიან იმისათვის, რომ მზად იყვნენ თავდასხმისთვის ან თავდაცვისთვის. ამ რეგიონებში ყველა ადამიანს ყოველთვის თან აქვს პისტოლეტები და მუშკეტები. ისინი ასევე მიყვებიან იმათ, ვინც გუთანზე ან ფერმაში მუშაობს ან სოფლის ან სხვა საშინაო საქმეებით არის დაკავებული. თითქმის ყველა მოგზაური, რომელსაც ვხვდებით, განურჩევლად რანგისა, დახასიათებისა თუ ქვეყნისა, ისეა ჩაცმული, თითქოს სამხედრო სამსახურშია, ან თითქოს ქვეყანაში საომარი ვითარება იყოს. ასეთი მანიფესტაციები ძალიან ასოციალურ განცდებს იწვევს და იძლევა იმის საფუძველს, რომ ასეთი წეს-ჩვეულებების მქონე უცხო ადამიანმა ეჭვის თვალით შეხედოს ყველას, ვისაც შეხვდება. რა თქმა უნდა, აქ ყველა კაცი მზადყოფნაში უნდა იყოს და იზრუნოს თავის უსაფრთხოებაზე.“¹

ხეობაში საფორტიფიკაციო სისტემის განვითარებასა და სამხედრო საქმიანობისადმი ადგილობრივი მოსახლეობის მზადყოფნაზე მიუთითებს გერმანელი ენციკლოპედისტი, გეოგრაფი და ბუნებისმეტყველი **ჰალასი** – „თითქმის ყველა სოფელს შეიძლება გამაგრებული ვუწოდოთ. ეზოებს გარს ერტყმის მაღალი ქვის კედლები, საიდანაც ამოდის კოშკი, რომელიც, როგორც წესი, ვიწრო კვადრატული ფორმისაა. ძველ დროს, ამ ფორტებს ადგილობრივი მაცხოვრებლები თავს აფარებდნენ...“².

თრუსოს ხეობაზე ცნობები შემოგვინახა გერმანელმა ლინგვისტ-ორიენტალისტმა (1783-1835 წწ.) **კლაპროტმა**. მოგზაურობისას მან მოინახულა ძნელად მისადგომი ადგილები – მიაღწია ხოხის მწვერვალის (ე.წ. ისტირ-ხოლი, ანუ მაღალი ხოხი) ძირს არსებულ სოფლებამდე სივერაუტამდე, სადაც მცირე ნაკადულების შეერთებით იზადება მდინარე თერგი და რესი-მდე. ამ და სხვა მაღალთიანი სოფლების მცხოვრებლებს კლაპროტი მოიხენიებს ოსებად და აკუთვნებს მათ ოსურ ტომ „ტირც“-ს. მკვლევარის აზრით, სწორედ ამ ტომობრივი სახელიდან გამომდინარე უწოდებენ ქართველები ხეობას „თურსოს“ ან „თრუსოს“ უწოდებენ (იგივე, ტირცის ხეობა)³.

კლაპროტი დეტალურად აღწერს ხეობის სხვა სოფლებს და იმ მარშრუტს, რომელიც მან გაიარა. ეს სოფლებია: სივერაუტი, რესი, ტირზი, კალაგატე-კაუ, ბურმასიგკაუ (ანუ ყვითელი კოშკის-სოფელი), ქშეტრიმ კოაიტე-კაუ, ნოახ-კაუ (ახალ-სოფელი), ხუწური (იგივე, კარათ-ყაუ) და კეთუტე-კაუ (კეთრისი?) – ბოლო ორი დასახლება მოგზაურის მიერ მოხსენიებულია დიდ სოფლებად, სადაც ბევრი თავდაცვითი და საყარაულო კოშკი იდგა. სოფელ აბანოს (აბანო-კაუ) აღწერისას კლაპროტი მიუთითებს, რომ აქ ცხოვრობდა 40 კომლი. სოფელი გარშემორტყმული იყო წმინდა ადგილად მიჩნეული ტყით. აქ წმინდა

¹ Lyell Robert. Travel to Russia, Crimea, Caucasus and Georgia. T.1, pg.180.

² Lyell Robert. Travel to Russia, Crimea, Caucasus and Georgia, T.1, pg.140.

³ გია გელაშვილი. იულიუს კლაპროტი ოსების შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კრებული, ტომი I, თბილისი, 2012, გვ. 275.

ელიაზე სალოცავად და მისთვის მსხვერპლის (ცხვარი, იშვიათად ხარი) შესაწირად ადამიანები მეზობელი, საკმაოდ დაცილებული სოფლებიდანაც მოდიოდნენ. ცხვრის დაკვლას (შეწირვას) მცირე ღრეობა მოჰყვებოდა ხოლმე, ხოლო ტყავს, წმინდანის პატივისცემის ნიშნად ხეებზე ჰკიდებენ. აქაურ მოსახლეობას სწამდა, რომ ვინც ტყეში ხეს მოჭრიდა, დაბრმავდებოდა და მხოლოდ ხარის მსხვერპლად შეწირვის შემდეგ დაუბრუნდება მხედველობა.¹

ფრანგი ბოტანიკოსი და ნატურალისტი, საპატიო ლეგიონის ოფიცერი **მარლ-პაულუს ბელანჟე** (1805-1881) ინდოეთში საფრანგეთის სამფლობელოების მმართველად დანიშნულ დესბასენ დე რიშმონდთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში. ბელანჟეს კავკასიასა და აზიის ქვეყნებში ეთნოგრაფიული ხასითის მასალისა და ძვირფასი საბუნებისმეტყველო კოლექციის შეგროვება, პანონ დესბასენ დე რიშმონს კი საფრანგეთის ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს ჩართვით ირანსა და ინდოეთთან ვაჭრობის ვითარების გარკვევა ევალებოდა. საქართველოში ბელანჟეს მარშრუტი იყო: ღარსი, დარიალის ხეობა – ყაზბეგი, კობი, კაიშაური (გუდაურის მიდამოები), ფასანაური, ანანური, დუშეთი, ღართისკარი, მცხეთა, თბილისი. მოგზაურობის შედეგად ბელანჟე დეტალურად აღწერს საქართველოს სამხედრო გზას, მის ბუნებას, მთების აგებულებას და ქანების გეოლოგიას, ფლორას, ფაუნას, ისტორიულ ძეგლებს და მოსახლეობის ადათ-წესებს. საინტერესოა მისი ცნობა იმის შესახებ, რომ ყაზბეგში ფრანგები გენერალ ყაზბეგის ქვრივმა მიიღო, რომელიც „დიდი ქონების პატრონი იყო“ და თავის საცხოვრებელ ციხე-კოშკთან საკმაოდ გემოვნებიანი ეკლესია აეშენებინა. ფრედერიკა ფონ ფრეიგანგის მსგავსად, ფრანგი მოგზაურიც აღნიშნავს, რომ გუდას ქედზე, ამაღლებულ ადგილზე იდგა პატარა ძეგლი, რომელზეც ქვის ჯვარი იყო აღმართული წმინდა ქრისტეფორესადმი ლოცვის აღსავლენად.²

საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწე, გრაფი **კონსტან-ლუი-ალექსანდრ დე სიუზანეს** (1814-1862) საქართველოში მარშრუტი მოიცავდა: თბილისს, სიდნალს, დედოფლისწყაროს, ზაქათალას, საქართველოს სამხედრო გზას – მცხეთა, დუშეთი, ანანური, ფასანაური, კობი, დარიალის ხეობა. მის განსაკუთრებულ ინტერესს სწორედ სამხედრო გზის შესწავლა, გზისპირა დასახლებების აღწერა წარმოადგენდა – „ტიფლისიდან სამხედრო გზას დავადექი, რომელიც საქართველოს რუსეთის სხვა პროვინციებთან აკავშირებს. ორი კვირის წინ ეს კავშირი შეწყვეტილი იყო თერგის აღიდების გამო, რომელმაც მთელი გზა ჩახერგა. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად საშუალება მხოლოდ იმ რუსმა კურიერმა გამოძებნა, რომელსაც დეპეშები მიჰქონდა მთავარსარდალთან: მან ერთი ნაპირიდან მეორეზე ბაგირი გადაადგდებინა, რომელზეც დაკიდეს საკმაოდ მძიმე კალათა; ამ ბაგირზე მოჭიდებით მან გადალახა ეს მძვინვარე დინება, რომელიც არაერთხელ დაემუქრა მის სიცოცხლეს. როგორც კი ტიფლისის საგუშაგოს გავცდი, მშრალ მხარეში შევედი. ზოგჯერ ბალებით და ზოგიერთი მდიდარი ქართველის სახლით დამშვენებულ მტკვრის ნაპირს მიუყვებოდი. მცხეთის პირდაპირ, მტკვარზე, ხის ხიდით გადავდი. ამ სოფლის ციხესიმაგრე და ეკლესია ქართველი სუვერენების მიერ იყო აშენებული; დაკბილული კედლები საკმაოდ მაგარი იყო მთიელების თავდასხმისგან თავის შესაფარებლად. ტიფლისიდან გასვლისას მხოლოდ 50

¹გია გელაშვილი. იულიუს კლაპროტი ოსების შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, გვ.223.

² აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ირანელი და ფრანგი ავტორები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ“. მოამზადა ირინე ნაჭყებია, თბილისი, 2018, გვ.56.

ვერსის შემდეგ დაინახავ ტყეებს; საქართველოს დედაქალაქის გარშემო მდებარე ტყეები რუსებმა გაანადგურეს და ეს ყოველ წელს გრძელდება. იკაფება პატარა ქალაქის, დუშეთის, გარშემო მდებარე მთებიც. დუშეთის შემდეგ, მაშინვე ხეობაში ჩავდით, რომლის ძირში არაგვი მიედინება; ანანურში მივდით, სადაც კავკასიაში განლაგებული პოლკების შესავსებად განსაზღვრული რუსეთიდან მომავალი საჯარისო ნაწილები ვნახე. ამ გზაზე, რომელსაც გრძელ და ვიწრო ხეობაში მივუყვებოდი, ყველაზე ლამაზი ფასანაურის ლანდშაფტია; ის მთებითაა დაფარული, რომელთა მწვერვალები შესანიშნავი ხეებითაა დაგვირგვინებული. არაგვი ახალისებს პეიზაჟს, რომელსაც ბუნების დიდმა რყევებმა დიდებული ხასიათი მიანიჭა... ფასანაურის ხეობას მივყევით ბაიდარამდე, შემდეგ ნელ-ნელა აღმართი დაიწყო; მძიმე სავალი და ცუდად მოვლილი გზით კაიშაურს მივადგინეთ. აქ მცენარეულობა თითქმის აღარ იყო და ჩვენ ჯვრის მთის მწვერვალამდე, 14,000 ფუტის სიმაღლეზე უნდა ავსულიყავით. შემდეგ კობისკენ დავეშვით; ამ მაღალმთიან რეგიონებში ყოველი მხრიდან მინერალური წყაროები მოჩუხჩუხებს, რომლებიც, როგორც ამბობენ, მეტად მარგებელია... ყაზბეგიდან ვლადიკავკაზამდე გზა დიდებულია... თერგი ხმაურით მიედინება უზარმაზარი გრანიტის ბლოკებს შორის და მათ დიდი სისწრაფით ეხეთქება. ჩვენს ზემოთ ამადლებულია პერპენდიკულარული კლდეები და ჩვენი საფოსტო ეტლებისთვის მხოლოდ ვიწრო გასასვლელია დატოვებული. თერგის ერთი ნაპირიდან მეორეზე ხშირად გადავდივართ ხის ხილებით. კლდის წვეტიანი ნაპირები მოსახვევებში ისე ავიწროვებენ გასასვლელს, რომ მხოლოდ თერგის კონტურის მიყოლით ვარჩევთ სავალ გზას...“¹

გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ჰეკელი ხევისა და დარიალის ხეობის აღწერისას ვრცლად საუბრობს ლანდშაფტსა და ბუნებაზე, დასახლებულ პუნქტებზე, მოსახლეობის საქმიანობასა და ზნე-ხასიათზე – „ხეობის გასასვლელში მდებარეობს ფორტი. ხეობის არეალი ფართოვდება და უცებ ჩნდება ყაზბეგის თოვლით დაფარული მაღალი მწვერვალი, მის ზევით დევდორაკის მყინვარის ყინულის კედელი... ყაზბეგში, დღის მეორე ნახევარში, მოგზაურები ძველ მონასტერთან ასულან... მონასტრის დაბლა მდებარე სოფელში ქართველი ბავშვები ცეკვავდნენ და მათ გზაზე აცილებდნენ...“.

ჰეკელი აღფრთოვანებას ვერ მალავს ყაზბეგის თოვლიანი მწვერვალისა და გრძელი მყინვარების ხედებით; ეკლესიით, რომელსაც საოცარს უწოდებს – „...სამხრეთით 7 მაღალი ვულკანის, „შვიდი ძმის მთების“ ლამაზი წითელი ფერდობები. მაღლა უღელტეხილზე ერთადერთი სადგური პატარა სახლით, ობელისკით და ჯვრით. საოცრად ლამაზი დამკვება გუდაურსა და მლეთაში უამრავი სერპენტინით. გავიარეთ ფართო გზა, განთქმული ქართული სამხედრო გზა (ვლადიკავკაზიდან თბილისამდე = 40 მილს), რომელიც 1863 წელს დაამთავრეს კავკასიის დაპყრობის შემდეგ.“²

ევროპულ დიპლომატია და მოგზაურთა ჩანაწერები არაერთგვაროვანია და დაწერილია სხვადასხვა ინტერესების მქონე ადამიანების მიერ, ზოგი ეკუთვნის სიძველისმოყვარულებს, ზოგი დიპლომატს, ან ვაჭარს, ზოგი სხვადასხვა სახელმწიფოს დაზვერვის სამსახურის წარმომადგენლებს. ეს საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა კუთხით დავინახოთ თრუსოს ხეობა. შესაბამისად, ევროპელთა ცნობები, შეხედულებები და დასკვნები, თვით

¹ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ირანელი და ფრანგი ავტორები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ“. მოამზადა ირინე ნაჭყებია, თბილისი, 2018, გვ. 74.

² კანდელაკი დალი. უცნობი კავკასია XIX საუკუნის უცხოური წყაროების მიხედვით, თბილისი, 2019, გვ. 91-92.

მცირე ჩანაწერებიც კი, საინტერესო პირველწყაროს წარმოადგენენ თრუსოს სხვადასხვა ეპოქის ისტორიული რეალობის, ბუნერივ-გეოგრაფიული პირობების, დასახლების ტიპების, საზოგადოებრივი ურთიერთობების, მატერიალური კულტურის ძეგლების, მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის, ტრადიციული ყოფის, სამეურნეო საქმიანობის, ტოპონიმიკის, ჰიდრონიმებისა და ანთროპონიმების შესასწავლად. მართალია ჩანაწერებში ზოგჯერ ვხვდებით შეცდომებსა და ანაქრონიზმებს, ტენდენციურ შეხედულებებსა და არასწორ დასკვნებს, მაგრამ მთავარია, რომ ეს ცნობები მოწოდებულია თვითმხილველთა მიერ და წყაროების ანალიზისა და სინთეზის, ციკლური შესწავლის მეთოდები საფუძველს იძლევა სწორი დასკვნების გამოტანისთვის.

ამრიგად, XVIII-XIX საუკუნეებში არაერთი უცხოელი სწავლული მოგზაური სტუმრობდა ხევსა და მათ შორის თრუსოს ხეობას. ისინი ინტერესდებოდნენ და აღწერდნენ აქ მცხოვრებთა ეთნიკურ შემადგენლობას, დასახლებულ პუნქტებს, მისასვლელ გზას, გეოგრაფიულ მდებარეობასა და ბუნერივ პირობებს, მოსახლეობის სამეურნეო და ყოფით ტრადიციებს. ეს ცნობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ წინა საუკუნეებში არსებული სოფლების დიდი ნაწილი დღეისათვის დაცლილია ან საერთოდ განადგურებული და რიგ შემთხვევებში, სხვადასხვა საისტორიო წყაროებით, მათ შორის უცხოელ ავტორთა ჩანაწერებით ხერხდება ნასოფლარების იდენტიფიცირება. ისტორიული წყაროების სიმცირის პირობებში, ეთნოგრაფიული კვლევებით მიღებულ ცნობებთან ერთად, სწორედ უცხოელთა ჩანაწერები გვიქმნის მეტ-ნაკლებად მეცნიერულ წარმოდგენებს თრუსოს ხეობის მოსახლეობის ეთნო-კულტურული იდენტობის შესასწავლად.

**თავი V. „ოსეთის სასულიერო კომისიის“ (1744-1861), „კავკასიაში
მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების“ (1863-1917) და
საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის ფონდის საარქივო მასალები
თრუსოს ხეობის შესახებ**

თრუსოს ხეობა არა მარტო სტრატეგიული, პოლიტიკური თუ კულტურული მნიშვნელობითაა საინტერესო, არამედ ასევე მნიშვნელოვანია რელიგიურ-საეკლესიო ცხოვრების თვალსაზრისითაც. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია XIX საუკუნის ისტორიამ, როდესაც 1801 წელს რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიას, 1811 წელს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება მოჰყვა. საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე რეორგანიზაციის შედეგად, გაუქმდა პატრიარქობის ინსტიტუტი, შეიქმნა საქართველოს საეგზარქოსო, რომელიც უშუალოდ რუსეთის ეკლესიის „უწმინდესს და უმართებულეს სინოდს“ დაექვემდებარა, ხოლო მისი მართვა-გამგეობა საქართველოს ეგზარქოსს დაევალა.

XIX საუკუნის თრუსოს ხეობაში რელიგიური ვითარების შესასწავლად მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენს „ოსეთის სასულიერო კომისიის“ (1744-1861) და „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების“ (1863-1917), ასევე საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის ფონდში დაცული მასალები, რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან ცნობებს თრუსოს ხეობაში არსებული რელიგიური ვითარების, სასულიერო პირების ვინაობის, მათი სოციალური, ეკონომიკური და საგანმანათლებლო ცხოვრების შესახებ.

სანამ უშუალოდ კონკრეტულ საკითხს შევხებოდეთ საინტერესოა მიმოვიხილოთ „ოსეთის სასულიერო კომისიის“ დაარსების მიზნები და შედეგები.

რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკაში კავკასიის მთიელთა შორის სამისიონერო მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც XVIII საუკუნის დასაწყისისათვის მისი საზღვარი კავკასიის ქედს მოებჯინა. ამ დროისათვის იგი უშუალოდ გაუმეზობლდა კავკასიის მთიანეთში მცხოვრებ მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებს, სადაც ქრისტიანობა უძველესი დროიდან საქართველოდან იყო გავრცელებული. იმხანად მათი დიდი ნაწილი გამაჰმადიანებული იყო, ნაწილი კი წარმართობას დაუბრუნდა. რუს ხელისუფალთ მიაჩნდათ, რომ სამხრეთისაკენ იმპერიის საზღვრების ზრდა შეუძლებელი იქნებოდა, თუკი არ მოხდებოდა კავკასიის მთიელთა ხელახალი მოქცევა. დასახული მიზნის რეალიზაციის საშუალება ცარიზმს მას შემდეგ მიეცა, როცა XVIII საუკუნის 40-იან წლებში რუსეთში მოღვაწე ქართველმა სასულიერო პირებმა მთავარეპისკოპოსმა იოსებ სამებელმა, არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა და სხვებმა დახმარებისათვის მიმართეს იმპერატორიკა ელისაბედს, ყიზლარში მცხოვრები 200 ათასი ოსის მოქცევისათვის ქართველ სასულიერო პირთა გაგზავნის შესახებ¹. შექმნილ ვითარებაში ქართველ სასულიერო პირთა სურვილი და რუსეთის ხელისუფალთა პოლიტიკური მისწრაფება, გარკვეულწილად, ერთმანეთს დაემთხვა. რუსეთში იმედოვნებდნენ, რომ კავკასიის მთიელთა შორის ქრისტიანობის გავრცელებით ადვილად მოხდებოდა კავკასიის დაპყრობა.

1745 წელს იმპერატორიკა ელისაბედის გადაწყვეტილებით რუსეთის სინოდმა დააარსა „ოსეთის სასულიერო კომისია“, რომელიც თავდაპირველად ქართველი სასულიერო

¹ История грузинской иерархии с присовокуплением обращения в христианство Осетии и других горских народов, Москва, 1826, стр.73

პირებით იყო დაკომპლექტებული¹. რუსეთის ხელისუფლებას შესაძლებლად მიაჩნდა ქართველ სასულიერო პირთა მეშვეობით, რომლებიც კარგად იცნობდნენ კავკასიელ მთიელთა ადათ-წესებს და მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ მათთან, განეხორციელებინათ თავიანთი პოლიტიკა ისე, რომ მისიაში მონაწილე ქართველი სამღვდელოებისთვისაც ცნობილი არ უნდა ყოფილიყო რუსეთის პოლიტიკური ზრახვები².

1746 წლიდან ქართველთა არქიმანდრიტი პახომი, ორი ილუმენი და ერთი მღვდელმონაზონი კავკასიის მთიელებში სამისიონერო მოღვაწეობას შეუდგნენ. მათ ამ მიზნით სინოდმა გამოუყო 472 მანეთი. 1752 წლიდან „ოსეთის სასულიერო კომისიის“ შემადგენლობა გაიზარდა, შესაბამისად გაიზარდა დაფინანსებაც³. ქართველი სასულიერო პირები, რომლებიც კარგად იცნობდნენ მათ ჩვეულებას, მთიელებში პატივისცემით სარგებლობდნენ და დროის მცირე მონაკვეთში საკმაო წარმატებასაც მიაღწიეს⁴.

ქართველი სამღვდელოება აქტიურად ჩაერთო სამისიონერო საქმეში. ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) აღნიშნავდა – „ქართული მონასტრები ჩრდილო კავკასიაში წარმოადგენდა სამისიონერო სადგურებს – ეს იყო სიმაგრეები, რომელთა გარშემოც ჯგუფდებოდა მთავარი ძალები, ურჯულოთა პროპაგანდისა და ანტიეროვნული მისწრაფების წინააღმდეგ ბრძოლისათვის“. სასულიერო პირები მთელი ძალისხმევით ცდილობდნენ ერთ დროს ქრისტიანი მთიელების მართლმადიდებლობისაკენ შემობრუნებას და მათ შორის ქართული კულტურის პროპაგანდას. სწორედ ქართველი სამღვდელოების დამსახურებით განმტკიცდა მთიელებში ეროვნული თვითშეგნება⁵.

ქართველ სასულიერო პირებს უკიდურესად მძიმე პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა. მათ სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნიდნენ ადგილობრივი მაჰმადიანები. „ოსეთის სასულიერო კომისია“ რუსეთისაგან საჭირო თანხებით არ ფინანსდებოდა, ხშირი იყო მისიონერთა ძარცვის, ფიზიკური შეურაცხყოფისა და ზოგჯერ მკვლელობის შემთხვევებიც. ასეთ ვითარებაში, ქართველი განმანათლებლები ვერ აღწევდნენ ხეობების სიღრმეებში, რაც ბუნებრივია, აბრკოლებდა მათ წარმატებულ მოღვაწეობას. მიუხედავად აღნიშნულისა, ქართველი სამღვდელოების ხელით 1745-1767 წლებში ჩრდილო კავკასიაში მოინათლა 2142 კაცი, ხოლო 1772- 1792 წლებში – 6057 კაცი.

ქართველი მისიონერები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ახალგაზრდობასთან მუშაობას, მათ აღზრდას ქრისტიანული სულისკვეთებით. ამ მიზნით, ჩრდილო კავკასიაში გაიხსნა პირველდაწყებითი სასულიერო სკოლები. სასულიერო პირები სკოლებში ქრისტიანული მრწამსის გარდა, ასწავლიდნენ ქართულ ენასაც. ქართული ენის

¹ შოთა ხანთაძე, ქართველი მოღვაწეები ჩრდილო კავკასიაში მე-18 საუკუნეში, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-A, XXI-B, თბილისი 1957, გვ. 405-410.

² თეიმურაზ გვანცელაძე, მანანა ტაბიძე, რევაზ შეროზია, რევაზ ჭანტურია. – ღვთის მსახურებისა და სასულიერო განათლების ენა, როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება. – ქართველთა მემკვიდრეობა. V, 2001, გვ. 91.

³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 493, ანაწერი 1, დოკუმენტი #697, გვ. 3.

⁴ ელდარ ბუბულაშვილი. „ოსეთის სასულიერო კომისიის მოღვაწეობის ისტორიიდან“, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. თბილისი, 2007, გვ. 234.

⁵ სერგო ვარდოსანიძე. კირიონ უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (1917-1918), (ცხოვრება და მოღვაწეობა). თბილისი, 1994, გვ. 34.

სწავლას აუცილებლობად მიიჩნევდა რუსეთის ხელისუფლება, რადგან ჯერ კიდევ არ იყო შედგენილი ოსური ანბანი და არც ამ ენაზე არსებობდა სასულიერო ლიტერატურა¹.

ქართველი სამღვდელოების ჩრდილო კავკასიაში მოღვაწეობას უდიდესი შეფასება მისცა რუსეთის სასულიერო ხელისუფლებამ. გენერალი ტორმასოვი იმპერატორთან გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა: „ფაქტიურად, ქრისტიანობა მთიელ ტომებში არსებობდა მხოლოდ ქართველი მისიონერების წყალობით. ქართველი სამღვდელოება ყოველთვის იდგა თავისი მოწოდების სიმაღლეზე. მათგან დავალებულნი არიან კავკასიის მთიელები: აფხაზები, ოსები, ჩეჩნები, ლეკები, უდები და სხვ. – საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე და მის შემდგომ, ქართველმა სამღვდელოებამ დიდი სამსახური გასწია კავკასიაში სამისიონერო-საგანმანათლებლო საქმეში“. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ქართველი სასულიერო პირები მალე ოსეთის სასულიერო კომისიას ჩამოაშორეს და მათ ნაცვლად რუსი სამღვდელოება მიავლინეს.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებით მისიის ხელმძღვანელად ქართველი არქიმანდრიტის ნაცვლად რუსი სასულიერო პირი დაინიშნა, რომელსაც ორჯერ მეტი ანაზღაურება მიეცა. მისიის დანარჩენი წევრები მას უნდა დაქვემდებარებოდნენ. ამავე გადაწყვეტილებით, „ოსეთის სასულიერო კომისიის“ ცენტრი მოზდოკი გახდა, რის გამოც მას ზოგჯერ „მოზდოკის კომისიასაც“ უწოდებდნენ. მისიის ხელმძღვანელად რუსი მღვდლის დანიშვნამ კომისიის მუშაობა შეაფერხა. კავკასიის მთიელები ეჭვის თვალით უყურებდნენ მათ საქმიანობას, რის გამოც კომისიამ წარმატებას ვერ მიაღწია და 1792 წელს იგი კიდევ დაიხურა, რადგან სინოდმა მისი მუშაობა არაეფექტურად მიიჩნია².

დაარსების დღიდან 1745-1792 წლებში კომისიის მუშაობის შედეგად სულ ქრისტიანობაზე მოექცა 8199 სული ოსი³.

საქართველოს დაპყრობისა და სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში კავკასიის მთიელებში სამისიონერო მოღვაწეობა კვლავ აქტუალურ აღვილს იკავებს. 1814 წლის 30 აგვისტოს იმპერატორის მიერ ხელმოწერილი და მთავარეპისკოპოს დოსითეოზ ფიცხელაურის მიერ შედგენილი სინოდალური კანტორის დებულება, სხვა საკითხებთან ერთად, „ოსეთის სასულიერო კომისიის“ შექმნასაც ითვალისწინებდა. 1815 წლის 15 სექტემბერს სინოდის განკარგულებით თბილისში აღდგა აღნიშნული კომისია და მას დაეკისრა ის მოვალეობა, რაც ადრე „მოზდოკის კომისიას“ გააჩნდა. მისიის ხელმძღვანელად დაინიშნა თელავისა და საქართველო-კავკასიის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი დოსითეოზ ფიცხელაური. ხაზინიდან კომისიის საქმიანობისათვის თავდაპირველად გამოიყო 14750 მანეთი ვერცხლით⁴.

„ოსეთის სასულიერო კომისიის“ თავმჯდომარეს დიდი უფლებამოსილება ჰქონდა. თავდაპირველად, იგი მხოლოდ რუსეთის სინოდის წინაშე იყო ანგარიშვალდებული და

¹ ქეთევან პავლიაშვილი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945). ნაწილი პირველი. თბილისი, 2008, გვ.149.

² ელდარ ბუბულაშვილი. „ოსეთის სასულიერო კომისიის მოღვაწეობის ისტორიიდან“. – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. თბილისი, 2007, გვ. 234.

³ История грузинской иерархии с присовокуплением обращения в христианство Осетии и других горских народов, Москва, 1826, стр. 76.

⁴ История грузинской иерархии с присовокуплением обращения в христианство Осетии и других горских народов, Москва, 1826, стр. 69.

ეგზარქოსის დაქვემდებარებაში არ იმყოფებოდა. მასვე ევალებოდა სინოდის მიერ დამტკიცებული კომისიის შტატიანი წევრების დანიშვნა.

მართალია, „ოსეთის სასულიერო კომისია“ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდა, მაგრამ მან თავისი არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მარტო კავკასიელ მთიელთა მოქცევაში, არამედ მან სამისიონერო საქმიანობა აქტიურად წარმართა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (აფხაზეთში, საინგილოში, სვანეთში და სხვ.), სადაც გარკვეული მიზეზების გამო, ქრისტიანობა შესუსტებული იყო¹.

XIX საუკუნის 20-30-იან წლებში „ოსეთის სასულიერო კომისიის“ საქმიანობა კიდევ უფრო გაფართოვდა.

„ოსეთის სასულიერო კომისიის“ მუშაობაში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ქართველი სასულიერო პირები: პეტრე ავალიანი, იოსებ ელიოზისძე, ნიკოლოზ სამარტა-ნიშვილი, ვასილ ცერაძე, ათანასე მაჭავარიანი, გიორგი ამირიძე, ზაქარია მამაცაშვილი და სხვები².

XIX საუკუნის 30-40-იანი წლებისათვის კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი, მიუხედავად „ოსეთის სასულიერო კომისიის“ მიერ ჩატარებული სამუშაოებისა, მაინც არ იყო ქრისტიანული მრწამსის მატარებელი. ასეთთა რიცხვში მოიაზრებოდნენ: ჩრდილო წარმართი მოსახლეობა, კავკასიის მუსულმანი და სამხრეთ-დასავლეთის და აფხაზეთის, სამხრეთ აზერბაიჯანის მკვიდრნი. მიმდინარე გარემოება, სერიოზულ დაბრკოლებას ქმნიდა. რუსეთის იმპერიის კავკასიაზე სრული გაბატონებისათვის ბრძოლის გზაზე არსებული ვითარებით შეშფოთებული იმპერატორი კავკასიის მეფისნაცვალს, დიდ თავადს – მიხეილ ნიკოლოზის ძეს 1867 წელს მიუთითებდა, რომ „კავკასია ხელმეორედ უნდა დავიპყროთ და ამ შემთხვევაში სრულიად სხვა იარაღით. ამის გარეშე ვერ განხორციელდება სრული ფიზიკური დაპყრობა. ასეთად უნდა იქცეს სულიერი, რელიგიური გამარჯვება“. სწორედ ამ მიზნით „ოსეთის სასულიერო კომისიის“ ბაზაზე შეიქმნა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოება“ (1863-1917). „საზოგადოების“ მიზნები და მუშაობის ძირითადი პრინციპები არაფრით არ განსხვავდებოდა „ოსეთის სასულიერო კომისიის“ გადასაწყვეტი ამოცანებისაგან. ითვალისწინებდა რა „ოსეთის სასულიერო მისიაში“ არსებულ ნაკლოვანებებს, რაც გამოიხატებოდა კადრების არასწორად შერჩევა-გადანაწილებაში, მთავრობა ცდილობდა „საზოგადოების“ დაკომპლექტებას კარგად მომზადებული, განათლებული სასულიერო პირებით. მისიონერების შერჩევა უნდა მომხდარიყო მათი პოლიტიკურ-ზნეობრივი ნიშნის მიხედვით, ანუ ისინი რუსული პოლიტიკური ორიენტაციის მატარებლები უნდა ყოფილიყვნენ. 1885 წელს განხორციელდა „საზოგადოების“ რეორგანიზაცია. უშუალოდ დაექვემდებარა უწმინდეს სინოდს, მის თავმჯდომარედ კი დაინიშნა ეგზარქოსი, ხოლო განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენდა „საზოგადოების“ კომიტეტი. აღნიშნული „საზოგადოება“ 50 წელზე მეტ ხანს არსებობდა და ყოველთვის მისი თავმჯდომარე რუსი მღვდელმთავარი იყო³.

ჩვენი საკვლევი თემის გარშემო ძირითადი მასალები მოპოვებულია საქართველოს ეროვნული საისტორიო ცენტრალური არქივის საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის

¹ ელდარ ბუბულაშვილი. „ოსეთის სასულიერო კომისიის მოღვაწეობის ისტორიიდან“. – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. თბილისი, 2007, გვ. 23.

² История грузинской иерархии с присовокуплением обращения в христианство Осетии и других горских народов, Москва, 1826, стр. 77.

³ ქეთევან პავლიაშვილი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945). ნაწილი პირველი. თბილისი, 2008, გვ. 213.

#488-ე ფონდიდან. საქართველოს საეგზარქოსო წარმოადგენდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველობით ორგანოს, უწმინდესი სინოდის სასულიერო უჯრედს კავკასიაში. იგი არსებობდა 1811 წლის 30 ივნისიდან 1917 წლის 10 ივლისამდე, ხოლო კავკასიის საეგზარქოსოს სახელით 1920 წლის 26 თებერვლამდე. მისი კავკასიაში დაფუძნება უკავშირდება რუსეთის მიერ საქართველოს პოლიტიკურ დაპყრობას, იმპერიის შემადგენლობაში შესვლას გარე გუბერნიის სახით და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას. საქართველოს საეგზარქოსოს უფლებები ვრცელდებოდა თანამედროვე სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე არსებულ მართლმადიდებელ ეკლესიებზეც. საქართველოს საეგზარქოსოს რუსეთის იმპერიის სისტემაში საეკლესიო, პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანების გადაჭრა ევალებოდა. მას „ასათვისებელი რეგიონის“ მოსახლეობაში ცარიზმის პოლიტიკური ინტერესები უნდა დაეცვა.

საქართველოს საეგზარქოსო იყოფოდა 5 ეპარქიად:

1. საქართველოს ეპარქია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა: თბილისის, ბაქოს, ელიზავეტპოლის, ერევნის გუბერნიები; ყარსის ოლქი, დაღესტნისა და იმიერკასპიის რეგიონები;
2. ვლადიკავკაზის: თერგის ოლქი და ჩრდილო ოსეთი;
3. იმერეთის: ქუთაისის გუბერნია, შორაპნის და რაჭის მაზრები;
4. გურია-სამეგრელოს: ლეჩხუმის, სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის მაზრები და ბათუმის ოლქი;
5. სოხუმის: სოხუმის ოლქი და შავიზღვისპირეთის რეგიონი.

1811 წლიდან საქართველოს საეგზარქოსოს იურისდიქციაში მოექცა აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული რეგიონები – ქართლი და კახეთი, რომლებიც ეკლესიურად შევიდნენ მცხეთა-ქართლის და ალავერდ-კახეთის ეპარქიის შემადგენლობაში.

1815 წლიდან საქართველოს საეგზარქოსოს უფლებებში აღმოჩნდა საქართველოს მთელი ტერიტორია და ეკლესიურად მას იმერეთის ეპარქიაც დაემორჩილა¹.

დამუშავებული საარქივო მასალები შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელია დავაჯგუფოთ შემდეგნაირად: **ა) საარქივო მასალები თრუსოს ხეობაში მოღვაწე სასულიერო პირების შესახებ; ბ) საარქივო მასალები თრუსოს ხეობაში არსებული ეკლესიების მდგომარეობის შესახებ; გ) საარქივო მასალები თრუსოს ხეობის ოსების გაქრისტიანების შესახებ; დ) კერძო ხასიათის სხვადასხვა საარქივო მასალა** (დოკუმენტები იხილეთ ნაშრომის ბოლოს, დანართის სახით).

ა) საარქივო მასალები თრუსოს ხეობაში მოღვაწე სასულიერო პირების შესახებ

ჩვენს მიერ შესწავლილი მრავალფეროვანი ისტორიული დოკუმენტი სანდო ინფორმაციას გვაწვდის თრუსოს ხეობაში არსებული სარწმუნოებრივი ვითარებისა და ხეობაში მოღვაწე სასულიერო პირების ვინაობის თაობაზე. დოკუმენტების უმრავლესობა წარმოადგენს მიწერილობას იმ დროს საქართველოში მოღვაწე ეგზარქოსების სახელზე, რაც, რა თქმა უნდა, გასაკვირია არაა. მიკვლეულია არაერთი დოკუმენტი, კერძოდ, „ოსეთის სასულიერო კომისიის“ მქადაგებლის არქიმანდრიტ ნიკიფორეს მოხსენებითი ბარათების ტექსტები, რომლებიც მან 1817-1818 წლებში საქართველოს ეგზარქოს თეოფილაქტეს

¹ ქეთევან პავლიაშვილი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945). ნაწილი პირველი. თბილისი, 2008, გვ.75.

(რუსანოვი – გ. ბ.) წარუდგინა. ისინი შეიცავენ ღირებულ ცნობებს თრუსოს ხეობაში არსებული ვითარების შესახებ.

არქიმანდრიტ ნიკიფორეს მიერ 1818 წელს საქართველოს ეგზარქოსის თეოფილაქტე რუსანოვის სახელზე გაგზავნილ დოკუმენტში ნათქვამია, რომ მთაში, ახალ გაქრისტიანებულ მოსახლეობას ესაჭიროება სასულიერო პირები და ეკლესიის აშენება¹.

საქართველოს ეგზარქოსის იოანას სახელზე 1827 წელით დათარიღებული საარქივო დოკუმენტი გვაუწყებს მღვდელ გიორგი გედევანოვის (გედევანიშვილი – გ.ბ.) აბანოს სამრევლოში გადაყვანის ამბავს. აღნიშნულ დოკუმენტში აბანოს სამრევლო მოხსენიებულია, როგორც ოსურ სამრევლოდ: „ამტნისხევის² ეკლესიის პრიჩეტნიკი გიორგი გედევანოვი დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს ვლადიკავკაზს და გამოცხადდეს იქაურ ბლადოჩინის მღვდელ შიო დვალიშვილთან, რადგან იცის ოსური და არა ქისტური ენა, გადაყვანილ იქნას აბანოს ოსურ სამრევლოში, ხოლო მის ადგილას ამტნისხევის სამრევლოში განაწესონ შვილი მღვდლის ივანე კარიაულისა – იაკობ კარიაული, რომელიც არის შობილამ ოცის წლისა, იცის საეკლესიო სადმართო წერილის კითხვა“³.

დოკუმენტებიდან ცხადი ხდება, რომ თრუსოს ხეობა განიცდიდა სასულიერო პირების ნაკლებობას. საქართველოს ეგზარქოსების სახელზე გაგზავნილ არაერთ წერილში სამღვდელთა საჭიროების მოთხოვნაა გაჟღერებული. 1832 წლით დათარიღებული საარქივო დოკუმენტი ამავე საკითხს ეხება. საქართველოს ეგზარქოსს მოსეს (ბოგდან-პლატონოვი – გ. ბ.) თხოვნით მიმართავენ თრუსოს ხეობის აბანოს სოფლის მაცხოვრებლები ზაალ ქოქაშვილი, გიორგი ბაბეშვილი და დუდა კობალაშვილი(sic). სათხოვარი წერილიდან ირკვევა შემდეგი: „დროისა განათვლისას ოსეთს სასულიერო კომისიისაგან ჩუენ კეთილნებობითა ჩვენითა მივიღეთ ქრისტიანობრივი სარწმუნეობა და დავინათლეთ და აგვიშენეს ეკლესია და მოგვცეს მღვდლად დავით არჩინაშვილი, რომელიც გვმწყემსიდა და გვივლიდა ერთგულად. ჩყლებ-ს (1832) წელსა გარდაიცვალა და დავშთით უმღვდლოდ და ვართ მოკლებული სულიერსა ნუგეშინის ცემასა, ვინაითგან დარჩენილი მღვდელი იშვიათად გვინახავს მოუცლელობის გამო, ხოლო რადგანაც მღვდელი გაბრიელ ხუციშვილი, რომელიცა არს მთამომავლობით მღვდელი იგი ოსთა ნათესავთაგანი, იცის ოსური ენა, ამისთვის გვსურს ჩვენ იგი იყოს ჩვენი მღვდელი... და თვითონაც უნდა ჩვენი სამსახური, ამისთვის ვითხოვთ უმდაბლესად მოხედოთ მოწყალებით ჩვენს თხოვნას და განგვიწესოთ იგი გაბრიელ ხუციშვილი, რათა არ დავშთეთ უმწყსოდ“⁴. საქართველოს ეგზარქოსის მოსე ბოგდან-პლატონოვის გადაწყვეტილებით აბანოს ოსურ სამრევლოში განამწყესეს გაბრიელ ხუციშვილი.

1836 წლით დათარიღებული საარქივო დოკუმენტის თანახმად კობის სამრევლოს მღვდელი ევსტატე ფეიქრიშვილი სთხოვს საქართველოს ეგზარქოს ევგენის (ბაქენოვი -გ.ბ.) აბანოს სამრევლოში განამწყესოს მოსე ჩიხლაძე⁵.

¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი # 93, გვ. 1.

² თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღულელების ძველი სახელი. მდებარეობს ერწოს ქვაბულში, მდინარე აძეძის (ივრის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა მხარეს.

³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი # 1768, გვ. 1.

⁴ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი # 2941, გვ. 8.

⁵ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი # 4635, გვ. 2.

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა ის ფაქტიც, რომ სასულიერო პირების მიერ სამრევლოების მიტოვება არც თუ ისე იშვიათი მოვლენა იყო. ყოველივე ამას კი სხვადასხვა მიზეზი განაპირობებდა. 1837 წელს, დოკუმენტის მიხედვით, მაღალ ყოვლადუსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარქოსის ევგენის (ბაჟენოვი -გ. ბ.) სახელზე ოსეთის სასულიერო კომისიის, აბანოს წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდლის გაბრიელ ხუციშვილის თხოვნა გაიგზავნა. სათხოვარი წერილიდან ცხადი ხდება, რომ გაბრიელ ხუციშვილს სურდა სამრევლოს დატოვება: „უმოწყალებსო და უმართლმსაჯულისა მწყემისა მთავარო, საღმრთოისა მართლმადიკებულისა ბრძანებისა თქვენის მაღალ ყუდ უსამღვდელოესობის თანახმა ვიქმან წრფელითა და ნამდვილი სვინდისითა ჩემითა ყოველი კრძალვით და მოწიწებითა ბრძანებულის თქვენის ძალით მეუფებისას ბეჯითად და გულმოდგინეთ მრევლის მოქცევისათვის, განათლებულის ქრისტიანობის სჯულისადმი: მონათვლისა, ქორწინებით, აღსარების თქმითა, ზიარებითა და მარხვითა, სადაცა არა მცირედისა გულისმოდგინებით აღვასრულო ყოველივე ზემოთნა ბრძანებული, რომელსაცა მოკლეს ჟამს წარმოვადგენ თქვენს წინაშე თითოეულის ჩემ მიერ წარმოებულისა მონათლულითა, ქორწინებულთა, აღსარების მთქმელთა, ზიარებულთა და დამარხულთა შინა წერილთა მეტრიჩისკი წიგნებსა შინა. თუმცადა თანახმა ვიქმენ ჩემდამ ბრძანებულისა თქვენისა მაღალ მეუფებისასა გარდმოსახლებულსა შა (sic) [ზახითგანა – გ.ბ.] ცოლ-შვილთა ჩემითა სამრევლოსა ჩემსა გარნა ვიქნეხნები ყოველსა უკანასკნელსა სიღარიბესა მიწევნითა, მისითვის რომელ მყვანან მე შვილნი ორსავე სქესისანი ხუთნი: ვითარცა ვიქმნებით მე და ჩემს მეუღლეთა შვიდ სულამდე. საზრდელ გვაქვს თითოეულსა დღესა წლისას – აბაზი, ორი გროში და მესამედი კაპიკისა, სადაცა არს გვყოფებს თვით ორს პირს არათუ შვიდსა სულსა იგი ხსენებულ ჯამაგირი, რომლის მიზეზთა გამო მოვაკელ უმხცოვანესი ჩემი დავით სწავლასა რამეთუ არა შემძლებელ ვიყავ ჩემის ხარჯით გამეგზავნა სასწავლებელსა შა. ამისთვის შევურდები ყუდ უქვეშევრდომილესობას ვედრებითა ღმობიერისა მართლმსაჯულებას თქვენს მწყემსთავრობასა... კეთილ ინებოს თქვენმა მეუფებამ ბოძებად ჩემდა დღიურის საკმაოსა საზრდელისა, და უკეთუ არა ინებებს თქვენსა ამა ჩემს მოწყალებასა მაღალ მეუფება თქუენი, მისთვის ვთხოვ წინაშე თქვენს მაღალმეუფებას დამითხოვოთ მე ამა პრიხოდისაგან, ვინაითგან არ ძალმიძს აქა ვაცხოვრო ცოლ-შვილი ჩემი მცირის მის ხარჯით¹.

1838 წლით დათარიღებული საარქივო დოკუმენტი, გაბრიელ ხუციშვილის კიდევ ერთ სათხოვარს შეიცავს, რომელიც ოსეთის სასულიერო კომისიის, კობის სამრევლოს ბლაღოჩინის ევსტატე ფეიქრიშვილის სახელზე გაიგზავნა. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მღვდელ გაბრიელ ხუციშვილს სამრევლოს დატოვება გადაუწყვეტია მძიმე კლიმატური პირობებით გამოწვეული ავადმყოფობის გამო. ამგვარი ხასიათის წერილები მრავლად არის დაცული საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის ფონდში: „მაქვს პატივი რა განვუცხადო თქვენს კურთხევასა ამას ზედა, რადგანაც ვიმსახურე ერთგულად აბანოს სამრევლოს შა განწესებულსა და ვასრულებ თანამდებობასა ეკლესიის მონათლულთა, დამარხვითა, ქორწინებითა და ზიარებითა აქამომდე. ხოლო, აწ დიდის სიცივისა და თოვლისაგან და ბოლისა გამოწვას სულსა თვალები ამტკიოდა და დამისივდა ძალიან რომელ არღარა ძალმიძს საღმრთოს სამღვდელოდ საქმისა აღსრულება... გთხოვთ, დრო განუტარებლად წარადგინოთ მოხსენება ესე ჩემი უმაღლეს ადგილს და მომცეს ბილეთი, რომ ექიმი

¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #499, გვ.19.

დავაცენო და მოვრჩე და პრიხოდსა ჩემსა ვიდრემდის გავთავისუფლდებოდე მიუჩინოთ სხვა მღვდელი ვინმე ჩემ მაგიერად¹. ამავე საქმის მასალიდან ცნობილი ხდება, რომ კობის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელი ევსტატე ფეიქრიშვილი საქართველოს ეგზარქოსის ევგენი ბაქენოვისგან ითხოვს ნებართვას, გაბრიელ ხუციშვილის ადგილას აბანოს სამრევლოში დანიშნოს დავით რჩეულოვი (რჩეულიშვილი – გ. ბ.). როგორც ჩანს, დავით რჩეულოვი თრუსოს ხეობის მოსახლეობაში კეთილგანწყობით სარგებლობდა. თრუსოელთა სურვილიც იყო დავით რჩეულოვი მათ სამრევლოში ეხილათ მღვდლად. მღვდელი დავითი თრუსოს ხეობის მოსახლეობამ გაიცნო მაშინ, როდესაც ევსტატე ფეიქრიშვილმა წაიყვანა ის აბანოს სამრევლოში მოუნათლავად დარჩენილი ხალხის მოსანათლად: „დავით რჩეულოვი არის მშვიდი, აუჩქარებელი, მორჩილი, მქადაგებელი. აბანოს სამრევლოთა მღვდელს დავით რჩეულოვსა დიდი წყალობით მიიღებენ და უმეტეს განათლდებიან ხალხნი ქრისტიანობრივ სარწმუნოებაში². მოძღვარი დავითი აბანოს სამრევლოს მოსახლეობას იმდენად მოწონებია, რომ სათხოვარი წერილიც კი შეუდგენიათ და კობის სამრევლოს მღვდლის ევსტატე ფეიქრიშვილის სახელზე გაუგზავნიათ: „მაქვს პატივი, მოვახსენო თქვენის მაღალ კურთხევას ამას ზღ რომელ კეთილი ინებოთ და გთხოვოთ მღვდელი დავით რჩეულოვი ჩვენთვის მღვდლად, რომელზედაც ხელს ვაწერთ ერთობლივ აბანოს სამრევლოების სოფლის ხალხნი ათორმეტი სოფელისა:

1. აბანოდან – გიბილა ყარაშვილი
2. კეტრისიდან – ბიზა ქოქაშვილი
3. ხახაგირიდან (sic) – კეტიშვილი
4. სუატისიდან – სუჯა ელოშვილი
5. დესიდან – მირიქიშვილი
6. დენციდან -ხაბურიშვილი
7. კარატკაუდან – ურთაშვილი
8. ბურმასიგიდან – თავაშვილი
9. ჩიჩიდიდან (sic) – თავაშვილი
10. გირადგან (sic) – ბერიშიშვილი
11. ტეფიდან – კალაგირიშვილი, ყაყალაგიშვილი
12. რესიდან – ყუსაშვილი³

1841 წლით დათარიღებულ დოკუმენტში მღვდელი ანდრია გურგენიძე თხოვნით მიმართავს საქართველოს ეგზარქოსს ევგენის (ბაქენოვი – გ.ბ.), რათა კობის სამრევლოში გადასვლის უფლება მისცეს ვასილ ღარიბოვს (ღარიბაშვილი – გ.ბ.). გაირკვა, რომ სამრევლოში გაჩნდა ვაკანტური ადგილი ივანე გაჩეჩილაძის წასვლის გამო, რის გამოც სამრევლო მღვდლის გარეშე ვერ დარჩებოდა⁴.

1841 წლით არის დათარიღებული კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელშიც კვლავ კობის სამრევლოში გამწესების სურვილია გამოთქმული. მღვდელი მიხეილ რაზუმოვი თხოვნით

¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი# 5624, გვ. 3.

² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი#5624, გვ. 3.

³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #5624, გვ. 15-16.

⁴ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #7209, გვ. 1.

მიმართავს ეგზარქოსს კობის სამრევლოში განამწესოს იოსებ ჩიხლაძე, რომელმაც ცოტა, მაგრამ მაინც იცის ღვთისმსახურების შესრულება სლავურ ენაზე¹. იმავე წელს, კვლავ მიხეილ რაზუმოვი ითხოვდა ამჯერად მისთვის მიეცათ უფლება გადმოსულიყო კობის სამრევლოში მღვდელი ათანასე ბურდულის ნაცვლად².

1844 წლით დათარიღებული დოკუმენტიდან ნათელი ხდება, თუ როგორ ატყობინებს მღვდელი ანდრია გურგენიძე საქართველოს ეგზარქოსს ევგენის (ბაჟენოვი – გ. ბ.) ამავე სამრევლოს მღვდლის ტიმოთე ინიევის თვითნებურ ქმედებას. როგორც ჩანს, მღვდელ ტიმოთეს თვითნებურად დაუტოვებია სამრევლო, რისთვისაც მას დაედო საეკლესიო ეპიტემია ანუ სასჯელი: „ჩემდ-ს (1844) წელსა ნოემბერისა ვზი დღესა ამა ხელ წერილს გაძღევ მე ამისა ქვემო ხელის მოწერილ აბანოს სამრევლოს პრიჩეტნიკი ტიმოთე ინიევი, კობის სამრევლოს ბლადოჩინს ანდრია გურგენიძესა, მას ზედა რომელი თვითნებობით პრიხოლის დატოვებისათვის გარდავხადო შტრაფი ექსარქოსის ბრძანებითა ორასი მუხლის მოყრა და შემდგომ ამისა აღარა გავშორდე პრიხოლიდგან და უკეთუ გავშორდე, მაშინ სასულიეროსი მთავრობა მიმაქცევს სჯულისამებრ, რომელ ზედაცა ხელს ვაწერ აბანოს პრიჩეტნიკი ტიმოთე ინიევი³.

სასულიერო პირების მიერ სამრევლოების თვითნებურად დატოვება არც თუ ისე იშვიათი მოვლენა იყო. აღნიშნული ფაქტი იწვევდა გარკვეულ უთანხმოებასა თუ გაუგებრობას თვითონ სამრევლოს მღვდლებს შორის, რის გამოც ხშირად მიმართავდნენ საქართველოს ეგზარქოსს საქმის ვითარების გასარკვევად. ასეთივე შინაარსის არის 1845 წლით დათარიღებული წერილი აბანოს სამრევლოს მღვდლის მოსე ჩიხლაძის მიერ საქართველოს ეგზარქოსის ნებართვის გარეშე „განშორებისათვის თავისი პრიხოლიდგან“. როგორც საქმის ვითარებიდან გაირკვა მოსე ჩიხლაძე დაითხოვა აბანოს სამრევლოს მღვდელმა ანდრია გურგენიძემ თხუთმეტი დღით, თუმცა დასწრელებულა და სამრევლოში ვეღარ დაბრუნებულა⁴. მრავლად იყო შემთხვევები, როდესაც სხვა სამრევლოში გადაყვანილი მღვდლები ითხოვდნენ ძველ სამწყსოში დაბრუნებას. უფრო ხშირად კი ვხვდებით საქართველოს ეგზარქოსის სახელზე გაგზავნილ თხოვნებს, რომელიც თრუსოს ხეობის სამრევლოების დატოვების სურვილით იყო გამსჭვალული. აღნიშნულ ფაქტს ძირითადად მძიმე კლიმატური პირობები და მატერიალური სიდუხჭირე განაპირობებდა.

1846 წელს აბანოს სამრევლოს ყოფილი მღვდელი გაბრიელ ხუციშვილი თხოვნით მიმართავს საქართველოს ეგზარქოსს ისიდორეს (ნიკოლსკის – გ. ბ.) დააბრუნოს ის კვლავ ძველ სამრევლოში. გაბრიელ ხუციშვილი აცნობებს მას, რომ იგი ავადმყოფობის გამო (თვალების ტკივილი) გადაყვანილ იქნა ღუშეთის მაზრაში. მღვდელი გაბრიელი სათხოვარ წერილში აღნიშნავდა, რომ ის პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას აბანოს სამრევლოში, ასწავლიდა ახლად გაქრისტიანებულ ოსებსა და მთის მოსახლეობას ქრისტიანულ მოძღვრებას. მისი დიდი სურვილი იყო ის კვლავ დაებრუნებინათ ძველ

¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #7207, გვ. 1.

² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #7243, გვ. 1.

³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #9914, გვ. 5.

⁴ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #10482, გვ. 7.

სამწყსოში¹. ამავე საარქივო დოკუმენტში ვხვდებით საქართველოს ეგზარქოსის ისიდორეს განკარგულებას, რომლის თანახმადაც გაბრიელ ხუციშვილს მიეცა უფლება მღვდელმსახურებისათვის კვლავ დაბრუნებულიყო აბანოს სამრევლოში².

1846 წელს მღვდელი ანდრია გურგენიძე თხოვნით მიმართავს საქართველოს ეგზარქოსს კობის სამრევლოს მღვდლის ამირანიძის გამო. როგორც ჩანს, მღვდელმა ამირანიძემ ვერ აიტანა კობის ცივი კლიმატი, რის გამოც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. საარქივო მასალიდან ირკვევა, რომ მღვდელი ისააკ ამირანიძე მსახურობდა კობის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში³. მღვდელ ისააკ ამირანიძის მიერ სამრევლოს დატოვების შემდეგ გამოჩნდა ვაკანტური ადგილი, რომელიც გიორგი ჭინჭარაძეს დაუკავებია. დოკუმენტიდან ცხადი ხდება, რომ გიორგი ჭინჭარაძე იყო გამოცდილი და ქართულ ენაზე საღმრთო წერილის კარგად მკითხველი: „წირვის გალობა იცის გვარიანათ. წერა იცის, შეუძლიან დავების შედგენა“⁴. მღვდელ ანდრია გურგენიძის მიწერილობის საფუძველზე გიორგი ჭინჭარაძე განამწყესეს კობის სამრევლოში.

სასულიერო პირების საჭიროებაზე არის საუბარი 1846 წელს მღვდელ ანდრია გურგენიძის მერ გაგზავნილ წერილში, რომელიც თხოვნით მიმართავს საქართველოს ეგზარქოს ისიდორეს (1844-1858) გამოგზავნოს აბანოს სამრევლოში ვინმე ღვთისმსახური. დოკუმენტი გვამცნობს, რომ აბანოს სამრევლოში ამ დროს არ ჰყავდათ მღვდელი. აღნიშნული მიზეზის გამო სამრევლოში გართულებული იყო ქრისტიანული საჭიროებების აღსრულება. ამავე დროს ანდრია გურგენიძე თავად სთავაზობს სასულიერო პირის კანდიდატურას აბანოს სამრევლოში გასამწყესებლად: „ვბედავ და მივმართავ თქვენ ყ~დ უსამღვდელოესობას, რომ მაღლიერები ვიქნებით თუ დავნიშნავთ ვინმეს მღვდლებიდან აბანოს სამრევლოში და რეკომენდაციას ვუწევ მღვდელს ივანე ინდუაშვილს, რომელიც არა მარტო აბანოს სამრევლოსთვის იქნება სასარგებლო, არამედ ჩემთვისაც, რადგან ზამთარში დიდთოვლობისა და ზვავების გამო კობში ჩასვლა ჩემთვის ძალიან ძნელია, ამის გამო სამრევლო მოკლებული იქნებოდა არა მარტო მღვდელს, არამედ ქრისტიანულ მოთხოვნილებებს“⁵.

დამუშავებული საარქივო მასალები სამრევლოში სასულიერო პირებს შორის გარკვეული უთანხმოების შესახებაც გვამცნობს. სასულიერო პირებს შორის არსებულ გაუგებრობას თავისი მიზეზი ჰქონდა. ხშირად უთანხმოების საფუძველი იყო სამრევლოს თვითნებურად მიტოვება, რაც შემდეგ გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა ხეობაში მცხოვრები ქრისტიანი მოსახლეობისათვის. 1846 წლით დათარიღებული დოკუმენტიდან ვიგებთ მოსე ჩიხლაძის თხოვნის შესახებ, რომ იგი გადაიყვანონ აბანოს სამრევლოდან სხვა ეკლესიაში. ეგზარქოსის სახელზე გაგზავნილ წერილში იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა აბანოს სამრევლოში თავის ნაყოფიერ მოღვაწეობას. კერძოდ, რომ მან მოაქცია 189-მდე სული ოსი, თუმცა მისი დამსახურების მიუხედავად ანდრია გურგენიძემ აიძულა იგი დაეტოვებინა მისი

¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #10849, გვ. 1.

² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #10849, გვ. 7.

³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #11839, გვ. 1-2.

⁴ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #11843, გვ. 1.

⁵ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #11489, გვ. 6.

მოდვაწობის ადგილი¹. ამავე დოკუმენტში ჩვენ ვხვდებით ანდრია გურგენიძის განმარტებით ბარათს, სადაც ის ატყობინებს საქართველოს ეგზარქოსს, რომ მოსე ჩიხლაძის მიერ მიწოდებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეუფერება. როგორც ანდრია გურგენიძის განმარტებიდან გაირკვა, მღვდელმა მოსე ჩიხლაძემ თვითნებურად დატოვა სამრევლო და ადარ დაბრუნებულა. მოსე ჩიხლაძე საბოლოოდ გადაყვანილი იქნა აბანოს სამრევლოდან.

საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიისათვის გაგზავნილი 1848 წლით დათარიღებული დოკუმენტი გვატყობინებს მღვდელ ანდრია გურგენიძის მიწერილობის საფუძველზე, აბანოს სამრევლოში სნოს მღვდლის გაბრიელ ხუციშვილის გადაყვანის ფაქტს.²

საარქივო ფონდში დაცული 1849 წლის დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ახლა უკვე თავად ეგზარქოსი ისიდორე (ნიკოლსკი – გ.ბ.) სთხოვს, მღვდელ ანდრია გურგენიძეს კობის სამრევლოში განამწესოს ნიკოლოზ ჭელიძე. ამავე დროს არსებობს მღვდელ ანდრია გურგენიძის საპასუხო მიწერილობა, სადაც იგი გამოთქვამს მზადყოფნას მიიღოს ნიკოლოზ ჭელიძე კობის სამრევლოში³. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ნიკოლოზ ჭელიძეს სხვა სამრევლოში გადასვლის სურვილი თავად განუცხადებია: „უყოლობის გამო ჩემის პრიხოდში მღვდლისა და გაუმძლეობისა გამო ჩემისა სამრევლოში, მე ვითხოვ თქუენის კურთხევისაგან მიშუამდგომლოდ განცხადებითა ამის საქართველოს ეგზარქოსის ისიდორესადმი, რათამცა გარდამიყვანოს ამ სამრევლოდგან პირიქით ოსეთის ზრამაგის წმინდა გიორგის სამრევლოსა ზედა საბლაღოჩინოსა რათამცა აღვასრულო მღვდელთან პრიხოდში მოვალეობა ჩემი ყოვლისა გულმოდგინებით ჩემითა ერთგულად“.⁴ საქართველოს ეგზარქოსის ისიდორეს გადაწყვეტილებით ნიკოლოზ ჭელიძე განამწესეს კობის სამრევლოში.

1849 წლით თარიღდება კიდევ ერთი მიწერილობა ეგზარქოს ისიდორეს სახელზე. მიწერილობიდან ირკვევა, რომ აბანოს სამრევლოში გადმოიყვანეს კიდევ ერთი სასულიერო პირი ალექსი დვალიევი (დვალიშვილი – გ. ბ.). მღვდელმა ალექსი დვალიშვილმა თვითონ მიმართა თხოვნით საქართველოს ეგზარქოსს, რომ დაეცვათ ის და მისი სახლობა შევიწროებისა და მოსალოდნელი თავდასხმებისაგან, რომელსაც იგი განიცდიდა თავის სამრევლოში. სწორედ ამიტომ ალექსი დვალიშვილი ითხოვდა სამრევლოს დატოვების ნებართვას და მის გამწესებას სხვაგან. საქართველოს ეგზარქოსის ისიდორეს განკარგულებით ალექსი დვალიშვილი გადმოიყვანეს აბანოს სამრევლოში, რაც ეცნობა ანდრია გურგენიძეს მისი გამწესებისათვის⁵.

1851 წლით დათარიღებული დოკუმენტი კვლავ მღვდელი ანდრია გურგენიძის მიწერილობას წარმოადგენს. ანდრია გურგენიძე აუწყებს საქართველოს ეგზარქოსს, სნოს სამრევლოს მღვდლის გაბრიელ ხუციშვილის (ხუციშვილი – გ. ბ.) მიერ სამრევლოს დატოვების

¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #12010, გვ. 1.

² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #13834, გვ. 12.

³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #14211, გვ. 1

⁴ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #14211, გვ. 1.

⁵ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #14366, გვ. 1.

შესახებ. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, გაბრიელ ხუციშვილი ავადმყოფობის გამო დათხოვნილ იქნა სნოს სამრევლოდან. გაბრიელ ხუციშვილის გამოჯანმრთელების შემდეგ ანდრია გურგენიძე ითხოვდა მის გამწესებას აბანოს სამრევლოში, სადაც აუცილებელი იყო მღვდელი. მღვდლის საჭიროებაზე საუბრობდა მრევლიც. სასულიერო პირის გარეშე ყოფნა განსაკუთრებით რთული იყო ზამთარში, როდესაც თოვლის გამო გზა მთლიანად იკეტებოდა და მრევლი რჩებოდა სრულად ქრისტიანული მოთხოვნების აღსრულების გარეშე¹.

1857 წლით თარიღდება იოანე ბიძიანოვის მიწერილობა ეგზარქოს ისიდორესადმი (ნიკოლსკი – გ. ბ.), სადაც იგი სთხოვს კობის სამრევლოში განამწესონ ისეთი მღვდელი, რომელმაც კარგად იცის რუსული ენა და რუსულად საეკლესიო მსახურების წესი. 1857 წლისთვის ეს ადგილი კვლავ ვაკანტური იყო. მღვდელ იოანე ბიძიანოვის თხოვნის საფუძველზე კობის სამრევლოში გასამწესებლად შეირჩა ვასილ დავითის ძე კველიევი (კველიაშვილი- გ.ბ.) (მღვდლის შვილი), რომელმაც კარგად იცოდა საეკლესიო მსახურების წესი და რუსული ენა. 1857 წლის მიწერილობის თანახმად მღვდლის დავით კველიევის შვილი დაშვებული იყო კობის ეკლესიაში მსახურებისათვის².

1861 წლით თარიღდება კობის სამრევლოს კეთილმოწყობის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი იტონიევის (იტონიშვილი – გ. ბ.) წერილი. დოკუმენტში ნათქვამია, რომ აბანოს სამრევლოში მხოლოდ ერთი მღვდელი **იოსებ სურგულაძე** მსახურობდა, რომელსაც ებარა მთელი სამრევლო 200 სახლობით. სწორედ ამიტომ გიორგი იტონიევი ითხოვდა კობის სამრევლოში სამღვდლო მსახურებისათვის გადმოეყვანათ გურიის ეპარქიის გვამრათის (?) მაცხოვრის ეკლესიის მღვდლის შვილიშვილი სილევან ჯაველიძე (იობის ძე)³.

სასულიერო პირების მიერ სამრევლოების დატოვების ფაქტი იშვიათად, მაგრამ ხანდახან იძულებითიც იყო. ასე მოხდა კობის სამრევლოს მღვდლის გიორგი იტონიევის შემთხვევაში. 1888 წლის საარქივო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გიორგი იტონიევს სამრევლო დაატოვებინეს არაკანონიერი ქმედების გამო. გიორგი იტონიევი ყალბი მონაცემების წარდგენისა და კობის ეკლესიის ქონების თვითნებურად განკარგვისათვის, 1881 წლის 11 დეკემბრიდან 1882 წლის 13 იანვრამდე, სინოდალური გადაწყვეტილებით ჩამოაცილეს ღვთისმსახურებას. „გიორგი იტონიევი თავისი ქმედების გამო გადაყვანილ უნდა იქნას სხვა სამრევლოში“⁴. აღნიშნულ ფაქტს ეხება საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის ფონდში დაცული კიდევ ერთი დოკუმენტი. გიორგი იტონიევის ქმედების შესახებ ეცნობა საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიას. გაირკვა, რომ მან 1886 წლის 9 იანვარს კობის ეკლესიის შემოსავლებიდან 200 რუბლი აიღო ვლადიკავკაზის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში შესატანად. 1887 წელს კი კობის ეკლესიის შემოსავალ-გასავლის წიგნში მან მღვდელ კობაიძესთან ერთად გააყალბა შემოსავალი და 200 რუბლის ნაცვლად შემოსავლების წიგნში შეიტანა 170 რუბლი. თავის სასარგებლოდ მოიხმარა 5 რუბლი.

¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #15477, გვ. 2

² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #17692, გვ. 4-5.

³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #19775, გვ. 1.

⁴ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #21688, გვ. 1.

სწორედ ამ მოვლენამ განაპირობა გიორგი იტონიევის სხვა სამრევლოში გადაყვანა. მის ადგილას დანიშნეს მღვდლის ეკლესიის მღვდელი ალექსი ბუმისევი. გიორგი იტონიევი კი ქვრივთა და ობოლთა სასარგებლოდ დაჯარიმდა 15 რუბლით¹.

1863 წლის დოკუმენტის თანახმად ირკვევა, რომ აბანოს სამრევლოში სამოღვაწეოდ შეირჩა გაბრიელ გუდიევი (გუდიაშვილი -გ. ბ.). გაბრიელ გუდიევმა დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია კარგი შეფასებებით, მიეცა უფლება შესულიყო კანონიერ ქორწინებაში და ხელდასხმულ იქნა მღვდლად აბანოს სამრევლოში. „მიეცა ესე ამა ბილეთში ხსენებულს გაბრიელ გუდიევს, მას ზედა რომ 25-^ს აგვისტოს თვეში ჯვარი დაიწერა მღვდლის გრიგოლ კობაიძის ასულს სოფოზედა, რომელ არს დაბადებითგან 18-ის წლისა... გაბრიელ გუდიევი არის 25 წლის. დაიბადა ოქროყანაში, სწავლობდა თბილისის სემინარიაში, პირველ ქორწინებაშია, ჯარიმები მის სახელზე არ აღინიშნება, საექვო საქმეებში არასდროს ყოფილა შემჩნეული. რუსული საეკლესიო წიგნის კითხვა და გალობა, კატეხიზმო იცის და საიდუმლოს აღსრულება შეუძლია“².

საარქივო დოკუმენტების შინაარსი მრავალფეროვანია და ძალზე მნიშვნელოვანი. 1912 წლის დოკუმენტი გვამცნობს თავად კობის მოსახლეობის უკმაყოფილებას სამრევლოში მოღვაწე ისიდორე პერტაიას გამო. საქართველოს ეგზარქოსის ინოკენტის (ბელიაევი -გ.ბ.) სახელზე, კობის სამრევლოს მაცხოვრებლების გიორგი კასოევისა და გიორგი არჩინოვის საჩივარი გაიგზავნა. საჩივრიდან ირკვევა შემდეგი: „მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ კობის სამრევლოს მღვდელი ისიდორე პერტაია საერთოდ არ ცხოვრობს და არ იმყოფება ჩვენ სამრევლოში და მოკლებული ვართ სასულიერო პირს უკვე ოთხი თვეა. მღვდელი პერტაია მხოლოდ ერთხელ სააღდგომო მსახურებაზე ვნახეთ, მას შემდეგ არც დიდ დღესასწაულებზე ის ეკლესიაში არ გვინახავს, ისეთ დღესასწაულებზე კი როგორიცაა ამადლება. გთხოვთ, გამოგზავნოთ ვინმე სხვა მღვდელი, რომელიც უფრო პასუხისმგებლობით მოეკიდება თავის მოვალეობას“³. დოკუმენტიდან ცნობილი ხდება ასიც, რომ მღვდელი პერტაია თავად ითხოვდა სამრევლოს დატოვებას, თუმცა სინოდის ობერ-პროკურორის გადაწყვეტილებით მისი თხოვნა არ დაკმაყოფილდა.

შესწავლილი საარქივო მასალები მრავალფეროვანია და მიუთითებს იმ საჭირობოროტო საკითხებზე, რომელიც რელიგიური ცხოვრების თვალსაზრისით, იმ დროს თრუსოს ხეობის მოსახლეობისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. საარქივო დოკუმენტებიდან შეგვიძლია მოვახდინოთ იმ სამღვდლო პირების იდენტიფიკაცია, რომლებიც ამ დროს თრუსოს ხეობაში მოღვაწეობდნენ. ასევე თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად ხეობის შერეული მოსახლეობისა, ღვთისმსახურება ქართულ ენაზე აღესრულებოდა.

დამუშავებული მასალებიდან გამომდინარე გამოიკვეთა შემდეგი:

- თრუსოს ხეობაში მართლმადიდებელ ქართველ მოსახლეობასთან ერთად ცხოვრობდნენ ქრისტიანი ოსები;
- თრუსოს ხეობაში ძირითადად მოღვაწეობდნენ ქართველი სასულიერო პირები;

¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #21696, გვ. 1.

² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი 20554, გვ. 7-8.

³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი 22912, გვ. 4.

- თრუსოს ხეობაში და მის სამრევლოებში შეინიშნებოდა სასულიერო პირების ნაკლებობა;
- თრუსოს ხეობის სამრევლოს ეკლესიები სავალალო მდგომარეობაში იყო;
- მძიმე ვითარება იყო საგანმანათლებლო თვალსაზრისითაც; არ არსებობდა სასწავლებლები სადაც შეიძლებოდა დაწყებითი განათლების მიღება;
- ხეობის მოსახლეობა თუ სასულიერო პირები განიცდიდნენ საეკლესიო წიგნების ნაკლებობას;
- სასულიერო პირების მიერ ხშირად ხდებოდა სამრევლოების მიტოვება თვითნებურად ან მკაცრი კლიმატური პირობების გამო;
- ახლად გაქრისტიანებულ ოსებს ესაჭიროებოდათ ეკლესია და სასულიერო პირები თავიანთი რელიგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ბ) საარქივო მასალები თრუსოს ხეობაში არსებული ეკლესიების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის №488-ე ფონდში არც თუ ისე მცირე მასალებს ვხვდებით, რომლებიც ნათელ სურათს ქმნიან ხეობაში არსებული ეკლესიების მდგომარეობის შესახებ. დოკუმენტები კვლავაც ძირითადად წარმოადგენენ მიწერილობას საქართველოს ეგზარქოსების სახელზე.

1835 წელს საქართველოს ეგზარქოსის ევგენის (ბაჟენოვი – გ. ბ.) სახელზე კობის სამრევლოს მღვდლის ევსტატე ფეიქრიშვილის მიერ გაგზავნილი საანგარიშო წერილიდან ვიგებთ, თუ როგორ განახლდა კობის წმინდა გიორგის ეკლესია ღუშეთში მცხოვრები ვინმე გრიგოლ აპრილოვის მიერ:

„ა. პირველად დახურა ზევიდგან ორ პირად კარგის ფიცრით კრიშა;

ბ. მეორე. პოლი გაუკეთა ზევით კარგის გარანდელის ფიცრით;

გ. მესამე. შიგნით და გარედან გალესა კირით როგორც რიგია.

დ. მეოთხე. ძირს პოლი დააგო ფილაქნის კარგის ფილისა და ზემოდგან კირით გარდალესა თავი.

ე. მეხუთე. კარები ახალი შეაბა.

ვ. მეექვსე. ორი ახალი ჯვარი დაასვენა თავსა და ბოლოს.

ზ. მეშვიდე. პატარა ზარისთვის სამრევლო გავაკეთებინე თვით ჩემის ხარჯით ფიცრისა. მე ასე ვგონებ, თქვენო მეუფებავ, რომ კობისა შინა ამასთან შემკობილი ეკლესია ძნელათ სადმე იყოს და მისთვის არა ინებებსა თქვენი მაღალი ყ^ად უსამღვდელოესობა ებრძანოს ვისდამცა ჯერ იყოს და განშინჯონ ეკლესია სიმართლით...¹ როგორც ჩანს, კობის წმინდა გიორგის ეკლესიის განახლების სამუშაოები შეუმოწმებიათ ოსეთის სასულიერო კომისიის მღვდელ ევსტატე ფეიქრიშვილის, კაიშაურის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელ გრიგოლ სვანაიძეს და ღუშეთის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელ იოანე სავანელს. სასულიერო პირების მიერ სამუშაოების შეფასების ანგარიში ასევე ეცნობა საქართველოს მაშინდელ ეგზარქოსს ევგენი ბაჟენოვს: „ყოველივე მუშაობანი არის სუფთად, მაგრად და რიგიანად, გარდა ამისა ყოველივე ზემოთ პირს ფიცრულად სჩანს რ^ა თითოეულის ფიცარსა აქვს დაკრული ათი ლურსმანი; ამისთვის უმორჩილესად გვაქვს პატივი

¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #4020, გვ. 37.

მოხსენებისა, რომელ როგორ არ არის გაკეთებული ყოველივე არის ამა ზემო მოხსენებულსა პუნქტთა მიერ, გარნა დიდისა თოვლისა და ავდრისა გამო თუ ესეოდენი დროის გატარება ექნება კობის ეკლესიის სახურავსა ფოდრატჩიკის აპრილოვისაგან გაკეთებულსა, ამაზედ ჩვენ არა ძალგვიძს შემდგომისათვის პასუხის გება. ამასთანავე გავბედავთ მოხსენებასა, რომ დროისა დიდისა და ცოტა თოვლისასა უკეთუ ეყოლება ზედამხედველი და გადმოიყრების ყოველთვის თოვლი, არა მცირესა დროს განატარებს სახურავი ამა კობის ეკლესიისა შინაფერად ფიცრისა¹. თრუსოს ხეობისათვის დამახასიათებელი ცივი კლიმატი, როგორც ჩანს, საეკლესიო ნაგებობებზე თავის უარყოფით კვალს ტოვებდა. ამიტომაც იყო, რომ მძიმე ზამთრის გადატანის შემდეგ ეკლესიის სახურავები ისევ შესაკეთებელი იყო. ამავე წლით დათარიღებული დოკუმენტი, სამწუხაროდ, ასეთივე ინფორმაციას იტყობინება:

„ა. კობის სამრევლოს ეკლესია წმინდის გიორგის, ქვითკირის აღშენებული პირად ნაკურთხია ჩყვ-^ს წელსა შწა ის მაისს, რომელსაც უნდა გაკეთება.

ბ. აბანოს ეკლესია პირ წმინდის გიორგის ქვითკირით აღშენებული ჩყვ-^ს 1820 წელში და ნაკურთხსა დეკემბერსა თვეს იმავე წლისას, უნდა დახურვა ზევიდამ, გალესვა შიგნით და გარეთ. ამა ეკლესიასა შწა მდგომარეობს მღვდელი გაბრიელ ხუციშვილი. პრიეტნიკი მოსე ჩიხლაძე“². ამავე დოკუმენტში მღვდელი იოანე სისაური მიმართავს სრულიად საქართველოს ეგზარქოს, კახეთისა და ქართლის არქიეპისკოპოსს ევგენის (ბაჟენოვი – გ. ბ.), ამცნობს, რომ მან ჩაატარა ოსეთის სასულიერო კომისიის ეკლესიების აღწერა, ნახა რომელი მათგანი იყო დაზიანებული, რა მასალა იქნებოდა საჭირო ეკლესიების შესაკეთებლად და საიდან შეიძლება აღნიშნული მასალების მოტანა; რა ფასად შეიძლებოდა შესყიდვა, რომელი ოსტატების ჩართვა იყო საჭირო ეკლესიების შესაკეთებლად და რა ღირებულებით³.

სოფელ აბანოს ეკლესიის მძიმე მდგომარეობაზე მიუთითებს 1836 წლის დოკუმენტი, სადაც კვლავ მღვდელი ევსტატე ფეიქრიშვილი საქართველოს ეგზარქოსს მოახსენებს შემდეგს: „თუმცა მდგომარეობას აბანოს სამრევლოს ეკლესიას სიძველესა შინა, როდესაც წვიმა არ მოვა მაშინ ყოვლის დღესასწაულს სრულდება საღმრთო ლიტურგია და ღოცვა და როდესაც წვიმა და ავდარი არის, მაშინ არ სრულდება არა ვითარმე... უსამღვდელოესო მეუფეო, მაქვს პატივი განუცხადო თქვენსა მაღალ მეუფებასა, ვიდრემდის აბანოს სამრევლოს ეკლესიის ჭერი აიშლებოდეს და ახალი დაიხურებოდეს შესაძლებელია არს აღსრულდეს იმა ეკლესიასა შინა საღვთისმსახურო მსახურება“⁴.

1839 წლით თარიღდება კობის ეკლესიის მღვდლის ევსტატეს კიდევ ერთი მიწერილობა, კვლავ საქართველოს ეგზარქოსის ევგენი ბაჟენოვის სახელზე. მიწერილობიდან ირკვევა, რომ ამ წელს დასრულდა აბანოს ეკლესიის შეკეთება, რომელსაც ყარაულად ედგა ვინმე ბიზა ქოქაშვილი. ბიზა ქოქაშვილი არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რის გამოც ევსტატე ფეიქრიშვილმა ის სხვა პიროვნებით ჩაანაცვლა: „მაქვს პატივი მოვახსენო მაღალ მეუფებასა თქვენსა ამას ზწა რომელი

¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #4020, გვ. 40.

² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #4271, გვ. 19.

³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #4271, გვ. 19.

⁴ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #4635, გვ. 2.

განვასრულეთ აბანოს ეკლესიასა, რომელსაც აქამომდე ყვანდა ტარასტა ბიზა ქოქაშვილი და არ უვლიდა ეკლესიასა არა ვითარსამე, რადგანაც არის ბრძანება უმაღლესს მთავრობისაგან კომისიის ეკლესიებისა ყვანდეს ყარაული... ამასსა მაქვს პატივი მოხსენებად მაღალ მეუფებისა თქუნისადმი, რომელიც ვიშოვნე მსურველი კაცი სტარასტობისა და ყარაულობასა. იმავე აბანოში მაცხოვრებელი ჩაბულიშვილი საბინა, რომელმანცა აღმითქვა გალავნის შემოვლება აბანოს ეკლესიის თავისის ხარჯითა, რადგანაც სოფლის შუა არის საქონელი, ხვდება და აფუჭებს ფეხი საქონელისა. მე ესრეთ გამოუცხადე უკეთუ გალავანს შემოავლებ, ტარასტათ დაგაყენებთ და ეგრეცა ვიქმნი, გალავანი შემოვავლებინე ორპირის ქვითა... მრავალი შრომა და ამაგი გასწია; ამასსა არა ინებებს თქუენი მაღალ მეუფება რადგანაც არს ქრისტიანი და მსურველი ეკლესიის მსახურისა და მტკიცედ თქუენს მაღალ მეუფებისაგან ტარასტობა – საბინა ჩაბულიშვილს, რომელიც ფ~დ კარგად უვლის იმა ეკლესიასა და გალავანიცა შეასრულა თავისი ხარჯით“¹.

საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის ფონდი მრავლად მოიცავს მღვდელ ანდრია გურგენიძის მიერ გაგზავნილ წერილებს. 1851 წლით დათარიღებულ წერილში ანდრია გურგენიძე თხოვნით მიმართავდა საქართველოს ეგზარქოსს, რომ კობისა და აბანოს სამრევლოს ეკლესიებში მოღვაწე მღვდლებისათვის აუშენებინათ ქვის სახლები. კობისა და აბანოს ეკლესიების მღვდლების სახლებისათვის გამოიყო 500 ვერცხლის რუბლი, რომელიც უნდა განაწილებულიყო თანაბრად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მღვდელმა ანდრია გურგენიძემ წარადგინა შემოსავალ-გასავლის წიგნი. შემოსავალ-გასავლის წიგნიდან გაირკვა, ასევე იმ მუშების ვინაობა, რომლებიც მონაწილეობდნენ სამღვდლო სახლების მშენებლობაში, მათ შორის იყვნენ, როგორც ქართველი ასევე ოსი ეროვნების მუშები, უმეტესი ნაწილი ადგილობრივი მაცხოვრებლები: ქოქაშვილები, გუდიაშვილები, ბურჯუაშვილები, აგაიშვილები, ცაბულოშვილები, ყარაშვილები, ბედოშვილები, პავლეშვილები...²

1852 წლით დათარიღებული დოკუმენტის თანახმად იგივე მღვდელი ანდრია გურგენიძე თხოვნით მიმართავს საქართველოს ეგზარქოსს, ამჯერად კობის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის გამო. ანდრია გურგენიძე იუწყება, რომ კობის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის სახურავი ჩამონგრევის პირასაა და აუცილებელია მისი შეკეთება. საჭიროა მატერიალური დახმარება ტაძრის შესაკეთებლად. როგორც ჩანს, კობის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის პრობლემა იმ წლებში ვერ მოგვარდა, რადგან 1858 წლით დათარიღებულ დოკუმენტში კვლავ ეს საკითხია განხილული.

თრუსოს ხეობის ეკლესიების სავალალო მდგომარეობა, მატერიალური რესურსის ნაკლებობა, სასულიერო პირების მაცხოვრებლის პრობლემა, მომდევნო წლებისთვისაც იყო დამახასიათებელი. 1859 წელს აწ უკვე კობის ეკლესიის მღვდელი ივანე ბიძიანოვი მიმართავს ეგზარქოსს და ამცნობს, რომ კობის სამრევლოში მღვდლებისათვის განკუთვნილი სახლი სავალალო მდგომარეობაშია, ოთხი ოთახიდან ოთხივე საჭიროებს შეკეთებას. ამისათვის იგი ითხოვს გამოიყოს 40 მანეთი და 500 კაპიკი ვერცხლის ფული სახლის შესაკეთებლად. საარქივო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ კობის სამრევლოში მოღვაწე სასულიერო პირმა ივანე ბიძიანოვმა საქართველოს საეგზარქოსის მიერ, კობში სასულიერო პირების სახლის შესაკეთებლად გამოყოფილი თანხა, 225 რუბლი ვერცხლის

¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #6423, გვ. 2.

² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #15546, გვ. 9.

მანეთი, მიიღო ფასანაურის ფოსტაში. ამასთანავე, ივანე ბიძიანოვმა აცნობა ეგზარქოსს, რომ ის აუცილებლად წარადგენდა საეკლესიო სახლის მშენებლობის შემოსავალ-გასავლის წიგნს.¹

1905 წლის დოკუმენტში სამწუხარო ცნობაა წარმოდგენილი. ნიკიფორე კანდელაკი აცნობებს საქართველოს ეგზარქოს ალექსის (ოპოცკი – გ. ბ.), რომ აბანოს ეკლესია დანგრევის პირასაა და უნდა დაიკეთოს².

ზემოთ მოყვანილი მრავალფეროვანი მასალა თრუსოს ხეობის იდუმალეებით მოცული ისტორიის მრავალ საინტერესო ფურცელს ხდის ნათელს.

გ) საარქივო მასალები თრუსოს ხეობის ოსების გაქრისტიანების შესახებ

ოსების გაქრისტიანების საკითხი ძალზე საყურადღებო და მნიშვნელოვანია. სანამ უშუალოდ თრუსოს ხეობაში ჩამოსახლებული ოსების გაქრისტიანებას შევეხებით, მიმოვიხილავთ ზოგადად ოსების გაქრისტიანების საკითხს. ზოგიერთი ცნობით, ქრისტიანობა ალანებში პირველი საუკუნიდან გავრცელდა, კავკასიაში მოქადაგე მაცხოვრის წმიდა მოციქულების ანდრია პირველწოდებულის და სვიმონ კანანელის მოღვაწეობის ჟამს. მესამე საუკუნის დიდი ღვთისმეტყველის ორიგენეს (183-254) ცნობა შემოგვინახა საეკლესიო ისტორიის მამამ, ევსევი კესარიელმა (+339), რომლის თანახმად – „Фома получил после жребия в свой апостольский удел Парфию, Андрей - Скифию, Иоан – Азию. Здесь они и начали свою деятельность³. ორიგენეს ცნობის უგულებელყოფა ადვილად არ შეიძლება. „იგი ემყარება მსოფლიო ეკლესიის გადმოცემას, რომლის გასაცნობად ორიგენემ განგებ მოიარა და ინახულა იმ დროის საქრისტიანოს ცენტრები: რომი, პალესტინა, მცირე აზია⁴. ამდენად, ანდრია მოციქულს სკვითია ერგო მოსაქცევად. სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ირანულენოვანი სკვითები, სარმატები და ალანები, ისევე როგორც ადგილობრივი კავკასიელები, ოსების ეთნოგენეზში მონაწილე ეთნოსებია. ქართული მატიანეს მიხედვით, ანდრია პირველწოდებული ოსთა განმანათლებლად ითვლება. „ხოლო დიდი ანდრია სიმონითურთ შევიდეს ქვეყანასა ოვსეთისასა და მიიწივნეს ქალაქად, რომელსა ფოსტაფორ ეწოდების, სადა იგი დიდი სასწაული აღასრულეს, მაგრამ მიუღებელია „ოსეთის დღევანდელი ერი და ეკლესია, საქართველოს ეკლესიასთან ერთად ჩაითვალოს უხუცეს ანუ სამოციქულო ეკლესიად“⁵. ქართველი ერის ეროვნული ცნობიერება მართლმადიდებლურ მოძღვრებაში განსაზღვრდა, მაგრამ განა ყველგან მართლმადიდებლობას თაყვანისცემის ამგვარი მასშტაბები ჰქონდა?! „ქრისტიანობას ყველა ეროვნულ სინამდვილეში ერთნაირი ნიადაგი არ დახვედრია და შესაბამისად არც ერთნაირ სარწმუნოებრივ ინსტიტუტებში თუ მორალურ იმპერატივებში უპოვნია თავისი პრაქტიკული განხორციელება“⁶.

¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #18681, გვ. 4-5.

² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #26940, გვ. 2.

³ Владимир Кузнецов. Христианство в Алании до X в. Известия за Юго-осетинского научно-исследовательского института АН ГССР, Вып. XXIII, 1978, стр. 26.

⁴ მიქეილ თარხნიშვილი. წერილები. თბილისი, 1994, გვ. 407.

⁵ ზაქარია ჭიჭინაძე. ოსეთი ქართული წიგნები. ზეპირის ამბებით, სახალხო გარდმოცემებით და ძველებურის დარჩენილის ცნობებით. ტფილისი, 1915, გვ. 43.

⁶ თამარ გეგეშიძე, დავით გეგეშიძე. ქრისტიანობა და ქართული სინამდვილე. ჟურნალი „რელიგია“, №1-2-3, 2002, გვ. 88.

ოსეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ნაკლებად განვითარებული კლასობრივი ურთიერთობები, ქრისტიანობის გავრცელებას კვლავ აბრკოლებდნენ. ამ საქმის წარმატებას ხელს უშლიდა სპარსეთი, ქრისტიანობის დაუძინებელი მტერი, რომელიც ბიზანტიას ებრძოდა, 562 წელს, ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ (527-565) დაიპყრო კავკასიის მთის ხალხები: ჩერქეზები, აფხაზები და სხვა. შესაბამისად, მათ შორის ქრისტიანობა გაავრცელა. ბიზანტიის იმპერატორს დიდი გავლენა მოუხდენია ალანებზე, რომლებიც იუსტინიანეს წმინდანად თვლიდნენ და „იუს“ უწოდებდნენ. „იუსტინიანეს პერიოდის ეკლესიათა რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს ე.წ. იუს ძუარი, რომელიც დიგორიაში მდებარეობს“¹. ქრისტიანობა ალანიაში სხვადასხვა გზით შედიოდა. კერძოდ, ბიზანტიის სამღვდელთა VII საუკუნეში წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი დაარსა, ძირითადად იმ ნაწილში, რომელიც აფხაზეთს ესაზღვრებოდა „Масеионерская активность Византии объясняется рядом далеко идущих политических расчетов, основным из которых явилось стремление к превращению алан в послушных военных Вассалов“².

არსებული წყაროების პირდაპირი თუ ირიბი მონაცემები საკმარისი არ არის ოსების წინაპრები უძველეს ქრისტიანებად გამოცხადდნენ, მაგრამ, „ბიზანტიის მიერ ოსთა გაქრისტიანება ერთ-ერთი ნაბიჯი იყო მსოფლიო იმპერიის შექმნის გზაზე. VI საუკუნის შემდეგ ეს ინტერესი შენედა, რადგან ოსთა სამეფო ძალა მისუსტებული იყო“³.

X საუკუნეში ოსთა გაქრისტიანების ბიზანტიური პოლიტიკა კვლავ დღის წესრიგში დადგა. 921-925 წლებში ქრისტიანობა ალანებში ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა. ალანებში ქრისტიანობის გავრცელება კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის და აფხაზთა მეფის გიორგის სახელს უკავშირდება, მეფე გიორგი ნათლავს ალანეთის მმართველს და დიდებულებს. ალანთა მოქცევის თაობაზე კონკრეტული ცნობები კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის ეპისტოლეთა კრებულში მოიპოვება. აღნიშნული საკითხის შესახებ ბერძნულმა პატროლოგიამ სამი წერილი შემოინახა. ეპისტოლეებიდან ირკვევა, რომ ალანთა შორის პირველ მქადაგებლად გამოსულა ოლიმპის ბერმონაზონი ექვთიმე, რომლის მოღვაწეობას დიდი ნაყოფი არ გამოუღია. მაშინ თვითონ აფხაზთა მეფეს თავს უღვია ეს საქმე და ალანების გასანათლებლად **ქართველი მოციქულები გაუგზავნია**, მოუქცევია და მოუნათლავს მათი მთავარი, სხვა მრავალ ალანებთან ერთად. რაკი ალანთა ქვეყანა იერარქიულად ბიზანტიის საპატრიარქოს ფარგლებში შედიოდა, ამიტომ თვითონ ნიკოლოზ მისტიკოსს საკუთარი ხელდასხმით დაუდგენია მათთვის პირველი მთავარეპისკოპოსი, სახელად პეტრე“⁴. საერო ხელისუფლების ძალისხმევითა და ადგილობრივი არისტოკრატიის აქტივობის მიუხედავად, ოსების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ წარმართად რჩებოდა. „ალანთა ეპარქია პირველად X საუკუნეში გვხვდება, ნიკოლოზ მისტიკოსის დროს, როგორც სამთავარეპისკოპოსო, შემდეგ კი – სამიტროპოლიტოდ გადაიქცა, რომელიც კონსტანტინეპოლის საპატ-

¹ Вольдемар Пфаф. Материалы для истории Осетии, сборник сведений о Кавказских горцах. Тифлис, вып. V, 1871, стр. 8.

² Василий Кузнецов. Христианство в Алании до X в. Известия за Юго-осетинского научно-исследовательского института АН ГССР, Вып. XXIII, 1978, стр. 36.

³ ჯონდო გვასალია. ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიიდან. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1997, გვ. 17.

⁴ მიქაელ თარხნიშვილი. წერილები. თბილისი. 1994, გვ. 409.

რიარქოში შედიოდა. ალანთა ეპარქიამ XIII საუკუნემდე, ე.ი, ალანებში მონღოლების შემოსევამდე იარსება¹.

მოგვიანებით, ალან-ოსებზე ბიზანტიის იდეოლოგიურ გავლენას უკვე საქართველოს ქრისტიანული კულტურის ზეგავლენა ენაცვლება, „საქართველოს ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში, ქართველ და ოს ხალხებში დამყარებული მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა, დინასტიური ნათესაობა ამ ქვეყნების მმართველ წრეებს შორის, XI-XIII საუკუნეების მთელ მანძილზე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ოსეთში ქართული კულტურის გავრცელებისათვის².

ოსებზე ქართული ეკლესიის გავლენა განსაკუთრებით თამარის (1184-1213) მეფობისას გამოჩნდა. ოსეთში „ძულადვე არიან ციხენი, კოშკი, ეკლესიანი ქვიტკირისანი, მეფეთაგან ნაშენნი და უმეტეს იტყუან თვთ იგინივე თამარ მეფისაგანსა“³. ოსურ ხეობათა აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი ეკლესიებს ასახელებს. ეკლესიათა მისი ჩამონათვალი სრული არ არის. თამარის დროინდელი ნაშთები ჩვენს დრომდე შემორჩა. თუმცა, ოსები ყველა ეკლესიას „თამარ დედოფლის“ აშენებულს ეძახიან, მაგრამ თამარ მეფის აშენებული ეკლესიები, როგორც სტილით, ისე სიძველით დიდად განსხვავდებიან ძველი დროის ნაშთებისაგან. „მის მიერ აშენებულ ეკლესიათაგან ცოტა დარჩა მრთელი – გვამცნობს გაზ. „დროების“ კორესპოდენტი. „ერთი ეკლესია მდებარეობს სოფელ ნუზალში და მეორე სოფელ მახჩინში. ამ სოფლების ეკლესიებში ეხლაც წირავენ“⁴ ი. რაინესი ქართულ საისტორიო ტრადიციაზე დაყრდნობით შენიშნავდა, რომ „ყველა ოსი თამარ მეფის მიერ იქნა დამორჩილებული და გაქრისტიანებული. ეს სარწმუნოება საკმაოდ შორს უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რადგან ოსების მთებში აქა-იქ კიდევ გვხვდება ქვის ძველი ეკლესიები და პატარა სამლოცველოები. მაგრამ ქრისტიანობამ ოსებს ალბათ, არც ბედნიერება მოუტანა და არც განწმენდა, რადგან მალე კვლავ თავის ძველ ჩვევებს და უვიცობას დაუბრუნდნენ და ქრისტიანობა დაივიწყეს“⁵.

ოსეთში ქრისტიანობის განმტკიცება, რომ საქართველოს მეშვეობით მომხდარა, ამაზე მეტყველებს ოსურ ენაზე არსებული ქრისტიანული ტერმინოლოგია, რომელიც ქართული ენიდან არის შესული. კერძოდ, ძუარ – ჯვარი, კუირი – კვირა, თარანჯელოს – მთავარანგელოზი, მარხო – მარხვა, ჩირისტი – ქრისტე, დეკანოზი – დეკანოზი და ა. შ. ქართული კულტურის გავლენა ოსებზე მხოლოდ რელიგიურ ტერმინოლოგიაში არ გამოვლენილა, საქართველოდან ოსეთში გავრცელდა ქართული ხუროთმოძღვრული სტილი. „ნუზალის ტაძარი მდ. არდონის ხეობაში, რექომი ცეის ხეობაში, ინგისის ტაძარი ქურთათინის ხეობაში და სხვები, ოსეთზე ქართული კულტურის გავლენის მაჩვენებელია“⁶.

XIII-XIV საუკუნეში, მონღოლების გამოჩენის შემდეგ, ოსეთში ქრისტიანობა დასუსტდა. XVI-XVII საუკუნეებში ოსებს შემოესივნენ ყაბარდოელები, რის შედეგადაც აქ ისლამმა შემოადგია. „ჩრდილო კავკასიის ბარის ზოლს, რომელიც ოსებს ეკავათ, ყაბარდოელები

¹ Борис Калоев. Осетины. Москва, 1971, стр. 284.

² გიორგი თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში. თბილისი. 1969, გვ. 225.

³ ვახუშტი ბატონიშვილი. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“. IV. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. თბილისი. 1973, გვ. 640.

⁴ გიორგი ჩოჩიშვილი. სარწმუნოება ოსეთში. – გაზეთი „დროება“. №2. 1883, გვ.2.

⁵ იაკობ რაინესი. მოგზაურობა საქართველოში. გერმანიიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბილისი, 2002, გვ. 211.

⁶ ჯონდო გვასალია. შიდა ქართლი და ოსური საკითხი. თბილისი. 1997, გვ. 17.

ეუფლებიან, ოსები იძულებული ხდებიან მთებს შეაფარონ თავი. ხეობათა გამოსასვლელებს ყაბარდოელები აკონტროლებდნენ, აქ ოსების გამოჩენა იწვევდა მათ ფიზიკურ განადგურებას, დატყვევებას ან ძარცვას, ამიტომ ეს უკანასკნელნი მთის ზოლში მტკიცედ ჩაიკეტნენ. აქ შეიქმნა მათი სასოფლო ტერიტორიული ერთეულების თემები, ძირითადი ხეობების მიხედვით“¹. ისეთი სიტუაცია იქმნება თითქოს „ერთი მხრივ ყაბარდოელებმა, მეორე მხრივ ქართველებმა, მრავალი საუკუნის მანძილზე ჩაკეტეს ოსები თავიანთ პირქუშ აულებში და ბარში არ უშვებდნენ, არც სავაჭროდ და არც სხვა ხალხთან შესარევად“². აქედან გამომდინარე ოსები რუსებს შეხვდნენ, როგორც განმანთავისუფლებლებს³. მკვლევართა მიერ ზემოთაღნიშნულ შთამბეჭდავ შეფასებას საჭიროა რეალობა დავუპირისპიროთ. კერძოდ, საქართველოს ხარჯზე, როგორც დაწინაურებული მიწათმოქმედების ქვეყანაზე, постоянно жились разнородными горские племена⁴.

ოსეთში შექმნილი ისტორიული პირობები არც ერთი რელიგიის დამკვიდრებისათვის არ იყო ხელსაყრელი. ადარც ის საგარეო ძალები იყვნენ იმ დონეზე, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ოსეთის რელიგიური ორიენტაციით. საქართველო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა, ბიზანტია სულ გაქრა ისტორიული ასპარეზიდან და ქრისტიანული რელიგიის დასაყრდენი ბაზა საგრძნობლად დასუსტდა. მაგრამ, არც ყაბარდო იყო იმდენად ძლიერი და ორგანიზებული, რომ მაჰმადიანობა ფართოდ გავრცელებინა ოსეთში. თუ აქაურმა სოციალურმა ზედა ფენებმა მაინც მიიღეს იგი, ეს აიხსნებოდა უკანასკნელთა კლასობრივი ინტერესებით – მაჰმადიანობის მეშვეობით უზრუნველყოთ ყაბარდოელი ფეოდალების კლასობრივი მხარდაჭერა თანამოძმეთა სოციალური დამორჩილების საქმეში“⁵.

ოსთა სარწმუნოებრივ ინდივიდუალობაზე მეტად სრულყოფილია ვახუშტი ბატონიშვილის უტყუარი შეფასება: „სარწმუნოებით არიან ძუელად ქრისტიანენი და სამწყსონი ნიქოზლისანი და უფროს დუალნი. არამედ აწინდელთ ჟამთა დუალნი სახელით ოდენ ქრისტიანენი, რამეთუ იმარხვენ დიდმარხუასა, ხატთა, ეკლესიათა და სამღუდელოთა პატივსა უყოფენ და თაყვანსსცემენ და სხეცა სრულიად უმეცარი, არა უვით მღუდელი და უნათლისღებონი არიან, თვინიერ რომელნი ქართლსა და რაჭას მოინათლეიან. ხოლო თაგაურნი, ქურთაულები, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორელნი და ბასიანელნი, რომელთა თავნი და წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანი და დაბალი გლეხნი ქრისტიანენი, გარნა უმეცარნი ორივეს რეჟულისანი, რამეთუ გარჩევა მათი არს ესე: რომელნი ჭამენ ღორსა, არიან ქრისტიანენი და რომელნი სჭამენ ცხენსა, ესე არიან მაჰმადიანნი“⁶. მემკვიდრე სამართლიანად მიიჩნევს დუალებს უძველეს ქრისტიანებად, ხოლო თანადროულ ეპოქაზე მიანიშნებს – „სახელით ოდენ ქრისტიანენი“. ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში შემუშავებულია დებულება, რომ კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ისტორიული საქართველოს პროვინციაში – დვალეთში ოსების შემოსახლება XV ს-დან

¹ ბახვა გამყრელიძე. უქმნიდით ერთმანეთს ზიანს, ვითარცა მტერნი. – ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“. 1997, გვ. 26.

² Евгений Марков. Очерки Кавказа. Санкт-Петербург. 1887, стр. 193.

³ Георгий Кокиев. Очерки и истории осетин. Ч. I. Владикавказ, 1926, стр.80.

⁴ Сергей Анисимов. Кавказ. Тифлис. 1916, стр. 12.

⁵ გიორგი თოგოშვილი. ვახუშტი ბატონიშვილი ოსეთისა და ოსების შესახებ. თბილისი. 1977, გვ. 39.

⁶ ვახუშტი ბატონიშვილი. „ადწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“. IV. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. თბილისი. 1973, გვ. 638.

იწყება. XVII საუკუნეში, დვალეთში დასრულდა დვალეების ასიმილაცია ოსების მიერ, გვიან შუასაუკუნეების ხანაში დვალთა გაოსებაში „უთუოდ დიდი წვლილი შეიტანა ქრისტიანობის დაკარგვამ და ოსური წარმართული სარწმუნოების შეთვისებამ“¹.

XVI-XVII საუკუნეში ჩრდილო კავკასიელ ოსებზე ქართველთა პოლიტიკური და კულტურული ზეგავლენა ოსმალეთის მიერ მაჰმადიანობის გავრცელების შედეგად საკმაოდ შესუსტდა, მაგრამ კავშირი მაინც არ გაწყვეტილა. ამ ეპოქაში ე.წ. სამხრეთული ოსები უკვე ქართველებთან უშუალო მეზობლობაში იყვნენ, ვინაიდან „XVII საუკუნის დასაწყისიდან იწყება ოსთა ჩამოსახლება“².

„ოსეთში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგი პერიოდი დაკავშირებულია XVIII-XIX საუკუნის მისიონერულ მოღვაწეობასთან, რომელსაც „მეტად ფორმალური ხასიათი ჰქონდა“³. „ოსეთის სასულიერო კომისია“ სინოდის დავალებით და ქართველი არქიმანდრიტი პახომის მეთაურობით სამისიონერო საქმიანობას აქტიურად შეუდგა. კომისიის წევრები ქართულიდან ოსურ ენაზე საეკლესიო ხასიათის წიგნებს თარგმნიდნენ, ოსებს ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდნენ. მათი ინიციატივით, მოზდოკში ოსებისთვის სკოლა გაიხსნა, რომელიც პირველი სკოლა იყო მთელ ჩრდილო კავკასიაში. მათი ასეთი საქმიანობა თითქოს მიმართული იყო ოსების ქართული გავლენის ორბიტაში მოსაქცევად: „ოსეთის სასულიერო კომისიის მეთაურობისას, ქართველები დაკავებულნი იყვნენ თავიანთი პირადი საქმეებით, ვინაიდან ქართველ სამღვდელოებას სურდა რუსეთის მთავრობის ყურადღება დაემსახურებინა, თორემ ოსები არასოდეს არ იყვნენ განსაკუთრებით რელიგიურები და არასდროს ჰქონდათ განსაზღვრული სარწმუნოება არც მაშინ, არც მანამდე და არც შემდეგ“⁴. აღნიშნული კომისიის ქართველი სასულიერო პირებით დაკომპლექტებას სხვა საფუძველი ჰქონდა. საქმე იმაშია, რომ 1739 წელს, რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული ზავით ყაბარდო ამ ორ ქვეყანას შორის ბარიერად – ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. „რამდენადაც ოსეთი ნომინალურად ყაბარდოზე დამოკიდებულ ქვეყანად ითვლებოდა, ისიც ამ ნეიტრალურ ზონაში მოყვა. ასეთ პირობებში რუსეთის მთავრობა, თურქეთთან ურთიერთობის გამწვავების შიშით, თავს იკავებდა ოსეთში უშუალო საქმიანობის გაჩაღებისგან და გადაწყვიტა ოსთა გაქრისტიანების საქმე ქართველი სამღვდელოების ხელით მოეგვარებინა“⁵. რუსული მხარისათვის ცნობილი იყო აგრეთვე, რომ ქართველები ოსებში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. კარგად იცნობდნენ მათ წეს-ჩვეულებებს, გასაჭირს, ადგილობრივ პირობებს⁶.

ქრისტიანობის განმტკიცების დადებითი შედეგია, კავკასიის მთიელებში დამწერლობისა და საეკლესიო ხუროთმოძღვრების გავრცელება, მაგრამ რუსეთისათვის მთავარი ქრისტიანობის გავრცელება კი არ იყო, არამედ „ისლამის დათრგუნვით კავკასიის მთიელი მოსახლეობის საბოლოო დამორჩილება. დაპყრობილი ტერიტორიების შემომტკიცების საქმეში სამღვდელოებას დიდი როლი უნდა ეთამაშა“⁷.

¹ ანანია ჯაფარიძე. XIX საუკუნე ქართველთა გაოსება. – ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1997, გვ. 20.

² ჯონდო გვასალია. ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიიდან, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1997, გვ. 39.

³ Сергей Токарев. Этнография народов СССР. Москва. 1958, стр. 267.

⁴ Георгий Кокиев. Очерки и истории осетин. Ч. I. Владикавказ, 1926, стр.96.

⁵ გიორგი თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში. თბილისი, 1969, გვ. 236.

⁶ ირმა კვაშილავა. ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება ოსებში და ბრძოლა მისი განმტკიცებისათვის. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგანი X, 2008, გვ.113.

⁷ კახა ცერცვაძე. ჩერქეზების გადასახლება და XIX საუკუნის ქართული პრესა. თბილისი. 1996, გვ. 9.

თუ XVIII საუკუნის მანძილზე ქართული ეკლესიები და მონასტრები რელიგიის დანერგვასთან ერთად, ხელს უწყობდნენ ოსეთში წიგნიერებისა და კულტურის გავრცელებას, „XIX საუკუნის დასაწყისში ეკლესიის ამ ფუნქციების წინააღმდეგ გამოვიდა მეფისნაცვალთა გენერალი ციციანოვი, რომელმაც საქართველოს კათალიკოსს კატეგორიულად დაავალა ქართველ საეკლესიო მსახურთა რაოდენობის მაქსიმალურად შემცირება და რუსეთის მეფის თვითმპყრობელობისადმი ეკლესიის სრული დამორჩილება“¹, რუსეთის სასულიერო მთავრობის დიდი ძალისხმევით მიუხედავად, XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის I ნახევარში, ჩრდილო ოსეთში ქრისტიანობის გავრცელებას უმნიშვნელო წარმატებები ჰქონდა, „რუსი მისიონერები ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, თავაურში, ქურთათში, ვალაგირსა და ნარში არწმუნებდნენ ოსებს, რომ მონათლულიყვნენ...“².

ეპისკოპოს დოსითეოზ ფიცხელაურის დროს 11 445 ოსი მოინათლა, ხოლო 1820 წლის პირველი ივნისისათვის მონათლულთა რაოდენობამ 31 997 ადამიანს მიაღწია³, ქრისტიანობის მიღების პირობად ეპისკოპოსი დოსითეოზი ოსებში ძალიან პოპულარულ იდეას, მებატონეთაგან განთავისუფლებას და სახაზინო გლეხების კატეგორიაში ჩარიცხვას ჰპირდებოდა. მონათლულების რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა, ვინაიდან თითოეული მოსანათლი 2-3 ვერცხლის მანეთს და ერთ წყრთა ტილოს საპერანგედ იღებდა, „დატაკ ოსს, რომელსაც ხელში არასოდეს სჭერია ვერცხლის მანეთიანი და არასოდეს შემოსილა საჭიროებისამებრ, გარდა ცხენის ველის ტყავისა, მისთვის არაფერს არ წარმოადგენდა რაღაც ფორმალთა შეესრულებინა და ამდენი სიმდიდრე მიეღო“⁴. აღნიშნული შეღავათების გამო, ხშირად ერთი და იგივე ოსები სხვა სოფლებშიც ანათლინებდნენ თავს. „გარდა ამისა, მღვდელი მათ არწმუნებდა, რომ მონათვლის შემდეგ სიკვდილის არ უნდა ეშინოდეთ, ამის გამო მათ სჯერათ, რომ არც ერთ ქრისტიანს მათი მოკვლა არ შეუძლია ისე, რომ თვით არ ეწამოს, თვითონ ოსები მიდიოდნენ მღვდელთან და ძალით, შემართული დამბაჩით მოითხოვდნენ მისგან მონათვლას“⁵. ოსებს ღმერთთან სიახლოვის შინაგანი აუცილებლობა არ ჰქონდათ. ისინი მხოლოდ სიტუაციის კარნახით მოქმედებდნენ. შედეგმაც არ დააყოვნა. „ქრისტიანობასთან დამოკიდებულებაში იგივე დარჩნენ, როგორც მათი წინაპრები იყვნენ, ასი და ორასი წლის უკან“⁶.

ფაქტია რომ, ოსები ცვალებადი სარწმუნოების იყვნენ. ისინი სხვადასხვა რელიგიურ მოძღვრებას მისდევდნენ, ისე როგორც ახსოვდათ და როგორც სჭირდებოდათ. საბოლოოდ, ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან შედარებით ორგანული კავშირი წარმართულ სარწმუნოებასთან აღმოაჩნდათ, წარმართობა ცხადია ძლიერ განსხვავდებოდა მართლმადიდებლობისაგან, მაგრამ ამავე დროს თავისი სიმარტივისა და უბრალოების გამო, კავკასიელი მთიელების ნაწილზე დიდი ზეგავლენა მოახდინა⁷. ბუნებრივია, რწმენა-წარმოდგენები და კულტის მსახურება ცალკე კვლევას მოითხოვს.

¹ ტიტუ სარიშვილი. სკოლა და სახალხო განათლება რევოლუციამდელ ოსეთში. თბილისი, 1956, გვ. 48.

² გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. ტ. II. თბილისი, 1964, გვ.59.

³ Очерки истории Юго-Осетии, т. 1, Цхинвали, 1969, стр. 218.

⁴ Георгий Кокеев. Очерки и истории осетин, Ч. I. Владикавказ, 1926, стр. 95.

⁵ ედუარდ აიხვალდი. საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბილისი, 2005, გვ.238.

⁶ Григорий Чурсин. Осетины этнографический очерк. Тифлис, 1925, стр. 46

⁷ ანანია ჯაფარიძე. XIX საუკუნე ქართველთა გაოსება. – ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1997, გვ. 19

საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარიის #488-ე ფონდში მცირე მაგრამ, საინტერესო მასალები გვხვდება თრუსოს ხეობაში მცხოვრები ოსების გაქრისტიანების შესახებ. 1817 წელს საქართველოს ეგზარქოსოს თეოფილაქტე რუსანოვის სახელზე გაგზავნილ წერილში არქიმანდრიტი ნიკიფორე აცნობებს ეგზარქოსს არაგვის ხეობის სოფლებში არსებულ მდომარეობას, კერძოდ: „არაგვის ხეობასა შა სოფლისა თრუსოსა, გიმარ, აბანო, ქეთერისი, ოქროყანა, ამა სოფლებში ცხოვრობენ ახალ ნათელდებულნი ოვსნი. კომლი ოცდაათი, სული ორასთხუთმეტი, სახელმწიფო კაცნი არიან, აქაც ეკლესიის აღმენება არს დანიშნული, თფილისიდან ვერსით შორავს.

არაგვზედ ხევში. სოფლებში მნას, კორპს (sic) [კობს – გ.ბ.], უხათს, ხურთს [ხურთისი – გ.ბ.], არიან მონათლულნი ოვსნი სულით ორმოცი. მათ მღვდელი ჰყავთ მიჩენილი, ასევე სხვებიც არიან მრავალნი, არიან ოვსნი მოსანათლავნი“¹.

1843 წლით დათარიღებულ დოკუმენტი თრუსოს ხეობის სოფლებში მონათლულთა რაოდენობის შესახებ გვამცნობს, კერძოდ:

| მონათლულთა რიცხვი 1843 წლისთვის: ² | კაცი | ქალი |
|---|------|------|
| კობი | 4 | 6 |
| აბანო | 3 | 3 |
| ლუდა | 4 | 0 |

| ადგილი | დაბადება | | გარდაცვალება | | ნათლობა | | ქორწინება |
|--------|----------|------|--------------|------|---------|------|-----------|
| | კაცი | ქალი | კაცი | ქალი | კაცი | ქალი | |
| აბანო | 8 | 5 | 13 | 4 | 8 | 5 | 1 |
| კობი | 5 | 7 | 6 | 2 | 5 | 7 | 2 |

| მონათლულთა რიცხვი 1844 წლისთვის: ³ | კაცი | ქალი |
|---|------|------|
| კობი | 4 | 6 |
| აბანო | 3 | 3 |

| ადგილი | დაბადება | | გარდაცვალება | | ნათლობა | | ქორწინება |
|--------|----------|------|--------------|------|---------|------|-----------|
| | კაცი | ქალი | კაცი | ქალი | კაცი | ქალი | |
| აბანო | 8 | 5 | 13 | 4 | 8 | 5 | 1 |
| კობი | 15 | 10 | 3 | 5 | 15 | 10 | 2 |

ახლადგაქრისტიანებული ოსები ხშირად უბრუნდებოდნენ ძველი ცხოვრების წესს და ივიწყებდნენ მიღებული სარწმუნოების ჩვეულებებს. აღნიშნულ საკითხს ეხება 1848 წლის დოკუმენტი, რომელშიც მღვდელი ანდრია გურგენიძე ამცნობს საქართველოს ეგზარქოსს,

¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #93, გვ. 8.

² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #9563, გვ.20.

³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #9563, გვ. 20.

რომ: „ზოგიერთი ოსი კობის, აბანოს და ღუდის სამრევლოში, რომლებიც არიან მონათლულები, არაქრისტიანული წესით ასრულებენ ქორწინების წეს-ჩვეულებებს (ქორწინებიან მუსლიმანებზე), რისი უფლებაც მათ არ აქვთ. აღნიშნული მოხსენდა ადგილობრივ მმართველობას, ვისგანაც უარი მივიღე, იმ მიზეზით, რომ ამ საკითხზე არანაირი მიწერილობა არ არსებობდა სასულიერო მმართველობისაგან¹“. მოგვიანებით ანდრია გურგენიძეს ეცნობა, რომ ოსები საეკლესიო წეს-ჩვეულებებს უნდა ასრულებდნენ ქრისტიანული წესის თანახმად.

1852 წელს მღვდელ ანდრია გურგენიძის მიერ საქართველოს ეგზარქოს ისიდორეს (ნიკოლსკის – გ. ბ.) სახელზე წარდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა კობისა და აბანოს სამრევლოში გაქრისტიანებული მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. კერძოდ: 1852 წელს კობის სამრევლოში მონათლულა 82 ოსი (მამრობითი სქესი), ხოლო 34 (მდედრობითი სქესი); აბანოს სამრევლოში ამავე წელს მოინათლა 40 მამაკაცი და 10 ქალი. იგივე რაოდენობა შეემატა აღსარების მთქმელთა რიცხვს². წარმოდგენილი მასალებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თრუსოს ხეობის ოსი მოსახლეობა ინათლებოდა, თუმცა ხშირად არა რელიგიური მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, არამედ უფრო ხშირად ანგარების მიზნით. ოსების მიერ ახალი სარწმუნეობის მიღება გაუაზრებლადაც ხდებოდა, რის გამოც ხეობის მოსახლეობა კვლავ ძველ წეს-ჩვეულებებს უბრუნდებოდა.

¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #13689, გვ.6.

² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი #16229, გვ. 3

თავი VI. ქართულ-ოსური კულტურული ურთიერთობების თავისებურებანი და დემოგრაფიული პროცესები კამერალური აღწერებისა და საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით (XIX საუკუნე – XX საუკუნის დასაწყისი)

საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიის, ოჯახების სტრუქტურის, მათი სოციალური ჯგუფების, ნათესაური კავშირ-ურთიერთობის, სქესობრივ-ასაკობრივი, რელიგიური თუ ეთნიკური შემადგენლობის განსაზღვრისა და მიგრაციული პროცესების შესასწავლად მკვლევართათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს XIX საუკუნეში რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებული „კამერალური აღწერები“ და საეკლესიო ჩანაწერები იგივე „მეტრიკული წიგნები“ წარმოადგენს¹. აღნიშნული დოკუმენტების შესწავლა ჩვენი თემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან იგი ქართულ-ოსური კულტურული ურთიერთობების ისეთი მარკერების გამოვლენაში გვხმარება როგორიცაა ნათესაობრივი, რელიგიური, ენობრივი თუ ყოფითი კავშირები.

XIX საუკუნეში თრუსოს ხეობა, ისევე როგორც ხევი, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით ტფილისის გუბერნიის, ღუშეთის მაზრის, მთის უბნის შემადგენლობაში შედიოდა². საეკლესიო მოწყობით კი იგი აბანოსა და კობის სამრევლოებად იწოდებოდა. კობის ქვაბულში გაშენებული სოფლები – თოღოთი, კობი, უხათი, აღმასიანი იგივე ბაზილანი, შავარდენი, ოქროყანა, გაგუანთა, ახალსოფელი, ასევე მნის ხეობა და კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე მდებარე სოფელი ბიდარა – კობის სამრევლოში იყო გაერთიანებული და კამერალურ აღწერებში „ხევის ხეობაში“ არიან აღრიცხულნი³. თრუსოს ხეობაში არსებული სოფლები – ქეთრისი, აბანო, სუატისი, ქვემო დესი, ზემო დესი, ყარათ-ყავი, ბურმასიგი, ცოცოლთა, გიმარა, ტეფი, რესი, სივრავთა და სოფელი ზაყაგორი (იგივე ბარზი)⁴ – კამერალურ აღწერებში „თრუსოს ხეობის“⁵ სოფლებში შედიოდა, ხოლო მეტრიკულ წიგნებში – აბანოს სამრევლოში ირიცხებოდა⁶.

ერთი მხრივ, კამერალური აღწერებისა და მეორე მხრივ, მეტრიკულ წიგნებში არსებულ მონაცემთა შეჯერებით დგინდება, რომ თრუსოს სოფლები მართლმადიდებელ, „ბერძნულ-ქართული“ აღმსარებლობის მოსახლეობას შეადგენდა, რომლებიც ქართულ და ოსურ ენებზე

¹ ჩვენი საკვლევი რეგიონის კამერალური აღწერები და საოჯახო სიები რუსულ ენაზეა წარმოებული. ხოლო კობისა და აბანოს სამრევლოს მეტრიკული წიგნების უმეტესი ნაწილი ქართულადაა შედგენილი. კობის სამრევლოს შემთხვევაში 1905-1917 და აბანოს 1909-1916 წლების მეტრიკული წიგნები რუსულადაა წარმოებული.

² XIX საუკუნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით თრუსო, ისევე როგორც ხევი, შეიყვანეს ტფილისის გუბერნიის ღუშეთის მაზრის შემადგენლობაში – 1802-1803 წწ. 1803 წლიდან – ღუშეთის მაზრა ანანურის მაზრად გადაკეთდა, ხოლო 1821-1929 წლებში კვლავ ღუშეთის მაზრა ეწოდა. 1840 წელს მოხდა ღუშეთის მაზრის რეორგანიზაცია – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილება უბნებად – ხევი და თრუსო „მთის უბნის“ შემადგენლობაში მოექცა. 1929 წელს გაუქმებული ღუშეთის მაზრის ტერიტორიაზე შეიქმნა სამი – ყაზბეგის, მცხეთის და ღუშეთის რაიონები. თრუსო ყაზბეგის რაიონში შევიდა; 2005 წლიდან ეწოდება ყაზბეგის მუნიციპალიტეტი.

³ ზოგიერთი სოფელი კამერალური აღწერებში ორი სახელით იხსენიება (ამის შესახებ იხ. დანართი, კამერალური აღწერები), აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სოფელი გაგუანთა არ არის შეტანილი კამერალურ აღწერებსა და საოჯახო სიებში.

⁴ კამერალურ აღწერებსა და მეტრიკულ წიგნებში მოხსენიებული გვარების შედარების შემდეგ, ვფიქრობთ, რომ სოფელი ბარზი იგივე ზაყაგორი უნდა იყოს.

⁵ თრუსოს როგორც ხეობად მოხსენიება XIX საუკუნის დროიდან მკვიდრდება. ძველ ქართულ (XIV-XVIII სს.) ხელნაწერებში ეს ტერიტორია თრუსოდ იწოდება.

⁶ შემდგომში ორივე სამრევლოს, პირობიდათ, თრუსოდ მოვიხსენიებთ.

საუბრობდნენ¹ (ზოგიერთ სოფლებში, მაგალითად, მნასა და თოღგოთში მაცხოვრებლებს ყველას სალაპარაკო ენად – ქართული უწერია, ასევე ალმასიანში მცხოვრებ ზაგაშვილებს ეროვნება ოსი უწერია, ენა – ქართული²), კამერალურ აღწერებში ეთნოიშენელოვნად აღნიშნულია, რომ თრუსოს მოსახლეობამ სახელმწიფო – რუსული – ენა არ იცის³.

ის რომ ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა რუსული ენა არ იცოდნენ, ამის საილუსტრაციოდ ქართულ ენაზე წარმოებული აბანოსა და კობის მეტრიკული წიგნებიც გამოდგება. აღნიშნულ სამრევლოებში წირვა-ლოცვა XX საუკუნის დასაწყისამდე ქართველი სასულიერო პირების მიერ ქართულ ენაზე ტარდებოდა⁴. მაგალითისათვის მოვიყვანთ იქ მსახური სასულიერო პირების სიას. კერძოდ: კობის სამრევლო ეკლესიაში მსახურობდნენ: მღვდელი გიორგი ბაბეშვილი (1828-1830 წწ.) ბლადოჩინი (კეთილმოწესე) მღვდელი ევსტატე ფეიქრიშვილი (1838-1839 წწ.); ბლადოჩინი მღვდელი ანდრია გურგენიძე (1841-1848 წწ.); ბლადოჩინი მღვდელი გიორგი იტონიევი (ითონიშვილი – ნ.შ.) (1862-1873); მღვდელი მაქსიმე დოლიძე (1875-1876 წწ.); მღვდელი გრიგოლ სანაიძე (1878-1880 წწ.); მღვდელი გიორგი სირაძე (1885-1886 წწ.); მღვდელი ბართლომე გარსიევი (გარსიაშვილი – ნ.შ.) (1889-1900 წწ.). და ა.შ.

აბანოს სამრევლოში მსახურობდნენ: მღვდელი დავით არჯინაშვილი (1828, 1829-1830 წწ.) მღვდელი გაბრიელ ხუციშვილი (1835-1837 წწ.); მღვდელი დავით რჩეულოვი (რჩეულიშვილი – ნ.შ.); მღვდელი ევსტატე ფეიქრიშვილი (1838-1840 წწ.) მღვდელი იობ ლაყაფაშვილი (1841 წ.); მღვდელი მოსე ჩიხლაძე (1844 წ.); მღვდელი სიმონ ხორბალაძე (1845 წ.); მღვდელი იოსებ სურგულაძე (1862-1865 წწ.); მღვდელი გრიგოლ ბოჭოროვი (ბოჭორიშვილი – ნ.შ.) (1874-1876 წწ.); მღვდელი ყაფლან გველესიანი (1877 წ.); მღვდელი ზაქარია პეტრიაშვილი (1878-1903 წწ.) და ა.შ.

ქართველ სასულიერო პირებს საეკლესიო მსახურებაში დახმარებას ასევე ქართველი დიაკვნები და წიგნის მკითხველები უწევდნენ. მაგალითად, კობის ეკლესიაში წიგნის მკითხველი – იოანე გაჩეჩილოვი (გაჩეჩილაძე – ნ.შ.) (1838 წ.); სოლომონ რაზრაძე (1843-1846 წლებში); ნიკოლოზ ბერიძე (1847 წ.); ზაქარია კობაიძე (1863-1868 წწ.), რომელიც 1871 წლიდან ამავე ეკლესიის მთავარდიაკვანია; გრიგოლ სანაიძე (1875-1876 წწ.); რომელიც 1877

¹ კამერალურ აღწერებში ამ გრაფას – язык домашний (საშინაო ენა) აწერია.

² ფონდი 254, ანაწერი 3. დოკუმენტი №1811 გვ.1-8.

³ ამის შესახებ იხ. დანართი, 1842 წლის კამერალური აღწერა და 1886 წლის საოჯახო სიები.

⁴ საქართველოში მცხოვრები ოსების უმრავლესობამ, რომ მშობლიურ ენასავით იცოდა ქართული, მაგალითისთვის გვინდა 1901 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილი გაგაცნოთ: „გაზეთი „Аргонавт“-ი აი რასა სწერს საქართველოს საეპარქიო საბჭოს იმ განკარგულების შესახებ, რომლის ძალითაც ტფილისის გუბერნიაში მცხოვრებ ოსების სამრევლო-საეკლესიო სკოლებში სწავლება ქართულს ენაზედ აღარ უნდა სწარმოებდეს: „**საქართველოს ეპარქიაში ვერსად შეხვდებით ოსის ისეთ ბავშვს, რომელსაც სრულებით არ ესმოდეს ქართული ენა,**“ პირიქით, ოსები, რომლებიც ქალაქ ღუმეთისა და თბილისის მაზრაში ქართველებს შორის სცხოვრობენ, ქართულად ლაპარაკობენ როგორც სამშობლო ენაზედ, ამ ენას დიდის პატივისცემით ეპყრობიან, რადგანაც მას სამღვთო წერილისა და ლიტერატურულს ენათა სთვლიან, და საზოგადოდ, ოსები სრულად შეუერთდნენ კულტურულ ქართულ ხალხს. ამიტომ, ვფირობთ, მოქმედება ასსიმილაციის დაურღვეველ კანონების წინააღმდეგ და მეცადინეობა ხელოვნურ საშუალებათა მეოხებით ოსთა „პირველ ყოფილ მდგომარებაში“ დაბრუნება გასარუსებლად, ჰქმნის მოსწავლე რუსთათვის „მეტ შრომას“. ამ მეცადინეობას შედეგად ის მოჰყვა, რომ ქართლის მუაგულში, სოფელ გერში, წირვა-ლოცვა ოსთათვის სრულიად გაუგებარ სლავიანურს ენაზედ სრულდება, რაიცა, ვკონებთ, სასურველი არ უნდა იყოს სარწმუნოებრივ და ზნეობრივ სწავლის დასამყარებლად იმ ხალხში, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა არამც თუ მუსულმანობისა, წარმართობის გავლენიდან“ – გაზეთი „ივერია“, 1901, №150, გვ.4.

წელს ჯერ ამავე ტაძრისთვის მთავარდიაკვნად აკურთხეს, ხოლო 1878-1880 წლებში იგი კობის ეკლესიის მღვდლად იხსენიება; დიონისე კველიევი (კველიშვილი – ნ.შ.) (1882-1886 წწ.); კირილე ფხალაძე (1889 წ.) და ა.შ. აბანოს ეკლესიაში წიგნის მკითხველად ირიცხებოდნენ დიაჩოქი მოსე ჩიხლაძე (1835-1840 წწ.), რომელიც 1844 წელს უკვე აბანოს სამრევლოს მღვდლად იხსენიება; სილოვან ჯიბლაძე (1863 წ.); სპირიდონ ნასრაძე (1866-1867 წწ.); იოსებ სხიტლაძე (1868 წ.); იობ წამალაიძე (1874 წ.) ივანე ნებიერიძე (1876-1877 წწ.) და ა.შ.

დოკუმენტების დამუშავების შედეგად დადგინდა, რომ მეტრიკულ წიგნებსა და 1804, 1816, 1860 წლების კამერალურ აღწერებში თრუსოს მაცხოვრებლები **-შვილი** სუფიქსიანი გვარებით არიან რეგისტრირებულნი.

მაგალითად: სოფელ **აბანოში** – გუდიაშვილი, ცაბოლიშვილი, ყარაშვილი, ბიზიკი-შვილი, საპიაშვილი; **ბურმასიგში** – თუაშვილი, ურთაშვილი, თავაშვილი, ბულაციშვილი; **გიმარას** – ბეროზიშვილი, ბოცოშვილი; **ქვემო და ზემო დესს** – ხამიცაშვილი/ხამცაშვილი, მირიქიშვილი, ყაზიაშვილი, თათარაშვილი, სალბიშვილი, **ზაყაგორს** – ქეთოშვილი; **მნას** – ქოქოშვილი, ქასაშვილი, აბაშვილი, ყუსაშვილი, **ტეფს** – ყალაგიშვილი, **სუატიხს** – ქასაშვილი, სამბეგიშვილი, ელოშვილი, ბაციაშვილი და ა.შ. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მეტრიკულ წიგნებში 1890-იანი წლებიდან შეიმჩნევა მასიურად რუსული **-ოვ** // **-ევ** სუფიქსების დართვით გვარების გადაკეთება. მსგავსი შემთხვევები გვაქვს 1832, 1842, 1873 წლების კამერალურ აღწერებსა და 1886 წლის საოჯახო სიებში (ზოგადად ეს ტენდენცია მთელს საქართველოში შეინიშნება, მსგავსი მაგალითები გვაქვს ხევის სამრევლოების მეტრიკული წიგნების ჩანაწერებსა და კამერალურ აღწერებში).

აღნიშნულ საარქივო მასალებში თრუსოს მოსახლეობაში გვხვდება საქართველოში გავრცელებული მამაკაცისა და ქალის ისეთი სახელები, როგორიცაა: **ფარნაოზი, ლევანი, ზაქარია, დავითი/დათიკო, ქრისტეფორე, ყაფლანი, ლუარსაბი, თედო, ონისე, ნიკო, ნინია, ლექსო, სანდრო, ბიჭი/ბიჭიკო, გლახა, გიგო, ნასყიდა, იობა, ბერდია, ილიკო და სხვ.** ქალის სახელები – **ნინო, ნუცა, ნინუცა, თეკლე, ქეთევანი, კეკე/კეკელო, ფეფელო, თინათინი/თინა, თამარი, მაგდანა, მელანია, ბაბალე, მაკრინე, მაია/მაიკო/მაკო, მალია, ხორეშან, ქალთამზე, ლელა, რუსუდანი, ნატო, საბედა, ელისო,** ქალის სახელებიდან შეგვხვდა სახელი **დედოფალი/დედოფალა, ქალი** და სხვ. მამაკაცის სახელად შეგვხვდა **ერისტავი/ერისტავი,** რომელიც საქართველოს სახელმწიფოს მოხელის – ერისტავის – ინსტიტუტიდან უნდა მომდინარეობდეს. ასევე მამაკაცის სახელად – **ბაზალი,** რომელიც ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში დღესაც გვარად ფიქსირდება.

გამოვლინდა ნათესაური კავშირ-ურთიერთობების ისეთი შემთხვევები, როგორიცაა ნათელ-მირონობა თრუსოს მოსახლეობასა და ქართველებს შორის. ამ საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით გავეცანით ასევე ხევის სამრევლოების – სტეფანწმინდის, სნოს, სიონისა და ყანობის მეტრიკული წიგნების ჩანაწერებს. გამოიკვეთა საინტერესო ფაქტები, კერძოდ: ადრეული, 1828-1830 წლების, ჩანაწერებში მასიურად გვხვდება ქართველების მიერ თრუსოს მოსახლეობის მონათვლის ფაქტები.

მაგალითად: 1828 წელს კობის სამრევლოს სოფელ ბაზილანში მცხოვრები გაბრიელ აბაშვილის ვაჟის ივანეს ნათლიად იხსენიება აზნაური ლუარსაბ ფურცელაძე¹. იმავე წლის ცნობით ნაოყავში მცხოვრები გიორგი მეთე შვილის (sic) შვილების ნათლია იყო მლეთაში

¹ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №73

მცხოვრები ნინია ნაზლაიძე¹. ოქროყანაში მცხოვრები გუდიაშვილის ვაჟის ლუარსაბის ნათლიად დასახელებულია გორისციხეში მცხოვრები გლახა ჩქარიული [ჩქარეული]²; 1828 წელს აბანოს სამრევლოში მაცხოვრებელი სიმონ ბიზიკისშვილის შვილები ყანობში მცხოვრებ მარტია კურკუმულს მოუნათლავს³. იმავე წლის და იმავე სამრევლოში მცხოვრები ბოჩოშვილი თომას ქალიშვილის სოფიოს ნათლიად მოხსენიებულია გლახა კობიაშვილი⁴. იმავე გლახა კობიაშვილს 1828 წელს მოუნათლავს აბანოს სამრევლოში მცხოვრები გიორგი ბულაჩისშვილის ვაჟი მიხაილი⁵. 1828 წელს აბანოს სამრევლოში მცხოვრები ბეროზიშვილი გოგიას ასულ სალომეს ნათლიად იხსენიება თევდორე ნაზარიშვილი⁶. 1828 წელს აბანო სამრევლოში მცხოვრები ყაზიბეგ საპიშვილის ასულ ნინოს ნათლია იყო გორისციხეში მაცხოვრებელი გიორგი ელოშვილი⁷. 1828 წელს იმავე სამრევლოს სავატიში მცხოვრებ გიორგი ელოშვილის ვაჟის ივანეს ნათლიად იხსენიება ნინია ნაზლაიძე⁸. 1828 წელს გრემისხევში მცხოვრებ გიორგი გედევანოვს [გედევანიშვილს] მოუნათლავს აბანოს სამრევლოში მცხოვრები ივანე საპიშვილის ასული სოფიო⁹. 1829 წელს ამავე სამრევლოში მცხოვრები ჩაბელაშვილი ზაქარიას ვაჟის ალექსის ნათლიად იხსენიება გორისციხეში მაცხოვრებელი გლახა ჩქარეული¹⁰. იმავე გორისციხეში მცხოვრებმა გიორგი ჩქარეულმა 1829 წელს მონათლა აბანოში მაცხოვრებელი ივანე საპიშვილის ქალიშვილი ბარბარე¹¹. 1829 წელს სოფელ აბანოში მცხოვრები ჩაბათის შვილი ომარის ვაჟიშვილის სვიმონის ნათლიად დასახელებულია ყანობში მაცხოვრებელი ივანე კურკუმული¹². 1829 წელს კობის სამრევლოს სოფელ უხათში მცხოვრები ქობალის შვილი ნინიას ქალიშვილი მონათლა ხურთისში მცხოვრებელმა მარტია გოგიშვილმა¹³. 1830 წელს კობში მცხოვრები ბათასშვილის ვაჟი დავითის ნათლია იყო სიონში მცხოვრები ომან დავითასშვილი¹⁴. 1830 წელს სოფელ უხათში მცხოვრები მრიქაშვილი [მირაქიშვილის] იოსების ვაჟი ვასილი მღეთაში მცხოვრებ ნინია ნაზლაიძეს მოუნათლავს¹⁵ და ა.შ.

თრუსოს მოსახლეობის ნათელ-მირონული ნათესაური კავშირები ხევისა და საქართველოს სხვა მხარეების მოსახლეობასთან შემდგომ წლებშიც ინტენსიური ჩანს. 1865 წლის ცნობით აბანოს სამრევლოს სოფელ ტუფში მცხოვრები უმარ ყალაგიშვილის ვაჟი გიორგი მონათლა ხურთისში მცხოვრებმა სვიმონ ტუჩაშვილმა¹⁶. ამავე სვიმონ ტუჩაშვილმა მონათლა სუატიში მაცხოვრებელი ივანე ქასაშვილის ვაჟი ესტატე¹⁷. 1867 წელს აბანოს სამრევლოს სოფელ გიმარას მკვიდრის ეფრემ ბეროზიშვილის ვაჟის ნათლიად იხსენიება

¹ იგივე დოკუმენტი

² იგივე დოკუმენტი.

³ იგივე დოკუმენტი.

⁴ იგივე დოკუმენტი.

⁵ იგივე დოკუმენტი.

⁶ იგივე დოკუმენტი.

⁷ იგივე დოკუმენტი.

⁸ იგივე დოკუმენტი.

⁹ იგივე დოკუმენტი.

¹⁰ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №95

¹¹ იგივე დოკუმენტი.

¹² იგივე დოკუმენტი.

¹³ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №95

¹⁴ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №120

¹⁵ იგივე დოკუმენტი.

¹⁶ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №1813

¹⁷ იგივე დოკუმენტი.

ხარხეთში მცხოვრები ბერა გვიანიშვილი¹. 1869 წელს სოფელ ქეთრისში მცხოვრები ცოფანა ქოქაშვილის ვაჟის ეფიმის ნათლია იყო ფრეზეთში მცხოვრები გლახა ხუროშვილი². აბანოს სამრევლოს სოფელ ტეფს მცხოვრები გუდა ყალაგიშვილის ვაჟი იაკობი ჩირიკში მაცხოვრებელმა მიხეილ კობაიძემ მონათლა³. 1867 წლის ცნობით კობის სამრევლოს სოფელ ბაზილანში მცხოვრები დუდა ზაჩიევის ქალიშვილის ნათლია იყო სოფელ პავლეურში მცხოვრები იაგორ გარსევანოვი [გარსევანიშვილი]⁴. 1867 წელს კობში მცხოვრები დუდა თავაშვილის ასული ელენე სტეფანწმინდაში მცხოვრებ ისაკ ჩოფიკაშვილს მოუნათლავს⁵. იმავე წლის მეტრიკული წიგნიდან ცნობილი ხდება, რომ სოფელ შავარდენში მცხოვრები გლახა ქოქაშვილის ვაჟი გიორგი ხურთისში მაცხოვრებელმა სიმონ ტუჩაშვილმა მონათლა⁶. 1867 წელს კობის სამრევლოს სოფელ ბაზილანში მცხოვრები ალექსი ყარაშვილის ვაჟის სოლომონის ნათლიად დასახელებულია ანანურში მაცხოვრებელი და კობში მოვაჭრე სოლომან ფიცხელაური⁷. იმავე სამრევლოს სოფელ ნაოყავში მცხოვრები ძანბოლ აგაევის ქალიშვილი მონათლა კაიშაურში მცხოვრებმა აღდგომელა ზაქაიძემ⁸. 1869 წლის კობის სამრევლოს ჩანაწერის მიხედვით ზემო უხათში მცხოვრები თოთი თუაევის ვაჟის დავითის ნათლიად ჩადისციხეში მცხოვრები თევდორე ქავთაროვი [ქავთარაძე] სახელდება⁹. 1870 წლის ცნობით კობში მცხოვრები გრიგოლ თუაევის ქალიშვილის ნათლიად დასახელებულია სტეფანწმინდაში მცხოვრები ვასილ ეფხომშვილი, იმავე ვასილ ეფხომშვილს კობშივე მცხოვრები ივანე თუაევის ქალიშვილი სალომე მოუნათლავს¹⁰ და ა.შ. კობისა და აბანოს სამრევლოებში ნათლობის მრავალი ფაქტი დასტურდება, რომელიც XX საუკუნის დასაწყისშიც გვხვდება, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მაგალითით შემოვიფარგლეთ.

თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში უმეტეს შემთხვევაში ქართველების მხრიდან ოსების მონათვლის ფაქტები გვაქვს, მეორე ნახევრიდან უკვე ოსების მიერ ქართველების მონათვლის შემთხვევებიც დასტურდება. მაგალითად: ყანობის მეტრიკულ წიგნებში ვკითხულობთ, რომ 1885 წელს სოფელ ყანობში მცხოვრები ალექსი ზილინოვის [ზილინაშვილის] ვაჟი სიმონი მოუნათლავს კობის სამრევლოს სოფელ ბაზილანში მცხოვრებ ყასფოლ ძახაევს¹¹. ამავე სამრევლოს სოფელ ზემო ხურთისში მცხოვრები იორდანე ტუჩაშვილის ვაჟი ილია ბაზილანში მცხოვრებმა ელიზბარ აბაევმა მონათლა¹². იმავე იორდანეს მეორე ვაჟის ნათლიად ბაზილანში მცხოვრები ყასპოლ ძახაევი იხსენიება¹³. ყანობელი იაკობ კობიევის [კობიაშვილის] ქალიშვილის ნათლიად დასახელებულია შავარდენში მცხოვრები ჯახო ქოქაევი¹⁴. 1882 წლის ცნობით ხურთისელი დავით გოგიშვილის ქალიშვილი ღარია აბანოს

¹ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №1910

² ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №2109.

³ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №2121.

⁴ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №1910.

⁵ იგივე დოკუმენტი.

⁶ იგივე დოკუმენტი.

⁷ იგივე დოკუმენტი.

⁸ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №2109.

⁹ იგივე დოკუმენტი.

¹⁰ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №2121.

¹¹ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №276.

¹² ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №274.

¹³ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №283.

¹⁴ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №268.

სამრევლოს სოფელ დესში მცხოვრებ ქუცრი ხამიცაშვილს მოუნათლავს¹. სოფელ ყანობში მცხოვრები ზურაბ ჭიალაშვილის ვაჟის მიხეილის ნათლიად აბანოს სამრევლოს სოფელ ბურმასიგში მცხოვრები სტეფანე თუავეი იხსენიება². ამავე სოფელში მცხოვრები გრიგოლ ბაბეშვილის ასულის დარია ნათლია იყო აბანოს სამრევლოს სოფელ ტეფში მცხოვრები ცორე ყალაგიშვილი³. სოფელ ხურთისში მცხოვრები იორდანე ტუჩაშვილის ასული ანას ნათლია იყო კობში მცხოვრები ზაურბე ძაკავეი⁴. სოფელ ფხელშეში მცხოვრები ივანე ჩქარეულის ქალიშვილის ნათლიად აბანოს სამრევლოს სოფელ გიმარაში მცხოვრები ციცკა ბეროშოვი იხსენიება⁵. ყანობელი ზურაბ ჭიალაშვილის ვაჟის მიხეილის ნათლიად დასახელებულია აბანოს სამრევლოს სოფელ ბურმასიკში მცხოვრები სტეფანე თუავეი⁶. ყანობში მცხოვრები გრიგოლ ბაბეშვილის ასული დარია აბანოს სამრევლოს სოფელ ტეფში მცხოვრებ ცორე ყალაგიშვილს მოუნათლავს⁷. 1892 წლის ცნობით ამავე სოფელში მცხოვრები ალექსი ზილინაშვილის ქალიშვილის ნათლია იყო აბანოს სამრევლოს სოფელ ყარათყავში მაცხოვრებელი ივანე ბულაცოვი⁸. 1894 წელს ყანობელი გრიგოლ ჭიალაშვილის ასულის ნათლიად კობის სამრევლოს სოფელ შავარდენში მცხოვრები მიხეილ აგავეი იხსენიება⁹.

ასეთივე ფაქტებია დაცული სოფელ სიონის სამრევლოს მეტრიკულ წიგნებშიც. მაგალითად: 1890 წელს სოფელ გარბანში მცხოვრები სვიმონ ზაგაშვილის ვაჟის აბრაამის ერთ-ერთ ნათლიად კობის სამრევლოს სოფელ ბაზილანში მცხოვრები ვლადიმერ ზაჩიევი იხსენიება¹⁰. 1891 წლის ცნობით სიონში მცხოვრები იოსებ ფაჯიშვილის ქალიშვილი სალომე კობის სამრევლოს სოფელ ოქროყანაში მცხოვრებ მღვდელ გაბრიელ ღუდიევის შვილს გრიგოლს მოუნათლავს¹¹. გორისციხელი გრიგოლ ავსაჯანიშვილის ვაჟის ერთ-ერთი ნათლია აბანოს სამრევლოს სოფელ გიმარაში მცხოვრები სოსლან ბოცოვეი ყოფილა¹². 1898 წლის ცნობით ამავე სოფელში მცხოვრები გრიგოლ ავსაჯანიშვილის ქალიშვილის ნათლიად აბანოს სამრევლოს სოფელ გიმარაში მცხოვრები ისახან ბოცოვეი იხსენიება¹³. 1902 წელს გაიბოტენში მცხოვრები ივანე ხულეიდიძის ვაჟი ვასილი აბანოს სამრევლოს სოფელ ტეფში მცხოვრებმა დიმიტრი ყალაგოვმა მონათლა¹⁴. 1904 წლის ცნობით სიონში მცხოვრები სტეფანე ფაჯიშვილის ქალიშვილი ელენე შავარდენში მცხოვრებმა ბეჩარ ქოქაევმა მონათლა¹⁵. აბანოს სამრევლოს სოფელ ტეფში მცხოვრებმა მიტკა ყალაგოვმა გორისციხელი გრიგოლ ავსაჯანიშვილის ასული ეფროსინა მონათლა¹⁶. 1905 წელს ფხელშეში მცხოვრები ივანე ელოშვილის ვაჟი ლაზარე აბანოს სამრევლოს სოფელ ტეფში

¹ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №273.

² ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №274.

³ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №278.

⁴ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №298.

⁵ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №117.

⁶ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №274.

⁷ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №278.

⁸ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №283.

⁹ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №285.

¹⁰ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №114.

¹¹ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №115.

¹² ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №283.

¹³ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №122.

¹⁴ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №126.

¹⁵ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №128.

¹⁶ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №129.

მცხოვრებ დიმიტრი ყალაგოვს მოუნათლავს¹. 1910 წლის ცნობით სიონელი მიხეილ დავითაშვილის ვაჟის შალვას ნათლიად აბანოში მცხოვრები პავლე ცაბოლოვი იხსენიება².

სნოს სამრევლოს მეტრიკულ წიგნებში დაცული მასალებით საინტერესო ქართულ-ოსური ნათესაური კავშირები იკვეთება. მაგალითად: 1844 წელს სოფელ სნოს მკვიდრის გელა გელაშვილის ვაჟის ივანეს ნათლიად იხსენიება კობში მცხოვრები ბიჭიკო თავაშვილი³. იმავე სოფლის ივანე ვარძუკას ძე ღუდუშაურის ქალიშვილი 1878 წელს აბანოში მცხოვრებ დიმიტრი ცაბოლიშვილს მოუნათლავს⁴. 1880 წლის ცნობით სნოში მცხოვრები გრიგოლ ღუდუშაურის ვაჟის დავითის ნათლიად დასახელებულია მნაში მცხოვრები დიმიტრი ცაბოლოვი⁵. ამავე სამრევლოს სოფელ კარკუჩაში მცხოვრები შიო მარსაგიშვილის ვაჟის ილიას ნათლიად კობის სამრევლოს სოფელ ბაზილანში მცხოვრები ათანასე ჯახაევი იხსენიება⁶. კობში მცხოვრებ ყასპოლ თავაევს 1894 წელს სნოში მცხოვრები გიორგი ივანეს ძე გელაშვილის ვაჟი ვლადიმერი მოუნათლავს⁷ და ა.შ.

ქართულ-ოსური ნათესაური ურთიერთობები იკვეთება ასევე მეტრიკული წიგნების მეორე ნაწილში, „ჯვარდაწერილთა“ გრაფაში. ქორწინების აქტების შესწავლით დგინდება, რომ ადრეულ წლებში ქორწინებები უმეტეს შემთხვევაში ორ სამრევლოს – აბანოსა და კობის – მოსახლეობაში ხდებოდა. გვიან პერიოდში კი თანდათანობით მატულობს შერეული ქორწინებები – ოსი ქალების ქორწინება ქართველებზე და პირიქით, ქართველი ქალების გათხოვების შემთხვევები ოს მამაკაცებზე. ამ შემთხვევაშიც მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

1872 წელს სტეფანწმინდის სამრევლოს სოფელ გერგეტში მცხოვრები იოსებ წიკლაური დაქორწინებულა აბანოში მცხოვრებ მარხათ ცაბოლიშვილის ასულ დარეჯანზე. ჯვარისწერა შემდგარა აბანოს ეკლესიაში⁸.

1867 წელს სტეფანწმინდაში მცხოვრებმა გრიგოლ ჩოფიკაშვილმა ცოლად შეირთო ზემო ოქროყანაში მცხოვრები ბადურ გუდიევის ასული ნინო. ჯვარი დაიწერეს კობის ეკლესიაში⁹.

1869 წელს სნოს სამრევლოს სოფელ არშაში მცხოვრები თევდორე ბაზალი აბანოს სამრევლოს სოფელ გიმარაში მცხოვრებ დუდარიყო ბეროზოვის ასულზე დაქორწინებულა. ჯვარისწერა შემდგარა აბანოს ეკლესიაში¹⁰.

სნოში მცხოვრებმა ივანე ფირანიშვილმა 1870 წელს იქორწინა ოქროყანაში მცხოვრებ სიმონ ღუდიევის ასულ თამარზე. ჯვარი დაიწერეს კობის ეკლესიაში¹¹.

1892 წლის ცნობით ყანობის სამრევლოს სოფელ ხურთისში მცხოვრები მათე ელოშვილი კობში მცხოვრებ ანდრია მისოსტოვის ასულ მაგდანზე დაქორწინებულა. ჯვარი დაუწერიათ კობის ეკლესიაში¹².

¹ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №129.

² ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №134.

³ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №541.

⁴ ფონდი 489, ანაწერი 46, დოკუმენტი №149.

⁵ ფონდი 489, ანაწერი 46, დოკუმენტი №151.

⁶ ფონდი 489, ანაწერი 46, დოკუმენტი №157.

⁷ ფონდი 489, ანაწერი 46, დოკუმენტი №164.

⁸ ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №2.

⁹ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №1910.

¹⁰ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №2109.

¹¹ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №2121.

¹² ფონდი 489, ანაწერი 46, დოკუმენტი №283.

სტეფანწმინდაში მცხოვრებ ბესარიონ ფიცხელაურს 1894 წელს ჯვარი დაუწერია ოქროყანაში მცხოვრებ კონსტანტინე გუდიევის ასულ თეკლაზე¹.

1897 წელს გაიბოტნელი ივანე ხულებიძე დაქორწინდა ტეფში მცხოვრებ ბატე ყალაგოვის ასულ მარიამზე. ჯვარი დაიწერეს სიონის ეკლესიაში² ა.შ.

რაც შეეხება ქართველი ქალების ოს მამაკაცებზე ქორწინების ფაქტებს, აქაც რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ:

1887 წლის ცნობით, კობში მცხოვრებმა მიხეილ მისოსტოვმა იქორწინა ყანობის სამრევლოს მღვდლის დეკანოზ გიორგი იტონიევის [იტონიშვილის – ნ.შ.] ასულ მარიამზე. ჯვარი დაუწერიათ ყანობის ეკლესიაში³.

1902 წელს სიონის სამრევლოს სოფელ გორისციხეში მცხოვრები იოსებ ჩქარიაულის [ჩქარეულის] ასული სალომე გაუთხოვებიათ აბანოს სამრევლოს სოფელ ქეთერში მცხოვრებ ცალაგოვზე. ჯვრისწერა შემდგარა სიონის ეკლესიაში⁴.

1910 წელს სოფელ კობში მცხოვრებმა ფილო თაგაევმა სიონში მცხოვრებ თევდორე ღუდუშაურის ასულ ელისაბედზე იქორწინა. ჯვარი დაიწერეს სიონის ეკლესიაში⁵.

1874 წელს აბანოში მცხოვრებმა დიმიტრი ჩაბალონმა ცოლად მოიყვანა სტეფანწმინდაში მცხოვრები ანდრია თოფაძის ასული მარიამი. ჯვარი დაიწერეს სტეფანწმინდის ეკლესიაში⁶.

1881 წელს აბანოში მცხოვრები თომა კობიევი სნოს სამრევლოს სოფელ ახალციხეში მცხოვრებ ივანე ქერაშვილის ასულ თამარზე დაქორწინდა. ჯვარი სნოს ეკლესიაში დაუწერიათ⁷.

კობის სამრევლოს სოფელ ბაზილანში მცხოვრებ სტეფანე ზაკაევს 1904 წელს ჯვარი დაუწერია სნოს სამრევლოს სოფელ კარკუჩაში მცხოვრებ შიო ყამარაულის ასულ სოფიოზე. ჯვრისწერა შედგა სნოს ეკლესიაში⁸ და ა.შ.

ჯვრისწერასთან დაკავშირებით გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სასიძო და სარძლო ქართველები არიან, მაგრამ ერთ-ერთი მხარის მეჯვარე, იგივე „თავმდები“, ეთნიკური ოსია. 1887 წელს ღუშეთის მაზრის სოფელ გრუისში (sic) მცხოვრებ ტატო ბუთხუზისა და სიონის სამრევლოს სოფელ გარბანში მცხოვრებ გლახა გელაძის ასულ ეფროსინეს ჯვრისწერას სასიძოს მხრიდან ერთ-ერთ მოწმედ აბანოში მცხოვრები მიტკა ცაბოლოვი ესწრება⁹.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ „ჯვარდაწერილთა“ გრაფაში ცალკეა გამოყოფილი ადგილი, სადაც „თავმდებს“, როგორც ჯვრისწერის მოწმეს, სურვილის შემთხვევაში, შეეძლო ხელმოწერით დაედასტურებინა ქორწინება. უმრავლეს შემთხვევაში ასეთი გრაფები თავისუფალია – ხელმოუწერელია, მაგრამ შიგადაშიგ შევსებული ადგილებიც გვხვდება.

¹ ფონდი 489, ანაწერი 46, დოკუმენტი №212.

² ფონდი 489, ანაწერი 46, დოკუმენტი №121.

³ ფონდი 489, ანაწერი 46, დოკუმენტი №278.

⁴ ფონდი 489, ანაწერი 46, დოკუმენტი №126.

⁵ ფონდი 489, ანაწერი 46, დოკუმენტი №134.

⁶ ფონდი 489, ანაწერი 46, დოკუმენტი №192.

⁷ ფონდი 489, ანაწერი 46, დოკუმენტი №152.

⁸ ფონდი 489, ანაწერი 46, დოკუმენტი №174.

⁹ ფონდი 489, ანაწერი 46, დოკუმენტი №157.

ერთ-ერთ ჯვრისწერას, მოწმის სტატუსით, ქართული ხელწერით ბაზილანში მცხოვრები ვინმე ათანასე მიხეილის ძე ძახაევი 1899 წელს ამოწმებს¹.

კამერალურ აღწერებსა და მეტრიკულ წიგნებზე დაკვირვებამ გამოავლინა კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: გვარები, რომლებიც თრუსოშიც ფიქსირდება და ხევისა და მთიულეთის სოფლებშიც, მაგალითად: კობის სამრევლოს სოფელ შავარდენში ცხოვრობდნენ ბაბეშვილები². ამავე გვარის რამდენიმე ოჯახი ხევის სოფლებშიც გვხვდება. 1824 წლის მეტრიკული წიგნის და 1831 წლის კამერალური აღწერის მიხედვით ეს გვარი სოფელ სიონში ცხოვრობს³, 1834 წლის მეტრიკული წიგნის თანახმად ამ გვარის ერთი ოჯახი სტეფანწმინდაშიც გვხვდება⁴, იგივე გვარს ღუშეთშიც უცხოვრია – „ღუშეთში მცხოვრები მოხვე ბაბეშვილი გარდაიცვალა“ – ვკითხულობთ 1822 წლის ღუშეთის მეტრიკულ წიგნში⁵; აღსანიშნავია, რომ 1774 წლის აღწერის თანახმად სოფელ ხურთისში ბაბიურის და ბაბიურის სამი ოჯახი ცხოვრობდა. ბაბეშვილები დღემდე ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ სიონში ცხოვრობენ.

კობის სამრევლოს სოფლებში მნასა და ოქროყანაში ცხოვრობდნენ არჩინაშვილები⁶, იგივე გვარი კამერალურ აღწერებისა და მეტრიკული წიგნებით ხევის სოფლებშიც დასტურდება – 1804 წლის აღწერის თანახმად არჩინაშვილების ერთი ოჯახი სოფელ სიონში (კალოვანში) ცხოვრობდა⁷. 1816 წლის აღწერის ცნობით სიონში მცხოვრები არჩინაშვილების ოჯახი ბულაჩაურში გადასულა საცხოვრებლად⁸. თუმცა, შემდგომი პერიოდის დოკუმენტებში ეს გვარი ისევ სიონში ცხოვრობს და დღემდე ამ სოფლის მკვიდრნი არიან.

სოფელ ოქროყანაში ცხოვრობდნენ ზაგაშვილები. 1804 წლის კამერალურ აღწერაში ეს გვარი ზაგეშვილით გვხვდება. 1816 წლის აღწერის თანახმად – ზაკიშვილები არიან, 1842 წლის აღწერაში – ზაგაშვილები, 1860 წლის აღწერაში – ზაგაკიშვილები/ზაგაგიშვილები; 1873 წლის კამერალურ აღწერასა და 1886 წლის საოჯახო სიაში გატარებულნი არიან როგორც ზაგაგოვები. გარდა ამისა, 1804 წლის აღწერაში ოქროყანაში მაცხოვრებლებს ეროვნება ქართველი უწერიათ. ხოლო შემდგომი დროის ყველა აღწერებში ამ სოფლის მცხოვრებ ყველა ოჯახს – ოსი⁹. მეტრიკულ წიგნებში ეს გვარი უმრავლეს შემთხვევაში ზაღა-გიშვილით/ზაღაგოვით გვხვდება, ასევე ზაგაგიშვილის, ზაგაევის, ზაგაიევიტაც იხსენიებიან.

1781 წლის აღწერის თანახმად ხევის სოფელ ცდოში ზაგას შვილების ორი კომლი ცხოვრობდა. ზაგაშვილები იხსენიებიან ხევის სოფელ გარბანის მეტრიკულ წიგნებშიც. ცდოსა და გარბანში მაცხოვრებელ ზაგაშვილებს ეროვნება ქართველი უწერიათ. აღსანიშნავია, რომ სოფელ ოქროყანაში მცხოვრებ ზაგაშვილების/ზაგეშვილების/ზაგაკიშვილების/ზაგაგიშვილების/ზაგაგოვებთან შესამჩნევია საქართველოში გავრცელებული

¹ ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №75.

² ფონდი 254, ანაწერი 1, დოკუმენტი №1245, ფონდი 254, ანაწერი 1. დოკუმენტი №2037, ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №1910, 1518, 1586; ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №50.

³ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №29, 119, 116, 122, 125; ფონდი 254, ანაწერი 1, №1245.

⁴ ფონდი 489, ანაწერი 6 დოკუმენტი №207.

⁵ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №14.

⁶ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №73

⁷ ფონდი 254, ანაწერი 1, დოკუმენტი №2037

⁸ ფონდი 254, ანაწერი 1, დოკუმენტი №436

⁹ იხილეთ დანართი კამერალური აღწერები და 1886 წლის საოჯახო სიები სოფელ ოქროყანის, ასევე კობის სამრევლოს მეტრიკული წიგნები.

სახელები როგორიცაა – რუხია, სია, გლახა, ბიჭი, სანდრო, დავითი, გაბრიელი, მოსე, გოგი, როსტომი და ა.შ.

1886 წლის სოფელ აღმასიანის საოჯახო სიაში ზაჩიშვილებისა და ზანიშვილების სამ ოჯახს ეროვნება ქართველი, ხოლო სალაპარაკო ენა ქართული და ოსური უწერიათ¹.

აბანოს სამრევლოს სოფელ სუატისში ცხოვრობდნენ ელოშვილები/ელოვეები.² ელოშვილები დღესაც ხევს სოფლებში – ფხელშესა და გორისციხეში მრავალრიცხოვან გვარს წარმოადგენს³.

შვარდენსა და ოქროყანაში მცხოვრებ ბაბეშვილებს და არჩინაშვილებს 1804 წლის აღწერაში ეროვნება ქართველი უწერიათ, მაგრამ შემდგომი პერიოდის დოკუმენტებში ოსებად იხსენიებიან⁴. გამოწაკლის წარმოადგენს სუატისში მცხოვრები ელოშვილების/ელოვეების გვარი, რომლებიც თავიდანვე ეთნიკურ ოსებად არიან გატარებულნი, განსხვავებით ხევს სოფლებში მცხოვრები ელოშვილებისა, რომლებიც ადრეული წლების აღწერებიდანვე ქართველებად ფიქსირდებიან (ცნობისთვის აქვე დავძენთ: 1774 წელს, ერეკლე მეორის პერიოდის აღწერის თანახმად, სოფელ ფხელშეში ელოურების 6 ოჯახი ცხოვრობდა)⁵.

საინტერესო ფაქტები იკვეთება გუთინოვებისა და აიდარაშვილების შემთხვევაშიც, გვარებზე დაკვირვებით ირკვევა, რომ მნაში მცხოვრები გუტანიშვილები/გუთინოვები 1831 და 1842 წლების აღწერებში ლონაელების გვარით არიან დარეგისტრირებულნი⁶, ხოლო შემდგომი პერიოდის საარქივო მასალებში გუტანიშვილებად (Гутани швили), გუთინოვებად (Гүтинов), გუტნოვებად (Гүтнов) იხსენიებიან და ეროვნება ოსი უწერიათ⁷.

იგივე გვარი გვხვდება ყანობის კამერალურ აღწერებსა და მეტრიკულ ჩანაწერებშიც, თავდაპირველად ითონიშვილად, მოგვიანებით გუთონოვ-იტონიევად – „ყანობში მცხოვრები გიორგი გლახას ძე გუთონოვი იგივე იტონიევი“⁸ – აღნიშნულია 1894 წლის ყანობის მეტრიკულ წიგნში; ბოლო პერიოდის ჩანაწერებში კი იტონიევებად იხსენიებიან და ეროვნება ქართველი უწერიათ (გამოწაკლის წარმოადგენს 1873 წლის სოფელ ყანობის კამერალური აღწერა, სადაც სიმონ გლახას ძე გუტონოვს ეროვნება ოსი უწერია)⁹.

რაც შეეხება აიდარაშვილებს, ეს გვარი 1828 წლის აბანოს მეტრიკულ წიგნში აიდარაშვილად იხსენიება, კამერალურ აღწერებსა და მეტრიკულ წიგნებში ამ გვარის ერთ ოჯახს სოფელ თოლგოთშიც უცხოვრია (აიდარაშვილი/აიდაროვის გვარით) და ეთნიკურ ოსად არის აღრიცხული. 1860 წლის აღწერაში აიდარაშვილ/აიდაროვის გვარს სოფელ თოლგოთში ვეღარ ვხვდებით, სამაგიეროდ ჩნდება ახალი გვარი – ფიდაროვი. ამ ორ გვარში

¹ იხილეთ დანართი, 1886 წლის საოჯახო სია, სოფელ აღმასიანი, ოჯახი №13, 13/14, 14.

² ფონდი 254, ანაწერი 3, დოკუმენტი №261

³ ფონდი 254, ანაწერი 3, დოკუმენტი №260, ანაწერი 3 დოკუმენტი №229.

⁴ იხილეთ დანართი – კამერალური აღწერები და 1886 წლის საოჯახო სიები.

⁵ მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1907 წ., გვ.419.

⁶ იხილეთ დანართი – 1831 და 1842 წლების კამერალური აღწერები, სოფელი მნა, ოჯახი №8

⁷ იხილეთ დანართი – 1860 წლის კამერალური აღწერა, სოფელი მნა, ოჯახი №9; ასევე 1865 და 1907 წლების კობის მეტრიკული წიგნები;

⁸ ფონდი 489, ანაწერი 49, დოკუმენტი №285.

⁹ ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №3285.

ერთნაირი სახელებისა და მამის სახელების მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ თოღოგოთელ აიდაროვებს/აიდარაშვილებს გვარი შეუცვლიათ და ფიდაროვები გამხდარან¹.

აიდარაშვილები ჯერ კიდევ პირველი კამერალური აღწერიდან (1804 წ.) სოფელ ყანობში ცხოვრობდნენ, თავდაპირველად აიდაროვებად, ხოლო შემდეგი პერიოდის აღწერებში აიდარაშვილებად იხსენიებიან და ეროვნება ქართველი უწერია². აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ 1774 წელს ჩატარებული აღწერის თანახმად სოფელ ყანობში აიდარაშვილების ორი ოჯახი ცხოვრობდა³.

ასევე გვინდა სოფელ მნაში მცხოვრებ სუხიელების გვარზეც შევჩერდეთ, რომლებიც კამერალურ აღწერებში სხვადასხვა გვარით – შუგიშვილი, სოსიევი, სუგიევი, ბადაშვილი, გუგიევი, გუდიევი – გვხვდება⁴.

მითითებული გვარების მოძიება მეტრიკულ წიგნებშიც ვცადეთ. მასალების შედარების შედეგად გამოიკვეთა ბადაელების/ბადაშვილების და სუხიეების გვარში სახელების, მამის სახელების, ოჯახის წევრების და მათი ასაკის თანხვედრა⁵. მოკვლევის შედეგად დგინდება, რომ ბადაევი/ბადაშვილი და სუხიევი ერთი ძირიდან წარმოქმნილი ორი განაყარი გვარი უნდა იყოს. 1804 წლის კამერალური აღწერის მიხედვით ხევის სოფელ ხურთისში ბადაის გვარით სამი ოჯახი ცხოვრობდა. 1774 წლის აღწერის მიხედვით მნაში ორი კომლი ბადაძე სახლობდა⁶. არ შეიძლება არ ვახსენოთ „გერგეტის სულთა მატიანის“ 1439 წლის საბუთი,

¹ ამის შესახებ იხ. დანართში სოფელ თოღოგოთის კამერალური აღწერები და კობის მეტრიკული წიგნები.

² ფონდი 254, ანაწერი 1, დოკუმენტი №1245

³ მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1907 წ., გვ.422.

⁴ 1804 წლის კამერალურ აღწერაში სოფელი მნა გამორჩენილია, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული წლის აღწერაში მნის მოსახლეობა სოფელ ოქროყანაში უნდა იყოს რეგისტრირებული.

1816 წლის აღწერის თანახმად სოფელ მნაში ცხოვრობდა შუგიშვილების ორი ოჯახი – რუხია შუგიშვილი და სიაი შუგიშვილი; 1831 წლის კამერალური აღწერის მიხედვით სოფელ მნაში ოჯახი №5 გატარებულნი არიან – სია **სოსიევი** – 60 წელი, მისი შვილი გრიგოლი – 3 წლის, სიას ძმა რუხია – 56 წლის; 1842 წლის აღწერის თანახმად მნაში №6 ოჯახში წერია: გრიგოლ **სუგიევი** – 14 წლის; 1860 წლის აღწერაში კი მე-12 ნომრად (რომელსაც ასევე წინა აღწერის, მე-6 ნომერიც თან ერთვის) წერია – გიგოლა შიოს ძე **ბადა შვილი** – 30 წლის და მისი შვილი ნიკოლოზი – 2 წლის; 1873 წლის აღწერით მნაში №12 ოჯახი (თან ერთვის 1860 წლის აღწერის №12) გატარებულია – გრიგოლ შიოს ძე **გუგიევი** – 44 წლის, გრიგოლის შვილი ნიკოლოზი – 16 წლის; 1886 წლის საოჯახო სიაში სოფელ მნაში №12 ოჯახის წევრები არიან **გუდიევი** გრიგოლი შიოს ძე – 56 წელი (ამ აღწერას თან ერთვის ასევე წინა აღწერაში მითითებული ასაკი – 44 წელი). გრიგოლის შვილი ნიკოლოზი – 28 წლის (ძველი აღწერის თანახმად 16 წლის); ნიკოლოზის შვილი ზაქარია – 5 წლის, ნიკოლოზის მეუღლე სოფია – 25 წლის, მათი ქალიშვილი მაგდანა – 8 წლის. ამის შესახებ იხ. დანართის კამერალური აღწერები სოფელი მნა.

⁵ მეტრიკულ წიგნებში – 1878 წელს მნიდან მიმრქმელად ნიკოლოზ გრიგოლის ძე **ბადაევი** იხსენიება; 1889 წელს – ჯვრისწერის მოწმედ სოფელ მნაში მცხოვრები ნიკოლოზ გრიგოლის ძე **ბადაევი** ესწრება; 1906 წლის ცნობით მიმრქმელად დასახელებულია სოფელ მნაში მცხოვრები ნიკალაი გრიგოლის ძე **სუხიევი**. 1907 წელს მნაში მცხოვრებ ნიკოლოზ გრიგოლის ძე **სუხიევს** და სოფიო თათარყანის ასულ შეეძინათ ქალიშვილი მარია, 1910 წელს სოფელ მნაში მცხოვრებ ნიკოლოზ გიგოლის ძე **სუხიევს** და სოფია თათარკანის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ნინა; 1913 წელს სოფელ მნაში მცხოვრებ ზაქარია ნიკოლოზის ძე **სუხიევს** და ტასო ალექსანდრეს ასულს შეეძინათ ქალიშვილი ვერა. 1914 წელს სოფელ მნაში მცხოვრები ნიკოლოზ გრიგოლის ძე სუხიევი და სოფიო თოთის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ოლგა; 1915 წელს სოფელ მნაში მცხოვრები ყირიმ ნიკოლოზის ძე **სუხიევი** იხსენიება მიმრქმელად; 1916 წელს სოფელ მნაში მცხოვრებ ნიკალაი გიგოლის ძე **სუხიევს** და სოფია ცორას ასულს შეეძინათ ვაჟი ბორისი. 1916 წლის ცნობით მნაში მცხოვრები ნიკოლოზ **სუხიევის** მეუღლე სოფია გარდაცვლილა⁵.

⁶ მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში... გვ.427.

რომლის თანახმად გერგეტელ საყდრიშვილთაგან მძევლებთა სიაში „მნით ბადადსძე“-ც არის მოხსენიებული¹ (ბადაშვილები დღემდე სოფელ ხურთისში ცხოვრობენ). რაც შეეხება სუხიელებს, მართალია, ადრეული წლების ადწერებიდან ხევში არ ფიქსირდებიან, მაგრამ შიდა ქართლში მცხოვრები სუხიშვილები/სუხიაშვილები მნიდან გადასული ქართველები უნდა იყვნენ. სუხიეების ნაწილი კი ჩრდილო კავკასიაში, ვლადიკავკაზის ოლქში გადასულან საცხოვრებლად და გაოსებულან. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ სოფელ მნაში დღემდე დგას XVII-XVIII საუკუნეების მთის თეთრი ქვების დეკორით მორთული სუხიშვილების ციხე-სახლი².

თრუსოს და მის მიმდებარე სოფლებში დარჩენილ ქართველების არსებობის კვალზე საუბრისას პარმენ ზაქარია და აღნიშნავს, რომ „ცხადია, სოფელ ოქროყანისა და შევარდენის სახელწოდებებიც ამ ადგილებში ქართული მოსახლეობის არსებობაზე მიუთითებს წარსულში. ამ ადგილებში ამჟამად მოსახლე, ასიოდე წლის წინ ჩასახლებული ოსები თრუსოდან, ჩრდილო ოსეთიდან და სხვა კუთხეებიდან არიან მოსულნი. მათ შორის მრავალი გაოსებული ქართველია, მაგ. სუხიაშვილები, ქასოშვილები და სხვ“³.

რაც შეეხება 1886 წლის საოჯახო სიაში მოხსენიებულ გუდიევს და მათ სუხიეებთან გაიგივებას, გამოვრიცხავთ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მრავალრიცხოვან გვარს წარმოადგენდნენ თრუსოში, მაინც, ვფიქრობთ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეცდომა უნდა იყოს.

ზემოთ აღნიშნული გვარები – ბაბეშვილები, არჩინოვები, ბადაევები, სუხიეები, გუდიევები, ელოევები, რომ თრუსოსა და მნის ძველი, მკვიდრი ქართული გვარებია, ამას ადასტურებს 1774 წელს ერეკლე მეორის დროს მნის ადწერის მასალები. კერძოდ, „ხევის მნად“ წოდებულ სოფელში მითითებულ გვარებს შორის ვხვდებით – ბაბეური კურდღელის შვილი, ბაბეური დავითის შვილი, ბაბეური ალდათის შვილი, ბაბეური ბიასის შვილი, ბაბეური ავთანდილის შვილი, ბაბეური ზურას შვილი, ბაბეური ზაქის შვილი, არჩინაური გის შვილი, არჩინაური ხოსროს შვილი, არჩინაური თამაზას შვილი, არჩინაური ქოჩორას შვილი, ბადაძე კაცოს შვილი, ბადაძე ზაღაგის შვილი, გუდიაურის ბისას შვილი და ა.შ.

მათმა ნაწილმა XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც ქართული ეროვნული თვითმყოფადობა – ენა, ეროვნება, სარწმუნოება – შეინარჩუნა, მაგრამ, საბოლოოდ, შერეული ქორწინების სახით მოსულ ოს მოსახლეობასთან ასიმილირება მაინც განიცადა. მათ ოსებთან ასიმილაციას რუსულმა ხელისუფლებამაც შეუწყო ხელი, რადგან გვიანდელ ადწერებში თრუსოში შემორჩენილი ეს გვარები ოსებს მიაკუთვნეს.

ბოლოს გვინდა თრუსოს მოსახლეობის დემოგრაფიას და მიგრაციულ პროცესებს შევხვით. მეტრიკულ წიგნებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ კობისა და აბანოს სამრევლოებში მოსახლეობის ზრდის ტემპი (ზრდის კოეფიციენტი) 1880-1916 წლებში კლების ტენდენციით ხასიათდება, გარდაცვალება დაბადებულთა რიცხვს აღემატება.

¹ ქრისტინე შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს) (გერგეტის მატიაზე)... გვ.271.

² პარმენ ზაქარია აღნიშნულ ძეგლს ციხე-სახლად მოიხსენიებს (ზაქარია პარმენ, ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია, თბილისი, 2002, გვ.480-481). „საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველოს“ მიერ XX საუკუნის 70-იან წლებში შედგენილ ძეგლის პასპორტში იგი „სუხიშვილების ციხედ“ მოიხსენიება. ძეგლის პასპორტი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივშია დაცული.

³ პარმენ ზაქარია, არაგვისა და თერგის ხეობა, ისტორიულ-არქიტექტურული გზამკვლევი, თბილისი, 1972, გვ. 33.

გარდაცვალება განსაკუთრებით შესამჩნევია ახალშობილთა და ბავშვთა ასაკში, რომელიც ხშირად მწვავე ინფექციურ დაავადებას – წითელას, წითურას, ქუნთრუმას, ჩუტყვავილას – ეპიდემიას უკავშირდებოდა. ბავშვებში გვხვდება დიფტერიის შემთხვევებიც, ხოლო მოზრდილებში ხშირია ქლექითა და შავი ჭირით, იგივე სახადით გარდაცვალების შემთხვევები.

კამერალურ აღწერებში გვხვდება გვიანდელი პერიოდის სხვადასხვა მინაწერები, მათ შორის ოჯახების გაქრობის, გადაშენების ფაქტებიც. 1873 წლის სოფელ კობის კამერალურ აღწერაში ტუაევების №6 ოჯახს უწერია, რომ „ეს კომლი განადგურდა და 1887 წლის მეორე ნახევრიდან ამოირიცხა ბეგარის გამოსადებისა და საერობო გადასახადისაგან“¹. იგივე შენიშვნაა გაკეთებული იმავე სოფელში მცხოვრებ ბიგანოვების (№14), ცალაგოვების (№21), მისოსტოვების (№26), ოჯახების შემთხვევაშიც². სოფელ აღმასიანში კარაშვილებს (ოჯახი №7), ურტაშვილებს (ოჯახი №8) და ზაჩიშვილებს (ოჯახი №9) უწერიათ, რომ „ოჯახი განადგურდა და 1887 წლის მეორე ნახევრიდან ამოირიცხა ბეგარის გამოსადებისა და საერობო გადასახადისაგან“³, სოფელ აბანოში ცაბოლოვების (ოჯახი №12), გუდიევების (ოჯახი №17), კარაევების (ოჯახი №22) ოჯახებში იგივე შემთხვევებს ვხვდებით⁴. სოფელ ყარათყავილამ 1873 წლის კამერალური აღწერის მიხედვით ურტაევების ოჯახთან (№12), აღნიშნულია, რომ „ოჯახი განადგურდა და 1887 წლის მეორე ნახევრიდან ამოირიცხა ბეგარის გამოსადებისა და საერობო გადასახადისაგან“⁵. 1873 წლის კამერალური აღწერის მიხედვით ასეთ შემთხვევებს 11 ოჯახში ვხვდებით. იგივე ფაქტები გვაქვს 1886 წლის საოჯახო სიებშიც, ოღონდ ამ შემთხვევებში გამეორებულია, როგორც წინა, 1873 წლის აღწერის მონაცემები, ასევე მას დამატებული აქვს 1886 წლის მდგომარეობაც და „გამქრალი“, „განადგურებული“ ოჯახები ამ დროისათვის 21 შეადგენდა. წინა აღწერის შედარების შედეგად დგინდება, რომ ეს ციფრი 1886 წელს გაორმაგებულია. თრუსოს მოსახლეობის დემოგრაფიულ ცვლილებებზე ასევე მკვეთრად აისახებოდა მიგრაციული პროცესებიც.

თრუსოდან მოსახლეობის გადინების ფაქტები XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან დოკუმენტურად უკვე დადასტურებული გვაქვს. მიგრაციის მთავარ მიზეზად კი მკაცრი ბუნებრივი პირობები, მოსახლეობის სიღარიბე, უმუშევრობა, სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი ინტენსივობა და სწავლა-განათლების არ არსებობა უნდა ყოფილიყო.

მოსახლეობის მიგრაციის უმეტესი შემთხვევები ჩრდილო კავკასიაში ფიქსირდება. მაგალითად, 1842 წლის კამერალური აღწერების თანახმად სოფელ ახალსოფელში მცხოვრებ კალუევების ოჯახის (№8) ერთ-ერთი წევრი ვლადიკავკაზის ოლქის სოფელ გიზელში გადასულა საცხოვრებლად⁶; 1857 წელს მნაში მცხოვრები ლევან კალაევი ქ. ვლადიკავკაზში გადასახლებულა⁷; იმავე წელს ოქროყანაში მცხოვრები ჩორა გუდიევის შვილი ვლადიკავკაზის ოლქის ერთ-ერთ სოფელში გადასულა საცხოვრებლად⁸. სოფელ

¹ ფონდი 254, ანაწერი 3, დოკუმენტი №258.

² იგივე დოკუმენტი.

³ ფონდი 254, ანაწერი 3, დოკუმენტი №256.

⁴ ფონდი 254, ანაწერი 3, დოკუმენტი №256

⁵ ფონდი 254, ანაწერი 3, დოკუმენტი №258.

⁶ ფონდი 254, ანაწერი 1. დოკუმენტი №2037

⁷ იგივე დოკუმენტი, გვ.114-115

⁸ იგივე დოკუმენტი, გვ.111-113

აბანოში მცხოვრები გუდიევის ოჯახიდან (№4) ორი ძმა 1845 წლიდან ვლადიკავკაზის ოლქის სოფელში ცხოვრობდა. 1853 წელს სოფელ ბურმასიგიდან ვლადიკავკაზის ოლქის სოფელ ბალთაში საცხოვრებლად გადასულა სოსლამა ურტაევი¹. 1858 წელს სოფელ გიმარიდან ვლადიკავკაზის ოლქის სოფელში არიკში (?) გადასულა ასკო ბოცოევი (ოჯახი №9)². სოფელ ყარათყავში მცხოვრებ ხატამა ურტაევთა აღნიშნულია, რომ 1850 წლიდან ცხოვრობს ვლადიკავკაზის ოლქის სოფელ ბალთაში; ამავე სოფლიდან აქე ურტაევი ოჯახით 1852 წელს საცხოვრებლად ვლადიკავკაზის ოლქის სოფელ ბალთაში გადავიდა³. სოფელ ქეთრისიდან კოკაელების ოჯახის (№1) სამი წევრი 1845 წლიდან ვლადიკავკაზის ოლქის სოფელ ბალთაში ცხოვრობდნენ; ამავე სოფლიდან კოკაელების მთელი ოჯახი (№10) 1845 წლიდან ვლადიკავკაზის ოლქის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა. იგივე სოფლიდან №15 ოჯახის სამი წევრი 1857 წელს ვლადიკავკაზის ოლქის სოფელ გიზელში გადასულა საცხოვრებლად⁴. 1853 წელს სოფელ რესში ოჯახი №17 ვლადიკავკაზის ოლქის სოფელ ბალთაში გადასულა⁵. სოფელ ტეფიდან – ხაბე ხუბეგიევის ოჯახი 1855 წლიდან ვლადიკავკაზის ოლქის სოფელ ხუმალაგში ცხოვრობდა⁶.

1873 წლის აღწერით სოფელ ბურსამიგში მცხოვრები ურტაელების ოჯახი (№7) ვლადიკავკაზის ოლქის სოფელ ბალთაში დასახლებულა; იგივე სოფლის იმავე გვარის ურტაელების (№8) ოჯახი ვლადიკავკაზის ოლქის სოფელ ხუმალაგში ცხოვრობდა⁷. სოფელ ზაყაგორში მცხოვრები კეტოელების ორი ოჯახი ვლადიკავკაზში გადასულან⁸. რესში მცხოვრები კუსაელების (№9) ოჯახიც ვლადიკავკაზის ოლქის სოფელ ბალთაში გადასულა. ამავე სოფლის მკვიდრი ზოზიელების (№13) ოჯახს ასევე უწერია, რომ ვლადიკავკაზის სოფელში გადასულან⁹. იმავე წლის აღწერით სოფელ ჯიმარაში მცხოვრები ბეროზოეების ოჯახის (№3) ერთ-ერთი წევრი ვლადიკავკაზის ოლქის სოფელ ხუმალაგში ცხოვრობდა. იმავე ხუმალაგში ჯიმარიდან გადასულა ბეროზოეების ოჯახის სრული შემადგენლობა (ოჯახი №13); იგივე ჯიმარადან ბოცოეების ორი ოჯახი (№24 და 25) ვლადიკავკაზის ოლქის სოფლებში გადასახლებულან¹⁰.

1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით ცნობილი ხდება, რომ ზემო უხათიდან ტუაეების, ბატაეების, სალბიეების (№5, 15, 16) ოჯახი ვლადიკავკაზის ოლქის სოფელ ტარსკსა და ქალაქ ვლადიკავკაზში გადასულან საცხოვრებლად¹¹. სოფელ აღმასიანში მცხოვრები ყარაშვილების (№8) ოჯახიც ქ. ვლადიკავკაზში ცხოვრობდა¹².

იმავე წლის საოჯახო სიების თანახმად სოფელი ყარათყავიდან ბულაცეების, ბეჩიეების, კუმალაგოეების (№20, 21, 27, 30) ოჯახი ვლადიკავკაზის ოლქში, ზოგი სოფელ ბალთაში, ხოლო ნაწილი ქ. ვლადიკავკაზში ცხოვრობდა¹³.

¹ იგივე დოკუმენტი, გვ.136-137.

² იგივე დოკუმენტი, გვ.138-139.

³ იგივე დოკუმენტი, გვ.132-135

⁴ იგივე დოკუმენტი, გვ.116-119

⁵ იგივე დოკუმენტი, გვ.147-149

⁶ იგივე დოკუმენტი, გვ.144-146.

⁷ ფონდი, 254, ანაწერი 3, დოკუმენტი №261, გვ.11-19.

⁸ ფონდი 254, ანაწერი 3, დოკუმენტი №230 გვ.102-106;

⁹ სოფლის სახელი არ წერია.

¹⁰ ფონდი 254, ანაწერი, 3 დოკუმენტი №229 გვ.122-130

¹¹ ფონდი 254, ანაწერი 3, დოკუმენტი №1803 გვ.77-87

¹² ფონდი 254. ანაწერი 3, დოკუმენტი №1790 გვ.115-122

¹³ ფონდი 254, ანაწერი, 3, დოკუმენტი №1805 გვ.108-123

1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით სოფელ კეტრისიდან ცალაგოვების (№21) და კოსაევების (№16) ოჯახი 6 წლის წინ ქ. ვლადიკავკაზში გადასახლებულან, ხოლო კოკაევების (№4) ოჯახის რამდენიმე წევრი ვლადიკავკაზის ოლქის სოფელ ხუმაღაგში ცხოვრობდა¹.

1886 წლის საოჯახო სიების თანახმად სოფელ კობში მცხოვრები კოცაევების (№15) ოჯახი 12 წლის წინ ვლადიკავკაზის ოლქის სოფელ ხუმაღაგში გადასულა; იმავე ხუმაღაგში კობიდან 12 წლის წინ წასულან სალბიევების (№24) ოჯახი; ოქროვების (№16) ოჯახი კობიდან 13 წლის წინ ვლადიკავკაზში გადასახლებულან². სოფელ ახალსოფელში, იგივე ნოვაკომში, რეგისტრირებული ძილიევების (№7) ოჯახიდან ორ წევრს უწერია, რომ ცხოვრობენ ვლადიკავკაზში³. ოქროყანაში მცხოვრებ გუდიევებთან (ოჯახი №8) აღნიშნულია, რომ 10 წელზე მეტია ცხოვრობენ ვლადიკავკაზში, ხოლო იმავე სოფლიდან ბიდიგოვების ოჯახი (№12) ვლადიკავკაზის ოლქის სოფელ ბალთაში ცხოვრობდა⁴. სოფელ რესში რეგისტრირებული კუზიევების ოჯახი (№12) 1886 წლის ცნობით 10 წლის წინ ვლადიკავკაზის ერთ-ერთ სოფელში გადასულა; იმავე სოფლიდან ზოზიევების (№14) ოჯახიც ვლადიკავკაზის სოფელში ცხოვრობდა⁵. ქვემო დესიდან 1886 წლის მონაცემით თათაროვების ოჯახი (№5) ვლადიკავკაზის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა⁶ და ა.შ.

მოტანილი მაგალითებიდან ცხადი ხდება, რომ თრუსოდან მოსახლეობის გადინება XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან დაწყებული და შემდგომში ეს პროცესი ინტენსიური გამხდარა. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, ვლადიკავკაზის ოლქის სოფლებში გიზელში, ბალთაში, ტარკში, ხუმაღაგსა და ქ. ვლადიკავკაზში დასახლებულა.

თრუსოს მოსახლეობის მცირე ნაწილში შეინიშნება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ძირითადად, სოფლად გადასვლა. მაგალითად: აბანოში მცხოვრები (№12) ოჯახის წევრი ღუდარ იგივე გლახა ჩაბოლიევი 1848 წლიდან მთიულეთის უბნის ღუდის ხეობის სოფელ განისში ცხოვრობდა.⁷ 1848 წლიდან რესიდან მთიულეთის უბნის სოფელ ქუმლისციხეში გადასულა კოკაევების ოჯახი (№9)⁸. 1853 წელს ზემო დესში მცხოვრები ხამიჩიევების ოჯახი (№2) გორის მაზრის ჯავის უბნის ერთ-ერთ სოფელში გადასახლებულა⁹. 1886 წლის საოჯახო სიის მიხედვით ქვემო უხათში რეგისტრირებული ურტაევების (№5) ოჯახი წეროვანში გადასულა საცხოვრებლად¹⁰ და ა.შ.

ასევე შეინიშნება კობსა და მის მიმდებარე სოფლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოსახლეობის გადმოსახლების ფაქტები. მაგრამ, კობში მოსახლეობის გადასვლა უმრავლეს შემთხვევაში მნისა და თრუსოს ხეობის სოფლებიდან ხდებოდა. მაგალითად: სოფელ მნაში მცხოვრები ბესლან ჩალაგაევი 1848 წელს საცხოვრებლად სოფელ კობში გადასულა¹¹. 1848 და 1855 წლებში სოფელ სავატიისიდან ორი ოჯახის

¹ ფონდი 254, ანაწერი 3, დოკუმენტი №1808 გვ.57-73

² ფონდი 254, ანაწერი, 3, დოკუმენტი №1806 გვ.46-60

³ ფონდი 254, ანაწერი 3, დოკუმენტი №1814. გვ.29-34

⁴ ფონდი 254, ანაწერი 3, დოკუმენტი №1816 გვ.10-14.

⁵ ფონდი 254, ანაწერი 3, დოკუმენტი №1817

⁶ ფონდი 254, ანაწერი, 3, დოკუმენტი №1805 გვ.63-67

⁷ ფონდი 254, ანაწერი 1, დოკუმენტი №2037 გვ.120-123.

⁸ იქვე.

⁹ იგივე დოკუმენტი, გვ.130-131.

¹⁰ ფონდი 254, ანაწერი 3, დოკუმენტი №1814. გვ.1-4

¹¹ იგივე დოკუმენტი.

რამდენიმე წევრი კობში ცხოვრობდა¹. 1860 წლის აღწერის თანახმად სოფელ სავატიდან კობში ქასაშვილების ორი ოჯახის რამდენიმე წევრი 1849 და 1855 წლებში გადასახლებულა; კობში კობიელების ოჯახში (№17) ცხოვრობდა 1848 წლიდან გორის მაზრის ჯავის უბნის სოფელ მაღიდან გადმოსული ხოტი ოზეროშვილი; ამავე სოფელში 1848 წლიდან ცოლოგიშვილებთან მათი ბიძაშვილი ცხოვრობდა; კობში მცხოვრებ აბაშვილების (№24) ოჯახის მთელ შემადგენლობას უწერია, რომ გორის მაზრის, სოფელ სიბადან გადმოსახლებულან 1845 წელს. კობში ბეროზაშვილების (№30) ოჯახი თრუსოს სოფელ გიმარადან 1859 წელს გადმოსულან; იმავე კობში ოქროაშვილები (ოჯახი №29) უხათიდან 1845 წელს გადასახლებულან². 1873 წლის აღწერის ცნობით ზაკაელების ოჯახი რესიდან კობში გადასულან (№17)³; იმავე აღწერის თანახმად ტეფიდან კობში გადასულა კალაგოვების №20 ოჯახი⁴.

1860 წლის აღწერის მიხედვით სოფელ ქვემო დესიდან შავარდენში ხამიციელების ოჯახი გადასულა (№10)⁵; სოფელ შავარდენში მცხოვრები შავლოხიშვილების ოჯახს (№6) უწერია, რომ გორის მაზრის, ოსეთის უბნის სოფელ ზღუბირიდან გადმოსულან⁶. 1873 წლის აღწერის მიხედვით გიმარაში მცხოვრები ბეროზოვების (№15) ოჯახი კობის სასოფლო საზოგადოების სოფელ ნაოკავში, იგივე ახალსოფელში გადასულან⁷.

მოსახლეობის მიგრაციის მიზეზების და მათი სოციალური სტატუსის დადგენის შესაძლებლობას მეტრიკული წიგნები იძლევა. მაგალითად, სოფლებში კობსა და ბაზილანში დროებით ცხოვრობდა აბაელების ორი ოჯახი, რომლებიც აქ მცირე ვაჭრობით ყოფილან დაკავებულნი, ხოლო მათ მუდმივ საცხოვრებლად გორის მაზრის სოფელი სიბაა მითითებული⁸.

რამდენიმე მოახალშენე გვხვდება ასევე საქართველოს-სამხედრო გზის სიახლოვეს გაშენებულ სოფელ თოღგოთშიც. სოფელი სულ სამი-ოთხი კომლისგან შედგებოდა. მათ შორის იყვნენ სოფელ ერეთიდან (Epete) გადმოსახლებული თაყაშვილების/თაყაელების და მეზობელ სოფელ უხათიდან გადმოსული სალბიშვილების ოჯახი⁹.

კობსა და ალმასიანში ახალი ოჯახების გაჩენის ძირითადი მიზეზი სავაჭრო-ეკონომიკური ფაქტორი უნდა ყოფილიყო. მას შემდეგ, რაც 1818 წლის იანვარში დუშეთის მაცხოვრებლები გრიგოლ აპრილოვი და მისი ამხანაგები გენერალ ერმოლოვის ბრძანებით, დაითანხმეს ყაზბეგის და კობის მიდამოებში გაეხსნათ სავაჭროები სხვადასხვა სანოვაგით – საქმელით, სასმელებით და ზომიერ ფასებში გაეყიდათ. მოვაჭრეების გასაყიდ საქონელზე ფასებს „მთიელთა ხალხის მმართველი“ ვიცე-პოლკოვნიკი ქანანოვი აწესებდა. გარდა ამისა, მათ ნება მიეცათ აეშენებინათ მგზავრებისთვის განკუთვნილი გასაჩერებელი სახლები – ოთახებით¹⁰.

¹ იგივე დოკუმენტი, გვ.124-128.

² ფონდი 254, ანაწერი 2, დოკუმენტი №235, გვ.231-241.

³ ფონდი 254, ანაწერი 3. დოკუმენტი №261, გვ.11-19.

⁴ ფონდი 254, ანაწერი 3. დოკუმენტი №263, გვ.52-61

⁵ ფონდი 254, ანაწერი 2, დოკუმენტი №235 გვ.215-218.

⁶ ფონდი 254, ანაწერი 2, დოკუმენტი №235 გვ.431-435

⁷ ფონდი 254, ანაწერი, 3 დოკუმენტი №229 გვ.122-130

⁸ იხ. დანართი – კობის სამრევლოს მეტრიკული წიგნები. აბაელების ერთ-ერთი ოჯახიდან იყო ცნობილი ოსი მეცნიერი ვასილ აბაევი, რომელიც კობში დაიბადა და გაიზარდა.

⁹ ფონდი 254, ანაწერი 2, დოკუმენტი №235, გვ.391-393

¹⁰ Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею, Архивъ главнаго управления наместника кавказскаго, Том VII, Изданъ под редакциею председателя комиссии Ад. Берже, Тифлисъ, 1878, ст.352.

მას შემდეგ, რაც საქართველოს სამხედრო გზა მოეწყო, გზაზე დასახლებულმა სოფლებმა კომერციული დატვირთვა შეიძინა, შეიქმნა ახალი სამუშაოები, გაჩნდა სავაჭრო პუნქტები, დუქნები, მოეწყო მგზავრთათვის განკუთვნილი სახლები, სათავსები; აშენდა კობის საფოსტო სადგური („სტანცია“), რომელიც თავისთავად სასტუმროსა და კვების ობიექტის ფუნქციასაც ითავსებდა. ამ ყველაფერმა მუშახელის მოთხოვნა გაზარდა და ახალი სამუშაო ადგილები გააჩინა. მეტრიკულ წიგნებში 60-იანი წლებიდან გვხვდება ასეთი ჩანაწერები: კობში მოვაჭრე და სოფელ პავლეურში მცხოვრებელი გიორგი გლახას ძე სევანოვი¹; კობში მოვაჭრე და კურსკის ღუბერნიის ქალაქი ხვატეჟიაში (sic) მცხოვრები თევდორე ანდრიას ძე ევლოევი²; სოფელ აბანოში მცხოვრები და დროებით კობში მოვაჭრე დიმიტრი შაველის ძე ცაბოლოვი³; კობში მოვაჭრე ვასილი ალექსის ძე მისოსტოვი⁴; სოფელ ფასანაურში მცხოვრები, დროებით კობში მოვაჭრე ივანე გრიგოლის ძე გუდიევი⁵; დუშეთში მცხოვრებელი და კობს მოვაჭრე აბაზა არტემის ძე აბაზოვი⁶; სოფელ ანანურში მცხოვრები, კობში მოვაჭრე სოლომან ივანეს ძე ფიცხელაური⁷; ანანურში მცხოვრები და კობში მოვაჭრე დავით იაკობის ძე ლაზაროვი⁸; სოფელ იორში მცხოვრები, კობში მოვაჭრე გლახა ლაზარეს ძე ქურციკიძე⁹ და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ კობში თანდათანობით ეკონომიკური ურთიერთობები ყალიბდებოდა და ვაჭრობა ვითარდებოდა. ამით ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური პირობები ღიდად არ იცვლებოდა, მათი ცხოვრება კვლავ მძიმე რჩებოდა. მოსახლეობის ძირითად საქმიანობას სამხედრო გზის ზვავებისაგან გაწმენდა-შეკეთება და გზებზე ტვირთის გადატანა წარმოადგენდა. მათი შრომა მძიმე იყო, ხოლო გაწეული შრომის საფასური მცირე. ამას გარდა, ისინი რუსი მოხელეების მხრიდან თვითნებობას და უსამართლობასაც აწყდებოდნენ. გაწეული სამუშაოსთვის იმ მცირეოდენ გასამრჯელოსაც არ უხდიდნენ.

1824 წლის 28 ოქტომბერს გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ველიამინოვი მაიორ ქანანოვს წერდა: „ჩემი მგზავრობისას საქართველოს სამხედრო გზაზე პირადად დავრწმუნდი კობის საგუშაგოს მახლობლად არსებული სოფლების კობისა და ალმასიანის (Алмазъ) მაცხოვრებლების უკიდურეს სიღატაკეში, რომლებიც გამვლელი სამხედროებისაგან შემთხვევით მომარაგებით განსაკუთრებით ზარალდებიან ზამთარში, როდესაც ეს სამხედრო ჯგუფები შემთხვევითი უამინდობის გამო ხანდახან მთელი კვირით ჩერდებიან ამ ადგილზე და ტყის არარსებობის გამო ადგილობრივი მაცხოვრებლებიც განიცდიან შეშის ნაკლებობას. ამ მძიმე მდგომარეობის გამო აქაურ მაცხოვრებლებს დავპირდი გადასახადებისაგან გათავისუფლებას 1 წლით...¹⁰ ჩვენთვის უცნობია ეს დანაპირები ველიამინოვმა შეასრულა თუ არა.

¹ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №1659.

² ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №1910.

³ ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №64.

⁴ ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №65.

⁵ ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №72.

⁶ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №1737.

⁷ ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №1910.

⁸ ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №65.

⁹ ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №48.

¹⁰ Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею, Архивъ главнаго управления наместника кавказскаго, Том VI, часть I, Издавъ под редакцию председателя комиссии Ад. Берже, Тифлисъ, 1874, ст.74.

ადგილობრივი მოსახლეობის გასაჭირს კარგად ასახავს 1891 წელს გაზეთი „ივერია“: „ამ ახლო ხანებში რამდენჯერმე მომიხდა... სოფელ კობში დარჩენა. ამ სოფელში ოსები ცხოვრობენ და კარგა მოზდილი სოფელიცაა. ახლოს ფოსტის სადგურია და სადგურს აქეთ ტფილისის მხარისაკენ ღუქან-ბაზარია; აქვე სხვადასხვა მოხელეს აქვს ბინა. ამ ადგილას დიდი მოძრაობაა ხალხის, მეტადრე ზამთრობით, როდესაც ზვავების გაჭრისათვის გამოჰყავთ ოსები და მოხევეები ამ ახლო ხეობების სოფლებიდან...

დიდი მუშაობა და ჯაფა აწევთ აქაურ მოსახლეთ ზამთრის ზვავების დროს. რუსეთიდან საქართველოში ფოსტის და საქონლის წაღებ-წამოღება სულ ამ ხალხის მუშაობაზეა დამოკიდებული. გზა შეიკვრის თუ არა, მაშინათვე ხალხი უნდა გამოვიდეს და გზა გახსნას. ყველაზე ძნელი სავლელი და დიდი ზვავების ჩამოწოლა კობიდან გუდაურამდეა და სანამ თოვლი გადნებოდეს, მუშაობა შეუწყვეტელია.

მუშაობას ხალხი არ უფრთხის, თუმცა დიდი ჯაფა, წვალემა და ტანჯვა უნდება; ზოგჯერ გაციებული კაცი ავად ხდება და კვდება კიდეცა, მაგრამ რაკი გლეხს გადაჭრილი ფული აქვს მთავრობისაგან და ჯაფისათვის საფასური ეძლევა, აქაური სოფლის ხალხი მაღლობელიც არის: ეს გზა მე პურს მაჭმევსო... მაგრამ მოხდება იმისთანა ამბებიც, რომ თითო-ორიოლა მანეთობით ნაკლებს იღებს: ეს ბარი გაგიტეხიაო, ეს თოხიო და სხვა ამ გვარი. ამას გარდა ზოგჯერ მუშა-კაცი სცდება და რამდენიმე დღე აღამებს. შორის სავალიდამ მოსულს ეუბნებიან, ფული არ არის, მისაღები გვაქვსო... ზოგი ველარ იცდის და შინ ცარიელი ბრუნდება... „გლეხი კაცები ვართ, ერთი დღის მოცდენა ჩვენთვის ძვირათა ღირს; სასამართლო შორს არის და სად ვიაროთ? ტირილით კი ჩვენი ხეობა და ჩვენი სოფელი გულით დიდი ხანია ტირის – ამბობდა ჩემთან ადგილობრივი მოლაპარაკე – მაგრამ ცრემლი გულშივე ჩადის და ტირილის ხმაც შორს არ ისმისო“¹.

„აქ სიღარიბე საზოგადოა, სიღატაკე არის ყველგან“ – წერდა ადგილობრივი მოსახლეობის გასაჭირზე 1827 წელს ფინანსური მდგომარეობის აღსაწერად თრუსოში მივლენილი ნ. ჭილაევი, იგივე ჭილაშვილი – „მათთვის ერთადერთ შემოსავლის წყაროს სამხედრო აღჭურვილობის და ვაჭართა საქონლის მთებზე გადაზიდვა წარმოადგენს. ამ გადაზიდვას აწარმოებენ საპალნით. ურემი აქ ვერ გამოიყენებოდა, რამდენადაც ადგილები ისეთი მთიანია, რომ ზაფხულშიც კი მიწაზე დადიან მარხილები“².

წარმოდგენილ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, ცხადი ხდება, რომ თრუსოს, მნის ხეობებისა და მოგვიანებით კობის ქვაბულის მიმდებარე სოფლებიდან მოსახლეობის დაცლის მთავარი მიზეზი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები იყო. რასაც მკაცრი კლიმატური პირობებიც ემატებოდა. მიგრაციული პროცესები აქ XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან დაწყებულია. მოსახლეობის გადინება უმრავლეს შემთხვევაში ჩრდილო კავკასიაში – ქ. ვლადიკავკაზსა და მის მიმდებარე სოფლებში ხდებოდა, მცირე ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ძირითადად სოფლად გადადიოდა (მოსახლეობის გადინება ჩრდილო კავკასიაში მხოლოდ თრუსოდან არ ხდებოდა, იგივე ფაქტები კამერალური აღწერების თანახმად ხევის თითქმის ყველა სოფელში დასტურდება).

XX საუკუნის პირველი ნახევრიდან თრუსოში მოსახლეობა რომ მნიშვნელოვნად იყო შემცირებული, მაგალითისთვის 1922-1935 წლების თრუსოსა და კობის სასოფლო საბჭოების

¹ გაზეთი „ივერია“, 1891, №58, გვ.2-3.

² Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Архивъ главнаго управления наместника кавказскаго, Том VII, Изданъ под редакциею председателя комиссии Ад. Берже, Тифлис, 1878, №298.

სარეგისტრაციო წიგნების მონაცემებიც გამოდგება¹. აღნიშნული წლების დემოგრაფიული სტატისტიკით მოსახლეობა საგრძნობლად იყო შემცირებული. 50-იანი წლებიდან კი თრუსოს ზოგიერთი სოფელი ნასოფლარს წარმოადგენდა. 1952 წელს თრუსოს სამეცნიერო ექსპედიციაში მყოფი ცნობილი მეცნიერი პარმენ ზაქარაია შენიშნავდა: „ადგილზე გვითხრეს: სოფელი [მნა – ნ.შ.] სამი ნაწილისგან შედგებოდაო. ორი ნაწილი მდინარის მარჯვნივ ყოფილა, ერთი კი – მარცხნივ (ეს უკანასკნელი კარგა ხნის წინათ აყრილა)“. იქვე, სოფელ მნასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ჩვენი იქ ყოფნის დროს (1952 წ.) მხოლოდ ერთი მოხუცი იყო დარჩენილი აქ. ზემო თრუსის (sic) ხეობაში ბლომადაა ნასოფლარები, სამშობლოს დამცველი ქართველები საუკუნეების განმავლობაში მტერს შეკვდომიან, პარტახ სოფლებს XIX ს-ის შუა ხანებიდან ოსები დაპატრონებია (მათი დიდი ნაწილი გაღმა, ჩრდილოეთში ცხოვრობს², აქ მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდიან, ჭირნახულის მოსაწყევად)“.³

აქ წარმოდგენილი საარქივო მონაცემები, მართალია, სრულად ვერ ასახავენ იმდროინდელ ვითარებას (რასაც თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს), მაგრამ სათანადო დასკვნების გამოტანის საშუალებას მაინც იძლევა. დოკუმენტური მასალების შესწავლამ დაგვანახა, რომ დიდი იყო ოსების ქართველებთან კულტურული ინტეგრაცია, ენობრივი და ეთნიკური ასიმილაცია შერეული ოჯახების წყალობით.

ჩვენი მიზანი იყო, ერთი კონკრეტული მიკრორეგიონის მაგალითზე წარმოგვედგინა ქართველი და ოსი ხალხის თანაცხოვრების მაგალითები, ნათესაური კავშირები შერეული ქორწინებებისა თუ ნათლობების სახით. ეს კავშირები ხელს უწყობდა ქართველებისა და ოსების ინტენსიურ სოციალურ კონტაქტებს, აახლოვებდა მათი ცხოვრების წესს, მათ კულტურულ თავისებურებებს, წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს, ერთმანეთის რელიგიური თუ მორალურ-ეთნიკური მრწამსის გაცნობას და პატივისცემას. ამ კავშირების აღდგენა ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ერთმანეთთან დასაახლოებლად. დღესაც შესაძლებელია ამ ძველი კავშირების აღდგენა და იმ დაძაბულობის და გაუცხოების დაძლევა, რაც XX საუკუნის 90-იანი წლებიდან უცხო ძალის მიერ თავს მოხვეულობა კონფლიქტებმა ერთმანეთს დაამორა და მათ საუკუნეების წინ დაწყებულ ნათესაურ ურთიერთობებს დადი დაასვა. საზოგადოდ ცნობილია, რომ საქართველო უძველესი დროიდანვე მრავალეთნიკურ ქვეყანას წარმოადგენდა და სწორედ ეს მრავალფეროვნება, ქართული ერთობის ცხოვრების კულტურული ასპექტები – ისტორია, ენა, წეს-ჩვეულებები, სარწმუნოება – თანაცხოვრების ერთიან კულტურულ სისტემას ქმნიდა.

¹ ამის შესახებ იხილეთ დანართი – თრუსოსა და კობის სასოფლო საბჭოების სარეგისტრაციო წიგნების მონაცემები 1922-1935 წწ. (დემოგრაფია და საქმიანობა).

² იგულისხმება ჩრდილო კავკასია.

³ პარმენ ზაქარაია, ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია, თბილისი, 2002, გვ. 481 სქოლიო.

თავი VII. საგანმანათლებლო დაწესებულებები თრუსოში საარქივო მასალების მიხედვით (XX საუკუნის I ნახევარი)

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტები (საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დაგეგმვისა და აღრიცხვა-ანგარიშების ფონდები) გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის XX საუკუნის პირველ ნახევარში თრუსოში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების და პედაგოგიური კადრის შესახებ.

თრუსოს სასოფლო საბჭოს სოფელ **ბურმასიგში** ფუნქციონირებდა დაწყებითი სკოლა, რომლითაც სარგებლობდა სოფლების ცოცოლთას და კარატკაუს მოსახლეობაც. სკოლის შენობა აიგო 1927 წელს, თუმცა, სკოლა 1930 წლიდან გაიხსნა. მასწავლებლად მუშაობდა დუსია ბოცოვა, რომელსაც თბილისის პედაგოგიური სასწავლებელი ჰქონდა დასრულებული. სკოლის გამგე (დირექტორი) იყო თოთურბეგ კოკაევი, უპარტიო, დამთავრებული ჰქონდა ათწლედ. მოსწავლეთა რაოდენობა 1938- 1941 წლებში 38-დან 41-მდე მერყეობდა. მათი ძირითადი ნაწილი სოფელი ბურმასიგში ცხოვრობდა, თუმცა, თითქმის ნახევარი მეზობელი სოფლებიდან ცოცოლთაიდან და კარატკაუდან დადიოდნენ (მაგ.1939-1940 სასწავლო წელს სოფელი ცოცოლთაიდან - 12, ხოლო სოფელი კარატკაუდან - 10 მოსწავლე სწავლობდა).¹

სოფელ **უხათის** ოსურენოვანი დაწყებითი სკოლა გაიხსნა 1935 წელს. სკოლის მასწავლებელი იყო ფენია აბაევა (დაამთავრა ბორჯომის პედაგოგიური სასწავლებელი), ხოლო დირექტორი ე. კობლოვა. სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა 10-დან 20 მოსწავლემდე მერყეობდა (1938-1941 წლები).²

თრუსოს სასოფლო საბჭოს სოფელ **აბანოს** ოსურენოვანი სკოლით სარგებლობდა სხვა სოფლებიც: კეტრისი, ზაკაგორი, ზემო დესი, ქვემო დესი, სუატისი, ბურმასიგი, კარატკაუ, გიმარა³. სკოლის შენობა აიგო 1916 წელს. ფუნქციონირებდა 1936 წლიდან. 1940-1941 წწ. სკოლაში სწავლობდა 109 მოსწავლე. მათი უმეტესობა სოფელ აბანოს მკვიდრი იყო (63 მოსწავლე). საინტერესოა სხვა სოფლებიდან მოსული მოსწავლეების საერთო სტატისტიკაც: სოფელი კეტრისი - 5 მოსწავლე, სოფელი ზაკაგორი - 6 მოსწავლე, სოფელი ზემო დესი - 7 მოსწავლე, სოფელი ქვემო დესი - 5 მოსწავლე, სოფელი სუატისი - 7 მოსწავლე, სოფელი ბურმასიგი - 6 მოსწავლე, სოფელი კარატკაუ - 4 მოსწავლე, სოფელი გიმარა - 5 მოსწავლე.

სკოლის დირექტორი იყო ვლადიმერ ცაბოლოვი, რომელსაც ჰქონდა პედაგოგიური განათლება და მასწავლებლობის 10 წლიანი სტაჟი. აბანოს სკოლაში მუშაობდა 1937 წლიდან და V-VI-VII კლასებში ასწავლიდა რუსულ ენას. ცაბოლოვი იყო კომუნისტური პარტიის წევრი.

სკოლაში მუშაობდა ხუთი მასწავლებელი:

1. ვლადიმერ ტუაევი, განათლება - პედაგოგიური ინსტიტუტი, პარტიული - კ.პ.(ბ) წ. 10 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება, აბანოს სკოლაში მუშაობდა 1938 წლიდან, V-VI-VII კლასებში ასწავლიდა ფიზიკა-მათემატიკას.

¹ ფონდი 300, ანაწერი 13, დოკუმენტი# 3645.

² ფონდი 300, ანაწერი 13, დოკუმენტი# 3661.

³ ფონდი 300, ანაწერი 13, დოკუმენტი# 3669.

2. აბრამ ცაბოლოვი, განათლება - სასულიერო სემინარია, პედაგოგი, უპარტიო. 19 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება, აბანოს სკოლაში მუშაობდა 1934 წლიდან, III-V-VII კლასებში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას.

3. სიმონ კოკაევი, განათლება - სასულიერო სემინარია, პედაგოგი, უპარტიო. 6 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება, აბანოს სკოლაში მუშაობდა 1940 წლიდან, V-VII კლასებში ასწავლიდა მშობლიურ (ოსურ) ენასა და ბუნებას.

4. ეთერი ცაბოლოვა, განათლება - ბორჯომის პედაგოგიური სასწავლებელი, პედაგოგი, პარტიული/კომკავშირელი. აბანოს სკოლაში მუშაობდა 1939 წლიდან, III-VII კლასებში ასწავლიდა ბუნებას.

5. სონია ცაბოლოვა, განათლება - პედაგოგიური სასწავლებელი, პედაგოგი, პარტიული - კ.პ.(ბ) წ. 8 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება, აბანოს სკოლაში მუშაობდა 1939 წლიდან, II-V-VII კლასებში ასწავლიდა გეოგრაფიას.

თრუსოს სასოფლო საბჭოს სოფელ **დესის** ოსური დაწყებითი სკოლა ფუნქციონირებდა 1930 წლიდან¹. უფრო ადრე, XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან კობში გახსნილი იყო სამრევლო და კერძო სასწავლებლები. 1854 წლის „კავკასიურ კალენდარში“ ვკითხულობთ: 1840-1841 1840-1841 სასწავლო წლისთვის აქ ფიქსირდებოდა 35 მოსწავლე. სკოლის დირექტორი (გამგე) - ალექსანდრე მირიქოვი, რომლის განათლება მხოლოდ დაწყებით საფეხურს მოიცავდა (კობის დაწყებითი სკოლა), იყო კომუნისტური პარტიის წევრი. სკოლაში მუშაობდა ერთი მასწავლებელი - ანა კეტოევა, რომელსაც კობის საშუალო სკოლა ჰქონდა დასრულებული და იყო უპარტიო.

ოსურენოვანი საშუალო სკოლა იყო სოფელ **კობში**, რომლითაც სარგებლობდა სხვა სოფლების მოსწავლეებიც (უხათი, ოქროყანა, აბანო, სუატიისი, კარატკაუ, სოკურტკაუ, განისი, კაგაკაუ², კეტრისი, გიმარა)³. სკოლის ქვის შენობა აიგო 1930 წელს, კობის „სტანციის“ შენობის მოპირდაპირე მხარეს. დოკუმენტის მიხედვით, შენობას ეკავა საკმაოდ დიდი ფართობი - 6265 მ³. სკოლა გაიხსნა 1933 წელს. 1940-1941 წწ. აქ 173 მოსწავლე ირიცხებოდა. მოსწავლეები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ასე ნაწილდებოდა: სოფელი კობი - 10 მოსწავლე, სოფელი უხათი - 10 მოსწავლე, სოფელი კაგაკაუ - 3 მოსწავლე, სოფელი ოქროყანა - 5 მოსწავლე, სოფელი აბანო - 5 მოსწავლე, სოფელი სუატიისი - 3 მოსწავლე, სოფელი კარატკაუ - 2 მოსწავლე, სოფელი სოკურტკაუ - 5 მოსწავლე, სოფელი განისი - 5 მოსწავლე, სოფელი კეტრისი - 5 მოსწავლე და სოფელი გიმარა - 5 მოსწავლე.

სკოლის დირექტორი (გამგე) იყო ესტატე შავლახოვი, უმაღლესი განათლებით, ისტორიკოსი, პარტიული და ათწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით. V, VII, VIII და X კლასებში ასწავლიდა ისტორიას, კონსტიტუციას, ფიზიკას, გერმანულს და გეოგრაფიას. სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა სერგო აღნიაშვილი, უმაღლესი პედაგოგიური განათლებით (დასრულებული ჰქონდა პედაგოგიური ინსტიტუტი), უპარტიო, 17 წლიანი პედაგოგიური გამოცდილებით. ის კობის სკოლაში 1940 წლიდან მუშაობდა და V-X კლასებში ასწავლიდა ქართულ ენას, ფიზიკას და მათემატიკას.

საარქივო მასალების მიხედვით **კობის** სკოლაში მუშაობდა 14 მასწავლებელი:

¹ ფონდი 300, ანაწერი 13, დოკუმენტი# 3650.

² სოფლები: სოკურტკაუ, განისი, კაგაკაუ ჩვენს მიერ მოძიებულ დოკუმენტებში თრუსოში არ ფიქსირდება. სოფელი განისი, რომელიც ალევის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობდა, დღეისათვის ნასოფლარს წარმოადგენს.

³ ფონდი 300, ანაწერი 13, დოკუმენტი# 3675.

1. ალექსანდრე მისოსტოვი, განათლება - სასულიერო სასწავლებელი, პედაგოგი, უპარტიო, 24 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება, კობის სკოლაში მუშაობდა 1934 წლიდან, ასწავლიდა V-X კლასებში ოსურ ენას და რუსულს.
 2. მარი აბაევა, განათლება - პედაგოგიური სასწავლებელი, პედაგოგი, პარტიული (კ.პ.(ბ)). 15 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება, კობის სკოლაში მუშაობდა 1935 წლიდან, II-III კლასის მასწავლებელი.
 3. გრიგოლი კოკაევი, განათლება - პედაგოგიური სასწავლებელი, პედაგოგი, პარტიული (კ.პ.(ბ)), 7 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება, კობის სკოლაში მუშაობდა 1937 წლიდან, III კლასის მასწავლებელი.
 4. ხარიტონ ელოევი, განათლება - პედაგოგიური ინსტიტუტი, პედაგოგი, პარტიული/კომკავშირელი, 5 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება, კობის სკოლაში მუშაობდა 1940 წლიდან, VI-X კლასებში ასწავლიდა ფიზიკას და მათემატიკას.
 5. ხაზბი კუბალოვი, განათლება - პედაგოგიური ინსტიტუტი, პედაგოგი, უპარტიო, 2 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება, კობის სკოლაში მუშაობდა 1940 წლიდან, V-X კლასებში ასწავლიდა ოსურ ენას და ქიმიას.
 6. ვერა სამაევა, განათლება - პედაგოგიური ინსტიტუტი, ბიოლოგი, პარტიული/კომკავშირელი. კობის სკოლაში მუშაობდა 1939 წლიდან, V-X კლასებში ასწავლიდა ბუნებას.
 7. თენგიზ წიქორიძე, განათლება - 2 წლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი, ლიტერატორი, 1940 წლიდან II-X კლასებში ასწავლიდა ქართულს.
 8. ჩერმენი ძახოვი, განათლება - პედაგოგიური სასწავლებელი, პედაგოგი, პარტიული/კომკავშირელი. კობის სკოლაში მუშაობდა 1940 წლიდან, V-X კლასებში ასწავლიდა ფიზ.კულტურას და სამხედროს.
 9. ალექსანდრე მიროსაშვილი, განათლება - თბილისის სასულიერო სემინარია, პედაგოგი, უპარტიო, 25 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება, კობის სკოლაში მუშაობდა 1934 წლიდან, ასწავლიდა V-IX კლასებში ოსურ ენას.
 10. ხაზბი ღუნაევი, განათლება - პედაგოგიური ინსტიტუტი, პარტიული/კომკავშირელი. კობის სკოლაში მუშაობდა 1939 წლიდან, V-IX კლასებში ასწავლიდა გეოგრაფიას.
 11. ვლადიმერ ქაჯაია, განათლება - თბილისის 2 წლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი, სპეციალობა - ქართული ლიტერატურა, პარტიული. კობის სკოლაში მუშაობდა 1939 წლიდან, V-IX კლასებში ასწავლიდა ქართულს, VIII-IX კლასებში ასწავლიდა გეოგრაფიას, V-VII კლასებში ასწავლიდა ფიზიკას.
 12. ვალენტინა კარაევა, განათლება - პედაგოგიური სასწავლებელი, პარტიული/კომკავშირელი. 3 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება, IV კლასის მასწავლებელი.
 13. მარია აბაევა, განათლება - სასულიერო სემინარია და პედაგოგიური სასწავლებელი, პარტიული. 14 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება, კობის სკოლაში მუშაობდა 1925 წლიდან, III, V და VI კლასებში ასწავლიდა ოსურ ენას.
 14. ისიდორე კალაკოვი, განათლება - თბილისის პედაგოგიური სასწავლებელი, პედაგოგი, კობის სკოლაში მუშაობდა 1939 წლიდან, VI-VII კლასებში ასწავლიდა მათემატიკას და ოსურ ენას.
- თრუსოს სასოფლო საბჭოს სოფელ **გიმარას** ოსური დაწყებითი სკოლის შენობა აშენდა 1910 წელს, ხოლო ფუნქციონირებდა 1929 წლიდან. მოსწავლეთა რაოდენობა: 1938-1939 წწ. - 31 მოსწავლე, 1939-1940 წწ. - 29 მოსწავლე, 1940-1941 წწ. - 30 მოსწავლე.

სკოლის დირექტორი (გამგე) იყო სერგო ძანტიევი, განათლება - ათწლედ, სამუშაო გამოცდილება 3 წელი, სოფელ დესის სკოლაში მუშაობდა 1938 წლიდან, პარტიული. ასწავლიდა III-IV კლასს. სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა მახარბეგ ტუაევი. განათლება - საშუალო სკოლა, პარტიული. გიმარის სკოლაში მუშაობდა 1940 წლიდან, ასწავლიდა I -II კლასებს¹.

თრუსოს სასოფლო საბჭოს სოფელ **რესის** ოსური დაწყებითი სკოლა ფუნქციონირებდა-1929 წლიდან. მოსწავლეთა რაოდენობა: 1938-1939 წწ. - 27 მოსწავლე, 1939-1940 წწ. - 23 მოსწავლე, 1940-1941 წწ. - 28 მოსწავლე.

სკოლის დირექტორი (გამგე) იყო ვასილ კოკაევი. განათლება - პედაგოგიური სასწავლებელი, პედაგოგი, სამუშაო გამოცდილება 6 წელი, სოფელ რესის სკოლაში მუშაობდა 1940 წლიდან, პარტიული. ასწავლიდა III კლასს. მასწავლებელი - მარია სამაევა, განათლება - ათწლედ, უპარტიო, რესის სკოლაში მუშაობდა 1940 წლიდან, ასწავლიდა I კლასს².

კობის სასოფლო საბჭოს სოფელ **ოქროყანის** ოსური დაწყებითი სკოლით სარგებლობდნენ სხვა სოფლებიც: სოფელი მნა, ზემო ოქროყანა, ქვემო ოქროყანა, შავარდენი, აგატკაუ, ნოგატკაუ. სკოლა ფუნქციონირებდა - 1924 წლიდან³. მოსწავლეთა რაოდენობა 1940-1941 წლებში შეადგენდა 56-ს. მათ შორის: სოფელ მნადან - 3 მოსწავლე, სოფელ ზემო ოქროყანიდან -16 მოსწავლე, სოფელ ქვემო ოქროყანიდან - 17 მოსწავლე, სოფელ შევარდენიდან - 3 მოსწავლე, სოფელ აგატკაუდან - 10 მოსწავლე, სოფელ ნოგატკაუდან -7 მოსწავლე.

სკოლის დირექტორი (გამგე) იყო ვასილ ბიდიხოვი. განათლება - პედაგოგიური სასწავლებელი, სამუშაო გამოცდილება 10 წელი, სოფელ ოქროყანის სკოლაში მუშაობდა 1938 წლიდან, უპარტიო, ასწავლიდა II კლასს. ამ სკოლაში მუშაობდნენ მასწავლებლები:

1. თამარა სალბიევა, განათლება - პედაგოგიური სასწავლებელი, პედაგოგი, პარტიული. პედაგოგიური გამოცდილება 4 წელი, ასწავლიდა III კლასს.
2. რაისა აბაევა, განათლება - პედაგოგიური სასწავლებელი, პედაგოგი, პარტიული. სოფელ ოქროყანის სკოლაში მუშაობდა 1940 წლიდან, ასწავლიდა I კლასს.
3. ნიკიფორე კარაევა, განათლება - პედაგოგიური სასწავლებელი, პედაგოგი, უპარტიო, სოფელ ოქროყანის სკოლაში მუშაობდა 1940 წლიდან, სამუშაო გამოცდილება 11 წელი, ასწავლიდა IV კლასს.

თრუსოს სასოფლო საბჭოს სოფელ **კეტრისის** დაწყებითი სკოლა ფუნქციონირებდა 1924 წლიდან (შენობა აიგო 1914 წელს). მოსწავლეთა რაოდენობა 1938-1941 წლებში მერყეობდა 26-დან - 40 მოსწავლემდე. აღნიშნულ წლებში სკოლის დირექტორი (გამგე) იყო დავით კოკაევი. განათლება - თბილისის პედაგოგიური სასწავლებელი, პედაგოგი, სამუშაო გამოცდილება 8 წელი, სოფელ კეტრისის სკოლაში მუშაობდა 1940 წლიდან, პარტიული. ასწავლიდა IV კლასს. მასწავლებლად მუშაობდა ევგენია კეტოევა, განათლება - თბილისის პედაგოგიური სასწავლებელი. სამუშაო გამოცდილება 8 წელი, ასწავლიდა I -III კლასებს⁴.

¹ ფონდი 300, ანაწერი 13, დოკუმენტი# 3648.

² ფონდი 300, ანაწერი 13, დოკუმენტი# 3656.

³ ფონდი 300, ანაწერი 13, დოკუმენტი# 3655.

⁴ ფონდი 300, ანაწერი 13, დოკუმენტი# 3653.

შესწავლილი დოკუმენტებიდან იკვეთება, რომ თრუსოში არსებობდა ძირითადად, ოსურენოვანი სკოლები, რომელთა უმეტესობა დაწყებითი განათლების კერებს წარმოადგენდა. მასწავლებელთა უმრავლესობას ჰქონდა შესაბამისი პროფესიული/პედაგოგიური განათლება, პედაგოგთა შორის არიან ქართველები და სკოლებში ისწავლება ქართული ენა. თუმცა, კადრის დეფიციტის პირობებში, პედაგოგთა ნაწილი რამდენიმე საგანს ასწავლიდა. სკოლების უმეტესობა მოზრდილ სოფლებში - ე.წ. სათემო ცენტრებში არსდებოდა და მეზობელი სოფლების მოსწავლეებსაც ემსახურებოდა. ამრიგად, XX საუკუნის 30-იანი წლებიდან სკოლათა ქსელი თითქმის სრულად ფარავდა ხეობის არეალს და მეტწილად უზრუნველყოფდა ქართულ და ოსურ ენებზე მოსწავლეთა განათლების ელემენტარულ (დაწყებით) დონეს.

თავი VIII. თრუსოს თავდაცვითი და საცხოვრებელი ნაგებობანი

თრუსო ხევთან (ყაზბეგი) ერთად, უძველესი დროიდან საქართველოსთვის ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელ მთავარ საგზაო მაგისტრალს და თავდაცვით ზღუდეს წარმოადგენდა. ამ გზის შესახებ პირველ ცნობას ვხვდებით ბერძენი მწერლისა და გეოგრაფის სტრაბონის (ძვ. წ. აღ 64 ახ. წ. აღ 25 წწ.) ცნობებში.¹

საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული თრუსო, რომ მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ კუთხეს წარმოადგენდა, ამაზე მეტყველებს ამ რეგიონში დღემდე მრავლად შემორჩენილი ქართული ტრადიციული სამშენებლო კულტურისთვის დამახასიათებელი საფორტიფიკაციო და თავდაცვით-საცხოვრებელი ნაგებობები.

მდინარე თერგის ხეობის ქვემო წელზე და კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარე საქართველოს სახელმწიფოს საზღვრის გამაგრებას ქართველი მეფეები, რომ დიდ ყურადღებას უთმობდნენ, ამის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის ძველი ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი, მისი ცნობით V საუკუნეში საქართველოს მეფემ ვახტანგ გორგასალმა დარიალში (მდინარე თერგის ხეობა) ააშენა ციხე-სიმაგრეები და მათ მცველად ადგილობრივი ქართველი მთიელები დაადგინა, სადაც გავლა მეფის ნებართვის გარეშე ჩრდილო კავკასიაში მოსახლე უცხო ტომელებს არ შეეძლოთ.²

გარდა მდინარე თერგის ქვემო ნაწილისა, ქართველი ისტორიკოსის და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, საქართველოს მეფეებს, თერგის სათავის (თრუსო) ჩრდილოეთით მდებარე თანამედროვე ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე, კერძოდ კი არდონის ხეობის ყველაზე ვიწრო ადგილი კასრის ხეობაც (ისტორიული დვალეთი) ციხე-სიმაგრეებით ჰქონიათ გამაგრებული, რათა ჩრდილო კავკასიაში მოსულ ოსებს საქართველოს ტერიტორიაზე არ შემოედწიათ.³

კასრის კარს გვიან შუა საუკუნეებშიც ქართლის სამეფოს ჩრდილო საზღვრის ფუნქცია ეკისრებოდა. კასრის ხევს ოსები „კასარას“ ეძახიან, რაც ოსურ ენაზე კარიბჭეს ნიშნავს. ოსი მეცნიერის ვ. აბაევის აზრით აღნიშნული ტერმინი ქართულიდან, კერძოდ კი რაჭული სიტყვა - „ქარსელიდან“ უნდა მომდინარეობდეს. ვ. აბაევის ამ მოსაზრებას არ ეთანხმება გ. ჩიქოვანი და ამბობს, რომ: რაჭაში ანალოგიურ ხეობის ჩამკეტ ვიწრო ადგილებს კარი ეწოდება (და არა ქარსელი). გ. ჩიქოვანი, ი აბულაძის მიერ გამოცემული ძველი ქართული ენის ლექსიკონზე დაყრდნობით გამოთქვამს მოსაზრებას, რომ აღნიშნული ტოპონიმი სიტყვა კასრიდან უნდა მომდინარეობდეს. ძველ ქართულში ტერმინით კასრი აღინიშნებოდა ციხე კოშკი.⁴

¹ თინათინ ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, წიგნი XI, თავი III, თბილისი, 1957, გვ. 129.

² ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 156.

³ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, გვ. 644-645.

⁴ გულდამ ჩიქოვანი, თრუსოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 2, თბილისი, 1985, გვ. 111.

წარმოდგენილი ცნობების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ საქართველოს სამეფო ხელისუფლება, თერგის ხეობის და მის ჩრდილოეთით მდებარე კუთვნილი ტერიტორიების გამაგრებას დიდ ყურადღებას უთმობდა, როგორც უკვე ვთქვით მდინარე თერგის სათავეს შემკრები ხევების გეოგრაფიული არეალი იგივე თრუსო საკმაოდ მდიდარია ძველი ქართული არქიტექტურული ძეგლებით. ჩვენდა სამწუხაროდ, დღევანდელ დღეს, მიზანმიმართული პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ისტორიული ქუჩმარიტების სრული გაყალბებით, ოსი მეცნიერების მხრიდან ადგილი აქვს თრუსოს მკვიდრი ქართული მოსახლეობის ეთნოისტორიის გაყალბებას და ამ ტერიტორიაზე არსებული ქართული მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ოსური კულტურისადმი მიკუთვნების ტენდენციურ მცდელობას.

თრუსოში არსებული მრავალრიცხოვანი არქიტექტურული ძეგლებიდან, ზურგიანი კოშკები თავიანთი არქიტექტურული გეგმარებით და წარმომავლობის ისტორიით ძალზედ საინტერესოა არიან, რომელთა მდუმარებაშიც გაისმის ისტორიული ქუჩმარიტების ძახილი.

ამ ტიპის კოშკებს ვხვდებით არა მთელ საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მხოლოდ ისტორიულ შიდა ქართლში (თრუსო შიდა ქართლის მთიანეთში მდებარეობს). აქაა მისი წარმოშობისა და გავრცელების არე. ყველაზე მეტია არაგვის ხეობაში, შემდეგ მოდის ქსნის ხეობა, თერგის ხეობა, რეხულა, მეჯუდა და პატარა ლიახვის ხეობები.¹

ხელოვნებათმცოდნე პარმენ ზაქარაია საქართველოში ზურგიანი კოშკის წარმოშობის დროდ V-VI საუკუნეებს მიიჩნევს. მისი კვლევის თანახმად, საქართველოში ზურგიანი კოშკები ძირითადად X საუკუნის ბოლომდე იგებოდა, თუმცა გვიანფეოდალურ ხანაშიც აგებდნენ, მაგრამ იშვიათად. XVII საუკუნის პირველი ნახევრის შემდეგ ამ სტილის კოშკები საერთოდ აღარ გვხვდება.²

ჯონდო გვასალიას კვლევის თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოს ხეობების - არაგვის, ქსნის, ლეხურას, მეჯუდას, ლიახვის და თერგის სათავეების საფორტიფიკაციო ნაგებობათა შესწავლა მოწმობს, რომ ისინი წარმოდგენენ ერთიან თავდაცვით სისტემას. ამ ნაგებობათა აუცილებელ ელემენტს შეადგენს ზურგიანი კოშკი. მისი გავრცელების არეალი შეზღუდულია. ჩრდილოეთით ზურგიანი კოშკის გავრცელების უკიდურესი ზღვარია სოფ. გერგეტი. საქართველოს გარდა კავკასიის არც ერთ ხალხში არ გვხვდება ამ ტიპის ნაგებობანი.³

ჯ. გვასალია ასევე განმარტავს, რომ: „ვაკვირდებოდით რა არაგვის, ქსნის, ლეხურის, მეჯუდის, ლიახვისა და თერგის ხეობათა საფორტიფიკაციო ნაგებობებს, მივედი დასკვნამდე, რომ ისინი წარმოდგენდნენ ერთიან თავდაცვით სისტემას, რომელიც შექმნილი იყო ადრეფეოდალურ ხანაში. ამ ნაგებობათა აუცილებელ ელემენტს შეადგენდა

¹ პარმენ ზაქარაია, სიმაგრეთა ერთი უცნობი სახე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIII –B, თბილისი, 1962, გვ. 49.

² პარმენ ზაქარაია, იქვე. გვ. 82.

³ ჯონდო გვასალია, არაგვის კარი (დარიალანი), ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბილისი, 1976, გვ. 147.

ზურგიანი ანუ ქართული კოშკი. ეს თავდაცვითი სისტემა გამოიყენებოდა როგორც არაბების, ასევე ჩრდილოეთის ტომთა წინააღმდეგ¹.

2021 წლის სექტემბერში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, თრუსოში განხორციელებული საველე-სამეცნიერო ექსპედიციების დროს მნაში დავაფიქსირეთ ორი ზურგიანი კოშკი. მნისწყალი მდინარე თერგს მარცხნიდან ერთვის. ორივე ზურგიანი კოშკი მნისწყლის მარცხენა ნაპირას მდებარეობს. მნისწყლის თერგთან შერთვის ადგილიდან პირველ კოშკს ჩვენ პირობითად პირველ კოშკს ვუწოდებთ, ხოლო მის ზემოთ მდებარე კოშკს - მეორეს.

ორივე ზურგიანი კოშკი ნაგებია საკმაოდ დიდი ლოდებით. ორივე ძლიერ არის დაზიანებული. ჩამოქცეული აქვთ ზედა სართულები. პირველი ზურგიანი კოშკი სწორი კედლით მნისწყლისკენ არის მიმართული, მისი დარჩენილი ქვედა ნაწილი მთლიანად ამოვსებულია, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ქვედა დარჩენილი ნაწილი თავიდანვე ყრუ იყო და მის მაღლა იწყებოდა სართულები, რომლებიც მთლიანად დანგრეულია. აღნიშნული კოშკის სწორი კედლის სიგრძე შეადგენს 5. 80 სმ; გვერდების სიგრძე საშუალოდ 8 მეტრს; ზურგის საწყისი გვერდითი კედლებს შორის მანძილი 4. 70 სმ; ზურგის გარე რკალის მთლიანი გარშემოწერილობა არის 6. 40 სმ; ზურგის საწყისი კედლების სწორ ხაზსა და ზურგის ცენტრს შორის მანძილია 1. 90 სმ; ზურგის სიმაღლე მიწიდან 1. 30 სმ; წინა ბრტყელი კედლის სიმაღლე 5. 30 სმ; სამხრეთი გვერდითი კედლის სიმაღლე 4. 75 სმ, ხოლო ჩრდილოეთით მდებარე გვერდითი კედლის სიმაღლე 3. 75 სმ.

კოშკს ზურგის მხარეს მიწაში ჩასობილი უზარმაზარი ქვების ცალკეული წყება გასდევს. არ გამოვრიცხავთ, რომ მიწაში ჩასმულ ლოდებს თავისდროზე საკულტო-რელიგიური დანიშნულება გააჩნდა, მსგავსად ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში სინკრეტული სალოცავებთან არსებული საკულტო ქვებისა, რომლებთანაც, დღესაც ადგილობრივი მცხოვრებლნი ხალხურ-ქრისტიანულ რელიგიურ რიტუალებს ატარებენ.

როგორც უკვე ვთქვით, მეორე კოშკიც მნისწყლის მარცხენა ნაპირას მდებარეობს. იგი აგებულია შემადლებულ, კონუსურ შვერილზე. მას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან პატარა ხევი ჩამოუდის. მოგვიანებით მის გვერდით ბაზილიკური სტილის ეკლესია აუგიათ. კოშკი ნაგებია საკმაოდ დიდი ზომის უხეშად დამუშავებული ლოდებით. შემორჩენილი სწორი კედლის მესამედი თითქმის მიწისპირამდე ჩაშლილია. პარამეტრები: სწორი კედლის სიგრძე 5. 60 სმ; გვერდითი კედლების სიგრძე 6. 10 სმ; კედლების სიგანე საშუალოდ 1.80 სმ; ზურგისკენ მიმართული გვერდითი სწორი კედლების დაბოლოვებებს შორის მანძილი 4. 50 სმ; კედლების დაბოლოვებების ხაზიდან ზურგი გაწეულია 1. 90 სმ.

კოშკი საკმაოდ დაზიანებულია, მაგრამ დღემდე შემორჩენილი ზურგიან კოშკებს შორის, თავისი არქიტექტურული მახასიათებლებით უნიკალურია. მისი უნიკალურობა მდგომარეობს მისი განსაკუთრებული შიგთავსით. ამ კოშკის შემორჩენილი ქვედა ნაწილი ყრუ არ არის, ანუ მას შუაგულში დატანებული აქვს კვადრატული ფორმის სივარდი (ზომები: 1. 12 სმ). კოშკის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან მიწის ჩანგრევის შედეგად გამოჩენილია კოშკის კედელში შემავალი ძალიან ვიწრო კვადრატული ფორმის ღერეფანი,

¹ ჯონდო გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), სქოლიო, თბილისი, 1983, გვ. 60.

რომელიც უერთდება კოშკის შუაში არსებულ ვერტიკალურ სივარსულს. თავის მხრივ, ძნელად, მაგრამ, ჩაქცეულ მიწაში მაინც შეიმჩნევა მიწის სიღრმეში ჰორიზონტალურად მიმავალი სივარსულე, რომლითაც კოშკი შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო მის სიახლოვეს არსებულ დანგრეულ ნაგებობებთან და ასევე პატარა ხევთან, რომელიც მნის წყალს მარცხნიდან ერთვის.

მიწა რომ არ ჩანგრეულიყო, კოშკის გვერდით კედელში შემავალი ღერეფანი არ გამოჩნდებოდა და დროთა განმავლობაში მის შუაში არსებული ვერტიკალური სივარსულეც ქვა-ღორღით ამოივსებოდა და ჩვენ ან სხვა მკვლევარიც ამ კოშკის შემორჩენილ ქვედა ნაწილსაც ყრუდ მიიჩნევდა. აქედან გამომდინარე, კოშკის შემორჩენილი ნაწილი მართლაც რომ უნიკალურია, მისი საშუალებით, მეტ-ნაკლები სიზუსტით, გვეძლევა ადრეული პერიოდის ზურგიანი კოშკების არქიტექტურული მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია.

ჩვენ მიერ აღწერილ ზურგიან კოშკებს, ხადას ხეობის (მთიულეთი) სოფლების მიდელაურებისა და როსტიანთ ზურგიან კოშკებთან თუ შევადარებთ აშკარად დავინახავთ მათ შორის იდენტურობას, მაგალითად: გარე პროპორციებში, ქვის დამუშავების ტექნიკაში და ზომებში, რაც თავის მხრივ მიგვანიშნებს იმის შესახებ, რომ ადრეფეოდალურ ხანაში, საქართველოს მთიანეთში ზურგიანი კოშკების აგების ერთნაირი ქართული არქიტექტურული ტრადიციები არსებობდა.

ხადას ხეობა ზურგიანი კოშკების სიმრავლით გამორჩეულია. მაგრამ, ჩვენს მიერ ნახსენები სოფ. მიდელაურებისა და როსტიანთ ზურგიანი კოშკები დანარჩენი კოშკებისგან განსხვავებულია. ამ ორი სოფლის ზურგიანი კოშკები მხოლოდ ქვედა ყრუ ნაწილით არიან შემორჩენილნი, მათ არც შიგნით შესასვლელი გააჩნიათ და შუაგულიც მასიური აქვთ. აღნიშნული კოშკები არქიტექტურული თვალსაზრისით უფრო მეტ მსგავსებას მნის პირველ ზურგიან კოშკთან ავლენენ. ჩვენი დაკვირვებისა და ვარაუდის მიხედვით, ხადას ხეობის ეს ორი ზურგიანი კოშკი დანარჩენებთან შედარებით უფრო არქაულია, მათ არქაულობაზე მეტყველებს კედლების მასიური სისქე და სხვებისგან განსხვავებით შედარებით დიდი და უხეშად დამუშავებული ქვები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნის ორივე ზურგიანი კოშკი თავიანთი პროპორციებით და არქიტექტურული ნიშნებით დიდ სიახლოვეს იჩენენ მიდელაურებისა და როსტიანის კოშკებთან. მნის მეორე კოშკის სტრუქტურის გათვალისწინებით არ გამოვრიცხავთ, რომ პირველ კოშკსაც და ხადას სოფლების მიდელაურებისა და როსტიანის კოშკებსაც თავის დროზე მიწისქვეშა კომუნიკაციის სისტემები ჰქონოდათ, რაც თავის მხრივ ამ საკითხის გარკვევა არქეოლოგიური ჩარევის გარეშე შეუძლებელია.

როგორც გულდამ ჩიქოვანი აღნიშნავს, რუსეთის ფედერაციაში შემავალი თანამედროვე ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმი „კასრის ხევი“ მომდინარეობს ძველი ქართული სიტყვა „კასრიდან“, რომლითაც თავის მხრივ, ძველ ქართულში ციხე-კოშკი აღინიშნებოდა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კასრის ხევში იგულისხმება ხევი, რომელიც ჯერ კიდევ ძვ. წ. პირველ ათასწლეულში საქართველოს სამეფო ხელისუფლებისგან ციხე-კოშკებით იყო გამაგრებული ანუ ძველ ქართულად კასრის ხევი ნიშნავს ციხე-კოშკების ხევს და ჩვენი ვარაუდით ამ კოშკებს კასრის მაგარი ზურგი უნდა ჰქონოდათ, რომლებიც დღევანდელ დღეს ზურგიანი კოშკების სახელით არიან ცნობილი. არც ის არის გამოსარიცხი, რომ ძვ. წ. საქართველოს მთიანეთში

გავრცელებული ყოფილიყო მრგვალი ფორმის კოშკები, რის გამოც, მათ სახელწოდებად კასრი დაუმკვიდრდათ. დროთა განმავლობაში კი, მაგალითად: ახ. წ. IV-V საუკუნეებიდან არქიტექტურული ფორმა უცვალეს და მივიღეთ ზურგიანი კოშკი, რომელშიც ძველმა არქიტექტურულმა ნიშანმა -სიმრგვალემ მხოლოდ ერთ კედელში პოვა ასახვა, დანარჩენი სამი გვერდი კი სწორ კედლად გარდაქმნეს, რაც ძირითადად X საუკუნის ბოლომდე შენარჩუნდა, ხოლო მეათე საუკუნის შემდეგ კი ახალი ოთხ სწორკედლიანი კოშკების აგება დაიწყო.

თრუსოში არსებული გეოგრაფიული და ისტორიულ-პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, თავისი არქიტექტურული და ურბანული დაგეგმარებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს, ასევე ციხე-სოფელი ზაქაგორი წარმოადგენს, რომელიც მდ. სუათისის თერგთან შეერთების მარცხნივ მდებარე ბორცვზე მდებარეობს.

ტოპონიმ ზაქაგორის ეტიმოლოგია ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალებით უკავშირდება ზაგაშვილების გვარს. მთიულეთის ხადას ხეობაში მცხოვრებ ზაქაიძეებსა და მოხვეე ზაგაშვილებს საერთო წარმომავლობა აქვთ. ზაქაიძეებიც და ზაგაშვილებიც მიუთითებენ, რომ ისინი წარმოშობით თრუსოდან არიან და მათი განაყრები, აგრეთვე სოფელ ოქროყანაში მოსახლე ზაგაკოვები (ამჟამად გაოსებულები) არიან. ზაგაშვილების განაყრები არიან დღეს ხევის სოფელ ყანობში მოსახლე კობიაშვილებიც, რომლებიც მამიშვილობის სახელზე მოდიან და ზაგაშვილებთან ერთად, მამა-პაპათა თავდაპირველ საცხოვრისში – სოფელ მნაში დადიოდნენ სალოცავად, სადაც ოსები, როგორც ამ სოფლის პირველმკვიდრთა და ადგილობრივ სალოცავთა ყმათ, დიდი პატივით ხვდებოდნენ. ზაქაიძეების-ზაგაშვილების-ზაგაელების გვარებს საფუძვლად უდევს მამაკაცის ძველი ქართული სახელი „ზაქა“. ასეთი სახელი ნახსენებია 1774 წლის სოფელ მნის აღწერაში: „ბაბუური ზაქის შვილი დაო და ბათი“.¹

ხელოვნებათმცოდნე, არქიტექტორები ზაქაგორის ციხე-სოფელში ზონირების მხრივ ხუთ უბანს გამოყოფენ. ნაგებობების უმრავლესობა მშრალი წყობით არის ნაგები, რომელთა კედლების სისქე 60-80 სმ-ს აღწევს. ალაგ-ალაგ დუღაბიცაა გამოყენებული და მეორე სართულის კედლებზე, ზოგან ბათქაშის კვლიც შეიმჩნევა. როგორც ჩანს, აქ კომპლექსის საცხოვრებელი სახლის პირველ სართულებს სამეურნეო დანიშნულებით ხმარობდნენ, ხოლო მეორე სართულს საცხოვრებლად იყენებდნენ. სართულსშუა გადახურვა, რომელიც არსად არ არის შემორჩენილი, როგორც კედლებში დარჩენილი საკოჭებიდან ჩანს, ხის მოზრდილ მორებს ეყრდნობოდა და სახურავიც ანალოგიურად მთის ამ რეგიონის საცხოვრებლებისა, ბანიანი იქნებოდა.²

კომპლექსის გამოკვეთილი ცენტრი მეორე, მესამე და მეხუთე უბნებს შორის მოქცეული მოედანია, რომლის დომინანტურ ნაგებობას კოშკური სახლი წარმოადგენს, ამ ადგილს საზოგადოებრივი თავშეყრის ფუნქცია უნდა ჰქონოდა. ზაქაგორის ანსამბლის ვერტიკალურ დომინანტს ორი სათავდაცვო კოშკი და კოშკურა სახლი შეადგენს. განსხვავებით საცხოვრებელი სახლებისა, ისინი შედარებით მოზრდილი ქვებით არის აშენებული.

¹ როლანდ თოფჩიშვილი, თრუსო-საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, თბილისი, 2019, გვ. 24-25.

² გიორგი ბაგრატიონი, ზაქაგორის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, ძეგლის მეგობარი, თბილისი, 1991, №1, გვ. 43-44.

განსაკუთრებით დიდი, გათლილი ქვებია გამოყენებული გარე კუთხეებში და კარების ღიობთა გარშემო.¹

თრუსოს მთავარი ციხე-სოფლის ზაქაგორის ძეგლი, თავისი იერით, არქიტექტურული გადაწყვეტით და მნიშვნელობით, შეიძლება ითქვას, რომ უნიკალურია საქართველოში. ამის განმსაზღვრელი კი მისი თითქმის პირვანდელი სახით შემორჩენილობაა.²

ზოგადად თრუსოსთვის, ძველი დროიდან, ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა რეგიონებისთვის, დამახასიათებელი იყო მთური ტიპის რამდენიმე განყოფილებიანი ნაგებობანი, რომლებიც შედგებოდა საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი განყოფილებებისგან.³

თრუსოში არსებული სოფლები ძირითადად კონცხებზე და მთის კალთებზეა განლაგებული. დასახლების ასეთ ფორმას განაპირობებდა მტრისაგან თავდაცვის საჭიროება, მთიდან დაქანებული ზვავებისა და ნიაღვრისაგან მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან აცილების აუცილებლობა და ადგილობრივი მეურნეობის ხასიათი. აქ არსებული ზოგიერთი სოფელი შეუვალ ციხე-სიმაგრედ წარმოგვიდგება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამგვარი სოფლის არქიტექტურაში ერთმანეთს ერწყმის თავდაცვითი და საცხოვრებელი კომპონენტები. თავდაცვის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით ზოგიერთი საცხოვრებელი მიშენებული იყო ციხე-კოშკზე, ისევე, როგორც ამის მაგალითები გვხვდება მოხევების ტრადიციულ საამშენებლო პრაქტიკაში.⁴

თავდაცვით-საცხოვრებელი სტილის ნაგებობებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ზაქაგორის სამსართულიანი სახლი, რომელიც მაღალ კოშკზეა მიდგმული და ნაგებობის ეს კომპლექსი ამ ციხე-სოფლის არქიტექტურული ანსამბლის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. აღნიშნული სამსართულიანი ნაგებობის პირველი სართული გამოიყენებოდა საქონლის სადგომად, ხოლო მეორე-მესამე სართულები საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულებით. სართულები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო ერდოებით, რაც ოჯახის უსაფრთხოებას კარგად უზრუნველყოფდა მტრიანობის შემთხვევაში. საბრძოლო-თავდაცვითი სამსართულიანი საცხოვრებელი სახლები, ასევე შემორჩენილია სოფელ ძველ ქეთრისში (ძლიერ დაზიანებულია) და სოფელ ქვემო ოქროყანაში, რომელიც აშენებულია ადგილობრივი ქვის მშრალი წყობით. კედლის გულში ჩაყრილია ყვითელი მიწა, ხოლო კედლის უკეთესად გადაბმის მიზნით სარტყლებად გამოყენებულია ლასტის ფენები. ლასტის ამ დანიშნულებით გამოყენება ხევის საფორთიფიკაციო ძეგლების კედელთა წყობაშიც დასტურდება.⁵

ქვემო ოქროყანის სამსართულიანი თავდაცვით-საცხოვრებელი სახლის სართულებიც ერთმანეთს ერდოების საშუალებით უკავშირდება. ყველა სართულზეა, როგორც სინათლის შემოსასვლელი და ბოლის გასასვლელი სარკმელები, ისე სათოფურები. კედლებში შემორჩენილია სართულთა გადახურვის ნაშთებიც – ხეების თავები და ხეების დასადებად

¹ გიორგი ბაგრატიონი, იქვე. გვ. 45.

² გიორგი ბაგრატიონი, იქვე. გვ. 48.

³ ვალერიან ითონიშვილი, საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, I, თბილისი, 1964, გვ. 124.

⁴ ვალერიან ითონიშვილი, იქვე. გვ. 121.

⁵ ვალერიან ითონიშვილი, საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, I, თბილისი, 1964, გვ. 121-122.

კედლებში დატანებული ბუდეები. ყველაზე მაღალია მესამე სართული, მაგრამ, სამაგიეროდ მეორე და პირველ სართულებთან შედარებით ნაკლები ფართობისაა.¹

გარდა თრუსოში არსებული ციხე-სახლებისა, აქ აგრეთვე გვხვდება მიწურბანიანი ორსართულიანი, მრავალგანყოფილებიანი საცხოვრებელი და იშვიათად ერთსართულიანი გვიანდელი საცხოვრებელი ნაგებობები. ერთსართულიან სახლებში თავდაცვის ელემენტები უკვე აღარ ფიგურირებს. XX საუკუნის შუა ხანებში, ვალერიან ითონიშვილს აღწერილი აქვს თრუსოში არსებული საცხოვრებელი სახლები. მაგალითად, სოფ. შავარდენში ერთ-ერთი სახლის აღწერილობა შემდეგი სახისაა: საცხოვრებელი სახლი ძირითადად აგებულია ადგილობრივი ქვის (ბასრი, კოხი, თლილი ქვა, ფიქალი) მშრალი წყობით. განსაკუთრებით დიდი ოსტატობით აქვს სახლს კედლის კუთხეები ამოყვანილი. სართულთა შორის გადახურვაში და ბანის საყრდენად გამოყენებულია ქვისა და ხის მასალა. ქვედა სართულის პირველი განყოფილება გამოიყენებოდა საცხენედ. საცხენე გვერდითი კარით დაკავშირებული იყო ბოსელთან. ბოსლის ფარგლებშივე გამოყოფილი იყო საცხვრეც. ეზოდან საცხენის ბანზე ასასვლელად გაკეთებული იყო ქვის კიბე. ბანიდან კი აღიოდნენ სახლის მეორე სართულზე. მეორე სართულზე და საერთოდ სახლის კომპლექსში მთავარ განყოფილებას წარმოადგენდა ოჯახის საცხოვრებლად განკუთვნილი დიდი ოთახი - სამყოფო.²

2021 წლის თრუსოს სამეცნიერო ექსპედიციის დროს ჩვენმა დაკვირვებებმა და წინა აღწერებთან შედარებამ გვიჩვენა, რომ აღნიშნული საცხოვრებელი ნაგებობები გაცილებით ცუდ მდგომარეობაში იყო.

თრუსოში არსებული არქიტექტურული ძეგლების შესწავლის შედეგად ნათელია, რომ ისინი აგებულნი არიან მთისთვის დამახასიათებელი ქართული სამშენებლო კულტურის ტრადიციების შესაბამისად და იმ დროინდელი პოლიტიკური და სოციალური ვითარების გათვალისწინებით. მაგალითად, თრუსოს ზურგიანი კოშკები არქიტექტურული მახასიათებლებით თითქმის იდენტურია ხადას ზურგიანი კოშკების. ხოლო ციხე-სოფელი ზაქაგორი ხუროთმოძღვრული ნიშნულებით, დანიშნულებითა და სხვადასხვა ეთნო-სოციალური ასპექტებით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, ხევსურეთში (მატილი, მუცო) და თუშეთში (დიკლო, დართლო) არსებულ შუა საუკუნეების ციხე-ქალაქების სამშენებლო კულტურის ხაზში.

რაც შეეხება თრუსოს საცხოვრებელ ნაგებობებს, როგორც ვალერიან ითონიშვილი აღნიშნავს, მოხუერი საცხოვრებლების მსგავსია, რაც იმით არის გამოწვეული, რომ აქ მოსულმა ოსურმა მოსახლეობამ შეითვისა და გამოიყენა სახლის ისეთი ფორმა, როგორიც მას ხევში მცხოვრებ მოსახლეობაში დახვდა. სავარაუდებელია ისიც, რომ სწორედ ასეთივე ფორმის ნაგებობანი ჰქონდათ ამ ხეობაში ადრე მცხოვრებ დვალეებს, რომელთა ასიმილაცია მოხდა ოსების იქ ჩასახლებითა და მათთან მწვავე დიპირისპირების შედეგად.³

¹ ვალერიან ითონიშვილი, იქვე. გვ. 122.

² ვალერიან ითონიშვილი, იქვე. გვ. 114-117.

³ ვალერიან ითონიშვილი, საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, I, თბილისი, 1964, გვ. 132.

თავი IX. თრუსოს წერილობითი კულტურა და მოსახლეობის კულტურული იდენტობები

იდენტობის ცნობილი მკვლევარი ენტონი დევიდ სმითი ეთნიკურ და ნაციონალურ იდენტობებს კულტურული იდენტობის მოდელად მიიჩნევს¹. თავის მხრივ, კულტურული იდენტობა ეთნიკური და ნაციონალური იდენტობის საფუძველია. ამა თუ იმ ერის, ხალხის, მოსახლეობის კულტურული ფასეულობები არის ტრადიციები, სიმბოლოები, კულტურის ძეგლები, ფოლკლორი, მითები, ლეგენდები და ა.შ., რომლებშიც ასახულია მოცემული საზოგადოების კოლექტიური ისტორიული მეხსიერება. კულტურულ ფასეულობათა მრავალფეროვნებაში, წამყვან ადგილს იკავებს წერილობითი კულტურა, რომლითაც გამოხატულია ერის წამყვანი მისწრაფებანი.

თრუსოს და მნის ხეობაში შემორჩენილი წერილობითი კულტურა ამ მხარის მოსახლეობის კულტურულ იდენტობათა თვალსაჩინო გამოხატულებაა. მათი ერთად თავმოყრა, კომპლექსური კვლევა და კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით შესწავლა ბოლო დრომდე არ განხორციელებულა. მიუხედავად იმისა, რომ თრუსო საკმაოდ აქტიურად არის წარმოდგენილი ქართულ ისტორიულ ნარატივში, ძველ და XIX-XX საუკუნეების ისტორიულ დოკუმენტებში, ფოლკლორსა და სხვა სახის წერილობით მასალაში, რეგიონი რატომღაც ქართველი პალეოგრაფებისა და ეპიგრაფიკის მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა.

თრუსოს ეპიგრაფიკამ პირველად ყურადღება 1957 წელს მიიქცია, როდესაც მდინარეების თერგისა და სუათისის შეერთების ადგილას აღმოჩნდა სტელა, რომელიც ისტორიოგრაფიაში „თრუსოს სტელის“ სახელითაა ცნობილი. სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო, საქართველოში აღმოჩენილი სტელა რუსეთში, ჩრდილოეთ ოსეთის ა/რ-ის დედაქალაქ ორჯონიკიძეში (ახლა ვლადიკავკაზი) გადაუტანიათ და დღეს ვლადიკავკაზის სახელმწიფო მუზეუმში გამოფენაზეა წარმოდგენილი. თრუსოს სტელას 1960 წელს ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა რუსმა ლინგვისტმა გიორგი ტურჩანინოვმა, რომელმაც ძველი სირიულ-ნესტორიანული ანბანით დაწერილ ოსურ ტექსტად მიიჩნია. იმთავითვე უნდა განვაცხადოთ, რომ სტელაზე იკითხება ქართული მხედრული ანბანი, რომელიც საქართველოს მთის რეგიონების ეპიგრაფიკული ძეგლების ქვის კალიგრაფიისთვის დამახასიათებელი გრაფიკით არის შესრულებული და შესაბამისად, ამ ტიპის ძეგლების ერთ-ერთ ლოკალურ ვარიანტს წარმოადგენს. გიორგი ტურჩანინოვის „მეცნიერული სამართლიანობისა“ და „ჭეშმარიტების მეტყუელება“ კარგად ჩანს მის ერთ-ერთ ადრინდელ პუბლიკაციაში, რომელშიც მსგავსი „დაკვირვების“ საფუძველზე, მაიკოპში აღმოჩენილ არტეფაქტზე გამოსახული ნიშნები მსოფლიოში უძველეს აფხაზურ ანბანად, ხოლო აფხაზები ანბანური დამწერლობის შემქმნელ უძველეს ერად გამოაცხადა². 1960 და 1965 წლებში გამოქვეყნებული შეხედულებები გიორგი ტურჩანინოვმა მომდევნო წლების პუბლიკაციებში ახალი „არგუმენტებით გაამაგრა“ და შედარებით ფართო ფორმატის გამოცემაში - „კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა

¹ ენტონი დევიდ სმითი. ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მარიამ ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედაქტორი რუსუდან ამირეჯიბი მალენი, თბილისი, 2004. გვ. 32-39.

² Г. Ф. Турчанинов. Древнейший письменный памятник Кавказа, Вестник древней истории. № 3, 1965 гв. 97-108; № 2, 1966. гв. 82-98;

მწერლობისა და ენის ძეგლები“- გაიმეორა. იმავე ნაშრომში ავტორმა პროტოკავკასიური დამწერლობის ახალი ჰიპოთეზაც წამოაყენა.¹

1988 წლიდან, მას შემდეგ რაც საქართველომ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება მტკიცედ გადაწყვიტა, იმპერიულმა მანქანამ არამარტო პოლიტიკური, არამედ სამეცნიერო წრეები აამოქმედა საქართველოს და საბჭოთა კავშირის ყველა იმ რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომლებმაც იმპერიიდან გამოსვლა დააპირეს. ამ დროს, გარედან ინსპირირებული იდეოლოგიური ნარატივის საფუძველზე, საქართველოს ხელოვნურად დაუმძიმდა ურთიერთობები ავტონომიებთან – აფხაზეთის ასსრ-სა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან. ასეთ ვითარებაში „მსოფლიოში უძველესი აფხაზური ანბანისა“ და თრუსოს სტელის ალანურ-ოსური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შესახებ ტურჩანინოვისეული შეხედულებები, საბჭოთა პროპაგანდისტულმა მანქანამ ეფექტურად გამოიყენა საქართველოს ავტონომიებში სეპარატისტული ანკლავის იდეოლოგიური გაძლიერებისა და ერთიანი საბჭოთა სახელმწიფოს შესანარჩუნებლად. აქედან გამომდინარე, ცხადია, ამ ჰიპოთეზის რამდენიმე პუბლიკაცია კვლავ განხორციელდა. მაგალითად, 1990 წელს, გ. ტურჩანინოვის გარდაცვალების შემდეგ, ზემოთხსენებული პუბლიკაცია ვლადიკავკაზში ახალი სათაურით გამოქვეყნდა – „ოსური მწერლობისა და ენის შუა საუკუნეების უძველესი ძეგლები“². წიგნში გამეორებულია თრუსოს სტელის შესახებ ავტორის მიერ 1960 წელს გამოთქმული მოსაზრებები და გამოტანილია დასკვნა, რომ ეს არის ოსურ – ალანური კულტურის ძეგლი და დათარიღებულია XIV საუკუნით.

გ. ტურჩანინოვის გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ, იმპერიულმა იდეოლოგიამ აფხაზური და ოსური დამწერლობების შესახებ გამოთქმული თეორიები კიდევ ერთხელ გააცოცხლა 1999 წელს, მოსკოვში გამოქვეყნებულ წიგნში: „კავკასიის უძველესი ანბანის აღმოჩენა და გამიფვრა (ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანები- IV-V სს.)“³. წიგნის სამეცნიერო რედაქტორი და გამომცემელია ი. ბ.ბასარია – ანკვაბი, ხოლო რეცენზენტები რუსი აკადემიკოსები: ეგვიპტოლოგი მიხეილ კოროსტოვცევი (1900-1980) და თურქოლოგი ანდრეი კონონოვი (1906-1986)⁴, რომლებიც წიგნის გამოქვეყნების დროს უკვე 15 და 20 წლის გარდაცვლილები იყვნენ“. ცხადია, ტურჩანინოვის თეორიის გაცოცხლება არ ემსახურებოდა მეცნიერების განვითარებას და სხვა ინტერესებისთვის იყო განკუთვნილი. წიგნში ცალკე თავად

¹ მაიკოპის წარწერის თითქოს აფხაზურად წაკითხვის საფუძველზე, გიორგი ტურჩანინოვმა ახალი თეორია წამოაყენა და ბერძნულ წყაროებში დადასტურებული კოლხური ქალაქი აიას ლოკალიზება ჩრდილოეთ კავკასიაში მოახდინა. Г. Ф. Турчанинов. Памятники письма и языка народов Кавказа и Восточной Европы. Ленинград, 1971. გვ. 11-34. აღსანიშნავია, რომ მაიკოპის ე.წ. წარწერასთან დაკავშირებული გიორგი ტურჩანინოვის მოსაზრებები, მეცნიერული საფუძველის არ ქონისა გამო, თავის დროზე არ გაიზიარეს ცნობილმა რუსმა და ჩრდილოკავკასიელმა მეცნიერებმა იგორ დიაკონოვმა (1915-1999), ლეონიდ ლავროვმა (1909-1982), ევგენი კრუპნოვმა (1904-1970), ფიმიფ აუტლევმა (1927-1991) და სხვ.

² Г. Ф. Турчанинов. Древние и средневековые памятники осетинского письма и языка, Владикавказ, 1990.

³ Г. Ф. Турчанинов. Открытие и дешифровка древнейшей письменности Кавказа (Середина III тыс. до н. э. – IV-V вв. н. э.). Москва 1999.

⁴ ამ მეცნიერებიდან მიხეილ კოროსტოვცევს განსაკუთრებით მჭიდრო და თბილი ურთიერთობები ჰქონდა საქართველოსთან: მან 1919 წელს დაამთავრა თბილისის გიმნაზია და სწავლა გააგრძელა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. საბოლოოდ, 1934 წელს დაამთავრა აზერბაიჯანის (ბაქოს) უნივერსიტეტი და აკადემიკოს ვ. ვ. სტრუვეს მიწვევით მუშაობა დაიწყო ლენინგრადის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტში. ცხოვრობდა იმავე ქალაქში და საქართველოსთან მთელი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა კარგი ურთიერთობები.

არის წარმოდგენილი აშუის (ძველი აფხაზურ-აბაზა-უბიხური) მწერლობისა და ენის ძეგლები. ავტორის აზრით, III ათასწლეულში ძვ.წ. აშუის ქვეყანა გადაჭიმული იყო შავი ზღვიდან ახლანდელ მაიკოპამდე და ჩრდილო-დასავლეთით სცილდებოდა მდინარე ყუბანს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით ფაზისს (რიონს). აშუის ცივილიზაციის ყველაზე ადრეული არქეოლოგიური რეალობა იყო მაიკოპის, მტკვარ-არაქსის, დოლმენური და კოლხური კულტურები. ავტორი, აქ კვლავ ეხება თრუსოს სტელას, როგორც ალანური კულტურის ძეგლს. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ტურჩანინოვის ეს მოსაზრებები არ არის გაზიარებული მეცნიერებაში, 2013 წელს კვლავ გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „XIV საუკუნის I ნახევრის ოსური სირიულ-ნესტორიანული წარწერა (წაკითხვის მცდელობა და აღმოჩენის მახასიათებლები),“ რომელიც წარმოადგენს კოლექტიური მონოგრაფიის – „ალანურ-ოსური წერილობითი ძეგლები“ ერთ-ერთ პუბლიკაციას.¹ დაკვირვებული მკითხველი კარგად შეამჩნევს, რომ იმპერიული იდეოლოგია სინქრონულად მუშაობს საქართველოს ორივე სეპარატისტული რეგიონის მკვლევრებთან და ავტორიტეტული მეცნიერების მიერ არგუმენტირებულად უარყოფილ და დაუსაბუთებელ თეორიებს იყენებს პოლიტიკური მიზნებისთვის. გიორგი ტურჩანინოვის მიერ მაიკოპის წარწერად მიჩნეული არტეფაქტი უდავოდ ისტორიული ღირებულების ძეგლია, მაგრამ დამწერლობის ნიმუში ნამდვილად არ არის. ეს სხვა, უფრო ფართო საუბრის თემაა. რაც შეეხება თრუსოს სტელაზე ამოკვეთილი წარწერის ტურჩანინოვისეულ „წაკითხვას“ და მის საფუძველზე წამოყენებულ თეორიას, ის კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან აღნიშნული წარწერის ფოტოზე, რომელიც ვლადიკავკაზის მუზეუმის კატალოგში დევს (სურ. 2.), ღიად იკითხება ქართული მხედრული ანბანის გრაფემები: მ, ე, ი, უ, ო, ყ, თ, ს, ბ, გ და რამდენიმე ასომთავრული ასო, გვაქვს გაკუთხოვანების ელემენტებიც. მაგალითად, გრაფემა მ, რომელიც ქართული დამწერლობის სამივე საფეხურზე თითქოს მსგავსი მოხაზულობით გვხვდება, ამ წარწერაში დაფიქსირებულია, როგორც ასომთავრული, ასევე მხედრული და ნუსხური ანბანებისთვის დამახასიათებელი გრაფიკით, ხოლო ასომთავრული ა, ი და ჟ გრაფემები ორჯერ არის დაფიქსირებული. წარწერის ასოთა მოხაზულობისა და გრაფემათა სტილიზაციის თავისებურებებით იგრძნობა ოსტატის ინდივიდუალური მიდგომა ქართული დამწერლობისადმი. ნიშანდობლივია, რომ რამდენიმე ასოს აქვს გარდამავალი მხედრულისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რითაც ანალოგებს პოულობს საქართველოს სხვა მხარეების – სვანეთის, ჯავახეთის, აფხაზეთის, ხევის ადრეული პერიოდის მხედრულ წარწერებთან. ქვის დაზიანების გამო, რამდენიმე გრაფემა ფოტოზე არ იკითხება, ასევე არ ჩანს სიტყვებს შორის განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა წარწერის ადგილზე შესწავლამდე და პალეოგრაფიული პირის აღებამდე, კონკრეტული სიტყვა დაგვეზუსტებინა. ცალკეული სიტყვების წაკითხვის ვარაუდით, ძეგლში „მთავარანგელოზის საყდარზე“ უნდა იყოს საუბარი.

თრუსოს წერილობითი ძეგლების შესწავლის პრობლემატიკა დიდი ხანია დგას მეცნიერების წინაშე. სამწუხაროდ, 1957 წლის აღმოჩენის შემდეგ, რეგიონში არცერთი ეპიგრაფიკული ექსპედიცია არ ჩატარებულა, მაგრამ არსებული წარწერების შესახებ ინფორმაცია მხარის ხუროთმოძღვრების ან სხვა სამეცნიერო-დაზვერვითი ხასიათის სამუშაოების დროს დადასტურდა.

¹ Г.Ф. Турчанинов, Трусовская осетинская сирийско-несторианская надпись первой половины XIV столетия. (Опыт чтения и характеристики находки), памятники Алано-Осетинской письменности. составили: В.А.Кузнецов, Б.Б.Басаев, В.Х.Темираев, Л.А.Чибиров. Владикавказ, 2013, стр. 168-191.

თრუსოს ეპიგრაფიკული ძეგლები პირველად შეკრიბა, შეისწავლა და გამოაქვეყნა ხელოვნებათმცოდნე **გიორგი გაგომიძე**, რომელმაც 2018-2020 წლებში, თრუსოში ორგზის ექსპედიციაში ყოფნის დროს გამოავლინა, აღწერა, აზომა, დაასურათა და შესაბამისი არქეოგრაფიული აღწერილობა გაუკეთა თხუთმეტამდე ქართულ წარწერას. აღნიშნული კვლევა 2021 წელს კოლექტიურ მონოგრაფიაში „*თრუსო- ისტორიული და ეთნოკულტურული პრობლემები*“ გამოქვეყნდა.¹ მკვლევარმა, წარწერების ისტორიულ-მედარებითი და პალეოგრაფიული კვლევის საფუძველზე, თრუსოს ეპიგრაფიკაში წარმოდგენილი ქართული ანბანი შეუდარა საქართველოს სხვა რეგიონების ეპიგრაფიკულ ძეგლებს, ხოლო თრუსოს ზემოთხსენებული სტელის წარწერა ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლად მიიჩნია. ამავე დროს, სრულიად სამართლიად გააკრიტიკა წარწერის გიორგი ტურჩანინოვისეული წაკითხვა.² ამ პუბლიკაციით, გიორგი გაგომიძემ საფუძველი ჩაუყარა თრუსოს ეპიგრაფიკული ძეგლების მეცნიერულ კვლევას.

2021 წლის სექტემბერში, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, თრუსოში მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია, როდესაც ექსპედიციის წევრებმა ადგილზე შევისწავლეთ რეგიონის ეპიგრაფიკული ძეგლები და ჩავატარეთ შესაბამისი სამუშაოები. წინა კვლევისა და ჩვენი ექსპედიციის დროს შეგროვილი მასალის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ქართული დამწერლობის ისტორიისა და ქართული პალეოგრაფიისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, ხოლო თრუსოს წერილობითი ძეგლების შესწავლაში გამოვლინდა მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც უახლოეს წარსულში გადაჭრას მოითხოვს.

თრუსოსა და მნის ხეობებში ჟამთა სიავეს გადარჩენილი წერილობითი ძეგლები, ეპიგრაფიკული ხასიათისაა და გარეგნული ნიშნის მიხედვით ლაპიდარულ წარწერებს მიეკუთვნება. გვაქვს ერთი ქედური და ერთი საღებავით შესრულებული წარწერის ფრაგმენტი. მხარის წერილობით კულტურაში ხელნაწერები არ დასტურდება .

ქართული წარწერები დაცულია თრუსოს და მნის ხეობის საერო და საეკლესიო დანიშნულების ძეგლებზე: ეკლესიის კედლებზე, ეკლესიის მახლობლად მდებარე სამაროვნებზე საფლავის ქვებსა და სარკოფაგებზე, ქვა-ჯვრების კვარცხლბეკებზე და ა. შ.

წერილობითი კულტურის ძეგლებზე ქართული კულტურული იდენტობის რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი გამოიკვეთა: წარწერებში ასახულია ქართული ანბანის სამივე საფეხური, ასომთავრული, ნუსხური (მხოლოდ რამდენიმე გრაფემა) და მხედრული, თუმცა უპირატესად გვხვდება მხედრული ანბანი, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია საფლავის ქვის ეპიტაფიებში. მართალია, რეგიონში გვხვდება რუსულენოვანი საფლავის ქვის ეპიტაფიები, მაგრამ ისინი საქართველოში რუსეთის იმპერიის დამკვიდრებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ ჩნდება და რეგიონის მკვიდრი მოსახლეობის კულტურული იდენტობის მახასიათებლებად ვერ გამოდგება. ამ ეპიტაფიების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი XIX საუკუნის მეორე ნახევარია და მათში დასახელებულია ადგილობრივი ქართული ძირის მატარებელი გუდიელები, იტონიელები (გუდიაშვილები, ითონიშვილები) და ა.შ. რუსულენოვან საფლავის ქვებზე ამოკვეთილი გვარების უმრავლესობა ქართული წარმომავ-

¹ როლანდ თოფჩიშვილი, გიორგი ბაგრატიონი, გიორგი გაგომიძე, გიორგი გოგოჭური, ნათია ჯალაბაძე, ლავრენტი ჯანიაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი. თრუსო – ისტორიული და ეთნოკულტურული პრობლემები, როლანდ თოფჩიშვილის საერთო რედაქციით. თბილისი. 2021. გვ. 129-141;

² გიორგი გაგომიძე. ქართული წარწერები თრუსოსა და მნის ხეობაში, წიგნში: თრუსო- ისტორიული და ეთნოკულტურული პრობლემები, გვ. 139-140.

ლობისა და დაფიქსირებულია, როგორც თრუსოს და მნის ხეობების მიმდებარე მხარეებში, ასევე საქართველოს სხვა რეგიონებშიც. გვარების უმრავლესობას ძირი ქართული აქვს და დამატებულია რუსული გვარის მაწარმოებელი – *ოხ* დაბოლოება, რომელიც რუსულ ენაში გვარის მაწარმოებლის ფუნქციას XVII საუკუნიდან იძენს. მიუხედავად იმისა, რომ კულტურული ელემენტები საზღვრებს გარეშეა და მარტივად ვრცელდება, როგორც ქვეყნის შიდა რეგიონებში, ისე ქვეყნის გარეთ, ყველაზე მარტივად სწორედ საზღვრისპირა რეგიონებზე ახდენს გავლენას, მაგრამ – *ოხ* და – *ეხ* დაბოლოებით ქართული გვარები, საქართველოში, თრუსოს გარდა სხვა რეგიონებში ინტენსიურად XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან გვხვდება. ცნობილია, რომ ეს იყო იმპერიის მიერ ხელოვნურად თავსმოხვეული ელემენტი, რომელიც ვერ აფერმკრთალებს თრუსოს ხეობის მოსახლეობის კულტურულ იდენტობას.

ქვემოთ, არეალური პრინციპით და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განხილულია თრუსოს წერილობითი კულტურის ძეგლები, როგორც რეგიონის მოსახლეობის კულტურული იდენტობის ძირითადი მახასიათებელი.

მნის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის წარწერა (სურ 1.) მნის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელსაც ადგილობრივები (ხევის მოსახლეობა) მნის წმინდა მარიამის ეკლესიას უწოდებს, დგას სოფელ მნის ხეობაში, მდინარე მნისისწყლის მარჯვენა ნაპირზე, შემადგენელ მთაზე. ეკლესია აღწერა და X-XI საუკუნეების მიჯნით დაათარიდა ხელოვნებათმცოდნე გიორგი ბაგრატიონმა. მცირე დარბაზული ეკლესია, რომლის ზომებია 8,5 X 6 მ., აგებულია მოზრდილი ზომის, უსწორმასწორო მოხაზულობის ქვიშაქვით. XIX საუკუნეში შეკეთების დროს, უხეშად შეუღესავთ და შეუთეთრებიათ კედლები, ხოლო ქერი ბრტყლად შეუფიცრავთ. ეს შეუძლებელს ხდის ინტერიერის თავდაპირველი არქიტექტურის – სივრცობრივი გადაწყვეტის გარკვევას. მიუხედავად ამისა, მეცნიერი იძლევა ეკლესიის დეტალურ აღწერილობას: ეკლესიის შესასვლელი სამხრეთიდანაა და კარი შიგნით და გარედან ბრტყლადაა გადახურული. საკურთხევლის ქვედა ნაწილი (1,3 მ სიმაღლეზე) გეგმით სწორკუთხაა, ზემოთა კი (კუთხეების თანდათანობით შევსებით) ნალისებრი მოხაზულობის. საკურთხევლის აღმოსავლეთ კედელში გაჭრილ ვიწრო სარკმელს ბრტყელი გადახურვა და ოდნავ დაქანებული რაფა აქვს. სარკმლის გვერდებზე თითო პატარა სწორკუთხა ნიშია. ერთი, შედარებით მოზრდილი ნიში დასავლეთ კედელშია. საკურთხევლის სამხრეთ კედელში დიდი ოთხკუთხა სარკმელია (გაჭრილია შეკეთების დროს), დარბაზის დასავლეთის ორივე კუთხეში – ორსაფეხურიანი პილასტრებია, რომელთაც დასავლეთ კედლის ორსაფეხურიანი საბჯენი თალი ეყრდნობა. პილასტრის მცირე ნაწილი შემორჩენილია ჩრდილოეთ კედლის აღმოსავლეთ კიდეში – საკურთხევლის ჩრდილოეთის მხართან. ფასადები მობათქაშებულია. შემოსასვლელის არქიტრავე თაღოვანი თავსართია ამოღარული. შენობას ამჟამად ხის ნივნივებზე გამართული თუნუქის ორფერდა სახურავი აქვს. სამხრეთიდან ეკლესიას გვიანდელი მინამენი ეკვრის. შემორჩენილია მისი დასავლეთ ნაწილი. აქ, სამხრეთ კედელში, გაჭრილ განიერ ღიობში XIX საუკუნის რუსული ზარია ჩამოკიდებული. ეკლესიის სამხრეთ კედელთან ახლოს ორ მოზრდილ ქვაზე დადგმულია მთლიანი ქვისგან გამოთლილი ორნამენტირებული ჯვარი¹. ჯვრის ბაზისის წინა მხარეს და ჯვრის ზურგზე ამოკვეთილია XIX საუკუნის წარწერები, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

¹ გიორგი ბაგრატიონი. თრუსოს არქიტექტურული ძეგლები. წიგნში: თრუსო – ისტორიული და ეთნო-კულტურული პრობლემები, 169-170.

ასეთ პატარა და თითქოს უმნიშვნელო ეკლესიასთან დაკავშირებულია თრუსოს და მნის ხეობებში ჯერჯერობით ყველაზე ძველი წერილობითი ძეგლი, რომელიც ამოკვეთილია ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის მარცხენა კუთხის, ქვედა პირველ ქვაზე, მიწიდან 52 სმ. სიმაღლეზე. გიორგი გაგომიძის მიხედვით, წარწერა პირველად, 2011 წელს შენიშნა არქეოლოგმა გიორგი გოგოჭურმა, ხოლო 2018 წელს გიორგი გაგომიძემ პირველად შეძლო წარწერის პალეოგრაფიული ასლის გადაღება, 2020 წლის 14 აგვისტოს მეცნიერმა დეტალურად შეისწავლა წარწერა¹.

2021 წლის ექსპედიციის ფარგლებში ადგილზე შევისწავლეთ, ავზომეთ, დავასურათეთ და ავიღეთ წარწერის პალეოგრაფიული პირი. ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა კარგად არ იკითხება, რადგან დიდი ზომის ქვა, რომელზეც წარწერაა ამოკვეთილი გათლილია უხეშად და ასოების მოხაზულობა იკარგება უსწორმასწორო ზედაპირზე დარჩენილ ქვის ბუნებრივ კორძებში. წარწერის ქვის ზომები: სიგანე 175 სმ., სიმაღლე 158 სმ.; შემორჩენილი წარწერის ფართობი 107X22; გრაფემათა სიმაღლე სხვადასხვაა, ზოგან 6, 5 სმ., ზოგან 6, 2, ზოგან 8 სმ ან 4, სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს, თუ არ ჩავთვლით, ორ ადგილზე შემჩნეულ ერთ და ორწერტილს, რომლებიც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ქვის ზედაპირის ცუდად დამუშავების შედეგად უნდა იყოს დარჩენილი, მაგრამ, რადგან წარწერას ახლავს ქარაგმის მოკლე ჰორიზონტალური ხაზი, ვფიქრობთ, რომ ოსტატი კარგად იცნობდა საქართველოში გავრცელებულ ქვის კალიგრაფიის ტრადიციებს და ეპიგრაფიკული ძეგლების ე.წ. პუნქტუაციას – განკვეთილობის ნიშნებს.

გიორგი გაგომიძის აზრით, წარწერა ერთსტრიქონიანია და ტექსტში იკითხება: „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე შვილნი მაქარისმ (?)....“.

მისივე ტექსტის სრული წაკითხვა: „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე შვილნი მაქარისნი()“.²

ჩვენი აზრით, წარწერა ორსტრიქონიანი უნდა იყოს, რადგან პირველი სტრიქონის ქვემოთ, მარჯვენა მხარეს შეიმჩნევა მეორე სტრიქონის გრაფემები: „ა“, „მ“ და „ნ“. ეს გვაფიქრებინებს, რომ მეორე სტრიქონზე ქართული ეპიგრაფიკაში ყველაზე გავრცელებული სიტყვა – „ამ(ე)ნ“ უნდა იყოს ამოკვეთილი. ამის გათვალისწინებით წარწერა შეიძლება ასე გაიმართოს: „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე შვილნი მაქარისნი(), ამ(ე)ნ“.³

საქართველოს სხვა ისტორიული მხარეების ეპიგრაფიკული მასალის შედარების საფუძველზე, გიორგი გაგომიძემ წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით X საუკუნით დაათარიდა. მეცნიერის ამ დათარიღებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ წარწერაში დარღვეულია X საუკუნის ქართული ასომთავრულისთვის დამახასიათებელი მონუმენტურობა და ორხაზოვანი საწერი ბადის ტრადიციები, რასაც ანდეზიტის ქვის კვეთის სირთულეც განაპირობებდა, მაგრამ ამავე დროს, ზოგიერთ გრაფემაში იგრძნობა როგორც ნუსხური ანბანისთვის დამახასიათებელი გაკუთხოვანება, ასევე მხედრულის მოხაზულობის ელემენტები, რაც გვაფიქრებინებს, რომ წარწერა შესრულებული უნდა იყოს ქართული ანბანის განვითარების გარდამავალ ხანაში. ნოდარ შოშიაშვილის აზრით, ამ დროს იწყება მთავრული გრაფემების გაკუთხოვანება, განუსხურება და ასომთავრულში ურევნ ნუსხურ გრაფემებს. ეს განსაკუთრებით

¹ გიორგი გაგომიძე. ქართული წარწერები თრუსოსა და მნის ხეობაში, წიგნში: თრუსო- ისტორიული და ეთნოკულტურული პრობლემები, გვ. 129.

² გიორგი გაგომიძე. ქართული წარწერები თრუსოსა და მნის ხეობაში, გვ. 130.

³ ნაშრომში წარწერის ტექსტები წარმოდგენილია მხედრული ტრანსკრიპციით.

შესამჩნევია ლ, ც, მ, ნ, ღ, უ გრაფემებისთვის.¹ მართალია, ორხაზოვანი საწერი ბადის ტრადიციების რღვევა, ჯერ კიდევ VII-VIII საუკუნეებში შეინიშნება, მაგრამ ქართული ანბანისთვის ეს მოვლენა დამახასიათებელი ხდება IX- X საუკუნეებში, რაც ქართული ლაპი-დარიუმის არაერთ წარწერაშია დაფიქსირებული.

როგორც ჩანს, მნის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და დიდ როლს თამაშობდა ადგილობრივი მოსახლეობის სასულიერო ცხოვრებაში. ეკლესიას ხშირად სწირავდნენ საეკლესიო მნიშვნელობის ნივთებს, ხატებს, ჯვრებს, საეკლესიო მსახურებისთვის აუცილებელ თასს და ა. შ. ამ ფაქტს ადასტურებს გიორგი ბოჭორიძის ფონდის აღწერილობა, რომლის მიხედვით, „1924 წელსა აგვისტოს 22-სა დღესა მოხდა აღწერა ღუშეთის მაზრის სოფელ მნის ღვთისმშობლის ეკლესიისა და მის სიძველეთა, რომელსაც დაესწრნენ სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის რწმუნებული გიორგი ბოჭორიძე, ეკლესიის მღვდელი მ. იტონიევი² და ეკლესიის მნათე ხ. აბაევი. კომისიამ ეკლესიის შენობა და მის მახლობლად მდგომი ძველი ციხის ნანგრევები სცნო ისტორიულ ძეგლებად, ხოლო ეკლესიის ნივთთაგან ისტორიულად ცნობილ იქნა:

1. დროშის ჯვარი ვერცხლისა, შეწირული ჭილაშვილის მიერ და შემკული 5 თვლით.

2. ჯამი სპილენძისა, შეწირული გ. მაყაშვილის მიერ.

3. პატარა თიხის ჭურჭელი სპილენძის ფულით აღმოჩენილი ეკლესიის საძირკველში. კომისიამ დაადგინა: პირველი ორი ნომრით აღწერილი ნივთები დატოვებულ იქნენ ადგილობრივ ეკლესიაში, ხოლო მესამე ნომრით აღწერილი გადატანილ იქნეს ქ. ტფილისს.

სიძველეთა კომიტეტის რწმუნებული გ. ბოჭორიძე

ეკლესიის მღვდელი მიხაილ იტონიევი.

ეკლესიის მნათე ხასაკო აბაევი.³

გიორგი ბოჭორიძის ფონდში დაცული ეს დოკუმენტი უნიკალურ ცნობებს შეიცავს და მრავალი მნიშვნელოვანი დასკვნის შესაძლებლობას გვაძლევს: პირველი, მნის ეკლესია დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობაში, რადგან შემწირველთა შორის არიან ჭილაშვილი და გ. მაყაშვილი, რომლებიც მნის და თრუსოს ხეობის მკვიდრები არ არიან. თიხის ჭურჭელი სპილენძის ფულით მიუთითებს ამ პატარა ეკლესიის სიმდიდრეზე და საკუთარ შემოსავალზე. შესაძლოა, ეს შემოსავალი მნის ხეობიდან ჩრდილოეთით გადამავალ სავაჭრო-საქარავნო გზასაც უკავშირდებოდეს.

მნის ეკლესიაში გიორგი ბოჭორიძის მიერ აღწერილი თიხის ჭურჭელში ნაპოვნი სპილენძი ფული „მნის განძის“ სახელითაა ცნობილი. იგი შეისწავლა ცნობილმა ნუმისმატმა გიორგი ღუნდუამ, რომელმაც ვერცხლის მონეტებს ბილონური (დაბალი სინჯის) მონეტები უწოდა. მნის განძში ნაპოვნია 926 ცალი ბილონური ვერცხლის მონეტა, რომელთა უმრავლესობა მოჭრილია საქართველო მეფეების ვახტანგ IV-ის (1442-1446), გიორგი VIII-ის (1446-1466), ქართლის მეფის კონსტანტინე II-ისა (1479-1505) და დავით X-ის

¹ ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I. ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. მოშიაშვილმა თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980. გვ. 33.

² იტონიევი უნდა იყოს მღვდელი გ. იტონიშვილი.

³ საქართველოს ეროვნული საისტორიო ცენტრალური არქივი. გიორგი ბოჭორიძის საქმე, ფონდი 1753, ანაწერი 1, დოკუმენტი N 106. (გვ.61v) ოქმი N 11

(1505-1525) სახელით. მაგრამ განძში არის ანონიმური მონეტებიც, რომლებიც ასევე ქართულ ნუმიზმატიკურ ძეგლებს განეკუთვნება. ამ ტიპის მონეტებზე გამოსახულია ჯვრის, თევზისა და ცხოველების გამოსახულებები. მნის განძის შემადგენლობაში შედის აგრეთვე თურქული ახჩებისა და შირვანული თანგების მინაბაძები. მეცნიერის აზრით, განძი ჩაფლული უნდა იყოს XVI საუკუნის I ნახევარში¹.

მნა შუა საუკუნეების საქართველოში სამეფო სოფლად ითვლებოდა და ქართული წყაროების მიხედვით, „მნის ქვეყნის“ ცენტრს წარმოადგენდა. ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ მნის „წმინდა მარიამის ეკლესია“, რომელიც ასე პოპულარობით სარგებლობდა ძველ საქართველოში, სამონასტრო ცენტრი უნდა ყოფილიყო და დიდი პატივით სარგებლობდა ჯერ საქართველოს სამეფოს, ხოლო მოგვიანებით ქართლის სამეფო კარზე. აქ, ცენტრალურ კავკასიონზე, სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიმავალ სავაჭრო-საქარავნო გზაზე, მთის მკაცრი ბუნების პირობებში, ამ მონასტერს მხოლოდ სასულიერო დანიშნულება ვერ ექნებოდა. ეკლესია, ქართული მონასტრებისთვის დამახასიათებელი ლანდშაფტის მიხედვით, შემადგენელ ბორცვზე დგას. მის ახლომახლო, ასევე ბორცვის დასაწყისში ახლაც შეინიშნება ძველი ნაგებობების ნანგრევები, რაც ოდესღაც სამონასტრო ცხოვრების მანიშნებელია. ხეობაში შესული ადამიანი ეკლესიას ყველა კუთხიდან კარგად ხედავდა და, რთული კლიმატური პირობების დროს, ამ გზაზე მიმავალი მგზავრისთვის ერთგვარი ნავსაყუდელიც უნდა ყოფილიყო.

ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ, რომ რეგიონი ეკონომიკურად დაწინაურებული და სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით კარგად ორგანიზებული ერთობა იყო. რაც შეეხება წყაროებში დაფიქსირებულ ტერმინს „მნის ქვეყანა“ – ეს მიუთითებს რომ ადრინდელ შუა საუკუნეებში და შემდეგაც, XII-XIV საუკუნეებში, მნა მოიცავდა დიდ ტერიტორიას და ბევრად სცილდებოდა სოფლის მნიშვნელობას. მნის ქვეყანა რომ პატარა სოფელს არ წარმოადგენდა ჩანს ერთი ისტორიული დოკუმენტიდანაც, რომელშიც დასახელებულია „უკანა მნა“. დოკუმენტის მიხედვით, ვახტანგ ბატონიშვილს „უკანა მნაველთ მოართვეს ერთი ძროხა“ (იხილეთ წინამდებარე წიგნის დანართი N1, დოკუმენტი N2). ამ საბუთიდან ირკვევა, რომ „მნის ქვეყანა“ ორი ნაწილისგან – წინა და უკანა მნისგან შედგებოდა. შესაძლოა არსებობდა „შუა მნაც“, თუმცა ამის შესახებ ჯერჯერობით ინფორმაცია არ გვაქვს. ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ „მნის ქვეყანა“ მდიდარი სამონასტრო ცხოვრებით ცხოვრობდა და მისი ცენტრი სწორედ მნის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია უნდა ყოფილიყო.

გიორგი მაყაშვილის წარწერა მნის ეკლესიის თასზე. მნის ეკლესიაში დაცული იყო გიორგი მაყაშვილის მიერ ეკლესიისადმი შეწირული სპილენძის თასი, რომელიც ჩვენს მიერ ზემოთ მოხმობილი დოკუმენტის მიხედვით, გიორგი ბოჭორიძემ 1924 წლის 22 აგვისტოს აღწერა. სამწუხაროდ, თასის ნახვა ვერ შევძელით. გიორგი გაგოშიძის ინფორმაციით, 2020 წლისთვის თასი ეკლესიაში ინახებოდა. გიორგი ბოჭორიძის აღწერილობისა და გიორგი გაგოშიძის პუბლიკაციის შეჯერების საფუძველზე წარწერის აღწერილობა ასეთ სახეს მიიღებს: ერთსტრიქონიანი მხედრული წარწერა, ამოკვეთილია სპილენძის ჭედურ თასზე. განკვეთილობის და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს. წარწერაში იკითხება „ქ. გიორგი მაყაშვილისა“. პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, გიორგი გაგოშიძემ წარწერა

¹ გიორგი ღუნდუა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, თბილისი, 1984. გვ. 53.

XVIII ან XIX საუკუნით დაათარიდა,¹ თუმცა არსებობს დიდი ცთუნება იმისა, რომ ეს ფიალა და მისი წარწერა, ისევე როგორც „მნის განძი“ XVI საუკუნით დათარიღდეს.

მნის ეკლესიის ჯვრის ორი მხედრული წარწერა. მნის ეკლესიის სამხრეთი შესასვლელი კარის მარჯვენა მხარეს, კედელთან მიდგმულია ქვის ჯვარი, რომელიც ჩასმულია ბაზისში. ბაზისსა და ჯვარზე ამოკვეთილია ორი წარწერა. პირველი ორ სტრიქონიანი მხედრული წარწერა ამოკვეთილია ჯვრის ქვედა ტოლ მკლავებზე, რომელზეც გიორგი გაგომიძის აზრით, ოსტატის სახელი უნდა ეწეროს, მაგრამ სახელი არ იკითხება, რადგან ქვა დაფარულია მღიერებით.² (სურ 3).

რვა სტრიქონიანი მხედრული წარწერა ამოკვეთილია მნის ეკლესიის სამხრეთი კართან მდებარე ჯვრის ზურგზე. წარწერას ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს და ტექსტშივე დათარიღებულია 1864 წლით. წარწერა მოგვითხრობს ეკლესიისთვის ჯვრის შეწირვის ამბავს. იმავე ჯვრის მეორე მხარეს ამოკვეთილია 1864 წლით დათარიღებული წარწერა, რომელიც ასე იკითხება: „1864 წელსა შევწირე ესე ჯვარი ყველა წმინდა ხ(ვ)თ-(ი)სმშ(ო)ბელსა ომთარი³ ას(ა) შვ(ი)ლმან.“ ჩვენი დაკვირვებით, წარწერაში ოთარი ასაშვილი უნდა იკითხებოდეს. დასახელებული „ასაშვილის“ გვარი ცნობილია ქართული ონომასტიკონისთვის და გავრცელებულია შიდა ქართლის ცენტრალურ მხარეში. მაგალითად გორში, ლამოვანში, ძალისში, წიწამურაში და ა. შ.

მნის სამაროვნის წარწერები. მნის ღმრთისმშობლის ეკლესიის სამრეთით, შემადგენულ გორაკზე, განთავსებულია სამაროვანი, რომლის წვერზე რუსულენოვანი საფლავებია, ხოლო სამხრეთით დამრეც ფერდზე, ერთჯერადი დათვალიერების შედეგად, რამდენიმე ქართულენოვანი საფლავის ქვის ეპიტაფია აღმოჩნდა. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ ამ სამაროვანზე რამდენიმე ქართული წარწერების პოვნა შეუძელით, ხოლო თრუსოს ხეობაში სუატისისა და თერგის შესართავთან არცერთი. მოგვყავს მნის სამაროვნის წარწერებიდან ერთ-ერთი.

გრიგოლი ქოქიოვის საფლავის ქვის ეპიტაფია (სურ 4.) ცხრა სტრიქონიანი მხედრული წარწერა ამოკვეთილია საფლავის ქვის ფილაზე, მარტივად ორნამენტირებული ჩარჩოს შიგნით. წარწერის ზემოთ ქვის ფილის წაწვეტებულ თავთან გამოსახულია სწორკუთხა ჯვარი. განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს, მაგრამ ქვის ოსტატი კარგად იცნობს მხედრულისთვის დამახასიათებელ ოთხხაზოვან საწერ ბადეს. წარწერას ახლავს ქარაგმა, რომელიც კარგად არ ჩანს, მაგრამ რამდენიმე სიტყვა „ბლი“, „გლი“, „მადობა“ დაქარაგმებულია და ქარაგმის ადგილი დაზიანებული. წარწერის ქვის ფილის სიმაღლე 80 სმ. სიგანე 34 სმ-ია. ასოების სიმაღლე განსახვავებულია: ზოგან 6, ზოგან 4,1 სმ.

ტექსტში იკითხება: „საფლავსა /შინა მდებარე არის ბ(ა)ლ [დი] / გ(რიგო)ლი ქოქიოვი გა/რდაიცვალა 1865 /წელსა დეკემბერსა/გაიზარდა წლისა 7// შა(ნ)დობა უბოძე“.

ისევე როგორც ეპიტაფიების უმრავლესობა გრიგოლ ქოქიოვის წარწერაც ტექსტში დათარიღებულია 1865 წლის დეკემბრით. ეპიტაფიის შინაარსიდან ირკვევა, რომ ბავშვი, გრიგოლ ქოქიოვი 7 წლის ასაკში გარდაცვლილა. ეპიტაფია მნიშვნელოვან მასალას იძლევა ონომასტიკური დაკვირვებისთვის. ერთი შეხედვით, გვარი თითქმის ოსურია, რადგან დაბოლოება აქვს – ოვი, მაგრამ ძველ ქართულში და დღესაც „ქოქი“ გვარის, ჯიმის, ჯილაგის

¹ გიორგი გაგომიძე. ქართული წარწერები თრუსოსა და მნის ხეობაში, გვ. 132.

² გიორგი გაგომიძე. ქართული წარწერები თრუსოსა და მნის ხეობაში, გვ.

³ გიორგი გაგომიძე კითხულობს, როგორც „ომთოლი“.

მნიშვნელობით გამოიყენება¹ ჯავახეთში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, კახეთში და ა. შ. სიტყვა „ქოქი“ დღემდე გამოიყენება ქართულ ცოცხალ მეტყველებაში. ქართულში გვაქვს გვარები: ქოქიაშვილი, ქოქიაური, ქოქოშვილი, მასთან მიახლოებული ქიქოძე და ა. შ.

ქოქიოვის გვარი ძირითად ქოქი-დან მოდის, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება ქართულ და ოსურ გვარებზე – ოს სუფიქსის დამატება, ეს განსაკუთრებით ინტენსიური გახდა XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც რუსეთის იმპერიაში ფაქტობრივად პოლიტიკური რეაქციის ხანა დაიწყო. საქართველოს სხვა მხარეებშიც, განსაკუთრებით თბილისში და მთლიანად ქართლში შეინიშნება ქართული გვარების გადაკეთების და რუსული – ოს სუფიქსის დამატების ტენდენცია. ეს იყო გარუსების პოლიტიკის გეგმის ერთი პატარა სეგმენტი. სწორედ ამ მოვლენასთან გვაქვს საქმე მნის საფლავის ქვის ეპიტაფიაზე ამოკვეთილი გვარის – ქოქიოვის – შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, გარდაცვლილი ბავშვის მშობლები ქართული დამწერლობის გამოყენებით საკუთარი თავის და შვილის იდენტიფიკაციას ქართულ კულტურულ სამყაროსთან ახდენენ.

საფლავის შემოკობა და ეპიტაფიების კვეთა მრავალი ქვეყნის კულტურის ნაწილია და იგი პირდაპირ უკავშირდება ამ ქვეყნის სოციალური ტრადიციულ ყოფას, დამოკიდებულებას გარდაცვლილი ადამიანისა და ზოგადად გარდაცვალების მიმართ. მაგრამ, მას, როგორც სიკვდილ-სიცოცხლის ფილოსოფიური გააზრების ესთეტიკას, აქვს გაცილებით სხვა ღირებულებითი დატვირთვა, ის ტრადიციულ ყოფაში არის ბუნებრივად, ადამიანთა მენტალობისა და კულტურული იდენტობის შეუღალაზრებლად ასახული არტეფაქტი. საფლავის ქვის ეპიტაფიების ენა, დამწერლობა, ტექსტის შინაარსი და სიკვდილთან დამოკიდებულება (გარდაცვალება თუ სიკვდილი, მიცვალებული თუ მკვდარი) სხვადასხვა ეთნოფსიქოლოგიის ერებთან, ცხადია, სხვადასხვა კულტურისა და იდენტობის მანიშნებელია². თრუსოსა და მნის ხეობების ქვის ეპიტაფიები, როგორც „ბეჭდნი საფლავისანი ჰგიენ აღუტეხელად“ და სიმბოლოებით დატვირთულ ჩვენს სამყაროში, გარდაცვლილთა კულტურული იდენტობის საუკეთესო მცველები არიან.

მნის სამაროვანის საფლავის ქვის სხვა ეპიტაფიებს აქ არ შევხებით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ეპიტაფიებში დასახელებული გუდიელები, მირაქოვები, სუხიელები, მირაქაელები, ქუქიელები და ა.შ. ქართული ძირის გვარებია. თითოეული მათგანის საფლავის ქვის ოსტატი იცნობს ეპიტაფიის ამოკვეთის ქართულ ტრადიციას, იცავს წესებს, ან ისევე უშვებს შეცდომებს როგორც სხვა კუთხის ქვის ოსტატები.

კულტურის სოციალური ბუნებაა, ასახოს სოციალური მემკვიდრეობით მიღებული კოლექტიური ცოდნის ის საგანძური, რომელსაც ინდივიდი იღებს თავისი ჯგუფისაგან. თრუსოს ეპიტაფიები მემკვიდრეობით მიღებული კოლექტიური ცოდნის საგანძურია, რომელიც შემორჩენილია ქართული ენის, ქართული დამწერლობის, ეპიტაფიის ტექსტის გადმოცემა – გაფორმების ხერხებითა და შინაარსით და წარმოადგენენ მათი პატრონების ეთნოფსიქოლოგიური და კულტურული იდენტობის ყველაზე მყარ და შეუცვლელ სიმბოლოებს. იდენტობის ამ სიმბოლოებს ვერ ცვლის ხელოვნურად შექმნილი და ჩანაცვლებული ახალი სიმბოლოები, ამ სიმბოლოებს ვერ ერევა ისტორია³.

¹ ჯავახური ლექსიკონი, გიორგი ზედგინიძე; რედ. ვლადიმერ ზედგინიძე. თბილისი, 2014. გვ. 370.

² ლია ახალაძე. საქართველოს განათლებისა და კულტურის ისტორიის ნარკვევები – აფხაზეთი (XIX-XX სს), თბილისი, 2021. გვ. 57.

³ ლია ახალაძე. საქართველოს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის ისტორიის ნარკვევები – აფხაზეთი (XIX-XX სს), გვ. 58.

შევარდენის ეკლესიის საფლავის ქვის ეპიტაფიები. საფლავის ქვები ქართული ეპიტაფიებით საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი მნისწყლისა და თერგის შესართავთან არსებულ სამაროვანზე, რომელიც სოფელ შევარდენის ეკლესიის ირგვლივ არის განლაგებული. ისევე როგორც მნის სამაროვნის საფლავის ქვის ეპიტაფიებში აქაც, გვაქვს დაფიქსირებულია გვარები ქართული ძირებით – ოვ დაბოლოებით. აღნიშნული სამაროვნიდან მოვიყვანთ ყველაზე მეტყველ „თედოს ქალის ეპიტაფიას“ (**სურ 5**), რომელიც 1875 წლითაა დათარიღებული. ამ შემთხვევაშიც დაცულია ეპიტაფიის ტრადიცია: ტექსტში წარმოდგენილია გარდაცვლილის სახელი და გვარი, გამომშვიდობება ამქვეყნიურ სამყაროსთან, მწუხარების სიტყვები, დათარიღება და შენდობის თხოვნა. აქაც ისევე როგორც 1865 წლის წარწერაში, გარდაცვლილი „შანდობას ითხოვს“. წინა წარწერისგან განსხვავებით, ოსტატი თარიღს ძველი ქართული ანბანით წარმოადგენს ჩყო- 1875 წელი. წარწერის ტექსტი და ფოტო პირველად გამოაქვეყნა გიორგი გაგომიძემ.¹

შევარდენის ეკლესიის ირგვლივ არსებულ სამაროვანზე აღმართულია ქვის მოზრდილი ძეგლი, რომელზეც წმინდა გიორგის მხედარია ამოკვეთილი, ძეგლი დასრულებულია ჯვრით. ძეგლზე ორი წარწერაა ამოკვეთილი, პირველში დასახელებულია ჯანბულა აბაევი, რომელიც 1906 წელს გარდაცვლილა (**სურ 6**), ხოლო მეორე წარწერაში დასახელებულია წარწერის ოსტატი ტუხა (**სურ 7**), რომლის გვარი ბოლომდე არ იკითხება.

გარდა ამისა, სოფელ შევარდენის სამაროვანზე რამდენიმე ქართული წარწერაა, მათ შორის გუდიელების, იგივე გუდიაშვილების და სხვების, რომლებზეც ამჯერად არ შევჩერდებით (**სურ. 8**) (**სურ 9**).

ოქროყანის სამაროვნის ეპიტაფიები. სოფელ ზემო ოქროყანის სამაროვანზე საფლავის ქვებს შორის შეინიშნება რამდენიმე ქართულენოვანი წარწერა. სამაროვანზე მრავლადაა რუსული ეპიტაფიები, რომელთა უმრავლესობა XX საუკუნეს ეკუთვნის.

XIX საუკუნით დათარიღებული წარწერებიდან მასშტაბურია, 1874 წლის ეპიტაფია, რომელშიც გუდიაშვილის გვარი იკითხება. სამსტრიქონიანი ქართული მხედრული ანბანით შესრულებული ეპიტაფია (**სურ 10**), რომელსაც განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს, ამოკვეთილია მართკუთხად გათლილ ქვის ლოდზე. ქვის ფილის ძლიერი დაზიანების გამო წარწერის ნახევარი არ იკითხება, მაგრამ ტექსტის ზოგიერთ ნაწილში ქართული ანბანი კარგან იკითხება: „საფლავსა ამას შინა მდებარე ვარ [... ..] [გუდიაშ]ვილი ღუდა/ ძე გ[....ს]ი. გარდავიცვალე 1874 წელსა [... ..] ა წლისა/ ჩემის [ბედის] წერამა მეგონა ისე“.

ეპიტაფიის ტექსტი გრძელდება იმავე ლოდით ერთ ერთ წახნაგზე: „მომკლეს შავსა მი/წასა დავიმარხე /ვინც ესენი განიხ[ლოთ]“.

წარწერაში დასახელებული გუდიაშვილი ქართველურ გვარებში კარგად ცნობილი ონომასტიკური ერთეულია, რომელიც ზოგიერთ სოფელში გუდაევის ან გუდიევის სახით გვხვდება.

სოფელ ოქროყანის მოსახლეობის კულტურული იდენტობის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია სამაროვანზე ნაპოვნი მეორე ეპიტაფია, რომელიც ამოკვეთილია ზემოდან ორნამენტირებული ლოდის მარჯვენა წახნაგზე. ერთსტრიქონიან მხედრულ წარწერაში, რომელსაც განკვეთილობის და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს, იკითხება: „[დ]მერთო შენდობა მიბძანეთ“ (**სურ. 11**).

¹ გიორგი გაგომიძე, თრუსოს ხეობის ... 136.

სოფელი დესი, სალომე ცაბულოვის ეპიტაფია. სოფ. ზემო დესში, გიორგი გაგომიძემ გამოავლინა სამტრიქონიანი მხედრული ეპიტაფია, რომელშიც „სალუმე, იგორ ცაბულოვის მეუღლეა“ დასახელებული. სალუმე (სალომე) ქართველებთან კულტურული იდენტიფიკაციის პირდაპირი საბუთია – აცხადებს მეცნიერი.¹

სოფელი გიმარა. ბოცოვის წარწერა (სურ. 12). სოფელ გიმარას შუა საუკუნეების კოშკის ჩრდილოეთ ფასადის რიყის ქვაზე, ამოკვეთილია ერთსტრიქონიანი წარწერა. გიორგი გაგომიძის წაკითხვით: „1886 1850 (?) ბოცოვი“.²

სუატისი, ასომთავრული წარწერა ტილოზე. სოფელ სუატისში, სამების ეკლესიაში ტილოზე შემორჩენილია ზეთის საღებავით შესრულებული ასომთავრული წარწერა, რომელიც თრუსოსა და მნაში ერთადერთი, საღებავით შესრულებული წარწერაა. გიორგი გაგომიძის სწორი შენიშვნით, სუატისის ეკლესიის იკონოსტასი ქართველ მხატვარს მოუხატავს³. როგორც ჩანს, ის უბრალო ქართველი მხატვარი და კალიგრაფი არ ყოფილა, რადგან ფლობს ძველ ქართულ ასომთავრულ ანბანს, რაც XIX-XX სს. მიჯნაზე, რუსული საეგზარქოსოს პირობებში, იშვიათობა იყო. ბუნებრივია განიცდის ეპოქის გავლენას და ნაცვლად „მიქაელ“-ისა წერს „მიხაილ“.

აბანოს ეკლესიის ეპიტაფიები. თრუსოს ცენტრში მდებარე აბანოს დედათა მონასტრის ეკლესიის ეზოში არსებულ სამაროვანზე, რამდენიმე ქართულენოვანი ეპიტაფია გამოვლინდა. გვხვდება ქვის ძეგლები, რომლებიც ბოლოვდება ჯვრებით და ახლავს მცენარეული ორნამენტი. მარჯვენა ქვა ეკუთვნის სტუდენტ ცაბოლოვი სანდრო დავითის ძეს (1909-1929), ხოლო მარცხენა სტელა ცაბოლოვი აზაუს (1860-1934). იმავე აბანოს ტაძრის წინ, მარჯვენა მხარეს დგას ოთხკუთხა ქვის ლოდი, რომელზეც ამოკვეთილია 9 სტრიქონიანი, მხედრული წარწერა. ეპიტაფიის მე-9 სტრიქონზე წარმოდგენილია დათარიღება – 1882 წელი.

აბანოს მონასტრის ეზოში და მის ირგვლივ დაფიქსირებული მრავალრიცხოვანი არტეფაქტები მომავალში აუცილებელ კვლევას მოითხოვს.

ქეთრისი. მღვდელ იოსების ეპიტაფია (სურ. 13). მღვდელ იოსების ცნობილი ეპიტაფია ამოკვეთილია ქვის ლოდზე რომლის ზომებია 1,58X0,39X0,33. ოთხსტრიქონიანი მხედრული წარწერა მოგვითხრობს, რომ ეპიტაფია ეკუთვნის მღვდელ იოსებს: „სურ/გულა/ძე, ღვდელი იოსები, [...] სიც [...]/[....] [ამენ]“.

ეპიტაფია 2014 წელს აღმოჩნდა აბანოს ეკლესიის ეზოში. საფლავის გახსნის შედეგად, გაირკვა, რომ გარდაცვლილი სასულიერო პირი მოკლული უნდა ყოფილიყო, რომლის ვინაობაც, მანამდე უცნობი იყო. მღვდელი იოსებ სურგულაძის შესახებ ინფორმაცია დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის №488 ფონდში (ანაწერი 1, საქმე № 20666, 1863 წელი) დოკუმენტს მიაკვლია ჩვენი ჯგუფის წევრმა გვანცა ბურდულმა. დოკუმენტი რომელიც ნათელს ჰფენს მღვდელი იოსების ვინაობას, მისი მოკვლის მიზეზს და გამოძიების მსვლელობას. (იხილეთ დოკუმენტი წინამდებარე ნაშრომის დანართში „მღვდელ იოსებ სურგულაძის საქმე“). აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით მღვდელ იოსების წარწერა 1863 წლით თარიღდება.

¹ გიორგი გაგომიძე, თრუსოს ხეობის... გვ. 137.

² გიორგი გაგომიძე, თრუსოს ხეობის... გვ. 138.

³ გიორგი გაგომიძე, თრუსოს ხეობის... გვ. 138.

საქართველოს საპატრიარქოს გადაწყვეტილებით, მღვდელი იოსებ სურგულაძის ცხედარი აბანოდან გადასვენეს სოფელ ქეთრისის თორმეტი მოციქულის სახელობის მამათა მონასტერში, სადაც დიდი პატივით დაკრძალეს.

ამ ეტაპზე თრუსოს და მნის ხეობებში გამოვლენილია ოცზე მეტი წერილობითი ძეგლი, თუ მას დავუმატებთ თრუსოს სტელის წარწერას და თრუსოს მთავარანგელოზის ეკლესიის კარის თავზე, ოდესღაც არსებულ ქართულ წარწერას¹, რომელიც გადმოცემითაა შემონახული, რეგიონში იდენტიფიცირდება 24 ქართული წარწერა. მათი უმრავლესობა მხედრული ანბანითაა შესრულებული და პალეოგრაფიულად მიეკუთვნება საქართველოს მთის რეგიონის ეპიგრაფიკული ძეგლების ანბანებისთვის დამახასიათებელ ლოკალურ ვარიანტს.

წარწერების ზოგადი დახასიათება ასეთ სახეს მიიღებს: რეგიონში გვხვდება მხოლოდ ქართული და რუსული წარწერები. ქართულ წარწერებს შორის არის საამშენებლო ხასიათის ძეგლები და საფლავის ქვის ეპიტაფიები. მათი ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი X საუკუნეა, ზედა ქრონოლოგიური ზღვარი XX საუკუნის დასაწყისი.

ექსპედიციის დროს მოძიებულ მასალაში გვაქვს, როგორც ასომთავრული, ასევე მხედრული დამწერლობით შესრულებული წარწერები და რამდენიმე განუსხურებული გრაფემა. მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეების ქართული წარწერები მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ამ ეპოქაში სხვა წერილობითი კულტურა, გარდა ქართულისა, რეგიონის ეპიგრაფიკაში არ იკითხება. გაცილებით მეტი ქართულენოვანი წარწერა XIX საუკუნის საფლავის ქვის ეპიტაფიების სახით, რაც მოსახლეობის კოლექტიური კულტურული იდენტობის მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს. მოცემული მასალა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ თრუსო იყო ქართული წერილობითი კულტურის გავრცელების არეალი. უფრო მეტიც, პალეოგრაფიული თვალსაზრისით, თრუსომ, როგორც საქართველოს მთის ისტორიულ-გეოგრაფიულმა რეგიონმა ქვის კალიგრაფიული სკოლის თავისებური, ლოკალური ვარიანტი შექმნა, რომელიც მთის რეგიონისთვის არის დამახასიათებელი. ამ ლოკალური ვარიანტის გამოძახილია თრუსოს სტელის მხედრული წარწერა და თრუსოსა და მნის ხეობების მომდევნო პერიოდის მხედრული ანბანით შესრულებული წარწერები ამ წარწერის ანბანის მინაბაძს წარმოადგენს.

რაც შეეხება რუსულენოვანი წარწერებს, ისინი მხოლოდ საფლავის ქვის ეპიტაფიებია, დათარიღებულია XIX საუკუნის 60-იანი წლების მომდევნო ხანით, მაგრამ ძირითადად საბჭოთა პერიოდის წარწერებია.²

თრუსოს წერილობით კულტურაში გამოვლენილი ლოკალური თავისებურებები და პალეოგრაფიული მახასიათებლები შეიძლება შემდეგი სახით დავაჯგუფოთ:

- ძეგლების აბსოლუტური უმრავლესობა, მცირე გამონაკლისის გარდა, მხედრული დამწერლობითაა შესრულებული, თუმცა გვაქვს ასომთავრული და ნუსხურნარევი მხედრული წარწერებიც;

¹ თანახმად, გადმოცემისა შენობის აგებისას 330 ფუთი მარილი დახარჯულა, გიორგი ბაგრატიონი. თრუსოს არქიტექტურული ძეგლები, გვ. 155. ეს გადმოცემა სიმართლე უნდა იყოს, რადგან საქართველოს სხვა რეგიონებში გამოვლენილ წარწერებში გვაქვს მსგავსი შინაარსის მქონე ტექსტები, რომლებიც ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ მოგვითხრობენ.

² ექსპედიციის დროს XIX საუკუნის 60-იან წლებზე ადრინდელი რუსული წარწერები ვერ მოვიძიეთ. ძირითადად, XX საუკუნის წარწერებია.

- X საუკუნისთვის თრუსოს რეგიონის ქართულ წერილობით კულტურაში, ჯერ კიდევ დომინანტური უნდა ყოფილიყო ქართული ასომთავრული ანბანი და მოგვიანებით შემოდის მხედრული ანბანი.
- პალეოგრაფიული თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს რეგიონის მხედრული ანბანით შესრულებულ წარწერების თავისებურებები, მაგალითად მხედრულისთვის დამახასიათებელი ოთხხაზოვანი საწერი ბადის ნაცვლად გვხვდება ორხაზოვან საწერ ბადეში განთავსებული ტექსტები. ეს თავისებურება ვლინდება საქართველოს მთის რეგიონების ეპიგრაფიკაშიც (ხევი, სვანეთი, სამცხე).
- განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თრუსოს სტელის ქართული ანბანით შესრულებული წარწერა, რომელიც ასოების მოხაზულობით, გრაფიკათა სტილიზაციითა და სხვა მაიდენტიფიცირებელი ფორმებით, ანალოგებს პოულობენ სვანეთის, ჯავახეთის რაჭის და საქართველოს მთის რეგიონების სხვა წარწერებთან. ზოგადად, მთის რეგიონების წერილობით კულტურაში გამოვლენილი მცირე ლოკალური ვარიანტები ცნობილია ძველი ანბანების განვითარების ისტორიისთვის.
- როგორც ჩანს, თრუსოს და მნის ხეობების წერილობითი კულტურა შუა საუკუნეებში ქართულენოვანია, მაგრამ რუსეთის იმპერიის შემოსვლის შემდეგ, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ვითარება ნელ-ნელა იცვლება და ქართულ დამწერლობა თანდათან კარგავს ფუნქციას და ადგილს უთმობს მანამდე რეგიონისთვის უცხო დამწერლობას, რომელიც XX საუკუნეში, განსაკუთრებით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დომინანტურ ფუნქციას ასრულებს.

თრუსოს წერილობითი ძეგლების შესწავლისას გამოვლენილი პრობლემები:

- თრუსოს ხეობის ეპიგრაფიკული ძეგლების სრული კატალოგის შექმნის აუცილებლობა, რაც თვალნათლივ დაგვანახებს რეგიონში წერილობითი კულტურის თანდათანობით კორელაციისა და ცვლილების სურათს. კატალოგის შექმნა ხელს შეუწყობს ეპიგრაფიკულ ძეგლებში წარმოდგენილი ტოპონიმის, ონომასტიკური და სხვა სახის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევების გაფართოებას.
- ახალი ეპიგრაფიკული ძეგლების მოძიების მიზნით, არქეოლოგიური გათხრების ჩატარების საჭიროება. ზოგადად, ეს მხარე უნდა იქცეს ინტენსიური არქეოლოგიური კვლევა-ძიების ობიექტად. ვფიქრობთ, ეს სამუშაო გაცილებით მეტ ეპიგრაფიკულ ძეგლს გამოავლენს. პირველ რიგში, არქეოლოგიური სამუშაოები უნდა ჩატარდეს ეკლესიებსა და ნაეკლესიარ ადგილებში;
- აუცილებელია, ძველი სასაფლაოების, განსაკუთრებით მნის ღმრთისმშობლის წინ არსებული სამაროვანის, ასევე თრუსოს ხეობაში მდინარე თერგისა და სუატიის შესართავთან შემადგენელ გორაკზე წარმოდგენილი ძველი სამაროვანის, ოქროყანის სამაროვანის არქეოლოგიური შესწავლა, რაც მრავალ საინტერესო საკითხს მოჰფენს ნათელს.

თრუსოს ხეობაში საუკუნეების მანძილზე მიმდინარე მოსახლეობის ცვლილებების დინამიკა, ბუნებრივია აისახა რეგიონის წერილობით კულტურაში, რომელიც სხვადასხვა საუკუნეში, სხვადასხვა სიხშირით, ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი. მიუხედავად ამ ცვლილებებისა, თრუსოში დომინანტური იყო ქართული დამწერლობა და ქართული წერილობითი კულტურა, როგორც ამ მხარის მოსახლეობის კოლექტიური კულტურული იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი.

დასკვნა

თრუსოს მოსახლეობის კოლექტიური კულტურული იდენტობის შესწავლის პროცესში გამოვლინდა იმ იდენტობათა ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც ასახულია რეგიონის შესახებ არსებულ ძირითად წყაროთმცოდნეობით ბაზაში.

ჩვენმა სამწლიანმა კვლევამ გამოავლინა რეგიონის მოსახლეობის კულტურული იდენტობის ფენომენისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის ნიშნები: ძველი ისტორიული ნარატივი, ტრადიციები, ენა, რელიგია, წეს-ჩვეულებები, ისტორიული არტეფაქტები და სხვა. მიუხედავად, საუკუნეების მანძილზე გამოვლილი სასაზღვრო მხარისთვის დამახასიათებელი რთული ისტორიისა, თრუსოს ხეობამ შეინარჩუნა და დღემდე შემოგვინახა ქართველთა წინაპრების მიერ შექმნილი იდენტობის ძირითადი მახასიათებლები: თავდაცვითი და საცხოვრებელი ნაგებობები ტრადიციული, ქართული კულტურული სამყაროსთვის დამახასიათებელი ფორმებით, წერილობითი ტრადიცია, ქართული ანბანით შესრულებული წარწერები, რომელთა ასოების მოხაზულობა, გრაფიკათა სტილიზაცია და სხვა მაიდენტიფიცირებელი ფორმები ანალოგებს პოულობენ სვანეთის, ხევის, ჯავახეთის და საქართველოს მთის რეგიონების სხვა წარწერებთან. აღსანიშნავია, რომ მთის რეგიონების წერილობით კულტურაში გამოვლენილი მცირე ლოკალური ვარიანტები დამახასიათებელია და ცნობილია ძველი ანბანების განვითარების ისტორიისთვის. თრუსოში არსებული საერო და საეკლესიო არქიტექტურის მრავალსაუკუნოვანი ფორმები, რელიგიური იდენტობა და განწყობები, მცირე ფორმის არტეფაქტების ერთიანობა ქმნის მოსახლეობის მთავარ კულტურულ ფასეულობათა საერთო სურათს.

თრუსოს ხეობიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიგრირებული მოსახლეობა, მათ შორის ოსები, დღეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ისტორიულ მხარეში ცხოვრობენ და აქტიურად არიან ჩართულნი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. წარმოდგენილი არიან სახელმწიფო მმართველობაში, მეცნიერებაში, სპორტში, ბიზნესსა და სხვადასხვა სფეროში. მონაწილეობენ ქვეყნის თავდაცვაში, საქართველოს წარმოდგენენ სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრებსა და მოლაპარაკებებზე, სამეცნიერო ფორუმებსა და სპორტულ შეჯიბრებებზე და მათ უმრავლესობას საქართველო საკუთარ სამშობლოდ მიაჩნია. გულწრფელად ვამბობთ, უხერხულიც არის თამარ მეფისა და დავით სოსლანის, ბორენა და ბორდოხან დედოფლების შთამომავალ ქართველებსა და ოსებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე, ყმადნაფიცობის ერთგულების ფიციტ ვიყავით შეკრულნი და ჟამთა სიავს გამოვატარეთ ჩვენი ქვეყნები, დღეს მშვიდობის აუცილებლობაზე რომელიმე სხვა ძალა გვესაუბრებოდეს.

P.S. 2021 წლის 18 სექტემბერს, ჩვენმა ექსპედიციამ მიმწუხრზე დატოვა თრუსო, დავემშვიდობეთ კლდის ქარაფებსა და მთის გორაკებზე არწივის ბუდეებით შეფენილ მეწამულისფერ სოფლებს, „მნის ქვეყნის“ დევგმირებსა და წინაპართა სარკოფაგებს, კიდეც ერთხელ ნაღვლიანი მზერით გავხედეთ ჩვენი ქვეყნის ულამაზეს მხარეს, რომელიც თავისი წარსულით გვაფრთხილებს და გველოდება როგორც საქართველოს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რეგიონი და ქართულ-ოსური კულტურული დიფუზიის არეალი. გველოდება ბედნიერ, წარმატებულ, ხეობის წარსულსა და მომავალზე მზრუნველ ადამიანებს.

დანართები

1. ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიული დოკუმენტები თრუსოს შესახებ

**ა) 1780 წლის 5 ივლისის აღწერა თრუსოს სოფლებისა (ანოტაცია და დოკუმენტი)
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
დოკუმენტი Hd-3906**

1780.VII.5. – აღწერა თრუსოს სოფლებისა.

აღწერილობა: საბუთი დაწერილია თეთრ უჭირნიშნო ქაღალდზე, ყავისფერი მელნით, ორ სვეტად, დაწერილია გარკვეული ხელით.

ქკს უფ [1780], ამ წლის მკათათვეს ე, თრუსოელის ოსების პირით და აზნაურ შვილების დასწრებით. თრუსოს სოფლები და იქაური საკომლოები, ეს საერთო უჭირავს ამას ქვეით სახელო სახელდობრ (sic) დაიწერა და ასრეთვე წლის დებულობა.

რემის სოფელში რამთენი საკომლოც არის

- ა.ქ. ქაშია შვილს(sic) ბარის უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. გაბულის შვილი(sic) მარიმშას უჭ[ირ]ავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ქალმანის შვილს ჯუბათას უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ჯავას შვილს დოდას უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ყოყაის შვილს ან ყოყოის შვილს ერაბის უჭირავს მამული საკომლო ერთი

ტეფს სოფელში რამთენი საკომლოც არის

- ა.ქ. ხათის შვილს უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ჯანიგის შვილის(sic) თოლს(sic) უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. თემურის შვილს ხაგუჯს უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ჯაბაის შვილს ქოქოს უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. კაჟირის შვილს ჯანდარს ან ჯანდორს უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ჯილოს შვილს უჭირავს მამული საკომლო ერთი

გიმარას სოფელში რამთენი საკომლოც არის

- ა.ქ. ბუსალის შვილს ლიშიყოს უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ხოსთუყოს შვილს ახშოლადს უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. სეჟაის შვილს მეცხის უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ბეროის შვილს გალოის უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. გუსალის შვილს მარიმყუსს(sic) უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ბეროზის შვილს ალაგუყოს უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ბოჩოს შვილს ბიდარს უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ბარსაგის შვილს გიოს უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. კომას შვილს ბეზასა(sic) უჭირავს მამული საკომლო ნახევარი
- ა.ქ. კომას შვილს ძელავს(?) ან ხელავს(?) უჭირავს მამული საკომლო ნახევარი
- ა.ქ. თორქინის შვილს გავდინა(sic) უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ჩაქულის შვილს ჯანდორას უჭირავს მამული საკომლო ერთი

ყაყიდურის¹ სოფელში რამთენი საკომლო არის

- ა.ქ. თავას შვილს ამირანს უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ბულაჩის შვილს ბიზას უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. თაზას შვილს გარის უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ყოსქას შვილს ზაზოს უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ჯანთის შვილს გუს უჭირავს მამული საკომლო ნახევარი
- ა.ქ. ჯანთის შვილს ქუქუს(sic) უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. თავას შვილი(sic) გალას უჭირავს მამული საკომლო ნახევარი
- ა.ქ. ურთაშვილს(sic) საქუჯს უჭირავს მამული საკომლო ერთი

ყარათყავს სოფელში რამთენი საკომლოც არის

- ა.ქ. აღეს შვილს თადის უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. კუმალაგის შვილს ქუჯანა(sic) უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ჯუქოს შვილს რევაზს უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ქაუდის შვილს გალას უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ბეჟას შვილს ყანბოლაღს(sic) უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ.ჩალაგის შვილს ამირანა(sic) უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ურთას შვილს გაბილას უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ბულაჩის შვილს კაბილას უჭირავს მამული ნახევარი საკომლო
- ა.ქ. გულაჩის შვილი(sic) ბისტის უჭირავს მამული საკომლო ერთი

დენცეს სოფელში რამთენი საკომლოც არის

- ა.ქ. ხამიჩის შვილს ყარაჩას უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ჯოის შვილს გაგის უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. სავჯაჩის შვილს თოთარს ან თოთორს(?) უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. არას შვილი(sic) ვახთონგს(sic) უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. თათარას შვილს ხოსროს უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ხამიჩის შვილს ბეღანა(sic) უჭირავს საკომლო მამული ერთი

ქვეით დენცის სოფელში რამთენი საკომლოც არის

- ა.ქ. მირიქის შვილს ჯუბათას უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. სალბის შვილს ბერას უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. სალბის შვილს ბაღათარს უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ხამიჩის შვილს დიქოს უჭირავს მამული საკომლო ერთი

ჯახა გორის (sic) სოფელში რამთენი საკომლოც არის

- ა.ქ. ბიბის შვილს მახას უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. კარითის შვილს თუქუს უჭირავს მამული საკომლო ერთი

საოტის სოფელში რამთენი საკომლოც არის

- ა.ქ. ელოს შვილი გავდინ ერთის საკომლო მამულით თარხანი
- ა.ქ. ბაჩის შვილს ივას უჭირავს მამული საკომლო ერთი

¹ სოფელი ყაყიდური იგივე ცოცოლდა/ჩოჩოლდა უნდა იყოს – ნ.შ.

- ა.ქ. ასანბეგის შვილს სიხას უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ქალომის შვილს ვარმიყას(sic) უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. თოქოს შვილს დახჩის უჭირავს მამული საკომლო ერთი

აბანოს სოფელში რამთენიკა საკომლო არის

- ა.ქ. ურთაის შვილს ჯანდარს უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ჩაბოლის შვილს ქუჯის უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ბიზიეს(sic) შვილი(sic) დათის უჭირავს საკომლო ერთი თარხანია(sic)
- ა.ქ. ქუჯის შვილს ჯათის უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. ბილყანის შვილს (ან ბილოყანის შვილს) ქუჯოის(sic) უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. სირდის შვილი(sic) ხაგუჯს უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. საპის შვილს ოთარას უჭირავს კომლი მამული ერთი

ქეთერის სოფელში რამთენი საკომლოც არის

- ა.ქ. ყაზის შვილს გეს(sic) უჭირავს საკომლო მამული ერთი
- ა.ქ. ბოლას შვილს ტაროს ან ტარას უჭირავს საკომლო მამული ერთი
- ა.ქ. ჯაჩოს შვილს ბაიამათს უჭირავს საკომლო მამული ერთი
- ა.ქ. დიდის შვილს საფარალის უჭირავს საკომლო მამული ერთი
- ა.ქ. ბისლანის შვილს ჯეეს უჭირავს საკომლო მამული ერთი
- ა.ქ. თუძას შვილს ბალათუყოს უჭირავს საკომლო მამული ერთი
- ა.ქ. გუშალას შვილს ბათიას უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. არჩილის(sic) შვილი(sic) მისთალს(sic) უჭირავს მამული საკომლო ერთი
- ა.ქ. დირთის შვილს ყარაჯას უჭირავს მამული საკომლო ერთი

/ოთ/ [79] ჯამი საკომლოსი

ქვემოთ აწერია: „ქ. არაგვს საერისთაოს სალეკოთ აღებულის ნუსხებია, რომლის აულებს ანგარიში არ მოუციათ“

ბ) 1793 წლის 14 ივლისი. ვახტანგ ბატონიშვილის ვალის გადამხდელთა სია (ანოტაცია და დოკუმენტი)

საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

ხელნაწერთა ფონდი – დოკუმენტი 16640-ბ.

აღწერილობა: დაწერილია შუაზე გაკეცილ ჭვირნიშნიანი მწვანე ქაღალდზე, საბუთი დაზიანებულია.

სია საკმაოდ დიდია, წარმოვადგენთ შემოკლებულ ვარიანტს, ვტოვებთ მთიულეთიდან, გუდამაყრიდან, ჭანდოდან, ქართლიდან, კასპიდან, წილკნელებისგან აღებულ ნარბევთა სიას.

ქ. ქკს. უპა ივლისის იდ ბატონის შვილი ღუშეთს მობრძანდა და ამ რიცხვიდამ რაც შერთი¹
და ან ნარბევი და ან დებულობა აიღება აქ დაიწერება.

ილ. ქ. ჩხუტიაშვილები და ბიჩლინგაურები დაირბენ, ამათი იასაული ბეჟან ბოქაული იყო.
ძროხა გამოერთვათ ილ. აქედამ ერთი ბოქაულმა აიღო და სხვა კარიაულს მიბარდა, ბეჟანის
მარიფათით აქედამ „ა“ ბასილმა აიღო.

კო. ქ. კიდეუ ეთვალელნი დაირბივნენ, ამათ გამოერთვათ ძროხა კმ, იასაული ბოქაულიძე
ასან იყო და იმან იცის, ორი ბოქაილმა (sic) აიგვანა (sic) ერთი ნაზირმა სესხში მისცა, „ა“
ეპატია.

ა) ქ. ამ თვის კბ (sic) მოერთვა ვერძი ერთი, გუდამაყრელმა ბუბნაურმა დავითამ მოართო.

ა.ქ. ამავე დღეს ფარეშმა დემეტრემ მოართო ბატკანი.

ა.ქ. ამავე დღეს ნადიბაიძე ელობამ მოართო ბატკანი. ამა დღეს მოართო...² ცხვარი.

ქ. ამავე დღეს ყოყოშვილმა მოართო გავა-დუმა,

გ.ქ. ამავე დღეს ზვარა მოერთო მთიულეთიდან.

ქ. ამავე დღეს ორაგული მოერთო ორი.

აა ქ. ამ თვის კმ. გუდამაყრელმა ჩოხლებმა მოართვეს ძროხა ერთი და ცხვარი ერთი.

ქ. ამავე დღეს მოერთო ორი გვერდი.

ფქ. ამ წლის ჭური (sic) საადღგომო მოებარა თუჯისა, ფეხად ცხვარი სამოცდა ექუსი.

ქ. პავლეურის ნარბევი ვ. ძროხა ხოდაბუნში დაიკლა.

ქ. ბექაურებმა მოართვეს ჭარი ერთი – სესხში მიეცა.

ვ.ქ. ჩხუტიაშვილის და ბიჩლინგაურების ნარბევიდამ „გ“ ხოდაშენში დაიკლა. ორი
სალთხუცეს ბარათი ქონდა იმის მიეცა, ერთი თანიაშვილის სესხში მიეცა, ერთი – ფავლეზა
ოს სესხში მიეცა, ექუსი თუჯის მიბარდა, დარჩა ხუთი.

ილ.ქ. ეთვალური ნარბევი თუჯის მიბარდა...

ქ. კობელებმა მოართვეს ერთი ცხვარი – თუჯის ბიჭს მიბარდა და ოთხი ყველი – ასას
მიბარდა.

ქ. თექუთამან (sic) ფიცხელაურმა მიართო გვერდი – ასას მიბარდა.

ქ. მნაველმა ბიასიშვილმა მოართო ცხორი „ა“.

ქ. შავარდნელებმა მოართვეს ძროხა ერთი – თუჯას ბიჭს მიბარდა.

ქ. ყოყოშვილმა მოართო გავა-დუმა – ასას მიბარდა.

ქ. უკანა მნაველთ მოართვეს ერთი ძროხა – თუჯას მიბარდა.

ქ. ქეთერისელმა მიწბალათ მოართო ერთი ყველი და ერთი ლორი და ასას მიბარდა.

ქ. დენცელებმა მოართვეს ერთი ძროხა და თუჯის მიბარდა.

ქ. ხურის შვილმა მოართო ორი ლორი – ასას მიბარდა

ქ. ჩოჩორელმა (sic) ოსებმა მოართვეს ცხვარი „ა“ – თუჯის მიბარდა

ქ. ყაყიდურელებმა მოართვეს ცხვარი „დ“ – თუჯის მიბარდა.

ფ.ქ. წამალაიძის მორთმეული ღვინო მიბარდა მეღვინეს თუნგ (sic).

ქ. თრუსო (sic) – მოერთო რვა ყველი, სამი ლორი. მეშრბათეს (sic) მიბარდა და ხაბაზს.

თრუსოს ბეგრისა მიბარდა თუჯის ფეხად ცხვარი ორა[ს] თექუსმეტი (sic).

ქ. ძროხა მიბარდა ფეხად ოცდაერთი.

ქ. ნაბადი მიბარდა ათი ათცხურალი (sic).

ნ.ზ. ქ. თრუსოელი სავახშმო მიბარდა ცხვარი ორმოცდა ცხრამეტი...

¹ შერთი – პირობა <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=30&t=10035>

² რაოდენობა გამოტოვებულია.

2. საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის ფონდის საარქივო მასალები (დოკუმენტები)

კერძო ხასიათის სხვადასხვა საარქივო მასალა

საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის №488 ფონდში დაცულია სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტები, რომლებიც თრუსოს ხეობის მოსახლეობის ყოფითი ცხოვრების ამსახველ საკითხებს ეხება. დოკუმენტებს წარმოვადგენთ დედნისეული ენით.

დანართი №1

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი №5172, გვ. 9

მისს მაღალუსამღვდელოესობას, უწმიდესის სინოდის წევრს მაღალ ყუდ უსამღვდელოესს, არხიეპისკოპოსს ქართლისა და კახეთის და სრულიად საქართველოს ექსარქოსს და მრავალ ორდენტა კავალერს

კობის სამრევლოს მღვდლის და ბლადოჩინის ეკსტატე ფეიქრიშვილის

რაპორტი

მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს მაღალს ყუდ უსამღვდელოესობას თქვენი რომელიც სცხოვრობენ სამრევლოსა შინა ჩემსა შტატის უწყების მრევლნი ვინაც იქმნებიან რვა ანუ ცხრა კომლამდის აღებულნი ჩემს სამრევლოებსა შინა ოქროყანასა სოფელში, აგრეთვე შევარდენის სოფელში, აგრეთვე სხვა სოფელში თითო ოროლი კომლი შიგა და შიგ არეულნი რომელნიცა მაწუხებენ მე მიზეზისა გამო მღვდლის მათსა სიშორისა, რომელნიც იქმნება მათი მღვდელი მათზედა იგის ვერსისა და საჭიროებისა მათისა დროზედ ვერ პოვებენ მღვდელს და მით მოკლებულნი არიან სამღვდელოების მოქმედებას. ამისთვის რამეთუ ვისმე გაუჭირდება ჩემთან მიილტვიან საზიარებლად ანუ დასამარხავად და ითხოვენ დიდის ვედრებით სიონის პრიხოდის მღვდლის შიო ფაჯიშვილის ნაცვლად აღვუსრულო მათ მრევლთა სამღვდელოების წესი, ხოლო ვინაითგან მე არა მყავს საკმაო მრევლი და მას მღვდელს შიოს უჭირამს ორი დიდი მეტრი და არ შემძლებელ არს მსახურის მათ სიშორისა გამო მრევლისა ანუ აქამომდე მისწვდეს, რომელსაც ყავს სოფლები სიშორის, ასე რომელიმე ოც ვერსტზედ და რომელიმე ნაკლებ და სოფლები მას მღვდლისა დაფანტვით აქვს ... და მასზედა არა ინებებსა თქვენი მაღალ მეუფება მომენდოს მე ვინაიდგან ჩემს სამრევლოს სოფლებში დგანან და იმყოფებიან დასახლებულნიცა მოსურნე არიან და როდესაც გაუჭირდებათ ჩემთან მიილტვიან და მთხოვენ დიდის ვედრებით მე ვიყო მათი და ხალხნი ერთობლივ ჩემნი სამრევლონი და მათ ამაზედა კანონიერის საბუთი მეშინან მღვდლის ფაჯიშვილისა, რომ საყვედური არა მომაცენოს რა და არცა არა ვუწყი, საიდან სად მოეწერათ აგრეთ შორს სამრევლოზედ თითო ოროლი კომლი და გამოერჩევათ ჩემს სამრევლოთგან და სხვა სამრევლოზედ მოეწერათ და მათ ხალხისაგან ვარ შეწუხებულნი მოსვლის თხოვნისაგან, რადგან ახლოს ვდგევარ ჩემს სამრევლოში და ისინიცა წუხან მღვდლის სიშორისა და ან თქუენის მაღალ მეუფების ნება აღსრულდეს თუმცა არა მომენდომება ეს ზემოხსენებულნი ებრძანოს, რომე ნულარ შემაწუხებენ, ნურც მთხოვენ შიო ფაჯიშვილის მაგიერათ თანამდებობის აღსრულებას.

ბლადოჩინი ეკსტატე ფეიქრიშვილი

დანართი №2

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი №6469, გვ. 8

**მის მალაღუსამღვდელოესობას ევგენი არხიეპისკოპოსს ქართლისა და კახეთისა
ბლაღოჩინის დეკანოზის შიო დვალიშვილისაგან**

რაპორტი

ბრძანების ძალით თქვენს მალაღ ყუდ უსამღვდელოესობას 14 ამა ოკდომბრიდან №841 უმდაბლესად მოვახსენებ თქვენს მალაღ ყუდ უსამღვდელოესობას რულ კობის სამრევლოს მღვდელი მიხაელ რაზუმოვი ჯერეთ არ მოსულა ვლადიკავკაზში და არ წაუყვანიათ თავისი სახლობა ვლადიკავკასიიდან დასასახლებლად თვის კრების სამრევლოში.

ბლაღოჩინი დეკანოზი შიო დვალიშვილი
24 ოქტომბერი, 1840

დანართი №3

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი №5980, გვ. 3-4

მის მალაღ ყუდ უსამღვდელოესობას უწმიდესის მმართველის სინოდის ჩლენს მალაღ ყუდ უსამღვდელოესს ევგენი არხიეპისკოპოსს ქართლისა კახეთისა და სუდ საქართველოს ექსარხოს და კავალერს

კობის ეკლესიის მღვდლის ბლაღოჩინის ევსტატე ფეიქრიშვილის

რაპორტი

მაქვს პატივი და მოვახსენო და გამოვუცხადო თქვენს მალაღ მეუფებას თრუსოს აბანოს სოფელში მცხოვრებლის მანგა ჩაბლაშვილს მიუცია თავისი ბიძაშვილის ამირხანის ქალი მარიამი, ნათლობის სახელი და ოსურად ხარა, ცოლად ვლადიკავკაზის უეზდის სოფელსა ... ხამიშვილს მახამედა ჩალაგირისთვის ჩყლთ-ს (1839) წელში და უთქვამს მას ხსენებულს ჩალაგიროვს ქრისტიანი ვარო. დაუტევნია ქალი და დავიწერ ჯვარსაო და ამაში მოწმეებიც დაუსწრიათ, აბანოს მცხოვრები თითრაჯა ხემირზაშვილი და იქიდან აქამომდე ეს კაცი მახამათა თათრობს და არც იმას აყენებს ქრისტიან სარწმუნოებაზე.

ყუდ უსამღვდელოესო მეუფეო, რადგანაც ის ქალი მარიამ (ხარა) მიუცია ბიძამის, ვინაიდგან ობოლი ყოფილა და ძმებიცა წვრილი ყოლია იმ ჟამად, ეხლა ეს ძმები ჩივიან ჩაბილოშვილი მაჯავა და ამისი ძმა გაგო თუმცა ძალით წაიყვანა ჩუენი და ხარა-მარიამი ქრისტიან სარწმუნოებაზედ მოინათვლის და ჯვარი დაიწეროს პირისამებრ, და თუ არა განთავისუფლდეს, რომელ ჩუენი და თათრის სარწმუნოებაზე არ მიგვიციაო, რომელ მეორე ცოლიცა ეხლა მოიყვანა და ჩუენი და ხასათ ყავსო, რომელსაცა ეს ჩაბლოშვილები ჩივიან დას მარიამ ხარას გათათრებას უპირებსო და არ გავათათრებინებთო, პირობა ეგრე არ გვიქმნია. ამასაზედ მივწერე ვლადიკავკაზის დეკანოზს და ბლაღოჩინს შიო დვალიშვილს და მასთან გავაგზავნე ორნი ძმანი, უკეთუ მონათლეს და ჯვარი დაიწერეს პირობისამებრ, ცოლათ ჰყვანდეს და თუ უკეთუ არა მონათლოს და ჯვარი არ დაიწეროს განემორებინათ და განაშოროთ: „რა არ გაათათრონ და სასჯელი არ დაატეუებინონ. მას მიუწერა ხუმალაგის მღვდელი დიმიტრი კაზელავენთან და ძმები მისნი წასულ იყვნენ თავის დას მარიამთან და მას მარიამ ეთქვა თავისი ძმებისთვის – თუ ამ თათრის ხელიდამ გამათავისუფლებთ,

რომელსაც მიპირობენ და მაიძულებენ რა მიმადებინონ მახმადის სარწმუნოება და დამაგდებინონ ქრისტიანული სარწმუნოება, თუმცა გამათავისუფლებთ კარგია თუ არა ცოდვაც თქვენი იყოს და თავს დავიხრჩობო. ეს შეეცყო ხარას მამამთილს ხაზიმოვს, როგორ თუ ამის ძმანი მოსულან აქაო და გამოსდგომოდნენ უკან ცხენებით რამოდენიმე კაცნი, გაედარცვათ და მრავალი ეცემათ ხარას ძმებისთვის. წასულიყვნენ ვლადიკავკაზს და პრისტავთან ეჩივლათ და არა ვისმე სამართალი მიეცათ პრისტავს, ხოლო იწერება ჩემს ატნოშენიუზედ პასუხი შიო დვალიშვილი... მიეწეროს ვლადიკავკაზის კომენდანტს შირიკოვს, რომელ მახამეთა ჩალაგროვი თუმცა მოინათლება და ჯვარს დაიწერს მიეცეს ცოლად, თუ არა ებრძანოს, რომ გაათავისუფლონ ქრისტიანი მახმათის ხელიდამ, რათა არა დაარღვიონ სჯული და ერთი სული დაუფარონ და არ წარწყმიდონ ღირსება, რომელი იქიდგან აქამომდე არის მწუხარებასა შა თათრების ხელში ქრისტიანი ქალი (ხარა) მარიამი და არავინ ჰყავს შემწე თვინიერ თქუენს მაღალ მეუფებისა მეტი.

გთხოვთ, ყდ უსამღვდელოესო მეუფეო მისწერეთ საჩქაროთ ვლადიკავკაზის კომენდანტს შირიკოვს რა განაშოროს ხსენებული ქრისტიანი ქალი ხარა მახამეთა ჩალაგროვს, რომელ უსჯულო არს...

1839 წელი, ივნისის 25

დანართი №4

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 488, ანაწერი 1, დოკუმენტი №11652, გვ. 9
აბანოს სამრევლოს მღვდლის მოსე ჩიხლაძის თხოვნის გამო
მაღალ ყდ უსამღვდელოესო მეუფეო უმოწყალესო მწყემსმთავარო!

ოსეთის სასულიერო კომისიის აბანოს სამრევლოს მღვდლად ყოფილმა მოსე ჩიხლაძემ ითხოვნა ჩემგან ნება წამოსვლისათვის მისისა ქალაქს თფილისს განსაცხადებლად თქუენს მაღალ ყდ უსამღვდელოესობასთან, განმართლებლად თავისა თავისა ზედა, რომელი იგი თხუთმეტის დღის ვადით განშორებულიყო იქაურის ადგილობითის ბლაღოჩინისაგან პურის მოსატანად, ხოლო განსვლამდე თხუთმეტის ვადის ესე ჩიხლაძე შეპყრობილ ქმნილი სნეულებისაგან რაისა გამო დაშთენილა ვიდრე აქამომდე თავის სამშობლოს სახლში. სჩანს რა მას დაშთენილი სისუსტე შეხთომილს მისადმი სნეულებისაგან და მასთანავე სიმართლე სიტყვიერების მითხრობისა მისისა, ვიდრე აღუკრძალე მას ჩიხლაძეს წამოსვლა თქუენს მაღალ ყდ უსამღვდელოესობასთან განსამართლებლად თავისა თავისისა მაქვს პატივი უმორჩილესად მოხსენებად თქუენის მაღალ ყდ უსამღვდელოესობისადმი.

ჭეშმარიტ მაღალი პატივისცემითა და სრულითა ერთგულებითა მაქვს პატივგებად თქუენის მაღალ ყდ უსამღვდელოესობასა უმოწყალესის მწყემსმთავრისა უმორჩილესსა მომსახურე ეპისკოპოსი მენგრელთასა ანტონი
1846 წელი, 26 აპრილი

მღვდელ იოსებ სურგულაძის საქმე

2014 წლის 18 ოქტომბერს თრუსოს ხეობის სოფელ აბანოს წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში, სასულიერო პირების მიერ მიკვლევული იქნა მღვდელ იოსების (საფლავის ქვაზე დატანილი იყო მხოლოდ სახელი – „მღვდელი იოსები“) საფლავი. საფლავის გახსნის შედეგად, გაირკვა, რომ გარდაცვლილი სასულიერო პირი მოკლული უნდა ყოფილიყო, რომლის ვინაობაც, საქართველოს საპატრიარქოსა და ადგილობრივ ეპარქიაში მოღვაწე მღვდელმსახურებისთვისაც დიდი ხნის განმავლობაში უცნობი იყო.

ჩვენი ჯგუფის მიერ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის №488 ფონდში (ანაწერი 1, საქმე №20666, 1863 წელი) მიკვლულ იქნა დოკუმენტი, რომელიც ნათელს ჰფენს მღვდელი იოსების ვინაობას, მისი მოკვლის მიზეზს და გამოძიების მსვლელობას. დოკუმენტს მნიშვნელობიდან გამომდინარე წარმოვადგენთ სრულად.

ამჟამად მღვდელი იოსების ცხედარი აბანოდან სოფელ ქეთრისის თორმეტი მოციქულის სახელობის მამათა მონასტრის ეზოშია დაკრძალული.

18 იანვარი, 1863 წელი

კობის ბლაღოჩინის მღვდლის გიორგი იტონიევის რაპორტის ასლი

26 დეკემბერი, 1862 წ. №147

მაღალყოვლადუსამღვდელოეს საქართველოს ეგზარქოსისადმი

26 დეკემბერს შუალამის 3 საათზე ჩემთან მოვიდა აბანოს ეკლესიის დარაჯი ალექსანდრე ცობანოვი შეიარღვებულ ოთხ კაცთან ერთად და განმიცხადა მე, რომ იმავე თვის 25 რიცხვში საღამოს 5 საათზე სამრევლოს მღვდელ იოსებ სურგულაძეს და იმავე ეკლესიის სტაროსტის ბაბი ბიზიკოვს, იმავე სოფლის მრევლმა ჩეტარსი ბართაზის ძე ცალაგოვმა ხანჯლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და ორივე განისვენებენ სასიკვდილო სარეცელზე. ამის შესახებ მე მაშინვე შევატყობინე უბნის ზედამხედველს, მასთან ერთად გავემგზავრეთ სოფელ აბანოში, მაგრამ მღვდელს ცოცხალს ვეღარ მივუსწარიო, მართალია, სტაროსტი ბიზიკოვი ცოცხალი იყო და მოასწრო წმინდა საიდუმლოს მიღება, ჩვენ მივიღეთ რამდენიმე უკანასკნელი სიტყვა, მაგრამ ისიც დილის 7 საათზე, 26 რიცხვში გარდაიცვალა. ეს უბედური შემთხვევა კი მოხდა იმის გამო, რომ სოფელ ქეთრისის მცხოვრების ძიგვი ცალაგოვის 8 წლის გოგონა იქნა დანიშნული იმავე სამრევლოს სოფელ ტეფში მცხოვრებ 12 წლის მიხაილ ხუბულოვზე. ქალიშვილის მშობლებს ჯერ კიდევ ადრე არაერთხელ აუკრძალა მღვდელმა. ამ თვის 25 რიცხვისთვის მოამზადეს იგი ქორწილისათვის და სამი ძმა ცალაგოვები მოვიდნენ მღვდლის სახლში და ითხოვდნენ მას ჯვარი დაეწერა 8 წლის გოგონასა და 12 წლის ბიჭისთვის. მღვდელს მათი არასრულწლოვანების გამო არ შეეძლო მათი ჯვრისწერა და არიგებდა მათ თავისი თვინიერი მამობრივი შთაგონებით, თხოვდა მათ მოეცადათ კიდევ ოთხი წელი მაინც, მათ ეს დარიგება არ მიიღეს და უსიამოვნო სიტყვებით აიძულებდნენ მღვდელს შეესრულებინა უკანონო წესი; ბოლოს და ბოლოს მღვდელმა დაინახა ის რომ მისი დარიგება და შეგონება ამაო იყო და ამოირჩია უკანასკნელი საშუალება უბედურების თავიდან აცილებისათვის და მათი დარწმუნებისათვის, რომ არასრულწლოვანების გამო არ შეეძლო მათთვის ჯვარი დაეწერა და აგზავნიდა ერთ-ერთ მათგანს ჩემთან კობში ქაღალდით, მაგრამ ამაზეც ისინი არ დათანხმდნენ, შეიჭრნენ

პირდაპირ მის სახლში და აიძულეს შეეწყვიტა ქაღალდის წერა. ამ დროს ერთი მათგანი, უმცროსი ძმა სახელად ბატროზი მივარდა მღვდელს ხანჯლით და დაჭრა იგი მკერდის მხარეს, ხოლო შემდეგ სტაროსტი მუცელში, რომელიც იყო მხოლოდ მოწმე ამ მამობრივი დარიგებისა. ეს სამწუხარო გარემოება თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მოყვა სტაროსტიმ უბნის ზედამხედველის და მრავალი სხვა პირის თანდასწრებით. მკვლელები გაიქცნენ, მაგრამ ძმებიდან ერთ-ერთი გარდაცვლილი სტაროსტის ძმის მიერ, იმავე საღამოს შეპყრობილი იქნა და გადაცემული უბნის ზედამხედველთან, რომელიც დაპატიმრებულია კოხში. რის შესახებაც პატივი მაქვს მოგახსენოთ თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ.

ხელს აწერს მღვდელი იტონიევი.
ადასტურებს ნამდვილობას.

**მის მაღალუსამღვდელოესობას, უწმიდესი სინოდის წევრს, ქართლისა და კახეთის
საქართველოს ეგზარქოსს, არქიეპისკოპოსს ევსევის**

კოხის ბლაღოჩინის მღვდლის გიორგი იტონიევის რაპორტი

მოკლულ მღვდელს სურგულაძეს გარდაცვალებისას აღმოაჩნდა ჩემს მიერ დამოწმებული აბანოს ეკლესიის ზედამხედველის დასწრებით 47 რუბლი და ერთი ძროხა, რაზედაც მოგახსენებდით თქვენ მაღალუსამღვდელოესობას ამა წლის 26 დეკემბერს №148-ით, ეს ფული მოხმარდა გარდაცვლილი მღვდლის დაკრძალვას, ხოლო საცოდავი ქვრივი დარჩა, გარდა თავისი უბედურებისა, ყველაზე გაჭირვებულ მდგომარეობაში, ყოველგვარი საშუალების გარეშე. ვთხოვ, თქვენ მაღალუსამღვდელოესობას, როგორც ყოველთვის მფარველს ქვრივების, ობლების და ღარიბების დაუნიშნოთ საცოდავ ქვრივს ყოველწლიური შემწეობა.

კოხის ბლაღოჩინი მღვდელი გიორგი იტონიევი.
№151, 30 დეკემბერი, 1862 წელი

1863 წლის 21 იანვარი

**შემწეობის დანიშვნის შესახებ მოკლული მღვდლის სურგულაძის ქვრივზე
კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მიერ**

1863 წლის 21 იანვარს (sic)¹ გარდაცვლილი მღვდელი იოსებ სურგულაძე იყო სამღვდლო წოდებიდან, მღვდლის შვილი, 39 წლის. სწავლობდა რაჭის სასულიერო სასწავლებელში, 1846 წელს განამწესეს წიგნის მკითხველად ხევსურეთის სამრევლოში, საიდანაც 1849 წელს გადაიყვანეს სოფელ ძეგვში. იმავე წელს გადავიდა იმერეთის ეპარქიაში. 1851 წელს კი კვლავ გამწესდა ქალაქს ოსეთის სამრევლოში. ხელდასხმულ იქნა დიაკვნად, ხოლო მღვდლად 13 დეკემბერს 1853 წელს. 1857 წელს კვლავ გაამწესეს აბანოს სამრევლოში. თავდადებული მსახურებისათვის 1859 წელს დაჯილდოებულია საგვერდულის ტარების უფლებით. ოჯახში დარჩა მხოლოდ მეუღლე მარია 36 წლის. ნასამართლეობა და დაჯარიმება არ ჰქონია. საეკლესიო უწყებებით ხასიათდება კარგად, მოკლულია მთიელების მიერ ამა წლის 25 დეკემბერს.

¹ დოკუმენტში ხშირია ანაქრონიზმები.

**თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ, უწმიდესი სინოდის წევრს, ქართლისა და კახეთის
საქართველოს ეგზარქოსს, არქიეპისკოპოსს ევსევის**

ოსური სამრევლოს მმართველის არქიმანდრიტ იოსების რაპორტი

მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ მღვდელი იოსებ სურგულაძის (მოკლული აბანოს სამრევლოში) ქვრივის მარიამის თხოვნა, მისთვის რაიმე დახმარების აღმოჩენის თაობაზე, ვინაიდან იგი იმყოფებოდა გარდაცვლილის ძმის მღვდელ ფადეი სურგულაძის კმაცოფაზე.

არქიმანდრიტი იოსები

მღვდლის ქვრივის 36 წლის მარიამ სურგულაძეს ამა წლის 21 თებერვალს სამზრუნველო ჟურნალით ეთქვა უარი ყოველწლიურ დახმარებაზე; განესაზღვრა ერთჯერადი 25 რუბლი საჭირო მასალების შესაძენად ხელსაქმისათვის.

მდივნის მაგივრად დ. ბულგარევიჩი
დადებულია რეზოლუცია – შესრულდა

მის მაღალღირსებას

მმართველს ოსური სამრევლოებისა, არქიმანდრიტ იოსებს

მღვდელი იოსებ სურგულაძის ქვრივის მარიამის

თხოვნა

როგორც თქვენი მაღალღირსებისთვის არის ცნობილი, ისევე როგორც მაღალი სასულიერო უფროსებისთვის ჩემი უბედურების შესახებ – ჩემი ქმრის მღვდელი იოსებ სურგულაძის სიკვდილის შესახებ, რომელიც თავდადებით მსახურობდა და ამისთვის მოკლულია ოსების მიერ. დავკარგე ქმარი და წამერთვა ყოველგვარი შესაძლებლობა გამოვკვებო საკუთარი თავი, ვინაიდან არ გამაჩნია არავითარი ნათესავები და არავითარი თავშესაფარი, ამიტომ დავრჩი ბედის ანაბარა, ლუკმა პურის გარეშე. ეს ყველაფერი უნდა იცოდნენ სასულიერო ხელმძღვანელობამ, და ამიტომ მთლიანად იმედს ვამყარებ სასულიერო ხელმძღვანელობიდან ყურადღებასა და ზრუნვაზე, მე იმედი მაქვს, რომ იგი თავისი მოწყალებით არ მიმატოვებს – მიპატრონებს და დამინიშნავს მე ჩემი ქმრის ხსოვნის პატივისცემისთვის, რომელიც დაზარალდა რწმენისათვის და ჩემ მიერ შეცოდებისა და თანაგრძნობისთვის მომეცეს მე შესაძლებლობა მეონდეს პური არსობისა. ამასთან მოგახსენებთ, რომ ჩემმა გარდაცვლილმა ქმარმა სიკვდილის შემდეგ დამიტოვა სულ 47 რუბლი, რომელიც მე უკვე დავხარჯე დაკრძალვაზე, ნაწილი ჩემ სანოვაგეზე, და ახლა დავრჩი სრულიად ყველაფრის გარეშე.

ქვრივი მარიამი

ამ თხოვნას ვანდობ ჩემს მაგივრად მღვდელ ფადეი სურგულაძეს
1863 წლის 17 თებერვალს

კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების კომიტეტს

მაქვს პატივი შევატყობინო საზოგადოების კომიტეტს ამა წლის 14 აგვისტოს №1006-ის მიმართვაზე, რომ მთიელების მიერ მოკლული აბანოს მღვდლის სურგულაძის ქვრივი მარიამი 36 წლის, შვილები არ ჰყავს, საქართველოს უმწეო სასულიერო პირების სამზრუნველო საზოგადოებისაგან მუდმივი შემწეობა არ დაენიშნა, არამედ მიეცა ერთჯერადი დახმარება 25 რუბლით.

საქართველოს სინოდის წევრს საქართველოს ეგზარქოსს არქიეპისკოპოსს ევსევსს

დიდი მთავრის მოხსენების თანახმად თქვენი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის №1381 და №3366, მისი იმპერატორობით უდიდებულესობის ნება მომეცით მოგახსენოთ: მიეცეს ერთჯერადი შემწეობა მთიელების მიერ მოკლული აბანოს მღვდლის იოსებ სურგულაძის ქვრივს მარიამს 50 რუბლი და მოკლული სტაროსტის ბაბი ბიზიკოვის ქვრივს მარიას 25 რუბლი.

საზოგადოებრივი კომიტეტის მმართველი

[მღვდელ იოსებ სურგულაძის ქვრივი მარიამის წერილი კობის ეკლესიის ბლაღოჩინ მღვდელ გიორგი იტონიევს - ითონიშვილს¹]

(გვ. 28v) თქვენო მაღალ კურთხეულო, ჩემო ამ სოფლის მნათობო, მამაო ბლაღოჩინო, პირველ თქვენს მსხვერპლით შემოსილს წმინდას მარჯვენას გეანბორებით (sic) და ღმერთს ვსთხოვ თქვენს მრავალ ჟამიერ სიცოცხლეს, რომელი თქვენი მეუღლით, ძითა და ასულით ბედნიერათ ბრძანდებოდეთ. ეხლა ვიცი, თქვენი დიდი გონება რომ მიკითხამთ, რადგან ღვთის მოყვარე ბრძანდებით, ცოცხალი გახლავართ, ძლიერ გულდაქენჯილი, მწუხარე. უკაცრავათ გახლავართ და მინავათი (?) [მინავალი?], აქ ვინემდი წელიწადი არ შაუსრულდა. ამ რიგზე ორმოც თუმნამდი აქდგარ (sic) [აქედგან] (გვ. 27v) ოთხს მღვდელს თუ შახვდეს სამსამი მანათი - უბოძოთ, საწირავი როგორც აჯობოს თქვენ [უ]კუეთ ყველას გა[ა]რიგებთ. ძახოს ქუის გათლა უბძანეთ ქირითა, გვედრები. რვა თუმანი თქვენ მი[ი]რთვათ. ეხლა რომ თეთრი მოვიდა ჯამაგირია თუ შამოწეული? გვედრები, დიდის მორიდებით, რომ ქალაქს წიგნი მისწეროთ ჩემი საქმისათუინ თეთრის მიღებაც ჩემ მაგიერათ დაწეროთ². გწერთ თქვენი სიცოცხლის მავედრებელი მქრივი(sic) მარიამ.

(გვ. 28r) [P.S.] გმადლობ, მიცვალებულზე ამდენს გარჯილობასა და შრომასა სდებ, ცოცხალსა და მკვდარს შენი იმედით ვსცხოვრობდით. მანდ ხლება მინდოდა სანამდი გადა...რაბავს [გადაყვანას(?)ნ.შ.] გვევიგებდი, მაგრამ ავათ გავხდი, წამოსვლა ვერ შევიძელი. ახლა მომეტებით გვედრები, **მღვდლის გულზე ქვის გაკეთებას, დამაწერიწე იმის გვარი**

¹ წერილის შინაარსიდან გამომდინარე იგი დაწერილი უნდა იყოს მღვდელ იოსებ სურგულაძის ქვრივი მარიამის მიერ კობის ეკლესიის ბლაღოჩინ მღვდელ გიორგი იტონიევსადმი (ითონიშვილი).

² მღვდელი იოსებ სურგულაძის ქვრივი მარიამი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ცხოვრობდა სიდარიბეში და ითხოვდა შემწეობის დანიშვნას. როგორც ირკვევა, მღვდლის ქვრივი ბლაღოჩინს მეუღლის საფლავის გაკეთებასთან ერთად, მისთვის პენსიის დანიშვნის საკითხის მოგვარებასაც სთხოვს.

და სახელი, ძახოს გა[ა]თლევინოთ ქირით. ეგ ხუთი თუმანი მანეთი - ერთი თუმანი იოსების საწირავათ მიირთვი. მღვდლებს, მოძღვარს, ამის მოადგილე მღვდელს, რომელიც წესი[ს] აგებაზე დეესწრო - ზაქარია მღვდელი.

(გვ.27r) მცირე მოსართმეუზე (sic) უკაცრავათ ნუ გახლდები, წინდები მიახლებია. ჩემი გულისთვინ გაისაჯა სილევან და ორი მანათი ამას უბოძეთ და ერთი მანათი კაციას, იოსების მოსახსენებლად.

ვერტიკალურად იმავე ხელით აწერია: „მისს მაღალ კურთხევას კობის (sic) ბლადოჩინს მიერთვას¹“.

რუსულად წერია: მიღებულია 1865 წლის 24 იანვარს.

წერილს თან ახლავს რუსული თარგმანი.

1862 წლის 28 ივლისი

დაუყოვნებლივ ეცნობოს გუბერნატორს

მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას უწმიდეს მმართველ სინოდს წევრს ევსევის არქიეპისკოპოსს ქართლისა და კახეთის, საქართველოს ეგზარქოსს კობის ბლადოჩინის მღვდლის გიორგი იტონიევის

რაპორტი

ყოფილი სტაროსტი, ჩემდამი რწმუნებული აბანოს ეკლესიის ამავე სოფლის მაცხოვრებელი ძახო ცაბალოვი, ჩემი თანაშემწის შეტყობინებით გარდაცვლილი ბიძიანოვი გულგრილი სამსახურის და თავხედი საქციელისთვის თქვენ მაღალყოვლადუსამღვდელოესობის მიერ დათხოვნილი იქნა 1860 წლიდან თანამდებობიდან და მის ადგილზე ამ თანამდებობაზე დანიშნულია კეთილ საიმედო და ეკლესიისთვის საჭირო იმავე სოფლის მცხოვრები ბაბი ბიზიკოვი. პირველი, შეშურდათ რა ამ უკანასკნელის, ამ თვის პირველ რიცხვში, თავის ორ ძმასთან ერთად ეკლესიიდან გამოსულს უკან დაედევნენ, დაესხნენ თავს იარაღით და მიაყენეს მას ორი დარტყმა – ერთი ხმლით თავში და მეორე მარცხენა ხელში, რის შედეგადაც ბიზიკოვი აღმოჩნდა სასიკვდილო სარეცელზე.

გატყობინებთ ამის შესახებ, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, უმორჩილესად გთხოვთ, შეატყობინოთ სამოქალაქო გუბერნატორს, რომ მთიელთა საოლქო მმართველობამ შეიპყროს და დასაჯოს დამნაშავე ცაბალოვი ძმები, რომლებიც დამნაშავეები არიან და აქამდე ცხოვრობენ თავის სახლში.

კობის ბლადოჩინი მღვდელი გიორგი იტონიევი

15 ივლისი, 1862 წელი

¹ 1865 წლის ცნობით კობის ეკლესიის ბლადოჩინი მღვდელი იყო გიორგი იტონიევი - ითონიშვილი.

**თქვენო აღმატებულება
მოწყალო ხელმწიფე!**

კობის ბლაღოჩინის მღვდლის გიორგი იტონიევის შეტყობინება №69, 15 ივნისი, რომ აბანოს ოსეთის ეკლესიის ყოფილ სტარასტი, სოფელ აბანოს მაცხოვრებელი ძაბო ცაბალოვი თავის ორ ძმასთან ერთად 1 ივნისს ეკლესიიდან გამოსულები თავს დაესხნენ იმავე სოფლის მკვიდრს ბაბი ბიზიკოვს და მიაყენეს მას ორი დარტყმა, რის გამოც იგი ახლა წევს სასიკვდილო სარეცელზე. ბლაღოჩინი იტონიევის ცნობით დამნაშავეები დღესაც ცხოვრობენ თავიანთ სახლში (დაუსჯელები არიან).

**მის მაღალყვლადუსამღვდელოესობას წმინდა სინოდის წევრს,
მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, ქართლისა და კახეთის არქიეპისკოპოსს,
საქართველოს ეგზარქოსს
მიზურის ოსური სამრევლოს მღვდლის ფადეი სურგულაძის თხოვნა**

თქვენს მაღალყოვლადუსამღვდელოესობას უკვე კარგად მოეხსენება, რომ ჩემი ღვიძლი ძმა – აბანოს ოსური სამრევლოს მღვდელი (რომელიც თრუსოს ხეობაშია) – იოსებ სურგულაძე, გასულ 1862 წლის ქრისტე შობის დღეს, თავის სტაროსტი ბაბი ბიზიკოვთან ერთად ხანჯლით იქნა მოკლული თრუსოს მაცხოვრებლის – ღვიძლი ძმების ბატრაზ და ტოტრაზ ცაბალოვების მიერ. მკვლელებიდან პირველი, ბატრაზი დაკავებული იყო დანაშაულის ადგილზევე და გადაეცა მთავრობას, ხოლო მეორემ მოასწრო გაქცევა. დანაშაული ჩადენილი იქნა დღისით; მკვლელები დაინახეს დანაშაულის ჩადენისას: ჩემი გარდაცვლილი ძმის ცოლმა მარიამმა, მოკლული სტაროსტის ძმის შვილმა – ისმა სვიმონ ბიზიკოვმა, აბანოს ეკლესიის წიგნის მკითველმა – სილევან ჯაველიძემ და თრუსოელმა ოსმა კარასე ცაბალოვმა; ამ დანაშაულის გამოძიებით დაპატიმრებული მკვლელი – ბატრაზ ცაბალოვი განთავისუფლებულია პატიმრობიდან და ამჟამად იმყოფება თავის აულში. როგორც ამკარა სისხლის სამართლის დამნაშავეს, ბატრაზს არ შეეძლო წარედგინა თავის გასამართლებელი რაიმე მტკიცებულება, ამიტომ ვფიქრობთ მისი გამართლება – არასწორედ წარმართული გამოძიებაა კობის უბნის ყოფილი მსაჯულის კოლუბიანსკის მიერ. ამიტომ როგორც ძმა წამებულისა, ვბედავ, უმორჩილესად ვთხოვო თქვენს მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, გაარკვიოთ ცნობები, ვისგანაც მომდინარეობს, თუ რის საფუძველზე განთავისუფლდა პატიმრობიდან ბატრაზ ცაბალოვი, მაშინ როცა დანაშაული ჩადენილია სრულიად ამკარად, რომელსაც ზემოჩამოთვლილი ოთხი მოწმე ყავს, ანუ: ჩემი გარდაცვლილი ძმის მეუღლე, იოსებ ბიზიკოვი და ცაბალოვი და წიგნის მკითხველი ჯაველიძე. განა საკმარისი არაა?! მისი თავდებით განთავისუფლებისათვის რაიმე საფუძველი, ვინაიდან ზემოთჩამოთვლილი პირები თვითონ იყვნენ თვითმხილველნი, რომ ტოტრაზმა ჩემი ძმა დაიჭირა ხელებით და უბრძანა (გაქცეულ) ძმას დაერტყა მისთვის ხანჯალი, რის შედეგადაც მისმა ძმამ ჩემ ძმას მიაყენა ორი ჭრილობა ..., რომლის შემდეგაც იგი რამდენიმე საათში გარდაიცვალა, მაგრამ ყველაფერი ეს ალბათ ვერ გახსნა გამოძიებამ, ალბათ შეგნებულადაც, ვინაიდან გამოძიებული კოლუბიანსკი, მთელი უბნის საერთო ხმით იყო მექრთამე და ადამიანი ბინძური ზრახვების; რის შედეგადაც მასზე შევიდა ჩივილი კავკასიის მეფისნაცვლის დიდი მთავრის მიხაილ ნიკოლოზის ძის სახელზე, გარდა ამისა, რომ მან არაკეთილსინდისიერად აწარმოა გამოძიება, მე არ მიმიწვია გამოძიებისას, ეშინოდა რომ ჩემი თანდასწრებით ეთქვა ტყუილი, არ დაუკითხავს ზემოთმოყვანილი თვითმხილველნი, არც გარდაცვლილის მეუღლე, არც სტაროსტის ძმის შვილი, არც წიგნის

სასიძო, აბანოს სამრევლოს სოფელ ტეფს მცხოვრები სახაზინო ოსი, ეფრე ნაოგის ძე ქალოშვილი (sic). 50 წლის. პირველი ქორწინება(sic). სასძლო, აბანოს სამრევლოს სოფელ სივრათს მცხოვრები გიგოლა ყალაგაშვილის ასული თოთრიმან. 23 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, მაცკა ყალაგისშვილი, დათეკა (sic) ყალაგისშვილი. სასძლოს მხრივ ალიბეგ ყალაგისშვილი და საგო ყალაგისშვილი. ჯვარი დაიწერეს 10 იანვარს.

სასიძო, ამავე სამრევლოს სოფელ ტეფს მცხოვრები მიხაილ თოთრადის ძე ყალაგისშვილი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, აბანოს სამრევლოს სოფელ ქეთირს მცხოვრები ძიგვი ცალაგას შვილის (sic) ასული სოფიო. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, უმარ ხუბეგის შვილი (sic), ბადილა ჯანთის შვილი(sic), სასძლოს მხრივ, ზნაურ ყალაგისშვილი, გიმერ ზუბეგის შვილი (sic). ჯვარი დაიწერეს 4 ივლისს.

სასიძო, სოფელ ქეთირს მცხოვრები იორდანე მაცკას ძე ქოქაშვილი. 19 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, ჯავის უჩასტკის სოფელ ედეს მცხოვრებული გიგო გელიშვილის ასული თამარ. 26 წლის(sic). პირველი ქორწინება. თავდებნი. სასიძოს მხრივ, ლუარსაბ ქოქაშვილი, სმაილ ქეთოშვილი. სასძლოს მხრივ ბათრამ ცალაგისძვილი და გიორგი გულიშვილი. ჯვარი დაიწერეს 25 ივლისს.

სასიძო, აბანოს სამრევლოს სოფელ გიმარას მცხოვრები ძახონ (sic) ნავრაზას ძე ბეროზისძვილი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, აბანოს მცხოვრები ყუდაბერდ ყარაშვილის ასული მაგდან. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, გაზმივ (sic) ჯანთიშვილი, დანასპი ბეროზიშვილი, სასძლოს მხრივ გისკა ბეროზიშვილი, ფაფარი (sic) ყარაშვილი. ჯვარი დაიწერეს 5 ნოემბერს.

სასიძო, ამავე სამრევლოს სოფელ ტეფს მცხოვრები ნალიყ ხაზბის ძე ყალაგისძვილი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფსვე მცხოვრები საბან ქალოშვილის ასული ნალმიზ. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, მაციკა ყალაგიშვილი, აბზირიკო ყალაგისძვილი. სასძლოს მხრივ, ზაბე ხუბეგიშვილი, თეფსირიყო ქოქაშვილი. ჯვარი დაიწერეს 5 ნოემბერს.

სასიძო, კობის სამრევლოს სოფელ ბიდარას მცხოვრები დიმიტრი გირსის ძე ბოცოშვილი. 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები საბან ცაბოლის შვილის ასული ლიზა. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, გოგა ცალაგიშვილი, უცი (sic) აბაშვილი. სასძლოს მხრივ, ქუმი (sic) ყალაგიშვილი, კანვო (sic) კუმიშვილი. ჯვარი დაიწერეს 8 ნოემბერს.

სასიძო, ამავე უჩასტკის და კობის საბლადოჩინოს სოფელ ყაზიბეგს მცხოვრებული საბატონო ყმა ალექსი ლუას ძე ცალისძვილი(sic). 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრების ქოცირი (sic) საპიაშვილის ასული მართა. 19 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, გლაზა ჩობიკაშვილი (sic) და ივანე ჩქარეული. სასძლოს მხრივ, ბიბო ყაზბეგისძვილი (sic) ბეჩირ ბედოშვილი. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

დაიკრძალნენ „თავიანთის განწესებულს საგვარეულოს სასაფლაოსა ზედა“

გიმარას მცხოვრები გიორგი ამონის ძე ბეროზიშვილი გარდაიცვალა 1864 წლის 31 დეკემბერს, დაიმარხა 3 იანვარს. 102 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობა.

აბანოს მცხოვრები ოსმანა ყარაშვილის ასული ეკატერინა (sic) გარდაიცვალა 2 იანვარს, დაიმარხა 4 იანვარს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველება.

ზაყაგორს მცხოვრები გისი (sic) თევანას (sic) ძე ქეთოშვილი გარდაიცვალა 5 იანვარს, დაიმარხა 7 იანვარს. 41 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მჭამლით (sic).

სუატის მცხოვრები ზნაურ თურბეგის შვილის (sic) დედა ზალიხან ყიბილას ასული გარდაიცვალა 7 იანვარს, დაიმარხა 9 იანვარს. 57 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ბნედიტა. აბანოს მცხოვრები ყანიყო დაი (sic) გმი(?) მარხათის ასული გარდაიცვალა 23 იანვარს, დაიმარხა 25 იანვარს. 17 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

აბანოს მცხოვრები ბედრი ბზიშვილის დედა გიგო გაფას ასული გარდაიცვალა 2 თებერვალს, დაიმარხა 4 თებერვალს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

სუატის მცხოვრები ბიცის ძე ბაციაშვილი ძაუაგ (sic) გარდაიცვალა 8 თებერვალს, დაიმარხა 10 თებერვალს. 53 წლის. გარდაცვალების მიზეზი – შირიმითა.

ყარათყავს მცხოვრები ცოფან ფაის ძე ურთაშვილი გარდაიცვალა 9 თებერვალს, დაიმარხა 11 თებერვალს. 62 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

ცოცოლტას მცხოვრები დიდა (sic) ქუმის ძე ძანთაშვილი გარდაიცვალა 13 თებერვალს, დაიმარხა 15 თებერვალს. 99 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ქეთირს მცხოვრები ზაბე ქასაშვილის მეუღლე **ნინო** ძიძახას ასული გარდაიცვალა 13 თებერვალს, დაიმარხა 15 თებერვალს. 41 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციებ-ცხელებით.

ყარათყავს მცხოვრები ფარსადან მოსქას (sic) ძე კუმალაგიშვილი გარდაიცვალა 22 თებერვალს, დაიმარხა 24 თებერვალს. 42 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციებ-ცხელებით.

ყარათყავს მცხოვრები ზაბე გოდოს ძე ქასაშვილი გარდაიცვალა 20 მარტს, დაიმარხა 23 მარტს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნითა.

გიმარას მცხოვრები იესე **ამირანის** (sic) ძე ბეროზისშვილი (sic) გარდაიცვალა 27 მარტს, დაიმარხა 29 მარტს. 89 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ზაყაგორს მცხოვრები მამსირ ციცის ძე ქეთოშვილი გარდაიცვალა 3 აპრილს, დაიმარხა 6 აპრილს. 92 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

გიმარას მცხოვრები მარზაბეგ ამინის ძე ბეროზისშვილი გარდაიცვალა 17 აპრილს, დაიმარხა 19 აპრილს. 102 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ამავე მარზაბეგ ბეროზისშვილის რძალი **დარეჯან** ბიძის ასული გარდაიცვალა 18 მაისს, დაიმარხა 20 მაისს. 86 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ცოცოლტას მცხოვრები თეგო ვანის ძე თუაშვილი გარდაიცვალა 20 ივნისს, დაიმარხა 22 ივნისს. 44 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უნებურად წყალში დაიხრჩო.

სუატიის მცხოვრები ნაურზ სამბეგისშვილის დედა **ქეთევან** ქაქუზას ასული გარდაიცვალა 30 ივლისს, დაიმარხა 2 აგვისტოს. 81 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ცოცოლტას მცხოვრები თოთრამ მაკაშვილის დედა ესთერ გუძას ასული გარდაიცვალა 2 აგვისტოს, დაიმარხა 3 აგვისტოს. 100 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ზაყაგორს მცხოვრები ბიძი აგოს ძე ქეთოშვილი გარდაიცვალა 4 აგვისტოს, დაიმარხა 6 აგვისტოს. 59 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციებ-ცხელებით.

ზემოდ დესს მცხოვრები ყაზიხან ბიცაშვილის მეუღლე დოღეთხან სავლოხას ასული გარდაიცვალა 7 აგვისტოს, დაიმარხა 9 აგვისტოს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიჭლექით.

რესს მცხოვრები ამზარიყო ყუსაშვილის შინა მოსამსახურე გოგო მარიამ ამზორიყოს ასული გარდაიცვალა 7 აგვისტოს, დაიმარხა 9 აგვისტოს. 86 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობა.

ამავე სოფელს მცხოვრები კალავა ყუმაშვილის(sic) რძალი სოფიო ხუბის ასული გარდაიცვალა 10 აგვისტოს, დაიმარხა 12 აგვისტოს. 41 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

ამავე სოფელს მცხოვრები საპეე ყუსაშვილის (sic) ძე იოანე გარდაიცვალა 29 აგვისტოს, დაიმარხა 31 აგვისტოს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ქეთირს მცხოვრები ბაირ (sic) ბიზას ძე ქოქაშვილი გარდაიცვალა 27 სექტემბერს, დაიმარხა 30 სექტემბერს. 49 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფერდის ტკივილით.

ტეფს მცხოვრები გუგუ (sic) ყალაგიშვილის დედა ჩიჩი (sic) ავთანდილას ასული. გარდაიცვალა 28 ოქტომბერს, დაიმარხა 30 ოქტომბერს. 89 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

აბანოს მცხოვრები ქუცირი ცაბოლის შვილის მეუღლე **ნინო** ღუას ასული გარდაიცვალა 20 დეკემბერს, დაიმარხა 23 დეკემბერს. 32 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

აღსარება ჩაიბარა და აზიარა ყაზიბეგის სამრევლოს მღვდელმა გრიგოლ ღუდუშაურმა, წესი აუგო კობის მღვდელმა გიორგი იტონიევმა.

ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №1813

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის ეკლესიის
მეტრიკული წიგნი – 1866 წელი**

მღვდელი გაბრიელ ღუდიევი, პრიჩეტნიკი იოსებ სხირტლაძე

დაბადებულთათვის

ელისაბედ, დაიბადა 1865 წლის 28 დეკემბერს, მოინათლა 1866 წლის 10 იანვარს. მშობლები: ჳევის უჩასტკის კობის საბლადოჩინოს და აბანოს სამრევლოს სოფელ ქეთრის (sic) მცხოვრებელი სახაზინო გლეხი ბაირ (sic) ბჳას ძე ქოქაშვილი და სჯულიერი ცოლი ჩენძე (sic) ილიცის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს ქეთრის მცხოვრები ნიკოლოზ ფარნაზის ძე ქოქაშვილი.

გიორგი, დაიბადა 1865 წლის 30 დეკემბერს, მოინათლა 1866 წლის 11 იანვარს. მშობლები: ამავე სამრევლოს და სოფელს მცხოვრები თოთრბეგ ღუდას ძე ქასაშვილი და უკანონო ცოლი ცუქეხან (sic) ბარათას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობს მცხოვრები თედო ხალინის ძე აბაშვილი.

მიტროფანე (sic), დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 13 იანვარს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ჳაბე ხას (sic) ძე ყალაგიშვილი და მარიამ ისმანის ასული. მიმრქმელი – ვლადიკავკაზის ოკრუგის და საბლადოჩინოს სოფელ¹ ... მცხოვრებელი ცუმაქო ბერთავას (sic) ძე აბაშვილი.

ბართოლომე (sic), 32 წლის (sic), მოინათლა 22 იანვარს. მშობლები: სოფელ ქვემო დეს მცხოვრები სავლახ სალბიშვილი და გუთა გელის ასული. მიმრქმელი – აბანოს სამრევლოს პრიჩეტნიკი იოსებ ანტონის ძე სხირტლაძე.

სალომე, დაიბადა 7 იანვარს, მოინათლა 27 თებერვალს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები გურგენ ბიტიკის ძე ძარლოშვილი და ხაირუზ (sic) ქუცრის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ლუარსაბ ღუდას ძე თუაშვილი.

კოდრატე (sic), დაიბადა 10 იანვარს, მოინათლა 10 მარტს. მშობლები: სოფელ სუატისს მცხოვრები ბაზრ (sic) აზგერის ძე ბაციაშვილი და ნინო ალამის ასული. მიმრქმელი – აბანოს სამრევლოს მღვდელი გაბრიელ გიორგის ძე ღუდიევი.

დარია, დაიბადა 9 იანვარს, მოინათლა 19 მარტს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები საჯი ღუდას ძე ცაბოლიშვილი და ცამაყუდ ახლავას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელ მცხოვრები დიდო თულანის ძე ცაბოლიშვილი.

ათანაზე(sic), დაიბადა 3 თებერვალს, მოინათლა 2 მაისს. მშობლები: სოფელ ქეთრის მცხოვრებელი ბუბულა (sic) თურმანის ძე ქასაშვილი და გადა ასლანის ასული. მიმრქმელი – სოფელ თოთს (sic) მცხოვრები ინალ ბაქარის ძე ბიზიკაშვილი.

დავით, დაიბადა 5 მარტს, მოინათლა 1 ივნისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები თემრყო აფაის ძე ბოცუაშვილი (sic) და სალომე ამზორყოს ასული. მიმრქმელი – მთიულეთის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს და განისის სამრევლოს სოფელ საღვას (sic) მცხოვრებელი გურგენ ქუძის ძე ბურძიაშვილი (sic).

¹ სოფლის სახელი ვერ ამოვიკითხეთ.

გიორგი, დაიბადა 10 მარტს, მოინათლა 20 ივნისს. მშობლები: სოფელ სუატის მცხოვრები აზნაურ (sic) პეტრეს ძე თურბეგიშვილი და ზალი მაცკას ასული. მიმრქმელი – დუშეთს მცხოვრები მიხეილ იოსების ძე ოტიევი.

ეფროსინია, დაიბადა 17 მარტს, მოინათლა 25 ივნისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები სხონჯერ მუცუს ძე ბოცუაშვილი და ბარბარე ეფრეს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელში მცხოვრები გოგი ქუძის ასული.

მაგდანი (sic), დაიბადა 10 თებერვალს, მოინათლა 27 ივნისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ძანასპი მაცკას ძე ბეროზიშვილი და ფათიმა ძანალდის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ხიდბა ბაირის ასული.

მარიამი, დაიბადა 18 თებერვალს, მოინათლა 28 ივნისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ისაკო ბაზეს ძე ბეროზიშვილი (sic) და ბაბა **მარტიას** ასული. მიმრქმელი – ტეფს მცხოვრები ზაბე ხას ძე ყალაგიშვილი.

ნიკოლოზი, დაიბადა 31 მაისს, მოინათლა 30 ივნისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ქუცავ ბოცუაშვილი და ხითლ(?) მახმათას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელში მცხოვრები დაჩე ყუდაინათის ასული.

მელანია, დაიბადა 16 მარტს, მოინათლა 3 ივლისს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები ძიბრელი (sic) ფრანგის ძე ხამცაშვილი და უკანონო ცოლი ამისი თოთრმან ზაურბეგის ასული. მიმრქმელი – აბანოში მცხოვრები ბასილ მსოსტის ძე გუდიშვილი.

ეკატერინე, დაიბადა 27 იანვარს, მოინათლა 5 ივლისს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები დოჯე (sic) აზგერის ძე ხამცაშვილი და სოფიო დავითის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელში მცხოვრები ბაბაზ (sic) აითეგის ასული.

იოანე, დაიბადა 17 აპრილს, მოინათლა 7 ივლისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ბადილა სოსრის ძე ბოლაციშვილი და ჩანა (sic) გისოს ასული. მიმრქმელი – ცოცოლთას მცხოვრები ქაქო (sic) ლიმას ძე დავრაშვილი (sic).

ლიზა, დაიბადა 13 იანვარს, მოინათლა 9 ივლისს. მშობლები: სოფელ სავრავთას (sic) მცხოვრები ალინბეგ ალიკის ძე ყალაგიშვილი და გოსაზი (sic) ქუცკის ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები ელისაბედ ბადის ასული.

ეფემია, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 11 ივლისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ასჯე (sic) გისოს ძე ყუსაშვილი და მარინე ცორას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელში მცხოვრები გაკი გუძას ასული.

მატრონა, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 25 ივლისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები გაუს ყანყოს ძე კუძიაშვილი (sic) და მელექ ლევანის ასული. მიმრქმელი – რესს მცხოვრები ყადაბერდ ყუდაინათის ძე ქალმანიშვილი.

გრიგოლ, დაიბადა 14 თებერვალს, მოინათლა 28 ივლისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები გრიგოლ საბან ძივის ძე ძაკაშვილი და გაკი(?) გუარის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელ მცხოვრები არუთინ ყანყას ძე კუძიაშვილი.

ირინე, დაიბადა 1 ივლისს, მოინათლა 30 ივლისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები პეტრე ჩერმენის ძე ყუსაშვილი და ქუმინ ჯეთას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები სოფიო დღას (sic) ასული.

გიორგი, დაიბადა 15 მარტს, მოინათლა 31 ივლისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები გიშერ (sic) უმარის ძე ყალაგიშვილი და გისა დადის ასული. მიმრქმელი – სიონის სამრევლოს და სოფელ ყურთს (sic) [ხურთისს] მცხოვრები სვიმონ გიორგის ძე ტუჩაშვილი.

თომა, დაიბადა 4 ივლისი, მოინათლა 3 აგვისტოს. მშობლები: ამავე სოფელს მცხოვრები თათალო ძასას ძე ყალაგიშვილი და **მაია** ცორას ასული. მიმრქმელი – ზემო ღეს მცხოვრები ცპუ ამზორიყოს ძე ყარღიაშვილი (sic).

გრიგოლი, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 5 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები თოთრაძ ყალაგიშვილი და აზავ თემარყის ასული. მიმრქმელი – გიმარას მცხოვრები ძიმბოლათ გოგიას ძე ბეროზიშვილი.

თამარ, დაიბადა 5 ივლისს, მოინათლა 8 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები საგო ყალაგიშვილი და ხაირ ცოფანის ასული. მიმრქმელი – რესს მცხოვრები საპეგ მახმათის ძე ყუსაშვილი.

თინათინ, დაიბადა 1 იანვარს, მოინათლა 10 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები **გლახა** ასლანის ძე ურთაშვილი და **მაია** საუქუძუს ასული. მიმრქმელი – ტეფს მცხოვრები ზნაურ გუგუს ძე ყალაგიშვილი.

სალომე, დაიბადა 15 იანვარს, მოინათლა 12 აგვისტოს. მშობლები: ამავე სოფელს მცხოვრები მახმათ აჯეს ძე ურთაშვილი და უკანონო ცოლი **თამარ** ფარნაზის ასული. მიმრქმელი – ტეფს მცხოვრები ზაურბეგ ძასას ძე ყალაგიშვილი.

მართა, დაიბადა 30 ივნისს, მოინათლა 14 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ყარასე გოგიას ძე ბულაცაშვილი და მართა გუთის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელ მცხოვრები ქიქი (sic) პაპის ასული.

მაგდანელა(sic), დაიბადა 20 მაისს, მოინათლა 18 აგვისტოს. მშობლები: ამავე სოფელს მცხოვრები თოთრაძ გაისის ძე კუმალაგაშვილი და ციცრ (sic) ამზორყის ასული. მიმრქმელი – ცოცოლთას მცხოვრები კაფი (sic) ბიციკის ძე ძარლოიშვილი (sic).

ნიკოლოზ, დაიბადა 2 იანვარს, მოინათლა 20 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ფარს კუმალაგაშვილი და ცამაყ თემრიკოს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ქიქო გაგოს ასული.

თევდორე, დაიბადა 5 მარტს, მოინათლა 3 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები აცამაზ ინალის ძე ბალაციშვილი და სიმან(?) ძიგოს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ქიქო დოგის ასული.

სერგე, დაიბადა 19 თებერვალს, მოინათლა 4 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ბაბანა ინალის ძე ბულაციშვილი და **თამარ** დადას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელში მცხოვრები მელექ ბაქარის ასული.

პავლე, დაიბადა 14 აპრილს, მოინათლა 6 სექტემბერს. მშობლები: სოფელ სუატისს მცხოვრები აბრაგ ქასაშვილი და გურძიხან ყანზას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელში მცხოვრები ბუბუ აღთანგერის ასული.

ესტატე, დაიბადა 1 სექტემბერს, მოინათლა 7 სექტემბერს. მშობლები: ამავე სოფელს მცხოვრები ივანე ბაითულანის ძე ქასაშვილი და ჩენძე ბეგას ასული. მიმრქმელი – სოფელ ყურთის(sic) [ხურთისს] მცხოვრები სვიმონ გიორგის ძე ტუჩაშილი.

ელისაბედი, დაიბადა 30 მარტს, მოინათლა 8 სექტემბერს. მშობლები: სოფელ სუატისს მცხოვრები ძიძა (sic) ზაზის ძე სამბეგიშილი და სოფიო ციცოს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები კლიც(?) ადგეს ძე ქასაშვილი.

ანნა, დაიბადა 28 თებერვალს, მოინათლა 9 სექტემბერს. მშობლები: სოფელ სუატისს მცხოვრები გალი ამზარის ძე ელოშვილი და სოფიო აბარყას ასული. მიმრქმელი – სუატის მცხოვრები მახი ბათმათის ძე თურაბეგიშვილი.

მართა, დაიბადა 16 მაისს, მოინათლა 15 სექტემბერს. მშობლები: სოფელ სუატის მცხოვრები ბურაფარნიგ (sic) **ლევანის** ძე ელოშვილი და ბარბარე თოთრაძის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ნალყიზ ოსმანის ასული.

გაბრიელ, დაიბადა 26 იანვარს, მოინათლა 23 სექტემბერს. მშობლები: სოფელ სუატის მცხოვრები ელბერდ სავლოზის ძე ქასაშვილი და უკანონო ცოლი ცოფრხან ნაოგის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ბაზარ აზგერის ძე ბაციაშვილი.

ანნა, დაიბადა 1 ოქტომბერს, მოინათლა 4 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები მახმათ აჯეს ძე ურთაშვილი და უკანონო ცოლი **თამარ** ფარნაზის ასული. მიმრქმელი – ტეფს მცხოვრები ზაურბეგ ძახას ძე ყალაგიშვილი.

თეოდორე, 43 წლის, მოინათლა 7 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ფარი(?) გაბილაშვილი და გუთა დოღეთას ასული. მიმრქმელი – აბანოს სამრევლოს მღვდელი გაბრიელ გიორგის ძე ღუდიევი.

ეკატერინე (sic), დაიბადა 1 ოქტომბერს, მოინათლა 10 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები ელბაზდ (sic) საფქუძის ძე საფაძაშვილი (sic) და ბაბაზ (sic) დავითის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები იორდანე ხათის ძე თათარაშვილი.

ნინო, დაიბადა 14 იანვარს, მოინათლა 15 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები თაფსყო (sic) ქუძის ძე ურთაშვილი და დოხა ბაირთის ასული. მიმრქმელი – სოფელ სიონს მცხოვრებელი გლაზა ნინიას ძე დავითაშვილი.

მაგდანელა (sic), დაიბადა 20 თებერვალს, მოინათლა 2 ნოემბერს, მშობლები: სოფელ ქეთრისს მცხოვრები ელმარზა ბესლანის ძე ქოქაშვილი და ზალი თეგოს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები **ლევან** აღათანგის ძე ქოქაშვილი.

ფილიპე, დაიბადა 6 აპრილს, მოინათლა 14 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ქეთრისს მცხოვრები ზაურბეგ თარამოზის ძე ქასაშვილი და გოსა ასბეგის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელში მცხოვრები დანიელ **ლევანის** ძე ქოქაშვილი.

პეტრე, დაიბადა 13 ივლისს, მოინათლა 15 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ზაყაგორს¹ მცხოვრები თოხე (sic) ასლანის ძე ქეთოშვილი და გუთა უბლის (sic) ასული. მიმრქმელი – ზემო დესს მცხოვრები ფარსა გასის ძე ურდიაშვილი.

ლუკა, დაიბადა 30 მარტს, მოინათლა 17 ივლისს. მშობლები: სოფელ ქეთრს (sic) მცხოვრები იასკა(?) ბესლანის ძე ქოქაშვილი და გურძიხან ალიკის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელ მცხოვრები ფეფა (sic) საფქუძის ძე ქასაშვილი.

დანიელი, დაიბადა 15 ოქტომბერს, მოინათლა 30 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ქეთრს მცხოვრები მატკა თემრყოს ძე ქოქაშვილი და **ნინო** ბიციკოს ასული. მიმრქმელი – აბანოს მცხოვრები დიდო თუღონის ძე ცაბოლიშვილი.

თეკლე, დაიბადა 3 ივნისს, მოინათლა 3 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ქეთრს მცხოვრები დავით თარამოზის ძე ქასაშვილი და ზალი ნაოგის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები დანიელ **ლევანის** ძე ქოქაშვილი.

მიხეილ, დაიბადა 8 ნოემბერს, მოინათლა 5 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები თოთაზ სასრის ძე ბულაციშვილი და **თამარ** ჩინას ასული. მიმრქმელი – ბურმასიგს მცხოვრები ბათრად გაბისის ძე თუაშვილი.

¹ თავდაპირველად ეწერა სოფელი ქეთრი, რომელიც ფრჩხილებშია ჩასმული და ზემოდან აწერია სოფელი ზაყაგორი.

ტაისია, დაიბადა 8 ოქტომბერს, მოინათლა 8 დეკემბერს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები გოდახ ყანიშის ძე საპიაშვილი და მეძგა (sic) სახანის ასული. მიმრქმელი – აბანოს მცხოვრები ყანყო მარხათის ძე ცაბოლიშვილი.

ქეთევანე (sic), დაიბადა 9 აპრილს, მოინათლა 10 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ბიძინა თავგის (sic) ძე ხამცაშვილი და სოფიო მამსრის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები მაგდან თადის ასული.

ვასილი, დაიბადა 1 დეკემბერს, მოინათლა 11 დეკემბერს. მშობლები: სოფელ დესს მცხოვრები ცუნცურ (sic) ციცო ძე ხამცაშვილი და გუთაზ ენალდის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელში მცხოვრები გურძიხან ანუ ანნა გაგის ასული.

მაკრინე (sic), დაიბადა 15 მაისს, მოინათლა 13 დეკემბერს. მშობლები: სოფელ დესს მცხოვრები შილა ქუციკის ძე მირიქაშვილი და ნალყიზ ნარსავის ასული. მიმრქმელი – ამავე ქვემო დესელი (sic) სოფიო მამსრის ასული.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ ქვემო დესს მცხოვრები თოთა ზღარაგის ძე სამცაშვილი (sic). 41 წლის. პირველი ქორწინება(sic). სასძლო, სოფელ რესს მცხოვრები თაოზ გაბალაშვილის ასული **თეკლე**. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ რესს მცხოვრები **ლევან** მამსრის ძე ყაზიაშვილი, ცორა გეთის ძე თათარაშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ რესს მცხოვრები ძარახ სახის(?) ძე ყუსაშვილი და სოფელ დესს მცხოვრები ცპუ (sic) ამზორყას ძე ყუსაშვილი. ჯვარი დაიწერეს 9 იანვარს.

სასიძო, სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ვასკე ქუძანის ძე თუაშვილი. 44 წლის. პირველი ქორწინება(sic). სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები ქუცავ ბოცუაშვილის ასული გიგი. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ეფრე კუცის ძე თაყაშვილი, თოთი ქუძის ძე თუაშვილი; სასძლოს მხრივ, სოფელ გიმარას მცხოვრები ტერო ჯეთას ძე ბოცუაშვილი, **ლუარსაბ** დუდას ძე თუაშვილი. ჯვარი დაიწერეს 24 იანვარს.

სასიძო, სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ბართბოლომეი(sic) სავლოხის ძე სალბიშვილი. 32 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები ძახო ბზიკაშვილის ასული ზალი. 19 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ დესს მცხოვრები ფარსა ზღარაგის ძე ხამცაშვილი და ურასტი ყაიღინის ძე მარქაშვილი; სასძლოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრები ნარსივ ძაღლის (sic) ძე ბიზიკაშვილი და გაის პაპის ძე ყარაშვილი. ჯვარი დაიწერეს 26 იანვარს.

სასიძო, სოფელ მნას მცხოვრები დავიდ (sic) უმარის ძე ცაბოლიშვილი. 38 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ სუატის მცხოვრები ძიგო ელოშვილის ასული ქიქო. 53 წლის (sic). მეორე ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ მნას მცხოვრებნი გლახა დოლათყის ძე ქასაშვილი და გიგოლა სიას ძე სუდიშვილი(sic); სასძლოს მხრივ, სოფელ სუატის მცხოვრები ყოლაღარ ქუძანის ძე ელოშვილი და სოფელ ოქროყანას მცხოვრებელი ძახო ქელემეთის (sic) ძე არჯინიშვილი (sic). ჯვარი დაიწერეს 6 მაისს.

სასიძო, სოფელ გიმარას მცხოვრები თოთრაძ ქუძის ძე ბეროზიშვილი. 36 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, ზაყის სამრევლოს სოფელ აბათყავს მცხოვრებელი ღოკ (sic) ცაბრიშვილის ასული სოფიო. 19 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ გიმარას მცხოვრები ასაკო ზაბეს ძე ბეროზიშვილი, ინარყო აფაის ძე ბოცუაშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ აბათყავს მცხოვრებელნი ნაურუზ გობას ძე ცაბრიშვილი და გაგი აბას ძე ცაბრიშვილი. ჯვარი დაიწერეს 8 მაისს.

სასიძო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალაჯყო ძანგის ძე ბულაციშვილი. 24 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები დავით ბეროზიშვილის ასული სალომე. 19 წლის. მეორე ქორწინება(sic). თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ყარათყავს მცხოვრები ყასპოლ ახმათის ძე ბულაციშვილი და ქასა აბრაგის ძე ბოლოცაშვილი; სასძლოს მხრივ, სოფელ გიმარას მცხოვრებნი გიორგი ეფრეს ძე ბეროზიშვილი და ძონასპი მაცკას ძე ბეროზიშვილი. ჯვარი დაიწერეს 1 ივლისს.

სასიძო, სოფელ სუატის მცხოვრები ყორას ბაცის ძე ბაციაშვილი. 17 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქეთრს მცხოვრები ქუცრი ქოქაშვილის ასული ლიზა. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ სუატის მცხოვრებნი ძალასტყო (sic) გაბილის ძე ელოშვილი და ასტარხან (sic) გაბლის ძე თურაბეგიშვილი; სასძლოს მხრივ, სოფელ ქეთრს მცხოვრები სმაილ დუდას ძე ქეთოშვილი და სოფელ სუატის მცხოვრები ყოდაბერდ ამზორის ძე ელოშვილი. ჯვარი დაიწერეს 23 ოქტომბერს.

სასიძო, სოფელ სუატის მცხოვრები სვიმონ თემრყის ძე სამბეგიშვილი. 17 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სუატის მცხოვრები თოთრად ქასაშვილის ასული ძუათხან (sic). 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ სუატის მცხოვრებნი დავით მამსრის ძე ქასაშვილი და ნაუროზ ნარსავის ძე სამბეგიშვილი; სასძლოს მხრივ, ამავე სოფელს მცხოვრებნი ბითარ ვაზბის ძე ქასაშვილი და ყუდაბერდ ამზარის ძე ელოშვილი. ჯვარი დაიწერეს 28 ოქტომბერს.

სასიძო, სოფელ ზემო დეს მცხოვრები იორდან ხათის ძე თათარაშვილი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქეთრს მცხოვრები ბუბულა ქასაშვილის ასული **ნინო**. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ დესს მცხოვრებნი ბაირ ბზის ძე ხამცაშვილი და ამზირ ბოდის ძე ყასქაშვილი (sic); სასძლოს მხრივ, სოფელ ქეთრს(sic) მცხოვრებნი დუდა გაძის ძე ქასაშვილი და დავით ქასაშვილი. ჯვარი დაიწერეს 31 ოქტომბერს

სასიძო, სოფელ ქეთრს მცხოვრები ცორმან თოლაძის ძე ქოქაშვილი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ რეს მცხოვრები ყუდაბერდ ქალმანიშვილის ასული **დედუფალ** (sic). 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ქეთრს (sic) მცხოვრებნი ნიკოლოზ ფარნაზის ძე ქოქაშვილი, მოსე ზაბეს ძე ქასაშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ რესს მცხოვრებნი გაუს ყანყას ძე კუძიაშვილი და აღმაბეგ ყასპოლის ძე ქალმანიშვილი. ჯვარი დაიწერეს 4 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები დიდო ბლოს(?) ძე ჯანთიაშვილი. 45 წლის. პირველი ქორწინება(sic). სასძლო, სოფელ რესდ მცხოვრები ზორბეგ კუძიაშვილის (sic) ასული აზავ. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ცოცოლთას მცხოვრებნი მახმათ ასკეს ძე ბულაციშვილი და გაზძივ(?) დოგოს ძე მაკაშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ რესს მცხოვრებნი ყასპოლ მულდარის ძე ქალმანიშვილი და პეტრე ქერმენის ძე ყუსაშვილი. ჯვარი დაიწერეს 6 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ გიმარას მცხოვრები ყანყო უზინის ძე ბეროზიშვილი. 41 წლის. პირველი ქორწინება(sic). სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრებნი ფრანგ ბოცუაშვილის ასული **თამარი**. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ გიმარას მცხოვრებნი ძამბოლათ გოგიას ძე ბეროზიშვილი და ზაბე ბოპის ძე ბეროზიშვილი; სასძლოს მხრივ, ამავე სოფელს მცხოვრებნი ტერო გეთის ძე ბოცუაშვილი და გუგუ გაბრის ძე ბოცუაშვილი. ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ გიმარას მცხოვრები სუდარ (sic) სხონგერის ძე ბოცუაშვილი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ყარათყავს (sic) მცხოვრები იბაყ ბოლოციშვილის

ასული ქიქო. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ გიმარას მცხოვრებნი ინარყო ფრაის(?) ძე ბოციაშვილის (sic) და ისაკო ზობეს ძე ბეროზიშვილი. სასიძოს მხრივ, სოფელ ყარათყავს მცხოვრებნი ქისა(?) აბრაგის ძე ბოლაციშვილი და თამარყო დოკეს ძე ბულაციშვილი. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ქეთრის მცხოვრები დანიელ ლევანის ძე ქოქაშვილი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასიძო, სოფელ რესს მცხოვრები დადა ყუსაშვილის ასული თამარ. 19 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ქეთრის (sic) მცხოვრებელნი სმაილი (sic) დუდას ძე ქეთოშვილი და ასაგე ცოფინის ძე ქოქაშვილი. სასიძოს მხრივ, სოფელ რესს მცხოვრებნი ბერდ ბაირის ძე ყუსაშვილი და ტერო ვარის ძე გაბულაშვილი(?). ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ზემო დესს მცხოვრები ყაზიხან ფრანგის ძე ხამცაშვილი. 59 წლის. პირველი ქორწინება(sic). სასიძო, სოფელ ტეფს მცხოვრები ისათ (sic) ყალაგიშვილის ასული სახარ. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ზემო დესს მცხოვრებნი ფარსა გაისის ძე ურდიაშვილი(?), ცორა ბაბის(?) ძე ხამცაშვილი. სასიძოს მხრივ, სოფელ ტეფს მცხოვრებნი თათალო ძასას ძე ყალაგიშვილი და ზნაურ გუგუს ძე ყალაგიშვილი. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

დაიკრძალნენ „თავიანთ საგვარეულო განწესებულს სასფლაოზედა“.

სუატის მცხოვრები საბან ბეკოშვილის ქურივი დედა ნინო ხამრზას (sic) ასული გარდაიცვალა 13 იანვარს, დაიმარხა 15 იანვარს. 49 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფერდის ტკივილით.

ყარათყავს მცხოვრები ფარნი ხათის ძე ურთაშვილი გარდაიცვალა 18 თებერვალს, დაიმარხა 20 თებერვალს. 62 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

ცოცოლთას მცხოვრები ყაზბეგ თაკაშვილის ქურივი რძალი მაქო ბაზდის ასული გარდაიცვალა 7 მარტს, დაიმარხა 9 მარტს. 18 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მჭამლით (sic).

აბანოს მცხოვრები თოთრამ ასას ძე ცაბოლიშვილი გარდაიცვალა 29 მარტს, დაიმარხა 31 მარტს. 73 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

სუატის მცხოვრები პეტრე ქასაშვილის მეუღლე მართა ძახოს ასული გარდაიცვალა 5 აპრილს, დაიმარხა 7 აპრილს. 74 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

სუატის მცხოვრები აიდარყო სხას (sic) ძე სამბეგაშვილი გარდაიცვალა 27 აპრილს, დაიმარხა 29 აპრილს. 100 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

რესს მცხოვრები ვასცე ყუსაშვილის ქურივი რძალი ზალი დადისტანის (sic) ასული გარდაიცვალა 28 აპრილს, დაიმარხა 30 აპრილს. 90 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიჭლექით.

რესს მცხოვრები ჯახო ბეპოს ძე გაბალაშვილი გარდაიცვალა 6 მაისს, დაიმარხა 8 მაისს. 62 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციევ-ცხელებით.

ცოცოლთას მცხოვრები სოსრ(?) ფარის ძე ბულაციშვილი გარდაიცვალა 20 იუნისს(sic) დაიმარხა 23 იუნისს. 113 წლის(sic). გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ყართყავს (sic) მცხოვრები აჯე ურთაშვილის მეუღლე გოსი ქუძის ასული გარდაიცვალა 2 აგვისტოს, დაიმარხა 5 აგვისტოს. 64 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულისტკივილით.

ზაყაგორს მცხოვრები ასლან ქეთოშვილის ქურივი რძალი ჯიჭო (sic) სამის ასული გარდაიცვალა 27 აგვისტოს, დაიმარხა 29 აგვისტოს. 104 წლის (sic). გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ტეფს მცხოვრები ბესთავ სარეს ძე ყალაგიშვილი გარდაიცვალა 6 ოქტომბერს, დაიმარხა 9 ოქტომბერს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

ქეთრის მცხოვრები ახლავ მისოსტის ძე ცალაგიშვილი გარდაიცვალა 10 ოქტომბერს, დაიმარხა 12 ოქტომბერს. 69 წლის. გარდაცვალების მიზეზი – შირიმით.

ტეფს მცხოვრები ცორა ყალაგიშვილის დედისნაცვალი(sic) სიმაზ თემბოლათას ასული გარდაიცვალა 12 ნოემბერს, დაიმარხა 15 ნოემბერს. 102 წლის (sic). გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ქვემო დესს მცხოვრები ციცო საილოხის (sic) ძე ხამცაშვილი გარდაიცვალა 3 დეკემბერს, დაიმარხა 5 დეკემბერს. 86 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №1910

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1867 წელი

მღვდელი გაბრიელ ღუდიევი, პრიჩეტნიკი სფირიდონ (sic) ნასრაძე დაბადებულთათვის

იოანე, დაიბადა 1 იანვარს, მოინათლა 27 იანვარს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები საბა (sic) ბოზას ძე ხამცაშვილი და სჯულიერი ცოლი ამისი მაგდან თეფსრას ასული. მიმრქმელი – ღუშეთში მცხოვრები იოსებ იოანეს ძე აზიზოვი.

ეფრემი, დაიბადა 5 იანვარს, მოინათლა 28 იანვარს. მშობლები: სოფელ ქეთირს (sic) მცხოვრები თევდორე აღათანგის ძე ქოქაშვილი და მაკრინე (sic) გრიგოლის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები სიმონ ნარსაფის ძე ბიზიკაშვილი (sic).

დაიბადა¹ 31 იანვარს, მოინათლა 8 მაისს. მშობლები: სოფელ ზაყაგორს (sic) მცხოვრები ივანე ახმათის ძე ქეთოშვილი (sic) და ელისაბედ ფორნის ასული. მიმრქმელი – ანანურს მცხოვრებელი არტემი ივანეს ძე ვარტანოვი (sic).

ნიკოლოზი, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 9 მაისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები საპე (sic) მახმათის ძე ყუსაშვილი (sic) სოფიო გოგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბიდარას მცხოვრები იგისო ახლავის ძე ბოცოშვილი.

სოფიო, დაიბადა 6 თებერვალს, მოინათლა 13 თებერვალს. მშობლები: ამავე უჩასტკის, საბლადოჩინოს და სამრევლოს [სოფელ რესს?] მცხოვრებელი ილბიზდიყო სოხის ძე ყუსაშვილი და ანნა ბერის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელ რესს მცხოვრებელი ყანყო (sic) კუძიაშვილის (sic) მეუღლე სოფიო დღას ასული.

ალექსანდრე, დაიბადა 22 მარტს, მოინათლა 14 მაისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალაჯიყო გოგიას ძე ბოლაციშვილი და სალომე დავითის ასული. მიმრქმელი – ქეიშიშხანის(?) ქალაქს მცხოვრებელი ბერძენი გიორგი პანჭტის ძე ცილიდოვი.

დიმიტრი, დაიბადა 7 თებერვალს, მოინათლა 15 მაისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები თემრიყო მისტას ძე კუმალაგიშვილი (sic) გიგი გუდას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელ ყარათყავს მცხოვრები ხოხაი ბეჟაშვილის (sic) მეუღლე ფადა ბათყოს ასული.

თევდორე, დაიბადა 17 თებერვალს, 16 მაისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები გუგუ გაბრის (sic) ბოცოშვილი და ქიქო აიდას ასული. მიმრქმელი – ყარათყავში მცხოვრები ალაჯიყო გოგიას ძე ბოლაციშვილი (sic).

¹ ახალშობილის სახელი დოკუმენტში გამორჩენილია.

მიხეილი, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 17 მაისს. მშობლები: აბანოს სამრევლოს მღვდელი გაბრიელ ასსაზ (sic) ძე ღუდიევი და სოფიო გრიგოლის ასული. მიმრქმელი – კობის ბლაღოჩინი მღვდელი გიორგი იტონიევი [ითონიშვილი]. ნათლობა ადასრულა სიონის სამრევლოს მღვდელმა ზაქარია კარიაულმა.

ლეონტი, დაიბადა 6 თებერვალს, მოინათლა 18 ივნისს. მშობლები: სოფელ ბურმასიგში მცხოვრებული ილიზდიყო ქუძის ძე თავაშვილი და მართა ბაბის ასული. მიმრქმელი – გიმარას მცხოვრები თემრიყო აფაის(?) ძე ბოცოშვილი.

იოანე, დაიბადა 19 მარტს, მოინათლა 19 ივნისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები **გლახა** ოსმანის ძე ყარაშვილი და ზალი მარხათის (sic) ასული. მიმრქმელი – ზემო დესს მცხოვრები ფარსა გარსის ძე ურდიშვილი(?).

მეთოდი, დაიბადა 17 მაისს, მოინათლა 20 ივნისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ნაოგ სრახავის (sic) ძე ბიზიკიშვილი და უკანონო ცოლი სალომე გაბიასას ასული. მიმრქმელი – აბანოს მცხოვრები ძახო ახლავის ძე ბიზიკიშვილი.

ევსევი, დაიბადა 9 მაისს, მოინათლა 22 ივნისს. მშობლები: ზემო დესს მცხოვრები ძიბრელი (sic) ფრანგის ძე ხამცაშვილი და უკანონო ცოლი ამისი თოთრმან ზორბეგის ასული. მიმრქმელი – აბანოს მცხოვრები ვასილი მისოსტის ძე გოდიშვილი(sic).

ანნა, დაიბადა 13 თებერვალს, მოინათლა 23 ივნისს. მშობლები: ზემო დესს მცხოვრები თოთიკ **ლევანის** ძე ყაზიაშვილი (sic) და **თეკლე** ბაცის ასული. მიმრქმელი – სოფელ დესს მცხოვრები ბაირ ბოზოს ძე ხამცაშვილი.

თინათინი, დაიბადა 5 აპრილს, მოინათლა 24 ივნისს. მშობლები: სოფე დესს მცხოვრები თავსყო (sic) გაბლის ძე ზამცაშვილი (sic) და ყზმდა (sic) გავსას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელ მცხოვრები ცპუ ამზორყოს ძე ყრდიშვილი (sic).

ანდრია, დაიბადა 11 აპრილს, მოინათლა 25 ივნისს. მშობლები: სოფელ სუატისს მცხოვრები დავით მამსრის ძე ქასაშვილი და **ქალთამზე** (sic) უმარის ასული. მიმრქმელი – სუატისს მცხოვრები ნალუ სამბეგიშვილის მეუღლე აბგზ (sic) აბრაგის ასული.

მარიამი, დაიბადა 3 მაისს, მოინათლა 27 ივნისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები დამბოლათ გოგიას ძე ბეროზიშვილი და დანგარეთ ამზორყოს ასული. მიმრქმელი – ზემო დესს მცხოვრები აბესალომ ცორას ძე ხამცაშვილი.

დიმიტრი, დაიბადა 27 მარტს, მოინათლა 28 ივნისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ღუდარყო ნაფის ძე ურთაშვილი და ჩქო (sic) ზაბეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები გურგენ ბიციკოს ძე მარდიშვილი.

მელანის (sic), დაიბადა 28 თებერვალს, მოინათლა 29 ივნისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ბათრამ სოსრის ძე ბოლაციშვილი და ნენე ახლავის ასული. მიმრქმელი – გიმარას მცხოვრები მახმათ გუგას ძე ბოცოშვილი.

ბარბარე, დაიბადა 23 ივნისს, მოინათლა 30 ივნისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები გურგენ ბიციკოს ძე მარდიშვილი და ხაირ ქუცირის ასული. მიმრქმელი – ცოცოლთას მცხოვრები **გლახა** თოთრადის ძე მაკაშვილი.

სოლომანი (sic), დაიბადა 12 აპრილს, მოინათლა 1 ივლისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები თოთიკ თუკას ძე ყალაგიშვილი და უკანონო ცოლი ამისი ყზმიდა ნაუროზის ასული. მიმრქმელი – შავარდენს მცხოვრები ძახო დოჯეს ძე ქოქაშვილი.

კოზმა, დაიბადა 16 იანვარს, მოინათლა 2 ივლისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები თეფსრიყო ეფრეს ძე ქაღოშვილი (sic) და სოფიო **ლევანის** ასული. მიმრქმელი – ტეფს მცხოვრები ზნაურ გუგუს ძე ყალაგიშვილი.

მარიამი, დაიბადა 23 აპრილს, მოინათლა 3 ივლისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ბატა დაღისტანის ძე ყალაგიშვილი და ელისაბედ გიორგის ასული. მიმრქმელი – რესს მცხოვრები ხუჯი ხასლიყოს ძე გაბაღიშვილი.

მართა, დაიბადა 11 თებერვალს, მოინათლა 4 ივლისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები დიდო ისპანის ძე ყალაგიშვილი და გოსა თავყანის ასული. მიმრქმელი – ტეფს მცხოვრები ცოფან ყალაგიშვილის მეუღლე ცაცან ყრდის (sic) ასული.

ელენე, დაიბადა 9 მარტს, მოინათლა 11 ივლისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები სოლიკა(?) ისპანის ძე ყალაგიშვილი და ზალდა უზდეს ასული. მიმრქმელი – ტეფს მცხოვრები ცორა ყალაგიშვილის მეუღლე ძან ყაზბეგის ასული.

ნატალია, დაიბადა 15 ივნისს, მოინათლა 14 ივლისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები აბარყო ყუსაშვილის ქურივი მეუღლე ინდე დაღისტანის ასული (sic). მიმრქმელი – რესს მცხოვრები თოთარ ყურსაშვილის მეუღლე იბრხან (sic) ასლანბეგის ასული.

ეკატერინე, დაიბადა 15 თებერვალს, მოინათლა 20 ივლისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები **ნინია** ბესთავის ძე ყალაგიშვილი და უკანონო ცოლი **ნინო** ნაფის ასული. მიმრქმელი – ტეფს მცხოვრები გიმერ უმარის ძე ყალაგიშვილი.

ზაქარია, დაიბადა 25 ივლისს, მოინათლა 20 აგვისტოს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები გიშკა (sic) ეფრეს ძე ბეროზიშვილი და გუთაზ ბათყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ხარხეთს მცხოვრები ბერა დემეტრეს ძე გვიანიშვილი.

მინოდორი (sic), დაიბადა 5 იანვარს, მოინათლა 10 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები გუდა სიგას ძე ყალაგიშვილი და **ნინო** გოკის ასული. მიმრქმელი – აბანოს მღვდლის გაბრიელ ღუდიევის მეუღლე სოფიო გრიგოლის ასული.

ვასილი, დაიბადა 24 ოქტომბერს, მოინათლა 5 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ქვემო დესს მცხოვრები შილა (sic) ქუციკის ძე მარიქიშვილი(?) და ნალყიზ ნარსავის ასული. მიმრქმელი – დესს მცხოვრები ყადანათ სალბიშვილის მეუღლე **ქეთევან** ზღარაგის (sic) ასული.

პავლე, დაიბადა 23 აგვისტოს, მოინათლა 7 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები გისო მახმათის ძე ყუსაშვილი და შინა მოსამსახურე გოგო ამისი ზალდა ნონეს ასული. მიმრქმელი – ყარათყავს მცხოვრები ადაჯიყო გოგიას ძე ბულაციშვილი.

ანასტასია, დაიბადა 7 ივლისს, მოინათლა 8 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ნალიყ ხაზბის ძე ყალაგიშვილი და ნალმის საბანის ასული. მიმრქმელი – რესს მცხოვრები თევდორე ფარის ძე გაბაღიშვილი(?).

სერგეი, დაიბადა 13 ივლისს, მოინათლა 10 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები სოლიკა ისპანის ძე ყალაგიშვილი და ზალდა უდეს ასული. მიმრქმელი – ტეფს მცხოვრები ფარნაზ ყალაგიშვილის მეუღლე ქიქო ძიგის ასული.

კონსტანტინე, დაიბადა 15 აგვისტოს, მოინათლა 16 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ქაქო ლიმას ძე ძანთიაშვილი და ყზდირ თოთრაძის ასული. მიმრქმელი – ტეფს მცხოვრები ზაბე ხას (sic) ძე ყალაგიშვილი.

ელენე, დაიბადა 27 აგვისტოს, მოინათლა 20 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ცორა გაბლის ძე ძანთიაშვილი და ნალყუთ ღუდას ასული. მიმრქმელი – ტეფს მცხოვრები ზაბე ხას ძე ყალაგიშვილი.

იაკობი, დაიბადა 15 აგვისტოს, მოინათლა 27 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ქეთირს მცხოვრები მოსე ზაბე ძე ქასაშვილი და ცუცუა მირმანის ასული. მიმრქმელი – ქეთირს მცხოვრები ბათრამ ქერმეთის ძე ცალაგიშვილი.

ბარბარე, დაიბადა 14 სექტემბერს, მოინათლა 4 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ქეთირს მცხოვრები დანიელ **ლევანის** ძე ქოქაშვილი და **თამარ** დადეს ასული. მიმრქმელი – აბანოს მცხოვრები მანი ყანზის ძე საპიაშვილი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, მთის ოკრუგის, ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს და აბანოს სამრევლოს სოფელ ტეფს მცხოვრები სახაზინო ოსი ანდრია ყულადარის ძე ყალაგიშვილი. 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ რესს მცხოვრები სახაზინო ოსი ყასპოლათ ქალმანიშვილის ასული სიძონ(?). 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ტეფს მცხოვრები სახაზინო გლეხი ცორა ისაის ძე ყალაგიშვილი და ფარნაზ ძანგას ძე ყალაგიშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ რესს მცხოვრები ამზორიყო ყრლის ძე ყუსაშვილი და ვასკე გისის ძე ყუსაშვილი. ჯვარი დაიწერეს 8 იანვარს.

სასიძო, ამავე ოკრუგის და უჩასკის კობის საბლადოჩინოს და სამრევლოს სოფელ მნას მცხოვრები იოანე ბარსპის ძე ქოქაშვილი. 40 წლის. პირველი ქორწინება (sic). სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები ალხასტ ცაბოლიშვილის ასული მარიამი. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ მნას მცხოვრები ყადაბერდ მირზაბეგის ძე აბაშვილი და ალექსანდრე ბაქას ძე ყუსაშვილი; სასძლოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრები ფარსე მარხათის ძე ცაბოლიშვილი და ნიკოლოზ მაგკას ძე ცაბოლიშვილი. ჯვარი დაიწერეს 11 იანვარს.

სასიძო, სოფელ ქვემო ოქროყანას მცხოვრები დეტო (sic) ბიწის ძე ზადაგიშვილი. 33 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები დგი (sic) ბზიკიშვილის ასული გიგო. 22 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ სოფელ ოქროყანას მცხოვრები მოსე ზოზრიყოს ძე ქოქაშვილი და როსტომ გაგას ძე ზადაგიშვილი; სასძლოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრები ალექსანდრე ზაბეს ძე ცაბოლიშვილი და ძახო ახლავის ძე ბიზიკიშვილი. ჯვარი დაიწერეს 17 თებერვალს.

სასიძო, სოფელ კობს მცხოვრები იოანე ბოთრაძის ძე ბიგანიშვილი. 27 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები ქუცრი საპიაშვილის ასული ელენე. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ სოფელ კობს მცხოვრები გისო ფრანგის ძე თავაშვილი და **ერისთავ** (sic) ძბას (sic) ძე თავაშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრები წინწირ (sic) ყანზის ძე საპიაშვილი და ცორა მისისტის ძე გადიშვილი. ჯვარი დაიწერეს 6 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ზემო დესს მცხოვრები ინარყო გაბლის ძე ხამცაშვილი. 43 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სუატის მცხოვრები ქუციკ ქასაშვილის ასული **თამარ**. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ სოფელ ზემო დესს მცხოვრები ფარსა გასის ძე ყრდიშვილი (sic) და გუმთი საფქუძის ძე სავდაწაშვილი (sic); სასძლოს მხრივ, სოფელ სუატის მცხოვრები ვასკე ბეჰზარის ძე ქასაშვილი და ყაიდან თავის ძე ქასაშვილი. ჯვარი დაიწერეს 7 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ უხათს მცხოვრები ალექსი თუზას ძე სალბიშვილი. 23 წლის. პირველი ქორწინება, სასძლო სოფელ ქეთირს (sic) მცხოვრები ძიკ საქაშვილის ასული ელისაბედი. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ სოფელ უხათს მცხოვრები მათე სასთას ძე თავაშვილი, სასინკა (sic) ქუციკის ძე ქობლიშვილი (sic); სასძლოს მხრივ, სოფელ ქეთირს (sic) მცხოვრები ელმარყო საფქუძის ძე ქასაშვილი და დანიელ **ლევანის** ძე ქოქაშვილი. ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ტეფს მცხოვრები ზნაურ გუგუს ძე ყალაგიშვილი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ელბზდიყო ძანთიშვილის ასული

მაგდა. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ტეფს მცხოვრები ზაბე ხას ძე ყალაგიშვილი და მაცკა აბას ძე ყალაგიშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ქაქო ლიძას (sic) ძე ძანთიშვილი და ბადილა სოსრის ძე ბადაციშვილი. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ბაზილანს მცხოვრები ქოქა სმაილის ძე აბაშვილი. 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქეთირს მცხოვრები ძახო ქოქაშვილის ასული ნადმის (sic). 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ბაზილანს მცხოვრები ივანე ციცოს ძე აბაშვილი და ციცკა რაძაბას ძე მისოსტიშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ ქეთირს მცხოვრები ნიკოლოზ ფარნაზის ძე ქოქაშვილი და ლუარსაბ გადას ძე ქოქაშვილი. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ კობს მცხოვრები ალექსანდრე ბერეს ძე ყარაშვილი. 19 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქეთირს მცხოვრები ალიმარზა ქოქაშვილის ასული ყზლარ (sic). 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ სოფელ კობს მცხოვრები ბიციკო გობის ძე სალბიშვილი და ზნაურ თოთრას ძე ცალაგიშვილი; სასძლოს მხრივ, სოფელ ქეთირს მცხოვრები ძიგუ ქერმენის ძე ცალაგიშვილი და ძიგუდო ყასლყოს ძე ქოქაშვილი. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ შავარდენს მცხოვრები ივანე გაძას ძე ქოქაშვილი. 35 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო ღესს მცხოვრები დადა ყრდიშვილის (sic) ასული მარინე. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ შავარდენს მცხოვრები სიმონა დავითის ძე ბაბეშვილი და ყადაბერდ დავითის ძე ქოქაშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ ღესს მცხოვრები ყაზიხან ფრანგის ძე ხამცაშვილი და ბაირ ბზის ძე ხამცაშვილი. ჯვარი დაიწერეს 14 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

დაიკრძალნენ „თავიანთ საგვარეულო განწესებულს საფლაოზედა“.

სოფელ აბანოს მცხოვრები გოდახ (sic) საპიაშვილის ასული ტაისია (sic) გარდაიცვალა 3 იანვარს, დაიმარხა 4 იანვარს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ზემო ღესს მცხოვრები სიმონ მამსრის ძე ყაზიაშვილი გარდაიცვალა 23 იანვარს, დაიმარხა 25 იანვარს. 33 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მჭამლით.

ყარათყავს მცხოვრები ღუდარყო ნაფის ძე ურთაშვილი გარდაიცვალა 24 იანვარს, დაიმარხა 26 იანვარს. 44 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადით.

ზაყაგორს მცხოვრები ყაისან ციცის ძე ქეთოშვილი გარდაიცვალა 29 იანვარს, დაიმარხა 31 იანვარს. 107 წლის(sic). გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

სუატის მცხოვრები ადგე სხას ძე სამბეგიშვილი გარდაიცვალა 1 მარტს, დაიმარხა 4 მარტს. 111 წლის (sic). გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ქვემო ღესს მცხოვრები ფაფი ხამცაშვილის მეუღლე ქიქი ზადლის (sic) ასული გარდაიცვალა 7 მარტს, დაიმარხა 9 მარტს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

ზაყაგორს მცხოვრები გიბით თეიმურაზის ძე ქეთოშვილი გარდაიცვალა 2 აპრილს, დაიმარხა 5 აპრილს. 51 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

ყარათყავს მცხოვრები ფარსა ურთაშვილის მეუღლე **ნიწო** დავითის ასული გარდაიცვალა 4 აპრილს, დაიმარხა 6 აპრილს. 27 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციევ-ცხელებით(sic).

სუატის მცხოვრები ძადასტყო ელოშვილის რძალი **თამარი** (sic) დოხთეს ასული გარდაიცვალა 13 აპრილს, დაიმარხა 15 აპრილს. 88 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

ქვემო დეს მცხოვრები ენალდი თადგის ძე სალბიშვილი გარდაიცვალა 17 მაისს, დაიმარხა 19 მაისს. 117 წლის(sic). გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ზაყაგორს მცხოვრები ასლან სხანის ძე ქეთოშვილი გარდაიცვალა 27 მაისს, დაიმარხა 30 მაისს. 95 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

სუატიის მცხოვრები ელბერდ ქასაშვილის მეუღლე ცოფრხან ნაოგის ასული გარდაიცვალა 3 ივნისს, დაიმარხა 5 ივნისს. 29 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიჭლექით.

გიმარას მცხოვრები ინარყო აფაის ძე ბოცოშვილი გარდაიცვალა 4 ივნისს, დაიმარხა 6 ივნისს. 52 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფერდისტკივილით.

ქეთირს მცხოვრები ფარსე ქოქაშვილის ძე დავითი გარდაიცვალა 8 ივლისს, დაიმარხა 10 ივლისს. 6 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლისტკივილით.

ცოცოლთას მცხოვრები გურგენ ძარლოიშვილის ასული სალომე გარდაიცვალა 10 ივლისს, დაიმარხა 12 ივლისს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ქეთირს მცხოვრები გისო ქასაშვილის მეუღლე თამარი უზდეს ასული გარდაიცვალა 17 ივლისს, დაიმარხა 19 ივლისს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიჭლექით.

გიმარას მცხოვრები დანასპი ბეროშიშვილის ასული მარინე გარდაიცვალა 23 ივლისს, დაიმარხა 25 ივლისს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ცოცოლთას მცხოვრები საბან თავაშვილის მეუღლე ნინო თოთრაძის ასული გარდაიცვალა ...აგვისტოს¹. 18 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიჭლექით.

გიმარას მცხოვრები გახა თასოს ძე ბოცოშვილი გარდაიცვალა 22 აგვისტოს, დაიმარხა 24 აგვისტოს. 42 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ვოდიანკით [წყალმანკით].

გიმარას მცხოვრები ქუციკ ბოცოშვილის ძე ნიკოლოზ გარდაიცვალა 7 სექტემბერს, დაიმარხა 8 სექტემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელით.

ტეფს მცხოვრები მახსათ ფარის ძე ყალაგიშვილი გარდაიცვალა 19 სექტემბერს, დაიმარხა 21 სექტემბერს. 87 წლის(sic). გარდაცვალების მიზეზი – კლდიდგან გადმოვარდნით(sic).

სუატიის მცხოვრები მირზაბეგ დახცის ძე ქასაშვილი გარდაიცვალა 1 ოქტომბერს, დაიმარხა 3 ოქტომბერს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ქვემო დეს მცხოვრები ცუნცურ(sic) ხამცაშვილის ძე ვასილი გარდაიცვალა 20 ნოემბერს, დაიმარხა 21 ნოემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ქეთირს მცხოვრები ყარასე ფარნაზის ძე ქოქაშვილი გარდაიცვალა 6 დეკემბერს, დაიმარხა 13 დეკემბერს(sic). 29 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ზოვით(sic).

ყარათყავს მცხოვრები ბელიქუც(sic) მოხტეს ძე ქალუაშვილი გარდაიცვალა 6 დეკემბერს, დაიმარხა 14 დეკემბერს(sic). 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ზოვით.

ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №2028

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის ეკლესიის
მეტრიკული წიგნი – 1868 წელი**

**მღვდელი გაბრიელ ღუდიევი, პრიჩეტნიკი სფირიდონ ნასრაძე
დაბადებულთათვის**

ეფრასია, დაიბადა 1 იანვარს, მოინათლა 19 იანვარს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები ქუცრი ფრანგის ძე ხამცაშვილი და სოფიო ზაბეს ასული. მიმრქმელი – ღუშეთს მცხოვრები ზაქარ იოსების ძე ოთიევი.

¹ გარდაცვალების და დაკრძალვის რიცხვები დოკუმენტში გამორჩენილია.

მართა, დაიბადა 5 იანვარს, მოინათლა 6 თებერვალს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები თამრსყო დოკეს ძე ბალაციშვილი და ნალდისა დოკეს ასული. მიმრქმელი – ყარათყავს მცხოვრები აჯე ურთაშვილის ქურივი რძალი ქიქი ბაპის ასული.

ალექსი, დაიბადა 7 თებერვალს, მოინათლა 17 მარტს. მშობლები: სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ბძიგა თაგუს ძე ხამცაშვილი და სოფიო მამსრის ასული. მიმრქმელი – ქვემო დესს მცხოვრები ყუდანათ სალბიშვილის ქურივი რძალი მაგდან თადის ასული.

ალექსანდრე, 16 წლის, მოინათლა 30 მარტს. მშობლები: სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ურისპი (sic) ყავდინის ძე მირიქოშვილი(?) და მელექ სოის (sic) ასული. მიმრქმელი – აბანოს მცხოვრები გაფს (?) ცორას ძე გუდიშვილი.

ნიკოლოზი, დაიბადა 11 აპრილს, მოინათლა 2 ივნისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ანდრია ყანყას(?) ძე კუძიაშვილი და მარიამ ჯახის ასული. მიმრქმელი – ცხინვალში მცხოვრები გიორგი ისაისშვილი (sic) მოსეს ძე.

თევდორე, დაიბადა 28 მარტს, მოინათლა 25 ივნისს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ფიი (sic) ქუძაის ძე თავაშვილი და სალომე გაბრის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ეფრემ თავაშვილის მეუღლე თამარ ბაზრის ასული.

მარიამი, დაიბადა 5 აპრილს, მოინათლა 22 ივლისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ფაფი (sic) ქობეს ძე ბოცოშვილი და დაჩე (sic) ყუდაინათის ასული. მიმრქმელი – გიმარას მცხოვრები აფიყო ქუციკის ძე ბოცოშვილი.

ალექსანდრე, დაიბადა 9 მარტს, მოინათლა 1 აგვისტოს. მშობლები: სოფელ სივრავთის (sic) მცხოვრები ალინბეგ (sic) ალიქსის (sic) ძე ყალაგიშვილი და გოსა ქუცკის ასული. მიმრქმელი – რესს მცხოვრები თევდორე გაბაღაშვილის მეუღლე **ნინო** ბოდილას ასული.

სტეფანე, დაიბადა 16 ივნისი, მოინათლა 2 აგვისტოს. მშობლები: ამავე სოფელს მცხოვრები ალექსი სახონის (sic) ძე ფლიშვილი (sic) და **თინათინ** ყაიდანის ასული. მიმრქმელი – რესს მცხოვრები ყუსაშვილის ქურივი დედა **დარეჯან** ისპანის ასული.

მართა, დაიბადა 1 იანვარს, მოინათლა 1 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები გაზმივ (sic) დოგის ძე მაკაშვილი (sic) და ჩენზე ყოლაღარის ასული. მიმრქმელი – ცოცოლთას მცხოვრები მახმათ ნიკოლოზის ძე ბოლაციშვილი.

მოსე, დაიბადა 14 ივნისს, მოინათლა 4 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ბურმასიგში მცხოვრები **ლუარსაბ** ღუდას ძე თავაშვილი და უკანონო ცოლი ამისი ნინო. მიმრქმელი – გიმარას მცხოვრები გუგუ გაბრის ძე ბოცოშვილი.

მარიამ, დაიბადა 20 ივლისს, მოინათლა 8 სექტემბერს. მშობლები: სოფელ სოფელ რესს მცხოვრები ალინგებ ყასპოლათის ძე ქალმანიშვილი (sic) და ყზმიდა ოსმანის ასული. მიმრქმელი – ტეფს მცხოვრები ზაბე ხას ძე ყალაგოშვილი.

ანნა, დაიბადა 7 აგვისტოს, მოინათლა 9 სექტემბერს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ყუდაბერდ ყადა ინათის (sic) ძე ქალმანიშვილი და გოსაზი მაჩკას ასული. მიმრქმელი – გიმარას მცხოვრები ტერო გეთას ძე ბოცოშვილი.

იოსებ, დაიბადა 18 მაისს, მოინათლა 10 სექტემბერს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები სიმონ დადის ძე ბოცოშვილი და მაგდან ძანგის ასული. მიმრქმელი – გიმარას მცხოვრები ტერო გეთას ძე ბოცოშვილი.

მიტროდარა (sic), დაიბადა 18 მაისს, მოინათლა 10 სექტემბერს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები სიმონ დადის ძე ბოცოშვილი და მაგდან ძანგის ასული. მიმრქმელი – გიმარას მცხოვრები ტესო გეთის ძე ბოცოშვილი.

თეოდორა, დაიბადა 29 აგვისტოს, მოინათლა 11 სექტემბერს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ბათრამ ბოცოშვილის ქურივი რძალი **თამარ** მახმათის ასული. მიმრქმელი – გიმარას მცხოვრები ფაფი (sic) ბოცოშვილის მეუღლე დაჩე ყუდანათის ასული.

იუსტინა, დაიბადა 6 მარტს, მოინათლა 2 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები მონასპი მაჩკას ძე ბეროზიშვილი და ფათმა ძანალდის ასული. მიმრქმელი – ბურმასიგს მცხოვრები მიხეილ ფიის (sic) ძე თავაშვილი.

ანდრია, 22 წლის. მოინათლა 17 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ სუატიის მცხოვრები გუძ გეთას ძე ქასაშვილი და სოფიო ქედის ასული. მიმრქმელი – სუატიის მცხოვრები ბაცი ბაციაშვილი.

ანასტასია, დაიბადა 8 ოქტომბერს, მოინათლა 29 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ქვემო ღესს მცხოვრები ბაიმათ (sic) ქითოს ძე მრიქაშვილი (sic) **თინა** თინდის (sic) ასული. მიმრქმელი – იმავე სოფელს მცხოვრები ცორა თოთრაშვილის მეუღლე ანა დაგის ასული.

პლატონი, დაიბადა 3 ივლისს, მოინათლა 18 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ვასილი ნაოგის ძე ქალუშვილი (sic) ფათმა **ნინიას** ასული. მიმრქმელი – აბანოს მცხოვრები შიო ოსმანის ძე ცაბოლიშვილი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ გიმარას მცხოვრები როსტომ დავითის ძე ბეროზიშვილი. 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ რესს მცხოვრები საპეე ყუსაშვილის ასული სახარ. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ გიმარას მცხოვრები ისაკ ზაბეს ძე ბეროზიშვილი და ძიმბოლათ გოგიას ძე ბეროზიშვილი; სასძლოს მხრივ, სოფელ რესს მცხოვრები პეტრე ქერმენის ძე ყუსაშვილი და ძისო (sic) მახმათას ძე ყუსაშვილი. ჯვარი დაიწერეს 14 იანვარს.

სასიძო, სოფელ სუატიის მცხოვრები ვასკე ბეჰზარის (sic) ძე ქასაშვილი. 43 წლის. პირველი ქორწინება (sic). სასძლო, სოფელ სუატიის მცხოვრები ვაზბერი ბაციაშვილის (sic) ასული. 44 წლის (sic). პირველი ქორწინება. თავდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ სუატიის მცხოვრები, ქარქი (sic) ძიოს ძე ელოშვილი და ყაიდინ თავის ძე ქასაშვილი. სასძლოს მხრივ ამავე სოფელს მცხოვრებელი: თითქი (sic) ხაზბის ძე ქასაშვილი და ბატი აზოს ძე ბაციაშვილი. ჯვარი დაიწერეს 22 სექტემბერს.

სასიძო, სოფელ გიმარას მცხოვრები ხუდე გოგიას ძე ბეროზიშვილი. 27 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქეთირს მცხოვრებელი თოლამ (sic) ქოქაშვილის ასული **თამარი**. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ გიმარას მცხოვრებნი, გისკა (sic) ეფრეს ძე ბეროზიშვილი და ბათრადე არხმათის ძე ბოცოშვილი; სასძლოს მხრივ, სოფელ ქეთირს მცხოვრებნი თოთო ალათონგის ძე ქოქაშვილი და გისო ღუდას ძე ქასაშვილი. ჯვარი დაიწერეს 24 სექტემბერს.

სასიძო, სოფელ ბურმასიგს მცხოვრები დავიდ (sic) გაბისის ძე თავაშვილი. 39 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები გაგი ურთაშვილის ასული ნალმისი (sic). 14 წლის (sic). პირველი ქორწინება. თავდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ ბურმასიგს მცხოვრებნი **ლუარსაბ** ღუდას ძე თავაშვილი, ფიი ქუძის ძე თავაშვილი. სასძლოს მხრივ სოფელ ყარათყავს მცხოვრებნი ფარსი ასლანის ძე ურთაშვილი და ბადილ აჯეს ძე ურთაშვილი. ჯვარი დაიწერეს 20 ოქტომბერს.

სასიძო, სოფელ სუატიის მცხოვრები ზაალ ბზას ძე ქასაშვილი. 33 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქეთირს მცხოვრებელი ძგვი ცალაგიშვილის ასული სალომე. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ სუატიის მცხოვრებნი **ბაზალი** (sic) ძირის ძე ელოშვილი და ბაითურლამ შეჰზარის (sic) ძე ქასაშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ

ქეთირს მცხოვრებნი ბათრამ ქერშენის ძე ცალაგიშვილი და ცორმან თოლამის ძე ქოქაშვილი. ჯვარი დაიწერეს 21 ოქტომბერს.

სასიძო, სოფელ გიმარას მცხოვრები ივანე ქოქას ძე ბეროზიშვილი. 35 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები ფარსი კუმალაგაშვილის ასული ნინა. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ გიმარას მცხოვრებნი ივანე ძეკის ძე ბოცოშვილი და დანიყო ყავდის ძე ბეროზიშვილი; სასძლოს მხრივ, სოფელ ყარათყავს მცხოვრებნი ...¹ გისას ძე ურთაშვილი და თაზაგო მოსქას (sic) ძე კუმალაგიშვილი. ჯვარი დაიწერეს 22 ოქტომბერს.

სასიძო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები მიხეილ ბადალის ძე ურთაშვილი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, ამავე სოფელს მცხოვრები ისმან ყარაშვილის ასული ქალინა (sic). 19 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ყარათყავს მცხოვრებნი, ენალდიყო ქოსას ძე ბუტაციშვილი და ალანგებ ხათის ძე ურთაშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრებნი ვასილ მისოსტის ძე გოდიშვილი (sic) და ფაფარი (sic) გაბილის ძე ყორაშვილი(?). ჯვარი დაიწერეს 24 ოქტომბერს.

სასიძო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები თიფსუ ქუძის ძე ურთაშვილი. 52 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრებელი ოსმან ცაბოლიშვილის ასული მარიამი. 23 წლის. მეორე ქორწინება (sic). თავდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ყარათყავს მცხოვრებნი, ბაზი ისაის ძე ბოლაციშვილი და ალაჯყო (sic) მანგის ძე ბოლაციშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრებნი, აბე (sic) დოდას ძე ცაბოლიშვილი და ალექსანდრე ხუცას ძე ცაბოლიშვილი. ჯვარი დაიწერეს 25 ოქტომბერს.

სასიძო, სოფელ ქეთირს მცხოვრები ზნაურ დავითის ძე ქასაშვილი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ბაიმათ მირიქიშვილის ასული **ქეთევანი**. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ქეთირს მცხოვრებნი, ელდარყო სავქუძის ძე ქასაშვილი და თათა ბესლანის ძე ქოქაშვილი; სასძლოს მხრივ, სოფელ ქვემო დესს მცხოვრებნი ყადაინათ ამზორიყოს ძე სალბიშვილი და აბსალ (sic) ცორას ძე ხამცაშვილი. ჯვარი დაიწერეს 27 ოქტომბერს.

სასიძო, სოფელ სივრავთას მცხოვრები არტემ იდას ძე ყალაგიშვილი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო დესს მცხოვრები მირზაბეგ ხამცაშვილის ასული ზალი. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ სივრათის მცხოვრებნი, ალინბეგ ალიქის (sic) ძე ყალაგიშვილი (sic) და ალექსი სახანის ძე ფელიშვილი(?). სასძლოს მხრივ, სოფელ ზემო დესს მცხოვრებნი ცორა ბახოს ძე ხამცაშვილი და ცპუ ამზორიყოს ძე ურდიშვილი(?). ჯვარი დაიწერეს 29 ოქტომბერს.

სასიძო, სოფელ სუატის მცხოვრებელი ვასილი ბაიმათის ძე თურბეგიშვილი (sic). 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრებელი ფრანგ ბოცოშვილის ასული სალომე. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ სუატის მცხოვრები ცორა აზგერის ძე ქასაშვილი და ყარამან ბაზრის ძე ბაციშვილი; სასძლოს მხრივ, სოფელ გიმარას მცხოვრები ტერო (sic) გეთას ძე ბოცოშვილი და მახმათ ბოპის ძე ბეროზიშვილი. ჯვარი დაიწერეს 31 ოქტომბერს.

სასიძო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები მიხეილ ბიციკოს ძე ძარდოიშვილი (sic). 33 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები გუგუ ბოცოშვილის ასული ეკატირინე (sic). 15 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები დანალდი ბუძუს ძე დანთიაშვილი და ბათრამ სოსრის ძე

¹ სახელი აღარ იკითხება.

ბოლაციშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ გიმარას მცხოვრები სიმონ დოდის ძე ბოცოშვილი და ბათრას ასახმათის ძე ბოცოშვილი. ჯვარი დაიწერეს 2 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები თაფსყო (sic) დოგის ძე მაკაშვილი (sic). 34 წლის. პირველი ქორწინება(sic). სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრებელი დავიდ (sic) ბეროზიშვილის ასული ანასტასია. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ბარან სასრის ძე ბოლაციშვილი და გურგენ ბიციკოს ძე ძარლოიშვილი(sic); სასძლოს მხრივ, სოფელ გიმარას მცხოვრები ძანასპი მაჩკას ძე ბეროზიშვილი და მახმათ თეგის ძე ბოცოშვილი. ჯვარი დაიწერეს 3 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ზემო დეს მცხოვრები ბარამ სავჭუძის (sic) ძე სავმაწაშვილი. 30 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ რესს მცხოვრები აბორყო (sic) ყუსაშვილის ასული ეკატირინე. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ზემო დესს მცხოვრები ძახო დოლათყოს ძე ხამცაშვილი, თულუზ ფრანგის ძე ხამცაშვილი; სასძლოს მხრივ, სოფელ რესს მცხოვრები ვასკე გისოს ძე ყუსაშვილი და ყადაბერდ ყადაინათის ძე ქალმანიშვილი (sic). ჯვარი დაიწერეს 4 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ქეთირს მცხოვრები **ლუარსაბ** გუდას ძე ქოქაშვილი. 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები სხანგერი (sic) ბოცოშვილის ასული სოფიო. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ქეთირს მცხოვრები ნიკოლოზ ფარნაზის ძე ქოქაშვილი და ასაგე ცოფანის ძე ქოქაშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ გიმარას მცხოვრები თემრიყო ფრაის ძე ბოცოშვილი და გიორგი ეფრეს ძე ბეროზიშვილი. ჯვარი დაიწერეს 5 ნოემბერს.

სასიძო, ამავე საბლაღოჩინოს, ღუდის სამრევლოს სოფელ ხატისკარს მცხოვრები გრიგოლ მამათის ძე რუბაშვილი. 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები მაჩკა ბეროზიშვილის ასული ბარბარე. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ხატისკარს მცხოვრები **ლევან** რევაზის ძე რუბაშვილი, ილას (sic) თოთრაძის ძე ცაბოლიშვილი; სასძლოს მხრივ, სოფელ გიმარას მცხოვრები ასაკო ბაზეს ძე ბეროზიშვილი და ბაიმათ ქუდაგის ძე თავაშვილი. ჯვარი დაიწერეს 7 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ აბანოს მცხოვრები ქუცრი ზაბეს ძე ცაბოლიშვილი. 36 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ სუატის მცხოვრები თოკა ბეკოშვილის ასული მართა. 50 წლის (sic). მეორე ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრები მაჩკა ამირანის ძე ცაბოლიშვილი და სიმონ ნარსავის ძე ბიზიკიშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ სუატის მცხოვრები ადამ გისას ძე სამბეგიშვილი და ბერდ ამზორის ძე ელოშვილი. ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ აბანოს მცხოვრები ალექსანდრე ხუცას ძე ცაბოლიშვილი. 26 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო დესს მცხოვრები ხათ (sic) თათარაშვილის ასული ნადუზ (sic). 15 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრები **გლახა** ზაბეს ძე ცაბოლიშვილი და გავი (sic) დოდას ძე ცაბოლიშვილი; სასძლო მხრივ, სოფელ ზემო დესს მცხოვრები ცპუ ამზორყოს ძე ურლიშვილი და ყასპოლათ ღუდას ძე ურლიშვილი. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ აბანოს მცხოვრები ნიკოლოზ მაჩკას ძე ცაბოლიშვილი 25 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ბაძიგა ხამცაშვილის ასული **თამარი**. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრები ფარსე მახმათის ძე ცაბოლიშვილი და გისკა ზურბეგის ძე საპიაშვილი. სასძლო მხრივ, სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ფარსი ზღარაგის ძე ხამცაშვილი და ცორა გეთას ძე თათარაშვილი. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ აბანოს მცხოვრები ძახო თასბზარის ძე ცაბოლიშვილი. 42 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ რესს მცხოვრები ძახო გაბილაშვილის ასული ელისაბედი. 26 წლის. მეორე ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრები ალექსანდრე ზაბეს ძე ცაბოლიშვილი და ვასილი მისისტის ძე გოდიაშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ რესს მცხოვრები თევდორე ვარის (sic) ძე გაბილაშვილი და საბა გაბილას ძე ძაკაშვილი. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ უხათს მცხოვრები როსტომ გიცოს ძე ძუკაშვილი. 32 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქეთირს მცხოვრებელი ბაზრ (sic) ქოქაშვილის ასული გოსა. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ უხათს მცხოვრები გაგი ბესლანის ძე ქობლიშვილი და ვასკე თავქეს ძე ძუკაშვილი. სასძლო მხრივ, სოფელ ქეთირს მცხოვრები ასაგე ცოფანას ძე ქოქაშვილი და ფეფა (sic) სავქუძის ძე ქასაშვილი. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, კობის სამრევლოს სოფელ უხათს მცხოვრები შამანკა (sic) ქუცკის ძე ქობლიშვილი. 30 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქეთირს მცხოვრები ციცი ქეთიშვილის ასული დოლათხან. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ უხათს მცხოვრები ბილა (sic) ახლავის ძე კივიშვილი (sic) და დავიდ (sic) თოთრასძის ძე ქობლიშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ ქეთირს მცხოვრები სმაილი დადუს ძე ქეთოშვილი და იდმირზა ბესლანის ძე ქოქაშვილი. ჯვარი დაიწერეს 14 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ აბანოს მცხოვრები დავიდ (sic) ბზას ძე ბზიკაშვილი(sic). 55 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ მნას მცხოვრები ბაქა ყუსაშვილის ასული უზმიდა. 36 წლის. მეორე ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრები ზაქარია ოსმანის ძე ცაბოლიშვილი, სასძლოს მხრივ, სოფელ რესს მცხოვრები პეტრე ქერმენის ძე ყუსაშვილი. ჯვარი დაიწერეს 28 იანვარს.

სასიძო, სოფელ სივრატას მცხოვრები ალექსი სახანის ძე ფლიშვილი. 35 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები ყავდნ (sic) ბეროზიშვილის ასული **თინათინ**. 26 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ რესს მცხოვრები თევდორე ვარძის ძე ცაბულაშვილი (sic). სასძლოს მხრივ, სოფელ გიმარას მცხოვრები გიორგი ეფრემის ძე ბეროზიშვილი. ჯვარი დაიწერეს 17 მაისს.

სასიძო, სოფელ სივრავთას მცხოვრები შიო კაბოს (sic) ძე ყალაგიშვილი. 51 წლის. პირველი ქორწინება (sic). სასძლო, გორის უეზდის ჯავის საბლალოჩინოს და ედესის სამრევლოს სოფელ ერემანთს მცხოვრები რევაზ თაბლაშვილი ასული ძენე (sic). 47 წლის. პირველი ქორწინება(sic). თავდებნი, სასიძოს მხრივ, გისო ახლავის ძე ბოცოშვილი, სასძლოს მხრივ როსტომ ივანეს ძე თაბლაშვილი¹. ჯვარი დაიწერეს 18 მაისს.

გარდაცვალებულთათვის

დაიკრძალნენ „თავიანთ საგვარეულო განწესებულს სასაფლაოზედა“.

ყარათყავს მცხოვრები აჯე (sic) ურთაშვილის ქვრივი რძალი დგორ (sic) ხესას ასული გარდაიცვალა 1 იანვარს, დაიმარხა 2 იანვარს. 54 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიჭლექით.

ქეთირს მცხოვრები ბესლან ფაოს ძე ქოქაშვილი გარდაიცვალა 9 თებერვალს, დაიმარხა 11 თებერვალს. 76 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ტეფს მცხოვრები ეფრემი მარტიას ძე ქოზაშვილი (sic) გარდაიცვალა 12 თებერვალს, დაიმარხა 14 თებერვალს. 88 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

¹ თავმდებთ არ უწერიათ თუ რომელი სოფლიდან არიან.

ყარათყავს მცხოვრები ფარსი კუმალაგიშვილის ძე ნიკოლოზი გარდაიცვალა 15 თებერვალს, დაიმარხა 16 თებერვალს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ყარათყავს მცხოვრები ყასპოლ ურთაშვილის და ელენე ცოფანის ასული გარდაიცვალა 16 თებერვალს, დაიმარხა 18 თებერვალს. 5 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

ქვემო დესს მცხოვრები შილა (sic) მირიქაშვილის ძე ვასილი გარდაიცვალა 20 თებერვალს, დაიმარხა 21 თებერვალს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

გიმარას მცხოვრები მიხეილ ბოცოშვილის და ზალი ბზას ასული გარდაიცვალა 21 თებერვალს, დაიმარხა 23 თებერვალს. 17 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადით.

ქეთირს მცხოვრები მოსე ქოქაშვილის ძე იაკობი გარდაიცვალა 25 თებერვალს, დაიმარხა 26 თებერვალს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

გიმარას მცხოვრები დამბოლათ ბეროზიშვილის ასული მარიამი გარდაიცვალა 28 თებერვალს, დაიმარხა 29 თებერვალს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

სუატის მცხოვრები აბი აზგერის ძე ბაციაშვილი გარდაიცვალა 2 მარტს, დაიმარხა 4 მარტს. 42 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიჭლექით.

ყარათყავს მცხოვრები იბაყ (sic) ბულაციშვილის ასული მაგანი (sic) [მაგდანი] გარდაიცვალა 4 მარტს, დაიმარხა 5 მარტს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

გიმარას მცხოვრები სოლომონ ფათის ძე ბოცოშვილი გარდაიცვალა 4 მარტს, დაიმარხა 6 მარტს. 12 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ვოდინაკით [წყალმანკით].

ყარათყავს მცხოვრები გაგი ურთაშვილის ძე ზაქარია გარდაიცვალა 7 მარტს, დაიმარხა 8 მარტს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

სუატის მცხოვრები ძალასტყო კაბილის ძე ელოშვილი გარდაიცვალა 10 მარტს, დაიმარხა 12 მარტს. 87 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ყარათყავს მცხოვრები გაგი ურთაშვილის ძმისწული გიორგი დოლათმირზას ძე გარდაიცვალა 13 მარტს, დაიმარხა 14 მარტს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ზემო დესს მცხოვრები ელბაზდ (sic) სავრაწაშვილი (sic) მეუღლე ბაბუ დავითის ასული გარდაიცვალა 14 მარტს, დაიმარხა 16 მარტს. 33 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თიაქრით.

ყარათყავს მცხოვრები ცპუ (sic) ურთაშვილის დედის-ნაცვალი დაქა (sic) გალის ასული გარდაიცვალა 17 მარტს, დაიმარხა 19 მარტს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიჭლექით.

რესს მცხოვრები მიხეილ ძახოს ძე გაბალაშვილი გარდაიცვალა 20 მარტს, დაიმარხა 22 მარტს. 20 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

ყარათყავს მცხოვრები აჯე იკოს ძე ურთაშვილი გარდაიცვალა 22 მარტს, დაიმარხა 24 მარტს. 85 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ყარათყავს მცხოვრები თოთრად კუმალაგიშვილის ასული მაგდან გარდაიცვალა 24 მარტს, დაიმარხა 25 მარტს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ყარათყავს მცხოვრები ქოსა ბოლაციშვილის ასული პელაგია გარდაიცვალა 25 მარტს, დაიმარხა 26 მარტს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ტეფს მცხოვრები მიხეილ ყალაგიშვილის უკანონო ძმა გრიგოლი გარდაიცვალა 29 მარტს, დაიმარხა 30 მარტს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ყარათყავს მცხოვრები თაფსყო ურთაშვილის ასული **ნინო** გარდაიცვალა 31 მარტს, დაიმარხა 3 აპრილს(sic). 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ზაყაგორს მცხოვრები თოხე (sic) ქეთოშვილის დედა ანნა ძიძას ასული გარდაიცვალა 2 აპრილს, დაიმარხა 5 აპრილს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ყარათყავს მცხოვრები თაფსყო (sic) ურთაშვილის მეუღლე მარიამ ბაირის ასული გარდაიცვალა 7 აპრილს, დაიმარხა 9 აპრილს. 26 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

სუატის მცხოვრები ქარქი (sic) ელოშვილის ძე ანტონი გარდაიცვალა 9 აპრილს, დაიმარხა 10 აპრილს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ტეფს მცხოვრები ივანე ყალაგიშვილის ასული ეკატერინე (sic) გარდაიცვალა 15 აპრილს, დაიმარხა 16 აპრილს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

აბანოს მცხოვრები ოსმან უბას ძე ყარაშვილი გარდაიცვალა 22 აპრილს, დაიმარხა 24 აპრილს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ტეფს მცხოვრები ალექსი ყალაგიშვილის ასული მინანდორე (sic) გარდაიცვალა 25 აპრილს, დაიმარხა 26 აპრილს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

გიმარას მცხოვრები ფაფი (sic) ბოცოშვილის ასული ელენე გარდაიცვალა 1 მაისს, დაიმარხა 2 მაისს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ცოცოლთას მცხოვრები ყაზბეგ ქერმენის ძე თავაშვილი გარდაიცვალა 3 მაისს, დაიმარხა 5 მაისს. 104 წლის (sic). გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

სუატის მცხოვრები ზურაბ ბაციაშვილის ქურივი რძალი თამარ ჯიცოს (sic) ასული გარდაიცვალა 4 მაისს, დაიმარხა 7 მაისს. 53 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

ტეფს მცხოვრები ბატა ყალაგიშვილის ასული მარიამი გარდაიცვალა 8 მაისს, დაიმარხა 9 მაისს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

სუატის მცხოვრები დიმიტრი ელოშვილის ასული ანნა გარდაიცვალა 19 მაისს, დაიმარხა 20 მაისს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ქეთირს მცხოვრები ძახო ძახის (sic) ძე ქოქაშვილი გარდაიცვალა 8 მარტს, დაიმარხა 29 მაისს (sic). 41 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ზოვით (sic).

ტეფს მცხოვრები ისმეილ ყალაგიშვილის მეუღლე **ქალი** (sic) აგვის (sic) ასული გარდაიცვალა 1 ივნისს, დაიმარხა 3 ივნისს. 89 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ცოცოლთას მცხოვრები ქუცა მაკაშვილის ძე აბრამი გარდაიცვალა 6 ივნისს, დაიმარხა 7 ივნისს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

გიმარას მცხოვრები სხანგერი ბოცოშვილის ასული ეფროსინია (sic) გარდაიცვალა 18 ივნისს, დაიმარხა 19 ივნისს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

სუატის მცხოვრები ბაზრ ბაციშვილი (sic) ძე კოდრატე გარდაიცვალა 24 ივნისს, 25 ივნისს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ყარათყავს მცხოვრები ალაჯიყო ბოლაციშვილის ძე ალექსანდრე გარდაიცვალა 25 ივნისს, დაიმარხა 26 ივნისს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ყარათყავს მცხოვრები დავიდ (sic) ქასაშვილის ძე ანდრია გარდაიცვალა 16 ივლისს, დაიმარხა 17 ივლისს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

აბანოს მცხოვრები საგი ცაბოლიშვილის ასული დარია გარდაიცვალა 8 აგვისტოს, დაიმარხა 10 აგვისტოს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ყარათყავს მცხოვრები ბადად ურთაშვილის ქურივი რძალი მარიამ ბაპის ასული გარდაიცვალა 5 ნოემბერს, დაიმარხა 7 ნოემბერს. 96 წლის (sic). გარდაცვალების მიზეზი – ბანიდგან ჩამოვარდნით.

ზაყაგორს მცხოვრები ყურმან ქეთოშვილის მეუღლე **დედუფალ** (sic) დიდას ასული გარდაიცვალა 22 ნოემბერს, დაიმარხა 24 ნოემბერს¹. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

¹ ასაკი გამორჩენილია.

აბანოს ასაბეგ ცაბოლიშვილის ქურივი დედა ცერეჟ (sic) აიდარყოს ასული გარდაიცვალა 28 ნოემბერს, დაიმარხა 30 ნოემბერს. 73 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №2109

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის ეკლესიის
მეტრიკული წიგნი -1869 წელი**

მღვდელი გაბრიელ ღუდიევი, პრიჩეტნიკი სფირიდონ (sic) ნასრაძე

დაბადებულთათვის

თევდორე, დაიბადა 7 იანვარს, მოინათლა 17 იანვარს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრებნი ძიბრეილ (sic) ფრანგის ძე ხამცაშვილი და უკანონო ცოლი ამისი თოთრძან (sic) ზორბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ვასილ მისისტის ძე გუდიშვილი (sic).

ალექსანდრე, დაიბადა 5 იანვარს, მოინათლა 23 თებერვალს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები მიხეილ თოთრძის ძე ყალაგიშვილი და სოფიო ძგვის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები მაჩკა აბოს ძე ყალაგიშვილი.

ვასილი, დაიბადა 2 თებერვალს, მოინათლა 28 თებერვალს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები საჯი ღუდას ძე ცაბოლიშვილი და ცამაყუდ ახლავის ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები ზაურბეგ ჯას ძე ყალაგიშვილი.

ევდოკია, დაიბადა 17 იანვარს, მოინათლა 1 მარტს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები თემრყო (sic) აფაის ძე ბოცოშვილი და სალომე ამზორიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ოსკა ეფრემის ძე ბეროზიშვილი.

არსენი, დაიბადა 25 თებერვალს, მოინათლა 2 მარტს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ძამბოლათ გოგიას ძე ბეროზიშვილი და ძანგარეთ ამზორიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები გიგოლ ნაოგის ძე ბოცოშვილი.

ევფიმი (sic), დაიბადა 13 იანვარს, მოინათლა 11 მარტს. მშობლები: სოფელ ქეთირს მცხოვრები ასვე (sic) ცოფანის ძე ქოქაშვილი და თამარ ქასას ასული. მიმრქმელი – ღუშეთის უუზდის სოფელ ფრეზეთს (sic) მცხოვრები გლახა გიგოლას ძე ხუროშვილი (sic).

ილარიონ, დაიბადა 8 თებერვალს, მოინათლა 28 მარტს. მშობლები: სოფელ ქეთირს მცხოვრები ბათრად ქერმენის ძე ცალაგიშვილი და ბარბარე ვაზბის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები წინწირ (sic) საპიაშვილის მეუღლე სალომე ძახის ასული.

სოლომონი, დაიბადა 20 მარტს, მოინათლა 13 მაისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები გაგი ნაის ძე ურთაშვილი და დარეჯან ბასას ასული. მიმრქმელი – ქ. ვლადიკავკაჟში მცხოვრები აფანასი ცუცურის ძე ბედოშვილი (sic).

აბესალომი, დაიბადა 5 აპრილს, მოინათლა 15 მაისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები იესე ასლანის ძე ურთაშვილი და გუთაზ სასრის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები იორდანე გისოს ძე ურთაშვილი.

მიხეილი, დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 21 მაისს. მშობლები: სოფელ ქეთირს მცხოვრები თოთო ადათანგის ძე ქოქაშვილი და მაკრინე გრიგოლის ასული. მიმრქმელი – სოფელ ქუმლისციხეს მცხოვრები ღუდას (sic) აგოს ძე ძუაშვილი.

სოფიო, დაიბადა 9 თებერვალს, მოინათლა 23 მაისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ალექსანდრე ბაზეს ძე ცაბოლიშვილი და ელენე ბაიმათის ასული. მიმრქმელი – აბანოს მღვდლის მეუღლე სოფიო გიორგის ასული.

იოანე, დაიბადა 29 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები **გლახა** ზაბეს ძე ცაბოლოშვილი და სალომე ზაბეს ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ადხასტ (sic) ცაბოლოშვილის ქურივი რძალი ბარბარე ზაქარიას ასული.

თევდორე, 27 წლის, მოინათლა 5 ივნისს. მშობლები: სოფელ ქეთირს მცხოვრები დუდა გაჩის ძე ქასაშვილი და ჩისილჩიზგ (sic) თურქიას ასული. მიმრქმელი – სოფელ ქეთირს მცხოვრები ბათრამ ქერმენის ძე ცალაგიშვილი.

თეკლე, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 9 ივნისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები გოდახ (sic) ყანზის ძე საპიაშვილი და მეძგა სახანის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები დიდო თუღანის ძე ცაბოლოშვილი.

პეტრე, დაიბადა 19 აპრილს, მოინათლა 12 ივნისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები თამრსყო (sic) თამსის ძე ბოცოშვილი და გოგი (sic) გუძანის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ასკო ზაბეს ძე ბეროზიშვილი.

ანნა, დაიბადა 1 იანვარს, მოინათლა 13 ივნისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები თათადო (sic) ჯას ძე ყალაგიშვილი მარიამ ცორას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბიდარას მცხოვრები გისო ბოცოშვილის მეუღლე სასანეთ დღას (sic) ასული.

ლაზარე, დაიბადა 7 იანვარს, მოინათლა 15 ივნისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები გავი დუდას ძე ცაბოლოშვილი და **ნინო** ოსმანის ასული. მიმრქმელი – დუშეთს მცხოვრებული ანდრია დოჯეს ძე ბიზიკიშვილი.

ვასილი, დაიბადა 15 იანვარს, მოინათლა 6 ივლისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები მახამათ დოლათმირზას ძე ცაბოლოშვილი და გიგა (sic) ნაოგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ქეთირს მცხოვრები ბათრამ ქერმენის ძე ცალაგიშვილი.

ლეონტი, დაიბადა 17 აპრილს, მოინათლა 10 ივლისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები კაცო გაძას ძე აბაშვილი და გიგო რევაზის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალაჯყო ძონგის ძე ბულაციშვილი.

დანიელი, დაიბადა 9 მარტს, მოინათლა 10 ივლისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები დიდო ისპანის ძე ყალაგიშვილი და გოსა თავყონის ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები ტგუ (sic) საბანის ძე ქალოშვილი (sic).

ელისაბედი, დაიბადა 20 მაისს, მოინათლა 11 ივლისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ვასილი გიორგის ძე ყუსაშვილი და მარინე ცორას ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები თევდორე ვარის (sic) ძე გაბილაშვილი.

ელენე, დაიბადა 4 მაისს, მოინათლა 11 ივლისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები მიხეილ ბაიმათის ძე ყუსაშვილი და პელაგია საყლავის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები გაუს კუძიაშვილის მეუღლე **მელანია ლევანის** ასული.

მარიამი, დაიბადა 28 თებერვალს, მოინათლა 12 ივლისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები თოთა სოსრას ძე ბულაცაშვილი (sic) და თამარ ჩნას ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ისაბონ(?) თაკაშილის დედა გოსა ბათაყოს ასული.

ხიონია (sic), დაიბადა 19 მარტს, მოინათლა 16 ივლისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ბართბოლომეი (sic) სისრას ძე ბულაციშვილი და გიგი ძიწის ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები მიხეილ ბიციკოს ძე მარლიშვილი.

მარინე, დაიბადა 30 მაისს, მოინათლა 17 ივლისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები საბა (sic) დადის ძე ბოცოშვილი და სალომე ნოდის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები სულარ (sic) სხონჯერის ძე ბოცოშვილი.

მაკრინე, დაიბადა 7 ივნისს, მოინათლა 19 ივლისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ყანყო უზნის ძე ბეროზიშვილი და **თამარ** ფრანგის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ეფრემ ბეროზიშვილის რძალი თამარ ბათაყოს ასული.

დავიდ (sic), დაიბადა 30 აპრილს, მოინათლა 24 ივლისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ელბიზდიყო სოხის ძე ყუსაშვილი და ანნა ბერის ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები გარსევან თევდორეს ძე გაბილაშვილი.

პარასკევა, დაიბადა 25 მაისს, მოინათლა 26 ივლისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ქუც (sic) ბოლათის ძე მაკაშვილი და გოსა ფარნის ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები გურგენ ბიციკოს ძე ძარდოიშილი(?).

ანფისი (sic)¹, დაიბადა 11 იანვარს, მოინათლა 27 ივლისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ცოფან ურთაშვილის დაქვრივებული მეუღლე ცაცაბა ბათრაძის ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები გურგენ ბიციკოს ძე ძარდოიშვილი.

სერაფიმი(sic),² დაიბადა 8 მაისს, მოინათლა 29 ივლისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები გაზმივ ღოგოს ძე მაკაშვილი და ჩენზე ყულადარის ასული. მიმრქმელი – ცოცოლთას მცხოვრები თოთრ ბოცოკის ძე ძარდოშვილი.

მაქსიმე, დაიბადა 2 ივნისს, მოინათლა 30 ივნისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები დიდო გულისძე ძარდოშვილი და აზავ ზორბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგას (sic) მცხოვრები ეფრემ თავაშვილის ქურივი რძალი გოგა ფრას ასული.

სოლომონი, დაიბადა 9 ივნისი, მოინათლა 1 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ბიიგი თაგუს ძე ხამცაშვილი და სოფიო მამსრის ასული. მიმრქმელი – სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ცორა თათარაშვილი (sic) მეუღლე ანნა გაგის ასული.

ალექსანდრე, დაიბადა 5 იანვარს, მოინათლა 1 აგვისტოს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ხუჯი ხასლყოს(?) ძე გაბელაშვილი და **თამარ** რაფიელის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ვასილი მისოსტის ძე გუდიშვილი (sic).

ისაკი, დაიბადა 4 მარტს, მოინათლა 3 აგვისტოს. მშობლები: სოფელ სუატისს მცხოვრები ბაზარ (sic) აზგერის ძე ბაციაშვილი და **ნინო** ვანას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ფაფარი გაბელის ძე ყარაშვილი.

ნონა³ (sic), დაიბადა 14 თებერვალს, მოინათლა 5 აგვისტოს. მშობლები: სოფელ სუატისს მცხოვრები ბურაფარნიგ (sic) **ლევანის** ძე ელოშვილი და ბარბარე ძიძას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები თოთრბეგ ქასაშვილის მეუღლე ნადუზ ოსმანის ასული.

მირონ⁴ (sic), დაიბადა 29 აპრილს, მოინათლა 8 აგვისტოს. მშობლები: სოფელ სუატისს მცხოვრები **სიმონ** თემრიყოს ძე სამბეგიშილი და გოსა თემურყას ასული. მიმრქმელი – სოფელ სუატისს მცხოვრები ბაზარ ბაციაშვილის მეუღლე **ნინო** ვანას ასული.

მაკარი, დაიბადა 23 ივნისს, მოინათლა 18 აგვისტოს. მშობლები: სოფელ სუატისს მცხოვრები ქარჩი ძიგოს ძე ელოშვილი და ძაქე ბაითულანის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელ მცხოვრები ცპუ თავის ძე ქასაშვილი.

თადეოზ, დაიბადა 26 მარტს, მოინათლა 21 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები საბი ბოზას ძე ხამცაშვილი და **თამარ** თეფსრას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელ მცხოვრები ბესთავა ყაზიაშვილის დედა ხადი ბოლას ასული.

¹ ქალის სახელია, გატარებულია ქალების გრაფაში.

² ქალის სახელია, გატარებულია ქალების გრაფაში.

³ ქალის სახელია, გატარებულია ქალების გრაფაში.

⁴ მამაკაცის სახელია.

საბა, დაიბადა 8 თებერვალს, მოინათლა 27 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები თოთიკ **ლევანის** ძე ყაზიაშვილი და **თეკლე** ბაცის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო დესს მცხოვრები ბაი ბოზას ძე ხამცაშვილი.

ნიმფოდრა¹, დაიბადა 10 ივლისს, მოინათლა 10 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები ბაზიკო მირზაბეგის ძე ხამცაშვილი და **ნინო** მირძანას (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ცორა თათარაშვილის მეუღლე ანნა გაგის ასული.

დიონისი (sic), დაიბადა 4 აგვისტოს, მოინათლა 3 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ სუატის მცხოვრები დავიდ (sic) მამსრის ძე ქასაშვილი და **ქალთაშუ** (sic) უმარის ასული. მიმრქმელი – სოფელ სუატის მცხოვრები ნალყ სამბეგიშვილის მეუღლე აბგზ (sic) აბრაგის ასული.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები საბა ყაბეს ძე თაკაშვილი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქურთათის უჩასტკის, არიდონის (sic) [არდონის] საბლალოჩინოს და ზაყის სამრევლოს, ამავე ზაყის მცხოვრებელი ახლავ ცბრიშვილის (sic) ასული ელენე. 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები თოთრ ბიციკის ძე მარდიშილი, თოთრ ბათყას ძე ყუსაშვილი და გისო ქოთას ძე მარქიშვილი, სასძოს მხრივ – ზაყას მცხოვრებელნი გაგი ბაზრის ძე ცბრიშვილი, ბიმბოლათ ბადის ძე აბაშვილი და **გლახა** მოტკას (sic) ძე ხუთიშვილი (sic). ჯვარი დაიწერეს 15 იანვარს.

სასიძო, სოფელ ქეთირს მცხოვრები იგორ ღუდას ძე ქასაშვილი. 39 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ უხათს მცხოვრები ხუცუ ბუქულიშვილის ასული მარიამი. 47 წლის(sic). მეორე ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ ქეთირს მცხოვრებნი, ბათრამ ქერმენის ძე ცალაგიშილი, ელმარყო სავქუძის ძე ქასაშვილი და ზნაურ დავითის ძე ქასაშვილი. სასძლო მხრივ, სოფელ უხათს მცხოვრები ბილა (sic) ახლავის ძე კივაშვილი (sic), როსტომ გიცოს ძე ძუკაშვილი და დოლათმირზა ბოლათის ძე მაკაშვილი. ჯვარი დაიწერეს 22 იანვარს.

სასიძო, სოფელ სუატის მცხოვრები ბესარიონ **ლევანის** ძე **ელოშვილი**. 17 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები თამსრუ ბულაციშვილის ასული². 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ სუატის მცხოვრებნი ცორა ვაზგერის ძე ქასაშვილი, ბაზილი (sic) ძიგის ძე ელოშვილი და ბერდ (sic) ფანაზის ძე ელოშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ ყარათყავს მცხოვრებნი ყასპოლათ ახმათის ძე ბულაციშილი, თაფსყო ქუძის ძე ურთაშვილი და ყარასე ძანგის ძე ბულაციშილი. ჯვარი დაიწერეს 27 ოქტომბერს.

სასიძო, სოფელ სივრავთას (sic) მცხოვრები იორდანე ალქის (sic) ძე ყალაგიშვილი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები თოთაზ ბულაციშვილის ასული ელისაბედი. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ სივრავითს მცხოვრები როსტომ იდას ძე ყალაგიშილი, ალექსი სხანის (sic) ძე ფლიშვილი(?) და ძარახ სონის ძე ყუსაშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ ცოცოლთას მცხოვრებნი გიდი გოჯის ძე თაკაშვილი, ბადი ბაციკის ძე ძარდლოიშვილი და ბადილა სოსრის ძე ბულაციშვილი. ჯვარი დაიწერეს 29 ოქტომბერს.

სასიძო, სოფელ გიმარას მცხოვრები ციცკა ზაბეს ძე ბეროზიშვილი. 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები ძახი ცაბოლიშვილის ასული **თამარ**. 14

¹ ქალის სახელია.

² სახელი გამორჩენილია.

წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ გიმარას მცხოვრებნი დამბოლათ გოგიას ძე ბეროზიშვილი, ტერო გეთის ძე ბოცოშვილი, გიორგი ეფრემის ძე ბეროზიშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრებნი ელმირზა ნარსავის ძე ბიზიკიშვილი, ნიკოლოზ მაჩკას ძე ცაბოლიშვილი და ძახო თასბზარის ძე ცაბოლიშვილი. ჯვარი დაიწერეს 1 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ქეთირს მცხოვრები ნიკოლოზ ბესალნის ძე ქოქაშვილი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები ნინო ბაციაშვილის (sic) ასული. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ ქეთირს მცხოვრებნი ელდორყო სავჭუძის ძე ქასაშვილი, ნიკოლოზ ფარნაოზის ძე ქოქაშვილი, მასრიყო ციცის ძე ქეთოშვილი, სასძლოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრებნი ყარამან ბაზრის ძე ბაციაშვილი, ზაურბეგ ყანზის ძე საპიაშვილი და ბაზრ აზგერის ძე ბაციაშვილი. ჯვარი დაიწერეს 3 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ნაოყავს მცხოვრები სტეფანე აბრაგის ძე აბაშვილი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები მანი საპიაშვილის ასული სალომე. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ ნაოყავს მცხოვრებნი, ლეგი (sic) ბზდას ძე ოსიაშვილი (sic), გისი ყაზის ძე ბიდიხიშვილი და გიორგი ბერდის ძე ქოქაშვილი, სასძლოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრებნი ცორა ბესლანის ძე გუდიშვილი, წინწირ ყონზის ძე საპიაშვილი და გის კაზაურბეგის ძე საპიაშვილი. ჯვარი დაიწერეს 6 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ სუატის მცხოვრები ყარამან მოთას(?) ძე ყოსქაშვილი (sic). 36 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ბურმასიგას (sic) მცხოვრები ელბიზდიყო თავაშვილის ასული მარიამი. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ სუატის მცხოვრებნი დუდარ პეტრეს ძე ქასაშვილი, ლევან სოლთეს ძე სამბეგიშვილი და ელბერდ ქოქუზის ძე ქასაშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ ბურმასიგს მცხოვრებნი ლუარსაბ დუდას ძე თავაშვილი, ბაიმათ ქუძის ძე თავაშვილი და გახა ბაბას ძე ბეროზიშვილი. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ სუატის მცხოვრები იორდანე ძიძას ძე სამბეგიშვილი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ფიი (sic) თავაშვილის ასული ნალდისა (sic). 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ სუატის მცხოვრებნი ნაუროზ ნარსავის ძე სამბეგიშვილი, ქარჩი ძიგის ძე ელოშვილი და ადამ თოთრაძის ძე სამბეგიშვილი, სასძლოს მხრივ, სოფელ ბურმასიგს მცხოვრებნი გაბის ქუძანის ძე თავაშვილი, გუგუ გაბრის (sic) ძე ბოცოშვილი და ჩელემეთ დუდას ძე თავაშვილი. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ სუატის მცხოვრები მიხეილ პეტრეს ძე თურბეგიშვილი (sic). 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფს მცხოვრები ყულადარა ყალაგიშვილის ასული ანასტასია. 23 წლის(sic). მეორე ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ სუატის მცხოვრებნი ყანყო ბაზას ძე ქასაშვილი, გული ამზორის ძე ელოშვილი და სუდარ მირზაბეგის ძე ქასაშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ ტეფს მცხოვრებნი მაჩკა (sic) აბოს ძე ყალაგიშვილი, თეკა (sic) ძანგერის ძე ყალაგიშვილი და ფარნაზ ძანგას ძე ყულაგიშვილი. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

დაიკრძალნენ „თავიანთ საგვარეულო განწესებულს სასაფლაოსა ზედა“.

ტეფს მცხოვრები ზნაურ ყალაგიშვილის დედა ურსუჟ კალავის ასული გარდაიცვალა 7 იანვარს, დაიმარხა 9 იანვარს. 85 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

გიმარას მცხოვრები უზნ (sic) ბეროზიშვილი გარდაიცვალა 17 იანვარს, დაიმარხა 20 იანვარს. 78 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

რესს მცხოვრები დადე (sic) ყუსაშვილის შინამოსამსახურე გოგო ნენე (sic) სავჯუძის (sic) ასული გარდაიცვალა 2 თებერვალს, დაიმარხა 4 თებერვალს. 72 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

ქეთირს მცხოვრები ლევან ქოქაშვილი გარდაიცვალა 9 თებერვალს, დაიმარხა 11 თებერვალს. 48 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიჭლექით.

ტეფს მცხოვრები მაჩკა ყალაგიშვილის უკანონო ცოლი ნალდისა დუდას ასული გარდაიცვალა 20 თებერვალს, დაიმარხა 22 თებერვალს. 61 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიჭლექით.

ცოცოლთას მცხოვრები გიდი (sic) თაკაშვილის ქურივი რძალი მელექ ყუდინათის ასული გარდაიცვალა 23 თებერვალს, დაიმარხა 25 თებერვალს. 102 წლის(sic). გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ცოცოლთას მცხოვრები ელბიზდიყო ძანთიაშვილი (sic) გარდაიცვალა 2 აპრილს, დაიმარხა 4 აპრილს. 56 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციევ-ცხელებით (sic)

სუატის მცხოვრები გრიგოლ ქასაშვილი გარდაიცვალა 3 აპრილს, დაიმარხა 5 აპრილს. 22 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ვოდიანკით [წყალმანკით].

გიმარას მცხოვრები კოსტანტინე ბოცოშვილი გარდაიცვალა 4 აპრილს, დაიმარხა 6 აპრილს. 36 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფერდის ტკივილით.

ყარათყავს მცხოვრები იბაყ (sic) ბულაციშვილი გარდაიცვალა 5 აპრილს, დაიმარხა 7 აპრილს. 54 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

ქვემო დესს მცხოვრები ფარსა ხამცაშვილის ასული ეკატერინე (sic) გარდაიცვალა 6 აპრილს, დაიმარხა 8 აპრილს. 13 წლის. გარდაცვალების მიზეზი – კლდიდგან ჩამოვარდნით.

გიმარას მცხოვრები ქოჩი ბეროზიშვილი გარდაიცვალა 14 აპრილს, დაიმარხა 16 აპრილს. 83 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ტეფს მცხოვრები მაჩკა ყალაგიშვილის დედა ჩქო (sic) ვართყანის ასული გარდაიცვალა 28 აპრილს, დაიმარხა 30 აპრილს. 96 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ტეფს მცხოვრები თეკა ყალაგიშვილის დედის ნაცვალის გუწაი (sic) მალაძის (sic) ასული გარდაიცვალა 1 მაისს, დაიმარხა 3 მაისს. 103 წლის(sic). გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

აბანოს მცხოვრები ძლახა (sic) ცაბოლიშვილის მეუღლე სალომე ზაბეს ასული გარდაიცვალა 29 მაისს, დაიმარხა 31 მაისს. 21 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ლოგინობაზედ.

გიმარას მცხოვრები სხონგერი (sic) ბოცოშვილის მეუღლე ბარბარე ეფრემის ასული გარდაიცვალა 2 ივნისს, დაიმარხა 4 ივნისს. 48 წლის(sic). გარდაცვალების მიზეზი – ლოგინობაზედ.

ქეთირს მცხოვრები ივანე ქოქაშვილი გარდაიცვალა 11 ივნისს, დაიმარხა 13 ივნისს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

სუატის მცხოვრები ძიძა (sic) სამბეგიშვილის ასული ელისაბედი გარდაიცვალა 17 ივნისს, დაიმარხა 19 ივნისს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლისტკივილით.

სუატის მცხოვრები დავიდ (sic) ქასაშვილი გარდაიცვალა 6 აგვისტოს, დაიმარხა 9 აგვისტოს. 25 წლის. გარდაცვალების მიზეზი – კლდიდგან ჩამოვარდნით.

ტეფს მცხოვრები ბატა (sic) ყალაგიშვილი გარდაიცვალა 10 აგვისტოს, დაიმარხა 12 აგვისტოს. 61 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

გიმარას მცხოვრები ივანე ბოცოშვილი გარდაიცვალა 19 აგვისტოს, დაიმარხა 21 აგვისტოს. 29 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციევ-ცხელებით.

სივრატას მცხოვრები არტემ ყალაგიშვილის მეუღლე ზალი მირზაბეგის ასული გარდაიცვალა 21 აგვისტოს, დაიმარხა 23 აგვისტოს. 19 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ლოგინობაზედ.

ქვემო დესს მცხოვრები ანტონ ხამცაშვილი გარდაიცვალა 24 აგვისტოს, დაიმარხა 26 აგვისტოს. 10 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

ყარათყავს მცხოვრები ყანყო ბოლაციშვილი გარდაიცვალა 8 სექტემბერს, დაიმარხა 11 სექტემბერს. 31 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციევ-ცხელებით.

ყარათყავს მცხოვრები გაუსა გუდიშვილის მეუღლე მართა ფაცის ასული გარდაიცვალა 14 ნოემბერს, დაიმარხა 16 ნოემბერს. 22 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ლოგინობაზედ.

ქვემო დესს მცხოვრები ბათმთ მარქიშვილის (sic) ასული ანასტასია გარდაიცვალა 25 ნოემბერს, დაიმარხა 27 ნოემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ზემო დესს მცხოვრები ძიბე ხამცაშვილის ძე ევსევი გარდაიცვალა 4 დეკემბერს, დაიმარხა 6 დეკემბერს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფერდის ტკივილით.

ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №2121

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1870 წელი

მღვდელი გაბრიელ ღუდუევი

დაბადებულთათვის

ალექსანდრე, დაიბადა 2 იანვარს, მოინათლა 14 იანვარს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ნიკოლოზ ბესლანის ძე კუძიაშვილი და დაჯა ნაოგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანს მცხოვრები ელიზბარ სმაილის ძე აბაშვილი. წმინდა საიდუმლო ნათლობა აღასრულა კობის ბლადოჩინმა მღვდელმა გიორგი იტონიევმა.

პეტრე, დაიბადა 1 იანვარს, მოინათლა 2 თებერვალს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები გიშერ უმარის ძე ყალაგიშვილი და გიგი ცოფანის ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები ფარნაზ ყალაგიშვილის მეუღლე გიგი ძიგოს ასული.

სიმონ, დაიბადა 8 იანვარს, მოინათლა 3 თებერვალს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები **ლუარსაბ მარტიას** ძე ყალაგიშვილი და უკანონო ცოლი მისი ციბო **ლევანის** ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები თოთკ (sic) ყალაგიშვილის მეუღლე ყზმიდა (sic) ნაუროზის ასული.

ანნა, დაიბადა 9 იანვარს, მოინათლა 3 თებერვალს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ივანე ბესთავის ძე ყალაგიშვილი და **ნინო** ნაფის ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები ცოფან ბიაზრეთის ძე ყალაგიშვილი.

ნიკოლოზ, დაიბადა 21 იანვარს, მოინათლა 4 თებერვალს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ზნაურ გუგუს ძე ყალაგიშვილი და მაგდან ელბაზდიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები თოთკ (sic) თეკას ძე ყალაგიშვილი.

იოანე, დაიბადა 6 იანვარს, მოინათლა 24 თებერვალს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ალექსი ხეთაგის ძე ზორაშვილი(sic) და სალომე ქუაზის(sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები მიხეილ ყალაგიშვილის დედა აზავ თემრიყოს ასული.

ტარასი, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 25 თებერვალს. მშობლები: სოფელ ქეთირს მცხოვრები ზარიბეგ თარამოზის (sic) ძე ქასაშვილი და გოსა ასბეგის ასული. მიმრქმელი – სიონის სამრევლოს სოფელ ყურთის (sic)¹ მცხოვრები იოსებ ავთანდილის ძე ტუჩაშვილი.

ნესტორი, დაიბადა 13 იანვარს, მოინათლა 28 თებერვალს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალაჯყო ძანგის ძე ბულაციშვილი და სალომე დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები უპრავლენის პისეცი ყასპოლათ თასის ძე ურთაშვილი.

ევდოკია, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 1 მარტს. მშობლები: სოფელ ქეთირს მცხოვრები ბიბო ლევანის ძე ქოქაშვილი და თამარ დადს (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ქეთირს მცხოვრები საბან ძაგოს ძე ქოქაშვილი.

თეკლე, დაიბადა 18 იანვარს, მოინათლა 2 მარტს. მშობლები: სოფელ ქეთირს მცხოვრები ისაკი (sic) ბესლანის ძე ქოქაშვილი და გურძიხან ალქის ასული. მიმრქმელი – სოფელ ქეთირს მცხოვრები მაჩკა ქოქაშვილის მეუღლე ნინო ბიციკის ასული.

იაკობი, დაიბადა 13 იანვარს, მოინათლა 4 მარტს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები გუდა სიგას ძე ყალაგიშვილი და ნინო გოკის ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის ძმინათკარის სამრევლოს და სოფელ ჩირიქს (sic) მცხოვრებელი მიხეილ გლახას ძე კობაძე.

მატრონა, დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 4 მარტს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები საბან ყაბეს ძე თაკაშვილი და ელენე ახლავის ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ძანაღლი ძანთიშვილის მეუღლე სავქუზ (sic) ძიგულის ასული.

გერასიმე, დაიბადა 25 თებერვალს, მოინათლა 4 მარტს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები თემრიყო მოსქას ძე კუმალაგიშვილი და გიგი გუდას ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ღურმიშხან ურთაშვილის მეუღლე გოსა დიდას ასული.

იულიანია²(sic), დაიბადა 8 თებერვალს, მოინათლა 4 მარტს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ყარასე ძანგის ძე ბულაციშვილი და მართა გუშთის ასული. მიმრქმელი – აბანოს უპრავლენის პისეცი ყასპოლათ ურთაშვილი.

ვეჩესლავ (sic), დაიბადა 18 იანვარს, 4 მარტს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები გახი ოსმანის ძე ყარაშვილი და ზალი მარხათის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები მოსე ბაყას ძე ბიზიკიშვილი.

ხრისტინე (sic), დაიბადა 7 თებერვალს, მოინათლა 13 მარტს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები მახმათ დოლითმირზას ძე ცაბოლიშვილი და გურძიხან ნაოგის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები წინწირ (sic) საპიაშვილის მეუღლე გიგა ძახოს ასული.

ალექსი, დაიბადა 11 თებერვალს, მოინათლა 17 მარტს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ასაკო ზაბეს ძე ბეროზიშვილი და ბარბარე მარტიას ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ტერო გეთას ძე ბოცოშვილი.

ილარია³(sic), დაიბადა 27 თებერვალს, მოინათლა 19 მარტს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები გაგი ნაფის ძე ურთაშვილი და დარეჯან ბასას ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ბადი ძარლიშვილის მეუღლე ლეხაირ ქუცრის ასული.

იასონ, დაიბადა 7 მარტს, მოინათლა 19 მარტს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ქუცრი ზაბეს ძე ცაბოლოშვილი და მართა თოკას ასული. მიმრქმელი – ცხინვალს მცხოვრებელი ივანე სტეფანის ძე ცერაშვილი.

¹ სოფელი ხურთისი.

² ქალის სახელია.

³ ქალის სახელია.

დროსიდა¹(sic), დაიბადა 3 თებერვალს, მოინათლა 22 მარტს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ბაბონა (sic) ენალდის ძე ბულაციშვილი და **თამარ** დუდას ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები იესეი ურთაშვილის მეუღლე გუთაზ ხოსრის ასული.

ლიდია, დაიბადა 2 იანვარს, მოინათლა 23 მარტს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ზაქარია ოსმანის ძე ცაბოლიშვილი და გიგი ქაღოს ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ცორა გუდიშვილის (sic) მეუღლე ბარბარე ბესლანის ასული.

მარიამ, დაიბადა 19 თებერვალს, მოინათლა 1 აპრილს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები გისცა (sic) ეფრემის ძე ბეროზიშვილი და გუთაზ ბათაყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ფაფი (sic) ბოცოშვილის მეუღლე დაჩე ყუდიხანის ასული.

ალაპია, დაიბადა 9 აპრილს, მოინათლა 16 აპრილს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ძანალდი ლიძას ძე ძანთიაშვილი (sic) და სავჩიშვი (sic) ძიგულოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები თოთარ ძრდოიშვილის (sic) უკანონო მეუღლე გუბდა (sic) ფანაზის ასული.

პელაგია, დაიბადა 14 მარტს, მოინათლა 4 მაისს. მშობლები: სოფელ ქვემო დესს მცხოვრები სილა ქურციკის ძე მარიქაშვილი და ნალყზ ნარსავის ასული. მიმრქმელი – სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ყუდაინათ სალბიშვილის მეუღლე **ქეთევან** ზდარაგის ასული.

სიმონ, დაიბადა 27 აპრილს, მოინათლა 10 მაისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ანდრია ყანყოს ძე კუძიაშვილი (sic) და მარიამ ძახოს ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები ვასკე ქერმენის ძე ყუსაშვილი.

კონსტანტინე, დაიბადა 8 აპრილს, მოინათლა 21 მაისს. მშობლები: სოფელ სუატისს მცხოვრები კლიც (sic) ადგეს ძე ქასაშვილი და გუთი ძიგოს ასული. მიმრქმელი – სოფელ სუატისს მცხოვრები ადამ თოთრაძის ძე სამბეგიშვილი.

ელენე, დაიბადა 14 მარტს, მოინათლა 21 მაისს. მშობლები: სოფელ სუატისს მცხოვრები ამზორ მოდის (sic) ძე ყოსქაშვილი (sic) და ნენე გავის ასული. მიმრქმელი – სოფელ სუატისს მცხოვრები ბედი(?) ელოშვილის მეუღლე მელექ ყავდინის ასული.

გრიგოლი, დაიბადა 9 იანვარს, მოინათლა 8 აგვისტოს. მშობლები: აბანოს სამრევლოს მღვდელი გაბრიელ ასსაზ (sic) ძე დუდიევი და სოფიო გრიგოლის ასული. მიმრქმელი – კობის ბლაღოჩინი მღვდელი გიორგი იტონიევი. საიდუმლო ნათლისღება ადასრულა სიონის სამრევლოს მღვდელმა ზაქარია კარეულმან(sic) [კარიულმა].

თადეოზ, დაიბადა 29 ივლისს, მოინათლა 21 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები **ლუარსაბ** დუდას ძე თავაშვილი და უკანონო ცოლი ამისი **ნინო** ბოლას ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები მახმათ ვასკეს ძე ბულაციშვილი.

ქრისტინე, დაიბადა 26 ივლისს, მოინათლა 30 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ქეთირს მცხოვრები თევდორე დუდას ძე ქასაშვილი და უკანონო ცოლი ამისი სუსანა ბათბას(sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ქეთირს მცხოვრები ისკა ბესლანის ძე ქოქაშვილი.

ია²(sic), დაიბადა 3 აგვისტოს, მოინათლა 11 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები თოთკ **ლევანის** ძე ყაზიაშვილი და **თეკლე** ბიცის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო დესს მცხოვრები ქუცრი ზამცაშვილის და გზგი (sic) ფრანგის ასული.

¹ ქალის სახელია.

² ქალის სახელია.

მელიტინა¹(sic), დაიბადა 11 ივნისს, მოინათლა 16 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ქეთირს მცხოვრებ მიცვალებული ბაირა ქოქაშვილის ქურივ ჩენძე ილიცის ასულს დაებადა ნაბიჭვარი. მიმრქმელი – სოფელ ქეთირს მცხოვრები როსტომ გუდას ძე ქოქაშვილი.

ალექსი, დაიბადა 16 სექტემბერს, მოინათლა 5 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ზაყაგორს მცხოვრებნი ივანე ახმათის ძე ქეთოშვილი და ელისაბედ ფარნის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო დეს მცხოვრები ყადაინათ ამზორყოს ძე ყაზიაშვილი.

აბრაამ, დაიბადა 2 სექტემბერს, მოინათლა 9 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ქეთირს მცხოვრებნი ცორმან თოლაძის ძე ქოქაშვილი და **დედუფალ**(sic) ყუდაბერდის ასული. მიმრქმელი – სოფელ ქეთირს მცხოვრები იორდანე მაჩკას ძე ქოქაშვილი.

სილოვან, დაიბადა 7 ოქტომბერს, მოინათლა 14 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ქეთირს მცხოვრებნი თაკა (sic) ბესლანის ძე ქოქაშვილი და მარინე ნანოს (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები გუბაზ ბიზიკიშვილის მეუღლე უზმიდა (sic) ბაქას ასული.

პარასკევა, დაიბადა 13 სექტემბერს, მოინათლა 14 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრებნი დიდო თუღანის ძე ცაბოლიშვილი და ყზმიდა ელბაზდიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობს მცხოვრები კოც (sic) აბეს ძე ქოცაშვილი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ აბანოს მცხოვრები დიდო თუღანის ძე ცაბოლიშვილი. 35 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ელბაზდიყო (sic) ძანთიაშვილის ასული უზმადა (sic). 28 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრებნი ალექსანდრე ზაბეს ძე ცაბოლიშვილი, ვასილი მსოსტის (sic) ძე გუდიშვილი (sic) და სიმონ ნასრავის ძე ბიზიკიშვილი, სასძლოს მხრივ, სოფელ ცოცოლთას მცხოვრებნი თოთრაძ ნაფის ძე მაკაშვილი, ბადი ბიციკის ძე ძარლოიშვილი(sic), ბადილა ხოსრის ძე ბულაციშვილი. ჯვარი დაიწერეს 8 იანვარს.

სასიძო, სოფელ სუატის მცხოვრები ცპუ (sic) თავის (sic) ძე ქასაშვილი. 33 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ რესს მცხოვრები სორბეგ კუძიაშვილის ასული არუხან (sic). 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ სუატისს მცხოვრები ქუცა ბზას ძე ქასაშვილი, ვასკე ბეპზარის ძე ქასაშვილი და **ბაზალი** (sic) გიოს ძე ელოშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ რესს მცხოვრებნი მიხეილ ბაიმათის ძე ყუსაშვილი, ყანყო კალავის ძე კუძიაშვილი (sic) და ყუდაბერდ ყუდიონათის ძე ქალმონიშვილი(sic). ჯვარი დაიწერეს 11 იანვარს.

სასიძო, სოფელ ტეფს მცხოვრები ზნაურ ბესლანის ძე ყალაგიშვილი. 36 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სუატისს მცხოვრები ყაითყო ბეკოშვილსი ასული **მელანია**. 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ ტეფს მცხოვრებნი ზაბე ხას ძე ყალაგიშვილი, ძგო (sic) ბიაზრიყოს ძე ყალაგიშვილი და უმარ გაბელის ძე ყალაგიშვილი, სასძლოს მხრივ, სოფელ სუატისს მცხოვრებნი **ლევან** სოლთეს ძე სამბეგიშვილი, საბან თოკას ძე ბეკოშვილი და თოთრაძე ქუქლის (sic) ძე სამბეგიშვილი. ჯვარი დაიწერეს 23 ივლისს.

სასიძო, სოფელ ზემო დესს მცხოვრები ალექსანდრე აბორყოს ძე ურლიშვილი(?). 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ რესს მცხოვრები ვასკე ყუსაშვილის ასული სოფიო. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ ზემო დესს მცხოვრებნი იორდანე ხათის ძე თათარაშვილი (sic), დადღო ბაითუს ძე ყაზიაშვილი და ბართან სავეუმის ძე სავმაწაშვილი, სასძლოს მხრივ, სოფელ რესს მცხოვრებნი გისო მახმათის ძე ყუსაშვილი,

¹ ქალის სახელია.

აღნბეგ ყასპოლათის ძე ქალმანიშვილი და ანდრია ყონყოს ძე კუძიაშვილი. ჯვარი დაიწერეს 25 ოქტომბერს.

სასიძო, დუმეთის უეზდის განისის სამრევლოს სოფელ განისის მცხოვრებელი გრიგოლ მოსეს ძე გაღიაშვილი. 19 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები ქუცა ბოცოშვილის ასული მარიამ. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ განისის მცხოვრებნი ყასპოლათ დავითის ძე დანიაშვილი, ნიკოლოზ სიმონის ძე გაღიაშვილი და ივანე გაბისის ძე ძგოშვილი (sic), სასძლოს მხრივ, სოფელ გიმარას მცხოვრებნი ბათრამ ასახმათის ძე ბოცოშვილი, გისო ახლავის ძე ბოცოშვილი და გისო მახმათის ძე ყუსაშვილი. ჯვარი დაიწერეს 26 ოქტომბერს.

სასიძო, სოფელ აბანოს მცხოვრები გიგოლა თულაანის ძე ცაბოლიშვილი. 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სნოს სამრევლოს და სოფელ აჩხოტს მცხოვრები მაირამყო ბედოშვილის ასული ელისაბედ. 19 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრებნი გიგოლა ძახის ძე ცაბოლიშვილი, დიმიტრი საბანის ძე ცაბოლიშვილი, მოსე ზაბეს ძე ქასაშვილი, სასძლოს მხრივ, სოფელ აჩხოტს მცხოვრებნი ფანვარ ძბელის ძე ყარაშვილი (sic), გიორგი დუდას ძე ბედოშვილი და როსტომ დუდას ძე ბედოშვილი. ჯვარი დაიწერეს 28 ოქტომბერს.

სასიძო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები, მიხეილ სოსრის ძე ბულაციშვილი. 36 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები მაჩკა ცაბოლიშვილის ასული ბარბარე. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ ცოცოლთას მცხოვრებნი იესეი ასლანის ძე ურთაშვილი, გახა ახლავის ძე ურთაშვილი (sic), ბიბო გეთის ძე ბულაციშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრებნი ფაფარი(?) გაბრიელის ძე ყარაშვილი(sic), ალექსანდრე ზაბეს ძე ცაბოლიშვილი და მახმათ თოლათმირზას ძე ცაბოლიშვილი. ჯვარი დაიწერეს 30 ოქტომბერს.

სასიძო, სოფელ რესს მცხოვრები გუდიხ ცუსკას ძე გაბილაშვილი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ რესს მცხოვრები ზორბეგ კუძიაშვილის ასული ფალეძან (sic). 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ რესს მცხოვრებნი ხუჯი ხასლყის ძე გაბილაშვილი, საბან გაბიას ძე ძაკაშვილი და ვასკე ქერმენის ძე ყუსაშვილი, სასძლოს მხრივ, სოფელ რესს მცხოვრებნი ყანყო კალავის (sic) ძე ქუძიაშვილი, ყასპოლ მულდარის? ძე ქალმანიშვილი? და საგო ჯას ძე ყალაგიშვილი. ჯვარი დაიწერეს 1 ნოემბერს. სასიძო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები ენალდყო ქასას ძე ბულაციშვილი. 24 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები ბცა ცაბოლიშვილის ასული **თამარ**. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ ყარათყავს მცხოვრებნი თამსრიყო დოჯეს ძე ბულაციშვილი, მიშკა ბადულის ძე ურთაშვილი და ყასპოლათ ახმათის ძე ბოლაციშვილი (sic). სასძლოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრებნი ქუცრი ზობეს ძე ცაბოლიშვილი, ვასილი მისოსტის ძე გუდიშვილი (sic) და აღხასტ თასპზარის (sic) ძე ცაბოლიშვილი. ჯვარი დაიწერეს 2 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ზემო დესს მცხოვრები ცპუ ამზორიყოს ძე ურდიაშვილი. 32 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ რესს მცხოვრები ბაიმათ ყუსაშვილის ასული **თეკლე**. 36 წლის. მეორე ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ ზემო დესს მცხოვრები ყასპოლათ დუდას ძე ურდიაშვილი (sic), ბაირ ბოზას ძე ხამიშვილი (sic), ფაჩო დოკეს ძე ხამცაშვილი (sic), სასძლოს მხრივ, სოფელ რესს მცხოვრები ამზორიყო ურლას(?) ძე ყუსაშვილი, ბეტი ყაყის ძე კუძიაშვილი და ქუძი თავაშვილი. ჯვარი დაიწერეს 3 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ უხათს მცხოვრები ელდორყო დუდას ძე თავაშვილი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქეთირს მცხოვრები ქუცრი ქოქაშვილის ასული სალომე. 15

წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ უხათს მცხოვრებნი **ერისთავ** (sic) დაბოს ძე თავაშვილი, როსტომ გაიცას ძე ძუკაშვილი და ანდრია ყავდნის ძე თავაშვილი, სასძლოს მხრივ, სოფელ ქეთირს მცხოვრებნი ლუარსან (sic) გუდას ძე ქოქაშვილი, ნიკოლოზ ფარნაზის ძე ქოქაშვილი და კაფი (sic) ბიციკას ძე ძარლოიშვილი (sic). ჯვარი დაიწერეს 4 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ აბანოს მცხოვრები ადამ ასბეგის ძე ცაბოლიშვილი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სუატის მცხოვრები მირზაბეგ ქასაშვილის ასული დოლათხან. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრებნი შიო ოსმანის ძე ცაბოლიშვილი, ალექსანდრე ხეცას ძე ცაბოლიშვილი და გაპო **ლევანის** ძე ბიზიკიშვილი, სასძლოს მხრივ, სოფელ სუატის მცხოვრებნი ცორა აზგერის ძე ქასაშვილი, დუდარ პეტრეს ძე ქასაშვილი და ბაითუდან ბეპზარის ძე ქასაშვილი. ჯვარი დაიწერეს 6 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ქვემო ოქროყანას მცხოვრები გრიგოლ ბაპუს ძე ზაღაგიშვილი (sic). 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო დესს მცხოვრები თავსყო (sic) ხამცაშვილის ასული ელისაბედ. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ ქვემო ოქროყანას მცხოვრებნი **გლახა** ადათის ძე გუდიშვილი (sic), **გლახა** ბიწის ძე ზაღაგაშვილი (sic) და ალექსანდრე გირას ძე ზაღაგაშვილი, სასძლოს მხრივ, სოფელ ზემო დესს მცხოვრებნი ფაფნ (sic) ფრანგის ძე ხამცაშვილი, ბართან საჯუქდის ძე სავაწაშვილი (sic), გიგოლ მირზაბეგის ძე ხამცაშვილი. ჯვარი დაიწერეს 8 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ რესს მცხოვრები. მიხეილ ნაოგის ძე ყუსაშვილი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფს მცხოვრები საბან ქალოშვილი (sic) ასული სოფიო¹. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ რესს მცხოვრები ყანასყო კალავის ძე კუძიაშვილი, ვასკე გირას ძე ყუსაშვილი და თოთრ ბათყოს ძე ყუსაშვილი, სასძლოს მხრივ, სოფელ ტეფს მცხოვრები ეფრემ ნაოგის ძე ქალოშვილი, მაჩკა აბას ძე ყალაგიშვილი და დუდარყო ხას ძე ყალაგიშვილი. ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ბაზილანს მცხოვრები ივანე გისის ძე ძახიშვილი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქეთირს მცხოვრები ბაირ ქოქაშვილის ასული მარიამ. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ ბაზილანს მცხოვრებნი მიხაილ ლაზარეს ძე ქურციკაძე (sic), გოკო (sic) გაწის ძე ყარაშვილი და გისი ყაზის ძე ბიდიხიშვილი, სასძლოს მხრივ, სოფელ ქეთირს მცხოვრებნი ისმეილ დუდას ძე ქეთოშვილი, ბათრად ქერმენის ძე ცალაგიშვილი და იორდანე მაჩკას ძე ქოქაშვილი. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ქეთირს მცხოვრები ანდრია მაჩკას ძე ქოქაშვილი. 17 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სუატის მცხოვრები დავით ქასაშვილის ასული **ნინო**. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ ქეთირს მცხოვრებნი ცორმან თოლაძის ძე ქოქაშვილი, მასრყო (sic) ციცის ძე ქეთოშვილი და თაკა ბესლანის ძე ქოქაშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ სუატის მცხოვრებნი ასტარხან (sic) თურბეგის ძე თურბეგოვი (sic) **ერისთავ** (sic) თოთრადის ძე ქასაშვილი და ცორა ვაზგერის ძე ქასაშვილი. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ქეთირს მცხოვრები ყაროხე (sic) ბაზრის ძე ქოქაშვილი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქეთირს მცხოვრები საჯუქდ (sic) ქასაშვილის ასული პელაგია. 25 წლის (sic). პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ ქეთირს მცხოვრებნი

¹ სასძლოს ასაკი არ წერია.

სალომე, დაიბადა 12 მაისს, მოინათლა 22 მაისს. მშობლები: სოფელ დესს მცხოვრები ბათრად **ლევანის** ძე ყაზიევი და **ნინო** სიმამის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ დესს მცხოვრები მახამეთ ყირტაევის მეუღლე ფათიმე.

გაბრიელი, დაიბადა 12 მაისს, მოინათლა 23 მაისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები იაგორ თოთრაძის ძე ბერეზოვი და ბიდვე უსგეს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ხამეტყაპ (sic) დავითის ძე ბერეზოვი.

მაშა, დაიბადა 15 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ასაკო ზაბეს ძე ბერეზოვი და ბობი წიწოს (sic) ასული. მიმრქმელი – ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ ხუმალაგს მცხოვრები დავით ანდრის (sic) ძე ალბეგოვი.

მარიამ, დაიბადა 16 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები სულარ (sic) სხანგერის ძე ბოცუევი და ქიქო იბაყის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ხამეტყაპ (sic) დავითის ძე ბერეზოვი.

სალომე, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 8 ივნისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ქარქი (sic) სხანგერის ძე ბოცუევი და აზავა ყარასეს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები იაგორა თოთრაძის ძე ბერეზოვი.

ნინო, დაიბადა 4 ივნისს, მოინათლა 11 ივნისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ასაგე ცოფანის ძე ქოქაევი და **თამარ** ქაშეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანას მცხოვრები მიხეილ ცოფანის ძე გუდიევი.

ანიკო, დაიბადა 6 ივნისს, მოინათლა 17 ივნისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები განძი ძიგვის ძე ცალაგოვი და მაგდან ბაზიკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები ანდრია ქუცირის ძე ქოქაევი.

მართა, დაიბადა 12 ივნისს, მოინათლა 23 ივნისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები მიხეილ თოთრაძის ზე ყალაგოვი და სოფიო ძიგვის ასული. მიმრქმელი – ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელსა ყაყადურს მცხოვრები გადო დანდრის ძე კულიევი.

ნინო, დაიბადა 13 ივნისს, მოინათლა 26 ივნისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ტიგვი (sic) საბანის ძე ქალოშვილი და **თამარ** ალაგიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები ზაურბეგ ძახოს ძე ყალაგოვი.

სოფიო, დაიბადა 17 ივნისს, მოინათლა 30 ივნისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები გუდინ მიხეილის ძე გაბულოვი და ფალუ ზაურბეგის ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელ ჩოხეთს (sic) მცხოვრები აბრამ ელისბარის ძე ჩოხევი (sic) [ჩოხელი?].

თინათინ, დაიბადა 1 ივლისს, მოინათლა 9 ივლისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები გარსო თოხეს ძე გაბულოვი და ხაირ დადის ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩოხეთს (sic) მცხოვრები პავლე ივანეს ძე ჩოხელი.

მაგდანი, დაიბადა 8 აგვისტოს, მოინათლა 17 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები ზნაურ დუდას ძე ყირღაევი და ბაბი ფარსეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ქვემო დესს მცხოვრები მიშკა ცორეს ძე თათაროვი.

მარიამ, 1 წლის, მოინათლა 9 აგვისტოს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ვანკა ნანოს ძე ცაბოლოვი და კატი (sic) ლუარსანის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ძახოტა ბატეს ძე ცაბოლოვი.

სიმონ, დაიბადა 10 აგვისტოს, მოინათლა 20 აგვისტოს. მშობლები: სოფელ სავატიის მცხოვრები სოსლან ქუციკის ძე ქაშაევი და ბაბზიდ დიდოს ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის სოფელ ცხინვალს მცხოვრები თომა ივანეს ძე ქალეროვი (sic).

ალექსანდრე, დაიბადა 11 აგვისტოს, მოინათლა 20 აგვისტოს. მშობლები: სოფელ სვატიის (sic) მცხოვრები ბაზიკო თოთრაძის ძე ყომკაევი და გუთაზ ებიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატიის მცხოვრები ადამა თოთრაძას ძე სამბეგოვი.

დიმიტრი, 1 წლის, მოინათლა 12 სექტემბერს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები გაპო **ლევანის** ძე ბიზიკოვი და ჩენძე აციმეზის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ალექსანდრე ზაბეს ძე ცაბოლოვი.

მიხეილი, დაიბადა 13 სექტემბერს, მოინათლა 20 სექტემბერს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები გაუს გიშკას ძე ბერეზოვი და მარიამ თამსრიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სტეფანე დუდას ძე თუაშვილი.

ნატალია, დაიბადა 8 ნოემბერს, მოინათლა 20 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ანდრია ქუცირის ძე ქოქაევი და მინათ თოთის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სტეფანე დუდას ძე თუაშვილი.

სიმონ, დაიბადა 2 დეკემბერს, მოინათლა 16 დეკემბერს. მშობლები: სოფელ სვატიის (sic) მცხოვრები ბეჩირ გუძეს ძე ქაშაევი და პელო ძანასპის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატიის მცხოვრები ნალიყ **ლევანის** ძე სამბეგოვი.

სოფიო, 9 წლის, მოინათლა 12 აგვისტოს. მშობლები: სოფელ სვატიის (sic) მცხოვრები ანდრია გუძეს ძე ქაშაევი და **თამარ** ხარმიზეს ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატიის მცხოვრები ალექსანდრე ნალიყის ძე სამბეგოვი.

მაგდანი, დაიბადა 20 დეკემბერს, მოინათლა 29 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ყასპოლ ბუბულას ძე ქაშაევი და აფინე ცოფანის ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები ბესარიონ აღმირზას ძე ქოქაევი.

აბრამ, დაიბადა 21 დეკემბერს, მოინათლა 30 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები **სანდრო** მაცკას ძე ქოქაევი და **ნინო** დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები **ლევან** ძახის ძე ცაბოლოვი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, გორის უეზდის სოფელ შუაერბანს (sic) მცხოვრები როსტომ გაფის ძე ფარნიშვილი. 16 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები გიშკა ბერეზოვის ასული მარიამ. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 25 სექტემბერს.

სასიძო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები სოსლან აითეგოს ძე ქოქაევი. 30 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ ყესატყავს მცხოვრები ცოფინ ყესავის ასული ნატალია. 21 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 4 ნოემბერს.

სასიძო, ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ ზაყას მცხოვრები ზაქარია ბიმბოლათის ძე აბაევი. 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფს მცხოვრები თათალყო ყალაგოვის ასული **ბაბაღე**. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 8 ნოემბერს.

სასიძო, გორის უეზდის ქალაქს მცხოვრები ვასილი ჩაის ძე ისლანიშვილი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო დესს მცხოვრები ბაზიკო ხამიცოვის ასული გაიანე. 17 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

სასიძო, ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ ზაყას მცხოვრები ალექსანდრე ბეგის ძე ბედოევი. 30 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები თოთა ბულაცოვის ასული სალომე. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ მნას მცხოვრები გრიგოლ ნაფის ძე ქაშაევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფს მცხოვრები დიდო ყალაგოვის ასული ეკატერინე. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

სასიძო, დუმეთის უეზდის სოფელ ჩეჩირს (sic) მცხოვრები გაბრიელ გობის ძე ქაშაევი. 19 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები დიდო ცაბოლოვის ასული ეკატერინე. 17 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ უხათს მცხოვრები სანდრო გიმერის ძე ბოთიევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები იშკა (sic) ქოქაევის ასული **თეკლე**. 17 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები ვასილი ახმეთის ძე ბულაცოვი. 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები ალექსანდრე ცაბოლოვის ასული სოფიო. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები ივანე ალექსის ძე ურთაევი. 27 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ რესს მცხოვრები გაუს კუძიევის ასული მაგდან. 20 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ გიმარას მცხოვრები ალექსი ასიკოს ძე ბერეზოვი. 16 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ძანალდი დაუროვის ასული ადათი. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

„დამარხნენ საზოგადო სასაფლაოსა ზედა“.

ცოცოლთაში მცხოვრები თოთა ბულაცოვი გარდაიცვალა 1 თებერვალს, დაიმარხა 2 თებერვალს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკით.

სვატისს მცხოვრები **ერისტავ** (sic) ქასაევის ასული სონია გარდაიცვალა 8 თებერვალს, დაიმარხა 9 თებერვალს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

რესს მცხოვრები კალაუ კუძიევი გარდაიცვალა 8 მარტს, დაიმარხა 9 მარტს. 100 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

რესს მცხოვრები თასო ქალმანიშვილის ვაჟი სტეფანე გარდაიცვალა 15 მარტს, დაიმარხა 16 მარტს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ზაყაგორს მცხოვრები ძაურ (sic) ჩეთომშვილი გარდაიცვალა 22 მარტს, დაიმარხა 23 მარტს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკით.

ცოცოლთას მცხოვრები საბან თაკეშვილის დედა ჩერე გარდაიცვალა 5 მარტს, დაიმარხა 6 მარტს. 90 წლის. გარდაცვალების მიზეზი –¹

¹ მიზეზი არ წერია.

ბურმასიგს მცხოვრები ბათრადა თუაშვილის ქალი ანა გარდაიცვალა 13 აპრილს, დაიმარხა 14 აპრილს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ყარათყავს მცხოვრები **გლახა** კუმალოვი გარდაიცვალა 16 აპრილს, დაიმარხა 17 აპრილს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თიაქრით.

სვატის (sic) მცხოვრები მოსე ქაშაევის მეუღლე მარიამ გარდაიცვალა 20 აპრილს, დაიმარხა 21 აპრილს. 20 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ძეობითა.

აბანოს მცხოვრები თოთიკა საპიევის ცოლი ძიგინ გარდაიცვალა 10 მაისს, დაიმარხა 11 მაისს. 27 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკით.

აბანოს მცხოვრები ზაურბეგ საპიევი გარდაიცვალა 12 აგვისტოს, დაიმარხა 13 აგვისტოს. 90 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ზემო ღესს მცხოვრები ივანე ბირთანის ძე სავდაწოვი (sic) გარდაიცვალა 26 სექტემბერს, დაიმარხა 27 სექტემბერს. 18 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყვავილით.

სვატის მცხოვრები კალიც ქაშაევის ვაჟი მიტკა გარდაიცვალა 8 ოქტომბერს, დაიმარხა 9 ოქტომბერს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

სვატისს მცხოვრები ყასპოლ ქაშაევის ქალი ანნა გარდაიცვალა 5 ნოემბერს, დაიმარხა 6 ნოემბერს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

სვატისს მცხოვრები ბესე ელოშვილის ქალი სალომე გარდაიცვალა 15 ნოემბერს, დაიმარხა 16 ნოემბერს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

სვატისს მცხოვრები გორგოყო (sic) ყოშკაევის ვაჟი თომა გარდაიცვალა 8 დეკემბერს, დაიმარხა 9 დეკემბერს. 9 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ამავე გორგოყო ყოშკაშვილის (sic) ვაჟი მიხეილი გარდაიცვალა 20 დეკემბერს, დაიმარხა 21 დეკემბერს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ტეფს მცხოვრები გიმერ ყალაგოვის ქალი ლიზო(sic) გარდაიცვალა 26 დეკემბერს, დაიმარხა 27 დეკემბერს. 9 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

რესს მცხოვრები გარსო გაბულოვის ქალი **თინათინ** გარდაიცვალა 28 დეკემბერს, დაიმარხა 29 დეკემბერს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №15

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს, აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის

ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1885 წელი

მღვდელი ზაქარია პეტრიევი (sic) პრიჩეტნიკი ათანასე გონგაძე

დაბადებულთათვის

ალექსანდრე, დაიბადა 15 იანვარს, მოინათლა 30 იანვარს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ბიბო დოდის ძე ქაშაევი და სუსანა¹. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები მაცკა ქოქაევის მეუღლე **ნინო**.

სოფიო, 1 წლის, მოინათლა 2 თებერვალს. მშობლები: სოფელ სვატისს (sic) მცხოვრები ყარამან ბაზირის ძე ბაციევი და მეღუქ სხანგერის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყანობს მცხოვრები ივანე იოსების ძე კობიევი [კობიაშვილი].

სალომე, დაიბადა 6 თებერვალს, მოინათლა 15 თებერვალს. მშობლები: სოფელ სვატისს მცხოვრები მოსე თოთრიბეგას ძე ქაშაევი და მარიამ **გლახას** ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყის პრიხოდის მღვდლის მეუღლე პელაგია ალექსის ასული.

¹ მამის სახელი არ წერია.

სოლომანი (sic), დაიბადა 11 თებერვალს, მოინათლა 28 თებერვალს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები სტეფანე ელბიზდიყოს ძე ყუსეშვილი და ლეზო გაგის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები გარსო თახოხეს (sic) ძე გაბულოვი.

ნესტორი, დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 8 მარტს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ვასილი მაცკას ძე ბერეშოვი და მაგდან ელმირზას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ალექსო (sic) სიმონის ძე ბოცოვი.

ალექსანდრე, დაიბადა 3 მარტს, მოინათლა 10 მარტს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები გიგოლი ფრანგის ძე ბოცოვი და ქოსერხან ასაკოს ასული. მიმრქმელი – ღუშეთის უეზდის სოფელ არახოტს (sic) მცხოვრები სიმონ პავლეს ძე ბურდუღიშვილი.

გიორგი, დაიბადა 10 მარტს, მოინათლა 20 მარტს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები იაგორ ფარსეს ძე ცაბოლოვი და **თამარ** გუძეს ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის რცხინვალს (sic) მცხოვრები გურგენ დავითის ძე პაპიევი.

დავით, დაიბადა 14 მარტს, მოინათლა 30 მარტს. მშობლები: სოფელ სივარავს (sic) მცხოვრები იორდანე ალიკის ძე ყალაგოვი და ელასა ბესეს ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები ხუჯი ხასლიყოს ძე გაბულოვი.

სოფიო, დაიბადა 1 აპრილს, მოინათლა 10 აპრილს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები თასო ყუდაბერდის ძე ქალმანოვი და ჩენძე ქიცირის ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები ნიკოლოზ თოთრაძის ძე ყალაგოვი.

ნინო, 1 წლის, მოინათლა 7 აპრილს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ხუდე გოგოს (sic) ძე ბერეშოვი და გუთაზ თოლაძის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები თოთრაძ ბერეშოვის მეუღლე ყიზლარა.

ნიკოლოზა (sic), დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 17 აპრილს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ზაურბეგ გიშოს ძე ურთაევი და ბისო დადის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბარზს (sic) მცხოვრები ელძარყო ყურმანის ძე ჩეთოევი.

გიორგი, დაიბადა 13 აპრილს, მოინათლა 23 აპრილს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ზნაურ ინალის ძე ბულაგოვი და **ნინო** ბირთანის ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები ქუძი ჩერმენის ძე ცალაგოვი.

გიორგი, დაიბადა 15 აპრილს, მოინათლა 29 აპრილს. მშობლები: სოფელ ჩეთირს (sic) მცხოვრები ძათე ძიგვის ძე ცალაგოვი და **მარინე** ინარიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები ზაურბეგ ფარსეს ძე ქოქაევი.

ნატალია, დაიბადა 2 მაისს, მოინათლა 8 მაისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ასლინბეგ დავითის ძე ქაშაევი და **მაია** ფარსეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები სოსლან ქუცირის ძე ქოქაევი.

ვასილი, დაიბადა 9 მაისს, მოინათლა 18 მაისს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები მახამეთ ღუდას ძე ყირდაევი და აფინე თეიმურაზის ასული. მიმრქმელი – სოფელ მლეოს მცხოვრები მახარა გოგის ძე წამალაიძე (sic).

გაბრიელი, დაიბადა 15 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ეჩიმ (sic) აბეს ძე ცაბოლოვი და გიგი ბიძიგას ასული. მიმრქმელი – აბანოს პრიხოლის მღვდელი ზაქარია პეტრიევი.

გიორგი, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 9 ივნისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ვანო ოსმანის ძე ყარაევი და სახარ დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ მლეოს მცხოვრები მხო გლახას ძე ბურდულოვი (sic) [ბურდული].

პელაგია, დაიბადა 8 ივნისს, მოინათლა 18 ივნისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები დანბოლათ ბოზის (sic) ძე ქოქაევი და ტასია თოთრაძის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ზაქარია გოგის ძე ბიზიკოვი.

თექლე, დაიბადა 12 ივნისს, მოინათლა 28 ივნისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები დიდმოდო (sic) ელმირზას ძე ქოქაევი და სალომე ბერდის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები გრიგოლ თუდანის ძე ცაბოლოვი.

მიხეილი, დაიბადა 15 ივნისს, მოინათლა 30 ივნისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები გარსო თოხის ძე გაბულოვი და ხაირ დიდის ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები აბასალ (sic) საპეგას ძე ყუსეშვილი.

სალომე, დაიბადა 15 ივნისს, მოინათლა 30 ივნისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები გუდის ჩუშკას (sic) ძე გაბალოვი და ფალე (sic) ზაურბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები მიში (sic) გიშოს ძე ყუსეშვილი.

ილია, დაიბადა 6 ივლისს, მოინათლა 15 ივლისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები **ერისთავი** (sic) ბაისლანის ძე ყალაგოვი და მართა ვანეზის ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები გარსო თოხის ძე გაბულოვი.

ბარბარე, დაიბადა 13 ივლისს, მოინათლა 20 ივლისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ალექსი ხეთაგის ძე აბაევი და სალომე ქუაზის ასული მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები ნალიყ ყალაგოვის მეუღლე ნალიყამის.

მარიამი, დაიბადა 17 ივლისს, მოინათლა 30 ივლისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები გიორგი გიშერის ძე ყალაგოვი და სახარ სანდრას (sic) ასული. მიმრქმელი – ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ ციმითს (sic) მცხოვრები დავხოციყო ივანეს ძე თევიჩელოვი.

ლიზა, დაიბადა 2 აგვისტოს, მოინათლა 10 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები თოთიკ **ლეჟანის** ძე ყაზიევი და ყიზმიდე ბიცის ასული. მიმრქმელი – სოფელ დესს მცხოვრები ქისილ ხამიგოვის მეუღლე ლიზა.

სოლომან (sic), დაიბადა 8 აგვისტოს, მოინათლა 18 აგვისტოს. მშობლები: სოფელ სვატის (sic) მცხოვრები ადამ თოთრაძის ძე სამბეგოვი და **მამიდა** (sic) ყანდურის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატის მცხოვრები ყულადართა გოსეს ძე ელოშვილი.

სოფიო, დაიბადა 1 ოქტომბერს, მოინათლა 12 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ძახოტა ბადის ძე ცაბოლოვი და ქიქო ბაგურას ასული. მიმრქმელი – ამავე უეზდის სოფელ ბარსს (sic) მცხოვრები ელძარყო ყურბანის ძე ჩეთოევი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, გორის უეზდის სოფელ ჩელიათს (sic) მცხოვრები დავით გიორგის ძე ძუკაევი. 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები ბიბო ქოქაევის ასული სალომე. 20 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 20 სექტემბერს.

სასიძო, სოფელ სვატის (sic) მცხოვრები ივანე დავითის ძე ქაშაევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ბარზს (sic) მცხოვრები ბურჩეთოვის (sic) ასული სოფიო 21 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 20 ოქტომბერს.

სასიძო, სოფელ გიმარას მცხოვრები გიორგი ეფრეს ძე ბერეზოვი. 45 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ცოცოლოთას მცხოვრები დუდა ძანთიევის ასული სოფიო 25 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 20 ოქტომბერს.

სასიძო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები **სანდრო** ფარსეს ძე კუმალაგოვი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, ამავე სოფელს მცხოვრები ბაბანა ბულაცოვის ასული დარია. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 7 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ გიმარას მცხოვრები ალექსანდრე დავითის ძე ბერეზოვი. 30 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები თემრიყო ბოცუევის ასული მამა (sic). 17 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 8 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ სვატის (sic) მცხოვრები კოსტანტინე ნინის (sic) ძე ბაციევი (sic). 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები ბაირ ქოქაევის ასული ელუკია (sic). 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ სვატის (sic) მცხოვრები ბესარიონ გულას ძე ელოშვილი. 19 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ბადი ძანთიევის ასული **თამარ**¹. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 14 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ უხათს მცხოვრები **ლევან** გაბარის ძე ყუსევი. 19 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები ნიკოლოზ აბელოვის (sic) ასული ეკატერინე (sic). 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 14 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ მნას მცხოვრები დიმიტრი უმარას ძე ცაბოლოვი. 36 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ რესს მცხოვრები ბორყო (sic) ყუსევის ასული მარიამ. 32 წლის. მეორე ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 14 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

„დაიმარხნენ საზოგადო სასაფლაოსა ზედა“.

სვატის (sic) მცხოვრები სულარ ქაშაევის ქალი მარინე გარდაიცვალა 7 იანვარს, დაიმარხა 8 იანვარს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

გიმარას მცხოვრები ყანიყო ბერეზოვის ვაჟი გურგენ გარდაიცვალა 9 იანვარს, დაიმარხა 10 იანვარს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

გიმარას მცხოვრები ზაურბეგ ბერეზოვის ქალი მარიამ გარდაიცვალა 11 იანვარს, დაიმარხა 12 იანვარს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

სვატის მცხოვრები გორგოყო (sic) ყოშკაევის ვაჟი გრიგოლი გარდაიცვალა 13 იანვარს, დაიმარხა 14 იანვარს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ჩეთირს მცხოვრები სიმონ ცალაგოვის დედა ქიქო გარდაიცვალა 16 იანვარს, დაიმარხა 17 იანვარს. 67 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

სვატის მცხოვრები სულარ (sic) ქაშაევის ქალი **თექლე** გარდაიცვალა 18 იანვარს, დაიმარხა 19 იანვარს. 5 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

რესს მცხოვრები გიშო ყუსევი გარდაიცვალა 1 თებერვალს, დაიმარხა 2 თებერვალს. 85 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ბურმასიგს მცხოვრები **სანდრო** თუაშვილის ქალი სალომე გარდაიცვალა 20 თებერვალს, დაიმარხა 21 თებერვალს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

ტეფს მცხოვრები ლუარსან (sic) ყალაგოვის მეუღლე ესთერი გარდაიცვალა 23 თებერვალს, დაიმარხა 24 თებერვალს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ლოგინობითა.

გიმარას მცხოვრები გაუს გაშკას ძე ბერეზოვი გარდაიცვალა 1 მარტს, დაიმარხა 2 მარტს. 23 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლისაგან.

გიმარას მცხოვრები გიორგი ბერეზოვის მეუღლე გუთაზ გარდაიცვალა 1 მარტს, დაიმარხა 2 მარტს. 32 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლისაგან.

ამავე სახლში მცხოვრები გიშკა (sic) ბერეზოვის მეუღლე აისეთ (sic) გარდაიცვალა 1 მარტს, დაიმარხა 2 მარტს, 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლისაგან.

¹ თამარს არ უწერია ასაკი.

გიმარას მცხოვრები დავით ბერეშოვის მეუღლე ქიქო გარდაიცვალა 1 მარტს, დაიმარხა 2 მარტს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლისაგან.

გიმარას მცხოვრები ასაკო ბერეშოვის ვაჟი მიხეილ გარდაიცვალა 18 მარტს, დაიმარხა 19 მარტს. 7 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ცოცოლთას მცხოვრები ბადი ძანთიევის ქალი მარიამ გარდაიცვალა 20 მარტს, დაიმარხა 21 მარტს. 6 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ცოცოლთას მცხოვრები მზორ (sic) ყოსკაევის ვაჟი ალექსი გარდაიცვალა 7 მაისს, დაიმარხა 8 მაისს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ცოცოლთას მცხოვრები საბან თოკაევის (sic) ქალი ლიზო (sic) გარდაიცვალა 12 მაისს, დაიმარხა 13 მაისს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ცოცოლთას მცხოვრები ყუბა ძანთიევის და გარდაიცვალა 8 ივნისს, დაიმარხა 9 ივნისს. 20 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყვავილით.

ამავე სოფელს მცხოვრები დავითა (sic) ბულაცოვის მეუღლე მაგდან გარდაიცვალა 10 ივნისს, დაიმარხა 11 ივნისს. 25 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყვავილითა.

სვატის მცხოვრები იორდან სამბეგოვის ვაჟი¹ გარდაიცვალა 8 სექტემბერს, დაიმარხა 9 სექტემბერს. 10 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

ცოცოლთას მცხოვრები ლევან ბულაცოვი გარდაიცვალა 20 სექტემბერს, დაიმარხა 21 სექტემბერს. 15 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყვავილითა.

ტეფს მცხოვრები საბა ქალოშვილი გარდაიცვალა 1 ნოემბერს, დაიმარხა 2 ნოემბერს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

გიმარას მცხოვრები ვასილი ბერეშოვის ვაჟი ესტატე გარდაიცვალა 3 ნოემბერს, დაიმარხა 4 ნოემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

სვატის მცხოვრები ალექსანდრე ბულაცოვის დედა² გარდაიცვალა 8 ნოემბერს, დაიმარხა 9 ნოემბერს. 90 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ტეფს მცხოვრები ზნაურ ყალაგოვი გარდაიცვალა 20 ნოემბერს, დაიმარხა 21 ნოემბერს 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

სვატის მცხოვრები მოსე ქაშაევის ქალი სალომე გარდაიცვალა 24 ნოემბერს, დაიმარხა 25 ნოემბერს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

გიმარას მცხოვრები ქუდიგუს (sic) ბოგუევის (sic) ვაჟი ილია გარდაიცვალა 8 დეკემბერს, დაიმარხა 9 დეკემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №17

**ხევის უჩასტკის, კობის საბლაღოჩინოს, აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის
ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1886 წელი**

**მღვდელი ზაქარია პეტრიევი (sic) [პეტრიაშვილი - ნ.შ.], პრიჩეტნიკი ათანასე გონგაძე
დაბადებულთათვის**

ქიონია³(sic), დაიბადა 8 იანვარს, მოინათლა 18 იანვარს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები გენალდი (sic) ქაშეს ძე ბულაცოვი და თამარ პეტრეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალექსანდრე გაგის ძე ურთაევი.

¹ სახელი გამორჩენილია.

² სახელი გამორჩენილია.

³ ქალის სახელია.

სერგო, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 10 თებერვალს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები დამირზე ბორყოს ძე ყუსეშვილი და მარიამ ალინბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები ნიკოლოზ თოთრაძის ძე ყალაგოვი.

ნინო, დაიბადა 7 თებერვალს, მოინათლა 18 თებერვალს. მშობლები: სოფელ სვატისს (sic) მცხოვრები ბესე (sic) **ლევანის** ძე ელოშვილი და ყიზმიდე თამსრიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბარზს (sic) მცხოვრები სერგო ბიძის ძე ჩეთოევი.

სოფიო, დაიბადა 13 აპრილს, მოინათლა 24 აპრილს. მშობლები: სოფელ სვატისს მცხოვრები ყარასე ბაითუღანის ძე ქაშაევი და ლიზა ბაირის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატისს მცხოვრები **ერისტავ** (sic) თოთრაძის ძე ქაშაევი.

ესტატე, დაიბადა 20 აპრილს, მოინათლა 28 აპრილს. მშობლები: სოფელ სვატისს მცხოვრები იორდანე ძიძეს (sic) ძე სამბეგოვი და ნალდისე (sic) ფის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატისს მცხოვრები საბან სამბეგოვის მეუღლე აზავა.

მიხეილი, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 9 მაისს მშობლები: სოფელ ბარზს (sic) მცხოვრები სერგო ბიძის ძე ჩეთოევი და სალომე თოთას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ძახო ღუდას ძე ცაბოლოვი.

გიორგი, დაიბადა 3 მაისს, მოინათლა 12 მაისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრებ ქვრივ **მაია** ღუდარის ასულს დაებადა უკანონო ვაჟი. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები ბათრად ცალაგოვის მეუღლე გუთაზა.

ქიონია, დაიბადა 6 მაისს, მოინათლა 17 მაისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები **ბიბო ლევანის** ძე ქოქაევი და ყიზმად დადის ასული. მიმრქმელი – აბანოს პრიხოდის მღვდელი ზაქარია პეტრიევი.

სიმონი, დაიბადა 8 მაისს, მოინათლა 15 მაისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ყარასე ბაზირის ძე ქოქაევი და სიკა (sic) სავქუძის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ხასახყო აბეს ძე ცაბოლოვი.

ვლადიმერი, დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 20 მაისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ყასპოლ ბუბულას ძე ქაშაევი და აფინე ცოფანის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები სოსლანბეგი ქოქაევის დედა ჩენძე.

მარიამ, დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 20 მაისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები იაგორ ქოქაევი და მარინე სილას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები სოსლანბეგ გუდიევის დედა გუთაზა.

გიორგი, დაიბადა 1 თიბათვეს [ივნისს] მოინათლა 9 თიბათვეს [ივნისს]. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები **ლევან** ძახის ძე ცაბოლოვი და აზავ ელდარყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბარზს მცხოვრები ალექსი ყურმანის ძე ჩეთოევი.

ნატალია, დაიბადა 12 თიბათვეს [ივნისს], მოინათლა 20 თიბათვეს [ივნისს]. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ძახარ სოხის ძე ყუსეშვილი და სახთიბა იმეთის ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები გარსო თოხეს ძე გაბულოვი.

თეკლე, დაიბადა 14 თიბათვეს [ივნისს], მოინათლა 20 თიბათვეს [ივნისს]. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები მიხეილ ნაოგის ძე ყუსეშვილი და სახარ საბანის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ელბიზდიყო ყუსეშვილის მეუღლე ანნა.

თომა, დაიბადა 20 თიბათვეს [ივნისს], მოინათლა 30 თიბათვეს [ივნისს]. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ზაურბეგ გაძოს ძე ბერეზოვი და ნატალია გავის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები გიგოლ ბოცოევის მეუღლე ქოშერხან(sic).

ნინო, დაიბადა 7 აპრილს, მოინათლა 8 ივლისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ციცკა ზაბეს ძე ბერეშოვი და ნინა წუწუს (sic) ასული. მიმრქმელი – დუშეთში მცხოვრები ნიკოლოზ მიხეილის ძე კობიევი.

ნიკოლოზ, დაიბადა 7 თებერვალს, მოინათლა 8 ივლისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ასაკო ზაბეს ძე ბერეშოვი და სოფიო მარტიას ასული. მიმრქმელი – დუშეთში მცხოვრები ნიკოლოზ მიხაკოს (sic) ძე კობიევი.

გაბრიელი, დაიბადა 1 ივლისს, მოინათლა 8 ივლისს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები აბიასლან ცორეს ძე ხამიცოვი და სახარ ბიციკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები ელძრყო ყურმანის ძე ჩეთოევი.

სიდონია, დაიბადა 8 ივლისს, მოინათლა 18 ივლისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები სიკო ბაუის ძე ბულაცოვი და **ქალი** (sic) ფაფის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბარზს მცხოვრები სერგო ბიძი ძე ჩეთოშვილი.

ვარვარა, დაიბადა 10 ივლისს, მოინათლა 20 ივლისს. მშობლები: სოფელ სვატის მცხოვრები ცოლიკ თეგოს ძე სამბეგოვი და ჩიზგი (sic) თოთრადის ასული. მიმრქმელი – სოფელ სიონს მცხოვრები ალექსი ივანეს ძე წამალაიძე.

ვლადიმერი, დაიბადა 13 ივლისს, მოინათლა 24 ივლისს. მშობლები: სოფელ სვატის მცხოვრები კლიც ადიგეს ძე ქაშაევი და ყიზმიდე ბათიბას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები აციმეზ ქაშაევის მეუღლე ლიზა.

სოფიო, დაიბადა 1 აგვისტოს, მოინათლა 8 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ციცკა ბიძიგას ძე ხამიცოვი და **დარეჯან** ფის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო დესს მცხოვრები იორდანე ხათის ძე თათაროვი.

სვიმონი, დაიბადა 4 აგვისტოს, მოინათლა 9 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები კოლო (sic) ბიციკოს ძე ძანთიევი და ტასია დავითის ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელ ცირიკს¹ (sic) [ჩირიკს] მცხოვრები გიგოლა ივანეს ძე კობაიძე.

ლიზა, დაიბადა 5 აგვისტოს, მოინათლა 12 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები აფაყო დიდის ძე ძანთიევი და კატინე (sic) ყუდაბერდის ასული. მიმრქმელი – სოფელ კაიშაურში მცხოვრები გაბო სოსიას ძე სვიანაიძე.

სოფიო, დაიბადა 1 დეკემბერს, მოინათლა 9 დეკემბერს. მშობლები: სოფელ სვატისს მცხოვრები გული მზორის (sic) ძე ელოევი და გითო ბორყოს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ალექსანდრე ბაციევის მეუღლე სალომე.

ნესტორი, დაიბადა 5 დეკემბერს, მოინათლა 15 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ქვემო დესს მცხოვრები სილა ქუციკის ძე მირქაევი და ნაღყის ნარსავის ასული. მიმრქმელი – სოფელ დესს მცხოვრები თოთა ხამიცოვის მეუღლე **თეკლე**.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ რესში მცხოვრები მათე ყუდაინათის ძე ქალმანოვი. 50 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო დესს მცხოვრები თამსიყო ხამიცოვის ასული **თამარ**. 28 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 8 იანვარს.

სასიძო, სოფელ აბანოს მცხოვრები გიორგი **გლახას** ძე ცაბოლოვი. 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ რესს მცხოვრები ყუდაბერდ ქალმანოვის ასული ანნა². პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 16 იანვარს.

¹ სოფელი ჩირიკი.

² ანას ასაკი არ წერია.

სასიძო, სოფელ ტეფს მცხოვრები ქუძი იდას ძე ყალაგოვი. 50 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ რესს მცხოვრები ბიასლან კუძიევის ასული ბაბიზ. 40 წლის. მეორე ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 17 იანვარს.

სასიძო, სოფელ ბარზს მცხოვრები გიგო ბიძის ძე ჩეთოევი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ ზაყას მცხოვრები ხვთივის (sic) ასული ფათინე. 16 წლის. პირველი ქორწინება¹. ჯვარი დაიწერეს 4 მაისს.

სასიძო, სოფელ კობს მცხოვრები როსტომ ვასილის ძე სალბიშვილი. 24 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები ბიბო ქოქაევის ასული **დარიკო**². ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ რესს მცხოვრები ქრისტეფორე ბორყოს ძე ყუსეშვილი. 19 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები სიმან (sic) ბოცუევის ასული დისო. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ სვატისს მცხოვრები დანიელ ბესეს ძე ელოშვილი. 16 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფს მცხოვრები სანდრო ყალაგოვის ასული ზინობია. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ბარზს მცხოვრები ვასილი გიბითის ძე ჩეთოევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო დესს მცხოვრები ბარან სავისწოვის (sic) ასული პელაგია. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ უხათს მცხოვრები სიმან (sic) დუდარის ძე სამოშვილი (sic). 32 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები საბან თაკაევის ასული ირინე. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 14 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ სვატის მცხოვრები სიმონ ელბერდის ძე ქაშაევი. პირველი ქორწინება³. სასძლო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები ბასილ ქალოშვილი ასული სალომე. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 14 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

ტეფს მცხოვრები ხაუბი (sic) ყალაგოვი გარდაიცვალა 12 იანვარს, დაიმარხა 13 იანვარს. 90 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

რესში მცხოვრები მზორყო (sic) ყუსეშვილი გარდაიცვალა 20 იანვარს, დაიმარხა 21 იანვარს. 86 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ყარათყავს მცხოვრები ყასპოლ ბულაცოვის დაი მარიჯან (sic) გარდაიცვალა 2 თებერვალს, დაიმარხა 10 თებერვალს (sic). 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თიაქრისაგან.

სვატის მცხოვრები თოთრად სამბეგოვი გარდაიცვალა 1 მარტს, დაიმარხა 2 მარტს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობითა.

ტეფს მცხოვრები თოთიკ ყალაგოვის ქვრივი რძალი გოსეზი გარდაიცვალა 8 მაისს, დაიმარხა 9 მაისს 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლითა.

ყარათყავს მცხოვრები ცომაყ ბულაცოვის ვაჟი გარდაიცვალა 20 მაისს, დაიმარხა 21 მაისს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ტეფს მცხოვრები არტემ ყალაგოვის რძალი ზალი გარდაიცვალა 20 მაისს, დაიმარხა 21 მაისს. 32 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკითა.

¹ სასძლოს მხრიდან თავმდებნი/მოწმეები იხსენიებიან ხვთივიშვილები, სავარაუდოდ, სასძლოც ამ გვარიდან უნდა ყოფილიყო.

² სასძლოს ასაკი არ წერია.

³ სასიძოს და სასძლოს არ უწერიათ ასაკი.

ჩეთირს მცხოვრები გეძი ქაშაევს¹ გარდაიცვალა 10 თიბათვეს [ივნისს] დაიმარხა 11 თიბათვეს [ივნისს]. 13 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფეხის მოტეხვით.

ჩეთირს მცხოვრები ასაჯე ქოქაევი გარდაიცვალა 20 თიბათვეს [ივნისს], დაიმარხა 21 თიბათვეს [ივნისს]. 43 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თიაქრით.

ჩეთირს მცხოვრები ხასკო ჩეთოშვილი გარდაიცვალა 1 ივლისს, დაიმარხა 2 ივლისს. 90 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თიაქრით.

რესს მცხოვრები ყუდაბერდ ქალმანოვის ვაჟი სოლომან (sic) გარდაიცვალა 8 ივლისს, დაიმარხა 9 ივლისს. 12 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

რესს მცხოვრები მიხეილ ყუსეშვილი გარდაიცვალა 20 აგვისტოს, დაიმარხა 21 აგვისტოს. 34 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

რესში მცხოვრები თასო ყუდაბერდის ძე ქალმანოვი გარდაიცვალა 19 სექტემბერს, დაიმარხა 20 სექტემბერს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლითა.

აბანოს მცხოვრები გუძანა ბიზიკოვი გარდაიცვალა 1 ოქტომბერს, დაიმარხა 2 ოქტომბერს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

აბანოს მცხოვრები ალექსანდრე ცაბოლოვის მეუღლე ნალყიზ გარდაიცვალა 7 ოქტომბერს, დაიმარხა 8 ოქტომბერს. 32 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ავის ჭირისგამ(sic).

ჩეთირს მცხოვრები ცოფან ქოქაევი გარდაიცვალა 15 ნოემბერს, დაიმარხა 16 ნოემბერს. 89 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ჩეთირს მცხოვრები **გლახა** ჩეთოევი გარდაიცვალა 20 ნოემბერს, დაიმარხა 21 ნოემბერს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლითა.

გიმარას მცხოვრები ალექსანდრე ბოჩაევი (?) გარდაიცვალა 5 დეკემბერს, დაიმარხა 6 დეკემბერს. 20 წლის. გარდაცვალების მიზეზი – კლდეზე გადავარდით.

ჩეთირს მცხოვრები ზნაურ ქაშაევს ვაჟი² გარდაიცვალა 28 დეკემბერს, დაიმარხა 29 დეკემბერს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №17

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს, აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის
ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1887 წელი**

**მღვდელი ზაქარია პეტრიევი (sic) [პეტრიაშვილი - ნ.შ.], პრიჩეტნიკი ათანასე გონგაძე
დაბადებულთათვის**

სიმონი, დაიბადა 7 იანვარს, მოინათლა 17 იანვარს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ხასიყო აბეს ძე ცაბოლოვი და **დარიკო** ძიგოს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ძახო თაზისბარის ძე ცაბოლოვი.

სოფიო, დაიბადა 9 იანვარს, მოინათლა 17 იანვარს. მშობლები: ამავე სახლში მცხოვრები ეჩიმ (sic) აბეს ძე ცაბოლოვი და მარიკო (sic) ბიდიგას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები **გიგო** ბიზიკოვის დედა გოსეზი.

დიმიტრი, დაიბადა 10 თებერვალს, მოინათლა 20 თებერვალს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ვასილი მაცკას ძე ბერეზოვი და მაგდან ელმირზას ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები მუსე ბოცუევის მეუღლე **დარეჯან**.

¹ სახელი გამორჩენილია.

² სახელი გამორჩენილია.

ივანე, დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 10 მარტს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები გაგი გობის ძე ქაშაევი და კატი (sic) დიდოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები ელდარყო ქაშაევის მეუღლე **მაია**.

ნიკოლოზი, დაიბადა 7 მარტს, მოინათლა 17 მარტს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები იაგორ თოთრაძის ძე ბერეუზოვი და გუბლე ვასკეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფსს მცხოვრები ბადილ ყანიმეთის ძე დაუროვი (sic).

ნინო, დაიბადა 13 მარტს, მოინათლა 20 მარტს. მშობლები: სოფელ სივირავს (sic) მცხოვრები ალინბეგ ალიკის ძე ყალაგოვი და გოსეუი ქუციკის ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები ბუტუ კუძიევის ასული **ნინო**.

დარია, ხუთი თვის, მოინათლა 2 აპრილს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ალინბეგ ყუდაინათის ძე ქალმანოვი და ყიზმიდე ოსმანის ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები გარსო თოხეს ძე გაბულოვი.

დიმიტრი, ექვსი თვის, მოინათლა 2 აპრილს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ზაურბეგ ძახას ძე ყალაგოვი და თითიკო გიგოლის ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის სოფელ რცხინვალს (sic) მცხოვრები მიხეილ ივანეს ძე მიდლისოვი.

ნიკოლოზი, ექვსი თვის, მოინათლა 2 აპრილს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები **გლახა** ახლაუს ძე ურთაევი და მელექ ძიბეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ადო აციმეზის ძე ბულაცოვი.

თომა, დაიბადა 8 აპრილს, მოინათლა 12 აპრილს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ტილო (sic) ცორეს ძე დაუროვი (sic) და სპფიო ინარიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები თათარყან ღუდარის ძე ურთაევი.

მაგდან, დაიბადა 13 აპრილს, მოინათლა 20 აპრილს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები დოღეთმირზ ბოლათის ძე ძანთიევი და დადოღეთყიზ (sic) თაზირეთის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ზაურბეგ ურთაევის მეუღლე ბისო (sic).

მათე, დაიბადა 13 აპრილს, მოინათლა 30 აპრილს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები **გლახა** თოთრაძის ძე მაკაშვილი და ფოხო (sic) ხამირზეს ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები მიხეილ ქუცირის ძე ცაბოლოვი.

იობა (sic), დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 8 მაისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ნიკოლოზ მაცკას ძე ცაბოლოვი და დედუ ბიძიგას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ვანო ქუცირის ძე ცაბოლოვი.

სოლომან (sic), დაიბადა 2 მაისს, მოინათლა 8 მაისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ზნაურ დავითის ძე ქასაევი და ჩენძე ბაიშეთის ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები ასაჯე ქოქაევის მეუღლე **თამარ**.

მათე, დაიბადა 3 მაისს, მოინათლა 9 მაისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ძაბოლათ ბაზირის ძე ქოქაევი და ტასია თოთრაძის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ასლანბეგ გოგოს (sic) ძე ბიზიკოვი.

აბრამა (sic), დაიბადა 5 მაისს, მოინათლა 11 მაისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ისმაილ ჩეთოევის რძალს ქვრის მარინეს დაებადა უკანონოთ ვაჟი. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები **სანდრო** ოსმანის ძე ყარაევი.

ანდრია, დაიბადა 6 მაისს, მოინათლა 11 მაისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები მიხეილ ქუცირის ძე ცაბოლოვი და სალომე გუდეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ვანკა ბაბანას ძე ბულაცოვი.

ალექსი, დაიბადა 8 მაისს, მოინათლა 11 მაისს. მშობლები: ამავე სახლში მცხოვრები ვანო ქუცირის ძე ცაბოლოვი და გიგა (sic) ბერდის ასული. მიმრქმელი – დუშეთს მცხოვრები თევდორე ქრისტესფორეს ძე პოპოდოპულოვი (sic).

იობა (sic), ერთი წლის, მოინათლა 13 მაისს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები ყაზიხან ფრანგის ძე ხამიგოვი და სახარ ყულადარის ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელ ციხიდავს (sic)¹ მცხოვრები ზაქარია ანდრიას ძე სალბიშვილი.

გიორგი, დაიბადა 13 მაისს, მოინათლა 20 მაისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები მიტკა ზაბეს ძე ყალაგოვი და ანა ქოფას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები მიტკა საბანის ძე ცაბოლოვი.

ვლადიმერი, დაიბადა 15 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ნიკიტ (sic) თამსრიყოს ძე ბულაცოვი და მართა ანდრიას ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები თათარყან დუდის ძე ურთაევი.

გაბრიელი, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 9 ივნისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ბადილა ინალის ძე ბულაცოვი და **თამარ** ალექსის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები სოსლან ცოფანის ძე ურთაევი.

მაშო, დაიბადა 3 ივნისს, მოინათლა 9 ივნისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ცომაყ იბაყის ძე ბულაცოვი და **თეკლე** დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ივანე დუდარყოს ძე ურთაევი.

დიმიტრი, დაიბადა 5 ივნისს, მოინათლა 14 ივნისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები გაუს **ფარნაოზის** ძე ქოქაევი და **თეკლე** ილიცის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ძახო ცაბოლოვის მეუღლე გოსეზი.

მაკრინე, დაიბადა 2 ივნისს, მოინათლა 8 ივნისს (sic)². მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები სიმან (sic) იგვის ძე ცალაგოვი და სახთი თოთრაძის ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები სოსლინბეგ ქოქაევის დედა ჩენძე.

ილია, დაიბადა 20 ივლისს, მოინათლა 30 ივლისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ვანკა ნანოს ძე ცაბოლოვი და კატი ლუარსანის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ძახოტ ბატის ძე ცაბოლოვი.

სანდრო, დაიბადა 1 ივლისს, მოინათლა 8 ივლისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები გაუს ახმეთის ძე ბულაცოვი და სახთი ელდარყოს ასული. მიმრქმელი – დუშეთს მცხოვრები თევდორე ქრისტეფორეს ძე პოპოდოპულოვი (sic).

თევდორე, დაიბადა 3 ივლისს, მოინათლა 13 ივლისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ალექსანდრე ძანალდის ძე ძანთიევი და მელექ ელბიზდიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბარზს (sic) მცხოვრები ლექსო ყურმანის ძე ჩეთოევი.

გიორგი, დაიბადა 5 ივლისს, მოინათლა 13 ივლისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ქაქო ბუძუს ძე ძანთიევი და ყიზლარ თოთრაძის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები მიხეილ ფის ძე თუაევი.

ლაზარე, დაიბადა 6 ივლისს, მოინათლა 15 ივლისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები გაპო **ლევანის** ძე ბიზიკოვი და ჩენძე აციმეზის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყანობს მცხოვრები გიგოლი ტეტის ძე ვარდაშაევი (sic) [ვარდაშვილი].

¹ იგულისხმება სოფელი ციხეჯდავი.

² მაკრინეს ასევე უწერია, რომ მოინათლა 8 თვის.

თევდორე, დაიბადა 8 ივლისს, მოინათლა 17 ივლისს. მშობლები: სოფელ სვატის მცხოვრები საბან თოკას ძე სამბეგოვი და აზავა დადის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატის მცხოვრები ნიკოლოზ ქაშაევის მეუღლე სახთი.

სალომე, დაიბადა 8 ივლისს, მოინათლა 17 ივლისს. მშობლები: სოფელ სვატის მცხოვრები ალექსანდრე ნალიყის ძე სამბეგოვი და **მაიკო** მიხეილის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატის მცხოვრები ბესე ელოშვილის მეუღლე ყიზმიდე.

მათე, დაიბადა 10 ივლისს, მოინათლა 20 ივლისს. მშობლები: სოფელ სვატის მცხოვრები ესტატე ივანეს ძე ქაშაევი და მართა ქუცირის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატის მცხოვრები ალექსანდრე ნალიყის ძე სამბეგოვი.

აბრამ, დაიბადა 12 ივლისს, მოინათლა 20 ივლისს. მშობლები: სოფელ სვატის მცხოვრები ყასპოლ დუდას ძე ქაშაევი და აზავა წუწუს (sic) ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ბერდა ფანუზის ძე ელოევი.

ალექსი, დაიბადა 14 ივლისს, მოინათლა 25 ივლისს. მშობლები: სოფელ სვატის მცხოვრები ბაზიკო ყაყას ძე კოშკაევი და გუთაზა ებიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატის მცხოვრები თოთრამ სამბეგოვის მეუღლე ქიქო.

გაბრიელი, დაიბადა 15 ივლისს, მოინათლა 27 ივლისს. მშობლები: სოფელ ზაყაგორს მცხოვრები ბორყო ბაისლანის ძე ჩეთოევი და მელექ აზოს(sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატის მცხოვრები ყასპოლ დუდას ძე ქაშაევი.

სოფიო, დაიბადა 1 აგვისტოს, მოინათლა 8 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ბიმბოლ დოღეთმირზას ძე ბულაცოვი და **ნინო** ზაბეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები მიშკა ბადულის ძე ურთაევი.

პავლე, დაიბადა 3 აგვისტოს, მოინათლა 11 აგვისტოს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ვასგე გიშოს ძე ყუსეშვილი და **მარინე** ცორეს ასული. მიმრქმელი – ამავე უეზდის სოფელ ზემობანს (sic) მცხოვრები დავით ივანეს ძე ჯიქუროვი(sic).

მაშო, დაიბადა 5 აგვისტოს, მოინათლა 13 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები არტომ (sic) იდას ძე ყალაგოვი და **თამარ** სიმონის ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები მიტკა ზაბეს ძე ყალაგოვი.

სიმონი, დაიბადა 14 აგვისტოს, მოინათლა 20 აგვისტოს, მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები სოსლან ცორეს ძე ყალაგოვი და ხარირი (sic) ყულადარას ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები ნიკოლოზ ყალანგოვის მეუღლე თავისა (sic).

ვლადიმირი (sic), დაიბადა 1 სექტემბერს, მოინათლა 8 სექტემბერს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები გიძი მიზაურბეგის ძე ბერეზოვი და ზალი კციქის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ივანე ფარსეს ძე თუაშვილი.

მარინე, დაიბადა 3 სექტემბერს, მოინათლა 9 სექტემბერს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ტერო გეთეს ძე ბოცუევი და სალომე მზორის ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელ წამალიანთას (sic) მცხოვრები იოსებ დავითის ძე წამალაიძე.

ვლადიმერი, 1 წლის, მოინათლა 9 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სტეფანე დუდას ძე თუაევი და ტასია გიდოს ასული. მიმრქმელი – აბანოს პრიხოლის მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი].

ნატალია, დაიბადა 10 სექტემბერს, მოინათლა 15 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ბათრამ გაბისის ძე თუაევი და ნალმის გიგის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები გიგოლ ბოცუევის მეუღლე ქოშერხან (sic).

ბაგრატი, დაიბადა 13 სექტემბერს, მოინათლა 16 სექტემბერს. მშობლები: სოფელ სვატის მცხოვრები ცორე ვაზგერის ძე ქაშაევი და **თამარ** ელისბარის ასული. მიმრქმელი –

ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ აბათყავს (sic) მცხოვრები გრიგოლ ბერდიყის ძე ბესლევოვი.

მართა, დაიბადა 14 სექტემბერს, მოინათლა 20 სექტემბერს. მშობლები: სოფელ სვატის მცხოვრები სოსლმან ქუციკის ძე ქაშაევი და ბაბიზ დიდოს ასული. მიმრქმელი – სოფელ მლეტს მცხოვრები პავლე იაკობის ძე ბუთხუზოვი (sic) [ბუთხუზი].

ალექსი, დაიბადა 1 ოქტომბერს, მოინათლა 9 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები სანდრი (sic) მაცკას ძე ქოქაევი და **ნინო** დავითის ასული. მიმრქმელი – ამავე უეზდის სოფელ ჯაკათკის (sic) მცხოვრები მათე ყავდინის ძე ოსიევი.

ზაქარია, 2 თვის, მოინათლა 11 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ადო აციმეზის ძე ბულაცოვი და სალიმეთ დუდას ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ციკა ბერეზოვის მეუღლე **ნინო**.

თომა, დაიბადა 2 ნოემბერს, მოინათლა 15 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები დიმილო (sic) ელმირზას ძე ქოქაევი და სალომე ბერდის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები მანის საპიევის მეუღლე ხასა.

ნატალია, დაიბადა 8 ნოემბერს, მოინათლა 20 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები სიმანს (sic) ელმირზას ძე ბულაცოვი და **ნინო** გულის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები მიშკა ბუდულის (sic) ძე ურთაევი.

მარინე, დაიბადა 10 ნოემბერს, მოინათლა 23 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ივანე ელმირზას ძე ბულაცოვი და მართა ცუნცურის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ადიჯე ურთაევის მეუღლე მელექ.

არტემა (sic,) დაიბადა 2 დეკემბერს, მოინათლა 10 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები გეძა სავქუძის ძე სავძაწოვი (sic) და ტასია აბეგას ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატის მცხოვრები **ნიკა** (sic) აბრეგის ძე ქაშაევი.

თომა, დაიბადა 12 დეკემბერს, მოინათლა 20 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები თოთიკ **ლევანის** ძე ყაზიევი და ყიზმიდე ბაცის ასული. მიმრქმელი – ამავე დესს მცხოვრები ბაირ ხამიცოვის მეუღლე ბარბარე.

თევდორე, დაიბადა 13 დეკემბერს, მოინათლა 20 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ბათრად ზდარის (sic) ძე ხამიცოვი და გიგი გისოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო დესს მცხოვრები ციპუ ყირდაევის მეუღლე დისო.

ჯვარდაწერილობათვის

სასიძო, სოფელ სვატისს (sic) მცხოვრები ილია ბადირის ძე ქაშაევი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები ელმირზა ქოქაევის ასული **მართა**. 23 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 აპრილს.

სასიძო, სოფელ რესს მცხოვრები სარქის ხუჯის ძე გაბულოვი. 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სვატისს მცხოვრები ყასპოლ ქაშაევის ასული სალომე. 14 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 2 ივლისს.

სასიძო, სოფელ ბურმასიგს მცხოვრები დავით ებიყოს ძე თუაშვილი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სვატისს მცხოვრები ქარჩი ელოევის ასული სუსანა. 14 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ივლისს.

სასიძო, გორის უეზდის სოფელ ხოჯაშიდ (sic) მცხოვრები ვანო ხოთეს ძე თოთირაშვილი. 16 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები ელმირზა ბულაცოვის ასული ოლდა. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 22 სექტემბერს.

სასიძო, სოფელ სავატიის მცხოვრები ცოფან ვაზგერის ძე ქაშავეი. 40 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები რასაბ ბოცაევის ასული მარინე¹. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ უხათს მცხოვრები თომა ადამის ძე ბათაშვილი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები გრიგოლ ცაბოლოვის ასული ოლღა². პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ გიმარას მცხოვრები გაბე გიშკას ძე ბერეზოვი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები ასე (sic) ურთაევის ასული ბარბარე. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ სვატიის მცხოვრები გაუს აბრეგის ძე ქაშავეი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფს მცხოვრები ნალიყ ყალაგოვის ასული ხრისტედულე (sic)³. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები გაბრიელ იშკას (sic) ძე ქოქავეი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო ღესს მცხოვრები გავი ხამიცოვის ასული მართა. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

„დაიმარხნენ საზოგადო სასაფლაოზედ“.

ზემო ღესს მცხოვრები ხათ (sic) თათაროვი გარდაიცვალა 15 იანვარს, დაიმარხა 16 იანვარს⁴. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

აბანოს მცხოვრები ადამა ცაბოლოვი გარდაიცვალა 3 მარტს, დაიმარხა 4 მარტს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ცოცოლთას მცხოვრები განძი მაკაევის ქალი სალომე გარდაიცვალა 15 მარტს, დაიმარხა 16 მარტს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

გიმარას მცხოვრები დავით ბერეზოვი გარდაიცვალა 22 მარტს, დაიმარხა 23 მარტს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

სვატიის მცხოვრები მიშკა სამბეგოვის მეუღლე ელენე გარდაიცვალა 29 მარტს, დაიმარხა 30 მარტს. 23 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თიაქრით.

სვატიის მცხოვრები ნალიყ სამბეგოვის დედა მარიამ გარდაიცვალა 2 აპრილს, დაიმარხა 3 აპრილს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თიაქრით.

აბანოს მცხოვრები ეჩიმ (sic) ცაბელოვის შვილი სტეფანე გარდაიცვალა 8 აპრილს, დაიმარხა 9 აპრილს. 2 წლის⁵.

ჩეთირს მცხოვრები გაგი ქაშაევის ვაჟი ივანე გარდაიცვალა 13 აპრილს, დაიმარხა 14 აპრილს. 2 თვის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ზაყაგორს მცხოვრები სერგო ჩეთოევის შვილი იაგორი გარდაიცვალა 23 აპრილს, დაიმარხა 24 აპრილს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

აბანოს მცხოვრები ხასაყო ცაბოლოვის ქალი ანიკო გარდაიცვალა 5 მაისს, დაიმარხა 6 მაისს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ჩეთირს მცხოვრები ცორმან ქოქაევის ვაჟი ალექსი გარდაიცვალა 6 მაისს, დაიმარხა 7 მაისს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

¹ სასძლოს ასაკი არ წერია.

² სასძლოს ასაკი არ წერია.

³ სასძლოს ასაკი არ წერია.

⁴ გარდაცვლილის ასაკი არ წერია.

⁵ გარდაცვალების მიზეზი არ წერია.

ზაყაგორს მცხოვრები ბორყო (sic) ჩეთოევის ასული ნატალია გარდაიცვალა 20 მაისს, დაიმარხა 22 მაისს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

სოფელ ბარზს (sic) მცხოვრები ბორყო ჩეთოევის ქალი სოფიო გარდაიცვალა 8 ივნისს, დაიმარხა 9 ივნისს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

სვატის მცხოვრები ბაზირ (sic) ბაციევის დედაი (sic) მელექ გარდაიცვალა 19 ივლისს, დაიმარხა 20 ივლისს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

აბანოს მცხოვრები მიტკა ცაბოლოვის დედა ბარბარე გარდაიცვალა 8 აგვისტოს, დაიმარხა 9 აგვისტოს. 64 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

გიმარას მცხოვრები ვასილი ბერეზოვის ვაჟი დიმიტრი გარდაიცვალა 16 აგვისტოს, დაიმარხა 17 აგვისტოს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილი.

აბანოს მცხოვრები ქუცირი ცაბოლოვის მეუღლე მართა გარდაიცვალა 16 ნოემბერს, დაიმარხა 18 ნოემბერს. 67 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ტეფში მცხოვრები გიძილო (sic) ყალაგოვის დედა¹ გარდაიცვალა 18 ნოემბერს, დაიმარხა 19 ნოემბერს. 67 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

გიმარას მცხოვრები თოთრად ბერეზოვი გარდაიცვალა 20 ნოემბერს, დაიმარხა 21 ნოემბერს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

ცოცოლთას მცხოვრები მზორ ყოშკაევი (sic) გარდაიცვალა 23 ნოემბერს, დაიმარხა 24 ნოემბერს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ყარათყავს მცხოვრები გაგი ურთაევი გარდაიცვალა 25 ნოემბერს, დაიმარხა 26 ნოემბერს. 57 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ყარათყავს მცხოვრები ალექსანდრე ბულაცოვის ვაჟი ალექსი გარდაიცვალა 8 დეკემბერს, დაიმარხა 9 დეკემბერს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ჩეთირს მცხოვრები გიორგი ქაშაევის ვაჟი სოლომან (sic) გარდაიცვალა 9 დეკემბერს, დაიმარხა 10 დეკემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ცოცოლთას მცხოვრები გლახა მაკაშვილის ვაჟი ყაზიმახამეთ (sic) გარდაიცვალა 16 დეკემბერს, დაიმარხა 17 დეკემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

გიმარას მცხოვრები ტერო (sic) ბოცაევის ქალი მარინე გარდაიცვალა 18 დეკემბერს, დაიმარხა 19 დეკემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

აბანოს მცხოვრები ერემ (sic) ცაბელოვის მეუღლე დარიკო გარდაიცვალა 20 დეკემბერს, დაიმარხა 21 დეკემბერს. 22 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყლისაგან.

ყარათყავს მცხოვრები ლუარსან (sic) ბულაცოვის მეუღლე კატი (sic) გარდაიცვალა 22 დეკემბერს, დაიმარხა 23 დეკემბერს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკითა.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №18

ხევის უჩასტკის, კობის საბლაღოჩინოს, აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის

ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1888 წელი

**მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი - ნ.შ.], პრიჩეტნიკი ათანასე გონგაძე
დაბადებულთათვის**

გაბრიელი, მოინათლა 8 იანვარს, 8 თვის. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ერისტავ ბიასლანის ძე ყალაგოვი და მართა ვანუზის ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები გარსო თოხეს ძე გაბულოვი.

¹ სახელი არ წერია.

გიორგი, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 9 იანვარს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები სოსლანბეგ ბაირის ძე ქოქაევი და ლეზო ციცკას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სტეფან დუდას ძე თუაშვილი.

იობა (sic), დაიბადა 12 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ასლინბეგ დავითის ძე ქაშაევი და **მაია** ფარსეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები სოსლან ქუცირის ძე ქოქაევი.

სოლომანი, დაიბადა 13 იანვარს, მოინათლა 23 იანვარს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები თაკა ბიასლანის ძე ქოქაევი და **ნინო** მარინეს (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სტეფან დუდას ძე თუაშვილი.

ილია, დაიბადა 15 იანვარს, მოინათლა 27 იანვარს. მშობლები: სოფელ სვატისში მცხოვრები გაგი გობის ძე ქაშაევი და კატის (sic) დიდოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები თაკა ბიასლანის ძე ქოქაევი.

დიმიტრი, დაიბადა 17 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ანდრია ქუცირის ძე ქოქაევი და ამინეთ თოკეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სტეფანე დუდას ძე თუაევი.

ნატალია, დაიბადა 2 თებერვალს, მოინათლა 8 თებერვალს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ცორმან თოთრაძის ძე ქოქაევი და **დედუფალ** (sic) ყუდაბერდის ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები **ლუარსაბ** გუდას ძე ქაქოევი.

გიორგი, მოინათლა 10 თებერვალს, 8 თვის. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ზაურბეგ ფარსეს ძე ქოქაევი და სახარ გაბისის ასული. მიმრქმელი – ამავე უეზდის სოფელ სიმანიანთხევს (sic) მცხოვრები ფრიდონ გივის ძე ბიჩინაშვილი.

შაქრო, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 15 თებერვალს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ქუძი ჩერმენის ძე ცალაგოვი და ძან თოთრაძის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები გაპო ბიზიკოვის მეუღლე ჩენძე.

ანდრია, დაიბადა 23 თებერვალს, მოინათლა 30 თებერვალს (sic). მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები თათარყან დუდარყოს ძე ურთაევი და კატინე (sic) ბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები სოსლანბეგ თემსრიყოს ძე კუმალაგოვი.

გაბრიელი, დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 8 მარტს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ბასილა სოლომანის ძე ქალოშვილი და ფათიმე ნონას (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ცორე კუმალაკოვის მეუღლე მელექა.

ვლადიმერი, დაიბადა 12 მარტს, მოინათლა 20 მარტს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები კოლო ბიცკოს ძე ძანთიევი და ტასია დავითის ასული. მიმრქმელი – აბანოს პრიხოდის მღვდელი ზაქარია პეტრიევი.

ნიკოლოზი, დაიბადა 13 მარტს, მოინათლა 30 მარტს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები მიხეილ თოთრაძის ძე მაკაშვილი და ცამანყუდე მაცკას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სტეფან დუდას ძე თუაშვილი.

მაგდანი, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 7 მაისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები **სანდრო** გიდის ძე თაკაშვილი და **დარიკო** თოთრაძის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები დაჩე ფაფი ბოცუევის ასული.

სიმონი, დაიბადა 3 მაისს, მოინათლა 9 მაისს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები **ნიკოლოზა** (sic) ფარსას ძე თუაშვილი და ელისა ცორეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალექსანდრე ბულაცოვის მეუღლე გუთაზ.

ანდრია, დაიბადა 7 მაისს, მოინათლა 15 მაისს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სარდრო (sic) თებოს ძე თუაშვილი და აბიათ ბათრადის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ასაკო ზაბეს ძე ბერეზოვი.

დავით, დაიბადა 7 მაისს, მოინათლა 15 მაისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები მიხეილ ქუცირის ძე ცაბოლოვი და სალომე გუდეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ვანკა ბაბანის ძე ბულაცოვი.

ისაკა (sic), დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 20 მაისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები გიშკა ეფრეს ძე ბერეზოვი და გოსეზი გიგოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სტეფან ღუდას ძე თუაშვილი.

მარიამი, დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 20 მაისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ხუდე გოგიას ძე ბერეზოვი და გუთაზა თოლაძის ასული. მიმრქმელი – სოფელ მლეთს მცხოვრები თევდორე ივანეს ძე პოპოდომპულოვი¹(sic).

სტეფანე, დაიბადა 13 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები მახამეთ ღუდას ძე ყირდაევი და აფინე თეიმურაზის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო დესს მცხოვრები ძახო დოღეთიყოს ძე ყაზიევი.

ელისაბედი, დაიბადა 19 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები ზნაურ ღუდას ძე ყირდაევი და ბაბიზ ფარსეს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ძახო დოღეთიყოს ძე ყაზიევი.

მარიამი, დაიბადა 5 ივნისს, მოინათლა 10 ივნისს. მშობლები: სოფელ ზაყაგორს მცხოვრები ალექსი ყურმანის ძე ჩეთოევი და სიდონია დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ბეჩირ ქასას ძე ბულაცოვი.

თომა, დაიბადა 10 ივნისს, მოინათლა 20 ივნისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ტიგვი საბანის ძე ქალოშვილი და **თამარ** ალაჯიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ რესში მცხოვრები ბადი ათირის ძე ყუსეშვილი.

ვასილი, დაიბადა 12 ივნისს, მოინათლა 20 ივნისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები გიგოლ ფრანგის ძე ბოცაევი და ქოშერხან ასიკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები სერგო ბიძის ძე ჩეთოევი.

ნინო, დაიბადა 23 ივნისს, მოინათლა 30 ივნისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ბათრაძა ახმეთის ძე ბოცუევი და სისხარა თემრიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სტეფან ღუდას ძე თუაშვილი.

ლიზა, დაიბადა 23 ივნისს, მოინათლა 30 ივნისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ყასპოლ ახმეთის ძე ბულაცოვი და **მარინე** ქუცირის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები მიტკა ღუდარყოს ძე ურთაევი.

ნესტორი, დაიბადა 1 ივლისს, მოინათლა 10 ივლისს. მშობლები: სოფელ სვატისს მცხოვრები ადამა თოთრადის ძე სამბეგოვი და მამი ყანდუას ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატისს მცხოვრები ყულადარ ელოევის მეუღლე **თეკლე**.

ლიზა, დაიბადა 2 ივლისს, მოინათლა 10 ივლისს. მშობლები: სოფელ სვატისს მცხოვრები ყარამან ბაზირის ძე ბაციევი და მელექ სხანგერის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები გაბრიელ მოსეს ძე ბედოშვილი.

¹ ეს პიროვნება წინა წლების მიხედვით არის ღუშეთის მკვიდრი, სავარაუდოდ სოფელი მლეთა შეცდომით უნდა იყოს მითითებული.

მარიამი, დაიბადა 4 ივლისს, მოინათლა 13 ივლისს. მშობლები: სოფელ სვატის მცხოვრები გორგოყო (sic) ყაყას ძე ყოშკაევი (sic) და ძიგინ პავლეს ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატის მცხოვრები აფაყო ბაზირის ძე ბაციევი.

გიორგი, დაიბადა 3 ივლისს, მოინათლა 10 ივლისს. მშობლები: სოფელ სვატის მცხოვრები სუდარ მიზაურბეგის ძე ქაშაევი და აფინე თამსრიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები გუდე სიგას ძე ყალაგოვი.

სოფიო, დაიბადა 4 ივლისს, მოინათლა 13 ივლისს. მშობლები: სოფელ სვატის მცხოვრები **ნიკალა** (sic) აბრეგის ძე ქაშაევი და ცოფრიხან ციპუს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყაზიბეგში მცხოვრები გრიგოლ იოსების ძე ქოუშევი (sic) [ქუშაშვილი].

იაკობი, დაიბადა 10 ივლისს, მოინათლა 18 ივლისს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები ყაზიხან ფრანგის ძე ხამიცოვი და ხარა ყულადარის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბარზს მცხოვრები ნიკოლოზ ჩეთოევის დედა გიგი.

სოფიო, დაიბადა 14 ივლისს, მოინათლა 20 ივლისს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები გარსო თოხეს ძე გაბულოვი და ხარა დადის ასული. მიმრქმელი – სოფელ რესში მცხოვრები მიტკა საპიეგის ძე ყუსეშვილი.

ნინო, დაიბადა 13 ივლისს, მოინათლა 20 ივლისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები დოხციყო **ფარნაოზის** ძე ყალაგოვი და ლიზა ქუცირის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელში მცხოვრები ალექსანდრე მიხეილის ძე ყალაგოვი.

ნინო, დაიბადა 3 აგვისტოს, მოინათლა 11 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები გიორგი გიბერის ძე ყალაგოვი და სახარ **სანდროს** ასული. მიმრქმელი – ამავე უეზდის სოფელ ქაფთარს (sic) მცხოვრები ანდრია დიმიტრის ძე ქავთაროვი.

პეტრე, დაიბადა 3 აგვისტოს, მოინათლა 11 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სოსლან ცოფანის ძე თუაშვილი და ჩაბე თათალოს ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის სოფელ რცხინვალს მცხოვრები თომა ნონეს ძე ქარელოვი (sic).

ალექსანდრე, დაიბადა 3 აგვისტოს, მოინათლა 13 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ივანე ფარსეს ძე თუაშვილი და სალომე ბორყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალექსანდრე ბულაცოვის მეუღლე **ნატო** (sic).

თეკლე, დაიბადა 1 ოქტომბერს, მოინათლა 10 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ სივირავს (sic) მცხოვრები თომა ალიკის (sic) ძე ყალაგოვი და დისო ცორეს ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები იორდან ძაკაევის მეუღლე ფათი.

ოლდა, დაიბადა 10 ოქტომბერს, მოინათლა 20 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები სტეფანე ელბიზდიყოს ძე ყუსევი და ლეზო გაგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები ნიკოლოზ ყალაგოვის მეუღლე თავისა (sic).

ნინო, დაიბადა 2 დეკემბერს, მოინათლა 13 დეკემბერს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ძიქო ბორყოს ძე ყუსევი და დისო სიმონის ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები **დავითა** ბიასლანის ძე კუძიევი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ აბანოს მცხოვრები ალექსანდრე ხეცას ძე ცაბოლოვი. 33 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ კობს მცხოვრები ვანკა ბიგანოვის ასული ნინო. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 10 იანვარს.

სასიძო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალექსანდრე მიშკას ძე ურთაევი. 15 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ძანალდი დაუროვის ასული მარინე. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 17 მაისს.

სასიძო, სოფელ ზემო დესს მცხოვრები გიორგი აბისლანის ძე ხამიცოვი. 15 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები ცორმან ქოქაევის ასული ანასტასია. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 17 მაისს.

სასიძო, სოფელ ზაყაგორს მცხოვრები ალექსი ყურმანის ძე ჩეთოევი (sic). 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, დუშეთის უეზდის სოფელ სოყურატის (sic) მცხოვრები დავით სოყუროვის ასული სიდონია. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 22 მაისს.

სასიძო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები ილია ბათრადის ძე ცალაგოვი. 19 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები ყანიყო ბერეზოვის ასული მატრონე (sic). 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 30 ივნისს.

სასიძო, დუშეთის უეზდის სოფელ თხილონს (sic) მცხოვრები ბათლომე (sic) თევდორეს ძე ხამიცოვი. 53. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ სვატისს მცხოვრები მიზაურბეგ ქაშაევის ასული **დარეჯან**. 35 წლის. მეორე ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 17 ივლისს.

სასიძო, სოფელ რესს მცხოვრები ნიკოლოზ ანდრიას ძე კუძიევი. 19 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ რესს მცხოვრები გარსო გაბულოვის ასული არადიამ (sic). 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ აბანოს მცხოვრები ეჩემ (sic) აბეს ძე ცაბოლოვი. 35. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები ცოფან ურთაევის ასული ანუსია. 23 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ბიდარას მცხოვრები სიმან (sic) თათას ძე ბოცუევი(sic). 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სვატისს მცხოვრები ანდრია ქაშაევის ასული სოფიო. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ალექსი ბიდიგას ძე ხამიცოვი. 19 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო დესს მცხოვრები ალექსანდრე ყირდაევის ასული მართა. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ლუარსან (sic) დუდას ძე თუაშვილი. 50 წლის. პირველი ქორწინება (sic). სასძლო, სოფელ სვატისს მცხოვრები ყაითიყო ბეკოევის ასული **ნინო**. 40 წლის. მეორე ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ აგაიანთს მცხოვრები ივანე ბიბოს ძე აგაევი. 27 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები ასაკო ბერეზოვის ასული ოლდა. 14 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

„დაიმარხნენ საზოგადო სასაფლაოზედა“.

ტეფს მცხოვრები ნიკოლოზ ყალაგოვის დედა აზავა გარდაიცვალა 7 იანვარს, დაიმარხა 8 იანვარს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თიაქრითა.

ზემო დესს მცხოვრები ცორე ხამიცოვი გარდაიცვალა 10 იანვარს, დაიმარხა 11 იანვარს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ამავე დესს მცხოვრები ბესთავ ყაზიევი გარდაიცვალა 13 იანვარს, დაიმარხა 14 იანვარს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თიაქრითა.

აბანოს მცხოვრები გიგოლ ცაბოლოვის დედა ქაქა გარდაიცვალა 15 იანვარს, დაიმარხა 16 იანვარს. 90 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

სვატისს მცხოვრები ყარასე ქაშაევის დედა უზდე გარდაიცვალა 20 იანვარს, დაიმარხა 21 იანვარს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ყარათყავს მცხოვრები გიტო ბულაცოვის მეუღლე მართა გარდაიცვალა 16 თებერვალს, დაიმარხა 17 თებერვალს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრათა.

ბურმასიგს მცხოვრები ებიყო თუავეი გარდაიცვალა 8 მარტს, დაიმარხა 9 მარტს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ცოცოლთას მცხოვრები ტილო დაუროვის რძალი მაზდა გარდაიცვალა 10 მარტს, დაიმარხა 11 მარტს. 90 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ცოცოლთას მცხოვრები ძიგა დაუროვის მეუღლე წახჩიზგა გარდაიცვალა 17 მარტს, დაიმარხა 18 მარტს. 85 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ყარათყავს მცხოვრები ადო ბულაცოვის ვაჟი შაქრო გარდაიცვალა 2 აპრილს, დაიმარხა 3 აპრილს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ბურმასიგს მცხოვრები ვასგე თუაშვილი გარდაიცვალა 28 ივნისს, დაიმარხა 29 ივნისს. 58 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრათ.

ჩეთირს მცხოვრები თასო ქოქავეი გარდაიცვალა 29 ივნისს, დაიმარხა 30 ივნისს. 23 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკით.

ბურმასიგს მცხოვრები ლუარსან თუავეის ვაჟი არტემა (sic) გარდაიცვალა 1 ივლისს, დაიმარხა 2 ივლისს. 18 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

აბანოს მცხოვრები ალექსანდრე ცაბოლოვის ვაჟი ნიკალაი (sic) გარდაიცვალა 8 აგვისტოს, დაიმარხა 9 აგვისტოს. 15 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკით.

აბანოს მცხოვრები ალექსანდრე ცაბოლოვი გარდაიცვალა 1 ოქტომბერს, დაიმარხა 3 ოქტომბერს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩიხოტკით.

სვატის მცხოვრები ერისტავა (sic) ქასავეი გარდაიცვალა 13 ოქტომბერს, დაიმარხა 14 ოქტომბერს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლითა.

რესს მცხოვრები დუდა ყუსევი(sic) გარდაიცვალა 20 დეკემბერს, დაიმარხა 21 დეკემბერს 53 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ჩეთირს მცხოვრები ზაურბეგ ქოქავეი გარდაიცვალა 23 დეკემბერს, დაიმარხა 24 დეკემბერს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყვავილით.

ბურმასიგს მცხოვრები ეფრე თუავეი გარდაიცვალა 27 დეკემბერს, დაიმარხა 28 დეკემბერს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №19

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს, აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის

ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1889 წელი

მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი - ნ.შ.], პრიჩეტნიკი ათანასე გონგაძე

დაბადებულთათვის

ვლადიმერი, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 10 იანვარს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები **სანდრო** ფარსეს ძე კუმალაგოვი და იმანყიზ ბაბანას ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები კაფი ბუციკას ძე დანთიევი.

გაბრიელი, დაიბადა 5 იანვარს, მოინათლა 12 იანვარს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები მახატა ბადის ძე ცაბოლოვი და ქიქო ბაგუს ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები ელდარყო ყარმანის ძე ჩეთოევი.

სიმონი, დაიბადა 10 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ ზაყაგორს მცხოვრები სერგო ბიძის ძე ჩეთოევი და სალომე თოთას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ძახო ბესპიპარის ძე ცაბოლოვი.

სალომე, დაიბადა 10 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები **ლევანი** ძახის ძე ცაბოლოვი და აზავა ელძარყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები გაპო **ლევანის** ძე ბიზიკოვი.

პელაგია, დაიბადა 11 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: ამავე სოფელს მცხოვრები ძაგო **ლევანის** ძე ცაბოლოვი და გოსე ბირთანის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები გუთაზ გუდიევის მქვრივი (sic) **ბაბაღე**.

პავლე, დაიბადა 11 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ვანო ქუცირის ძე ცაბოლოვი და გიგია (sic) ბერდის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები გაპო **ლევანის** ძე ბიზიკოვი.

კოსტანტინე, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 8 თებერვალს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები იაგორ თოთრაძის ძე ბერეუზოვი და გუბლე (sic) ვასგეს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები გრიგოლ სიმანის ძე ბოცუევი.

გიორგი, დაიბადა 10 თებერვალს, მოინათლა 19 თებერვალს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები გრიგოლ თუდანის ძე ცაბოლოვი და ჩენძე მირმანიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატის მცხოვრები ყარასე ბაითუდანის ძე ქაშაევი.

ნინო, დაიბადა 12 თებერვალს, მოინათლა 28 თებერვალს. მშობლები: სოფელ სვატისში მცხოვრები ასიბეგ დუდას ძე ქასაევი და მართა ბიდის ასული. მიმრქმელი – აბანოს მღვდელი ზაქარია პეტრიევი.

ალექსანდრე, მოინათლა 12 აპრილს, 4 თვის. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები არიშხან (sic) დიდოს ძე ყალაგოვი და **დარიკო** თოთრაძის ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები თოთიკ ყალაგოვის ასული ყიზმიდე.

იაგორი, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 9 მაისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ქისილი ფრანგის ძე ურთაევი და ელისაბედ იბაყის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ცორე კუმალაკოვის მეუღლე მელექა.

ნიკოლოზი, დაიბადა 8 მაისს, მოინათლა 16 მაისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ვანკა ბაბანას ძე ბულაცოვი და ნატალია ყურდაბერდის ასული. სოფელ ბარზს (sic) მცხოვრები ალექსი ყურმანის ძე ჩეთოევი.

ექვთიმე, მოინათლა 16 მაისს, 7 თვის. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალექსანდრე თამსარიყოს ძე ბულაცოვი და ნადია ივანეს ასული. მიმრქმელი – მღვდელი ზაქარია პეტრიევი.

პელაგია, მოინათლა 17 მაისს, 5 თვის. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ადამა გუდას ძე ქოქაევი და გოსე მანის ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის სოფელ რცხინვალს (sic) მცხოვრები მიხეილ ივანეს ძე მილდისოვი.

ალექსანდრე, დაიბადა 9 მაისს, მოინათლა 17 მაისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები სისლამ ქუცირის ძე ქოქაევი და ნატალია ცოფანის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალექსანდრე გაგის ძე ურთაევი.

ბესარიონი, დაიბადა 15 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ციცკა ზაბეს ძე ბერეუზოვი და **ნინო** ნინიას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობს მცხოვრები ვანკა ალექსის ძე მისოსტოვი.

სტეფანე, დაიბადა 13 ივნისს, მოინათლა 13 ივნისს (sic). მშობლები: სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ციცკა ბიძიგას ძე ხამიგოვი და **დარეჯან** ფის ასული, მიმრქმელი – სოფელ ზემო დესს მცხოვრები იორდან თათაროვის მეუღლე **ნინო**.

ლაზარე, დაიბადა 12 ივნისს, მოინათლა 20 ივნისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები თოთიკ ფარნაზის ძე ქოქაევი და ლიზა ვასგეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანს მცხოვრები პავლე ზაურბეგის ძე მაკაევი.

ნიკოლოზი, დაიბადა 10 ივნისს, მოინათლა 20 ივნისს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები დავით ებილზდიყოს ძე თუაევი და დისო ქარჩის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები გიგო ბიძის ძე ჩეთოევი.

სიმონ, დაიბადა 1 აგვისტოს, მოინათლა 10 აგვისტოს. მშობლები: სოფელ სვატისს მცხოვრები კლიც ადიჯეს ძე ქაშაევი და ყიზი ბათიბას ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატისს მცხოვრები აციმეზ ქაშაევის მეუღლე ლიზა.

ილია, დაიბადა 13 აგვისტოს, მოინათლა 30 აგვისტოს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები მიხეილ ბაიმეთის ძე ყუსევი და **თამარ** თოთრიბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ სივირავს მცხოვრები გიორგი ალიკის ძე ყალაგოვი.

ნინო, დაიბადა 3 სექტემბერს, მოინათლა 13 სექტემბერს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები გუდის (sic) ჩუშკას (sic) ძე გაბულოვი და ფალე ზაურბეგის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები იორდან საბანის ძე ძაკაევი.

კოსტანტინე, დაიბადა 17 სექტემბერს, მოინათლა 30 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები **ერისტავ** (sic) ბიასლანის ძე ყალაგოვი და მართა ვანეზის ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები არტომ ყალაგოვის მეუღლე **თამარა**.

კოსტანტინე, დაიბადა 1 ნოემბერს, მოინათლა 9 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ბადი ბიციკოს ძე ძანთიევი და ბარბარე ძიბოს ასული. მიმრქმელი – აბანოს მღვდელი პეტრიევი.

სალომე, დაიბადა 3 ნოემბერს, მოინათლა 11 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები თაშიყო დოგის ძე მაკაევი და აფინე დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები გაპო **ლევანის** ძე ბიზიკოვი.

ანუსია, დაიბადა 8 ნოემბერს, მოინათლა 18 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები აფაყო დიდოს ძე დაუროვი (sic) და კატი ყუდაბერდის ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები კოდო ძანთიევის მეუღლე ტასია.

ზაქარია, დაიბადა 12 ნოემბერს, მოინათლა 30 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები დოლეთმირზე ბოლათის ძე მაკაევი და დოგი თაზირეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები მიხეილ ფის ძე თუაევი.

მიხეილი, დაიბადა 1 დეკემბერს, მოინათლა 8 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ბარზს (sic) მცხოვრები გასო გიბითის ძე ჩეთოევი და პელაგია ბარანის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატისს მცხოვრები თოთრიბეგ ბიზეს ძე ქაშაევი.

ივანე, დაიბადა 3 დეკემბერს, მოინათლა 13 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ნიკოლოზ **ფარნაოზის** ძე ქოქაევი და ალხატის¹. მიმრქმელი – აბანოს მღვდელი პეტრიევი.

ნიკოლოზი, დაიბადა 10 დეკემბერს, მოინათლა 20 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ყასპოლ ბუბულას ძე ქაშაევი და აფინე ცოფანის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ალექსანდრე ხეცას ძე ცაბოლოვი.

იობა, დაიბადა 7 დეკემბერს, მოინათლა 20 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ძიბო ბაზირის ძე ქოქაევი და ტასია თოთრაძის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ვანო ქუცირის ძე ცაბოლოვი.

¹ დედის სახელი არ წერია.

სიმონი, დაიბადა 17 დეკემბერს, მოინათლა 28 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრებ ისმაილ ჩეთოევის მქვრივს მარინეს შეეძინა უკანონო ვაჟი.¹

სიდონია, დაიბადა 18 დეკემბერს, მოინათლა 29 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ციცკა თოთოს ძე ქოქაევი და მარინე რამინის ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები ქუდი ხალაგოვის ასული დანა.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, გორის უეზდის სოფელ ხიძშიდ (sic) მცხოვრები ალექსანდრე გისის ძე გელიშვილი. 19 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქვემო დესს მცხოვრები სილა მირქაშვილის ასული პელაგია. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 19 სექტემბერს.

სასიძო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები გიორგი არაგეს (sic) ძე ქოქაევი. 19 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები თემსრიყო ბოცუევის ასული ელუკია (sic). 17 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 24 სექტემბერს.

სასიძო, სოფელ ყარათყავას (sic) მცხოვრები ივანე დუდარყოს ძე ურთაევი. 30 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარაში მცხოვრები სიმან (sic) ბოცუევის ასული სალომე. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 6 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ გიმარას მცხოვრები გრიგოლ მაცკას ძე ბერეზოვი. 29 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქვემო დესს მცხოვრები თოთა ხამიცოვის ასული დარიკო. 14 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 6 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ყარათყავას მცხოვრები ალექსანდრე თებრიყოს ძე კუმალაგოვი. 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სვატისს მცხოვრები ცალიკა სამბეგოვის ასული ბარბარე. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 8 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ რესს მცხოვრები გიორგი საბანის ძე ძაქაევი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ რესს მცხოვრები პეტრე ყუსევის ასული ლიუზიდა (sic). 17 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 8 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ აგაიანოს მცხოვრები გიორგი ბიგას ძე აგაევი. 17 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები დიმიდო (sic) ქოქაევის ასული ეკატერინე. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 14 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ უხათში მცხოვრები ივანე იორდანეს ძე ბათაევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ყარათყავას მცხოვრები თამასრიყ ბულაცოვის ასული მართა. 24 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 14 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

„დაიმარხნენ საზოგადო სასაფალოზედ.“²

ბურმასიგს მცხოვრები ივანე თუაევის ვაჟი ალექსი გარდაიცვალა 14 აპრილს, დაიმარხა 15 აპრილს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

რესს მცხოვრები გუდის გაბულოვის მქვრივი გიგი გარდაიცვალა 3 აპრილს, დაიმარხა 4 აპრილს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ჩეთირს მცხოვრები ასლინბეგ ქაშაევის ვაჟი იობა გარდაიცვალა 26 ივნისს, დაიმარხა 27 ივნისს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

ყარათყავას მცხოვრები ბაჟი ბულაცოვი გარდაიცვალა 8 ივლისს, დაიმარხა 9 ივლისს. 58 წლის. გარდაცვალების მიზეზი – კლდეზე გადავარდა.

¹ მიმრქმელი არ წერია.

² გარდაცვალებულთა გრაფა არასრული უნდა იყოს, აღრიცხვა იწყება აპრილის თვიდან.

რეს მცხოვრები იორდანე ძაკაევის მეუღლე ფათი გარდაიცვალა 7 აგვისტოს, დაიმარხა 8 აგვისტოს. 23 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ძეობით.

ცოცოლთას მცხოვრები სიმან დაუროვის ქალი მარიამ გარდაიცვალა 8 აგვისტოს, დაიმარხა 9 აგვისტოს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

სავატის მცხოვრები ალექსანდრე სამბეგოვი გარდაიცვალა 10 აგვისტოს, დაიმარხა 11 აგვისტოს. 23 წლის. გარდაცვალების მიზეზი – კაცის ხელით.

აბანოს მცხოვრები ხასიყო ცაბოლოვის ქალი მარინე გარდაიცვალა 8 სექტემბერს, დაიმარხა 9 სექტემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ცოცოლთას მცხოვრები აფაყო დაუროვი გარდაიცვალა 28 ოქტომბერს, დაიმარხა 29 ოქტომბერს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – კლდეზე გადავარდა.

გიმარას მცხოვრები გიორგი ბერეშოვი გარდაიცვალა 3 ნოემბერს, დაიმარხა 4 ნოემბერს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ყარათყავში მცხოვრები ღურმიშხან ურთაევი გარდაიცვალა 18 ნოემბერს, დაიმარხა 19 ნოემბერს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ტეფს მცხოვრები დგუდე ყალაგოვის დედა დედუ გარდაიცვალა 20 ნოემბერს, დაიმარხა 21 ნოემბერს. 90 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

აბანოში მცხოვრები **გლახა** ყარაევის მეუღლე ზალი გარდაიცვალა 23 ნოემბერს, დაიმარხა 24 ნოემბერს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ჩეთირს მცხოვრები ანდრია ქოქაევის ქალი ნატალია გარდაიცვალა 29 ნოემბერს, დაიმარხა 30 ნოემბერს 6 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ყარათყავს მცხოვრები ცობაყ ბულაცოვის ქალი მარიამ გარდაიცვალა 1 დეკემბერს, დაიმარხა 2 დეკემბერს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

აბანოს მცხოვრები ფაცა ყარაევის მეუღლე სოფიო გარდაიცვალა 10 დეკემბერს, დაიმარხა 12 დეკემბერს. 46 წლის.¹

აბანოს მცხოვრები ვანო ყარაევის ქვრივი ანა გარდაიცვალა 12 დეკემბერს, დაიმარხა 13 დეკემბერს. 67 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ყარათყავს მცხოვრები ბასილ ქალოევის ვაჟი გაბრიელი გარდაიცვალა 14 დეკემბერს, დაიმარხა 15 დეკემბერს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

სვატის მცხოვრები ცორე ქაშაევის ქალი **ნინო** გარდაიცვალა 18 დეკემბერს, დაიმარხა 19 დეკემბერს. 8 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №20

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს, აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის

ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1890 წელი

**მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი - ნ.შ.], პრიჩეტნიკი ათანასე გონგაძე
დაბადებულთათვის**

პეტრე, დაიბადა 4 იანვარს, მოინათლა 12 იანვარს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები სოსლინბეგ **გლახას** ძე ცაბოლოვი და ქალინა ყუდაბერდის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები მუსე ბიზიკოვის მეუღლე თამარა.

¹ გარდაცვალების მიზეზი არ წერია.

დარია, დაიბადა 13 იანვარს, მოინათლა 24 იანვარს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ცომაყა(?) იბაყის (sic) ძე ბულაცოვი და **თეკლე** დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები თათარყან ურთაევის მეუღლე ეკატერინე.

დიმიტრი, დაიბადა 8 თებერვალს, მოინათლა 20 თებერვალს. მშობლები: სოფელ სვაატისს (sic) მცხოვრები იორდან ძიძეს ძე სამბეგოვი და ნაღდისე ფის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები **ლევან** ძახის ძე ცაბოლოვი.

ნინო, დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 10 მარტს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები მიხელ (sic) ქუცირის ძე ცაბოლოვი და სალომე გუდეს ასული. მიმრქმელი – ქ. ვლადიკავკავს მცხოვრები ბაბო (sic) ისმაილის ძე ბიდაროვი.

ზაქარია, დაიბადა 8 მარტს, მოინათლა 18 მარტს. მშობლები: სოფელ სვატის (sic) მცხოვრები ცოფან ვაზგერის ძე ქაშაევი და მანი საბის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატის მცხოვრები ალექსანდრე ნინოს (sic) ძე ბაციევი.

გაბრიელი, დაიბადა 6 მარტს, მოინათლა 18 მარტს. მშობლები: სოფელ სვაატისს მცხოვრები ვანა დავითის ძე ქაშაევი და ნენე ძურის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ასიბეგ დუდას ძე ქაშაევი.

ივანე, დაიბადა 16 მარტს, მოინათლა 30 მარტს. მშობლები: სოფელ სვატისს(sic) მცხოვრები ალექსანდრე ნალიყის ძე სამბეგოვი და მარიკო (sic) მიხეილის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატის (sic) მცხოვრები ბესე ელოევის მეუღლე ყიზმიდე.

გიორგი, დაიბადა 1 აპრილს, მოინათლა 8 აპრილს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ანდრია ქუცირის ძე ქოქაევი და ამინეთ თოთის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო დესს მცხოვრები ყასპოლ დუდას ძე ყარადაევი.

ზინობია (sic), დაიბადა 2 აპრილს, მოინათლა 9 აპრილს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები იაგორ ქუცრის ძე ქოქაევი და მარინე სილას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ვანკა ნონის ძე ცაბოლოვი.

ალექსი, დაიბადა 2 აპრილს, მოინათლა 9 აპრილს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები სიმან ძიგვის ძე ცალაგოვი და სახთი თოთრადის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ვანკა ნანოს ძე ცაბოლოვი.

ნიკოლოზი, დაიბადა 3 აპრილს, მოინათლა 10 აპრილს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ასლინბეგ დავითის ძე ქაშაევი და **მაია** ფარსეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოგყაუს მცხოვრები გაუს ულიცის ძე აგაევი.

ნინო, დაიბადა 5 აპრილს, მოინათლა 13 აპრილს. მშობლები: სოფელ სივირავს (sic) მცხოვრები თომა ალიკის ძე ყალაგოვი და დისო ცორეს ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები ბადი თვირეს (sic) ძე ყუსევი.

ელისაბედი, დაიბადა 7 აპრილს, მოინათლა 16 აპრილს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ბათრამა ასხმეთის ძე ბოცუევი და ნადისე თემრიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ფაფი ბოცუევის მეუღლე დაჩე.

სიდონია, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 20 აპრილს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ალექსანდრე ძანაღდის ძე დაუროვი და მელექ ელბიზდიყოს ასული. მიმრქმელი – ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ ზაყას მცხოვრები ყუბადი ინუსის ძე აბაევი.

მიხეილი, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 10 მაისს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები ალექსანდრე საბას ძე ხამიცოვი და ძიგი ფას ასული. მიმრქმელი – ამავე დესს მცხოვრები მახამეთ დუდარის ძე ყორდაევი.

ხარიტონი, დაიბადა 8 მაისს, მოინათლა 18 მაისს. მშობლები: სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ბეძიგო ბაიმეთის ძე მირქაშვილი (sic) და სალიმეთ ყანდყის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო დესს მცხოვრები მახამეთ დუდას ძე ყირღაევი.

ივანე, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 12 მაისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები დიმიტრი საბანას ძე ცაბოლოვი და მარიამ ანდრიას ასული. მიმრქმელი – აბანოს ეკლესიის მღვდელი ზაქარია პეტრიევი.

დიმიტრი, დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 29 მაისს. მშობლები: ამავე სოფელს მცხოვრები ნიკოლოზ მაცკას ძე ცაბოლოვი და დედუ ბიძიკას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები გაუს გუდიევის მეუღლე გუთაზა.

ვასილი, მოინათლა 3 ივნისს, 3 თვის. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ვანკა ნანოს ძე ცაბოლოვი და კატინე (sic) ლუარსანის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები ალექსი ყურმანის ძე ჩეთოევი.

ისაკი, დაიბადა 3 ივნისს, მოინათლა 12 ივნისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ზაქარია გოგოს ძე ბიზიკოვი და დედოფალ ქიციკის ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები ალექსანდრე მიხეილის ძე ყალაგოვი.

მარიამი, დაიბადა 5 ივნისს, მოინათლა 10 ივნისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ხასაყო აბას ძე ცაბოლოვი და დარიკო ძიგოს ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები აფაყო საპიევის მეუღლე სახთი.

სიმონი, დაიბადა 1 ივლისს, მოინათლა 10 ივლისს. მშობლები: სოფელ სვატისს (sic) მცხოვრები ყულადარ ქურმანის ძე ელოშვილი და თეკლე რაჟდენის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატისს მცხოვრები ხავსი გუძეს ძე ქაშაევი.

მაშო, დაიბადა 8 ოქტომბერს, მოინათლა 18 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები სოსლან ყუდაინათის ძე ყაზიევი და მართა სანდროს ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო დესს მცხოვრები თაფსიყო ხამიცოვის მეუღლე ყიზმიდე.

ნესტორი, დაიბადა 10 ნოემბერს, მოინათლა 22 ნოემბერს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ზაურბეგ გაძის ძე ბერეზოვი და ნატალია ნაურეზის ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები ზაურბეგ ძაძას ძე ყალაგოვი.

დიმიტრი, დაიბადა 12 ნოემბერს, მოინათლა 30 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ტილო (sic) ცორეს ძე დაუროვი და სოფიო ცორეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები თათარყან დუდარყოს ძე ურთაევი.

ეკატერინე, დაიბადა 16 დეკემბერს, მოინათლა 30 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ბიმბოლ დოღეთმირზას ძე ბულაცოვი და ნინო ზაბეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები მათე ბულაცოვის მეუღლე თეკლე.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, დუშეთის უეზდის სოფელ ფერზეთს (sic) მცხოვრები ალექსი გიორგის ძე ძიგოშვილი. 45 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები ქუცია ბოცუევის ასული გიგი (sic). 30 წლის. მეორე ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 26 აპრილს.

სასიძო, სოფელ სვატისს მცხოვრები მიხეილ ძიძეს ძე სამბეგოვი. 26 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ქვემო დესს მცხოვრები მიშკა თათაროვის დისწული ყიზმიდე. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 მაისს.

სასიძო, სოფელ სვატისს მცხოვრები გრიგოლ ცალიკის ძე სამბეგოვი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ბადი ძანთიევის ასული სიდონია. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ოქროყანას მცხოვრები დიმიტრი გიშის ძე ბიდიხოვი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სვატის მცხოვრები გული ელოევის ასული მარიამ. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ბურმასიგს მცხოვრები დიმიტრი ფის ძე თუავეი. 30 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები თასი მაკაევის ასული მარინე. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები სოლომან ცოფანის ძე ურთავეი. 32 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები აფატო დაუროვის ასული სოფიო. 17 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ უხათს მცხოვრები ვანკა აბეს ძე ცაბოლოვი. 30 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები თამსრიყ ცალაგოვის ასული სოფიო. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

„დასაფლავდნენ საზოგადო სასაფლაოზე“.

ჩეთირს მცხოვრები ბისო ქოქაევის მეუღლე **თინათინი** (sic) გარდაიცვალა 3 იანვარს, დაიმარხა 4 იანვარს. 25 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ყარათყავს მცხოვრები ღურმიშხან ურათევის მეუღლე გოსა გარდაიცვალა 8 იანვარს, დაიმარხა 9 იანვარს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

რესს მცხოვრები ვასგე ყუსევის დედა **ბაბალე** გარდაიცვალა 13 იანვარს, დაიმარხა 14 იანვარს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ტეფს მცხოვრები ცორე ყალაგოვის მეუღლე ძან გარდაიცვალა 15 იანვარს, დაიმარხა 16 იანვარს. 65 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

რესს მცხოვრები ძიქო ყუსევის ქალი **ნინო** გარდაიცვალა 3 თებერვალს, დაიმარხა 4 თებერვალს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

გიმარას მცხოვრები ძანასპი ბერეზოვის ქალი¹. გარდაიცვალა 5 თებერვალს, დაიმარხა 7 თებერვალს. 20 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ბურმასიგს მცხოვრები **გლახა** თუაევის ქალი **ნინო** გარდაიცვალა 19 თებერვალს, დაიმარხა 20 თებერვალს. 7 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ჩეთირს მცხოვრები გასე ქოქაევის მეუღლე შიკა გარდაიცვალა 5 მარტს, დაიმარხა 6 მარტს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხუნაგითა.

გიმარას მცხოვრები ბათრამა ბოცუევის ქალი **ნინო** გარდაიცვალა 17 მარტს, დაიმარხა 18 მარტს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

სვატის მცხოვრები იორდან სამბეგოვის რძალი ქიქო გარდაიცვალა 18 მარტს, დაიმარხა 19 მარტს. 48 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

სვატის მცხოვრები ოგი (sic) თურბეგოვი გარდაიცვალა 24 აპრილს, დაიმარხა 25 აპრილს. 22 წლის. გარდაცვალების მიზეზი – კაცის ხელით.

ჩეთირს მცხოვრები ანდრია ქოქაევის მეუღლე ამანეთ (sic) გარდაიცვალა 27 აპრილს, დაიმარხა 28 აპრილს. 25 წლის².

ყარათყავს მცხოვრები ბადულ ურთავეი გარდაიცვალა 15 მაისს, დაიმარხა 16 მაისს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

¹ სახელი არ წერია.

² გარდაცვალების მიზეზი არ წერია.

ჩეთირს მცხოვრები გობი ქაშაევის მეუღლე ელენე გარდაიცვალა 18 ივნისს, დაიმარხა 19 ივნისს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრით.

აბანოს მცხოვრები ალექსანდრე ცაბოლოვის დედა ძაკა გარდაიცვალა 22 ივნისს, დაიმარხა 23 ივნისს. 49 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ჩეთირს მცხოვრები სოსლან ქოქაევის ძმისწული სტეფანე გარდაიცვალა 2 სექტემბერს, დაიმარხა 3 სექტემბერს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელათი.

ჩეთირს მცხოვრები ასლინბეგ ბაირის ძე ქოქაევი გარდაიცვალა 25 სექტემბერს, დაიმარხა 26 სექტემბერს. 13 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქვის დარტყმით (sic).

ჩეთირს მცხოვრები ალექსი ზაურბეგის ძე ქოქაევი გარდაიცვალა 28 სექტემბერს, დაიმარხა 29 სექტემბერს. 14 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ტეფს მცხოვრები გუდე ყალაგოვის რძალი **დარეჯან** გარდაიცვალა 17 ოქტომბერს, დაიმარხა 18 ოქტომბერს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თიაქრით.

ქვემო დესს მცხოვრები ციცკა ხამიცოვი გარდაიცვალა 28 ოქტომბერს, დაიმარხა 29 ოქტომბერს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ჯიმარას (sic) მცხოვრები დანასპი ბერეზოვის შვილის შვილი იოსებ გარდაიცვალა 1 დეკემბერს, დაიმარხა 2 დეკემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ცოცოლთას მცხოვრები დავით ბულაგოვის დედა **დარეჯან** გარდაიცვალა 4 დეკემბერს, დაიმარხა 5 დეკემბერს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

სვატისს მცხოვრები ცორე ქაშაევის ვაჟი ბაგრათი გარდაიცვალა 18 დეკემბერს, დაიმარხა 19 დეკემბერს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ჩეთირს მცხოვრები სოსლინბეგ ქოქაევის მეუღლე ლიზა გარდაიცვალა 26 დეკემბერს, დაიმარხა 27 დეკემბერს. 26 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ძეობით.

აბანოს მცხოვრები ნოქ (sic) ბიზიკოვი გარდაიცვალა 29 დეკემბერს, დაიმარხა 30 დეკემბერს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №21

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს, აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის

ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1891 წელი

მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი - ნ.მ.], პრიჩეტნიკი ათანასე გონგაძე

დაბადებულთათვის

სვიმონი, დაიბადა 2 იანვარს, მოინათლა 11 იანვარს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ალინბეგ ყასპოლის ძე ქალმანოვი და ყიზმიდე ოსმანის ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები ნინო ბუტე (sic) კუძიევის ასული.

ოლდა, დაიბადა 9 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ხასაყო ასიკოს ძე ბერეზოვი და აგაფია ძანალდის ასული. მიმრქმელი – აბანო მღვდელი ზაქარია პეტრიევი.

სალომე, დაიბადა 12 იანვარს, მოინათლა 25 იანვარს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები გიგოლ ფრანგის ძე ბოცუევი და ქოშერხან ასაკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ხამეტყან დავითის ძე ბერეზოვი.

სვიმონი, დაიბადა 12 იანვარს, მოინათლა 25 იანვარს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები იორდანე ყავდინის ძე ბერეზოვი და აფინე თოთიკას ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ქუძიგუს ბოცუევის მეუღლე მაგდან.

ესტატე, დაიბადა 18 იანვარს, მოინათლა 31 იანვარს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები სიმონ ძალდის ძე ძანთიევი და სალი ძიდის ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ხასაყო ბადილას ძე ბულაცოვი.

გაბრიელი, დაიბადა 18 იანვარს, მოინათლა 30 იანვარს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ყირიმსოლთან (sic) ჩოფანის ძე ქოქაევი და ნალდის გაგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები ზაბე ჩეთოევის მეუღლე ძუთხან.

სიმონი, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 8 თებერვალს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ძატე ძიგვის ძე ცალაგოვი და მარიწე ინარიყოს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ზაურბეგ ქოქაევის მეუღლე სახარ.

ნიკოლოზ, დაიბადა 9 თებერვალს, მოინათლა 15 თებერვალს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები სიმონ ელმიტზას ძე ბოცუევი და ნინო გულუს ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ძაგო ძახის ძე ცაბოლოვი.

სვიმონი, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 15 თებერვალს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ყაურბეგ თათალოს ძე ყალაგოვი და ნატალია ზაბეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ვასილი ამხეთას ძე ბულაცოვი.

ლაზარე, დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 10 მარტს. მშობლები, სოფელ ტეფს მცხოვრები მიტკა ზაბეს ძე ყალაგოვი და ანა ქოფას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები მიტკა საბანის ძე ცაბოლოვი.

ვლადიმერი, დაიბადა 12 მარტს, მოინათლა 20 მარტს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალექსანდრე გაგის ძე ურთაევი და სალიმეთ განძივის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ვანკა ბულაცოვის მეუღლე ნატო.

დიმიტრი, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 10 მაისს. მშობლები: სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ციცკა ბიძიგას ძე ხამიცოვი და დარეჯან ფის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო დესს მცხოვრები იორდან ხათის ძე თათაროვი.

ვანკა, დაიბადა 8 მაისს, მოინათლა 18 მაისს. მშობლები, სოფელ ტეფს მცხოვრები მიხეილ თოთრაძის ძე ყალაგოვი და სოფიო ძიგვის ასული. მიმრქმელი – სოფელ გორისციხეს მცხოვრები ლევანა გიორგის ძე ვაბჯინოვი (sic) [ავსაჯანიშვილი].

სალომე, დაიბადა 12 მაისს, მოინათლა 20 მაისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები გიორგი გიმელის ძე ყალაგოვი და სახარ სანდრის ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები თოთრიყ ყალაგოვის მეუღლე სახარ.

ლაზარე, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 8 ივნისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები თოთრიკ გუგუს ძე ბოცუევი და პელო მიხეილის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები სოსლინბეგ გუდიევის დედა გუთაზა.

სვიმონი, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 10 ივნისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები იაგორ თოთრაძის ძე ბერეზოვი და გუბლე (sic) ვასგეს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები გაპო სიმანის (sic) ძე ბოცუევი.

ნესტორი, დაიბადა 5 ივნისს, მოინათლა 15 ივნისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ალექსანდრე დავითის ძე ბერეზოვი და მაშინკა თოემრიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ხასაყო ბერეზოვის მეუღლე ოლდა.

თეკლე, დაიბადა 6 ივნისს, მოინათლა 18 ივნისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ვანო ქუცირის ძე ცაბოლოვი და გიგა ბერდის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები გაპო ლევანის ძე ბიზიკოვი.

ბარბარე, დაიბადა 10 ივნისს, მოინათლა 20 ივნისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ქუდი ჩერმენის ძე ცალაგოვი და დან თოთრაძის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ივანე ელმიტზას ძე ბულაცოვი.

სოლომან, დაიბადა 10 ივნისს, მოინათლა 20 ივნისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები გაგი ბგის ძე ქაშაევი და ცაცა დიდოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები გიტო ელმირზას ძე ბულაცოვი.

ნიკოლოზი, დაიბადა 12 ივნისს, მოინათლა 23 ივნისს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები მახამეთ დუდას ძე ყირდაევი და ავინე თემურაზის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები სერგო ბიძის ძე ჩეთოევი.

მართა, დაიბადა 12 ივნისს, მოინათლა 23 ივნისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ცორმან თოთრაძის ძე ქოქაევი და **დედუფალ** ყურდაბერდის ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები ლუარსან (sic) გუდას ძე ქოქაევი.

სვიმონი, დაიბადა 15 ივნისს, მოინათლა 30 ივნისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები თოთიკ **ფარნაოზის** ძე ქოქაევი და ლეზო ვასგეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანს მცხოვრები პავლე ზაურბეგის ძე ძაკაევი.

სოფიო, დაიბადა 13 ივლისს, მოინათლა 25 ივლისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები **სანდრო** ფარსას ძე კუმალაგოვი და იმანყის საბანას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები მარიამ გაგის ძე ურთაევი.

კოსტანტინე, დაიბადა 8 აგვისტოს, მოინათლა 18 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალექსანდრე თამსრიყოს ძე ბულაცოვი და ნადია ივანეს ასული. მიმრქმელი – აბანოს სამრევლოს მღვდელი ზაქარია პეტრიევი.

სერგო, დაიბადა 20 აგვისტოს, მოინათლა 30 აგვისტოს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები გრიგოლ თურანის ძე ცაბლოვი და ელისაბედ მაირამიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები დუდარა ცაბოლოვის მეუღლე ელენე.

დიმიტრი, დაიბადა 8 სექტემბერს, მოინათლა 20 სექტემბერს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ვანო ოსმანის ძე ყარაევი და სახარ დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები **ლევან** ძახის ძე ცაბოლოვი.

პეტრე, დაიბადა 1 ოქტომბერს, მოინათლა 9 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ნიკოლოზ მაცკას ძე ცაბოლოვი და დედუ ბიძიგას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები გაგი გახას ძე ყარაევი.

დიმიტრი, დაიბადა 10 ოქტომბერს, მოინათლა 23 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ძაგო ძახის ძე ცაბოლოვი და გოსე ბირთანის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები სოსლინბეგ გუდიევის დედა გუთაზა.

სოლომან, დაიბადა 1 ნოემბერს, მოინათლა 15 ნოემბერს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ძარახ სოსხის ძე ყუსეშვილი და სახთი ბაიმეთის ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები ვანო გაუსის ძე კუძიევი.

თეკლე, დაიბადა 25 ნოემბერს, მოინათლა 30 ნოემბერს. მშობლები: სოფელ სივირავს მცხოვრები გიორგი ალიკის ძე ყალაგოვი და მაგდან დანასპის ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები ბუტუ კუძიევის ქალი **ნინო**.

მიხეილი, დაიბადა 9 დეკემბერს, მოინათლა 20 დეკემბერს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები გიწილ ქუციკის ძე ბოცუევი და სალომე ქუციკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ხასაყო ასიკოს ძე ბერეზოვი.

სიდონია, დაიბადა 12 დეკემბერს, მოინათლა 29 დეკემბერს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ვანკა გოგიას ძე ბერეშოვი და ჩაბე კუცირის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები მახამეთ ბერეშოვის მეუღლე აზავა.

გიორგი, დაიბადა 12 დეკემბერს, მოინათლა 29 დეკემბერს. მშობლები: სოფელ სვატისს მცხოვრები ნიკა (sic) აბრეგის ძე ქაშავეი და ცოფრიხან ციპუს ასული. მიმრქმელი – ღუშეთს მცხოვრები გაბო მატეს ძე თოფრაკოვი.

ნესტორი, დაიბადა 13 დეკემბერს, მოინათლა 29 დეკემბერს. მშობლები: სოფელ სვატისს მცხოვრები ყარასე ბაიუთაღის ძე ქაშავეი და ლიზო (sic) ბაირის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ასიბეგ ღუდას ძე ქაშავეი.

სტეფანე, დაიბადა 14 დეკემბერს, მოინათლა 30 დეკემბერს. მშობლები: სოფელ სვაატისს მცხოვრები მოსე თოტრიბეგის ძე ქაშავეი და მარინე როსეს ასულ. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ბეზა (sic) გულის ძე ელოევი.

ნატალია, დაიბადა 15 დეკემბერს, მოინათლა 30 დეკემბერს. მშობლები: სოფელ სვაატისს მცხოვრები იაგორ ყავდინის ძე ქაშავეი და ბაბიზა გახას ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატისს მცხოვრები ვასილი თურბეგოვის მეუღლე სალომე.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ გიმარას მცხოვრები ალექსანდრე სიმონის ძე ბოცუევი. 24 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები ზაურბეგ ურთაევის ასული თექლე. 14 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 19 თებერვალს.

სასიძო, სოფელ ტეფს მცხოვრები სერგო სოლიკის ძე ყალაგოვი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სვატისს მცხოვრები ქაქნი (sic) თუსბეგოვის ასულ ნატალია. 14 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 19 თებერვალს.

სასიძო, გორის უეზდის სოფელ ერემანს (sic) მცხოვრები ამზორ ათანასეს ძე განიკოვი. 26 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო დესს მცხოვრები თოთიკ ყაზიევის ასული.¹

სასიძო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები თევდორე ზაურბეგის ძე ქაშავეი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო დესს მცხოვრები ბარან სავმიწოვის ასული ნატალია. 16 წლის. პირველი ქორწინება.

სასიძო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები სოლომან ელმირზას ძე ქოქავეი. 32 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო დესს მცხოვრები ბაჩან (sic) სავძაწოვის (sic) ასული სოფიო. 14 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, გორის უეზდის სოფელ შუა ერემანს (sic) მცხოვრები ბიბო ყულადარის ძე ხამიგოვი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ღუდა ძანთიევის ასული სალომე. 23 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ბურმასიგს მცხოვრები გაბრიელ ფის ძე თუაშვილი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები ქუძი ხადაგოვის ასული ზინობია. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

„დაიმარხნენ საზოგადო სასაფლაოზედ.“

აბანოს მცხოვრები მაცკა ცაბოლოვი გარდაიცვალა 5 იანვარს, დაიმარხა 6 იანვარს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

¹ სასძლოს სახელი, ასაკი და ჯვრისწერის რიცხვი არ წერია.

ჩეთირს მცხოვრები ალექსანდრე ბატრაძის ძე ცალაგოვი გარდაიცვალა 10 იანვარს, დაიმარხა 11 იანვარს. 14 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ბუასილით.

ზემო დესს მცხოვრები გეძა სავძაწოვი გარდაიცვალა 25 იანვარს, დაიმარხა 26 იანვარს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ჩეთირს მცხოვრები თოთრამ ქაშაევი გარდაიცვალა 27 იანვარს, დაიმარხა 28 იანვარს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

გიმარას მცხოვრები ელბიზდიყო ბოცუევი გარდაიცვალა 10 მარტს, დაიმარხა 11 მარტს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ბურმასიგს მცხოვრები დიდო თუაევი გარდაიცვალა 13 მარტს, დაიმარხა 14 მარტს. 62 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

სვატის მცხოვრები გული ელოევი გარდაიცვალა 25 მარტს, დაიმარხა 26 მარტს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩიხოტკით.

ყარათყავს მცხოვრები ლუარსან ბულაგოვი გარდაიცვალა 18 აპრილს, დაიმარხა 19 აპრილს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩიხოტკით.

ტეფს მცხოვრები ძიგო ყალაგოვი გარდაიცვალა 25 აპრილს, დაიმარხა 26 აპრილს. 75 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

გიმარას მცხოვრები თებო ბერეზოვი გარდაიცვალა 8 ივნისს, დაიმარხა 9 ივნისს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ტეფს მცხოვრები გეძა ყალაგოვი გარდაიცვალა 20 სექტემბერს, დაიმარხა 22 სექტემბერს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრით.

რესს მცხოვრები მიში ყუსევის მეუღლე გოსე გარდაიცვალა 10 ივლისს, დაიმარხა 11 ივლისს. 20 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ძეობით.

ცოცოლთას მცხოვრები ნიკო ძანთიევის დედა ნაღდისე გარდაიცვალა 20 ივლისს, დაიმარხა 21 ივლისს. 61 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ყარათყავს მცხოვრები ელმირზა ბულაგოვი გარდაიცვალა 25 ნოემბერს, დაიმარხა 26 ნოემბერს. 85 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

სვატის მცხოვრები ალექსანდრე ნინოს (sic) ძე ბაციევი (sic) გარდაიცვალა 26 ნოემბერს, დაიმარხა 27 ნოემბერს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

აბანოს მცხოვრები ნიკოლოზ ცაბოლოვის დედა ცოფრიხან გარდაიცვალა 27 ნოემბერს, დაიმარხა 28 ნოემბერს. 69 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ზემო დესს მცხოვრები გავი ხამიცოვის დედა ქიზნალ გარდაიცვალა 1 დეკემბერს, დაიმარხა 2 დეკემბერს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ჩეთირს მცხოვრები ქუცირი ქოქაევის მეუღლე ზალი გარდაიცვალა 5 დეკემბერს, დაიმარხა 6 დეკემბერს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

ზემო დესს მცხოვრები ზნაურ ყირდაევის ქალი¹ გარდაიცვალა 10 დეკემბერს, დაიმარხა 11 დეკემბერს. 7 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

¹ გარდაცვლილის სახელი არ წერია.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №22

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს, აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის

ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1892 წელი

მღვდელი ზაქარია პეტრეივი [პეტრიაშვილი - ნ.შ.], პრიჩეტნიკი ათანასე გონგაძე
დაბადებულთათვის¹

ზაქარია, დაიბადა 13 თებერვალს, მოინათლა 20 თებერვალს. მშობლები: სოფელ სვატისის (sic) მცხოვრები ყასპოლ დუდას ძე ქაშაევი და აზავა წუწუს (sic) ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ბერად ფანეზის ძე ელოშვილი.

სტეფანე, დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 12 მარტს. მშობლები: სოფელ სვაატისის (sic) მცხოვრები ვანა დავითის ძე ქაშაევი და ნენე ძაურის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატისის (sic) მცხოვრები ასიბეგ დუდას ძე ქასაევი.

მარიამი, დაიბადა 8 მარტს, მოინათლა 16 მარტს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები დიდლო (sic) თაფსრიყოს ძე ხამიცოვი და მარინე ნიკალას (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები ელდარყო ყურმანის ძე ჩეთოევი.

სვიმონი, დაიბადა 15 მარტს, მოინათლა 30 მარტს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები გიცა თაფსრიყოს ძე ხამიცოვი და ლიზა გაძივის ასული. მიმრქმელი – სოფელ ქვემო დესს მცხოვრები მაცკა ხამიცოვის მეუღლე იმანყიზა.

ოლინკა, დაიბადა 1 აპრილს, მოინათლა 9 აპრილს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები მიდი (sic) საბას ძე ხამიცოვი და მაშო მიხეილის ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის სოფელ ეხრენაგყავს (sic) მცხოვრები გიგო გეთეს ძე მაყიშვილი.

თამარა, დაიბადა 2 აპრილს, მოინათლა 9 აპრილს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები გიძილო ნინოს (sic) ძე ხამიცოვი და ფაირდოზ (sic) თემბოლის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ვანკა ნანოს ძე ცაბოლოვი.

ნიკოლოზი, დაიბადა 7 აპრილს, მოინათლა 18 აპრილს. მშობლები: სოფელ ზაყაგორს მცხოვრები ლექსო (sic) ყურმანის ძე ჩეთოევი და სიდონია დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ბეჩირა ქაშეს ძე ბულაცოვი.

ნინო, დაიბადა 8 აპრილს, მოინათლა 19 აპრილს, მშობლები: სოფელ ზაყაგორს მცხოვრები გიორგი ბიძის ძე ჩეთოევი და ფათიყო იბაყის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატისის მცხოვრები ბერად ფანეზის ძე ელოშვილი.

პავლე, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 20 აპრილს. მშობლები: სოფელ სვაატისის მცხოვრები იორდანე ძიძეს ძე ხამიცოვი სამბეგოვი (sic) და ნალდისე ფის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ლევან ძახის ძე ცაბოლოვი.

ელისაბედი, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 20 აპრილს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალექსანდრე მიშკას ძე ურთაევი და მარიამ ძანალდის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები მიხეილ თუაევის მეუღლე ქალი (sic).

მარიამი, დაიბადა 12 აპრილს, მოინათლა 20 აპრილს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები გლახა ახლაუს ძე ურთაევი და მელექ ძიბეს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ადო აციმეზის ძე ბულაცოვი.

სალომე, დაიბადა 12 აპრილს, მოინათლა 23 აპრილს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები დიანოზ გლახას ძე ურთაევი და თამარ ებიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები სოსლინბეგ თემრიყოს ძე ურთაევი.

¹ 1892 წლის მეტრიკული წიგნის დაბადებულთა გრაფას აკლია პირველი ფურცელი.

სვიმონი, დაიბადა 15 აპრილს, მოინათლა 27 აპრილს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ნიკოლოზ **ფარნაოზის** ძე თუაშვილი და ელისა ცორეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალექსანდრე თამსრიყოს ძე ბულაცოვი.

პეტრე, დაიბადა 16 აპრილს, მოინათლა 27 აპრილს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები დავით ებიყოს ძე თუავეი და დისო ქარქის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები გიგო ბიძის ძე ჩეთოვეი.

ანდრია, ერთი წლის, მოინათლა 27 აპრილს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სოსლან ცოფანის ძე თუავეი და ჩაბე თათალოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები თათარყან დუდას ძე ურთაშვილი.

მიხეილი, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 17 მაისს. მშობლები: სოფელ სვატისს (sic) მცხოვრები ყარამან ბაზირის ძე ბაცივეი და მელექ სხანგერის ასული. მიმრქმელი – სოფელ აგაიანთს (sic) მცხოვრები ბიგა გიორგის ძე აგაშვილი.

ალექსი, დაიბადა 2 მაისს, მოინათლა 17 მაისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ციპუ ელბიზდიყოს ძე ყუსევი და **დარიკო** ლექსის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები გიგო ბიძის ძე ჩეთოვეი.

სვიმონი, დაიბადა 4 მაისს, მოინათლა 18 მაისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები გუდინა ჩუსკას (sic) ძე გაბულოვი და ფალე ზაურბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანას მცხოვრები სვიმონ დიმიტრის ძე ზადაგოვი.

პავლე, დაიბადა 8 მაისს, მოინათლა 20 მაისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ყასპოლ ახმეთის ძე ბულაცოვი და მარინე ქუციკის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები გიგო ბიძის ძე ჩეთოვეი.

გაბრიელი, დაიბადა 8 მაისს, მოინათლა 20 მაისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ვანკა ბაბანას ძე ბულაცოვი და **ნინო** ყუდაბერდის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები ელძარყო ყურმანის ძე ჩეთოვეი.

ლევანტი (sic), დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 20 მაისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები სადულე (sic) ბაბანას ძე ბულაცოვი და ელისა (sic) ელძარყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ გორისციხეს მცხოვრები ლევან გრიგოლის ძე ავსაჯანოვი [ავსაჯანიშვილი].

ზენათი (sic), დაიბადა 12 მაისს, მოინათლა 21 მაისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ადამა გუდას ძე ქოქავეი და გოსე მანის ასული. მიმრქმელი – სოფელ სიონს მცხოვრები ანდრია ჭკონას ძე ფიცხელაური.

ვასილი, დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 21 მაისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები გასუ **ფარნაოზის** ძე ქოქავეი და **თეკლე** ილიცის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები იორდან მაცკას ძე ქოქავეი.

ევა, დაიბადა 13 მაისს, მოინათლა 23 მაისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები სიმან (sic) ძიგვის ძე ცალაგოვი და სახთი თოთრაძის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ვანკა ნანოს ძე ცაბოლოვი.

ლიზა, დაიბადა 15 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ბიტი ბაზირის ძე ქოქავეი და ტასია თოთრაძის ასული. მიმრქმელი – სოფელს აბანოს მცხოვრები ანდრია გაპოს ძე ბიზიკოვი.

მიხეილი, დაიბადა 15 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ ქვემო დესს მცხოვრები **ზურაბა** ბიძიგას ძე ხამიგოვი და იმანყ (sic) ძანიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ აგაიანთს მცხოვრები ბიგია კუხულუხის ძე აგაშვილი (sic).

როსტომი, დაიბადა 17 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ სვაატის მცხოვრები ბაზიკო თოთრაძის ძე ყოშკაევი და მართა ებიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატის (sic) მცხოვრები ბესე ელოევის მეუღლე ყიზმიდე.

ნატალია, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 9 ივნისს. მშობლები: სოფელ სვაატის მცხოვრები ასიბეგ დუდარის ძე ქაშაევი და **მართა** ბიდის ასული. მიმრქმელი – აბანოს პრიხოდის მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი].

ივანე, დაიბადა 5 ივნისს, მოინათლა 15 ივნისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ალექსი თოთრაძის ძე ბერეუზი და პელო იორდანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები თოთრიბეგ სვიმონის ძე ბოცუევი.

სვიმონი, დაიბადა 7 ივნისს, მოინათლა 15 ივნისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ნიკოლოზ თემრიყოს ძე ბოცუევი და **მარინე** ყარასეს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები **გლახა** ბაბას ძე ბერეუზი.

ალექსი, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 18 ივნისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ყუსბეგ თათალოს ძე ყალაგოვი და ნატალია ზაბეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები თათარყან ახმეთის ძე ბულაცოვი.

ანასტასია, დაიბადა 9 ივნისს, მოინათლა 18 ივნისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ალექსანდრე მიხეილის ძე ყალაგოვი და სალომე მიტკას ასული. მიმრქმელი – სოფელ გაიბოტენს მცხოვრები გაბო მოსეს ძე ხურიელი (sic) [ხულელიძე].

ნატალია, დაიბადა 5 ივნისს, მოინათლა 19 ივნისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ეჩიმა (sic) აბეს ძე ცაბოლოვი და ნალყიზ ცოფანის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ზაქარია ბიზიკოვის მეუღლე **დედოფალი** (sic).

მარიამი, დაიბადა 8 ნოემბერს, მოინათლა 15 ნოემბერს. მშობლები: სოფელ სვაატის მცხოვრები **ბიბო** ბესეს ძე ელოშვილი და გიზი **სანდროს** ასულო. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები სერგო ბიდის ძე ჩეთოევი.

მაშკო, დაიბადა 2 დეკემბერს, მოინათლა 10 დეკემბერს. მშობლები: სოფელ სვაატის მცხოვრები ბეზა გულის ძე ელოშვილი და კამარო (sic) ბადის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატის მცხოვრები ალექსანდრე ბაციევის მეუღლე სალომე.

ირინე, დაიბადა 8 დეკემბერს, მოინათლა 16 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ნიკიტა თამსრიყოს ძე ბულაცოვი და მართა ანდრიყოს ასული. მიმრქმელი – პრიჩეტნიკი ათანასე გონგაძე.

კოსტანტინე, დაიბადა 10 დეკემბერს, მოინათლა 20 დეკემბერს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ალექსანდრე სიმანის ძე ბოცუევი და ფათი ზაურბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები **გლახა** თოთრაძის ძე მაკაშვილი.

ლიზო (sic), დაიბადა 13 დეკემბერს, მოინათლა 23 დეკემბერს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები გაბე გიშკას ძე ბერეუზი და **ბაბალე** იესეს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები მუსე ბოცუევის მეუღლე **დარეჯან**.

ნატალია, დაიბადა 14 დეკემბერს, მოინათლა 23 დეკემბერს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები ჩესა (sic) ვასკეს ძე ყუსეშვილი და **მარინე** საკას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ძამირზე ყუსევის დედა ინდე.

ვლადიმერი, დაიბადა 28 დეკემბერს, მოინათლა 30 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები მიტკა ზაბეს ძე ყალაგოვი და ანა ქოფას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბიდარას მცხოვრები მიტკა ბიდაროვის მეუღლე ლიზა.

ჯვარდაწერილობათვის

სასიძო, სოფელ ტეფში მცხოვრები ივანე მიხეილის ძე ყალაგოვი. 19 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ აბაიანთყავას (sic) მცხოვრები ცეცა (sic) ბესლევოვის ასული სიმან (sic). 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 20 აპრილს.

სასიძო, სოფელ მნას მცხოვრები აბო ზაურბეგის ძე ქაშაევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო დესს მცხოვრები ფაცო ხამიციოვის ასული **თეკლე**. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 8 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ მნას მცხოვრები ალექსანდრე ანტონის ძე ცაბოლოვი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფს მცხოვრები სოლიკა ყალაგოვის ასული **კეკელი** (sic). 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 8 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ტეფს მცხოვრები ურიც (sic) ბესათვის ძე ყალაგოვი. 30 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, გორის უეზდის სოფელ სიბას მცხოვრები მისირბი აბაევის ასული გაიანე. 20 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ტეფს მცხოვრები ბადილა ყანიმეთის ძე დაუროვი (sic). 50 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენს მცხოვრები გინო შავლოხოვის ასული **თამარ**. 30 წლის. მეორე ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ სივირავს (sic) მცხოვრები ალექსანდრე ალინბეგის ძე ყალაგოვი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები საულიარ(?) ბოცუევის ასული სალომე. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები არტემ ცოფანის ძე ქოქაევი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფს მცხოვრები ნალიყ ყალაგოვის ასული მამო. 14 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები იაკობ ქაქოს ძე დაუროვი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ რეშას (sic) მცხოვრები ბუტუ კატიევის ასული **ნინო**. 14 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, დუშეთის უეზდის სოფელ ლომისში (sic) მცხოვრები ივანე რაჟდენის ძე ფარსიშვილი. 36 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირში მცხოვრები თაკა ქოქაევის ასული სოფიო. 22 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის¹

სვატის (sic) მცხოვრები ნალიყ სამბეგოვი გარდაიცვალა 10 თებერვალს, დაიმარხა 11 თებერვალს. 49 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

გიმარას მცხოვრები გიმკა ბერეზოვის დედა **თამარა** გარდაიცვალა 12 თებერვალს, დაიმარხა 13 თებერვალს. 90 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ყარათყავს მცხოვრები **სანდრო** კუმალაკოვის (sic) დედა **ნინო** გარდაიცვალა 14 თებერვალს, დაიმარხა 15 თებერვალს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ცოცოლთას მცხოვრები კოდო (sic) ძარდოვი (sic) გარდაიცვალა 20 თებერვალს, დაიმარხა 21 თებერვალს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

აბანოს მცხოვრები მიხეილ ცაბოლოვის ბიცოლა **ნინო** გარდაიცვალა 26 აპრილს, დაიმარხა 27 აპრილს. 52 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

ტეფს მცხოვრები ცორე ყალაგოვი გარდაიცვალა 6 ივნისს, დაიმარხა 7 ივნისს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

¹ სია არასრული უნდა იყოს, იწყება თებერვლის თვიდან.

ქვემო ღესს მცხოვრები ყუდაინათ სალბიშვილი გარდაიცვალა 8 აგვისტოს, დაიმარხა 9 აგვისტოს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრათ.

აბანოს მცხოვრები ელმირზა ბიზიკოვის მეუღლე გუტა გარდაიცვალა 12 ივნისს, დაიმარხა 13 ივნისს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხოლერიით.

ზემო ღესს მცხოვრები ძახო ყაზიევის მოსამსახურე გუთაზა გარდაიცვალა 16 აგვისტოს, დაიმარხა 17 აგვისტოს. 65 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხოლოვერითა (sic).

ზემო ღესს მცხოვრები ალექსანდრე ხამიცოვის ქალი ოლდა გარდაიცვალა 20 აგვისტოს, დაიმარხა 21 აგვისტოს. 16 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ზემო ღესს მცხოვრები დიდლო (sic) ხამიცოვის ქალი მარიამ გარდაიცვალა 23 აგვისტოს, დაიმარხა 24 აგვისტოს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

გიმარას მცხოვრები გიწილ (sic) ბოგუევის დედა¹ გარდაიცვალა 10 სექტემბერს, დაიმარხა 11 სექტემბერს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

სვატის (sic) მცხოვრები ხაჟი ქაშაევი გარდაიცვალა 2 ოქტომბერს, დაიმარხა 3 ოქტომბერს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

სვატის მცხოვრები ქარჩი ელოევი გარდაიცვალა 12 ოქტომბერს, დაიმარხა 13 ოქტომბერს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკით.

ქვემო ღესს მცხოვრები მაცკა ხამიცოვის მეუღლე იმანყიზ (sic) გარდაიცვალა 20 ოქტომბერს, დაიმარხა 21 ოქტომბერს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკით.

რესში მცხოვრები მიში (sic) ყუსევის ქალი მამო გარდაიცვალა 24 ოქტომბერს, დაიმარხა 25 ოქტომბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ჩეთირს მცხოვრები იაგორ ქოქაევი გარდაიცვალა 1 ნოემბერს, დაიმარხა 2 ნოემბერს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

ტეფში მცხოვრები ტიგვი ქალოევის მეუღლე თამარ გარდაიცვალა 8 ნოემბერს, დაიმარხა 9 ნოემბერს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

რეს მცხოვრები გუდინა გაბულოვის ცოლი ფალე (sic) გარდაიცვალა 10 ნოემბერს, დაიმარხა 11 ნოემბერს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრათ.

ყარათყავს მცხოვრები ყასპოლ ბულაცოვის ვაჟი პავლე გარდაიცვალა 28 ნოემბერს, დაიმარხა 29 ნოემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ყარათყავს მცხოვრები გახა ურთაევის ვაჟი ალექსანდრე გარდაიცვალა 3 დეკემბერს, დაიმარხა 6 დეკემბერს (sic). 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ბანზედ გადავარდა.

სვატის (sic) მცხოვრები ყარამან ბაციევის ვაჟი მიხეილი გარდაიცვალა 5 დეკემბერს, დაიმარხა 6 დეკემბერს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცელათი (?).

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №23

ხევის უჩასტკის, კობის საბლაღოჩინოს, აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის

ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1893 წელი

**მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი - ნ.შ.], პრიჩეტნიკი ათანასე გონგაძე
დაბადებულთათვის**

თამარ, დაიბადა 8 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ სუეტისს (sic) მცხოვრები ილას ყანიყოს ძე ქაშაევი და ჩესე სოსლანბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ სუეტისს მცხოვრები ბეზა (sic) ელოევის მეუღლე კამარო (sic).

¹ სახელი არ წერია.

დიმიტრი, დაიბადა 15 იანვარს, მოინათლა 30 იანვარს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ასლანბეგ დავითის ძე ქაშაევი და **მაია** ფარსეს ასული. მიმრქმელი – სოფელ აგაიანთს მცხოვრები გაუს ილიცის ძე აგაევი.

კოსტანტინე, დაიბადა 2 თებერვალს, მოინათლა 10 თებერვალს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები სიმონ ძიგვის ძე ცალაგოვი და სახთი თოთრაძის ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები სოსლანბეგ ქოქაევის დედა ჩენძე.

აბრამ, დაიბადა 8 მარტს, მოინათლა 18 მარტს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები მიხეილ ქუცირის ძე ცაბოლოვი და სალომე გუდეს ასული. მიმრქმელი – აბანოს მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი].

ვასილი, დაიბადა 18 მარტს, მოინათლა 30 მარტს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები სოსლან ქუცირის ძე ქოქაევი და **ნატო** ცოფანის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები ვანკა ნანოს ძე ცაბოლოვი.

ნიკოლოზი, დაიბადა 1 აპრილს, მოინათლა 8 აპრილს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები **სანდრო** ფარსის ძე ურთაევი და გოსემა ზნაურის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ბეჩირ ქაშეს ძე ბულაცოვი.

გრიგოლი, დაიბადა 3 აპრილს, მოინათლა 10 აპრილს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ყასპოლ ბუბულას ძე ქაშაევი და სახთი ცოფანას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები სოსლანბეგ გუდიევის დედა გუთაზ.

ალექსი, დაიბადა 12 აპრილს, მოინათლა 20 აპრილს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ვანკა ნანოს ძე ცაბოლოვი და კატი (sic) ლუასნის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები ელძარყო ყურმანის ძე ჩეთოევი.

ეფრემ, დაიბადა 13 აპრილს, მოინათლა 23 აპრილს. მშობლები: სოფელ სუატისს მცხოვრები ტატე (sic) ივანეს ძე ქაშაშვილი და მართა ქუცირის ასული. მიმრქმელი – სოფელ სუატისს მცხოვრები ალექსანდრე სამბეგოვის მეუღლე მაიკო.

მარიამ, დაიბადა 18 აპრილს, მოინათლა 30 აპრილს. მშობლები: სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ძიგა(?) ისას ძე მირქაშვილი და **ნატო** ყანიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სტეფანე დუდას ძე თუაშვილი.

ვლადიმერი, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 10 მაისს. მშობლები: სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ბეძიგო ბაიმათის ძე მირქაშვილი (sic) და სამე (sic) ყანდუას (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო დესს მცხოვრები მახამეთ დუდას ძე ყირდაევი.

ლაზარე, ორი წლის, მოინათლა 2 ივლისს. მშობლები: სოფელ ქვემო დესში მცხოვრებ ლიზა დოდეს ასულ მაყიევს შეეძინა უკანონო ვაჟი. მიმრქმელი – სოფელ დესში მცხოვრები გიდილა ნინოს (sic) ძე ხამიცოვი.

გიორგი, დაიბადა 2 მაისს, მოინათლა 10 მაისს. მშობლები: სოფელ ჩეთირში მცხოვრები სოსლანბეგ ბაისერის ძე ქოქაევი და მარიამ ძანბოლათის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები გასპოლ ეგანის ძე ბიზიკოვი.

გრიგოლი, დაიბადა 5 მაისს, მოინათლა 12 მაისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები გაბრიელ იშკას ძე ქოქაევი და მართა გავის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირში მცხოვრები სოსლმან ქუცირის ძე ქოქაევი.

ყარამან, დაიბადა 13 მაისს, მოინათლა 25 მაისს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები **სანდრო** თემბოლის ძე თუაშვილი და გიგი ბათრაძის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ასიკო ზაბეს ძე ბერეზოვი.

მარიამ, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 12 ივნისს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები მიტკა ფის ძე თუაშვილი და მარინე თასის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ცომაყ იბაყის ძე ბულაცოვი.

ბესარიონი, დაიბადა 8 ივნისს, მოინათლა 15 ივნისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები **გლახა** ბაბას ძე ბერეზოვი და გიგი დოცეს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ასიკო ბერეზოვის მეუღლე ბობი (sic).

ვლადიმერი, დაიბადა 8 ივლისს, მოინათლა 17 ივლისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები **სანდრო** გიდის ძე თაკაშვილი და **დარიკო** თოთრის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები გენალდიყო ბულაცოვის მეუღლე **თამარ**.

ვლადიმერი, დაიბადა 9 ივლისს, მოინათლა 18 ივლისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრებ ბიბო ქოქაევის ასულ სალომეს დაებადა უკანონო ვაჟი. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები სოსლანბეგ გუდიევის დედა გუთაზა.

სოლომან, დაიბადა 10 ივლისს, მოინათლა 22 ივლისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ბათრომე (sic) ასახმეთის ძე ბოცუევი და ნალდის თემრიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ციცკა ზაბეს ძე ბერეზოვი.

სიმონ, დაიბადა 12 ივლისს, მოინათლა 23 ივლისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ციცკა ზაბეს ძე ბერეზოვი და **ნინო** წუწუს (sic) ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის სოფელ სიბას მცხოვრები **იობა** გაუსის ძე ზორაშვილი.

იოსებ, დაიბადა 1 სექტემბერს, მოინათლა 10 სექტემბერს. მშობლები: სოფელ სუტისს (sic) მცხოვრები სოსნგ (?) ქუცირის ძე ქაშაევი და ბაბიზ დიდოს ასული. მიმრქმელი – სოფელ სუტისს მცხოვრები კოსტა კალიცის ძე ქაშაევი.

გირიშა შიო (sic), დაიბადა 7 სექტემბერს, მოინათლა 17 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ალექსანდრე ძანალდის ძე დაურივი (sic) და მელექ ელბიზდიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სტეფანე დუდას ძე თუაშვილი.

ბარბარე, დაიბადა 9 სექტემბერს, მოინათლა 20 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები განძივი დოღეთიყოს ძე მაკაშვილი და ჩენძე ყულადარის ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები კაფი ბიციკოს ძე ძანთიევი.

ლაზარე, დაიბადა 12 სექტემბერს, მოინათლა 30 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები სიმონ ელმარზას ძე ბულაცოვი და **ნინო** გულუს ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები ელძარყო ყურმანის ძე ჩეთოევი.

აბრამი, დაიბადა 1 ოქტომბერს, მოინათლა 13 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ხასაყო ბადილას ძე ბულაცოვი და სალომე არტომის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები მიხეილ ქუცრის ძე ცობოლოვი.

კოსტანტინე, დაიბადა 13 ნოემბერს, მოინათლა 25 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ზემო დესში მცხოვრები გავი ნინიას ძე ხამიცივი და **თეკლე** მისოს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ციპუ თოთიკას ძე ყაზიევი.

სალომე, დაიბადა 1 დეკემბერს, მოინათლა 8 დეკემბერს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები მიხეილ ბაიმათის ძე ყუსევი და გიგი თოთრიბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ სიბირავის (sic) მცხოვრები გიორგი ალიკის ძე ყალაგოვი.

სტეფანე, დაიბადა 2 დეკემბერს, მოინათლა 8 დეკემბერს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები ძამირზე ბორყოს ძე ყუსევი და **ქალი** (sic) ალიმბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ სიბირავის (sic) მცხოვრები გიორგი ყალაგოვის მეუღლე მაგდანო.

ბარბარე, დაიბადა 10 დეკემბერს, მოინათლა 23 დეკემბერს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები გიგოლ ფრანგის ძე ბოცუევი და ქოშერხან ასაკის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ხამეტყან დავითის ძე ბერეზოვი.

მარინე, დაიბადა 12 დეკემბერს, მოინათლა 23 დეკემბერს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ალექსანდრე დავითის ძე ბერეზოვი და მაშკო თემრიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები გიდი ბერეზოვის ასული **დარიკო**.

ანდრია, დაიბადა 12 დეკემბერს, მოინათლა 23 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ბადი ბიციკოს ძე ძანთიევი და **ბაბაღე** ძიბოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები სიმონ ელმარზას ძე ბულაცოვი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ აბანოში მცხოვრები ასლანბეგ გოგის ძე ბიზიკოვი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები გაგი ურთაევის ასული კატი (sic). 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 10 იანვარს.

სასიძო, სოფელ აბანოში მცხოვრები ელმარზა ნარსავის ძე ბიზიკოვი. 58 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ სუატის მცხოვრები ბაზიკო ყოშკავის (sic) ასული მანიჯან. 20 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 10 იანვარს.

სასიძო, სოფელ ქუმისციხეს (sic) [ქუმლისციხეს] მცხოვრები სიმონ გიშოს ძე ძუაშვილი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოში მცხოვრები ვანკა ცაბოლოვის ასული მარიამი. 14 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 6 ივლისს.

სასიძო, ვლადიკავკაზის ოკრუგის ზაყის პრიხოდის სოფელ ფურიათშიდ (sic) მცხოვრები მიხეილ გაუსის ძე ლაციევი. 36 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირში მცხოვრები ბიბო ქოქაევის ასული სალომე. 27 წლის. მეორე ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 15 ივლისს.

სასიძო, სოფელ ქეთირს მცხოვრები ათანასე ბუბულას ძე ქაშაევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფში მცხოვრები ტიგვი (sic) ქალოშვილის (sic) ასული ლიზა. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 28 აგვისტოს.

სასიძო, სოფელ ტეფში მცხოვრები ალექსანდრე ფუფსაყუს ძე ქალაშვილი (sic). 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფში მცხოვრები გიშერ ყალაგოვის ასული ანა. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები ვასილი გიგოს ძე თუაევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები ცორმან ქოქაევის ასული **თინათინ** (sic). 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ქვემო დესში მცხოვრები ასახმეთ მაგკას ძე მირქაშვილი (sic). 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქვემო დესში მცხოვრები თოთა ხამიცოვის ასული მამო. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ბიბო გეთეს ძე ბულაცოვი. 50 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები განძივი (sic) მაკაევის ასული სალომე. 23 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ მნას მცხოვრები დავით ივანეს ძე ქოქაევი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები ნიკოლოზ აბაევის ასული **ქეთევან**. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ აბანოს მცხოვრები ნაფი გობის ძე აბაევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები ნიკოლოზ ქოქაევის ასული ზინობია (sic). 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ სუატის მცხოვრები სიმონ გულის ძე ელოშვილი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ბათრად თუავეის ასული სოფიო. 17 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

„დაიმარხნენ საზოგადო სასაფლაოსა ზედა“.

ზემო დესში მცხოვრები იორდან თათაროვის დედა ქიქო გარდაიცვალა 12 იანვარს, დაიმარხა 13 იანვარს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ქვემო დესში მცხოვრები თოთა ხამიცოვი გარდაიცვალა 20 იანვარს, დაიმარხა 21 იანვარს. 90 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ზემო დესში მცხოვრები ქუცირი ხამიცოვის მეუღლე სოფიო გარდაიცვალა 18 თებერვალს, დაიმარხა 19 თებერვალს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლითა.

ცოცოლთას მცხოვრები სიმან დაუროვის ვაჟი ესტატე გარდაიცვალა 20 მარტს, დაიმარხა 21 მარტს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ტეფში მცხოვრები **ნიკო** ქალოშვილი გარდაიცვალა 23 მარტს, დაიმარხა 24 მარტს. 12 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ტეფში მცხოვრები მიხეილ ყალაგოვი გარდაიცვალა 26 მარტს, დაიმარხა 27 მარტს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩიხოტკით.

სუატის მცხოვრები ყარამან ყოშკაევი გარდაიცვალა 28 მარტს, დაიმარხა 29 მარტს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლითა.

ჩეთირს მცხოვრები ქუცირი ქოქაევი გარდაიცვალა 1 აპრილს, დაიმარხა 2 აპრილს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ჩეთირს მცხოვრები ბიბო ქოქაევის ქალი სოფიო გარდაიცვალა 3 აპრილს, დაიმარხა 4 აპრილს. 15 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლითა.

ყარათყავს მცხოვრები მიშკა ურთაევის მეუღლე ქალინა გარდაიცვალა 8 აპრილს, დაიმარხა 9 აპრილს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩიხოტკით.

ბურმასიგს მცხოვრები **ლუარსაბ** თუავეის მეუღლე **ნინო** გარდაიცვალა 8 აპრილს, დაიმარხა 9 აპრილს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩიხოტკით.

რესს მცხოვრები საპეგ ყუსევის მეუღლე სოფიო გარდაიცვალა 1 მაისს, დაიმარხა 3 მაისს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

აბანოს მცხოვრები **ბიბო გლახა** ძე ყარაევი გარდაიცვალა 4 მაისს, დაიმარხა 5 მაისს. 25 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

ქვენო დესს მცხოვრები ყუდინათ სალბიევის მეუღლე ქიქო გარდაიცვალა 13 მაისს, დაიმარხა 14 მაისს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ბურმასიგს მცხოვრები მიტკა ლუარსანის (sic) ძე თუაევი გარდაიცვალა 3 ივნისს, დაიმარხა 4 ივნისს. 20 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალში დაიხრჩო.

ტეფს მცხოვრები გუდე ყალაგოვი გარდაიცვალა 26 ივლისს, დაიმარხა 27 ივლისს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალში დაიხრჩო.

ჩეთირს მცხოვრები გაბე ასგეს ძე ქოქაევი გარდაიცვალა 28 ივლისს, დაიმარხა 29 ივლისს. 17 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ტეფს მცხოვრები ზავირბეგ (sic) ყალაგოვის ვაჟი დიმიტრი გარდაიცვალა 1 სექტემბერს, დაიმარხა 2 სექტემბერს. 8 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ცხენზედ გადავარდნით.

სუატის მცხოვრები ყავდინ ქაშაევი გარდაიცვალა 8 ოქტომბერს, დაიმარხა 9 ოქტომბერს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ზემო ღესში მცხოვრები გიცა ხამიცოვი გარდაიცვალა 18 ნოემბერს, დაიმარხა 19 ნოემბერს. 32 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

ჩეთირს მცხოვრები ქუძი ცალაგოვი გარდაიცვალა 20 დეკემბერს, დაიმარხა 21 დეკემბერს. 53 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკით.

სუატის მცხოვრები ალოშკა თურბეგიშვილი გარდაიცვალა 23 დეკემბერს, დაიმარხა 24 დეკემბერს. 19 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №24

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს, აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის

ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1894 წელი

**მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი - ნ.შ.], პრიჩეტნიკი ათანასე გონგაძე
დაბადებულთათვის**

მათე, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 10 იანვარს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები მიხეილ თოთრაძის ძე ქოქაევი და მამო ილიცას ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო ღესში მცხოვრები დადლო (sic) სიგას ძე ყაზიევი.

გრიგოლი, დაიბადა 4 იანვარს, მოინათლა 10 იანვარს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ანდრია ქუცირის ძე ქოქაევი და დარიკო ქუცირის ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები გარსო თოხეს ძე გაბულოვი.

ოლღა, დაიბადა 6 იანვარს, მოინათლა 12 იანვარს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები გაცა ასაქეს ძე ქოქაევი და დედუკა (sic) თემრიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები იორდან ქოქაევის მეუღლე მელექა.

ბესარიონი, დაიბადა 8 იანვარს, მოინათლა 18 იანვარს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები თოთიკ ფარნაოზის ძე ქოქაევი და ლიზა ვასგეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები ლუარსან ქოქაევის მეუღლე სოფიო.

ადამა (sic), დაიბადა 9 იანვარს, მოინათლა 18 იანვარს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები გაგი გობის ძე ქაშაევი და ჩენძე დიდოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები სოსლანბეგ ქოქაევის დაი ედუკია.

ხარიტონი, დაიბადა 11 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ სვაატის (sic) მცხოვრები დრის (sic) ბერდის ძე ქაშაევი და სალი ბარილის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები საბან სამბეგოვის მეუღლე აზავა.

ეკატერინე, დაიბადა 15 იანვარს, მოინათლა 28 იანვარს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ხასაყო ასაკოს ძე ბერეუოვი და ადათი ძანალდის ასული. მიმრქმელი – აბანოს მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი].

მარიამი, დაიბადა 13 იანვარს, მოინათლა 28 იანვარს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები სერგო სოლიკას ძე ყალაგოვი და ქოშერხან ზნაურის ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები არტემ ყალაგოვის მეუღლე მართა.

პეტრე, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 12 თებერვალს. მშობლები: სოფელ ქვემო ღესს მცხოვრები ვანკა ბაიმეთის ძე მირიქაშვილი და ლეზო დრის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები ისაკა ივანეს ძე ჩეთოევი.

მარიამი, დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 10 მარტს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ყასპოლ ახმეთის ძე ბულაგოვი და მარინე ქუცირის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანს მცხოვრები ნიკოლოზ ციცირის ძე აბაევი.

სვიმონი, დაიბადა 5 მარტს, მოინათლა 15 მარტს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალექსანდრე გაგის ძე ურთაევი და სალიმეთ განძივის ასული¹.

დარია, დაიბადა 7 მარტს, მოინათლა 18 მარტს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ციკვა ქისილის ძე ურთაევი და მარიამ ემდარყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ცორე კუმალაკოვის მეუღლე მელექა.

ნინო, დაიბადა 10 მარტს, მოინათლა 20 მარტს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ღიანოზ გისოს ძე ურთაევი და **თამარ** ენალდის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ალექსანდრე თემრიყოს ძე კუმალაკოვი.

ხარიტონ, დაიბადა 15 მარტს, მოინათლა 27 მარტს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები გაპო **ლევანის** ძე ბიზიკოვი და ჩენძე აციმეზის (?) ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები მიხეილ ცაბოლოვის მეუღლე სალომე.

ნატალია, დაიბადა 17 მარტს, მოინათლა 30 მარტს. მშობლები: სოფელ ზაყაგორს მცხოვრები გიგო ბიძის ძე ჩეთოევი და ფათი იბაყის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატის მცხოვრები ბერდ ფანეზის ძე ელოევი.

სოლომან (sic), დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 20 აპრილს. მშობლები: სოფელ სვაატის (sic) მცხოვრები ყარამან ბაზირის ძე ბაციევი და მელექ სხანგერის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო ღესს მცხოვრები ბაზიკო მიხაურბეგის ძე ხამიცოვი.

თეკლე, დაიბადა 12 აპრილს, მოინათლა 23 აპრილს. მშობლები: სოფელ სვაატის მცხოვრები ილას ყანიყოს ძე ქაშაევი და ჩენძე სოსლანბეგის ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის ს. რცხინვალში მცხოვრები მიხა ივანეს ძე მიღდისოვი.

მიხეილი, დაიბადა 13 აპრილს, მოინათლა 24 აპრილს. მშობლები: სოფელ სვაატის მცხოვრები სულარ მიზაურბეგის ძე ქაშაევი და აფინე თამსრიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატის მცხოვრები ყასპოლ ღუდას ძე ქაშაევი.

ანდრია, დაიბადა 15 აპრილს, მოინათლა 30 აპრილს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ადო აციმეზის ძე ბულაცოვი და სალომე ღუდას ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები **სანდრო** ფარსეს ძე ურთაევი.

კოსტანტინე, დაიბადა 3 მაისს, მოინათლა 13 მაისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ხასაყო აბეს ძე ცაბოლოვი და **დარიკო** ძიგოს ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები გაუსა გუდიევის მეუღლე გუთაზა.

თინათინი, დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 25 მაისს. მშობლები: სოფელ ზემო ღესს მცხოვრები მახამეთ ღუდას ძე ყირდაევი და აფინე თეიმურაზის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები მიხეილ ქუცირის ძე ცაბოლოვი.

ლაზარე, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 20 აპრილს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები თაზირეთ ბუტაუს(?) ძე კუძიევი და მაშო გარსის ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები ნიკოლოზ თოთრაძის ძე ყალაგოვი.

ლაზარე, დაიბადა 14 ივნისს, მოინათლა 23 ივნისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები მიტკა ძამბოლათის ძე ბერეზოვი და მარიამ ომანის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ციკვა ზაბესას ძე ბერეზოვი.

ნესტორი, დაიბადა 1 ივლისს, მოინათლა 10 ივლისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები თათარყან ღუდარყოს ძე ურთაევი და კატი ბეგას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ცორე კუმალაკოვის მეუღლე მელექა.

¹ მიმრქმელი არ წერია.

თომა, დაიბადა 1 აგვისტოს, მოინათლა 8 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები გენალდიყო ქაშეს ძე ბულაცოვი და თამარ ბატეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო დესს მცხოვრები ყასპოლ დუდას ძე ყირდაევი.

ლაზარე, დაიბადა 1893 წელს და მოინათლა 1 წლის, 15 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ლუარსანის ძე ციცკა¹ და ლიზა გიშოს ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები სოსლანბეგ გუდიევის დედა გუთაზა.

თომა, დაიბადა 15 სექტემბერს, მოინათლა 25 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ალექო (sic) გიდის ძე თაკაევი და სალი გუტრის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები გიგოლ ფრანგის ძე ბოცუევი.

სერგო, დაიბადა 10 ოქტომბერს, მოინათლა 29 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალექსანდრე თამსრიყოს ძე ბულაცოვი და ნადია ივანეს ასული. მიმრქმელი – აბანოს მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი].

თომა, დაიბადა 1 დეკემბერს, მოინათლა 25 დეკემბერს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ნიკოლოზ მაყკას ძე ცაბოლოვი და დედუ ბიძიგას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები აფაყო საპიევის მეუღლე სახთი.

გარდაცვალებულთათვის

ყარათყავს მცხოვრები გაუსა ბულაცოვის ვაჟი სერგო გარდაიცვალა 20 თებერვალს, დაიმარხა 21 თებერვალს. 13 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ამავე ბულაცოვის ვაჟი სანდრო გარდაიცვალა 20 თებერვალს, დაიმარხა 28 თებერვალს (sic). 7 წლის².

ტეფს მცხოვრები ტიგვი ქალოევის დედა საბე გარდაიცვალა 8 მარტს, დაიმარხა 9 მარტს. 68 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ყარათყავს მცხოვრები ძათე ბულაცოვის ვაჟი მათე გარდაიცვალა 15 მარტს, დაიმარხა 16 მარტს. 18 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრათ.

ბურმასიგს მცხოვრები იაგორ ბათრადის ძე თუაევი გარდაიცვალა 16 მარტს, დაიმარხა 18 მარტს. 20 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ზვავისგან.

ყარათყავს მცხოვრები მათე ბულაცოვის დედა გოსეზი გარდაიცვალა 20 მარტს, დაიმარხა 21 მარტს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ბურმასიგს მცხოვრები სოსლან თუაევის ვაჟი ანდრია გარდაიცვალა 20 აპრილს, დაიმარხა 21 აპრილს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ტეფი მცხოვრები ლუარსან (sic) ყალაგოვი გარდაიცვალა 9 მაისს, დაიმარხა 10 მაისს. 53 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

სვაატის მცხოვრები ნიკა ქაშაევის დედა ძენე გარდაიცვალა 13 მაისს, დაიმარხა 14 მაისს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

სვაატის მცხოვრები ნალიყა (sic) ქაშაევის დედა ბადი გარდაიცვალა 5 ივნისს, დაიმარხა 6 ივნისს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

გიმარას მცხოვრები გიშკა ბერეუოვის ქალი სოფიო გარდაიცვალა 7 ივნისს, დაიმარხა 8 ივნისს. 12 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ცოცოლთას მცხოვრები მიხამეთ (sic) ბულაცოვი გარდაიცვალა 11 ივნისს, დაიმარხა 12 ივნისს. 67 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყლისაგან.

¹ ახალშობილის მამის გვარი გამორჩენილია.

² გარდაცვალების მიზეზი არ წერია.

ტეფში მცხოვრები დოხციყო ყალაგოვის ვაჟი გიორგი გარდაიცვალა 20 ივნისს, დაიმარხა 21 ივნისს. 12 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალში დაიხრჩო.

ცოცოლთას მცხოვრები ქუცირ ძანთიევი გარდაიცვალა 10 ივლისს, დაიმარხა 12 ივლისს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ბურმასიგს მცხოვრები დავით თუაევის ვაჟი თემბოლათ გარდაიცვალა 7 სექტემბერს, დაიმარხა 8 სექტემბერს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ბურმასიგს მცხოვრები ნიკოლოზ თუაევის დედა გიგი გარდაიცვალა 8 ნოემბერს, დაიმარხა 9 ნოემბერს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ბურმასიგს მცხოვრები ბათრადა თუაევი გარდაიცვალა 6 ნოემბერს, დაიმარხა 7 ნოემბერს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

აბანოს მცხოვრები დიდო ცაბოლოვი გარდაიცვალა 17 ნოემბერს, დაიმარხა 18 ნოემბერს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ჩეთირს მცხოვრები გაგი ქაშაევის ვაჟი იობა გარდაიცვალა 22 დეკემბერს, დაიმარხა 23 დეკემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფეხის ტკივილით (sic).

რესს მცხოვრები მზორყო ყუსევის ცოლი **ბაბალე** გარდაიცვალა 28 დეკემბერს, დაიმარხა 29 დეკემბერს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №25

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს, აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის

ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1895 წელი

მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი - ნ.შ.], პრიჩეტნიკი ათანასე გონგაძე

დაბადებულთათვის

ყარამანი, დაიბადა 2 იანვარს, მოინათლა 10 იანვარს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები განძ ძიგვის ძე ცალაგოვი და მაგდან ბაზიკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები ანდრია ქუცირის ძე ქოქაევი.

მათე, დაიბადა 5 იანვარს, მოინათლა 15 იანვარს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები სიმან (sic) ძიგვის ძე ცალაგოვი და სახით თოთრადის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები იაგორ ფარსის ძე ცაბოლოვი.

აბრამი, დაიბადა 8 იანვარს, მოინათლა 19 იანვარს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ალექსანდრე სიმანის ძე ბულაცოვი და ფათი ზაურბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ბეჩირ მელახას ძე მაკაევი.

ელიზბარი, დაიბადა 8 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები გიწილ (sic) ქიციკის ძე ბოცუევი და სოფიო ქუციკის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ხასიყო ბერეზოვის მეუღლე ალათი.

ვასილი, დაიბადა 15 იანვარს, მოინათლა 28 იანვარს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ალექსანდრე ვასკეს ძე ყუსევი და ქიქა საკის ასული. მიმრქმელი – აბანოს მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი].

კოლა, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 9 თებერვალს. მშობლები: სოფელ სვაატის (sic) მცხოვრები მოსე თოთრიბეგის ძე ქაშაევი და მარინე **როსტომის** ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატის (sic) მცხოვრები ბეზა ელოევი.

გიორგი, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 15 თებერვალს. მშობლები: სოფელ სვატისს (sic) მცხოვრები სოსლან ქუციკის ძე ქაშაევი და ბაბიზ დიდოს ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატისს (sic) მცხოვრები კლიც ქაშაევის მეუღლე ყიზი.

ვასილი, დაიბადა 4 თებერვალს, მოინათლა 15 თებერვალს. მშობლები: სოფელ სვაატისს მცხოვრები ბიბო ბეს ძე ელოშვილი და ნატალია სანდრის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები გიგო ივანეს ძე ჩეთოევი.

არტემა, დაიბადა 4 თებერვალს, მოინათლა 15 თებერვალს. მშობლები: სოფელ სვატისს მცხოვრები გიგოლ ბოდის ძე ყოშკაევი და ტასია ყუბას ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატისს მცხოვრები ნალიყ ქაშაევის მეუღლე **თამარი**.

ნესტორი, დაიბადა 8 თებერვალს, მოინათლა 18 თებერვალს. მშობლები: სოფელ სვაატისს მცხოვრები **ნიკა** აბრეგის ძე ქაშაევი და სოფიო ციპუს ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატისს მცხოვრები ტატე ქაშაევის დედა ქენძე.

ანნა, დაიბადა 1894 წლის გიორგობისთვის 8-ს, მოინათლა 1895 წლის 18 თებერვალს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები **კოტე** (sic) თასოს ძე ცაბოლოვი და მარიამ ისმაილის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ზაქარია ბიზიკოვის მეუღლე **დედუფალ** (sic).

გაბრიელი, დაიბადა 10 თებერვალს, მოინათლა 20 თებერვალს. მშობლები: სოფელ სვაატისს მცხოვრები ადამა თოფრადას ძე სამბეგოვი და **მამიდა** ყანდაურის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატისს მცხოვრები აციმეზ ქასაევის მეუღლე ლიზა.

ლიზა, დაიბადა 8 თებერვალს, მოინათლა 23 თებერვალს. მშობლები: სოფელ ზაყაგორს მცხოვრები ასაკო ივანეს ძე ჩეთოევი და სოფიო მირმანის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატისს მცხოვრები ტატე ქაშაევის დედა ჩენძე.

პავლე, დაიბადა 10 თებერვალს, მოინათლა 28 თებერვალს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები გიშო ქუციკის ძე ძანთიევი და **მაგდანა** დიდოს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ბიძია ბერეზოვის მეუღლე ლიზა.

სვიმონი, დაიბადა 12 თებერვალს, მოინათლა 28 თებერვალს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ტილო (sic) ცორეს ძე დაუროვი და სოფიო იბაყის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები თათარყან დუდარყოს ძე ურთაევი.

ზურაბა (sic), დაიბადა 14 მარტს, მოინათლა 29 მარტს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ნიკოლოზ თემრიყოს ძე ბოცოევი და **მარინე** ყარასეს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები სოსლან ბოცოევის მეუღლე ნატალია.

იობა (sic), დაიბადა 20 მარტს, მოინათლა 30 მარტს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები დავით ებიყოს ძე თუაევი და დისო ქარქის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ბეჩირ ქაშეს ძე ბულაცოვი.

ალექსანდრე, დაიბადა 1 აპრილს, მოინათლა 10 აპრილს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები **დათი** (sic) გიშერის ძე ყალაგოვი და ტასია თამსრიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ვანკა ბაიმეთის ძე მირქაევი.

სვიმონი, დაიბადა 3 აპრილს, მოინათლა 10 აპრილს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ცორმან თოლაძის ძე ქოქაევი და **დედუფალ** (sic) ყუდაბერდას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები სოსლან ქოქაევის მეუღლე ნატალია.

მათე, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 20 აპრილს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები გაბრიელ იშკას (sic) ძე ქოქაევი და მართა გავის (sic) ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები სოსლან ქოქაევის მეუღლე ნატალია.

მაკრინე, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 22 აპრილს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ზაურბეგ განძის ძე ბერეუზოვი და **ნატო** ნაურეზის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ნიკოლოზ თემრიყოს ძე ბოცუევი.

თომა, დაიბადა 13 აპრილს, მოინათლა 25 აპრილს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები მიხეილ ქუცირის ძე ცაბოლოვი და სალომე გადეს ასული. მიმრქმელი – აბანოს ეკლესიის მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი].

სონია, დაიბადა 14 აპრილს, მოინათლა 26 აპრილს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები სოსლანბეგ **გლახას** ძე ცაბოლოვი და **ქალი** (sic) ყუდაბერდას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები მუსე ბიზიკოვის მეუღლე **თამარი**.

ასლანი, დაიბადა 15 აპრილს, მოინათლა 27 აპრილს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები მიხეილ ძიბეს ძე ხამიცოვი და **ლელა** (sic) გავის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბარზს მცხოვრები ნიკოლოზ ჩეთოევის დედა გიგი.

ეფრემი, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 9 მაისს. მშობლები: სოფელ სვაატის მცხოვრები ასიბეგ დუდარის ძე ქაშაევი და **მართა** ბიდის ასული. მიმრქმელი – მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი].

ალექსი, დაიბადა 2 მაისს, მოინათლა 10 მაისს. მშობლები: სოფელ სვაატის მცხოვრები ლექსო ბაზირის ძე ბაციევი და **მაიკო** ალექსის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატს მცხოვრები **ბიბო** ბესეს ძე ელოევი.

თინათინი (sic), დაიბადა 5 მაისს, მოინათლა 15 მაისს. მშობლები: სოფელ სვაატის მცხოვრები იაგორ ყაფლანის ძე ქაშაევი და ბაბიზ გახას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ვასილი თურბეგოვის მეუღლე სალომე.

ესტატე, დაიბადა 7 მაისს, მოინათლა 17 მაისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ალექსანდრე მიხეილის ძე ყალაგოვი და სალომე მიტკას ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ასიკო ზაბეს ძე ბერეუზოვი.

მაკრინე (sic), დაიბადა 8 მაისს, მოინათლა 17 მაისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ყარბეგ თათრალოს (sic) ძე ყარლაგოვი (sic) და ნატალია ზაბეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფში მცხოვრები ალექო (sic) ყალაგოვის მეუღლე სალომე.

მარინე და მაკრინე (ტყუპები), დაიბადნენ 10 მაისს, მოინათლნენ 23 მაისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ძათე ბატეს ძე ყალაგოვი და სალომე ბაგუს ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები ნიკოლოზ ყალაგოვის მეუღლე თავისა (sic) და ამავე სოფელს მცხოვრები არტომ ყალაგოვის მეუღლე **თამარი**.

მიხეილი, დაიბადა 1 ივლისს, მოინათლა 16 ივლისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები სოსიკო ყავდინის ძე ბერეუზოვი და მალიძა იორდანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები თოთრად ბერეუზოვის მეუღლე ყირიმა.

იაკობი, დაიბადა 1 აგვისტოს, მოინათლა 12 აგვისტოს. მშობლები: სოფელ სვაატის მცხოვრები ბება (sic) გულის ძე ელოევი და კამარო (?) ბადის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყაზიბეგს მცხოვრები სვიმონ მიხეილის ძე ხაპიკოვი (sic).

ნატალია, დაიბადა 2 აგვისტოს მოინათლა 12 აგვისტოს. მშობლები: სოფელ სვაატის მცხოვრები ყასპოლ დუდას ძე ქაშაევი და აზავა წუწუს ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელ ნადიბავს (sic) მცხოვრები თედო ივანეს ძე ნადიბოვი (sic) [ნადიბაიძე].

ესტატე, დაიბადა 8 ოქტომბერს, მოინათლა 20 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალექსანდრე თემრიყოს ძე კუმალაკოვი (sic) და ჩაბე ცალიკის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ბეჟან ბულაცოვის მეუღლე ზალი.

ილია, დაიბადა 2 დეკემბერს, მოინათლა 27 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები გიწილ ნინოს (sic) ძე ხამიცოვი და ლიზა ალინბეგის ასული. მიმრქმელი – ამავე დესს მცხოვრები ვანო ძიბეს ძე ხამიცოვი.

ვასილი, დაიბადა 7 დეკემბერს, მოინათლა 17 დეკემბერს. მშობლები: ამავე სოფელს და ამავე სახლში მცხოვრები გიძილო ნინოს (sic) ძე ხამიცოვი და სალომე თემბოლათის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები გაუსა გუდიევის მეუღლე გუთაზა.

ლაზარე, დაიბადა 9 დეკემბერს, მოინათლა 30 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები სანდრო ფარსეს ძე ურთაევი და გოსემა ზნაურის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ბეჩირ ქაშეს ძე ბულაცოვი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ რესს მცხოვრები მინა (sic) ძარახის ძე ყუსევი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ აბათყავს მცხოვრები გაბრიელ აბაევის ასული სალომე. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 2 თებერვალს.

სასიძო, სოფელ ოქროყანას მცხოვრები ვანუზ ნანეს ძე ქოქაევი. 43 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ სვიატში მცხოვრები გარდაცვალებული ალექსანდრე ბოცოევის ქვრივი სალომე. 35 წლის. მეორე ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 17 მაისს.

სასიძო, სოფელ კობს მცხოვრები ალექსანდრე ივანეს ძე თუაევი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები გრიგოლ ცაბოლოვის ასული სალომე. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 4 ივლისს.

სასიძო, სოფელ გიმარას მცხოვრები მიტკა ძამბოლათის ძე ბერეზოვი. 26 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, გორის უუზდის ქვემო ერემანს (sic) მცხოვრები მაქსი თიბილოვის ასული მარიამი. 23 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ აბანოს მცხოვრები გაბრიელ გუსეს ძე ბიზიკოვი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფს მცხოვრები მიხეილ ყალაგოვის ასული **თეკლე**. 17 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ რესს მცხოვრები გაგი გიშოს ძე ყუსევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ბათრამ თუაევის ასული მამო. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, გორის უუზდის სოფელ ხოჭამი (sic) მცხოვრები გიორგი გიგოს ძე თოთიროვი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო დესს მცხოვრები აბისა ხამიცოვის ასული სოფიო. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ სვიატის მცხოვრები ვლადიმერ სულარის (sic) ძე ქაშაევი. 17 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფს მცხოვრები თოთიკ ყალაგოვის ასული მარიამ. 14 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

„დაიმარხნენ საზოგადო სასაფლაოზე“.

აბანოს მცხოვრები გავი ცაბოლოვი გარდაიცვალა 12 თებერვალს, დაიმარხა 13 თებერვალს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ცოცოლთას მცხოვრები **სანდრო** თაკაევი გარდაიცვალა 26 თებერვალს, დაიმარხა 27 თებერვალს 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

ზემო დესს მცხოვრები თამსრიყო ხამიცოვი გარდაიცვალა 1 მარტს, დაიმარხა 2 მარტს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

აბანოს მცხოვრები გრიგოლ ცაბოლოვის მეუღლე ჩენძე გარდაიცვალა 5 მარტს, დაიმარხა 6 მარტს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ძეობით.

ზაყაგორს მცხოვრები ნოლა ჩეთოევი გარდაიცვალა 19 აპრილს, დაიმარხა 20 აპრილს. 85 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

გიმარას მცხოვრები ბათრად ბოცოევის ასული ელისაბედი გარდაიცვალა 21 აპრილს, დაიმარხა 22 აპრილს. 5 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელათი.

გიმარას მცხოვრები ვანკა ბერეზოვის ქალი სონა გარდაიცვალა 23 აპრილს, დაიმარხა 24 აპრილს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელათი.

ქვემო დესს მცხოვრები ვანკა მირქაევის ვაჟი თომა გარდაიცვალა 24 აპრილს, დაიმარხა 25 აპრილს. 16 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელათი.

ქვემო დესს მცხოვრები ბედიგო მირქაევის ვაჟი ხარიტონი გარდაიცვალა 4 მაისს, დაიმარხა 5 მაისს. 5 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელათი.

ქვემო დესს მცხოვრები ზაურბეგ ხამიცოვის ვაჟი მიხეილი გარდაიცვალა 22 მაისს, დაიმარხა 23 მაისს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელათი.

ბურმასიგს მცხოვრები **სანდრო** თუაევის ქალი სოფიო გარდაიცვალა 22 ივნისს, დაიმარხა 23 ივნისს. 15 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივლით.

აბანოს მცხოვრები ქუცირი ცაბოლოვი გარდაიცვალა 29 ივლისს, დაიმარხა 30 ივლისს. 65 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

სვაატის მცხოვრები ალექსი ლექსოს ძე ბაციევი გარდაიცვალა 1 სექტემბერს, დაიმარხა 2 სექტემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

ჩეთირს მცხოვრები ცორმან ქოქაევის ასული სალიათ (sic) გარდაიცვალა 16 სექტემბერს, დაიმარხა 18 სექტემბერს. 5 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხურვებით.

ზემო დესს მცხოვრები თეგო ყუდას ძე ყირაევი გარდაიცვალა 10 ოქტომბერს, დაიმარხა 12 ოქტომბერს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

აბანოს მცხოვრები გაბო გახას ძე ყარაევი გარდაიცვალა 15 ნოემბერს, დაიმარხა 16 ნოემბერს. 25 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ავის ჭირისგან.

ზემო დესს მცხოვრები დოჭე ხამიცოვი¹. 100 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ტეფს მცხოვრები მიხეილ ყალაგოვის ასული აზავა გარდაიცვალა 23 ნოემბერს, დაიმარხა 24 ნოემბერს. 18 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექით.

გიმარას მცხოვრები იორდან ბერეზოვი გარდაიცვალა 3 დეკემბერს, დაიმარხა 4 დეკემბერს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

რესს მცხოვრები ალექსანდრე ხუჯას ძე გაბელოვი გარდაიცვალა 28 დეკემბერს, დაიმარხა 29 დეკემბერს. 25 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ავის ჭირისგან.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №26

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს, აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის

ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1896 წელი

მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი - ნ.შ.], პრიჩეტნიკი ათანასე გონგაძე

დაბადებულთათვის

ლაზარე, დაიბადა 2 იანვარს, მოინათლა 10 იანვარს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები **ლევან** ძახის ძე ცაბოლოვი და აზავა ელდარყოს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები გაპო **ლევანის** ძე ბიზიკოვი.

¹ გარდაცვალების და დაკრძალვის რიცხვები არ წერია.

ვესარიონი (sic), დაიბადა 15 იანვარს, მოინათლა 25 იანვარს. მშობლები: სოფელ სვაატის მცხოვრები ილას ყანიყოს ძე ქაშაევი და ჩეზე როსეს ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატის მცხოვრები ბება გულის ძე ელოევი.

დათიკო (sic), დაიბადა 13 იანვარს, მოინათლა 25 იანვარს. მშობლები: სოფელ სვაატის მცხოვრები გაუსა აბრეგის ძე ქაშაევი და კამარო ნალიყის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატის მცხოვრები საუდარ ქაშაევის მეუღლე ლიზა.

ნიკოლოზი, დაიბადა 2 თებერვალს, მოინათლა 12 თებერვალს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები **ციცკა** ქაქოს ძე ძანთიევი და **ნინო** ბუტუს ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო დესს მცხოვრები ყასპოლ დუდას ძე ყორდაევი.

იოსები, დაიბადა 8 თებერვალს, მოინათლა 18 თებერვალს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ბადი ბიციკოს ძე ძანთიევი და **ბაბაღე** ძიბოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები გაბე ელმირზას ძე ბულაცოვი.

თომა, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 18 თებერვალს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ტილო (sic) ცორეს ძე ძანთიევი და სოფიო ინარიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები მაირამ გაგის ძე ურთაევი.

გიორგი, დაიბადა 8 თებერვალს, მოინათლა 20 თებერვალს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ციპუ ადიძას ძე ბულაცოვი და სონიკა (sic) ბეცის ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები კაფი (sic) ძანთიევის მეუღლე კატინე (sic).

ხარიტონი, დაიბადა 8 თებერვალს, მოინათლა 28 თებერვალს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ყასპოლ ბუბულას ძე ქაშაევი და აფინე ცოფანის ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები ადამა გუდას ძე ქოქაევი.

ქიონია (sic), დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 15 მარტს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები გაგი გობის ძე ქაშაევი და კატი დიდოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები ზნაურ ქაშაევის მეუღლე ქენძე.

თინათინი, დაიბადა 2 მარტს, მოინათლა 15 მარტს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ვასჭე ზაურბეგის ძე ქაშაევი და ნატალია ბარანის ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები ასჭე ქოქაევის მეუღლე **თამარი**.

ხარიტონი, დაიბადა 7 მარტს, მოინათლა 20 მარტს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები თოთიკ **ფარნაოზის** ძე ქოქაევი და ლეზა იასეს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები **ლუარსაბ** ქოქაევის მეუღლე სოფიო.

სვიმონი, დაიბადა 12 მარტს, მოინათლა 26 მარტს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები გაბრიელ ფის ძე თუაევი და ხარიყიზ (sic) ქუცირის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ასიკო ზაბეს ძე ბერეზოვი.

ოლგა, დაიბადა 15 მარტს, მოინათლა 30 მარტს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ნიკოლოზ ფარნაოზის ძე თუაევი და ელისა ცორეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალექსანდრე თამსიყოს ძე ბულაცოვი.

მათე, დაიბადა 16 მარტს, მოინათლა 30 მარტს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები მიტკა ფის ძე თუაევი და **მარინე** თასის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ცომაყ ბულაცოვის მეუღლე **თეკლე**.

მარინე, დაიბადა 11 აპრილს, მოინათლა 27 აპრილს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები სერგო სოლიკას ძე ყალაგოვი და ქოშერ ზნაურის ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები არტემ ყალაგოვის მეუღლე მართა.

პავლე, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 10 მაისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ბეჩირ ქაშეს ძე ბულაცოვი და **მაია** ჩერმენის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ქიქი თუავეის მეუღლე ხაირ.

სვიმონი, დაიბადა 3 მაისს, მოინათლა 13 მაისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები მაირამ (sic) გივის ძე ურთავეი და **დედუფალ** (sic) როსტომის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები გიტო ბულაცოვის მეუღლე ლიზა.

ლაზარე, დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 20 მაისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ბიბო ლუარსანის (sic) ძე ყალაგოვი და **თეკლე** გიორგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები ნიკოლოზ თოთრაძის ძე ყალაგოვი.

აბრაამი, დაიბადა 11 მაისს, მოინათლა 20 მაისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები გიძლო თემრიყოს ძე ყალაგოვი და სოფიო თათეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები ფედრი (sic) ზაბეს ძე ყალაგოვი.

აბრაამი, დაიბადა 15 მაისს, მოინათლა 26 მაისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ხასაყო ასაკოს ძე ბერეზოვი და ალათი ძანალდის ასული. მიმრქმელი – აბანოს მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი].

იაკობი, დაიბადა 13 მაისს, მოინათლა 26 მაისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ქარჩი სხანგერის ძე ბოცუევი და აზავა ყარასეს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ხასაყო ასიკოს ძე ბერეზოვი.

მიხეილი, დაიბადა 17 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ვასილი მაცკას ძე ბერეზოვი და მაგდან ელმირზას ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები მუსე ბოცუევის მეუღლე **დარეჯან**.

იობა (sic), დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 10 ივნისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები იაგორ თოთრაძის ძე ბერეზოვი და გუბლე ვასჭეს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები **სანდრო** სოსლანის ძე ბოცუევი.

თინათინი, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 13 ივნისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ვანკა **გოგის** ძე ბერეზოვი და საბე ქუციკის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები თოთრაძ ბერეზოვის მეუღლე ყირიმა.

იობა, დაიბადა 3 ივნისს, მოინათლა 13 ივნისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ნიკიტა თამსიყოს ძე ბულაცოვი და მართა ანდრიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ გორისციხეს მცხოვრები იობა იოსების ძე ავსაჯანოვი [ავსაჯანიშვილი].

გიორგი, დაიბადა 7 ივნისს, მოინათლა 20 ივნისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ბიმბოლათ დოლეთიყოს ძე ბულაცოვი და **ნინო** ზაბეს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ალექსანდრე გაგის ძე ურთავეი.

დარია, დაიბადა 9 ივნისს, მოინათლა 30 ივნისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ვანკა ცაბოლოვი და კატი ლუარსანის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყაზიბეგს მცხოვრები გლაზა შიოს ძე გიგაური.

იობა (sic), დაიბადა 3 ივლისს, მოინათლა 10 ივლისს. მშობლები: სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ბეძიგო ბაიმეთის ძე მირქავეი და სალომე ყანდუს ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო დესს მცხოვრები გიგოლ ხამიცოვის მეუღლე სახარ.

ილიკო (sic), დაიბადა 5 ივლისს, მოინათლა 13 ივლისს. მშობლები: სოფელ სივრავს მცხოვრები თომა ალიკის ძე ყალაგოვი და დისო ცორეს ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები ბადი ფაირის ძე ყუსევი.

იობა, დაიბადა 15 ივლისს, მოინათლა 30 ივლისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ბისო ელმირზას ძე ქოქაევი და სოფიო ბარანის ასული. მიმრქმელი – სოფელ არხოტში მცხოვრები გიორგი ბეროს ძე ბურდული.

ელიაზარ, მოინათლა 18 აგვისტოს 50 წლის (sic). მშობლები: სოფელ სვაატს მცხოვრები ქუძან ელოევი. მიმრქმელი – სოფელ სვაატის მცხოვრები ხავსი (sic) გუძეს ძე ქაშაევი.

ეკეტირინე (sic), დაიბადა 7 აგვისტოს, მოინათლა 30 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ბატი (sic) ცოფანის ძე ქოქაევი და მამო ნალიყოს ასული. მიმრქმელი – თიანეთის უეზდის და ამავე სოფელს მცხოვრები ფიდო ივანეს ძე არუთინოვი.

დიმიტრი, დაიბადა 1 ოქტომბერს, მოინათლა 10 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ტერო გეთეს ძე ბოცუევი და სალომე მზორის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები თოთრამა ბერეზოვის ასული ძიგი.

მათე, დაიბადა 14 ოქტომბერს, მოინათლა 25 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები **ციცკა** თოთრას ძე ქოქაევი და მარიამ რომანის ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები ქუძი ცალაგოვის მეუღლე ძან.

ლაზარე, მოინათლა 8 ნოემბერს 2 წლის. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები დიმიდო ელმირზას ძე ქოქაევი და ჩესე ბერდის ასული. მიმრქმელი – აბანოს მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი].

სვიმონი, დაიბადა 8 ნოემბერს, მოინათლა 20 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები სოსლან ქუცირის ძე ქოქაევი და ნატალია ცოფანის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ბეჯირ ქაშეს ძე ბულაცოვი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ კობს მცხოვრები იაგორ ვლადიმერის ძე მისოსტოვი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები მიხეილ ცაბოლოვის ასული ოლღა. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ სვაატისს მცხოვრები სვიმონ ბაზიკოს ძე კოშკაევი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სვაატისს მცხოვრები ზნაურ თურბეგოვის ასული **თეკლე**. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ოქროყანას მცხოვრები ეგნატე ნალიყის ძე აბაევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები ადამა ქოქაევის ასული სალომე. 17 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ სვაატისს მცხოვრები სოლომან ასიბეგის ძე ქაშაევი. 16 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო ღესს მცხოვრები ფაცო ხამიცოვის ასული მაშო. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 14 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ზემო ღესს მცხოვრები **ნიკო** ბარანის ძე შავთვალოვი (sic). 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები თოთრამა ბერეზოვის ასული გაიანე. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 14 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

„დაიმარხნენ საზოგადო სასაფლაოზედ“.

აბანოს მცხოვრები სოფიო ცაბოლოვის დედა ელენე გარდაიცვალა 24 იანვარს, დაიმარხა 25 იანვარს. 67 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყლულებით.

ზემო ღესს მცხოვრები ციცკა საბას ძე ხამიცოვი გარდაიცვალა 8 მარტს, დაიმარხა 9 მარტს. 23 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

რესს მცხოვრები აბისალ საპიეგის ძე ყუსევი გარდაიცვალა 23 მარტს, დაიმარხა 24 მარტს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – შაკიკისაგან.

ყარათყავს მცხოვრები **გლახა** ურთაევის მეუღლე მელექა გარდაიცვალა 26 მარტს, დაიმარხა 27 მარტს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ძეობით.

ბურმასიგს მცხოვრები მიხეილ თუავეის დედა სოფიო გარდაიცვალა 5 აპრილს, დაიმარხა 6 აპრილს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

რესს მცხოვრები ბერდა ყუსევეი გარდაიცვალა 12 აპრილს, დაიმარხა 13 აპრილს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

სვაატისს მცხოვრები ადამა თოთრაძის ძე სამბეგოვი გარდაიცვალა 23 აპრილს, დაიმარხა 24 აპრილს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკით.

გიმარას მცხოვრები ძათე ბოცუევის მეუღლე მართა გარდაიცვალა 10 მაისს, დაიმარხა 11 მაისს. 25 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თავის ტკივილით.

რესს მცხოვრები ყუდაბერდ ქალმანოვის რძალი ელენე გარდაიცვალა 10 ივლისს, დაიმარხა 11 ივლისს. 47 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ყარათყავს მცხოვრები იორდანე ურთავეის მეუღლე ჩაბე გარდაიცვალა 20 ივლისს, დაიმარხა 21 ივლისს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მშობიარობით.

ჩეთირს მცხოვრები დიმიდო (sic) ქოქაევის ვაჟი ბესარიონი გარდაიცვალა 23 ივლისს, დაიმარხა 24 ივლისს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ჩეთირს მცხოვრები ნალიყა ასჯეს ძე ქოქაევი გარდაიცვალა 17 აგვისტოს, დაიმარხა 19 აგვისტოს. 23 წლის. გარდაცვალების მიზეზი – კაცის ხელით.

ტეფს მცხოვრები ყაურბეგ ყალაგოვის ვაჟი მიხეილ გარდაიცვალა 18 აგვისტოს, დაიმარხა 20 აგვისტოს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ჩეთირს მცხოვრები ნიკოლოზ ქოქაევის რძალი სახარ გარდაიცვალა 3 სექტემბერს, დაიმარხა 5 სექტემბერს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექით.

სვაატისს მცხოვრები ზურაბა ბაციევი გარდაიცვალა 9 სექტემბერს, დაიმარხა 11 სექტემბერს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

აბანოს მცხოვრები ვასილ ცაბოლოვის ვაჟი იოსებ გარდაიცვალა 10 სექტემბერს, დაიმარხა 12 სექტემბერს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

რესს მცხოვრები ძამირზე ყუსევის ქალი სალომე გარდაიცვალა 4 ოქტომბერს, დაიმარხა 6 ოქტომბერს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

სვაატისს მცხოვრები ბაზირ ბაციევი გარდაიცვალა 9 ოქტომბერს, დაიმარხა 11 ოქტომბერს. 87 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ჩეთირს მცხოვრები მიხეილ ყირიმათას ძე ქოქაევი გარდაიცვალა 25 ოქტომბერს, დაიმარხა 27 ოქტომბერს. 15 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყლულებით.

გიმარას მცხოვრები ბიძი ბერეზოვის მეუღლე ლიზა გარდაიცვალა 8 ნოემბერს, დაიმარხა 10 ნოემბერს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – კაცის ხელით.

ვსივირაჟს (sic) მცხოვრები გიორგი ყალაგოვის ვაჟი აბრამა გარდაიცვალა 9 ნოემბერს, დაიმარხა 11 ნოემბერს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

ჩეთირს მცხოვრები ადამა ქოქაევის ქალი ნატია (sic) გარდაიცვალა 23 ნოემბერს, დაიმარხა 24 ნოემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №30

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს, აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის

ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1900 წელი

მღვდელი ზაქარია პეტრევი [პეტრიაშვილი - ნ.შ.], პრიჩეტნიკი ათანასე გონგაძე

დაბადებულთათვის

დარია, დაიბადა 2 იანვარს, მოინათლა 8 იანვარს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ბეჩირ ქაშეს ძე ბულაცოვი და მარიამ ბეპიზარის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ალექსი ფის ძე თუაევი.

ბარბარე, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 8 იანვარს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები მიხეილ ძიბეს ძე ხამიცოვი და ლელია (sic) გავის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო დესს მცხოვრები ნიკო ბარნაბის ძე შავთვალოვი (sic).

გიორგი, დაიბადა 2 იანვარს, მოინათლა 8 იანვარს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები გაბრიელ ფის ძე თუაევი და ხარიყიზ ქუძის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები თოთრად ბერეზოვის მეუღლე ყირიმა.

მარინე (უკანონო), დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 9 იანვარს. მშობლები: სოფელ ქვემო დესს მცხოვრებ ზურაბა ხამიცოვის რძალს დაებადა უკანონო ქალი. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ივანე თუაევის მეუღლე მარინე.

ვასილი, დაიბადა 5 იანვარს, მოინათლა 13 იანვარს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ალექსანდრე ძალაღდის ძე დანთიევი და მელექ ელბიზდიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სტეფანე დუდას ძე თუაევი.

მიხეილი, დაიბადა 8 იანვარს, მოინათლა 18 იანვარს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ციცკა ქაქოს ძე დანთიევი და ნინო ბუტის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო დესს მცხოვრები ყასპოლა დუდას ძე ყირდაევი (sic).

არტემა (უკანონო), დაიბადა 9 იანვარს, მოინათლა 18 იანვარს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრებ კაფი (sic) დანთიევის ქვრივს დაებადა უკანონო ვაჟი. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები დავითა ბულაცოვის მეუღლე ბაბალე.

ეგნატე, დაიბადა 10 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ბეჩირ გლახას ძე მაკაევი და ჩაბე ელბიზდიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ქუძიგუს ფაფის ძე ბოცაევი (sic).

ბესარიონი, დაიბადა 10 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები მიხეილ თოთრადის ძე მაკაევი და ცამაყუდე მაცკას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სტეფანე დუდას ძე თუაევი.

იობა (sic), დაიბადა 12 იანვარს, მოინათლა 25 იანვარს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ალექო (sic) გიდას ძე თაკაევი და სალი გუტრის ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ალექსი ბერეზოვის მეუღლე პელო.

ვლადიმერი, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 8 თებერვალს. მშობლები: სოფელ სივირავს (sic) მცხოვრები გიორგი ალიკის ძე ყალაგოვი და მაგდან დანსპის ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები ვანო კუძიევის მეუღლე მაკა.

ალექსანდრე, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 8 თებერვალს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ზაქარია საბანის ძე ძაკაევი და მანინა საბას ასული. მიმრქმელი – სოფელ ტევს მცხოვრები მიხეილ ყალაგოვის ასული მართა.

სოლომან, დაიბადა 7 თებერვალს, მოინათლა 16 თებერვალს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები მიტკა ზაბეს ძე ყალაგოვი და გიზი **ნინიას** ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ალექსანდრე ძანაღლის ძე ძანთიევი.

გერასიმე, დაიბადა 8 თებერვალს, მოინათლა 19 თებერვალს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები სოსლინბეგ ძახოს ძე ყაზიევი და ირინე ქუძის ასული. მიმრქმელი – ამავე დესს მცხოვრები აბისა ხამიცოვის რძალი **ბაბაღე**.

თომა, დაიბადა 9 თებერვალს, მოინათლა 20 თებერვალს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ვანკა გოგიას ძე ბერეზოვი და ჩაბე ქუძისკის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები იაგორ თოთრაძის ძე ბერეზოვი.

თამარი, დაიბადა 9 თებერვალს, მოინათლა 20 თებერვალს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ვასილი მაცკას ძე ბერეზოვი და მაგდან ელმირზას ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები მუსე ბოცუევის მეუღლე დარეჯან.

ვასილი, დაიბადა 9 თებერვალს, მოინათლა 20 თებერვალს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები იაგორ თოთრაძის ძე ბერეზოვი და გუბღე (sic) ვაჭეს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ფედი ბოცუევის მეუღლე ფათიმე.

ილიკო, დაიბადა 12 თებერვალს, მოინათლა 28 თებერვალს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ალექსი თოთრაძის ძე ბერეზოვი და პელო იორდანის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები თოთრიბეგ სიმონის ძე ბოცუევი.

ვლადიმერი, დაიბადა 8 მარტს, მოინათლა 18 მარტს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები თოთრიყა გუგუს ძე ბოცოევი და პელაგია მიხეილის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები იაგორ თოთრაძის ძე ბერეზოვი.

სიდონია, დაიბადა 25 მარტს, მოინათლა 31 მარტს. მშობლები: სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ნიკალა სილას ძე მირქაევი და ჩაბე **ლევანის** ასული მიმრქმელი – სოფელ ბარზს (sic) მცხოვრები ნიკოლოზ გიბითის ძე ჩეთოევი.

ივანე, დაიბადა 10 მარტს, მოინათლა 20 აპრილს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები სვიმონ ძანდაღლის ძე ძანთიევი და ზალი ძიტის ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები მიტკა თოთას ძე ბულაცოვი.

თინათინი, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 26 აპრილს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები გაგი გიშოს ძე ყუსევი და მამო ბათრაძის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ისაკო პეტრეს ძე ყუსევი.

ნინო, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 15 მაისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ძიქო (sic) მზორყოს ძე ყუსევი და დისო სიმანის ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები ვანო გაუსის ძე კუძიევი.

თეკლე, დაიბადა 2 მაისს, მოინათლა 15 მაისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები გუდისა ჩუსკას ძე გაბულოვი და ხანგუ მაცკას ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები მათე ყუსევის მეუღლე დედუ.

გიორგი, დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები კაკკა (sic) მიხეილის ძე ყალაგოვი და სიმან ცაცას ასული. მიმრქმელი – აბანოს პრიხოდის მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი].

ნინო, დაიბადა 13 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ლევან ძახის ძე ცაბულოვი და აზავა ელძარყოს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები გაპო **ლევანის** ძე ბიზიკოვი.

ალექსანდრე, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 8 ივნისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ზაქარია ნოგის ძე ბიზიკოვი და **დედუფალ** ქუციკის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ძიბა გაუსის ძე გუდიევი.

გიორგი, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 8 ივნისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები გაპო **ლევანის** ძე ბიზიკოვი და ქონძე აციმეზის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები გრიგოლ ციცის ძე აბაევი.

მიხეილი, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 8 ივნისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ასლინბეგ ნოგის ძე ბიზიკოვი და კატი გაგის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ალექო (sic) ხასაყის ძე ცაბოლოვი.

ანუსია, დაიბადა 3 ივნისს, მოინათლა 10 ივნისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები დიმიტრი ბადილას ძე ბულაცოვი და აფინე ვასჭეს ასული. მიმრქმელი – აბანოს პრიხოდის მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი].

ნატალია, დაიბადა 3 ივნისს, მოინათლა 10 ივნისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები გაბე ელმირზას ძე ბულაცოვი და **ქალი** მზორყეს ასული. მიმრქმელი – ქვემო დესს მცხოვრები ალექსანდრე ისას ძე მირქაევი.

აბრამა (sic), დაიბადა 5 ივნისს, მოინათლა 15 ივნისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები სოსალ ცოფანის ძე ურთაევი და სოფიო აფაყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ალექსი ფის ძე თუაევი.

ბესარიონი, დაიბადა 6 ივნისს, მოინათლა 12 ივნისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები თათარყონ ღუდას ძე ურთაევი და კატინე ბეგას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ალექსი ფის ძე თუაევი.

ქიონია, დაიბადა 8 ივნისს, მოინათლა 18 ივნისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალექსანდრე მიშკას ძე ურთაევი და მარინე ძანდლის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები სოლომან იბაყის ძე ბულაცოვი.

ლაზარე, დაიბადა 8 ივნისს, მოინათლა 18 ივნისს. მშობლები: სოფელ სვაატისს მცხოვრები დრის (sic) ელბერდის ძე ქაშაევი და სალი ბასილის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატისს მცხოვრები ფედო საბანს ძე საბეგოვი.

ეგნატე, დაიბადა 5 ივნისს, მოინათლა 18 ივნისს. მშობლები: სოფელ სვაატისს მცხოვრები ილასა ყანოყის ძე ქაშაევი და რეზე სოსლანბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატისს მცხოვრები ბება ელოვის მეუღლე კამარი.

ილია, დაიბადა 10 ივნისს, მოინათლა 25 ივნისს. მშობლები: სოფელ სვაატისს მცხოვრები ასიბეგ ღუდარის ძე ქაშაევი და ნართა ბიდის ასული. მიმრქმელი – აბანოს პრიხოდის მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი].

თეკლე, დაიბადა 12 ივნისს, მოინათლა 29 ივნისს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ციცკა ლუარსაბის ძე თუაევი და ლიზა გიშის ასული. მიმრქმელი – აბანოს პრიხოდის მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი].

მარიამი, დაიბადა 8 ივნისს, მოინათლა 29 ივნისს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები დავით ებიყოს ძე თუაევი და სუსანა ქარქის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატისს მცხოვრები სტეფანე თუაევის მეუღლე ანუსია.

სალომე, დაიბადა 11 ივნისს, მოინათლა 20 ივნისს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სოლომან ებიყოს ძე თუაევი და ზალი ბეჰნის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები იაგორ თოთრაძის ძე ბერეზოვი.

ნიკოლოზი, დაიბადა 7 თებერვალს, მოინათლა 15 ივლისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ნიკიტა თამსრიყოს ძე ბულაცოვი და მართა ანდრიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ვანკა ნანეს ძე ცაბოლოვი.

გიორგი, დაიბადა 21 თებერვალს. მოინათლა 17 ივლისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ციცკა თამსრიყოს ძე ბულაცოვი და დედუ სტეფანეს ასული. მიმრქმელი – აბანოს პრიხოლის მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი].

ელისაბედი, დაიბადა 20 ივლისს, მოინათლა 30 ივლისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ვანკა ნანეს ძე ცაბოლოვი და კატი ლუარსანის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ვლადიმერ ძახოტის ძე ცაბოლოვი.

ქეთევანი, დაიბადა 3 აგვისტოს, მოინათლა 13 აგვისტოს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ვანო ქუცირის ძე ცაბოლოვი და გიგა ბერდის ასული. მიმრქმელი – აბანოს ეკლესიის პრიეტნიკი ათანასე გონგაძე.

ისიდორე, დაიბადა 3 აგვისტოს, მოინათლა 13 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ქოქაევი და დარიკო ბარანის ასული. მიმრქმელი – ყანობის პრიხოლის სოფელ ყურთის (sic) [ხურთისს] მცხოვრები იაგორ გრიგოლის ძე ჩქარიული [ჩქარეული].

სალომე, დაიბადა 5 სექტემბერს, მოინათლა 9 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ზაყაგორს მცხოვრები ალექსი ყურმანის ძე ჩეთოევი და სიდონია დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ბეჩირს ქაშეს ძე ბულაცოვი.

იოსები, დაიბადა 1 ნოემბერს, მოინათლა 10 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები მიხეილ იორდანეს ძე თათაროვი და მაგდან ბიმბოლათის ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის კაიშაურის პრიხოლის სოფელ ზაქაძეს (?) მცხოვრები ივანე ბერის ძე ზაქაევი.

იაკობი, დაიბადა 2 ნოემბერს, მოინათლა 15 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ილარიონ როსტომის ძე ქაშაევი და სალომე ძარახის ასული. მიმრქმელი – აბანოს პრიხოლის მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი].

ანნა, დაიბადა 1 დეკემბერს, მოინათლა 8 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები ვანო ძიბეს ძე ხამიცოვი და მართა ბადის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო დესს მცხოვრები ბათრამა **ლევანის** ძე ყაზიევი.

მარიამი, დაიბადა 8 დეკემბერს, მოინათლა 15 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ალექსანდრე ისას ძე მირქაევი და **ნატო** ყანიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სტეფანე დუდას ძე თუაევი.

მარიამი, დაიბადა 10 დეკემბერს, მოინათლა 27 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალექსანდრე თამსრიყოს ძე ბულაცოვი და ნადია ივანეს ასული. მიმრქმელი – აბანოს პრიხოლის მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი].

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ ტეფს მცხოვრები **ნიკო** საბანის ძე ქალოევი. 50 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ რესს მცხოვრები თოსე გაბულოვის ასული **თეკლე**. 45 წლის. მეორე ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 თებერვალს.

სასიძო, სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები ციცი ალექსის ძე გუდიევი. 45 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები გიძი ბერეზოვის ასული სალომე. 20 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 17 აგვისტოს.

სასიძო, გორის უეზდის ედისის პრიხოლის სოფელს ჩელიათს მცხოვრები ხარიტონ თემრიყოს ძე ძუკაევი. 17 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო დესს

მცხოვრები სოსლან ყაზიევის ასული ლიზა. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 10 ნომბერს.

სასიძო, სოფელ ოქროყანას მცხოვრები მიხეილ დავითის ძე ძალაგოვი. 43 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები ადამა ცაბოლოვის ასული სოფიო. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 10 ნომბერს.

სასიძო, სოფელ ბაზილანს მცხოვრები კოსტანტინე ძაკოს ძე აბაევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სვაატის მცხოვრები გული ელოევის ასული სოფიო. 17 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 10 ნომბერს.

სასიძო, სოფელ მნას მცხოვრები ვლადიმერ ზაურბეგის ძე ქაშაევი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები ბათრად ბოცუევის ასული სალომე. 20 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნომბერს.

სასიძო, სოფელ რესს მცხოვრები **ლევან** მიხეილის ძე ყუსეევი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები ქარქი ბოცუევის ასული სალიმეთ. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნომბერს.

სასიძო, სოფელ აბანოს მცხოვრები სოლომან გავის ძე ცაბოლოვი. 19 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ცორმან ქოქაევის ასული ბალე (sic). 17 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნომბერს.

სასიძო, გორის უეზდის ედისის პრიხოდის სოფელ ედისს მცხოვრები მაქსიმე ბიციკოს ძე ძესიშვილი (?). 53 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები თაკა ქოქაევის ასული სოფიო. 35 წლის. მეორე ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 14 ნომბერს.

გარდაცვალებულთათვის

„დაიმარხნენ საზოგადო სასაფლაოზე.“

გიმარას მცხოვრები გიძი ბერეზოვის ქალი მართა გარდაიცვალა 7 იანვარს, დაიმარხა 9 იანვარს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

აბანოს მცხოვრები აფაყო საპიევის დედა დარეჯან გარდაიცვალა 23 თებერვალს, დაიმარხა 25 თებერვალს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

სივირავს მცხოვრები ალინბეგ ყალაგოვის დედა თუთი გარდაიცვალა 27 თებერვალს, დაიმარხა 29 თებერვალს (sic). 85 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

რესს მცხოვრები მიხეილ ყუსეევის დედა **დარეჯან** გარდაიცვალა 20 მარტს, დაიმარხა 22 მარტს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ტეფს მცხოვრები არიშხან ყალაგოვის მეუღლე **დარიკო** გარდაიცვალა 24 მარტს, დაიმარხა 26 მარტს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლითა.

სვაატის მცხოვრები ცეცა (sic) სამბეგოვის ქალი სონია გარდაიცვალა 25 მარტს, დაიმარხა 27 მარტს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ჩეთირს მცხოვრები ათანასე ბუბულას ძე ქოქაევი გარდაიცვალა 8 აპრილს, დაიმარხა 10 აპრილს. 32 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

ზაყაგორს მცხოვრები ზაბე ჩეთოევი გარდაიცვალა 11 აპრილს, დაიმარხა 13 აპრილს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ცოცოლთას მცხოვრები ციპუ ბულაცოვის მეუღლე ოლღა გარდაიცვალა 16 აპრილს, დაიმარხა 18 აპრილს. 23 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ბურმასიგს მცხოვრები **გლახა** გაბრიელის ძე თუაევი გარდაიცვალა 17 აპრილს, დაიმარხა 19 აპრილს. 63 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

ჩეთირს მცხოვრები ბიბო ქოქაევის მეუღლე ყიზმიდე გარდაიცვალა 22 აპრილს, დაიმარხა 24 აპრილს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ტეფს მცხოვრები ციცილა ყალაგოვის მეუღლე ჩაბე გარდაიცვალა 25 აპრილს, დაიმარხა 27 აპრილს. 90 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ყარათყავს მცხოვრები თაფსიყო ურთაევის მეუღლე ძითი გარდაიცვალა 5 ივნისს, დაიმარხა 7 ივნისს. 65 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალშიდ დაიხრჩო.

ბურმასიგს მცხოვრები ნიკოლოზ თუაევის ქალი მარიამი გარდაიცვალა 12 ივნისს, დაიმარხა 14 ივნისს. 7 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

აბანოს მცხოვრები ეჩიმა ცაბოლოვის ქალი **ნინო** გარდაიცვალა 20 ივნისს, დაიმარხა 22 ივნისს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ტეფს მცხოვრები აბრამა ნალიყის ძე ყალაგოვი გარდაიცვალა 19 ივლისს, დაიმარხა 22 ივლისს. 20 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ყარათყავს მცხოვრები ივანე ურტაევის მეუღლე სალომე გარდაიცვალა 25 ივლისს, დაიმარხა 27 ივლისს. 25 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ტეფს მცხოვრები ანდრია ისას ძე ყალაგოვი გარდაიცვალა 12 აგვისტოს, დაიმარხა 14 აგვისტოს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ცხენზედ გადავარდა.

გიმარას მცხოვრები გიგოლ ბოცუევის დედა გელისაბედ (sic) გარდაიცვალა 13 აგვისტოს, დაიმარხა 17 (sic) აგვისტოს 65 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ყარათყავს მცხოვრები მაირამ ურთაევის ქალი სალომე გარდაიცვალა 18 სექტემბერს, დაიმარხა 20 სექტემბერს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ცოცოლთას მცხოვრები ბატი ბიციკოს ძე ძანთიევი გარდაიცვალა 5 ნოემბერს, დაიმარხა 7 ნოემბერს. 65 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკით.

ტეფს მცხოვრები **სანდრო** თემრიყოს ძე ყალაგოვი გარდაიცვალა 6 ნოემბერს, დაიმარხა 8 ნოემბერს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

გიმარას მცხოვრები **გლახა** ბაბას ძე ბერეზოვი გარდაიცვალა 12 ნოემბერს, დაიმარხა 14 ნოემბერს. 57 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრით.

ყარათყავს მცხოვრები ივანე ურთაევი გარდაიცვალა 15 ნოემბერს, დაიმარხა 17 ნოემბერს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ზემო დესს მცხოვრები ბაზიკო (sic) ხამიცოვის მეუღლე გუტაზა გარდაიცვალა 17 ნოემბერს, დაიმარხა 19 ნოემბერს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ზემო დესს მცხოვრები ალექსანდრე ხამიცოვის დედა მაგდანა გარდაიცვალა 18 ნოემბერს, დაიმარხა 20 ნოემბერს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ყარათყავს მცხოვრები ბაჟი ბულაცოვის მეუღლე ზალი გარდაიცვალა 20 ნოემბერს, დაიმარხა 22 ნოემბერს. 77 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

გიმარას მცხოვრები **გლახა** ბერეზოვის მეუღლე **დარეჯან** გარდაიცვალა 24 ნოემბერს, დაიმარხა 26 ნოემბერს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკით.

ჩეთირს მცხოვრები ათანასე ქაშაევის ვაჟი ალექსანდრე გარდაიცვალა 20 ნოემბერს, დაიმარხა 23 ნოემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ზაყაგორს მცხოვრები ზაბე ჩეთოევის მეუღლე ძუათხან გარდაიცვალა 12 დეკემბერს, დაიმარხა 14 დეკემბერს. 80. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ცოცოლთას მცხოვრები ციცკა ძანთიევის ვაჟი მიხეილი გარდაიცვალა 28 დეკემბერს, დაიმარხა 30 დეკემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №31

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს, აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის

ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1901 წელი

მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი - ნ.შ.], პრიჩეტნიკი ათანასე გონგაძე
დაბადებულთათვის¹

ეკატერინე, დაიბადა 11 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები სჟე(?) ზაურბეგის ძე ქაშაევი და ნატო...² მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები ვასჟე ქოქაევის მეუღლე **თამარი** ქაშეს ასული.

ელისაბედი, დაიბადა 13 იანვარს, მოინათლა 25 იანვარს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები მიტკა გობის ძე ქაშაევი და მარიამ ა... მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები ბისო ელიმირზას ძე ქოქაევი.

ნიკოლოზი, დაიბადა 15 იანვარს, მოინათლა 30 იანვარს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ფედრი (sic) სუდარის ძე ბოცუევი და ფათი სტეფანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ქუდიგურა ბოცუევის მეუღლე მაგდანი ბერდას ასული.

ვარვარა, დაიბადა 17 იანვარს, მოინათლა 31 იანვარს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები მიტკა დამბოლათის ძე ბერეზოვი და მარიამ მაქსის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ციცკა ბერეზოვის ასული **ნინო**.

ეკატერინე, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 8 თებერვალს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები გაბე გიშკას ძე ბერეზოვი და **ბაბაღე** იესეს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები მიტკა დამბოლათის ძე ბერეზოვი.

ნინო, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 13 თებერვალს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ალექო (sic) თეფსრიყოს ძე ქალოევი და ანნა გიშერის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ესტატე დოხციყოს ძე ყალაგოვი.

გრიგოლი, დაიბადა 10 თებერვალს, მოინათლა 23 თებერვალს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები **ნიკო** დუდას ძე დანთიევი და ჩაბე დანასპის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ალექსანდრე დანთიევის მეუღლე მელექ ელბიზდიყოს ასული.

გაბრიელი, დაიბადა 12 თებერვალს, მოინათლა 25 თებერვალს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები **ციცკა** (sic) ქაქოს ძე დანთიევი და **ნინო** ბუტუს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები იაგორ თოთრაძის ძე ბერეზოვი.

ბესარიონი, დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 10 მარტს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ტილო (sic) ცორეს ძე დანთიევი და სოფიო ინარიყოს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ალექო (sic) გუდის ძე თაკაევი.

ვლადიმერი, დაიბადა 3 მარტს, მოინათლა 13 მარტს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები **შიო** ქუციკის ძე დანთიევი და მაგდან დიდოს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები კაფი დანთიევის მეუღლე კატიანე (sic).

ასინეთი (sic), დაიბადა 5 მარტს, მოინათლა 15 მარტს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ბადი ბიციკოს ძე დანთიევი და ბარბარე ძიბის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ტერო ბოცუევის მეუღლე სალომე მზარის (sic) ასული.

იოსები, დაიბადა 8 მარტს, მოინათლა 19 მარტს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები თოთიკა **ფარნაოზის** ძე ქოქაევი და ლიზა ვასჟეს ასული. მიმრქმელი – სოფელ სტეფანწმინდას მცხოვრები სვიმონ იოსების ძე ალბეგოვი [ალიბეგაშვილი].

¹ დოკუმენტის პირველი ორი გვერდი დაზიანებულია და ნაწერი აღარ იკითხება.

² მამის სახელი აღარ იკითხება.

მაშო, დაიბადა 9 მარტს, მოინათლა 19 მარტს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ძათე ძიგვის ძე ცალაგოვი და **მარიწე** ინარიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები ბეცი როსტომის ძე ქოქაევი.

ელისაბედი, დაიბადა 8 მარტს, მოინათლა 20 მარტს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები გაგი (sic) გობის ძე ქაშაევი და კატი (sic) დიდის ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები **ბიბო** ქოქაევის ასული **ნინო**.

ლიზა, დაიბადა 12 მარტს, მოინათლა 23 მარტს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ყასპოლ ბუბულას ძე ქაშაევი და აფინე ცოფანის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ალექსანდრე ხეცას (sic) ძე ცაბოლოვი.

მაიკო, დაიბადა 11 მარტს, მოინათლა 28 მარტს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ვლადიმერ ძახოტის ძე ცაბოლოვი და სალომე გაბარის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბიდარას მცხოვრები მიხეილ ციციკას ძე ბიდაროვი.

ნადია, დაიბადა 15 მარტს, მოინათლა 30 მარტს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები **სანდრო** ფარსეს ძე ურთაევი და გოსე ზნაურის ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ალექსანდრე ძანალდის ძე ძანთიევი.

მართა, დაიბადა 15 მარტს, მოინათლა 31 მარტს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ფედრი (sic) გოდახის ძე საპიევი და გოსე ლუარსანის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები იაგორ ცაბოლოვის მეუღლე **თამარა**.

ნინო, დაიბადა 1 აპრილს, მოინათლა 8 აპრილს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ციცკა გასპოლის ძე ბიზიკოვი და **ბაბაღე** ყაზიხანის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ალექსანდრე ცაბოლოვის ასული¹.

სოფიო, დაიბადა 1 აპრილს, მოინათლა 8 აპრილს. მშობლები: სოფელ სვაატისს მცხოვრები მოსე თოთრიბეგის ძე ქაშაევი და **მარიწე** როსტომის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატისს მცხოვრები ბეზა ელოევის მეუღლე კამარო ბადის ასული.

კოსტანტინე, დაიბადა 3 აპრილს, მოინათლა 10 აპრილს. მშობლები: სოფელ სვაატისს მცხოვრები თათე ციპუს ძე ქაშაევი და მარიამ ბასილის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ვლადიმერ აფაყოს ძე ბაციევი.

ეფემია, დაიბადა 7 აპრილს, მოინათლა 14 აპრილს. მშობლები: სოფელ სვაატისს მცხოვრები ცეცა (sic) ცალიკის ძე სამბეგოვი და სიდონია ბადის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატისს მცხოვრები გიგო ბაზირის ძე ბაციევი.

ელისაბედი, დაიბადა 6 აპრილს, მოინათლა 14 აპრილს. მშობლები: სოფელ სვაატისს მცხოვრები კოსტა ცალიკის ძე ქაშაევი და ლიზა ალინბეგის ასული. მიმრქმელი – ვლადიმერ აფაყოს ძე ბაციევი².

ეკატერინე, დაიბადა 8 აპრილს, მოინათლა 18 აპრილს. მშობლები: სოფელ სვაატისს მცხოვრები მიშკა ძიმეს ძე სამბეგოვი და ყიზმიდე ცორეს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები გიგო ბაზირის ძე ბაციევი.

ისიდორე, დაიბადა 9 აპრილს, მოინათლა 18 აპრილს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები განძი ძიგვის ძე ცალაგოვი და მაგდან ბაზიკის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები მიხეილ ქოქაევის მეუღლე მაშო ილიცის ასული.

¹ მიმრქმელის სახელი არ წერია.

² მიმრქმელის სოფელი არ წერია.

ივანე, დაიბადა 9 აპრილს, მოინათლა 18 აპრილს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ყირიმსოლთან (sic) ცოფანის ძე ქოქაევი და ნალდისე გაგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები ლოშკი (sic) ელძარყოს ძე ქაშაევი.

სალომე, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 19 აპრილს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები სიმან ძიგვის ძე ცალაგოვი და სანთი (sic) თოთრაძის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები იაგორ ფარსეს ძე ცაბოლოვი.

ანნა, დაიბადა 11 აპრილს, მოინათლა 19 აპრილს. მშობლები: ამავე სოფელს მცხოვრები ბატი ცოფანის ძე ქოქაევი და მაშო ნალიყის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ადამა ქოქაევის ასული სონა.

ეფრემი (უკანონო), დაიბადა 15 აპრილს, მოინათლა 30 აპრილს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ალოშკა ელძარყოს ძე ქაშაევი და უკანონო ცოლი ამისა ელუკია ბიზის ძის ქოქაევის ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათს მცხოვრები ალექსანდრე მიტკას ძე თუაევი.

თინათინი, დაიბადა 15 აპრილს, მოინათლა 30 აპრილს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ტური (sic) გარსის ძე გაბულოვი და **ნატო** გიგოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები თოთრიყა ყალაგოვის მეუღლე სახარა.

სვიმონი, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 8 მაისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ბეზა ელბიზდიყოს ძე ყუსევი და ლეზო გაგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები ნიკოლოზი ყალაგოვის მეუღლე თავისა (sic) გიცას ასული.

ლიზა, დაიბადა 2 მაისს, მოინათლა 8 მაისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ვანო გაუსის ძე კუძიევი და მაკა ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები ღრიცკა (sic) ყალაგოვის მეუღლე აფინე გისის ასული.

ოლდა, დაიბადა 3 მაისს, მოინათლა 10 მაისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები მიხეილ ბაიმეთის ძე ყუსევი (sic) და კატინე პეტრეს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები თასო ქალმანოვის ასული სოფიო.

პავლე, დაიბადა 5 მაისს, მოინათლა 12 მაისს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები ისაკო პეტრეს ძე ყუსევი და გიგი თაშოს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები მიხეილ გარსოს ძე გაბულოვი.

პლატონი, დაიბადა 8 მაისს, მოინათლა 18 მაისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ხასაყო ასიკოს ძე ბერეზოვი და აღათი ძანალდის ასული. მიმრქმელი – აბანოს პრიხოლის მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი].

ისიდორე, დაიბადა 15 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ნიკოლოზ ლუარსანის ძე თუაევი და გოსე თათარყოს ასული. მიმრქმელი – აბანოს პრიხოლის მღვდელი ზაქარია პეტრიევი [პეტრიაშვილი].

დიმიტრი, დაიბადა 8 ივნისს, მოინათლა 17 ივნისს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები მიტკა ფის ძე თუაშვილი და **მარინე** თასის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ბათრამა თუაევის მეუღლე ნალმის გაგის ასული.

ხარიტონი, დაიბადა 10 ივნისს, მოინათლა 17 ივნისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ადამა ვასჭეს ძე ბულაცოვი და **ნინო** გეთეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები მიხეილ ფის ძე თუაევი.

იაკობი, დაიბადა 15 ივნისს, მოინათლა 25 ივნისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ყასპოლ ახმეთის ძე ბულაცოვი და მარინე ქუცირის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ასიკო ბერეზოვის მეუღლე ბობი მარტიას ასული.

მათე (უკანონო), დაიბადა 17 ივნისს, მოინათლა 30 ივნისს. მშობლები: სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ვანკა ბაიმეთის ძე მირქაევი და უკანონო ცოლი ამისი ლეზო დადის ასული მაყისშვილი¹. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები ისაკო ივანეს ძე ჩეთოევი.

მართა, დაიბადა 1 ივლისს, მოინათლა 9 ივლისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები გაბრიელ მუსეს ძე ბიზიკოვი და **თეკლე** მიხეილის ასული. მიმრქმელი – სოფელ ახალგორს მცხოვრები ბაგრათი ასლანის ძე ღურგოვი.

ევდოკია, დაიბადა 12 ივლისს, მოინათლა 23 ივლისს. მშობლები: სოფელ სვაატისს მცხოვრები ვანკა ბესეს ძე ელოევი და სადინეთ **ლევანის** ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები სერგო ბიძის ძე ჩეთოევი.

მარიამი, დაიბადა 1 აგვისტოს, მოინათლა 10 აგვისტოს. მშობლები: სოფელ სვაატისს მცხოვრები სოსლან ქუციკის ძე ქაშაევი და ბაბიზა (sic) დიდოს ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატისს მცხოვრები ვანკა ბესეს ძე ელოევი.

ეგნატე, დაიბადა 2 აგვისტოს, მოინათლა 10 აგვისტოს. მშობლები: სოფელ სვაატისს მცხოვრები ვლადიმერ სუდარის ძე ქაშაევი და აციმეზ გუძეს ძე ქაშაევი. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები გიგო ბაზირის ძე ბაციევი.

ისიდორე, დაიბადა 2 აგვისტოს, მოინათლა 12 აგვისტოს. მშობლები: სოფელ სვაატისს მცხოვრები გიგას (sic) ბაზირის ძე ბაციევი და ანიკო გიგოს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ყასპოლ დუდას ძე ქაშაევი.

მაკრინე, დაიბადა 8 აგვისტოს, მოინათლა 19 აგვისტოს. მშობლები: სოფელ სვაატისს მცხოვრები გიგოლ ბედის ძე ყოშკაევი და ტასია ყავდის ასული. მიმრქმელი – სოფელ სვაატისს მცხოვრები ქარქი (sic) ელოევის მეუღლე დაქემა იმათის ასული².

1901 წელს აგვისტოს 25 დღეს განვიხილე პირველი ნაწილი მეტრიკისა და აღმოჩნდა იგი შავისთანა სწორი – ბლადოჩინი მღვდელი ნიკიფორე კანდელიოვი (sic).

ჯვარდაწერილობათვის

სასიძო, სოფელ ზაყადგორს (sic) მცხოვრები ბორყო ბიასლანის ძე ჩეთოევი. 55 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები ცოფან ურთაევის ასული ნალყიზ. 30 წლის. მეორე ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 8 ივლისს.

სასიძო, სოფელ ბაზილანს მცხოვრები პავლე ზაურბეგის ძე ძაკაევი. 24 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები სულარ ბაცუევის ასული მარიამი. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 8 ივლისს.

სასიძო, სოფელ ნოგყავას (sic) მცხოვრები ანდრია დუდას ძე ძილიევი. 29 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები ბიტი ქოქაევის ასული პელო. 19 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 8 ივლისს.

1901 წელს აგვისტოს 25 დღეს განვიხილე მეორე ნაწილი მეტრიკისა და აღმოჩნდა იგი შავისთანა სწორი – ბლადოჩინი მღვდელი ნიკიფორე კანდელიოვი (sic).

სასიძო, სოფელ კობს მცხოვრები ალექსანდრე ყუდეს ძე თუაევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები ვანკა ცაბოლოვის ასული გოსე სალომე (sic). 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

¹ მაყისშვილის გვარი სხვა ხელით და მელნით არის ჩაწერილი.

² დაბადებულთა რეგისტრაცია მთავრდება აგვისტოს თვით, აქედან გამომდინარე არასრული უნდა იყოს.

სასიძო, სოფელ აბანოს მცხოვრები გიორგი გუძინის ძე ბიზიკოვი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სვაატის მცხოვრები ალექსი ბაციევის ასული მამო. 17 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ გიმარას მცხოვრები ლაზიარე (sic) როსტომის ძე ბერეზოვი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ბურაბა ხამიცოვის ასული **თამარ**. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ რესს მცხოვრები ხასაყო ელბიზდიყოს ძე ყუსევი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სვაატის მცხოვრები ყარამან ბაციევის ასული **თექლე**. 19 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები ივანე **გახას** ძე გუდიევი. 19 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები ნიკოლოზ ცაბოლოვის ასული სოფიო. 17 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ შავარდენს მცხოვრები რაჟდენ ყუდაბერდას ძე ქოქაევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სვაატის მცხოვრები ბესე ელოევის ასული **ნინო**. 17 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ სვაატის მცხოვრები ძაბო ქარქის ძე ელოევი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, ამავე სოფელს მცხოვრები იორდანე სამბეგოვის ასული სალომე. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, გორის უეზდის სოფელს სიბას მცხოვრები ზაქარია ციცის ძე აბაევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები ციცკა ბერეზოვის ასული **ნინო**. 19 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, გორის უეზდის სოფელ სიბას მცხოვრები ზაქარია უბის ძე აბაევი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები სოსლინბეგ ქოქაევის ასული მამო. 20 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ მნას მცხოვრები ესტატე ბესდიყოს ძე აბაევი. 27 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სვაატის მცხოვრები სულარ ქაშაევის ასული სალომე. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალექსანდრე ზაურბეგის ძე ურთაევი. 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები **სანდრო** თაკაევის ასული მაკა. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

ყარათყავს მცხოვრები სანდრო კუმალაკოვის მეუღლე იმანყიზ გარდაიცვალა 15 იანვარს, დაიმარხა 17 იანვარს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ჯიმარას მცხოვრები ბოძი ბერეზოვის ვაჟი ფედი (sic) გარდაიცვალა 18 იანვარს, დაიმარხა 20 იანვარს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ცოცოლთას მცხოვრები კოლო ძანთიევის მეუღლე მქვრივი (sic) ვაჟი ამტონი (sic) გარდაიცვალა 23 იანვარს, დაიმარხა 25 იანვარს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელი ტკივილით.

ყარათყავს მცხოვრები საფარ (sic) ურთაევის მქვრივი ბიცოლა მელექა. გარდაიცვალა 24 იანვარს, დაიმარხა 26 იანვარს. 82 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

სივირავს მცხოვრები გიორგი ყალაგოვის ვაჟი ვლადიმერი გარდაიცვალა 13 თებერვალს, დაიმარხა 15 თებერვალს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

სვაატის მცხოვრები ყანიყო ბიზეს ძე ქაშაევი გარდაიცვალა 8 მარტს, დაიმარხა 10 მარტს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკით.

სვაატის მცხოვრები ნიკოლოზ ყავდინის ძე ქაშაევი გარდაიცვალა 18 მარტს, დაიმარხა 20 მარტს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკით.

ტეფს მცხოვრები თოთიკა თეკას ძე ყალაგოვი გარდაიცვალა 21 მარტს, დაიმარხა 23 მარტს. 65 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

რესს მცხოვრები ხუჯა ხასლიყოს ძე გაბულოვი გარდაიცვალა 9 აპრილს, დაიმარხა 10 აპრილს. 78 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ზაყაგორს მცხოვრები ბორყო ჩეთოევის მეუღლე მელექა გარდაიცვალა 16 აპრილს, დაიმარხა 18 აპრილს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკით.

სვაატის მცხოვრები ბაზიკო ყოშკაევი გარდაიცვალა 18 აპრილს, დაიმარხა 20 აპრილს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

აბანოს მცხოვრები სიმან (sic) ბარსავის ძე ბიზიკო გარდაიცვალა 25 მაისს, დაიმარხა 27 მაისს. 67 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ზემო დესს მცხოვრები მახამეთ ბესო (sic) ყირდაევი გარდაიცვალა 11 ივლისს, დაიმარხა 13 ივლისს. 58 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკით.

ცოცოლთას მცხოვრები დიმიტრი დუდას ძე ძანთიევი გარდაიცვალა 14 ივლისს, დაიმარხა 16 ივლისს. 23 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლისაგან.

ბურმასიგს მცხოვრები გაბრიელ თუაევის ვაჟი გიორგი გარდაიცვალა 29 ივლისს, დაიმარხა 30 ივლისს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლექით.

სვაატის მცხოვრები ღრისა (sic) ქაშაევის ვაჟი ხარიტონ გარდაიცვალა 10 აგვისტოს, დაიმარხა 12 აგვისტოს. 8 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ბუასილით.

ჩეთირს მცხოვრები გიორგი ქაშაევი უკანონოდ დაბადებული გარდაიცვალა 29 აგვისტოს, დაიმარხა 30 აგვისტოს. 15 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ცხენმა დაამტვრია.

ჩეთირს მცხოვრები ძათე ცალაგოვის ასული მამო გარდაიცვალა 8 სექტემბერს, დაიმარხა 10 სექტემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრათ.

აბანოს მცხოვრები ლევან დიგის ძე ბიზიკოვი გარდაიცვალა 1 ოქტომბერს, დაიმარხა 3 ოქტომბერს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ქვემო დესს მცხოვრები ალექსანდრე მირქაევის მეუღლე ნატო გარდაიცვალა 11 ნოემბერს, დაიმარხა 13 ნოემბერს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – კაცის ხელით.

გიმარას მცხოვრები ალექსანდრე ბერეზოვის მეუღლე მამო გარდაიცვალა 25 ნოემბერს, დაიმარხა 27 ნოემბერს. 34 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

სვაატის მცხოვრები ყასპოლ ქაშაევის ვაჟი ზაქარია გარდაიცვალა 15 დეკემბერს, დაიმარხა 17 დეკემბერს. 9 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №32

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს, აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის

ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1902 წელი

მღვდელი ზაქარია პეტრევი [პეტრიაშვილი - ნ.შ.], პრიჩეტნიკი ათანასე გონგაძე
დაბადებულთათვის¹

ანნა, დაიბადა 12 იანვარს, მოინათლა 23 იანვარს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ნიკალა ზნაური ძე ყალაგოვი და ლეზნკა (sic) აიდარიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები თაზირდი (sic) ბუტუს ძე კუძიევი.

ვერიჩკა (უკანონო), დაიბადა 15 იანვარს, მოინათლა 29 იანვარს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები გაგი გახას ძე ყარაევი და უკანონო ცოლი ამისი მაიკო წიწოს (sic) ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ძახო ცაბოლოვის მეუღლე საბე ძახოს ასული.

ვასილი, დაიბადა 20 იანვარს, მოინათლა 3 თებერვალს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები სიმონ ელმარზას ძე ბელოცოვი და ნინო გულუს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები საფარა გლახას ძე ურთაევი.

სოფიო, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 9 თებერვალს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ალექსანდრე გაგის ძე ურთაევი და სალიმეთ მნძიკის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ფიმი (sic) ალექსანდრეს ძე ბულაცოვი.

ირინე, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 15 თებერვალს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ცომაყა იბაყის ძე ბულაცოვი და თეკლე დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სტეფანე დედის ძე თუაშვილი.

ესტატე, დაიბადა 8 თებერვალს, მოინათლა 18 თებერვალს. მშობლები: სოფელ სუატისს მცხოვრები ილასა ყანიყოს ძე ქაშაევი და ჩესედო სოსლანბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილენს მცხოვრები პავლე ზავბეგის ძე ძაკაევი.

დათიკო, დაიბადა 9 მარტს, მოინათლა 18 მარტს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ციციკო ქისილის ძე ურთაევი და სოფიო ალინბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები ცორე კუმელაკოვის მეუღლე მელექა.

შაქრო (უკანონო), დაიბადა 1 აპრილს, მოინათლა 8 აპრილს. მშობლები: სოფელ რეშიდ (sic) [რესში] მცხოვრები ძირა ხასოხის ძე ყუსევი და უკანონო ცილი ამისი ელისა გაიდეს ასული. მიმრქმელი – სოფელ რესშიდ (sic) მცხოვრები ბუტი კუძიევის მეუღლე მაია.

ტიმოთე, დაიბადა 3 აპრილს, მოინათლა 9 აპრილს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები გუდინა ჩუშკას ძე გაბულოვი და ხან (sic) გუდარიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები ყუბა ყუსევის მეუღლე სახედ.

შაქრიკო-ზაქარია (sic), დაიბადა 3 აპრილს, მოინათლა 9 აპრილს. მშობლები: სოფელ რეშიდ (sic) მცხოვრები გიორგი საბანის ძე ძაკაევი და დოყიზა პეტრეს ასული. მიმრქმელი – სოფელ რესში მცხოვრები ძატე ყუსევის მეუღლე დედუ.

მიხეილი, დაიბადა 5 აპრილს, მოინათლა 12 აპრილს. მშობლები: სოფელ ტეფში მცხოვრები მიტკა ზაბეს ძე ყალაგოვი და გიზი ნინიას ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ალექსანდრე ძანალდის ძე ძანთიევი.

ნინო, დაიბადა 7 აპრილს, მოინათლა 17 აპრილს. მშობლები: სოფელ ტეფშიდ მცხოვრები დათი (sic) გიშენის ძე ყალაგოვი და ტასია თაფსრიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფში მცხოვრები სოსლანა ყალაგოვის მეუღლე ხაირა.

¹ პირველ სამ ფურცელზე ნაწერი ადარ იკითხება.

პელაგია, დაიბადა 13 აპრილს, მოინათლა 20 აპრილს. მშობლები: სოფელ ქვემო დესში მცხოვრები იაგორ დავითის ძე სალიბიშვილი (sic) [სალბიშვილი] და **დარეჯან** ციპურის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ქიქი ალექსი ფის ძე თუაშვილი.

ნიკოლოზ, დაიბადა 15 აპრილს, მოინათლა 26 აპრილს. მშობლები: სოფელ ზემო დეშიდ (sic) მცხოვრები ვანო აბისალის ძე ხამიცოვი და ჩაბე ცორმანის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანს მცხოვრები ზაურბეგ ძაკაევის მეუღლე მარიამ.

თომა, დაიბადა 16 აპრილს, მოინათლა 26 აპრილს. მშობლები: სოფელ ზემო დეს მცხოვრები ვანო ძიბეს ძე ხამიცოვი და თამარ ბადის ასული. მიმრქმელი – ამავე დეშიდ მცხოვრები ბათრადე **ლევანის** ძე ყაზიევი.

თინათინი, დაიბადა 20 აპრილს, მოინათლა 30 აპრილს. მშობლები: სოფელ ზემო დეშიდ(sic) მცხოვრები სოსლანბეგ ძახოს ძე ყაზიევი და ირინე ქუძანის ასული. მიმრქმელი – ამავე დეშიდ მცხოვრები ბაირ დამიცოვის მეუღლე ბარბარე.

ილიკო, დაიბადა 2 მაისს, მოინათლა 13 მაისს. მშობლები: სოფელ ზაყაგორს მცხოვრები გიგო ივანეს ძე ჩეთოევი და ფათიმეთ იბაყის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ვანკა ნანოს ძე ცაბოლოვი.

ალექსანდრე, დაიბადა 7 მაისს, მოინათლა 18 მაისს. მშობლები: სოფელ ქვემო დეშიდ მცხოვრები ზურაბა ბიძიგას ძე ხამიცოვი და **მაიკო** ძანგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავს მცხოვრები აირმ (sic) გაგის ძე ურთაევი.

სოლომან, დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 20 მაისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები სიმონ ძანალდის ძე ძანთიევი და ზალი ძიდის ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ალექსი თოთას ძე ბულაცოვი.

მამო, დაიბადა 11 მაისს, მოინათლა 20 მაისს. მშობლები: ამავე სახლში მცხოვრები ალექსანდრე ძანალდის ძე ძანთიევი და მელექა ელბიზდიყოს ასული. მიმრქმელი – ედისის პრიხოდის და თვით ედიშიდ მცხოვრებელი ინუსა გაბის ძე ბასიევი.

ექვთიმე, დაიბადა 20 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სოსლან ცოფანის ძე თუაევი და ჩაბე თათალოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ქიქი ფის ძე თუაევი.

სოფიო, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 9 ივნისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები არტემ გიდის ძე ტაკაევი და მარიამ ვასილის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები მიხეილ თუაევის მეუღლე **ქალი** (sic).

კოსტანტინე, დაიბადა 9 ივნისს, მოინათლა 18 ივნისს. მშობლები: სოფელ სუეტისს მცხოვრები ინუსა ბაზიკოს ძე კომკაევი და **თეკლე** ზნაურის ასული. მიმრქმელი – სოფელ სუეტისს მცხოვრები ვანკა ელოევის მეუღლე სანინეთ (sic) **ლევანის** ასული.

ყარამან, დაიბადა 12 ივნისს, მოინათლა 22 ივნისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები სიმონ ძიგვის ძე ცალაგოვი და სახთი თოთრადის ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩეთირს მცხოვრები **სანდრო** ქოქაევის უკანონო ცოლი სახთი ძახოს ასული.

საბა, დაიბადა 1 ივლისს, მოინათლა 8 ივლისს. მშობლები: სოფელ სიბირავოს¹ მცხოვრები ალექსანდრე ალინბეგის ძე ყალაგოვი და ზაქე სულარის ასული. მიმრქმელი – სოფელ რეში მცხოვრები მიში (sic) გიშოს ძე ყუსევი.

ალექსანდრე, დაიბადა 3 ივლისს, მოინათლა 9 ივლისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები გაბე გიშკას ძე ბერეზოვი და **ბაბალე** იესეს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები კოლა ასიკოს ძე ბერეზოვი.

¹ სოფელ სიბირაოს არ უწერია მაზრა და სამრევლო.

ზურაბა, დაიბადა 3 ივლისს, მოინათლა 11 ივლისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ტერო (sic) გეთეს ძე ბოცუევი და სალომე მზორის ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარას მცხოვრები ნიკოლოზ ბოცუევის მეუღლე მარინე.

ნესტორი, დაიბადა 10 ივლისს, მოინათლა 20 ივლისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები ციცა თამსრიყოს ძე ბულაცოვი და დედუ სტეფანის ასული. მიმრქმელი – აბანოს პრიხოდის მღვდელი ზაქარია რომანის ძე პეტრიევი [პეტრიაშვილი].

ეკატერინე, დაიბადა 13 ივლისს, მოინათლა 20 ივლისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები გაბე ელმრზიყოს ძე ბულაცოვი და **ქალი** მზორყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ცდოს მცხოვრები კოტე ლევანის ძე წიკლაური.

1902 წელს აგვისტოს 24 დღესა განვიხილე ჰირველი ნაწილი მეტრიკისა და აღმოჩნდა იგი ზოგიერთი სახელები უკანონოსა; ზოგიერთი მიმქმელთა მამის სახელი არ არის მოხსენიებული. ორი უკანონო მამრისა და მდედრის არ არის კანონიერ ფორმაზე ჩაწერილი. ბლადოჩინი მღვდელი ნიკიფორე კანდელაჟი [კანდელაჟი]¹.

მიხეილი, დაიბადა 1 აგვისტოს, მოინათლა 8 აგვისტოს. მშობლები: სოფელ რეშიდ მცხოვრები ჩესა ვასაგეს ძე ყუსევი და ქიქა საკას ასული. მიმრქმელი – სოფელ რესს მცხოვრები სოსლანბეგ ყუდაბერდის ძე ქალმანოვი.

სოლომან, დაიბადა 5 აგვისტოს, მოინათლა 13 აგვისტოს. მშობლები: სოფელ რეშიდ მცხოვრები გაგი გიშის ძე ყუსევი და მამო ბათრადის ასული. მიმრქმელი – სოფელ რეშიდ მცხოვრები პეტრე ყუსევის მეუღლე გიტო გეთეს ასული.

დარიკო, დაიბადა 10 აგვისტოს, მოინათლა 20 აგვისტოს. მშობლები: სოფელ რესს მცხოვრები თაზირეთ ბუტუს ძე კუძიევი და მამო გარსოს ასული. მიმრქმელი – სოფელ რეშიდ მცხოვრები ჩესა ყუსევის ასული ნადვე.

სოფიო, დაიბადა 4 ოქტომბერს, მოინათლა 20 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ალექო (sic) მიხეილის ძე ყალაგოვი და სალომე მიტკას ასული. მიმრქმელი – ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ ბაიკომს მცხოვრები დავით მაგკას ძე ქალოევი.

ალექსანდრე, დაიბადა 7 ოქტომბერს, მოინათლა 20 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები თემბოლათ ბატეს ძე ყალაგოვი და სასინკა ბეცას ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები ალექო ქალოევის ასული **დარიკო**.

სენიათი (sic)², დაიბადა 20 ოქტომბერს, მოინათლა 25 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ალექო ფეფსრიყოს ძე ქალოევი და ანნა გიშერის ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფს მცხოვრები დოხციყო ყალაგოვის ასული გაგუთ (sic).

ირინე (უკანონო), დაიბადა 1 ნოემბერს, მოინათლა 8 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ზაყაგორს მცხოვრები სერგო ბიძის ძე ჩეთოვი (sic) და უკანონო ცოლი ამისი სალომე ყულადარის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები **ლექსო** (sic) ჩეთოევის მეუღლე სიდონია დავითის ასული.

ლაზარე, დაიბადა 10 ნოემბერს, მოინათლა 25 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ქვემო დეშიდ (sic) მცხოვრები ნიკალა სილას ძე მირქაევი და ჩაბე **ლევანის** ასული. მიმრქმელი – აბანოს მღვდელი ზაქარია სიმონის (sic) ძე პეტრიევი [პეტრიაშვილი].

¹ მღვდელი ნიკიფორე კანდელაჟი 1901 წლის 1 თებერვალს დაინიშნა სტეფანწმინდის (ყაზბეგის) ეკლესიის მღვდლად და ღუმეთის მაზრის IV ოლქის მთავარხუცესად (ბლადოჩინად); ხოლო იმავე წლის 10 აპრილს – კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მიერ დაარსებული სტეფანწმინდის სკოლის მმართველად და საღვთო სჯულის მასწავლებლად – საპატრიარქოს არქივი. აღწერა 1, საქმე №128, 1909 წ. გვ.29-32.

² ქალის სახელია.

ეგნატე, დაიბადა 5 დეკემბერს, მოინათლა 15 დეკემბერს. მშობლები: სოფელ სუატის მცხოვრები ტატე ივანეს ძე ქაშაევი და მართა ქუცირის ასული. მიმრქმელი – სოფელ სუატის მცხოვრები ნალიყა ბიდარის ძე ქაშაევი.

პაველე (sic), დაიბადა 7 დეკემბერს, მოინათლა 17 დეკემბერს. მშობლები: სოფელ სუატის მცხოვრები იაგორ ყავიდანის ძე ქაშაევი და ბაბიზა გიხას ასული. მიმრქმელი – სოფელ სუატის მცხოვრები სიმონ გულის ძე ელოშვილი.

დავითი, დაიბადა 8 დეკემბერს, მოინათლა 18 დეკემბერს. მშობლები: სოფელ სუატის მცხოვრები ძაბო ქასაქის(?) ძე ელოშვილი და სალი (sic) იორდანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ სუატის მცხოვრები ნალიყა ქაშაევის მეუღლე მართა ელმარზას ასული.

ეფრემ, დაიბადა 10 დეკემბერს, მოინათლა 18 დეკემბერს. მშობლები: სოფელ სუატის მცხოვრები ხასაყო კლიცის ძე ქაშაევი და მამო სანდრის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ სუატის მცხოვრები ივანე ქაშაევის მეუღლე ჩენძე ბეგის ასული.

1903 წელს, 15 იანვარს განვიხილე პირველი ნაწილი მეტრიკისა და აღმოჩნდა რომელიმე მღვდრის სტატია (sic) არ არის ფორმაზედ დაწერილი, სახელები ზოგიერთ სტატიაში არ არის კანონიერი. ბლაღოჩინი მღვდელი ნიკიფორე კანდელაკოვი [კანდელაკი].

ჯვარდაწერილობათვის

სასიძო, სოფელ ტეფში მცხოვრები ივანე ბესთავის ძე ყალაგოვი. 35 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები თოთო ქოქაევის ასული ფედისია (sic). 25 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 16 თებერვალს.

სასიძო, სოფელ აბანოს მცხოვრები, **სანდრო** თოთიკოს ძე საპიევი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები **გლახა** ურთაევის ასული ლიზა. 17 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 მაისს.

სასიძო, სოფელ აბანოში მცხოვრები გიორგი ადამის ძე ცაბოლოვი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფში მცხოვრები სოსლანა ყალაგოვის ასული ტასია. 20 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 11 ივლისს.

სასიძო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ხასყო ბადილას ძე ბელაცოვი (sic). 30 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, ვლადიკავკაზის ოკრუგის ზაყის პრიხოდის სოფელ ბაიქომს მცხოვრები მზორ (sic) ქალოევის ასული **მაკრინე** (sic). 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 14 ივლისს.

სასიძო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები **სანდრო** ფარსას ძე კუმალაკოვი (sic). 35 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები დოლეთმირზე დანთიევის ასული ანუშკა. 23 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 20 ივლისს.

სასიძო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები არტემ ბასილის ძე ქალუშვილი (sic). 26 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, ღუშეთის უეზდის სოფელ სოყურთს (sic) მცხოვრები დავითა სოყუროვის (sic) ასული ნატალია. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 20 ივლისს.

სასიძო, ვლადიკავკაზის ოკრუგის ზაყის პრიხოდის სოფელსა ბაიქომს მცხოვრები ალექსანდრე მზორის ძე ქალოევი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფს მცხოვრები მიტკა ყალაგოვის ასული სოფიო. 20 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 4 ოქტომბერს.

სასიძო, ვლადიკავკაზის ოკრუგის ზაყის პრიხოდის სოფელ ბაიქომს მცხოვრები ზაქარია ზაბეს ძე ქალოევი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფს მცხოვრები მიხეილ ყალაგოვის ასული მართა. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 4 ოქტომბერს.

სასიძო, ვლადიკავკაზის ოკრუგის ზაყის პრიხოდის სოფელ აბაიანთყავს მცხოვრები სტეფან ლუარსაბის ძე აბაევი. 26 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ რესს მცხოვრები ილბიზდიყო ყუსევეის ასული ანნა. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 23 ოქტომბერს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები ზაქარია გაბრიელის ძე ქაშაევი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები ბიბო ქოქაევის ასული ნინო. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ილასა-ილია (sic) ქუციკის ძე ძანთიევი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები ასლანბეგ ქაშაევის ასული ანა. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები თომა მიხეილის ძე ძანთიევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ რეშიდ მცხოვრები თასო ქალმანიშვილის ასული სოფიო. 17 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

რეშიდ მცხოვრები ციპუ ელბიზდიყოს ძე ყუსევი გარდაიცვალა 25 იანვარს, დაიმარხა 27 იანვარს. 28 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლისაგან.

სუატის მცხოვრები ცორე ქაშაევის ძმისწული გარდაიცვალა 25 იანვარს, დაიმარხა 28 (sic) იანვარს 12 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლისაგან.

ოლდა, დაიბადა 10 თებერვალს, მოინათლა 28 თებერვალს. მშობლები: სოფელ ჯიმარაში მცხოვრები თოთრიყო გოგოს (sic) ძე ბოცოევი და პელაგია მიხეილის ასული. მიმრქმელი – სოფელ ძიმარას (sic) [გიმარა/ჯიმარა] მცხოვრები ასაკო ბერეზოვი.

სპირიდონი, დაიბადა 10 მარტს, მოინათლა 14 მარტს. მშობლები: სოფელ ზემო დესში მცხოვრები მუსე (sic) სოსლანის ძე ყაზიევი და გოსა ბათრადის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორში მცხოვრები კოლა ალექსის ძე ქეთოევი.

მინა³, დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 14 მარტს. მშობლები: სოფელ ზემო დესში მცხოვრები ვანო აბისის ძე ხამიცოვი და ქეაბა (sic) ცორმანის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ზაურბეგ ზარახის ძე ძაკაევი.

იასონ, დაიბადა 3 მაისს, მოინათლა 14 მაისს. მშობლები: სოფელ ქვემო დესში მცხოვრები ანდი ბაძიგოს ძე ხამიცოვი და მართა ნიკოლოზის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები გიორგი სილას ძე ბერეზოვი.

მიხეილი, დაიბადა 5 მაისს, მოინათლა 14 მაისს. მშობლები: სოფელ სუატისში მცხოვრები ვანკა ბესეს ძე ელოევი და **სიდონია ლევანის** ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები სერგო ივანეს ძე ქეთოევი.

კოსტანტინე, დაიბადა 10 ივლისს, მოინათლა 12 ივლისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს (sic) მცხოვრები თოთიკ ფარნასის ძე ქოქაევი და ლიზა გავისას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები სოსლანბეგის ძე ქასაევი⁴.

ვლადიმერი, დაიბადა 1 ივლისს, მოინათლა 12 ივლისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები სოსენ ანდრიას ძე კალაგოვი და **მაკრინა** (sic) ვაზგერის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები პეტრე გიშერის ძე კალაგოვი.

სტეფან, დაიბადა 1 ივლისს, მოინათლა 15 ივლისს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები დავით ელბიზდიყოს ძე თუაევი და დისო ქარქის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები სტეფან თუაევის მეუღლე ტასია გადოს ასული.

შიო, დაიბადა 4 ივლისს, მოინათლა 15 ივლისს. მშობლები: სოფელ კარათიკავას (sic) მცხოვრები სოსლან იბაყოს ძე ბულაცოვი და **თეკლე** დავითის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები სტეფან დუდარიყოს ძე თუაევი.

¹ მიმრქმელს არ უწერია სოფელი.

² არ უწერია სოფელი.

³ მამაკაცის სახელია.

⁴ მიმრქმელის სახელი არ წერია.

მარიამ, დაიბადა 5 ივლისს, მოინათლა 16 ივლისს. მშობლები: სოფელ ყარათყავას (sic) მცხოვრები **ვანო** ლევანის ძე ქასავეი და მაგდან **აზნაურის** (sic) ასული. მიმრქმელი – მიტკა თამსიყოს ძე ბულაცოვი¹.

გაბრიელი, დაიბადა 10 ივლისს, მოინათლა 16 ივლისს. მშობლები: სოფელ ტეფში მცხოვრები დიმიტრი ძაბეს ძე ყალაგოვი და გიზი **ნინიას** ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის სოფელ კომკას (sic) მცხოვრები ნესტორ მაქსიმეს ძე სოტიევი.

ანდრია, დაიბადა 1 ივლისს, მოინათლა 16 ივლისს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები გიორგი სიმონის ძე ბულაცოვი და ჩეაბა თემრიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები გაბრიელ მოსეს ძე ბიზიკოვი.

ალექსი, დაიბადა 1 ივლისს, მოინათლა 3 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ტეფში მცხოვრები **გლახა** თემრიყოს ძე ქალოევი და ოლდა გაბრიელის ასული. მიმრქმელი – იაგორ ბერიზოვის (sic) მეუღლე ბუბლა (sic) ვაზგერის ასული².

მაკრინა (sic), დაიბადა 16 ივლისს, მოინათლა 4 აგვისტოს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები ზარია (sic) საბანის ძე ძაკაევი და მარინე სიმონის ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის სოფელ სიბაში მცხოვრები ალექსი ინარიყოს ძე აბაევი.

ეფრემ, დაიბადა 3 ივლისს, მოინათლა 5 აგვისტოს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები ალექსანდრე ძარახის ძე ყუსაევი და **თეკლე** ტატოს (sic) ასული. მიმრქმელი – გიტკა ყუსაევის მეუღლე ხანგუა ალექსის ასული³.

ალექსი, დაიბადა 14 ივლისს, მოინათლა 17 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ზემო დესში მცხოვრები ივანე ძიბეს ძე ხამიცაევი და **თამარ** ბადილას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ბესო ღირდაევის (?) მეუღლე მარიამ თეიმურაზის ასული.

ლევანიდი (sic), დაიბადა 1 აგვისტოს, მოინათლა 10 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ჩეთირში მცხოვრები გიორგი თაკოს ძე ქოქაევი და ქოსერ ძიგას ასული. მიმრქმელი – აბრამ ცორმანის ძე ქოქაევი⁴.

სერგი, დაიბადა 15 აგვისტოს, მოინათლა 20 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები სიმონ ძანალდის ძე ძანთიევი და ზალი ზიდას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ალექსი თოთრადის ძე ბულაცოვი.

ქსენია, დაიბადა 19 აგვისტოს, მოინათლა 20 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები სოსიკ ძანალდის ძე ძანთიევი და სალომე ხალთის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ალექსი ქუცირის ძე ბოცოევი.

სპირიდონ, დაიბადა 15 აგვისტოს, მოინათლა 20 აგვისტოს. მშობლები: სოფელ სუატისში მცხოვრები სიმონ ბეჩირის ძე ქასაევი და ლიზა ყარამანის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ვანკა ბესეს ძე ელოევი.

გიორგი, დაიბადა 5 სექტემბერს, მოინათლა 10 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ჩეთირში მცხოვრები დიმიტრი ზნაურის ძე ქასაევი და მარინე განძის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ანდრია მიხეილის ძე ცაბოლოვი.

სერგი, დაიბადა 11 სექტემბერს, მოინათლა 15 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ჩეთირში მცხოვრები გიორგი გოძის ძე ქოქაევი და მარია (sic) ასეჯის ასული. მიმრქმელი – ბისო

¹ სოფელი არ წერია.

² სოფელი არ წერია.

³ აქაც, არ წერია სოფელი.

⁴ აქაც, არ წერია სოფელი.

ქოქავეის მეუღლე ლიზა ივანეს ასული¹.

სერგი, დაიბადა 3 სექტემბერს, მოინათლა 18 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ჩეთირში მცხოვრები ნესტორ ზაურბეგის ძე ქოქავეი და **მაკრინე** სიმონის ასული. მიმრქმელი – სოსლანბეგ ბაისის ძე ქოქავეი².

დავითი, დაიბადა 20 სექტემბერს, მოინათლა 20 სექტემბერს(sic). მშობლები: სოფელ ჩეთირში მცხოვრები დანბოლათ ცოფანის ძე ქოქავეი და ტასია თოთრაძის ასული. მიმრქმელი – სტეფან სოსლანბეგის ძე ქოქავეი³.

ზაქარია, დაიბადა 18 სექტემბერს, მოინათლა 20 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ჩეთირში მცხოვრები ზაქარია ძეგოს ძე ცალაკოვი და სახთი თოთრაძის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები იაგორ ფარსადანის ძე ცაბოლოვი.

ილარიონი, დაიბადა 14 სექტემბერს, მოინათლა 28 სექტემბერს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები მიხეილ ქუცირის ძე ცაბოლოვი სალომე მეგუდეს (sic) ასული. მიმრქმელი – აბანოს პრიხოლის მღვდელი სპირიდონ მახალდიანი.

დანიელი, დაიბადა 2 ოქტომბერს, მოინათლა 14 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ სუატისში მცხოვრები ნიკოლოზ გრიგოლის ძე ქასავეი და სოფიო ცაპოს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ყარაბეი (sic) თუღანის ძე ქასავეი.

ელისაბედი, დაიბადა 5 ოქტომბერს, მოინათლა 14 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ფედირ (sic) გოდახის ძე საპივეი და გოსეჯი ლუარსაბის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ლექსო გრიგოლის ძე ცაბოლოვი.

ნიკოლოზი, დაიბადა 1 ოქტომბერს, მოინათლა 15 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ასლან გოგას ძე ბიზიკოვი და ეკატერინე გაგის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანო მცხოვრები გაგი გახას ძე ქასავეი.

იოსებ, დაიბადა 15 ოქტომბერს, მოინათლა 20 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ტეფში მცხოვრები ფედირ (sic) ზაბეს ძე კალაგოვი და ნალყუთე (sic) თითის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ჯიმარას მცხოვრები ალექსი ქუცირის ძე ბოცოვეი.

პავლე, დაიბადა 22 ოქტომბერს, მოინათლა 28 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ტეფში მცხოვრები ალექსანდრე ყუდეს ძე კალაგოვი და მარიამ გიორგის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები პავლე დიმიტრის ძე ცაბოლოვი.

სპირიდონი, დაიბადა 3 ნოემბერს, მოინათლა 10 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ტეფში მცხოვრები იორდანე გუდეს ძე კალაგოვი და ოლღა ცალიკას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები თათი გიშერის ძე კალაგოვი.

ქსენია, დაიბადა 14 ნოემბერს, მოინათლა 10 ნოემბერს. მშობლები: სოფელ სუატისში მცხოვრები მიხეილ თოთოს ძე ქასავეი და გატი (sic) ჯიგას (sic) ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები კოსტა ქასავეის მეუღლე ლიზა ალიბეგის ასული.

სალომე, დაიბადა 20 ნოემბერს, მოინათლა 18 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ჩეთირში მცხოვრები მიხეილ თოთოს ძე ქოქავეი და მაშო ილიცას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ძახო ცაბოლოვის მეუღლე ელისაბედ ძახოს ასული.

1907 წ. მარტის 24 დღეს განვიხილე პირველი ნაწილი ამა მეტრიკისა და აღმოჩნდა რომელ დაბადებულის ქვეშ №10 არ არის სწორი ფორმისაებრ. დანარჩენი შავისთანა სწორ არის, ბლადოჩინი ნიკიფორე კანდელაკოვი [კანდელაკი - ნ.შ.].

¹ არ წერია სოფელი.

² აქაც, არ წერია სოფელი.

³ აქაც, არ წერია სოფელი.

ჯვარდაწერილობათვის

სასიძო, სოფელ ტეფში მცხოვრები ნიკოლოზ როსტომის ძე ყალაგოვი. 24 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოს მცხოვრები ვანო ცაბოლოვის ასული თეკლე. 14 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ბურმასიგს მცხოვრები გიორგი ელბიზდიყოს ძე თუავეი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო დესში მცხოვრები გიძლო ნინოს (sic) ძე ხამიცოვი. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ჩეთირში მცხოვრები ყაურბეგ დიმიტრის ძე ქოქავეი. 38 წლის. პირველი ქორწინება (sic). სასძლო, სოფელ მნაში მცხოვრები ალექსანდრე შაქოს (?) ძე ყუსავეის ასული მაკრინა (sic). 14 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ჩეთირში მცხოვრები ისლამარზა ქუძის ძე ცალაკოვი (sic). 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები გაზი მაკავეის ასული ოლგა. 19 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ აბანოში მცხოვრები გაგი გლახას ძე კარავეი (sic). 34 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ყუდაში (sic) მცხოვრები თოთე რუბავეის ასული მაიკო. 25 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ჯიმარაში მცხოვრები დიმიტრი საბას ძე ხამიცოვი. 38 წლის (sic). პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჯიმარას მცხოვრები ხუდე ბერეზოვის ასული სახარ. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ცოცოლთაში მცხოვრები ისიდორე ადამის ძე ბულაცოვი. 45 წლის. სასძლო, გორის უეზდის სოფელ ქელიათში (sic) მცხოვრები ბეგა მიყიშვილის (sic) ასული ეკატერინე¹. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ კარათიკავს მცხოვრები ილას ივანეს ძე ბერეზოვი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ რესში მცხოვრები გიორგი საბანის ძის ძაკავეის². პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ აბანოს მცხოვრები თომა ალექსანდრეს ძე ცაბოლოვი. 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო დესს მცხოვრები სტეფან ხამიცოვის ასული ოლღა. 14 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ხატისოფლის (sic) მცხოვრები სპირიდონ გრიგოლის ძე რუბავეი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირში მცხოვრები ადამ ქოქავეის ასული ქენია. 19 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

1907 წ. მარტის 24-სა დღეს განვიხილე მეორე ნაწილი ამა მეტრიკისა და აღმოჩნდა რომელი არც სასიძოსა, არც სასძლოსი და არც თავდებათა წოდება არ არის ნაჩვენები, ესეთვე რომელი სარწმუნოების აღსარებისანი არიან სასიძო და სასძლო; დანარჩენში მავისათანა სწორი არს. ბლაღოჩინი ნიკიფორე კანდელაკოვი [კანდელაკი - ნ.შ.].

გარდაცვალებულთათვის

„დაიმარხნენ თავიანთ სასაფლაოზედ“.

სუატისში მცხოვრები ყანიყო ქასავეის მეუღლე სახარ ძიგურის ასული გარდაიცვალა 3 იანვარს, დაიმარხა 5 იანვარს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი³.

¹ სასიძოს არ უწერია მერამდენე ქორწინებაა, ხოლო სასძლოს არ უწერია ასაკი.

² სასძლოს სახელი და ასაკი არ წერია.

³ გარდაცვალების მიზეზი არ ირჩევა.

ჯიმარაში მცხოვრები ნიკალა ბიბოს ძე ბერიშოვი (sic) გარდაიცვალა 10 იანვარს, დაიმარხა 12 იანვარს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

აბანოში მცხოვრები ივანე ქუცირის ძე ცაბოლოვი გარდაიცვალა 18 იანვარს, დაიმარხა 20 იანვარს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩიხოტკით.

აბანოში მცხოვრები ციგუნ (sic) ცაბოლოვის ასული მარიამ გარდაიცვალა 1 თებერვალს, დაიმარხა 3 თებერვალს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ზაყაგორს მცხოვრები ივან ქეთოევის მეუღლე ელისაბედ ზგერის ასული გარდაიცვალა 8 თებერვალს, დაიმარხა 10 თებერვალს. 65 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

რესში მცხოვრები ბორათყო ყუსაევის მეუღლე ელენა დავითის ასული გარდაიცვალა 14 თებერვალს, დაიმარხა 16 თებერვალს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ჩეთირს მცხოვრები ბისო ქოქაევის ასული ბარბარე გარდაიცვალა 25 მარტს, დაიმარხა 27 მარტს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

ტეფში მცხოვრები ცოფან ყალაგოვის მეუღლე ცაცან ყირდის ასული გარდაიცვალა 3 აპრილს, დაიმარხა 5 აპრილს. 85 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

რესში მცხოვრები ძაბირზ ყუსაევის ასული **ნუცა** გარდაიცვალა 8 მაისს, დაიმარხა 10 მაისს. 15 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფეხის ტკივილით.

სუატისში მცხოვრები დუდარ ქასაევის მეუღლე გოსე **ნინიას** ასული გარდაიცვალა 3 აგვისტოს, დაიმარხა 5 აგვისტოს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

კარათკავას (sic) მცხოვრები პლატონ ქალოევის მეუღლე ბარბარე განძის ასული გარდაიცვალა 7 აგვისტოს, დაიმარხა 9 აგვისტოს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

ბურმასიგს მცხოვრები სოსლან თუაევის ასული ვარვარა გარდაიცვალა 14 სექტემბერს, დაიმარხა 16 სექტემბერს. 5 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ჩეთირში მცხოვრები თემბოლათ დიმიდოს ძე ქოქაევი გარდაიცვალა 8 სექტემბერს, დაიმარხა 10 სექტემბერს. 18 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლეპით.

აბანოში მცხოვრები მიხეილ ქუცირის ძე ცაბოლოვი გარდაიცვალა 14 ოქტომბერს, დაიმარხა 16 ოქტომბერს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

აბანოს მცხოვრები აბრაამ ზაურბეგის ძე საპიევი გარდაიცვალა 18 ნოემბერს, დაიმარხა 20 ნოემბერს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ზემო დესში მცხოვრები სოსლან ყაზის ძე ყაზიევის მეუღლე მართა ძახოს ასული გარდაიცვალა 15 დეკემბერს, დაიმარხა 17 დეკემბერს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

1907 წ. მარტის 24-ს დღეს განვიხილე მესამე ნაწილი ამა მეტრიკისა და აღმოჩნდა რომელ მიცვალებულთა წოდება არ არის ნაჩვენები, დანარჩენში შავისა თანა სწორია. ბლადოჩინი მღვდელი ნიკიფორე კანდელაკოვი [კანდელაკი - ნ.შ.].

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №37

**დუშეთის მაზრის, კობის საბლადოჩინოს, აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის
ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1907 წელი**

მღვდელი სპირიდონ მახალდიანი

დაბადებულთათვის

ესტატე, დაიბადა 2 იანვარს, მოინათლა 5 იანვარს. მშობლები: სოფელ ზემო დესში მცხოვრები ლადიმერ აბისას ძე ხამიცოვი და სოფიო გიორგის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები **ნიკო** ბაირის ძე საუთიევი (?).

ლაზარე, დაიბადა 1 იანვარს, მოინათლა 5 იანვარს. მშობლები: სოფელ ზემო დესში მცხოვრები ივანე აბისის ძე ხამიცოვი და ქებაბა (sic) ცორმანის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები **დათიკო ლევანის** ძე ცაბოლოვი.

ელისაბედი, დაიბადა 4 იანვარს, მოინათლა 10 იანვარს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ალექსანდრე ძანალდის ძე ძანთიევი და მელექ ელბიზდიყოს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები სტეფანე დუდას ძე თუაევი.

ხარიტონ, დაიბადა 5 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები ილას ვასგეს ძე ყუსაევი და ოლდა ყირიმის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები მარიამ ალიბეგის ასული.¹

ვლადიმერი, დაიბადა 14 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები მილა ძარახის ძე ყუსაევი და ფუნძი (sic) მეხამეთის ასული. მიმრქმელი – ზაურბეგ ძახას ძე კალაგოვი².

სპირიდონ, დაიბადა 18 იანვარს, მოინათლა 28 იანვარს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები გუდის ჩუშკას ძე გაბელოვი და ხონგუა (sic) იადარიყოს ასული. მიმრქმელი – მიხეილ ყუსაევის ასული გოსედა.

ესტატე, დაიბადა 14 იანვარს, მოინათლა 10 თებერვალს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები სოსლანბეგ **გლახას** ძე ცაბოლოვი და **ქალი** გუდაბერდის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები სოსლანბეგ გოგის ძე ბიზიკოვი.

ნატალია, დაიბადა 2 თებერვალს, მოინათლა 14 თებერვალს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები სოსლან ადამის ძე ცაბოლოვი და ტასია სოსლანის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები სიმონ გუდიევის მეუღლე ნინა თემრიყოს ასული.

იოსებ, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 14 თებერვალს. მშობლები: სოფელ აბანოში მცხოვრები თომა ალექსანდრეს ძე ცაბოლოვი და ოლდა სტეფანეს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ალექსი ვანკას ძე ცაბოლოვი.

ალექსი, დაიბადა 18 თებერვალს, მოინათლა 24 თებერვალს. მშობლები: სოფელ ტეფში მცხოვრები პეტრე გიორგის ძე კალაგოვი და ტასი თემრიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ სუატიის მცხოვრები ლონგინოზ გულის ძე ელოევი.

სპირიდონი, დაიბადა 4 თებერვალს, მოინათლა 25 თებერვალს. მშობლები: სოფელ ტეფში მცხოვრები ილას ლუარსაბის ძე კალაგოვი და ამინეთ კაციას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები სოსლან კალაგოვის მეუღლე ხაირყულა ღარის ასული.

ანა, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 25 თებერვალს. მშობლები: სოფელ ტეფში მცხოვრები სერგი სოლკას ძე კალაგოვი და ქოსერ ზნაურის ასული. მიმრქმელი – ტიგვი ქალოევის მეუღლე **თეკლე** თოხის ასული¹.

¹ მიმრქმელის გვარი არ წერია.

² ზოგიერთ ნათლიას/მიმრქმელს არ უწერია სოფელი.

ეკატერინე, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 28 თებერვალს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები მიხეილ ძიბეს ძე ხამიცაევი (sic) და ელენე ნაგაფის ასული. მიმრქმელი – სოფელ სუატისში მცხოვრები ლონგინოზ სოზგულის ძე ელოევი.

ნატალია, დაიბადა 11 თებერვალს, მოინათლა 3 მარტს. მშობლები: სოფელ ტეფში მცხოვრები ალექსანდრე მიხეილის ძე ყალაგოვი და სალომე მიტკას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ვასილ მაქსიმეს ძე სოტიევი.

მარიამ, დაიბადა 14 თებერვალს, მოინათლა 6 მარტს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები ყაურბეგ თათალოს ძე ყალაგოვი და ნატალია ძაბეს ასული. მიმრქმელი – ალექსანდრე ყალაგოვის მეუღლე სალომე მიტკას ასული.

ეფრემ, დაიბადა 5 მარტს, მოინათლა 14 მარტს. მშობლები: სოფელ ზაყაგორს მცხოვრები ვასილ ბაბითის ძე ქეთოევი და პელო ბარანის ასული. მიმრქმელი – სოფელ სუატისს მცხოვრები მოსე თოთრიბეგის ძე ქასაევი.

იოსებ, დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 15 მარტს. მშობლები: სოფელ კარათიყავას (sic) მცხოვრები სოსლანბეგ თემრიყოს ძე კუმალაგოვი და გოსე ბარანის ასული. მიმრქმელი – სოფელ ქუმლისციხეს მცხოვრები იოსებ გრიგოლის ძე საჯანოვი.

ილარიონი, დაიბადა 5 აპრილს, მოინათლა 14 აპრილს. მშობლები: სოფელ ყარათიყავას მცხოვრები დიმიტრი დუდარიყოს ძე ურთაევი და **მაკრინე** მიტკას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები არტემ ვასილის ძე ქალოევი.

ქსენია, დაიბადა 2 აპრილს, მოინათლა 25 აპრილს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ზაქარია ნავაგის ძე ბიზიკოვი და დედუ ქიციკის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები **სანდრო** ოსმანის ძე კარაევი.

ტიმოთე, დაიბადა 11 აპრილს, მოინათლა 5 მაისს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები ესტატე ვასილის ძე ყუსაევი და ელისა (sic) ელდარიყოს ასული. მიმრქმელი – მიხეილ გიორგის ძე კალაგოვი.

ალექსი, დაიბადა 25 აპრილს, მოინათლა 8 მაისს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები **ლევან** მიხეილის ძე ყუსაევი და სალომე ქარძის ასული. მიმრქმელი – დიმიტრი გიშერის ძე კალაგოვი.

ესტატე, დაიბადა 14 აპრილს, მოინათლა 12 მაისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ხასაყო განძის ძე დანთიევი და **ნინო** ქუცირის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები გიორგი დანაღდის ძე დანთიევი.

მიხეილი, დაიბადა 18 აპრილს, მოინათლა 15 მაისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები **ალეკო** (sic) გიდის ძე დანთიევი და სალომე გუტას ასული. მიმრქმელი – **სანდრო** ფარსადანის ძე კუმალაგოვი.

მარიამი, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 24 მაისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ადამ ვასგეს ძე ბულაცოვი და ელისა ზაურბეგის ასული. მიმრქმელი – სოფიო სტეფანე თუაევის ასული.

პავლე, დაიბადა 23 მაისს, მოინათლა 24 მაისს. მშობლები: სოფელ სუატისს მცხოვრები გრიშა ქანქოს ძე თურბეგოვი და მართა ნიკალას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები თემბოლ თედორეს ძე აბაევი.

ევა, დაიბადა 3 მაისს, მოინათლა 25 მაისს. მშობლები: სოფელ სუატისს მცხოვრები **ვანო** გულის ძე ელოევი და ნატალია გიცას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები კოსტა თიაბულის(?) ძე ელოევი.

¹ მიმრქმელის სოფელი არ წერია.

ვლადიმერ, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 11 ივლისს. მშობლები: სოფელ ქვემო დესში მცხოვრები გიორგი სილას ძე მირქაევი და ნინა გავისას ასული. მიმრქმელი – ხასაყო აბეს ძე ცაბოლოვი.

ოლგა, დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 12 ივნისს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ნიკალა ლუარსანის (sic) ძე თვაევი (sic) და გოსედა თათარყანის ასული. მიმრქმელი – მიხეილ თუაევის მეუღლე.

ნატალია, დაიბადა 8 ივლისს, მოინათლა 14 ივლისს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები მიტკა ფას ძე თაკაევი და მარინე თემსიყოს ასული. მიმრქმელი – ცომა ბულაცოვის მეუღლე **თეკლე** დავითის ასული.

ბათლომე, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 18 ივლისს. მშობლები: სოფელ ჯიმარას მცხოვრები მიტკა დანბოლათის ძე ბერეზოვი და მართა მაქსიმეს ასული. მიმრქმელი – სოსლან ბოცოევის მეუღლე ნინა სოსლანის ასული.

ანდრია, დაიბადა 3 ივლისს, მოინათლა 16 ივნისს. მშობლები: სოფელ ტეფს მცხოვრები გრიგოლ მიხელის ძე ყალაგოვი და აფინე ელდარიყოს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ძატე ყალაგოვი¹.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ შევარდენს მცხოვრები გიორგი **გლახას** ძე ქოქაევი. 18 წლის. მეორე ქორწინება (sic). სასძლო, სოფელ აბანოში მცხოვრები მართა ძახოს ძე ცაბოლოვის ასული. 20 წლის (sic). პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ნაოყავას (sic) მცხოვრები იობა ბიგას ძე აგაევი. 25 წლის². სასძლო, სოფელ ზაყაგორს მცხოვრები მართა **ლექსო** ქეთოევის ასული. 16 წლის. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ყარათყავს მცხოვრები თათარყან ღუდას ძე ურთაევი. 50 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ რესში მცხოვრები მიხეილ ბაითის ძე ყუსაევის ასული ანა. 18 წლის (sic). პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ უხათში მცხოვრები გრიგოლ თოთრიბეგის ძე თუაევი. 24 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირში მცხოვრები სოსლან ქოქაევის ასული **ნუცა**. 19 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ყარათიყავს (sic) მცხოვრები დიანოზ (sic) **გლახას** ძე ურტაევი. 45 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფში მცხოვრები გიშერ ყალაგოვის ასული დიდი. 20 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ზაყაგორს მცხოვრები ნიკოლოზ **ლექსოს** ძე ქეთოევი. 18 წლის. მეორე ქორწინება (sic). სასძლო, სოფელ ზემო კობუსტას (?) მცხოვრები დანასპი გლახას ძე შვილის (sic) ასული **ქეთევანი**. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

სუატისში მცხოვრები სურან მარზაბეგის ძე ქასაევი გარდაიცვალა 16 იანვარს, დაიმარხა 18 იანვარს. 65 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

სუატისში მცხოვრები ცორე ქასაევის მეუღლე **თამარ** ივანეს ასული გარდაიცვალა 18 აპრილს, დაიმარხა 20 აპრილს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

¹ დაბადებულთა გრაფა არასრულია. ახალშობილთა რეგისტრაცია მთავრდება ივლისის თვით. დოკუმენტი კეთილმოწყის (ბლადოჩინის) მიერ არ არის შემოწმებული.

² სასიძოს და სასძლოს არ უწერია მერამდენე ქორწინება.

სუატისში მცხოვრები ბექორ (sic) გუძის ძე ქასავეი გარდაიცვალა 21 აპრილს, დაიმარხა 23 აპრილს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლექით.

ჯიმარას მცხოვრები ნიკალა იაგორის ძე ბერეზოვი გარდაიცვალა 25 აპრილს, დაიმარხა 27 აპრილს. 15 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ზვავიდან (sic).

აბანოს მცხოვრები გიორგი იაგორის ძე ცაბოლოვი გარდაიცვალა 1 მაისს, დაიმარხა 3 მაისს. 21 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ტეფს მცხოვრები ილას **ურისტავის** (sic) ძე ყალაგოვი გარდაიცვალა 10 მაისს, დაიმარხა 12 მაისს. 21 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

აბანოს მცხოვრები ცორე გუდიევის მეუღლე ბარბარე ივანეს ასული გარდაიცვალა 1 ივლისს, დაიმარხა 3 ივლისს. 85 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

სუატის მცხოვრები გავისა ქასავეის მეუღლე ვერა ივანეს ასული გარდაიცვალა 4 ივლისს, დაიმარხა 6 ივლისს. 20 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ტეფში მცხოვრები ალექსი ძათეს ძე ყალაგოვი გარდაიცვალა 3 აგვისტოს, დაიმარხა 5 აგვისტოს. 5 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

ტეფში მცხოვრები ლადიმერ (sic) ყალაგოვის მეუღლე **ნინო** დავითის ასული გარდაიცვალა 5 აგვისტოს, დაიმარხა 7 აგვისტოს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მიუცლის ტკივილით.

ტეფში მცხოვრები ალექსი ყალაგოვი გარდაიცვალა 10 აგვისტოს, დაიმარხა 12 აგვისტოს. 15 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

ზემო დესში მცხოვრები ფარსა ივანეს ძე ყორავეი გარდაიცვალა 16 აგვისტოს, დაიმარხა 18 აგვისტოს. 65 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ჩეთირს მცხოვრები ზაქარია სიმონის ძე ცალაკოვი (sic) გარდაიცვალა 20 აგვისტოს, დაიმარხა 23 აგვისტოს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

ტეფში მცხოვრები სიმონ ყალაგოვი გარდაიცვალა 26 აგვისტოს, დაიმარხა 28 აგვისტოს. 15 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

ქვემო დესში მცხოვრები ეფრემ ზურაბის ძე ხამიცოვი გარდაიცვალა 1 სექტემბერს, დაიმარხა 3 სექტემბერს. 5 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალშ დაიხრჩო.

ცოცოლთას მცხოვრები ლაურენტი (sic) სიმონის ძე ძანთიევი გარდაიცვალა 11 ნოემბერს, დაიმარხა 13 ნოემბერს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

რესში მცხოვრები ზაქარია ესტატეს ძე ყუსავეი გარდაიცვალა 1 დეკემბერს, დაიმარხა 3 დეკემბერს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ცოცოლთას მცხოვრები გაბრიელ დავითის ძე ბულაცოვი გარდაიცვალა 20 სექტემბერს, დაიმარხა 23 სექტემბერს (sic). 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

ჩეთირში მცხოვრები სპირიდონ გეორგის (sic) ძე ქოქავეი გარდაიცვალა 25 სექტემბერს, დაიმარხა 27 სექტემბერს 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

აბანოს მცხოვრები თოთიკ ივანეს ძე საპიევი გარდაიცვალა 1 ოქტომბერს, დაიმარხა 3 ოქტომბერს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

აბანოს მცხოვრები ალექსანდრე კოტეს ძე ცაბოლოვი გარდაიცვალა 8 ოქტომბერს, დაიმარხა 10 ოქტომბერს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №38

დუშეთის მაზრის, კობის საბლადოჩინოს, აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის

ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1908 წელი

მღვდელი სპირიდონ მახალდიანი, პრიჩეტნიკი ლაზარე კოკაევი

დაბადებულთათვის¹

ოლთა, დაიბადა 1 იანვარს, მოინათლა 2 იანვარს. მშობლები: სოფელ დალა დესში (sic)² მცხოვრები სილა ნიკალაის ძე მირქაევი და ქეაბა **ლევანის** ასული. მიმრქმელი – როსტომ ძახოს ძე ყალაგოვი.

პაულე (sic), დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 5 იანვარს. მშობლები: სოფელ სუატისში მცხოვრები ყაურბეგ ყარამანის ძე ბაციევი და მართა ქისილის ასული. მიმრქმელი – სიმონ გულის ძე ელოევი.

კოლა, დაიბადა 6 იანვარს, მოინათლა 6 იანვარს (sic). მშობლები: სოფელ სუატისში მცხოვრები **ვანო** ალექსის ძე ბაციევი და სალომე ზნაურის ასული. მიმრქმელი – სუდარ ქასაევის მეუღლე აფინეთა (sic).

მაკრინე, დაიბადა 10 იანვარს, მოინათლა 11 იანვარს. მშობლები: სოფელ დალა დესში (sic) მცხოვრები სოსლანბეგ ციცკას ძე ხამიცოვი და გოსამა შიოს ასული. მიმრქმელი – სერგო მირქაევის მეუღლე სალომე ყანდუას ასული.

მარიამი, დაიბადა 1 იანვარს, მოინათლა 15 იანვარს. მშობლები: სოფელ ჩეთირში მცხოვრები გაშე ბაზის ძე ქოქაევი და ხარავის (?) ცაპოს ასული. მიმრქმელი – **სანდრო** ძანტეს ძე ცალაგოვი.

ნატალია, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 15 იანვარს. მშობლები: სოფელ ყარათიყავს (sic) მცხოვრები ასისლან ცოფანის ძე ურთაევი და სოფიო ფაყოს ასული. მიმრქმელი – ენალდიყო ბულაცოვის მეუღლე თამარ ბატის ასული.

ოლთა, დაიბადა 11 იანვარს, მოინათლა 15 იანვარს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები ილასა თაკას ძე ქოქაევი და სოფიო ანდრიას ასული. მიმრქმელი – სიმონ გუდიევის მეუღლე ნინა თემარიყოს ასული.

პაულე (sic), დაიბადა 1907 წლის 1 დეკემბერს, მოინათლა 1908 წლის 15 იანვარს. მშობლები: სოფელ დალადესში (sic) მცხოვრები ბეძიკო ბათრადის ძე მირქაევი და სალომე ყანდუს ასული. მიმრქმელი – **იობა** ბაზიკოს ძე ხამიცოვი.

მარიამ, დაიბადა 1 იანვარს, მოინათლა 21 იანვარს. მშობლები: სოფელ ბურმასიგში მცხოვრები ივანე ლუარსანის ძე თუაევი და ლიზა ელძარიყოს ასული. მიმრქმელი – **ნიკო** საუთიევის (sic) მეუღლე ძიგი თოთრადის ასული.

ხარიტონი, დაიბადა 1907 წლის 3 აგვისტოს, მოინათლა 1908 წლის 20 იანვარს. მშობლები: სოფელ ჯიმარაში მცხოვრები ბიბო გისკას ძე ბერეზოვი და სალომე ციცკას ასული. მიმრქმელი – სადულე (sic) იაგორის ძე ბერეზოვი.

გიორგი, დაიბადა 1907 წლის 18 ივლისს, მოინათლა 1908 წლის 25 იანვარს. მშობლები: სოფელ ჯიმარას მცხოვრები სოსიკო ყანდუას ძე ბერეზოვი და ლიზა იორდანეს ასული. მიმრქმელი – სოსნაბეგ ბოცოევის მეუღლე **ნინო** სოსლანის ასული.

დანიელი, დაიბადა 4 იანვარს, მოინათლა 28 იანვარს. მშობლები: სოფელ სუატისში მცხოვრები სიმონ გულის ძე ელოევი და ყიზმიდა აფაყოს ასული. მიმრქმელი – აფაყო ბაზის ძე ბაციევი.

¹ 1908 წლის მეტრიკულ ჩანაწერებში ნათლიის/მიმრქმელის სოფელი მითითებული არ არის.

² იგულისხმება სოფელი ქვემო დესი.

ილან¹, დაიბადა 14 იანვარს, მოინათლა 28 იანვარს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები სიმონ კოდოს ძე ძანთიევი და დარია ვანკას ასული. მიმრქმელი – მიხეილ მაკაევის მეუღლე **თინა** მაკკას ასული.

სერგეი, დაიბადა 10 იანვარს, მოინათლა 28 იანვარს. მშობლები: სოფელ ბურმასიგას (sic) მცხოვრები საყო აბიყოს ძე თუაევი და აფინე მოსეს ასული. მიმრქმელი – ხასაყო განაძის ძე ძანთიევი.

გიორგი, დაიბადა 1907 წლის 5 აგვისტოს, მოინათლა 1908 წლის 28 იანვარს. მშობლები: სოფელ ბურმასიგას მცხოვრები **ლევან** ებუკის(?) ძე თუაევი და მაგდან ყისბილას ასული. მიმრქმელი – სტეფან თუაევის მეუღლე ტასია გადის ასული.

ევა, დაიბადა 14 იანვარს, მოინათლა 1 თებერვალს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები ტური (sic) გორბის ძე გაბულოვი და ნატალია იაგორის ასული. მიმრქმელი – თოთრიყ ყალაგოვის მეუღლე სახარ **ზურაბას** ასული.

ვასილი, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 1 თებერვალს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები ყაურბეგ ალიბეგის ძე ქალმანოვი და **თამარ** კიზოს ასული. მიმრქმელი – ტუსა გაბილოვის მეუღლე ნატალია იაგორის ასული.

ანდრია, დაიბადა 1907 წლის 6 აგვისტოს, მოინათლა 1908 წლის 8 თებერვალს. მშობლები: სოფელ აბანოში მცხოვრები ლადი (sic) ბერძახის ძე ცაბოლოვი და სალომე გიორგის ასული. მიმრქმელი – გაბრიელ მუსეს ძე ბიზიკოვი.

ვარლამ, დაიბადა 1907 წლის 8 აგვისტოს, მოინათლა 1908 წლის 8 თებერვალს. მშობლები: სოფელ ზემო დესში (sic) მცხოვრები მიხეილ იორდანეს ძე თათაროვი და დიდიცი ბინბოლათის ასული. მიმრქმელი – სოფელ კაიშაურს მცხოვრები ივანე ბერეს ძე ზაქაიძე.

ალექსანდრე, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 8 თებერვალს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები სოსლან ყუდიბერდის ძე ქალმანოვი და ოლინკა გიორგის ასული. მიმრქმელი – მამა მიტკა ყუსაევის ასული.

მათე, დაიბადა 11 თებერვალს, მოინათლა 16 თებერვალს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები თასაკო ძარახის ძე ყუსაევი და **თეკლე** ტატოს ასული. მიმრქმელი – **ვანაი** (sic) კუძიევის მეუღლე მაკრინე ალექსანდრეს ასული.

უვარლამ (sic), დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 18 თებერვალს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები ძამირ ბორყოს ძე ყუსაევი და აფინ ალიბეგის ასული. მიმრქმელი – **თეკლე** თოსი ყუსაევის ასული.

ელისაბედი, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 20 თებერვალს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები გიორგი ძანის ძე ძაკაევი და დოდაით (?) პეტრეს ასული. მიმრქმელი – ძატე ყუსაევის მეუღლე დედუ გეძას ასული.

ვერა, დაიბადა 1907 წლის 3 აგვისტოს, მოინათლა 1908 წლის 23 თებერვალს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ალექსანდრე **გლახას** ძე მაკაევი და ამინეთ ასაბეგის ასული. მიმრქმელი – გიორგი **ლევანის** ძე ცაბოლოვი.

ნინა, დაიბადა 1907 წლის 1 სექტემბერს, მოინათლა 1908 წლის 26 თებერვალს. მშობლები: სოფელ ზაყაგორს მცხოვრები ისაკა ივანეს ძე ჩეთოევი და სოფიო მირმანის ასული. მიმრქმელი – ივანე ქასაევის მეუღლე ქენძე ბესალნის ასული.

ილარიონი, დაიბადა 2 თებერვალს, მოინათლა 27 თებერვალს. მშობლები: სოფელ ყარათყავს მცხოვრები დიმიტრი ბადილას ძე ბულაცოვი და სოფიო ვასილის ასული. მიმრქმელი – მიხეილ თოხის ძე ქოქაევი.

¹ ილან-ს თავზე აწერია რი – შეიძლება იყოს ილარი ან ილარიონი.

ოლგა, დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 3 მარტს. მშობლები: სოფელ ყარათყავას (sic) მცხოვრები ალექსანდრე თემრიყოს ძე კუმელაგოვი და სოფიო ბასილის ასული. მიმრქმელი – სადულე იაგორის ძე ბერეზოვი.

სალომე, დაიბადა 5 მარტს, მოინათლა 8 მარტს. მშობლები: სოფელ ჯიმარას მცხოვრები ილას ვანეს ძე ბერეზოვი და სოფიო გიორგის ასული. მიმრქმელი – მიკით (sic) თამსიყოს ძე ბულაგოვი.

ზაქარია, დაიბადა 1907 წლის 11 ნოემბერს, მოინათლა 1908 წლის 16 მარტს. მშობლები: სოფელ ზემო დესს მცხოვრები დიდილო თამსივირის ძე ხამიცოვი და სოფიო ყუდეს ასული. მიმრქმელი – ხასაკო აბეს ძე ცაბოლოვი.

სიმეონ, დაიბადა 14 აპრილს, მოინათლა 1 მაისს. მშობლები: სოფელ ტეფში მცხოვრები სოსიკო ანდრიას ძე ყალაგოვი და **მაკრინე** ვაზგერის ასული. მიმრქმელი – სალომე გიორგი ყალაგოვის ასული.

გიორგი, დაიბადა 4 ივნისს, მოინათლა 8 ივნისს. მშობლები: სოფელ ტეფში მცხოვრები ნიკოლოზ როსტომის ძე ყალაგოვი და **მაკრინე** ივანეს ასული. მიმრქმელი – მიტკა ძაბეს ძე ყალაგოვი.

ვერა, დაიბადა 10 ივნისს, მოინათლა 11 ივნისს. მშობლები: სოფელ ჩეთირში მცხოვრები სოსლანბეგ ბაირამის ძე ქოქაევი და **ბაბალე** მიხეილის ასული. მიმრქმელი – ალექსი ივანეს ძე ქოქაევი.

ვასილი, დაიბადა 14 ივნისს, მოინათლა 13 ივნისს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები გაბრიელ ივანეს ძე კარიევი (sic) და ძილი ძანგის ასული. მიმრქმელი – ალექო (sic) ხასაყის ძე ცაბოლოვი.

ნიკალაი, დაიბადა 8 ივნისს, მოინათლა 15 ივნისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ივანე ბადილას ძე ბულაგოვი და **მაკრინე** ამიზორის ასული. მიმრქმელი – გიშო ქუცირის ძე ძანთიევი.

ანა, დაიბადა 6 ივნისს, მოინათლა 15 ივნისს. მშობლები: სოფელ სუატის მცხოვრები ვასილ ყასბოლის ძე ქასაევი და მარია ხასაყოს ასული. მიმრქმელი – სიმონ გულის ძე ელოევი.

გიორგი, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 16 ივნისს. მშობლები: სოფელ სუატის მცხოვრები გავის ბრეგის ძე ქასაევი და კამარ ნალიყოს ასული. მიმრქმელი – სუდარ ქასაევის მეუღლე აფინე თამსიყოს ასული.

ვასილი, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 25 ივნისს. მშობლები: სოფელ ჩეთირში მცხოვრები გიორგი თაკოს ძე ქოქაევი და ბარბარე ძიგას ასული. მიმრქმელი – ბეცი ცორმანის ძე ქოქაევი.

მათე, დაიბადა 8 ივნისს, მოინათლა 26 ივნისს. მშობლები: სოფელ სუატისში მცხოვრები სტეფან გუძინის ძე ქასაევი და მამო გინოს ასული. მიმრქმელი – ილას გონიყოს ძე ქასაევი.

პავლე, დაიბადა 28 ივნისს, მოინათლა 1 ივლისს. მშობლები: სოფელ ტეფში მცხოვრები სტეპკო მიხეილის ძე ყალაგოვი და სიძან ცაცას ასული. მიმრქმელი – ვასილ მიტკას ძე ყალაგოვი.

ხარიტო, დაიბადა 1 ივლისს, მოინათლა 4 ივლისს. მშობლები: სოფელ ჯიმარას მცხოვრები ლაზარე როსტომის ძე ბერეზოვი და კამარ ზურაბის ასული. მიმრქმელი – ივან ფაფის ძე ბოცოევი.

ალექსანდრე, დაიბადა 2 ივლისს, მოინათლა 4 ივლისს. მშობლები: სოფელ ჩეთირში მცხოვრები გიორგი ყირიმ სოლთანის ძე ქოქაევი და ანა გუდეს ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელ კაიხევის (sic) მცხოვრები იაგორა დავითის ძე ქაფიანიძე.

მიხეილი, დაიბადა 4 ივლისს, მოინათლა 8 ივლისს. მშობლები: სოფელ ჩეთირს მცხოვრები მიტკა თოთრაძის ძე ქასავეი და მარია ასეგის ასული. მიმრქმელი – აბრაამ ქოქავეის მეუღლე მარინე მოსეს ასული.

ილია, დაიბადა 1 ივლისს, მოინათლა 11 ივლისს მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები სოსიკო ძანაღდის ძე ძანთიევი და **თეკლე** დავითის ასული. მიმრქმელი – სტეფან ღუდას ძე თუავეი.

ნიკოლოზ, დაიბადა 1 აგვისტოს, მოინათლა 4 აგვისტოს. მშობლები: სოფელ სუატის მცხოვრები დრის (sic) ბერდის ძე ქასავეი და სალი (sic) ბასილის ასული. მიმრქმელი – სილა ბესეს ძე ელოვეი.

მაკრინე, დაიბადა 11 აგვისტოს, მოინათლა 15 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ტეფში მცხოვრები ნიკალა ზნაურის ძე ყალაგოვი და ლიზა იდარიყოს ასული. მიმრქმელი – სიმონ გულის ძე ელოვეი.

ევა, დაიბადა 1 სექტემბერს, მოინათლა 5 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ყარათყავას მცხოვრები პლატონ ბასილის ძე ქალოვეი და მამა ივანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ კოშკაში მცხოვრები ბიბო თეოდორეს ძე აბავეი.

იოსებ, დაიბადა 1 სექტემბერს, მოინათლა 8 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ზაყაგორს მცხოვრები გიგო ივანეს ძე ქეთოვეი და ფათი იბაყის ასული. მიმრქმელი – სუატისში მცხოვრები სიმონ გულის ძე ელოვეი.

ვერა, დაიბადა 1 ოქტომბერს, მოინათლა 11 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ყარათყავას (sic) მცხოვრები **სანდრო** ფარსის ძე კუმელაგოვი და ანა დოღეთიყოს ასული. მიმრქმელი – მიტკა ურთავეის მეუღლე მაკა მიტკას ასული.

სპირიდონი, დაიბადა 15 ნოემბერს, მოინათლა 28 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები მარზა ბაბის ძე ბიზიკოვი და მარიამ **დიდებელას** (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები იაგორ ცაბოლოვი.

სიმონ, დაიბადა 8 ნოემბერს, მოინათლა 10 ნოემბერს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები თომა ალექსანდრეს ძე ცაბოლოვი და თითიკო (sic) სტეფანეს ასული. მიმრქმელი – აბანოს სამრევლოს მღვდელი სპირიდონ მახალდიანი.

ვერა, დაიბადა 1 დეკემბერს, მოინათლა 18 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ჯიმარას მცხოვრები ბათრად ასახმეთის ძე ბოცუევი და ნალყის თებრიყოს ასული. მიმრქმელი – ქუდიგუსის მეუღლე სალომე ივანეს ასული.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ სუატისში მცხოვრები ნესტორ ყულარარის ძე ელოვეი. 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები **სანდრო** თაკავეის ასული მაგდანა. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 14 ივლისს.

სასიძო, სოფელ ჩეთირში მცხოვრები ალექსანდრე თოთრაძის ძე ქასავეი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ალექო ძანთიევის ასული ოლდა. 17 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 20 ივლისს.

სასიძო, სოფელ აბანოს მცხოვრები ალექსანდრე სახოს ძე ცაბოლოვი. 24 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქვემო დესს მცხოვრები ბათრად ხამიცოვის ასული¹. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 20 ივლისს.

¹ სასძლოს სახელი გამორჩენილია.

სასიძო, სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ალექსი ივანეს ძე თუავეი. 56 წლის. მესამე ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფში მცხოვრები ელისაბედ ნინოს (sic) ასული.¹ 40 წლის. მესამე ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ სუატიში მცხოვრები ასახ (sic) ალექსის ძე ბაციევი (sic). 19 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჯიმარას მცხოვრები ისე ხუდეს ასული. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ზემო დესს მცხოვრები თაზირეთ გიცას ძე ხამიცოვი. 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები მაიკო გაცას ასული.² 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ სუატიშს მცხოვრები პაილე (sic) ბაზიკოს ძე კოშკაევი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირს მცხოვრები მარიამ ბიბოს ასული. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ რესში მცხოვრები ხამთყან (sic) პეტრეს ძე ყუსაევი. 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ რესში მცხოვრები ზარადა ალიბეგის ასული. 20 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ სუატიში მცხოვრები გრიგოლ ვასილის ძე გაცაევი (sic). 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ჩეთირში მცხოვრები ოლინკა ციცკას ქოქაევის ასული. 21 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ზემო დესში მცხოვრები სტეფან ბესოს (sic) ძე ყორდაევი. 19 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სუატიში მცხოვრები ელისაბედ დრისოს (sic) ასული ქასაევი. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

ზემო დესში მცხოვრები ქუსტი საქუძის ძე საუთიევი(?) გარდაიცვალა 14 იანვარს, დაიმარხა 16 იანვარს. 85 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ზემო დესში მცხოვრები თემრიყო ხამიცოვის მეუღლე ბარბარე მოსეს ასული გარდაიცვალა 24 იანვარს, დაიმარხა 26 იანვარს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

აბანოს მცხოვრები სიმონ ხასაყოს ძე ცაბოლოვი გარდაიცვალა 18 თებერვალს, დაიმარხა 20 თებერვალს. 21 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

რესში მცხოვრები იგორ სოგაბულოვის (sic) მეუღლე ხაირ ივანეს ასული გარდაიცვალა 25 თებერვალს, დაიმარხა 27 თებერვალს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლექით.

სუატიში მცხოვრები კილიც (sic) ქასაევის მეუღლე ნინო მათეს ასული გარდაიცვალა 22 მარტს, დაიმარხა 24 მარტს. 65 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

აბანოს მცხოვრები გავის გუდიევის მეუღლე გულთაზ ივანეს ასული გარდაიცვალა 4 ივნისს, დაიმარხა 6 ივნისს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

აბანოს მცხოვრები ლექსო ცაბოლოვის ასული ევა გარდაიცვალა 22 ივნისს, დაიმარხა 24 ივნისს 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

რესში მცხოვრები ხასაყო გუდიხის ძე ცაბოლოვი (sic) გარდაიცვალა 28 ივნისს, დაიმარხა 30 ივნისს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლექით.

ბურმასიგს მცხოვრები სოსლან თუაევის მეუღლე მელექ თათალოს ასული გარდაიცვალა 6 ივლისს, დაიმარხა 8 ივლისს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

¹ სასძლოს გვარი არ წერია.

² სასძლოს გვარი არც მას და არც შემდგომ ჯვრისწერებში არ არის მითითებული.

ზემო დესში მცხოვრები ძიბე ფრანგის ძე ხამიცოვი გარდაიცვალა 11 აგვისტოს, დაიმარხა 13 აგვისტოს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ჩეთირში მცხოვრები სოლომონ ქოქაევი გარდაიცვალა 14 აგვისტოს, დაიმარხა 16 აგვისტოს. 25 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

ცოცოლთას მცხოვრები ციცკა ძანაღდის ძე ძამთიევის მეუღლე მარიამ ბადის ასული გარდაიცვალა 20 აგვისტოს, დაიმარხა 22 აგვისტოს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

აბანოს მცხოვრები თომა ალექსანდრეს ძე ცაბოლოვი გარდაიცვალა 24 აგვისტოს, დაიმარხა 26 აგვისტოს. 18 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

ტეფში მცხოვრები ალექო ყალაგოვის მეუღლე სალომე მიტკას ასული გარდაიცვალა 3 ოქტომბერს, დაიმარხა 5 ოქტომბერს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

ჯიმარას მცხოვრები უძიგუს (sic) ბოცოევის მეუღლე მაგდან ბიდას ასული გარდაიცვალა 3 ოქტომბერს, დაიმარხა 5 ოქტომბერს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

რესში მცხოვრები იორდანე ძაკაევის მეუღლე გიგი იდას ასული გარდაიცვალა 3 ოქტომბერს, დაიმარხა 5 ოქტომბერს. 34 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

ჩეთირს მცხოვრები ნიკალა ქასაევი გარდაიცვალა 2 ნოემბერს, დაიმარხა 4 ნოემბერს. 16 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფერდის ტკივილით.

აბანოს მცხოვრები ალექსანდრე ზაქარიას ძე ბიზიკოვი გარდაიცვალა 10 ოქტომბერს, დაიმარხა 12 ოქტომბერს. 13 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

ტეფში მცხოვრები ნიკოლოზ ყალაგოვის მეუღლე თავის (sic) გიცოს ასული გარდაიცვალა 14 ნოემბერს, დაიმარხა 16 ნოემბერს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

ჩეთირს მცხოვრები გაცა ქოქაევის მეუღლე **თეკლე** გინის ასული გარდაიცვალა 19 ნოემბერს, დაიმარხა 21 ნოემბერს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

ცოცოლთას მცხოვრები ალექსანდრე საბანის ძე თაკაევი გარდაიცვალა 24 ნოემბერს, დაიმარხა 26 ნოემბერს. 29 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №39

დუშეთის მაზრის, კობის საბლადოჩინოს, აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის

ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1909 წელი

მღვდელი სპირიდონ მახალდიანი (აპრილის ჩათვლით), მღვდელი ალექსანდრე მისოსტოვი¹ (მაისის თვიდან), წიგნის მკითხველი ლაზარე კოკაევი დაბადებულთათვის

ანა, დაიბადა 2 იანვარს, მოინათლა 8 იანვარს. მშობლები: სოფელ ყარათიყავას (sic) მცხოვრები ასახ ზაურბეგის ძე ურტაევი და **მაკრინე სანდროს** ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათიყავას მცხოვრები მიკით (sic) თამსრიყოს ძე ბულაცოვი.

¹ მაისის თვიდან, როდესაც აბანოს სამრევლოში საეკლესიო მსახურებას მღვდელი ალექსანდრე მისოსტოვი ატარებდა მეტრიკული წიგნები რუსულ ენაზეა წარმოებული. ალექსანდრე მისოსტოვს, რომელიც იყო კობის სამრევლოს მღვდელი 1904 წლის მაისიდან – 1911 წლის ჩათვლით, შეთავსებული ჰქონდა აბანოს სამრევლოც, სადაც იგი 1912 წლამდე მსახურობდა.

ოლღა, დაიბადა 8 იანვარს, მოინათლა 11 იანვარს. მშობლები: სოფელ სუატისში მცხოვრები ფედის (sic) საბანის ძე კოშკაევი და სოფიო ყასპოლას ასული. მიმრქმელი – სოფელ სუატისს მცხოვრები გიგო ყასპოლის ძე ქასაევი.

ანდრია, დაიბადა 14 იანვარს, მოინათლა 14 იანვარს (sic). მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები ივან გავისის ძე კუძიევი და **მაცრინე** ალექსის ასული. მიმრქმელი – გაუკა ყალაგოვის ასული **ნინო**.

ბართლომე, დაიბადა 11 იანვარს, მოინათლა 14 იანვარს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები მიხეილ **ლევანის** ძე ყუსიევი და სანიათ (?) ქარქის (?) ასული. მიმრქმელი – სოფელ ტეფში მცხოვრები პეტრე გიშერის ძე კალაგოვი.

ნიკოლოზ, დაიბადა 1 იანვარს, მოინათლა 13 იანვარს. მშობლები: სოფელ სივირას (sic) მცხოვრები იაგორ ალიბეგის ძე ყალაგოვი და სოფიო გიგო სასული. მიმრქმელი – გიცა ყალაგოვის ასული სალომე.

ბათლომე, დაიბადა 6 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები ჯიქო (sic) ბორგოს (sic) ძე ყუსეევი და დისო სიმონის ასული. მიმრქმელი – **ვანო** კუძიევის ასული მარია.

გიორგი, დაიბადა 10 იანვარს, მოინათლა 22 იანვარს. მშობლები: სოფელ ყარათიყავას მცხოვრები ფედირ (sic) გისოს ძე ურთაევი და ლიზა ივანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგს მცხოვრები სტეფან ღუდარის ძე თუაევი.

ხარიტონ, დაიბადა 15 იანვარს, მოინათლა 14 თებერვალს. მშობლები: სოფელ აბანოს მცხოვრები ალექსი გრიგოლის ძე ცაბოლოვი და **ნინო** ივანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები **კოტე** ცაბოლოვი.

ნესტორ, დაიბადა 10 მარტს, მოინათლა 5 აპრილს. მშობლები: სოფელ ჩეთირში მცხოვრები ბატი ცოფანის ძე ქოქაევი და ნალგის ნალიყოს ასული. მიმრქმელი – ნესტორ მაქსიმეს ძე სოტიევი.

გაბრიელი, დაიბადა 1 აპრილს, მოინათლა 5 აპრილს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ციცკა **ლევანის** ძე თუაევი და ლიზა ელდარიყოს ასული. მიმრქმელი – **ნიკო** ბარანის ძე საუთიევი (sic).

ვასილი, დაიბადა 4 მარტს, მოინათლა 8 აპრილს. მშობლები: სოფელ ბურმასიგს მცხოვრები ანდრია ლუარსანის ძე თუაევი და სონია სიმონის ასული. მიმრქმელი – ქიტო ბულაცოვის მეუღლე ლიზა თამსიყოს ასული.

დიმიტრი, დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 8 აპრილს. მშობლები: სოფელ ტეფში მცხოვრები მიტკა ძაბეს ძე ყალაგოვი და გიზი ნინიას ასული. მიმრქმელი – ნესტორ მაქსიმეს ძე სოტიევი.

ვარმალი, დაიბადა 8 მარტს, მოინათლა 14 აპრილს. მშობლები: სოფელ რესში მცხოვრები თაზირეთ (sic) გუტის ძე კუძიევი და მაშო გარსოსს ასული. მიმრქმელი – ალექსანდრე ყუსაევის მეუღლე ქიქა ისაკის ასული.

მიხეილ, დაიბადა 11 მარტს, მოინათლა 14 აპრილს. მშობლები: სოფელ ტეფში მცხოვრები ყაურბეგ თატალოს ძე ყალაგოვი და ნატალია ზაურბეგის ასული. მიმრქმელი – გრიშა ვანკას ძე მისოსტოვი

კონსტანტინე¹, დაიბადა 15 მაისს, მოინათლა 23 მაისს. მშობლები: სოფელ ქეთრისში¹ მცხოვრები ალექსანდრე თოთრას ძე კასაევი და ოლგა ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – გორის მაზრის სოფელ კოშკაში მცხოვრები ვასილ მაქსიმეს ძე სოტიევი.

¹ აქედან მეტრიკული წიგნები რუსულ ენაზეა შედგენილი.

439

ხარიტონ (ხაჯუარ), დაიბადა 15 დეკემბერს, მოინათლა 22 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ყარათყავში მცხოვრები მიტკა ღუდას ძე ურტაევი და მაკა ციცკას ასული. მიმრქმელი – სოფელ სვატისში მცხოვრები ბება გულის ძე ელოევი.

გიორგი (ირიმა), დაიბადა 17 დეკემბერს, მოინათლა 21 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ყარათყავში მცხოვრები ციცკა ტამსირიყოს ძე ბულაცოვი და დედუ სტეფანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავში მცხოვრები მაირამ (sic) გაგის ძე ურტაევი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიდო, სოფელ ცოცოთას მცხოვრები გიორგი ზნაურის ძე ბულაცოვი. 26 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფში მცხოვრები სალომე გიორგის ასული კალაგოვა. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 5 ივლისს.

სასიდო, სოფელ ქეთრისში მცხოვრები ნესტორ ბიძის ძე კეტოევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქეთრისში მცხოვრები კიონა (sic) ბიბოს ასული კოკაევა. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს პირველი 5 ივლისს.

სასიდო, სოფელ ყარათყავში მცხოვრები ევრემი (sic) ალექსანდრეს ძე ბულაცოვი. 17 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სვატისში მცხოვრები მარია ბებას ასული ელოევა. 17 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 5 ივლისს.

სასიდო, სოფელ გიმარაში მცხოვრები ივანე პაპის ძე ბოცოევი. 50. წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარაში მცხოვრები ოლგა გიდილოს ასული ბეროზოვა. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 8 ივლისს.

სასიდო, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ალექსანდრე აბრამის ძე ზაკაგოვი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქეთრისში მცხოვრები ლიზა კოკაევა. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიდო, სოფელ გიმარაში მცხოვრები ვლადიმერ სიმონის ძე ბოცოევი. 24 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარაში მცხოვრები საოტ (sic) ხუდეს ძე ბეროზოვა. 22 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიდო, სოფელ ცოცოლთაში მცხოვრები ტემბოლატ ტილოს ძე ზანტიევი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ყარათყავში მცხოვრები სოლონია (sic) ურტოევა. 17 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიდო, სოფელ ზაყაგორში მცხოვრები გაბრიელ ბორკოს ძე კეტოევი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, გორის უეზდის სოფელ ხოდში (sic) მცხოვრები მარია კუძუს ძე ტოტროვა. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიდო, სოფელ კობში მცხოვრები ივანე გიორგის ძე კასაევი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარაში მცხოვრები ოლგა ხასაკოს ძე ბეროზოვა. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიდო, სოფელ ტეფში მცხოვრები სტეფან მიხეილის ძე კალაგოვი. 27 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ დესში მცხოვრები ლიზა ვანოს ასული ხამიცოვა. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიდო, სოფელ მნაში მცხოვრები ბიბო დიმიტრის ძე ცაბოლოვი. 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ყარათყავში მცხოვრები მარია ალექსანდრეს ასული კუმალაგოვა. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიდო, სოფელ უხათში მცხოვრები იაგორ სიმონის ძე სამოვი (sic). 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სივრათაში მცხოვრები მარია კალაგოვა. 18 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ცოცოლთაში მცხოვრები ვლადიმერ სანდროს ძე თაკაევი. 18 წლის. პირველი ქორწინება. სასიძო, სოფელ ყარათყავში მცხოვრები ოლგა სანდროს ძე კუმალაგოვა. 16 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

ყარათყავში მცხოვრები ბანბოლათ დოხჩიყოს ძე ბულაცოვი გარდაიცვალა 5 იანვარს, დაიმარხა 4 იანვარს. 65 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

სუატისში მცხოვრები ბიზიკო ქასაევის მეუღლე გუთაზ გარდაიცვალა 14 იანვარს, დაიმარხა 16 იანვარს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

აბანოს მცხოვრები პეტრე სოსლანბეგის ძე ცაბოლოვი გარდაიცვალა 18 მარტს, დაიმარხა 20 მარტს. 18 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლექით.

ზემო დესს მცხოვრები ინარიყო ხამიცივის მეუღლე ყიზმიდე გარდაიცვალა 23 მარტს, დაიმარხა 25 მარტს. 65 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ყარათყავს მცხოვრები ცომაყ ბულაცოვის ასული **დარიკო** გარდაიცვალა 26 მარტს, დაიმარხა 28 მარტს. 15 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ზავალი ქვით (sic).

ქვემო დესში მცხოვრები ანდრია ბიდიგოს ძე მირქაევი გარდაიცვალა 1 აპრილს, დაიმარხა 3 აპრილს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

სუატისში მცხოვრები ყუდინი ქასაევის მეუღლე ბარბარე გარდაიცვალა 5 აპრილს, დაიმარხა 7 აპრილს. 85 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ჩეთირს მცხოვრები ვასგე ქასაევის მეუღლე ნატალია გარდაიცვალა 5 აპრილს, დაიმარხა 7 აპრილს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

სუატისში მცხოვრები **ბიბო** ბესეს ძე ელოევი გარდაიცვალა 1 მაისს, დაიმარხა 3 მაისს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალში დაიხრჩო.

აბანოში¹ მცხოვრები ელისაბედ ძუკას ასული საპიევა გარდაიცვალა 18 ივნისს, დაიკრძალა 20 ივნისს 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალმანკით.

ტეფში მცხოვრები ნიკალაი ტოტრაზის ძე კალაგოვი გარდაიცვალა 4 ოქტომბერს, დაიკრძალა 6 ოქტომბერს. 56 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ანთებით.

რესში მცხოვრები ილას ალიმბეგის ძე კალმანოვი გარდაიცვალა 6 ოქტომბერს, დაიკრძალა 8 ოქტომბერს. 20 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფით.

რესში მცხოვრები კამბოლატ მიხეილის ძე კუსაევი გარდაიცვალა 11 ნოემბერს, დაიკრძალა 12 ნოემბერს. 20 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფით.

ცოცოლთაში მცხოვრები მაქსიმე დიდოს ძე ძანტიევი გარდაიცვალა 11 ნოემბერს, დაიკრძალა 12 ნოემბერს. 12 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფით.

ცოცოლთაში მცხოვრები ლიზა ციცკას ასული ძანტიევა გარდაიცვალა 16 ნოემბერს, დაიკრძალა 17 ნოემბერს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფით.

აბანოში მცხოვრები **მაიკო** ნიკოლოზის ასული ცაბოლოვა გარდაიცვალა 20 ნოემბერს, დაიკრძალა 27 ნოემბერს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფით.

ქეთრისში მცხოვრები ილას ტატარკანის ძე კოკაევი გარდაიცვალა 23 ნოემბერს, დაიკრძალა 24 ნოემბერს 34 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშით.

რესში მცხოვრები ლიზა გაგის ასული კუსაევა გარდაიცვალა 23 ნოემბერს, დაიკრძალა 24 ნოემბერს. 16 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფით.

გიმარაში მცხოვრები აბრაამ ალექსანდრეს ძე ბოცოევი გარდაიცვალა 24 ნოემბერს, დაიკრძალა 25 ნოემბერს. 15 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გაციებით.

¹ გარდაცვალებულთა გრაფაში აქედან რუსულადაა შედგენილი.

ბურმასიგს მცხოვრები **სანდრო** ტებოს ძე ტუაევი გარდაიცვალა 3 დეკემბერს, დაიკრძალა 6 დეკემბერს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხანგრძლივი ავადმყოფობით.

ქეთრისში მცხოვრები ძან ტოტრაზის ძე ცალაგოვი გარდაიცვალა 6 დეკემბერს, დაიკრძალა 8 დეკემბერს. 44 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №40

ლუშეთის მაზრის კობის საბლადოჩინოს, აბანოს სამრევლოს წმ. გიორგის

ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1910 წელი

მღვდელი ალექსანდრე მისოსტოვი, წიგნის მკითხველი ლაზარე კოკაევი

დაბადებულთათვის ¹

ვოლოდია (sic), დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 15 მაისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ივანე ბადილას ძე ბულაცოვი და **მაცრინა** (sic) მზორის ასული. მიმრქმელი – სოფელ ცოცოლთაში მცხოვრები გისო კუციკის ძე ზანტიევი.

ხარიტონ, დაიბადა 3 აპრილს, მოინათლა 14 მაისს. მშობლები: სოფელ აბანოში მცხოვრები თეოდორ გოდას ძე საპიევი და კოსელა ლუარსამის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები ალექსი გრიგოლის ძე ცაბოლოვი.

სანდრო, დაიბადა 5 აპრილს, მოინათლა 1 მაისს. მშობლები: სოფელ აბანოში მცხოვრები დავით **ლევანის** ძე ცაბოლოვი და **ნინო** (sic) ელისბარის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები ალექსანდრე ხასკოს ძე ცაბოლოვი.

ხრისტოფორ, დაიბადა 15 აპრილს, მოინათლა 28 მაისს. მშობლები: სოფელ ცოცოლთაში მცხოვრები მიტკა ტოტოს ძე ბულაცოვი და ფარიზუტ დაძილის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბურმასიგში მცხოვრები ელისაბედ ნიკოლოზის ძე ტუაევა.

ილია, დაიბადა 15 აპრილს, მოინათლა 10 მაისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები ივან **ჰაპის** ძე ბოცოევი და ოლგა გიძილის ასული. მიმრქმელი – კობის სამრევლოს მღვდელი ალექსანდრე მისოსტოვი.

ანასტასია, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 18 მაისს. მშობლები: სოფელ გიმარას მცხოვრები თოთრიბეგ ბოცოევი და პელო მაქსიმეს ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარაში მცხოვრები კირიმა ბეროზოვი.

სასიძო, სოფელ გიმარაში მცხოვრები გიძიმ ბოცოევი. 56 წლის. მეორე ქორწინება. სასიძო, სოფელ გიმარაში მცხოვრები გაბე (sic) ბერეზოვის ქალი **ნუცა**. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

სვატისში მცხოვრები გრიგოლ ტურბეგოვის დედა სოლომია გარდაიცვალა 16 იანვარს, დაიკრძალა 19 იანვარს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექით.

ზემო დესში მცხოვრები დიმიტრი ხამიცოვის ქალი მამო გარდაიცვალა 20 იანვარს, დაიკრძალა 21 იანვარს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფით.

ცოცოლთაში მცხოვრები **ალეკო** ტოკოევის მეუღლე **ნატო** ივანეს ასული გარდაიცვალა 22 იანვარს, დაიკრძალა 23 იანვარს. 43 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გაციებით.

აბანოში მცხოვრები **კოტე** (sic) ცაბოლოვი გარდაიცვალა 20 თებერვალს, დაიკრძალა 24 თებერვალს(sic). 54 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციმბირის წყლულით.

ტეფში მცხოვრები ნიკალაი კალაგოვის ქალი ნატალია გარდაიცვალა 1 მარტს, დაიკრძალა 3 მარტს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშით.

В селе Каратикави (sic) [ყარათყავში] მცხოვრები სიმეონ ბულაცოვის ქვრივი **ქალი** (Кали sic) გულიევა გარდაიცვალა 8 მარტს, დაიკრძალა 10 მარტს. 69 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფილტვების ანთებით.

В селе Каратикави (sic) [ყარათყავში] მცხოვრები ასახმატ იორანეს ძე ურატევის მეუღლე მაკა საბეგის ასული გარდაიცვალა 21 მარტს, დაიკრძალა 22 მარტს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ზაყაგორში მცხოვრები ბორიკო კეტოევი გარდაიცვალა 11 აპრილს, დაიკრძალა 12 აპრილს. 81 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფით.

აბანოში მცხოვრები ეგორ ცაბოლოვი გარდაიცვალა 15 ივლისს, დაიკრძალა 16 ივლისს. 59 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცარი სიკვდილით.

რესში მცხოვრები ისაკო პეტრეს ძე კუსაევის დედა გუძის გარდაიცვალა 6 აგვისტოს, დაიკრძალა 7 აგვისტოს. 65 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალმანკით.

სვატისში მცხოვრები სილი იგივე ვასილი კასაევი გარდაიცვალა 22 აგვისტოს, დაიკრძალა 23 აგვისტოს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ცხენმა ჩამოადგო.

ტეფში მცხოვრები ლაზარე კალაგოევი გარდაიცვალა 15 სექტემბერს, დაიკრძალა 16 სექტემბერს. 47 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფით.

სვატისში მცხოვრები სოლომონ გრიგოლის ძე კოშკაევი გარდაიცვალა 21 ნოემბერს, დაიკრძალა 22 ნოემბერს. 25 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფით.

ბურმასიგში მცხოვრები გაბრიელ ტუაევის ვაჟი ბესარიონი გარდაიცვალა 1 დეკემბერს, დაიკრძალა 2 დეკემბერს. 19 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფით.

ცოცოლთაში მცხოვრები ხასაკო ბადილას ძე ბულაცოვის ვაჟი დანიელი გარდაიცვალა 23 დეკემბერს, დაიკრძალა 24 დეკემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყვავილით.

ქვემო დესში მცხოვრები სოსლინბეგ ხამიცოვის ვაჟი გრიშა გარდაიცვალა 27 დეკემბერს, დაიკრძალა 28 დეკემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყვავილით.

**სოფელ კობის წმ. გიორგის სახელობის
ეკლესიის მეტრიკული წიგნები
(1828–1917 წლები)**

ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №73

**„ოსეთის ყველა საბლადოჩინო კომისიის“ მეტრიკული წიგნები
საქართველოს იმერეთის უწმინდესის მმართველის სინოდის კანტორიდან
ოსეთის უწყების ხევის უჩასტკის და კობის საბლადოჩინოს კობის წმინდის
მთავარმოწამის გიორგის ეკლესიასა შინა**

**წიგნი მეტრიკესკისა სამნაწილოვანი კოპის (sic) სამრევლოს მღუდლის გიორგი
ბაბეშვილისა – 1828 წელი**

დაბადებულთათვის

ივანე, დაიბადა კე [25] სექტემბერს, მოინათლა ე [5] ოქტომბერს. მშობლები: ბაზილიანს მცხოვრები (sic) აბა შვილი გაბრიელი. ნათლია – აზნაური ლუარსაბ ფურცელაძე.

ნინო, დაიბადა ა [1] ოქტომბერს, მოინათლა ია 11 [ოქტომბერს]. მშობლები: ნაოყავს მცხოვრები მეთე შვილი გიორგი. ნათლია – ნაზლაიძე ნინია.

გიორგი, დაიბადა დ [4] ოქტომბერს, მოინათლა კა [21] ოქტომბერს. მშობლები: ნაოყას მცხოვრები ჯი შვილი (?) აბრამი. ნათლია ჯანთიშვილის ქალი მაია.

ლუარსაბ, დაიბადა ზ [7] ოქტომბერს, მოინათლა იე [15] ოქტომბერს. მშობლები: ოქროყანას მცხოვრები გუდიშვილს ელვა (?). ნათლია – ჩქარიული გლახა¹

ფილიპე, დაიბადა ი [10] ოქტომბერს, მოინათლა კდ [24] ოქტომბერს. მშობლები: უხათს მცხოვრები მშობლები: ფრანგა². ნათლია – **ოსყოფილი გლახა**.

ნინო, დაიბადა ივ [16] ოქტომბერს, მოინათლა ოზ [17] ოქტომბერს. მშობლები: ნაოყას მცხოვრები ვანთი შვილ მიხაილი. ნათლია – სოფელ წურიდამ(?) ძაგანიშვილი(?) გიორგი.

კობის სამრევლოს ეკლესიის მღვდელი გიორგი ბაბეს შვილი

ჯვარდაწერილთათვის

სოფელ ოქროყანას მცხოვრებმა იოთამ გუდიშვილმა (sic) იქორწინა პირველითა ქორწინებითა ბაკშველს (sic) იოანეს ქალ სალომესთან, გვირგვინი უკურთხა მღვდელმა გიორგ ბაბეშვილმა ივ [13] დღეს³. თავდებნი იყვნენ, ვაჟის მხრივ იმის ბიძაშვილი გოგია და ქალი მხრივ ბაისასშვილი პაით(?).

ოქროყანას მცხოვრებ გუდიშვილმა (sic) სოლომონმა იქორწინა პირველითა ქორწინებითა ვანთიშვილის ქალს **მაიასთან**, გვირგვინი უკურთხა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა. ვ [6] დღეს. თავდებნი იყვნენ გუდიშვილი ლუარსაბ და ბია შვილი(?) შიო.

მნას მცხოვრები ქაშას შვილმა (sic) დავითმა იქორწინა გუდი შვილის (sic) ქალს მარინესთან კზ [27] დღეს. პირველითა ქორწინებითა. გვირგვინი უკურთხა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა. თავდებნი იყვნენ ქოქოშვილი (sic) გიორგი და წიას შვილი(?) იასე.

კობის სამრევლოს ეკლესიის მღვდელი გიორგი ბაბეს შვილი.

გარდაცვალებულთათვის

უხათს მცხოვრები ქობილი შვილი ელიზბარ მოკვდა ი [10] ივლისს, დაიმარხა ია [11] ივლისს. ივ [16] წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციებითა. აზიარა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

¹ ნათლიის სოფელი არ წერია.

² მშობლის გვარი არ წერია.

³ ჯვრისწერის თვე და ჯვარდაწერილთა ასაკი არ წერია.

ქობილიშვილის ელიზბარის მეუღლე ბარბარე¹ მოკვდა იბ [12] ივლისს, დაიმარხა იგ [13] ივლისს. იგ (sic) [13] წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციებითა. აზიარა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

ქარელას დედა ანა² მოკვდა იდ [14] ივლისს, დაიმარხა იე [15] ივლისს. ო [60] წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულისქრითა. აზიარა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

თეზიშვილი (sic) თექთურმანის შვილი ივანე³ მოკვდა იზ [17] ივლისს, დაიმარხა იმ [18] ივლისს. ი [10] წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციებითა. აზიარა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

თეზის შვილის თექთურმანის რძალი სალომე მოკვდა ით [19] ივლისს, დაიმარხა კ [20] ივლისს. კე(?) [25] წლის. გარდაცვალების მიზეზი – მჭვალითა. აზიარა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

ქობილიშვილი (sic) იასე⁴ მოკვდა კა [21] ივლისს, დაიმარხა კბ [22] ივლისს. პ [80] წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ჭიდილისგან (sic). აზიარა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა. კობს მცხოვრები ალაკიშვილი(?) ჟაკიშვილი (?) ნიკოლოზ მოკვდა კვ [26] ივლისს, დაიმარხა კზ [27]. ოთ [79] წლის. გარდაცვალების მიზეზი – სისხითა. აზიარა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

ჩალაგიშვილი ეფრემ⁵ მოკვდა ა [1] აგვისტოს, დაიმარხა ბ [2] აგვისტოს. ო [70] წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციებითა. აზიარა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

იმავე ეფრემის ცოლი **დარეჯან** მოკვდა იე [15] აგვისტოს, დაიმარხა ივ [16] აგვისტოს. ნე [55] წლის. გარდაცვალების მიზეზი – სისხითა. აზიარა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

ბაზილანს მცხოვრები აბაშვილი ზაქარია მოკვდა კ [20] აგვისტოს, დაიმარხა კა [21] აგვისტოს. მზ [47] წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

ურთაშვილი ქაიხოსრო⁶ მოკვდა კზ [27] აგვისტოს, დაიმარხა კმ [28] აგვისტოს. ლე [35] წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადითა. აზიარა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

ჯახასშვილის (sic) ახმერას ცოლი მარიამ⁷ მოკვდა ლ [30] აგვისტოს, დაიმარხა ლა [31] აგვისტოს. კდ [24] წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადითა. აზიარა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

თოღგოთს მცხოვრები ჯახასშვილის დოქუს ცოლი **ნინო** მოკვდა ლ [30] აგვისტოს, დაიმარხა ლ (sic) აგვისტოს, კა(?) [21] წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადითა. აზიარა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

ნაოყავს მცხოვრები აბაშვილის აბრამის შვილი სოლომონ მოკვდა გ [3] სექტემბერს, დაიმარხა დ [4] სექტემბერს. კა [21] წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციებ-ცხელებითა. აზიარა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

ოქროყანას მცხოვრები გუდიშვილს (sic) თებას ცოლი **დარეჯანი** მოკვდა ი [10] სექტემბერს, დაიმარხა ია [11] სექტემბერს. მ [40] წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადითა. აზიარა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

¹ არ წერია სოფელი.

² არ წერია სოფელი და გვარი.

³ არ წერია სოფელი.

⁴ არ წერია სოფელი.

⁵ არ წერია სოფელი.

⁶ არ წერია სოფელი.

⁷ არ წერია სოფელი.

იასის შვილს (sic) კარასშვილი გაბრიელ¹ მოკვდა იზ [17] სექტემბერს, დაიმარხა იმ [18] სექტემბერს. ით [19] წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყვავილითა. აზიარა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

ზაქისშვილი რუხიას შვილი დავით² მოკვდა ით [19] სექტემბერს, დაიმარხა კ [20] სექტემბერს, იე [15] წლის. გარდაცვალების მიზეზი – სისხითა. აზიარა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

მნას³ მცხოვრები ქოქოშვილი ყაფლან მოკვდა კზ [27] სექტემბერს, დაიმარხა კთ [29] სექტემბერს. იმ [18] წლის. გარდაცვალების მიზეზი – ცხელებითა. აზიარა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

კობის სამრევლოს მღვდელი გიორგი ბაბესშვილი.

ფონდი 489. ანაწერი 6. დოკუმენტი №95

კობის წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი – 1829 წელი

მღვდელი გიორგი ბაბეშვილი

დაბადებულთათვის

სოფიო, დაიბადა ვ [6] იანვარს, მოინათლა თებერვლის კდ [24]. მშობლები: სოფელ მნასა მცხოვრებ ქაშა შვილს (sic) თევდორეს დაებადა ქალი არასჯულიერის მეუღლისგან. ნათლია იყო ყანობიდან დაუჯიშვილი(?) ნანე.

ივანე, დაიბადა კზ [27] იანვარს, მოინათლა მარტის ია [11]. მშობლები: სოფელ შავარდენს მცხოვრებ ქოქა შვილ გაჯას დაებადა ვაჟი არა სჯულიერს მეუღლესთან. ნათლია იყო დესს მცხოვრები მირიქას ქალი დარეჯან.

თომა, დაიბადა ვ [6] მარტს, მოინათლა ლა [31] მარტს. მშობლები: სოფელ შავარდენს მცხოვრებ ქოქა შვილს საყლავას (sic) დაებადა ვაჟი. ნათლია იყო ამავე სოფელში მცხოვრები მრიქიაშვილის (sic) ივანეს ცოლი ნინო.

მარინე, დაიბადა იე [15] აპრილს, მოინათლა კთ [29] აპრილს. მშობლები: სოფელ კოპს (sic) [კობს] მცხოვრებ თავის შვილს მიხეილს დაებადა ქალი არა სჯულიერის მეუღლისგან. ნათლია იყო უხათს მცხოვრები ურთაშვილი გიორგი.

გიორგი, დაიბადა ვ [6] ივნისს, მოინათლა ლ [30] ივნისს. მშობლები: სოფელ კოპს მცხოვრებ თავის შვილს (sic) მიხეილს დაებადა ვაჟი არა სჯულიერს მეუღლისგან. ნათლია იყო ურთხს (sic) [უხათს] მცხოვრები ურთაშვილი გრიგოლი.

შიო, დაიბადა თ [9], მოინათლა კმ [28] ივლისს. მშობლები: სოფელ შინურთას (sic) მცხოვრებ ქობულის შვილ მიხაილს დაებადა ვაჟი არა სჯულიერს ცოლთან. ნათლია იყო ნოყას (sic)⁴ მცხოვრები მეტეს შვილი გოგი.

ნინო, დაიბადა ა [1] აგვისტოს, მოინათლა კდ [24] აგვისტოს. მშობლები: სოფელ შინურთას (?) მცხოვრებ ჩაბოლიშვილს სვიმონს დაებადა ქალი არა სჯულიერ ცოლთან. ნათლია იყო სოფელ ნოყას (sic) მცხოვრები მეფის შვილი(?) გოგია.

თამარი, დაიბადა ით [19] ოქტომბერს, მოინათლა ნოემბრის ვ [6]. მშობლები: სოფელ უხათს მცხოვრებ ქობალის შვილს (sic) ნინიას დაებადა ქალი არა სჯულიერ ცოლთან.

¹ არ წერია სოფელი.

² არ წერია სოფელი.

³ დოკუმენტში შეცდომით წერია სოფელი მინა.

⁴ დოკუმენტში ეს სოფელი გვხვდება ნოყას/ნაოყავის/ნაოყავის/ნაოყას სახელწოდებითაც. კამერალურ აღწერებში ეს სოფელი ახალსოფელით იხსენიება.

ნათლია იყო სოფელ ყურთის (sic) [ხურთის] მცხოვრები გოგაშვილი (sic) [გოგიშვილი] მარტია.

გარდაცვალებულთათვის

შავარდენს მცხოვრები ქოქაშვილი სოლომონ მოკვდა ზ [7] იანვარს, დაიმარხა მ [8] იანვარს. 6 [60] წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულისტკივილით. აღსარება ჩაიბარა, აზიარა და წესი აუგო მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

ოქროყანას მცხოვრები გუდისიშვილი (sic) იოთამ მოკვდა კმ [28] თებერვალს, დაიმარხა მარტის ა [1]. 3 [80] წლის. გარდაცვალების მიზეზი – სილისაგან. აღსარება ჩაიბარა, აზიარა და წესი აუგო მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

ოქროყანას მცხოვრები თაქის შვილი (sic) **ლუარსაბ** მოკვდა ლ [30] მარტს, დაიმარხა აპრილის ა [1]. 7 [75] წლის. გარდაცვალების მიზეზი – სისხისაგან (sic). აზიარა და წესი აუგო მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

ბახილანს (sic) [ბაზილანს] მცხოვრები აბრიშვილი (sic) დავით მოკვდა კდ [24] აპრილს, დაიმარხა კვ [26] აპრილს. 38 [87] წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობა. აზიარა და წესი აუგო კობის ეკლესიის მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

ბახილანს (sic) [ბაზილანს] მცხოვრები აბას შვილის მათეს ცოლი ანა მოკვდა კთ [29] მაისს, დაიმარხა ლ [30] მაისს. კმ [28]. წლის. გარდაცვალების მიზეზი – სისხისაგან. აზიარა და წესი აუგო მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

უხათს მცხოვრები ჩაბოლის შვილის გაბრიელის ცოლი მარიამ მოკვდა კდ [24] ივლისს, დაიმარხა კვ [26] ივლისს. კვ [26] წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხუნათით. აზიარა და წესი აუგო მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

სოფელ უხათს ზაგის შვილი სოლომონ მოკვდა ლ [30] სექტემბერს, დაიმარხა ოქრომბრის ა [1]. 6 [50] წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით. აზიარა და წესი აუგო კობის ეკლესიის მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

უხათს მცხოვრები ბათის შვილი დავით მოკვდა კ [20] ნოემბერს, დაიმარხა კბ [22] ნოემბერს. მთ [49] წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლისათა. აზიარა და წესი აუგო მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №120

კობის წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი -1830 წელი

მღვდელი გიორგი ბაბეშვილი, პრიჩეტნიკი გაბრიელ ახაშენოვი [ახალშენიშვილი]

დაბადებულთათვის

გრიგოლ, დაიბადა ვ [6] მარტს, მოინათლა აპრილის იე [15]. ღუშეთის უეზდის ოსეთის ნათესავის სოფელს შავარდენს მცხოვრებ ჯათის შვილს დავითს დაებადა ვაჟი არა სჯულიერს ქორწინებითა, სახელი განათლა და მონათლა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა ნათლიად იყო ამავე სოფლის მოსახლე მირიქი შვილი (sic) ივანე.

ვართამზე, იყო იე [15] წლის (sic), მოინათლა ვ [6] მაისს. სოფელ უხათს მცხოვრებ ბათიანთ შიოს (sic) ქალი მოვნათლე მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა. ნათლიად იყო ამავე სოფლის სოსახლე მისვე ქალების კურკუმელის შვილი (sic) თევდორე.

ელისაბედ, იყო ი [10] წლისა, მოინათლა ვ [6] მაისს. მისი [ბათიანთ შიოს] ქალი (sic) მოვნათლე მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა. ნათლიად იყო ამავე სოფლის სოსახლე მისვე ქალების კურკუმელის შვილი (sic) თევდორე.

ელენე, იყო ბ [2] წლისა, მოინათლა ვ [6]. ამავე ბათაშვილს (sic) შიოს ქალი მოვნათლე მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა. ნათლიად იყო ამავე სოფლის სოსახლე მისვე ქალების კურკუმელის შვილი (sic) თევდორე.

დავით, დაიბადა ი [10] ივლისს, მოინათლა იე [15] აგვისტოს. სოფელ კოპს (sic) ბათას შვილს (sic) დაებადა ვაჟი არა სჯულიერის ქორწინებითა. სახელი განათლა და მონათლა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა, ნათლია იყო სიონის მოსახლე ომან დავითაშვილი (sic).

ვასილ, დაიბადა კდ [24] ოქტომბერს, მოინათლა ნოემბერს ი [10]. სოფელ უხათს მრიქას შვილს (sic) [მირიქაშვილს] იოსებს დაებადა ვაჟი არა სჯულიერის ქორწინებითა, სახელი განათლა და მონათლა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა. ნათლია იყო სოფელ მლეთეს (sic) მოსახლე ნინია ნაზღაიძე.

გარდაცვალებულთათვის

დუშეთის უეზდის სოფელ უხათს მცხოვრები ოსთ ნათესავი ქაიხოსრო თეზის შვილი მოკვდა ც [8] იანვარს, დაიმარხა ი [10] იანვარს. ლ [30] წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციებისაგან. აზიარა და წმინდა საიდუმლო შეასრულა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

უხათს მცხოვრები ქობილური (sic) ნინია მოკუდა ი [10] თებერვალს, დაიმარხა იბ [12] თებერვალს, ე [5] წლის. აზიარა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

კოპს [კობს] მცხოვრები იხას¹ (sic) ცოლი დარეჯან მოკვდა იე [15] მარტს, დაიმარხა იზ [17] მარტს. მ [40] წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ჭირებითა. აზიარა და წმინდა საიდუმლო შეასრულა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა. დამარხა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

კოპს [კობს] მცხოვრები ყოყაშვილი სვიმონ მოკუდა დ [4] აპრილს, დაიმარხა ვ [6] აპრილს. კზ [27] წლის. გარდაცვალების მიზეზი – შირიმითა. აზიარა და წმინდა საიდუმლო შეასრულა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა. დამარხა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

ბაზილას (sic) მცხოვრები წამეხარას (?) ცოლი **ნინო** მოკუდა იდ [14] მაისს, დაიმარხა ივ [16] მაისს. მა [41] წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციავ-ცხელებითა. აზიარა და წმინდა საიდუმლო შეასრულა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა. დამარხა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

უხათს მცხოვრები თეზას შვილი ნიკოლოზ მოკუდა კთ [29] ივნისს, დაიმარხა ლ [30]. ბ [2] წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ჭირებითა. აზიარა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა. დამარხა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

ნოყავს მცხოვრები ეგი შვილი პეტრე მოკუდა ია [11] ივლისს, დაიმარხა იგ [13]. ძ წლის [60]. გარდაცვალების მიზეზი – საოფლითა. აზიარა და წმინდა საიდუმლო შეასრულა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა. დამარხა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

ნოყავს (sic) მცხოვრები ოსის შვილის დედა ქეთის (sic) მოკუდა კთ [29] ივლისს, დაიმარხა ლ [30] ივლისს. პ [80] წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლითა. აზიარა და წმინდა საიდუმლო შეასრულა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა. დამარხა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

ოქროყანას მცხოვრები ბედუხი შვილი (sic) ივანე მოკუდა ე [5] აგვისტოს, დაიმარხა ზ [7] აგვისტოს. მმ [48] წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლითა. აზიარა და წმინდა

¹ გვარი არ წერია.

საიდუმლო შეასრულა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა. დამარხა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

ოქროყანას მცხოვრები ბიდაუნის შვილი (sic) აღათონ (sic) მოკუდა იბ [12] სექტემბერს, დაიმარხა იდ [14] სექტემბერს. ო [70] წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლითა. დამარხა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

ოქროყანას მცხოვრები ზოზურყოს (sic) ცოლი მარიამ მოკუდა ვ [6] ნოემბერს, დაიმარხა ზ [8] ნოემბერს. ნ [50] წლის. გარდაცვალების მიზეზი – სილისაგან. აზიარა და წმინდა საიდუმლო შეასრულა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა. დამარხა მღვდელმა გიორგი ბაბეშვილმა.

ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №1518

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი 1862 წელი

მღვდელი ბლადოჩინი მღვდელი გიორგი იტონიევი [ითონიშვილი], პრიჩეტნიკი ზაქარია კობაიძე

დაბადებულთათვის

ბარბარე, დაიბადა 7 თებერვალს, მოინათლა 11 თებერვალს. მშობლები: ტფილისის ღუბერნიის ხევის უჩასტკის¹ სოფელ კობში მცხოვრები დუდარ ისეს ძე თუევი (sic) და უკანონო ცოლი ამისი მარინე მალსაგიას ასული (sic), ორნივე მართლმადიდებლობის სარწმუნოებისა. მიმრქმელი – ამავე უჩასტკის სოფელ ყაზიბეგში მცხოვრები ესავ (sic) ივანეს ძე ყაზიბეგოვი (sic).

ელენე, დაიბადა 14 თებერვალს, მოინათლა 25 თებერვალს. მშობლები: ბლადოჩინობის (sic) თანამდებობის აღმასრულებელი კობის მღვდელი გიორგი ივანეს ძე იტონიევი და სჯულიერი ცოლი ამისი თინათინ გიორგი ასული. მიმრქმელი – დუშეთში მცხოვრები ივანე ბეციას ძე მგლიანოვი (sic).

სვიმონ, დაიბადა 4 აპრილს, მოინათლა 17 აპრილს. მშობლები: კობის სამრევლოს სოფელ ქვემო უხათს მცხოვრებელი აც (sic) კაზბიას(?) ძე ცაბოლოვი (sic) და სჯულიერი ცოლი ამისა მართა ბიტეს (sic) ასული. მიმრქმელი – ხევის უჩასტკის ზასედატელი ტფილისში მცხოვრები გაბრიელ ეფრემის ძე კადუბანცოვი (sic).

გიორგი, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 24 აპრილს. მშობლები: სოფელ მნას მცხოვრები სახელმწიფო ყმა ყუდა (sic) შიოს ძე გუთონოვი (sic) და სჯულიერი ცოლი მართა თაფრიყოს (sic) ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ალექსი ყაზის ძე ქოქაევი (sic).

რომან (sic), დაიბადა 11 აპრილს, მოინათლა 26 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო ყმა ვასილ გობის ძე სალბიევი (sic) და სჯულიერი ცოლი ამისი ფათიმ (sic) ბათას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელში მცხოვრები სახელმწიფო ყმა იაგორ ნაოგის ძე თაკაევი.

ნინა, დაიბადა 13 აპრილს, მოინათლა 29 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო ყმა ვასქე (sic) ბასას ძე ქასაშვილი (sic) და სჯულიერი ცოლი ამისი ფათი მისირას (sic) ასული. მიმრქმელი – ამავე უჩასტკის სოფელ ყანობში მცხოვრები გლახა იოსების ძე კობიაშვილი.

¹ ყველას უწერია – ტფილისის ღუბერნიის ხევის უჩასტკის – სხვაგან აღარ ვუთითებთ.

სოფიო, დაიბადა 15 აპრილს, მოინათლა 29 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო ყმა თასო ვარიყანის (sic) ძე ქოქაევი და სჯულიერი მეუღლე **ნინო** აჯის (sic) ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელში მცხოვრები გრიგოლ **მაისურაძის** (sic) ძე თაკაევი (sic). სალომე, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 12 მაისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო ყმა ელზარიყო (sic) დოჭეს (sic) ძე ყარაშვილი (sic) და სჯულიერი ცოლი ამისი საბედა (sic) გობის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები სახელმწიფო ყმა კოცა მისისტის (sic) ძე ქოცაევი (sic).

ანნა, დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 22 მაისს. მშობლები: სოფელ მნას მცხოვრები სახელმწიფო ყმა ცენგურ (sic) ყანიზიას ძე ქოცაევი (sic) და სჯულიერი ცოლი ამისი სოფიო ხუცის ასული. მიმრქმელი – დუშეთის უჩასტკის სოფელ ებნისში (sic) მცხოვრებული სახელმწიფო ყმა საბან (sic) ტუტიას ძე ილურიძე.

მელანია, დაიბადა 12 მაისს, მოინათლა 22 მაისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო ყმა **გლახა** დოლი თიყოს (sic) ძე ქაშაევი (sic) და სჯულიერი ცოლი ამისი ელისაბედ **გლახას** ასული. მიმრქმელი – დუშეთის უჩასტკის სოფელ ლაბურს (sic) მცხოვრებული გიორგი ივანეს ძე ლაბაური.

დარია, დაიბადა 5 ივნისს, მოინათლა 11 ივნისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები სახელმწიფო ყმა თოთრამ (sic) ხათიას ძე ქობილოვი (sic) და სჯულიერი ცოლი ამისი თოთრიმან (sic) მანალდის (sic) ასული. მიმრქმელი – ჯავის უჩასტკის სოფელ ელისას მცხოვრებული მოსე იასეს ძე ალიბეგოვი (sic).

ალექსანდრე, დაიბადა 10 ივნისს, მოინათლა 23 ივნისს. მშობლები: სოფელ ბიდარას მცხოვრები სახელმწიფო ყმა ადამ ბესთავის ძე გალაგიშვილი (sic) და სჯულიერი ცოლი ამისი **ნინო** ბაზის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრებული სახელმწიფო ყმა ბერდურ (sic) ყუსმანის ძე ჩეთოშვილი (sic).

ივანე, დაიბადა 15 სექტემბერს, მოინათლა 28 სექტემბერს. მშობლები: სოფელ მნას მცხოვრები სახელმწიფო ყმა ბაქა ციცის ძე ქასაშვილი და უკანონო ცოლი ნალყიზ ადათანგის ასული. მიმრქმელი – მთიულეთის უჩასტკის სოფელ კაიშაურში მცხოვრებული სახელმწიფო ყმა ღრაფიელ (sic) ივანეს ძე კაიშაუროვი (sic) [კაიშაური].

ვარვარა, დაიბადა 1 დეკემბერს, მოინათლა 14 დეკემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო ყმა ალექსი ეფრემის ძე ცალაგიშვილი და სჯულიერი ცოლი ამისი მარია მოსეს ასული. მიმრქმელი – ხევის უჩასტკის ზასედატელი გაბრიელ ეფრემის ძე კალუბანოვი (sic).

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, ტფილისის გუბერნიის, მთიულეთის უჩასტკის, ღუდის სამრევლოს სოფელ ერეთში მცხოვრებული სახელმწიფო ყმა გაბრიელ ყაზის ძე რუბაევი, მართლმადიდებელი. 29 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, ტფილისის გუბერნიის ხევის უჩასტკის კობის სამრევლოს სოფელ კობში მცხოვრებელ სახელმწიფო ყმის თოლა ბიგანიშვილის ასული დარეჯან. მართლმადიდებელი სარწმუნოების აღსარებისა. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ მთიულეთის უჩასტკის, ღუდის სამრევლოს სოფელ ერეთში მცხოვრები მათე გუძიას ძე გადიშვილი (sic). სასძლოს მხრივ, ხევის უჩასტკის სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო ყმა გიორგი ბიძიას ძე თაკაშვილი. ჯვარი დაიწერეს 15 იანვარს.

სასიძო¹, ...ამავე უეზდს მცხოვრები სახელმწიფო ყმა დავით გაღის ძე აბაევი. მართლმადიდებელი. 35 წლის. პირველი ქორწინება. ამავე სოფელს მცხოვრებელის ელბიზდის მისოსტოვის ასული². 33 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, ხევის უჩასტკის სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო ყმა გიორგი სმაილის (sic) ძე კოსაევი; სასძოს მხრივ, ამავე სოფელში მცხოვრები სახელმწიფო ყმა ელზარიყო ამზორიყოს ძე თაკაევი. ჯვარი დაიწერეს 22 იანვარს.

სასიძო, ...აბანოს სამრევლოს სოფელ ცოცოლთაში მცხოვრებული სახელმწიფო ყმა ნიკოლოზ ჯაეს (sic) ძე ბულაცოვი (sic). მართლმადიდებელი. 30 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, კობის სამრევლოს სოფელ ბიდარას მცხოვრებული განი ბიდაროვის ასული ანა³. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, ხევის უჩასტკის აბანოს სამრევლოს სოფელ ცოცოლთაში მცხოვრებული სახელმწიფო ყმა თოთრაჯ ნაფის ძე თაყიშვილი (sic), სასძოს მხრივ კობის სამრევლოს სოფელ ბაზინას (sic) მცხოვრებული სახელმწიფო ყმა ალექსი ბითას ძე ყარაშვილი. ჯვარი დაიწერეს 30 იანვარს.

სასიძო, ...ამავე სამრევლოს სოფელ ზემო ღესს მცხოვრები სახელმწიფო ყმა თევდორე ღუდას ძე ყარდიშვილი (sic). მართლმადიდებელი. 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრებული ციქო თავაშვილის (sic) ასული **ნინო**. 22 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრებული სახელმწიფო ყმა ქუცი (sic) გაღის ძე აბაევი. სასძოს მხრივ სოფელ კობშივე მცხოვრებული სახელმწიფო ყმა ფრანგა ჯას (sic) ძე თავაშვილი (sic). ჯვარი დაიწერეს 21 მაისს.

სასიძო, ...კობის სამრევლოს სოფელ ნაოგყავს (sic) მცხოვრებული სახელმწიფო ყმა გრიგოლ ყავდინის ძე ოსიევი. 33 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ მნას მცხოვრებული სახელმწიფო ყმის ბაქა ქარაშვილის (sic) ასული მართა. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ მნაში მცხოვრებული სახელმწიფო ყმა გათი აბრაგის (sic) ძე თავშაევი (sic). სასძლოს მხრივ, სოფელ ოქროყანაში მცხოვრებული სახელმწიფო ყმა როსტომ გოჭის (sic) ძე ზაღაგოვი (sic). ჯვარი დაიწერეს 25 იანვარს.

სასიძო, ტფილისისი ღუბერნიის, მთიულეთის უჩასტკის, ღუდის სამრევლოს, სოფელ ერეთში მცხოვრებული სახელმწიფო ყმა კოსტანტინე გიორგის ძე რუბაევი (sic). 35 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, ხევის უჩასტკის კობის სამრევლოს სოფელ ოქროყანას მცხოვრებელის ყამირზა ძაღაშვილის ასული **დარეჯან**. 20 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, მთიულეთის უჩასტკის ღუდის სამრევლოს სოფელ ერეთში მცხოვრებული ძაღო (sic) ყაზის ძე რუბაევი, სასძლოს მხრივ, კობის სამრევლოს სოფელ ოქროყანაში მცხოვრებული სახელმწიფო ყმა მიხეილ ცოფანის (sic) ძე ღუდიევი. ჯვარი დაიწერეს 27 იანვარს.

სასიძო, ტფილისისი ღუბერნიის ჯავის უჩასტკის მაღლა-მდოვრეთის (sic) პრიხოდის სოფელ ჩელიათში მცხოვრებული სახელმწიფო ყმა მანასპი (sic) ბარათის (sic) ძე მაყიშვილი (sic), მართლმადიდებელი. 35 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო მხრივ, ხევის უჩასტკის კობის სამრევლოს სოფელ მნას მცხოვრებული, სახელმწიფო ყმის ელბიზდიყო ცაბოლიშვილის ასული ბარბარე. მართლმადიდებელი. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, ჯავის უჩასტკის სოფელ ჩელიათში მცხოვრებული ყულადარ ოზბეგის ძე მაყიევი (sic),

¹ ჯვარდაწერილებს ყველას უწერია – ტფილისისი ღუბერნიის ხევის უჩასტკი – სხვაგან აღარ ვუთითებთ.

² სასძლოს სახელი არ წერია.

³ ანას ასაკი არ წერია.

სასძლოს მხრივ, ხევის უჩასტკის კობის სამრევლოს სოფელ ოქროყანაში მცხოვრებელი სახელმწიფო ყმა ფრი ყაზიას ძე ბიასოვი(?). ჯვარი დაიწერეს 16 აგვისტოს.

სასიძო, ...კობის სამრევლოს სოფელ შავარდენს მცხოვრებელი სახელმწიფო ყმა ალექსანდრე **გლახას** ძე ქოქაშვილი. მართლმადიდებელი. 15 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, ამავე უჩასტკის, ამავე სამრევლოს სოფელ კობში მცხოვრებელის სახელმწიფო ყმის თედო მირნაცის ძე მისოსტოვის ასული **ნინო**. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, ხევის უჩასტკის კობის სამრევლოს სოფელ ოქროყანაში მცხოვრებელი სახელმწიფო ყმა მოსე ზოზიყოს (sic) ძე ქოქაევი. სასძლოს მხრივ, ამავე უჩასტკის სოფელ შავარდენში მცხოვრებელი სახელმწიფო ყმა სვიმონ დავითის ძე ბაბაევი (sic). ჯვარი დაიწერეს 5 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

აღსარება ათქმევინა, აზიარა და ანდერძი აუგო კობის ბლაღოჩინმა მღვდელმა გიორგი იტონიევმა.

თოღოთს მცხოვრები პეტრე თაკაშვილის ასული სალომე გარდაიცვალა 22 იანვარს, დაიკრძალა 23 იანვარი. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშისგან¹.

კობში მცხოვრები მიდი ყარაშვილის ძე მიხეილი გარდაიცვალა 27 იანვარს, დაიკრძალა 28 იანვარს. 5 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

კობში მცხოვრები ღუდარიყო თაკაშვილის ასული სოფიო გარდაიცვალა 8 თებერვალს, დაიკრძალა 9 თებერვალს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშისაგან.

ამავე უჩასტკის სოფელ აგიანთას (sic) მცხოვრები გაგი ივანეს ძე აგაევი გარდაიცვალა 15 თებერვალს, დაიკრძალა 16 თებერვალს. 90 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

ოქროყანაში მცხოვრები ყაზი ბასოვი (sic) გარდაიცვალა 22 თებერვალს, დაიკრძალა 25 თებერვალს. 100 წლი (sic). გარდაცვალების მიზეზი – ჭვალით.

ზემო ოქროყანას მცხოვრები ყარასე მანაღდის ძე ღუდიევი გარდაიცვალა 10 აპრილს, დაიკრძალა 11 აპრილი. 25 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიჭლექით.

ამავე სოფელში მცხოვრები ყუდვინათის (sic) ძე თევდორე ღუდიევი გარდაიცვალა 15 ივნისს, დაიკრძალა 16 ივნისი. 10 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალში დაიხრჩო.

ქვემო უხათს მცხოვრები ყავდინ თაკაშვილის ძე სოლომონ გარდაიცვალა 11 აგვისტოს, დაიკრძალა 12 აგვისტოს. 19 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ნაწყენობითა.

ხევის უჩასტკის სოფელ აგანთს (sic) მცხოვრები ჯანბოლათ აგაევის დედა **ნინო** გარდაიცვალა 29 სექტემბერს, დაიკრძალა 30 სექტემბერს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიჭლექით.

კობში მცხოვრები ცოფან ორგიას (sic) ძე ბიგანაშვილი (sic) გარდაიცვალა 2 ოქტომბერს, დაიკრძალა 3 ოქტომბერს. 65 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ნაწყენობით.

ამავე სოფელს მცხოვრები ზაქარია მისოსტის (sic) ძე ქასაშვილი გარდაიცვალა 15 ოქტომბერს, დაიკრძალა 16 ოქტომბერს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადით.

¹ გარდაცვალებულებს დაკრძალვის ადგილი არ უწერიათ.

ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №1586

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
ჩყფგ [1863 წელი]**

**ბლადოჩინი მღვდელი გიორგი იტონიევი [იტონიშვილი], პრიჩეტნიკი ზაქარია კობაიძე
დაბადებულთათვის**

ნიკოლოზი, დაიბადა [1862 წლის?] 4 დეკემბერს, მოინათლა 3 იანვარს. მშობლები¹: ტფილისის ღუბერნიის ხევის უჩასტკის და კობის ეკლესიის სამრევლო სოფელს ბაზილანს მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ხამირზა (sic) იკოს ძე ყარაევი და უკანონო ცოლი ამისი **ნინო ოქროპირის** ასული. მიმრქმელი – ღუშეთში მცხოვრები და კობში ვაჭარი ივანე ნიკოლოზის ძე ქავთაროვი.

გიორგი, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 12 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ივანე ბიჭიკოს ძე თუაევი და უკანონო ცოლი ამისი ყიზმიდე (sic) ასეს ასული. მიმრქმელი – ტფილისის ქალაქში მცხოვრებული არტემ ვარაპეტას ძე ხალათოვი (sic).

დარია, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 22 აპრილს. მშობლები: სოფელს მნას მცხოვრებული სახელმწიფო გლეხი ბერდიყ (sic) მირზაბეგის ძე აბაშვილი (sic) და კანონიერი ცოლი ყიზმიდე (sic) იდას ასული. მიმრქმელი – ამავე უჩასტკის და ამავე ეკლესიის სამრევლოს სოფელ მნას მცხოვრებული დავით უმარის ძე ცაბოლიშვილი (sic).

ლიზა (ელისაბედი)², დაიბადა 15 აპრილს, მოინათლა 28 აპრილს. მშობლები: ამავე ეკლესიის სამრევლოს სოფელ გაგუანთსა(sic) მცხოვრებული სახელმწიფო გლეხი კობი ყანიზის ძე ქოქაშვილი და კანონიერი ცოლი ყიზმიდე ალხასტის ასული. მიმრქმელი – სიონში მცხოვრები კობის ეკლესიის პრიჩეტნიკი ზაქარია ივანეს ძე კობაიძე.

იოსები, დაიბადა 10 ივნისს, მოინათლა 22 ივნისს. მშობლები: სოფელ შავარდენს მცხოვრები სახელმწიფო გლეხი სიმონ დავითის ძე ბაბეშვილი (sic) და კანონიერი ცოლი სალომე დახცის (sic) ასული. მიმრქმელი – კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ნოყავს მცხოვრებელის გოგა აგაევის მეუღლე **ნინო ნინიას** ასული.

გიორგი, დაიბადა 20 ივნისს, მოინათლა 30 ივნისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ნოგ (sic) ყამბოლათის ძე თავაშვილი (sic) და გიგო (sic) სოსთას ასული. მიმრქმელი – კობში მცხოვრები სმაილ (sic) ქოჩაშვილის (sic) მეუღლე ხანიმდო ჭეს (sic) ასული.

ილია, დაიბადა 1 ივლისს, მოინათლა 12 ივლისს. მშობლები: სოფელს აგაიანთს (sic) მცხოვრებული სახელმწიფო გლეხი **ბიბო** გაგის ძე აგაევი და კანონიერი ცოლი სოფიო საბანის ასული. მიმრქმელი – კობის ეკლესიის მღვდელი და ბლადოჩინი გიორგი ივანეს ძე იტონიევი. საიდუმლო ნათლისღება აღასრულა სნოს პრიხოდის მღვდელმა პორფირე ლომიძემ.

ალექსანდრე, დაიბადა 5 ივლისს, მოინათლა 15 ივლისს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრებული სახელმწიფო გლეხი თოთრაძ სოსთეს (sic) თავაშვილი (sic) და ცოლი ამისი

¹ მშობლებს ყველას უწერია „მართლმადიდებელი“; ხოლო საცხოვრებელი სოფლის წინ კი „ტფილისის ღუბერნიის ხევის უჩასტკი, კობის სამრევლო“, სხვაგან აღარ ვუთითებთ.

² სახელი ლიზა გადაშლილია და წერია ელისაბედი, გაცემულია საბუთი სახელის შეცვლასთან დაკავშირებით.

ქეთევან (sic) ყაზბეგის ასული. მიმრქმელი – ხევის უჩასტკის და სიონის ეკლესიის პრიხოდის სოფელ სიონში მცხოვრებული სახელმწიფო გლეხი იოსებ ივანეს ძე ოდიშვილი. სოლომონ, დაიბადა 10 ივლისს, მოინათლა 25 ივლისს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ალექსი დოღეთჯერის ძე ქასაშვილი და კანონიერი ცოლი მარიამ გიბილის ასული. მიმრქმელი – კობში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ნოგ (sic) ყამბოლათის ძე თავაშვილი.

ილია, დაიბადა 15 ივლისს, მოინათლა 25 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ბაზილანს მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ალექსი ბათეს ძე ყარაშვილი და კანონიერი ცოლი ბარბარე დანგუს ასული. მიმრქმელი – მთის ოკრუგის ნაჩალნიკი, უფალი როტ მეისტარი (sic) მიხეილ ივანეს ძე გრიგოროვი.

მარიამ, დაიბადა 12 აგვისტოს, მოინათლა 30 აგვისტოს. მშობლები: სოფელ თოღგოთს მცხოვრები სახელმწიფო გლეხი თევკ აიდარიყოს ძე აიდარიშვილი და ბარბარე დოყას ასული. მიმრქმელი – ბაზილას მცხოვრები სახელმწიფო გლეხი დანბოლათ ძახის(?) ძე ზაჩიშვილი.

სოფიო, დაიბადა 20 აგვისტოს, მოინათლა 5 სექტემბერს. მშობლები: სოფელ თოღგოთს მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ბეპიზარ ზარიყოს ძე თავაშვილი და **დარეჯან** გოჯიას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანს მცხოვრები სახელმწიფო გლეხი გაბრიელ კოფის ძე ზაჩიშვილი.

ალექსანდრე, დაიბადა 9 სექტემბერს, მოინათლა 20 სექტემბერს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები სახელმწიფო გლეხი დუდარიყო ციქოს ძე თავაშვილი და მართა მამას (sic) ასული. მიმრქმელი – კობის ეკლესიის ბლადოჩინი მღვდელი გიორგი იტონიევი. ნათლობა აღასრულა სტეფანწმინდის სამრევლოს მღვდელმა გრიგოლ დუღუშაურმა.

ბარბარე, დაიბადა 10 ოქტომბერს, მოინათლა 25 ოქტომბერს. მშობლები: კობს მცხოვრები სახელმწიფო გლეხი რაჯაბა ელბიზდის ძე მისოსტოვი და ანნა ფრანგას ასული. მიმრქმელი – კობში მცხოვრები ნოე თავაყვის მეუღლე გიგო სოსთეს ასული.

გრიგოლი, დაიბადა 5 ნოემბერს, მოინათლა 20 ნოემბერს. მშობლები: სოფელ მნას მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ნათი(?) გაფას (sic) ძე ქასაშვილი და გიგო უმარის ასული. მიმრქმელი – ბაზილანს მცხოვრები კოფი (sic) ძახის ძე ზაჩიშვილი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, ხევის უჩასტკის და კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ბაზილანს მცხოვრებული სახელმწიფო გლეხი დანბოლათ ძახის ძე ზაჩიშვილი. 30 წლის. პირველი ქორწინება. სასიძო, ამავე უჩასტკის და ამავე ეკლესიის სოფელს ზემო¹... [დესს?] მცხოვრები ძიგანის (sic) ქობილოვის (sic) ასული **ნინო**. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ბაზილანს მცხოვრები ალექსი ბიტეს ძე ყარაშვილი და სასიძოს მხრივ სოფელ ბაზილანს მცხოვრები ივანე ციცოს ძე აბაშვილი. ჯვარი დაიწერეს 20 ივნისს.

სასიძო, ხევის უჩასტკის და აბანოს ეკლესიის სამრევლოს სოფელს აბანოს მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ნიკოლოზ მაციკას (sic) ძე ცაბოლიშვილი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასიძო, ამავე უჩასტკის და კობის ეკლესიის სამრევლოს, სოფელ გაგუანთს (sic) მცხოვრები სახელმწიფო გლეხის ელმირზა ქოქაშვილის ასული მარიამ. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, აბანოს ეკლესიის სამრევლოს სოფელ აბანოს მცხოვრები სახელმწიფო გლეხი თუღან (sic) ქოჩის ძე ცაბოლიშვილი. სასიძოს მხრივ, კობის

¹ სოფელი გამორჩენილია.

ეკლესიის სამრევლოს სოფელს ზემო ოქროყანას მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ფრი(?) ყაზიას ძე ბიასოვი. ჯვარი დაიწერეს 4 ნოემბერს.

სასიძო, ტფილისის ღუბერნიის ხევის უჩასტკის კობის სამრევლოს სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები სახელმწიფო გლეხი აბრამ ხათის ძე გოჭისშვილი (sic). 50 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, ტფილისის ღუბერნიის ხევის უჩასტკის კობის სამრევლოს სოფელ ბაზილანს მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ქუმი ჯივაშვილის (sic) ასული სოფიო. 40 წლის. მეორე ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ბაზილანს მცხოვრები თევდორე ცაღას ძე აბაშვილი. სასძლოს მხრივ სოფელ ბაზილანს მცხოვრები აბრაგ (sic) ციცოს (sic) ძე აბაევი (sic). ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

სასიძო, ქსნის უჩასტკის და წინასოფლის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ლომისაში მცხოვრები საბატონო გლეხი სოლომონ მარტიას ძე გოლოშვილი. 35 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, ხევის უჩასტკის და კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ზემო უხათს მცხოვრები ვაზბი ბათაშვილის (sic) ასული მარია, 25 წლის. მეორე ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, ქსნის უჩასტკის და წინასოფლის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ლომისაში მცხოვრებელი საბატონო გლეხი სიმონ ბუჭუას ძე გოლოშვილი. სასძლოს მხრივ, ხევის უჩასტკის და კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ზემო უხათს მცხოვრები გიორგი ყორღის ძე სალბიშვილი. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, ტფილისის ღუბერნიის ხევის უჩასტკის კობის სამრევლოს სოფელ აგაიანთს მცხოვრები სახელმწიფო გლეხი მიხეილ კულუხას ძე აგაევი. 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, ტფილისის ღუბერნიის ხევის უჩასტკის კობის სამრევლოს სოფელ ნოყავს (sic) მცხოვრები, სახელმწიფო გლეხის გაბისა სამიშვილის ასული მარიამი. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ აგაიანს მცხოვრები დანბოლატ გაგის ძე აგაევი. სასძლო მხრივ სოფელ ნოყავს მცხოვრები გათი აბრაგის ძე აბაევი. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

დაიკრძალნენ „თავიანთ განწესებულს ძველსა სასაფლავსა (sic) შინა“.

ბაზილანს მცხოვრები ზურაბ ივანეს ძე ძაკაშვილი გარდაიცვალა 2 იანვარს, დაიმარხა 3 იანვარს. 33 წლის. გარდაცვალების მიზეზი – დამძრალობით.

კობში მცხოვრები ამზორიყო თუავეის ძე ნიკოლოზ გარდაიცვალა 7 თებერვლას, დაიმარხა 8 თებერვალს. 5 წლის.¹

ოქროყანას მცხოვრები თომა კუდას ძე გუდიაშვილი გარდაიცვალა 20 მარტს, დაიმარხა 21 მარტს. 12 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალში ჩავარდა.

ზემო ოქროყანას მცხოვრები ბესლან ღუდიევის მეუღლე ანნა ქუძის ასული გარდაიცვალა 10 ივნისს, დაიმარხა 12 ივნისს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადით.

ქვემო ოქროყანას მცხოვრები **ლევან** ღუდიევის მეუღლე **ნინო** გოგიას ასული გარდაიცვალა 8 აგვისტოს, დაიმარხა 9 აგვისტოს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმჭლექით.

კობს მცხოვრები მიხეილ ეფრემის ძე ქასაშვილი გარდაიცვალა 4 სექტემბერს, დაიმარხა 5 სექტემბერს. 20 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციავ-ცხელებით.

თოლგოთს მცხოვრები ალექსი თავავეის ასული მარიამი გარდაიცვალა 25 სექტემბერს, დაიმარხა 26 სექტემბერს. 12 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

მგზავრი მიმავალი შტაფ კაფიტანი (sic) ალექსანდრე ვევილოვი (sic) გარდაიცვალა 6 ნოემბერს, დაიმარხა 10 ნოემბერს. 47 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკისაგან.

¹ გარდაცვალების მიზეზი ვერ გავარჩიეთ.

ქვემო უხათს მცხოვრები ღუდა სამიშვილის დედა მარიამ გიორგის ასული გარდაიცვალა 20 ნოემბერს, დაიმარხა 21 ნოემბერს. 105 წლის (sic). გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №1659

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1864 წელი**

**ბლადოჩინი მღვდელი გიორგი იტონიევი [იტონიშვილი - ნ.შ.], პრიჩეტნიკი ზაქარია
კობაიძე**

დაბადებულთათვის

ზაქარია, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 13 იანვარს. მშობლები: ტფილისის ღუბერნიის ხევის უჩასტკის და კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი¹ მიდა (sic) დოჭეს ძე ყარაშვილი (sic) და სჯულიერი ცოლი ამისი სალომე ბიციკას ასული. მიმრქმელი – ტფილისის ღუბერნიის ხევის უჩასტკის სოფელ კობში მცხოვრები ბარანა მარაურის(?) ძე თავაშვილი.

ნიკოლოზ, ელისაბედ (sic), დაიბადნენ 15 იანვარს, მოინათლნენ 20 იანვარს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ღუდა მალსაგის ძე თავაშვილი და სჯულიერი ცოლი ამისი **მაია** სავქუმას ასული. მიმრქმელი ორნივესა – ამავე სოფელს მცხოვრები გისო გაითიგოს (sic) ძე ბათაშვილი.

ელისაბედ, დაიბადა 14 იანვარს, მოინათლა 28 იანვარს. მშობლები: სოფელ შავარდენს მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ყუდაბერდ დავითის ძე ქოქაევი და ნალყიზ **ლევანის** ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოყავს (sic) მცხოვრები ღუდა თავსაევის (sic) ასული მარიამ, ლევან გაბილის ძე მირიქაშვილის მეუღლე.

სალომე, დაიბადა 17 იანვარს, მოინათლა 30 იანვარს. მშობლები: სოფელ შავარდენს მცხოვრები ალექსანდრე გაგას ძე ქოქაშვილი და უკანონო ცოლი ამისი ხალიხან ჯეთეს ასული. მიმრქმელი – კობის ეკლესიის პრიჩეტნიკი ზაქარია ივანეს ძე კობაიძე.

ნატალია, დაიბადა 2 თებერვალს, მოინათლა 10 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ციცკა რაძაბას(?) ძე მისოსტოვი და პელო საბანას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ღურმიშხან ისაის ძე ქოციშვილი (sic).

სოფიო, დაიბადა 4 თებერვალს, მოინათლა 12 თებერვალს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები ბესლან გაისინის ძე ქობულუშვილი (sic) და უკანონო ცოლი ამისი ფათი (sic) კალავას ასული. მიმრქმელი – სოფელ ქვემო უხათს მცხოვრები ღუდა გაჯის ძე სამიშვილი.

თეკლე, დაიბადა 8 თებერვალს, მოინათლა 20 თებერვალს, მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები გაბეს (sic) ძახსატის? ძე ყუსეევი (sic) და დოღეთხან სანაყოსას (sic) ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები გისო ბათაშვილის მეუღლე **დარეჯან** დოქუზას ასული.

აბრაამ, დაიბადა 10 თებერვალს, მოინათლა 25 თებერვალს. მშობლები: სოფელ ქვემო უხათს მცხოვრები ღუდა მაჯაის (sic) ძე სამიშვილი და ბაბე (sic) გაითიგოს ასული. მიმრქმელი – ზემო უხათს მცხოვრები გიორგი ყირღის (sic) ძე სალბიშვილი.

¹ ყველა ახალმონათლულის მშობელს უწერია – „ტფილისის ღუბერნიის, ხევის უჩასტკის, კობის ეკლესიის სამრევლო“ – რასაც სხვაგან აღარ ვუთითებთ, ასევე აღარ ვწერთ „კანონიერ ცოლს“, იმ შემთხვევაში სადაც გვხვდება „უკანონო ცოლი“ – ვუთითებთ.

გიორგი, დაიბადა 15 თებერვალს, მოინათლა 28 თებერვლას. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები თოთრამ ხათის ძე ქობილიშვილი (sic) და თოთირმან (sic) ენალდის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელში მცხოვრები გაბე ხათის იქაშვილი(?).

კაკლო (sic), დაიბადა 12 მარტს, მოინათლა 22 მარტს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები ენალდიყო დიმიტრის ძე ღუდიევი და მართა დიდოს ასული. მიმრქმელი – კობში ვაჭარი და სოფელ პავლეურში მცხოვრებული გიორგი გლახას ძე სევანოვი (sic).

მარიამ, დაიბადა 2 მარტს, მოინათლა 13 მარტს. მშობლები: სოფელ ზემო უხათში მცხოვრები ბეპიზარ გაითიგოს ძე ბათაშვილი და ხაირ (sic) თამსირის ასული. მიმრქმელი – ამავე უხათს მცხოვრები გიორგი ყირღის ძე სალბიშვილი.

ალექსანდრე, დაიბადა 8 მარტს, მოინათლა 20 მარტს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები გისო გაითიგოს ძე ბათაშვილი და ჩეთო (sic) ზაზას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ბათო ხათის ძე ქობილიშვილი.

ლევან, დაიბადა 12 მარტს, მოინათლა 22 მარტს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები გაბისა ზრატის (sic) ძე ყუსაშვილი და დოლეთხან სანაყოსას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები გაჯია ხაჯის ძე თაკაშვილი.

თინათინ, დაიბადა 20 მარტს, მოინათლა 30 მარტს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები ადამ თემურაზის ძე ბათაშვილი და ზალია ზნაურის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები **გოჭიას** (sic) მეუღლე **თინათინ** ჭინოს ასული.

გრიგოლ, დაიბადა 1 აპრილს, მოინათლა 13 აპრილს. მშობლები: სოფელ ქვემო უხათს მცხოვრები ფრანგა თარამის ძე ურთაშვილი და ქიცინოს ჩალუს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ადამ თიმურას (sic) ძე ბათაშვილი.

სოლომონ, მოინათლა 3 აპრილს. მშობლები: [სოფელ ქვემო უხათს მცხოვრები] ფრანგა თარამის (sic) ძე ურთაევი და ქიცინო ჩაულას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ადამ თემურაზის ძე აბათაშვილი (sic). ზემო ხსენებული სოლომონ ახალნათელ დებული შობიდან არის 10 წლისა.

გიორგი, დაიბადა 5 აპრილს, მოინათლა 14 აპრილს. მშობლები: სოფელ ოქროყანას მცხოვრები **გლახა** ივანეს ძე ძუკაევი (sic) და მაგდან დაღის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები **გლახა** დოლეთის ძე ქასაშვილი.

გრიგოლ, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 18 აპრილს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები **გლახა** ფრიყაზის (sic) ძე ბიდილოვი (sic) და **დარეჯან** ელმირზას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ნაურაზ ჯათის ძე გუიევი (sic).

სოფიო, დაიბადა 20 აპრილს, მოინათლა 30 აპრილს. მშობლები – სოფელ კობში მცხოვრებული გუტირი (sic) გალის ძე აბაშვილი და სახად ავითის (sic) ასული. მიმრქმელი – ტრაპიზონში მცხოვრები ბერძენი ილია გიორგის ძე კადიდეროვი.

თამარ, მოინათლა 5 მაისს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები ანდრიყო (sic) თალას ძე ღუდიევი და მარნა(?) კუმას ასული. მიმრქმელი – იმავე სოფელში მცხოვრები გრიგოლ იასა ძე ღუდიევი. ესე ახალნათელდებული შობითგან არის 13 წლისა.

მიხეილ, დაიბადა 3 მაისს, მოინათლა 15 მაისს. მშობლები: ამავე სოფელში მცხოვრები გისი (sic) ყაზის ძე ბიდიხოვი და თოთარმან (sic) ახლამბეგას (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები დამბოლ ჩელემეთის ძე არჯანოვი.

ქრისტიანე, ფორეი (sic)¹, დაიბადა 8 მაისს, მოინათლა 20 მაისს. მშობლები: სოფელ ოქროყანას მცხოვრები ანდრიყო გიბირტის (sic) ძე ლუდიაშვილი (sic) და გოსე ბარაგას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელში მცხოვრები ახლავ გრიგოლის ძე ლუდიევი.

ბაბაღე, დაიბადა 12 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ ბაზილენს (sic) მცხოვრები გაბრიელ კაფის ძე ზაჩიაშვილი და **დარეჯან** ხეჩას ასული. მიმრქმელი – კობის ბლაღოჩინის მეუღლე თინათინ გიორგის ასული.

მაგდანა, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 12 ივნისს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები **წიწილ** (sic) რუხის ძე ზაჩიაშვილი და უკანონო ცოლი ქიქა (sic) დავითის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელში მცხოვრები **გლახა** იოთანის (sic) ლუდიევი.

ანნა, დაიბადა 5 ივნისს, მოინათლა 15 ივნისს. მშობლები: ამავე სოფელს მცხოვრები ელმარყო ცორეს ძე ლუდიევი და **თამარ** ქალერის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილენში (sic) მცხოვრებული ლუდა მახის ძე ზაჩიაშვილი (sic).

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, ტფილისის ღუბერნიის, ხევის უჩასტკის კობის ეკლესიის სამრევლოს, სოფელ მნას მცხოვრები სახელმწიფო გლეხი დიმიტრი თემარის ძე ცაბოლიშვილი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, ხევის უჩასტკის, კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ შავარდენს აწ გარდაცვალებულის რაფიელ საპიაშვილის ასული ელისაბედ. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, ტფილისის ღუბერნიის, ხევის უჩასტკის, კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ მნას მცხოვრები **გლახა** დოღეთიყოს ძე ქასაშვილი(sic). სასძლოს მხრივ, ამავე სოფელს მცხოვრებული ალექსანდრე ბაქას ძე ქასაშვილი. ჯვარი დაიწერეს 7 იანვარს.

სასიძო, ამავე ღუბერნიის და უჩასტკის აბანოს ეკლესიის სამრევლოს სოფელ სვატის (sic) მცხოვრები სახელმწიფო გლეხი სოლომონ **ლევანის** ძე სამბეგაშვილი. 31 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ნოოყავში(sic) მცხოვრები აბრამ აბაშვილის ასული მარიამ. 33 წლის (sic). მეორე ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრით მთის ოკრუგის და აბანოს ეკლესიის სამრევლოს სოფელ ყარათყავში მცხოვრები გაგი ნაფის ძე ურთაშვილი. სასძლოს მხრივ, კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ შავარდენში მცხოვრები ყუდაბერდ დავითის ძე ქოქაშვილი. ჯვარი დაიწერეს 19 ივლისს.

სასიძო, აბანოს ეკლესიის სამრევლოს სოფელ ცოცოლთაში მცხოვრები სოლომონ ბოლოთის ძე ძანთიევი. 33 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ზემო უხათს მცხოვრები **ფარნაოზ** ქობილოვის ასული ბარბარე. პირველი ქორწინება². თავმდებნი: სასიძოს მხრივ, აბანოს პრიხოდის სოფელ ცოცოლთას მცხოვრები გასძივ(?) დოგოს ძე ძანთიევი. სასძლოს მხრით, კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ზემო უხათს მცხოვრები ჯივნა (sic) ხუცეს ძე ბუქოლოვი(sic). ჯვარი დაიწერეს 5 ოქტომბერს.

სასიძო, კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ოქროყანაში მცხოვრები მოსე გიზის ძე ზაჩიაშვილი (sic). 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, ხევის უჩასტკის კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ახალსტ (sic) არჯანოვის (sic) ასული მარინე. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები ფრი ყაზის ძე ბიდილოვი. სასძლოს მხრივ, კობის

¹ სავარაუდოდ ტყუპები უნდა იყვნენ.

² სასძლოს ასაკი არ წერია.

ეკლესიის სამრევლოს სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები მიზარბეგ ყაზიბეგის ძე ღუდიევი. ჯვარი დაიწერეს 12 ოქტომბერს.

სასიძო, ჯავის უჩასტკის სოფელ სბაში მცხოვრები მაქსიმე ბორის ძე აბაევი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ცორე ღუდიევის ასული ეკატერინე. 15 წლის. პირველი ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 19 ოქტომბერს.

სასიძო, მთიულეთის უჩასტკის, ღუდის პრიხოდის, სოფელ მექუდში (sic) მცხოვრები ყაზიბეგ ღორთეს (sic) ძე ქობუროვი. 50 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო უხათს მცხოვრები გაისინის ასული სოფიო¹. 49 წლის. მეორე ქორწინება. ჯვარი დაიწერეს 28 ოქტომბერს.

სასიძო, ხევის უჩასტკის, აბანოს სამრევლოს სოფელ რესში მცხოვრები არუთინ (sic) ყანიყოს ძე კუძიაშვილი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ შავარდენში მცხოვრები ძახო ქოქაევის ასული **თამარ**. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, აბანოს ეკლესიის სამრევლოს სოფელ რესში მცხოვრები ნიკოლოზ ბესლანის ძე კუძიაშვილი (sic). სასძლო მხრივ, კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ შავარდენში მცხოვრები იაგო (sic) ბერდის ძე ქოქაშვილი. ჯვარი დაიწერეს 5 ნოემბერს.

სასიძო, ხევის უჩასტკის, აბანოს ეკლესიის სამრევლოს სოფელ ცოცოლთაში მცხოვრები ბარან სოზრიყოს ძე ბულაციშვილი. 35 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ძიწილ (sic) ზაჩიაშვილის (sic) ასული გიგი. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ცოცოლთაში მცხოვრები ქაქოლი(sic) მას(?) ძე დანთიაშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ ბაზილანს მცხოვრები კოშვი(?) ძახის ძე ზაჩიაშვილი. ჯვარი დაიწერეს 7 ოქტომბერს.

გარდაცვალებულთათვის

დაიკრძალნენ „თავიანთ სასოფლო განწესებულს სასაფლაოზედ“.

კობში მცხოვრები ალექსანდრე ციქოს (sic) ძე თავაშვილი გარდაიცვალა 23 აპრილს, დაიმარხა 25 აპრილს. 20 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმჭლექით (sic).

ზემო უხათს მცხოვრები გოგიარა ჭის ძე თავაშვილი გარდაიცვალა 10 სექტემბერს, დაიკრძალა 12 სექტემბერს. 62 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

ზემო უხათს მცხოვრები შიო თუზის ძე ბათაშვილი გარდაიცვალა 27 ოქტომბერს, დაიკრძალა 28 ოქტომბერს. 100 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ბაზილანს მცხოვრები სოსთე ურთაშვილის მეუღლე მარიამ **გლახას** ასული. გარდაიცვალა 4 ნოემბერს, დაიმარხა 6 ნოემბერს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადით.

ბაზილენს (sic) მცხოვრები კოფი (sic) ზაჩიევის რძალი თამიხან(?) ნაფის ასული. გარდაიცვალა 24 სექტემბერს, დაიმარხა 25 დეკემბერს. 46 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადით.

¹ გვარი არ წერია.

ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №1737

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1865 წელი**

**ბლადოჩინი მღვდელი გიორგი იტონიევი [იტონიშვილი - ნ.შ.], პრიჩეტნიკი ზაქარია
კობაიძე**

დაბადებულთათვის

გიორგი, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 12 იანვარს. მშობლები: ტფილისის ღუბერნიის, ხევის უჩასტკის, კობის ეკლესიის სამრევლოს¹ სოფელ გაგუანთს (sic) მცხოვრები სახელმწიფო გლეხი კოხე (sic) ყანიზის ძე ქოქაშვილი და ყიზმიდე ალხასტის ასული. მიმრქმელი – სოფელ სიონში მცხოვრები კობის ეკლესიის პრიჩეტნიკი ზაქარია ივანეს ძე კობაიძე.

მარიამ, დაიბადა 4 თებერვალს, მოინათლა 15 თებერვალს. მშობლები: სოფელ ქვემო უხათს მცხოვრები აბე კაზის ძე ცაბოლიშვილი და უკანონო ცოლი მართა ომას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები დავით გალის ძე აბაშვილი.

ალექსანდრე, დაიბადა 15 თებერვალს, მოინათლა 28 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ფარსა შავლოხის ძე ქასაშვილი და **თამარ** გაბრიელის ასული. მიმრქმელი – ღუმეთში მცხოვრებელი, კობს მოვაჭრე აბაზა არტემის ძე აბაზოვი.

ნიკოლოზ, დაიბადა 16 თებერვალს, მოინათლა 5 მარტს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები გაბრიელ ყიბილის ძე ქასაშვილი და **ნინო** გიორგის ასული. მიმრქმელი – კობში მცხოვრები სვიმონ გიორგის ძე აბაევი.

ვლადიმერ, დაიბადა 7 მარტს, მოინათლა 24 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სიმონ გიორგის ძე აბაევი და ნალყიზ ბესლანის ასული. მიმრქმელი – ღუმეთში მცხოვრები, კობში მოვაჭრე აბაზ არტემის ძე აბაზოვი.

ივანე, დაიბადა 10 მარტს, მოინათლა 20 მარტს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ჯიბი (sic) ხათის ძე ოქროევი (sic) და ნალყიზ ხადახცის ასული. მიმრქმელი – კობში მცხოვრები გიორგი ძიბას ძე თავაშვილი.

ნადეჟდ (sic), დაიბადა 12 აპრილს, მოინათლა 20 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ისმელ ისაიას ძე ქოცაევი (sic) და უკანონო ცოლი მართა ქოს (sic) ასული. მიმრქმელი – კობის სტანციის სმოტრიტელი ზაქარ (sic) ალექსანდრეს ძე ლერმანოვი.

კოსტანტინე, დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 20 მაისს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები გისო შიოს ძე ბათაშვილი და უკანონო ცოლი ზეთა (sic) ზაზას ასული. მიმრქმელი – ტრაპიზონში მცხოვრებელი, ბერძენი აპოსტოლ პაპანდის ძე ქრიდოსტონიშვილი (sic).

ანნა, დაიბადა 7 ივნისს, მოინათლა 17 ივნისს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები ბერდ სოსტეს ძე თუაშვილი და მართა გისოს ასული. მიმრქმელი – ზემო უხათს მცხოვრები გული გაჯეს ძე ძუაშვილი (sic).

ნადეჟდ (sic), დაიბადა 15 ივლისს, მოინათლა 25 ივლისს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები თოთრიბეგ სოსტეს ძე თავაშვილი და **ქეთევან** ყაზბეგის ასული. მიმრქმელი – ზემო უხათს მცხოვრები გულა გაჯეს ძე ძუაშვილი.

¹ ყველა ახალდაბადებულის და მონათლულის მშობელს უწერია – „ტფილისის ღუბერნიის, ხევის უჩასტკის, კობის ეკლესიის სამრევლო“ – რასაც სხვაგან აღარ ვუთითებთ, ასევე აღარ ვუთითებთ „სახელმწიფო გლეხს“.

ივანე, დაიბადა 10 აგვისტოს, მოინათლა 20 აგვისტოს, მშობლები: სოფელ ბაზილაკში მცხოვრები ივანე იკოს(?) ძე ყარაშვილი და **დარეჯან** ბიზარიყოს ასული. მიმრქმელი – ქ. დუშეთში მცხოვრები, კობში მოვაჭრე გრიგოლ თათოს ძე ონეზოვი.

გიორგი, დაიბადა 5 სექტემბერს, მოინათლა 20 სექტემბერს. მშობლები: სოფელ მნას მცხოვრები **გლახა** დოლოთუყოს ძე ქასაშვილი და **თინათინ გლახას** ასული. მიმრქმელი – ქ. დუშეთში მცხოვრები, კობში მოვაჭრე ვაჭარი ზაქარია არუთინას ძე ღარიბოვი.

ზაქარია, დაიბადა 10 ოქტომბერს, მოინათლა 20 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ნოყავში მცხოვრები გათი აბარგის ძე აბაშვილი (sic) და **თამარ** გაბის ასული. მიმრქმელი – სოფელ სიონში მცხოვრები, კობის ეკლესიის პრიჩეტნიკი ზაქარია ივანეს ძე კობაიძე.

სვიმონ, დაიბადა 15 ოქტომბერს, მოინათლა 29 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ნოყავში მცხოვრები ომან სალვას ძე სლონოვი (sic) და უკანონო ცოლი მაგდანა ჯათეს ასული. მიმრქმელი – კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ აგაიანთას (sic) მცხოვრები სახელმწიფო გლეხი მიხეილ კულუხას ძე აგაევი.

კოსტანტინე, დაიბადა 5 ნოემბერს, მოინათლა 20 ნოემბერს. მშობლები: სოფელ შავარდენს მცხოვრები ყუდაბერდ დავითის ძე ქოქაშვილი და ნალყიზ **ლევანის** ასული. მიმრქმელი – ზემო ოქროყანაში მცხოვრები **გლახა** იოთამის ძე გუდიაშვილი.

ელისაბედი, დაიბადა 8 დეკემბერს, მოინათლა 29 დეკემბერს. მშობლები: სოფელ შავარდენს მცხოვრები ჯინო (sic) დახუცის(?) ძე შავლოხოვი და უკანონო ცოლი დოლეთხან გიბილას ასული. მიმრქმელი – შავარდენს მცხოვრები ყუდაბერდ დავითის ძე ქოქაშვილი.

ჯვარდაწერილობათვის

სასიძო¹, სოფელ ბაზილანში მცხოვრებული სერგო მახის ძე ზაჩიშვილი. 32 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, ჯავის უჩასტკში მცხოვრები სახელმწიფო გლეხის მალხასტ (sic) ზორაშვილის ასული ელისაბედ. 35 წლის (sic). მეორე ქორწინება. თავდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები ძახო გაბას ძე ქოქაევი; სასძლოს მხრივ, სოფელ ბაზილანში მცხოვრები თედო ყარღის ძე აბაშვილი. ჯვარი დაიწერეს 31 იანვარს.

სასიძო, აბანოს სამრევლოს სოფელ სუატისში მცხოვრები ბაზი ძილოს (sic) ძე ელოშვილი. 32 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ძანალდი (sic) გუდიევის ასული მარინე. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ სუატისში მცხოვრები ყულადარ ქუმანის ძე ელოშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები **გლახა** ვანეს ძე ძუკაშვილი. ჯვარი დაიწერეს 8 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები ყარამან ბესარიონის ძე ქასაშვილი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქვემო უხათს მცხოვრები აბე (sic) ცაბოლოვის ასული მარინე. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ივანე ბიციკოს ძე თავაშვილი და სასძლოს მხრივ სოფელ ბაზილანში მცხოვრები ციცირა (sic) ციცოს ძე აბაევი. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

„დაიმარხნენ თავიანთ განწესებულს სასაფლაოსა შინა“.

ბაზილანში მცხოვრები აბრაგ (sic) ციცოს ძე აბაევი გარდაიცვალა 3 იანვარს, დაიმარხა 4 იანვარს. 48 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადისაგან.

ნოყავში მცხოვრები გრიგოლ ყავდინის ძე ოსიაშვილი გარდაიცვალა 5 თებერვალს, დაიმარხა 6 თებერვალს. 28 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

¹ ვტოვებთ – „ტფილისი ღუბერნიის, ხევის უჩასტკის, კობის სამრევლოს“.

ზემო ოქროყანაში მცხოვრები აკოფ მათეს ძე გუდიევი გარდაიცვალა 10 თებერვალს, დაიმარხა 11 თებერვალს. 53 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკისაგან.

ქვემო ოქროყანას მცხოვრები **ლევან** რუხის ძე ღუდიევი გარდაიცვალა 23 მარტს, დაიმარხა 24 მარტს. 36 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციავ-ცხელებითა.

აგაიანთს მცხოვრები ილია ბათრამის ძე აგაევი გარდაიცვალა 27 მარტს, დაიმარხა 28 მარტს. 53 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ცხელებისაგან.

მნაში მცხოვრები დავით ცაბოლოვის მეუღლე მარიამ მანის ასული გარდაიცვალა 30 მარტს, დაიმარხა 31 მარტს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადისაგან.

ზემო უხათს მცხოვრები გაბე თავაშვილის რძალი **დარეჯან** ვარიყანას ასული გარდაიცვალა 8 აპრილს, დაიმარხა 9 აპრილს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმჭლეკით.

კობში მცხოვრები დავით ციქოს ძე თავაშვილი გარდაიცვალა 22 აპრილს, დაიმარხა 23 აპრილს. 28 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქვამა დაიტანა (sic).

ზემო ოქროყანას მცხოვრები ბადურ ყაზბეგის ძე გუდიაშვილი გარდაიცვალა 7 მაისს, დაიმარხა 8 მაისს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალში დაიხრჩო.

კობში მცხოვრები დავით თავაშვილის ძე ალექსანდრე გარდაიცვალა 22 ივნისს, დაიმარხა 23 ივნისს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

კობში მცხოვრები ისმელ ქოცაევის ასული ნადეჟდა გარდაიცვალა 25 ივნისს, დაიმარხა 26 ივნისს. 8 თვის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

ქვემო უხათს მცხოვრები აბე ცაბოლოვის ასული სვიმონ გარდაიცვალა 20 ივლისს, დაიმარხა 21 ივლისს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

კობში მცხოვრები ასჯე ქასაევის ასული **ნინო** გარდაიცვალა 27 ივლისს, დაიმარხა 28 ივლისს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

ბლადოჩინი მღვდლის გიორგი იტონიევის შვილები – გაბრიელი გარდაიცვალა 1 აგვისტოს, დაიმარხა 3 აგვისტოს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან და ელენე გარდაიცვალა 9 აგვისტოს, დაიმარხა 11 აგვისტოს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

ქვემო ოქროყანაში მცხოვრები დიმიტრი გრიგოლის ძე გუდიევი გარდაიცვალა 25 ნოემბერს, დაიმარხა 26 ნოემბერს. 39 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადით.

მნაში მცხოვრები ისმელ ქასოევის ძე სვიმონი გარდაიცვალა 27 ნოემბერს, დაიმარხა 28 ნოემბერს. 5 წლის გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

მნაში მცხოვრები ყუდა გუთინოვის ასული ელისაბედი გარდაიცვალა 29 ნოემბერს, დაიმარხა 30 ნოემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

მნაში მცხოვრები დავით ცაბოლოვის ძე გიორგი გარდაიცვალა 2 დეკემბერს, დაიმარხა 3 დეკემბერს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

კობში მცხოვრები ცომაყ ბიგანოვის და **ნინო** გარდაიცვალა 7 დეკემბერს, დაიმარხა 8 დეკემბერს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლეკით.

ნოყავში მცხოვრები გათი თაშავაშვილის ძე ზაქარია გარდაიცვალა 10 დეკემბერს, დაიმარხა 11 დეკემბერს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

ნოყავში მცხოვრები ომანა ნადირაშვილი (sic) ძე სვიმონ გარდაიცვალა 10 დეკემბერს, დაიმარხა 11 დეკემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

მნაში მცხოვრები დავით ცაბოლოვის ასული ელისაბედი გარდაიცვალა 12 დეკემბერს, დაიმარხა 13 დეკემბერს. 6 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

შავარდენში მცხოვრები **ნინია** არჯინაშვილის ძე ალექსი გარდაიცვალა 22 დეკემბერს, დაიმარხა 23 დეკემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №1813

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1866 წელი**

**ბლადოჩინი მღვდელი გიორგი იტონიევი [იტონიშვილი - ნ.შ.], პრიეტნიკი ზაქარია
კობაიძე**

დაბადებულთათვის

თამარა, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 12 იანვარს. მშობლები: ტფილისის ღუბერნიის, ხევის უჩასტკის კობის ეკლესიის სამრევლოს¹ სოფელს მნაში მცხოვრებელი სახელმწიფო გლეხი ალექსი უმარას ძე ცაბოლოვი და კანონიერი ცოლი ამისი საბე ხოზრუკოს ასული, ორნივე მართლმადიდებლობის აღსარებისა. მიმრქმელი – ტფილისის ღუბერნიის ხევის უჩასტკის კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ოქროყანაში მცხოვრებელი სახელმწიფო გლეხი გისი ყაზიბეგის ძე ბიდიხოვი.

ნინო, დაიბადა 10 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ ნოყავში მცხოვრებელი სახელმწიფო გლეხი ღუდარ თიჯეს ძე ძილიშვილი და კანონიერი ცოლი ამისი ცამაყუდ ფარნის ასული. მიმრქმელი სოფელ მნაში მცხოვრები ყუდა მირზაბეგის ძე აბაშვილი.

პელაგია, დაიბადა 15 იანვარს, მოინათლა 30 იანვარს. მშობლები: სოფელ ნოყავში მცხოვრები ომან სალვას (sic) ძე სლანოვი და უკანონო ცოლი ამისი მაგდანა ჯათას ასული. მიმრქმელი – კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელს აგანთას (sic) მცხოვრები ბიბო გაგის ძე აგაევი.

მარიამი, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 14 თებერვალს. მშობლები: სოფელ ნოყავში მცხოვრები გაბის (sic) მაირამუყოს ძე სამიშვილი და უკანონო ცოლი ამისი ჩიზნალ გაისის ასული. მიმრქმელი – კობის ეკლესიის სოფელ შავარდენში მცხოვრები გლახა დავითის ძე ქოქაშვილი.

ანდრია, დაიბადა 12 თებერვალს, მოინათლა 25 თებერვალს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ცენგურ ყანიზის ძე ქოქაშვილი და სოფიო ხუცას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები გრიგოლ კოფის ძე ზაჩიშვილი.

ბაბალე, დაიბადა 17 თებერვალს, მოინათლა 28 თებერვალს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები იაგორ ბერდას ძე ქოქაშვილი და ზალი გობის ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები მიხეილ ღუდას ძე ღუდიევი.

ნინო, დაიბადა 5 მარტს, მოინათლა 14 მარტს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები მოსე ზოზრიყოს ძე ქოქაშვილი და გუთაზ კულუხას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები გრიგოლ კოფის ძე ზაჩიევი.

ივანე, დაიბადა 10 მარტს, მოინათლა 20 მარტს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ყუდა ქიფილის ძე თავაშვილი და მართა მახამათის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები მიხეილ დოჭეს ძე ყარაშვილი.

მართა, დაიბადა 18 მარტს, მოინათლა 28 მარტს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ონეზ ივანეს ძე ქოქაშვილი და უკანონო ცოლი ამისი გოსყიზ რაფიელის ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები გლახა მიხეილის ძე ზადაგოვი.

¹ ახალმონათლულთა მშობლებს და მიმრქმელთ ყველას უწერია – „ტფილისის ღუბერნიის, ხევის უჩასტკის კობის ეკლესიის სამრევლო“ – სხვაგან აღარ ვუთითებთ. ასევე აღარ ვუთითებთ მშობლების მართლმადიდებელ აღმსარებლობას.

პელო, დაიბადა 20 მარტს, მოინათლა 31 მარტს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები როსტომ გოგიას ძე ზადაგიშვილი (sic) და უკანონო ცოლი გუთაზ სმაილის ასული. მიმრქმელი – იმავე სოფელში მცხოვრები ალექსი ჩელემეთის ძე არჩინაშვილი.

სოფიო, დაიბადა 2 აპრილს, მოინათლა 13 აპრილს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები იოსებ სიას ძე ზადაგისშვილი და ხალყიზ ხოსროს ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ახლავ გრიგოლის ძე ღუდიევი.

მაკა, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 22 აპრილს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები დავით გოჯიას ძე ზადაგიშვილი და **ნინო** იასეს ასული. მიმრქმელი – იმავე სოფელში მცხოვრები გაბის ვარის ძე ბიდოხოვი.

გრიგოლ, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 12 მაისს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები **გლახა** ივანეს ძე ძუკაშვილი და მაგდან დიდოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები მოსე ზოზრიყოს ძე ქოქაშვილი.

გაბრიელ, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 21 აპრილს. მშობლები: იმავე სოფელს მცხოვრები დავით გოჯიას ძე ზადაგისშვილი (sic) და **ნინო** იასეს ასული. მიმრქმელი – ზემო ოქროყანაში მცხოვრები გაბის ვარის ძე ბიდოხოვი.

ანდრია, დაიბადა 19 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ელძარიყო ცორეს ძე ღუდიევი და **თამარ** ქარელის ასული. მიმრქმელი – მნაში მცხოვრები ბედიყ მირზაბეგის ძე აბაშვილი.

ივანე, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 12 ივნისს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ფარი ყაზის ძე ბიდოხოვი და **დარეჯან** ელმირზას ასული. მიმრქმელი – კობში მცხოვრები დავით გალის ძე აბაშვილი.

თომა, დაიბადა 10 ივნისს, მოინათლა 22 ივნისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ადამ თემურაზის ძე ბათაშვილი და ზალ ნაის ასული. მიმრქმელი – იმავე სოფელში მცხოვრები გოგია თავაშვილის მეუღლე **თინათინ** ალაჯიყოს ასული.

ალექსანდრე, დაიბადა 5 ივლისს, მოინათლა 16 ივლისს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები გუტარი (sic) გალის ძე აბაშვილი და სახარ დავითის ასული. მიმრქმელი – მთიულეთის უჩასტკის ღუდის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ღუდაში მცხოვრები მოსე ქუძის ძე ქოჩოროვი.

გიორგი, დაიბადა 7 აგვისტოს, მოინათლა 19 აგვისტოს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ვასჭე ბასეს ძე ქასაშვილი და ელენე ძიმშერას ასული. მიმრქმელი – იმავე სოფელში მცხოვრები დავით გალის ძე აბაშვილი.

სოლომონ, დაიბადა 10 სექტემბერს, მოინათლა 24 სექტემბერს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები კოხი ყანოზის ძე ქოქაშვილი და ყაზმიდე ალხასტის ასული. მიმრქმელი – იმავე სოფელში მცხოვრები ალექსანდრე ბაქას ძე ქასოშვილი.

პელაგია, დაიბადა 8 ოქტომბერს, მოინათლა 20 ოქტომბერს. მშობლები: იმავე სოფელში მცხოვრები ელმირზა ყანიზის ძე ქოქაშვილი და **თამარი** ყაითუყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები გრიგოლ კოფის ძე ზაჩიევი.

მართა, დაიბადა 15 ოქტომბერს, მოინათლა 28 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები იაგორ ვასილის ძე თავაშვილი და **თამარ** ქუმაგის ასული. მიმრქმელი – ბერძენი, ტრაპიზონის ღუბერნიის სოფელს პატისში მცხოვრებელი ივანე პოვლეს ძე პავატიროვი.

თეკლე, დაიბადა 1 ნოემბერს, მოინათლა 10 ნოემბერს. მშობლები: სოფელ აგაიანთს მცხოვრები ილიც ბათრადის ძე აგაევი და უკანონო ცოლი მართა თავყანას ასულის. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები გრიგოლ კოფის ძე ზაჩიევი.

ალექსანდრე, დაიბადა 1 ნოემბერს, მოინათლა 12 ნოემბერს. მშობლები: კობის ეკლესიის მღვდელი ბლადოჩინი გიორგი ივანეს ძე იტონიევი და კანონიერი ცოლი ამისი თინათინ გიორგის ასული. მიმრქმელი იყო ვლადიკავკაზის ქალაქში მცხოვრებული ვლადიკავკაზის №152-ის პეხოტის პოლკის შტაბის კაპიტანი არისტარხ ნიკიფორეს ძე ბოდომოლოვი. საიდუმლო ნათლისღება აღასრულა სიონის პრიხოდის მღვდელმა ზაქარია კარიაულმა.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, ტფილისის ღუბერნიის მთიულეთის უჩასტკის ღუდის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ქუმლისციხეში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი გიორგი გრიგოლის ძე ძავაშვილი. 45 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენში მცხოვრები საყლავ ქოქაშვილის ასული **ნინო**. 28 წლის. მეორე ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ: ღუდის ეკლესიის სამრევლოს ქუმლისციხეს მცხოვრები **ნინია** თევდორეს ძე ძავაშვილი, სასძლოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები ძახო დოჭეს ძე ქოქაშვილი. ჯვარი დაიწერეს 31 აგვისტოს.

სასიძო, სოფელ ნოყავში მცხოვრები გრიგოლ ასჭეს ძე ძილიშვილი. 27 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენში მცხოვრებული ძახო ქოქაშვილის ასული მარინე . 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ სოფელ აგაიანთს მცხოვრები დანბოლათ გაგის ძე აგაშვილი, სასძლოს მხრივ, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ძახო ჩელემეთის ძე არძინაშვილი (sic). ჯვარი დაიწერეს 7 ნოემბერს.

სასიძო, ტფილისის ღუბერნიის, ხევის უჩასტკის აბანოს ეკლესიის სამრევლოს სოფელ რესში მცხოვრები მიხაილ ბაიმათის ძე ყოროშვილი (sic). 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენში მცხოვრები საყლავ ქოქაშვილის ასული პელაგია. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, აბანოს სამრევლოს სოფელ რესში მცხოვრები დარახმათ სოხის ძე ყუსაშვილი, სასძლოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები ძახო გაძას ძე ქოქაშვილი. ჯვარი დაიწერეს 8 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

აღსარება ჩაიბარა, აზიარა და წესი აუგო კობის ეკლესიის მღვდელმა გიორგი იტონიევმა [იტონიშვილმა]. დაიკრძალნენ „თავიანთ ძველებურ განწესებულ სასაფლაოსა შინა“.

ზემო უხათს მცხოვრები ელიზბარ ბაბას ძე თავაშვილი გარდაიცვალა 20 მარტს, დაიმარხა 21 მარტს. 100 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

კობში მცხოვრები ყუდა თავაშვილის ძე ივანე გარდაიცვალა 1 აპრილს, დაიმარხა 2 აპრილს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

ზემო უხათს მცხოვრები ძიგანი ქობულოვის დედა მარიამ გუთას ასული გარდაიცვალა 13 აპრილს, დაიმარხა 14 აპრილს. 82 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექით.

ზემო უხათში მცხოვრები ვაზბი ბარამის ძე ბათაშვილი გარდაიცვალა 9 ოქტომბერს, დაიმარხა 10 ოქტომბერს. 62 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკისგან.

თოლგოთს მცხოვრები აიდარუყო ფიდაროვის მეუღლე მარიამ გაისის ასული. გარდაიცვალა 23 ოქტომბერს, დაიმარხა 24 ოქტომბერს. 56 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნითა.

ზემო ოქროყანაში მცხოვრები ზაბე გიორგის ძე ლუდიევი გარდაიცვალა 10 ნოემბერს, დაიმარხა 11 ნოემბერს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნითა.

ზემო ოქროყანაში მცხოვრები მიხეილ ლუდიევის ასული მარინე გარდაიცვალა 20 ნოემბერს, დაიმარხა 21 ნოემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №1910

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1867 წელი**

**ბლადოჩინი მღვდელი გიორგი იტონიევი [იტონიშვილი - ნ.შ.], პრიჩეტნიკი ზაქარია
კობაიძე**

დაბადებულთათვის

ნინო, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 12 იანვარს. მშობლები¹: სოფელ ბაზილანას (sic) მცხოვრები დუდა მახის ძე ზაჩიევი (sic) და კანონიერი ცოლი ამისი ძუათხარ (sic) ბარასპის ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის, ანანურის ეკლესიის სამრევლოს სოფელ პავლეურში მცხოვრებული იაგორ გლახას ძე გარსევანოვი [გარსევანიშვილი].

თინათინი, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 13 თებერვალს, მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ყუდა ქიფილის ძე თავაშვილი და კანონიერი ცოლი ამისი მართა მახამათის ასული. მიმრქმელი – ქალაქ დუშეთში მცხოვრები, კობში მოვაჭრე ზაქარია იოსების ძე ოთიოვი.

გიორგი, დაიბადა 10 თებერვალს, მოინათლა 20 თებერვალს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები გიორგი ყაზის ძე ბიდიხოვი და თოთრიმან ასლანბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელს ნოყავში (sic) მცხოვრები ბიბო გაგის ძე აგაშვილი (sic).

აბრამ, დაიბადა 3 მარტს, მოინათლა 14 მარტს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ვასილი გობის ძე სალბიშვილი და ფათიმე ბათას ასული. მიმრქმელი – კობში მცხოვრები ვასილი თავაევის მეუღლე ნინო სოზთეს ასული.

მართა, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 20 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ბადი ბესეს ძე ყარაევი და მაგდან **ნინიას** ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები და კობში მოვაჭრე თევდორე ანდრიას ძე ევლოევი.

ელენე, დაიბადა 18 აპრილს, მოინათლა 28 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები დუდა ისას ძე თავაშვილი და უკანონო ცოლი გიგი მალსაგის ასული. მიმრქმელი – ამავე უჩასტკის, სოფელ სტეფანწმინდაში მცხოვრებული ისაკ ივანეს ძე ჩოფიკაშვილი.

ივანე, დაიბადა 5 მაისს, მოინათლა 17 მაისს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები იორდანე ყაზბის ძე ბათაშვილი და **კეკელი** (sic) სოსთეს ასული. მიმრქმელი – ტფილისის ღუბერნიის, ქსნის უჩასტკის წინასოფლის ეკლესიის სამრევლოს სოფელ გურწიანთას (sic) მცხოვრები ძიბრიელ ყანიზის ძე გურწიოვი (sic).

ნიკოლოზი, დაიბადა 13 მაისს, მოინათლა 22 მაისს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები გაბის სახსათის ძე ყუსაშვილი და დოხა სანაყოს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ივანე გოქიას ძე თავაშვილი.

დიმიტრი, დაიბადა 10 ივნისს, მოინათლა 18 ივნისს (sic). მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ძიდი დოჭეს ძე ყარაშვილი და სალომე ბიციკოს ასული. მიმრქმელი – კობში მცხოვრები მაციკა მაისურის ძე თავაშვილი.

ნინო, დაიბადა 20 ივნისს, მოინათლა 5 ივლისს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები მათე დუდას ძე თავაშვილი და **ნინო** გუძის ასული. მიმრქმელი – კობის ეკლესიის პრიჩეტნიკი ზაქარია ივანეს ძე კობაიძე.

¹ ახალმონათლულთა მშობლებს და მიმრქმელთ უწერიათ – „ტფილისის ღუბერნიის, ხევის უჩასტკის კობის ეკლესიის სამრევლო“ – რასაც ვტოვებთ და ადარ ვუთითებთ. ასევე ადარ ვუთითებთ მშობლების მართლმადიდებლურ აღმსარებლობას.

მართა, დაიბადა 12 იულისს, მოინათლა 20 იულისს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები ალექსი აჯეს ძე ურთაშვილი და ეზდე გიბითის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანშივე მცხოვრები გისო ჯახიოგვის (sic) მეუღლე სოფიო ენყუძის ასული.

სალომე, დაიბადა 15 იულისს, მოინათლა 26 იულისს. მშობლები: სოფელ ნოყავში მცხოვრები გათი აბრაგის ძე აბაშვილი და გიგი გაბისას ასული. მიმრქმელი – ზემო ოქროყანაში მცხოვრები გისი ყაზის ძე ბიდიხაშვილი.

ბარბარე, დაიბადა 5 სექტემბერს, მოინათლა 12 სექტემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ბართა მაისურის ძე თავავეი და უკანონო ცოლი სოფიო თალას ასული. მიმრქმელი – კობში მცხოვრები ქუცრი ბერეზოვის მეუღლე ელენე ასჭეს ასული.

მიხეილ, დაიბადა 6 ოქტომბერს, მოინათლა 14 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ელმარიყო დოჭეს ძე ყარაშვილი(sic) და ელისაბედ გობის ასული. მიმრქმელი – ბერძენი, ტრაპიზონის ღუბერნიის სოფელ ხასაბერას (sic) მცხოვრები ივანე პანაეტუს ძე მურატანტოვი (sic).

გიორგი, დაიბადა 10 ოქტომბერს, მოინათლა 20 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები **გლახა** დავითის ძე ქოქაშვილი და თოთრიმან გაისის ასული. მიმრქმელი – სიონის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ხურთის მცხოვრები სიმონ გრიგოლის ძე ტუჩაშვილი.

სოლომან (sic), დაიბადა 4 ნოემბერს, მოინათლა 13 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები ალექსი ბითეს ძე ყარაშვილი და გუთაზ ძანბეგის ასული. მიმრქმელი – ანანურის სამრევლოს სოფელ ანანურში მცხოვრები, კობში მოვაჭრე სოლომან (sic) ივანეს ძე ფიცხელაური.

სიმონი, დაიბადა 8 ნოემბერს, მოინათლა 20 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები ივანე იკოს ძე ყარაშვილი (sic) და **დარეჯან** ბეპიზარის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები დუდა ძახის ძე ზაჩიშვილი.

მარიამი, დაიბადა 12 ნოემბერს, მოინათლა 26 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები ნიკოლოზ გოკოს ძე ყარაშვილი და ეზტევ (sic) ვასჭეს ასული. მიმრქმელი – ქალაქ ღუშეთში მცხოვრები, კობში მოვაჭრე ისაკა არუთინის ძე ღარიბოვი.

გიორგი, დაიბადა 5 დეკემბერს, მოინათლა 14 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები ძანბოლათ ძახის ძე ზაჩიევი და გოსეზი ძიგანის ასული. მიმრქმელი – სოფელ ანანურში მცხოვრები, კობში მოვაჭრე იაგორ აგეტიკას ძე ანდრიევი.

მარიამ, დაიბადა 19 დეკემბერს, მოინათლა 28 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები გრიგოლ კოფის (sic) ძე ზაჩიევი და დარია ხეჩას ასული. მიმრქმელი – კობის სტანციის სტარასტა (sic) ეფიმი ნიკიტის ძე შგარებატოვი (sic).

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, ტფილისის გუბერნიის, ხევის უჩასტკის¹, კობის ეკლესიის სამრევლოს, სოფელ შავარდენში მცხოვრები თევდორე საყლავას ძე ქოქაშვილი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასიძო, კობის სამრევლო სოფელ ზემო უხათს მცხოვრები ქიციჩ თუავეის ასული სოფიო. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები **გლახა** დავითის ძე ქოქაშვილი, სასიძოს მხრივ, სოფელ ზემო უხათს მცხოვრები მათე სოსტეს ძე თუაშვილი. ჯვარი დაიწერეს 7 იანვარს.

¹ „ტფილისის გუბერნიის ხევის უჩასტკი“ – ყველა ჯვარდაწერილს უწერია, რასაც ვტოვებთ.

სასიძო, კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ბაზილანში მცხოვრები რომანოზ ქუძის ძე ჯიკაშვილი (sic) 30 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები რუბა ქოცაშვილის (sic) ასული ტასია. 26 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ბაზილანში მცხოვრები თედო ყორღის ძე აბაშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები გიორგი რუბას ძე ქოციშვილი (sic). ჯვარი დაიწერეს 18 თებერვალს.

სასიძო, კობის სამრევლოს სოფელ ნოყავში მცხოვრები ციბო აბრაგის ძე აბაშვილი. 35 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ნოყავში მცხოვრები სალვა ნადირაშვილის (sic) ასული გოსეზი. 25 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ნოყავში მცხოვრები გიბიცი (sic) ასუქს ძე ძილიშვილი, სასძლოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები ძახო დოჭეს ძე ქოქაშვილი. ჯვარი დაიწერეს 18 თებერვალს.

სასიძო, სოფელ სტეფანწმინდას მცხოვრები გრიგოლ გლახას ძე ჩოფიკაშვილი. 26 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები ბადურ გუდიევის ასული **ნინო**. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ სტეფანწმინდაში მცხოვრები ვასილ ივანეს ძე ჩოფიკაშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები მირზაბეგ ყაზბეგის ძე ღუდიევი. ჯვარი დაიწერეს 18 თებერვალს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები მიხელ(sic) ნოგას ძე თავაშვილი. 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო უხათს მცხოვრები გიგოლა ქობილოვის (sic) ასული ელისაბედი. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ბარათა მაისურას ძე თავაშვილი, სასძლოს მხრივ, სოფელ ზემო უხათში მცხოვრები შამინა ქურციკას ძე ქობულოვი (sic). ჯვარი დაიწერეს 27 ივლისს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები იორდან დოყას ძე თავაშვილი. 14 წლის(sic). პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობშივე მცხოვრები დუდა თუაევის ასული ელენე. 15 წლის(sic). პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ალექსი ელბიზდის ძე მისოსტოვი, სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ფარასა შავლოხის ძე ქასაშვილი. ჯვარი დაიწერეს 4 ნოემბერს.

სასიძო, გორის უეზდის, ჯავის უჩასტკის ზღუბირის ეკლესიის სამრევლოს სოფელს სიბაში მცხოვრები ნიკოლოზ თიგას ძე აბაშვილი. 27 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები ძიდი (sic) ყარაევის ასული დარია. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ სიბაში მცხოვრები თამაზი ბეპიზარის ძე აბაშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები თეფსა (sic) ისას ძე თუაშვილი. ჯვარი დაიწერეს 6 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები პეტრე გიბილას ძე სალბიშვილი. 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ნოყავში მცხოვრები სალვა სლონიშვილის (sic) ასული. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები თედო ელბიზდის ძე მისოსტოვი, სასძლოს მხრივ სოფელ ნოყავში მცხოვრები სტეფან აბრაგის ძე აბაშვილი. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

დაიკრძალნენ „თავიანთ ძველებურ განწესებულ სასაფლაოსა შინა“.

კობში მცხოვრები ხათ (sic) თოთრაძის ძე ოქროშვილი (sic) გარდაიცვალა 1 მარტს, დაიმარხა 3 მარტს. 120 წლის (sic). გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

კობი მცხოვრები ბადიყარაშვილის (sic) ასული მართა გარდაიცვალა 24 ივნისს, დაიმარხა 25 ივნისს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ზემო უხათს მცხოვრები ბათო ხათოს (sic) ძე ქობილოვი (sic) გარდაიცვალა 26 ივლისს, დაიმარხა 27 ივლისს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმჭლექით.

უხათში მცხოვრები ქუცირი გოგიას ძე თავაშვილი გარდაიცვალა 20 ოქტომბერს, დაიმარხა 21 ოქტომბერს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულისტკივილით.

თოლოგოს მცხოვრები ადამ მოსეს ძე ფიდარიშვილი (sic) გარდაიცვალა 6 დეკემბერს, დაიმარხა 7 დეკემბერს. 68 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ გაგუანოს (sic) მცხოვრები ელმირზა ყანიზის ძე ქოქაშვილი გარდაიცვალა 7 დეკემბერს, დაიმარხა 10 დეკემბერს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ზვავისაგანა.

ამავე ელმირზას მეუღლე თამარ გაითის ასული, გარდაიცვალა 7 დეკემბერს, დაიმარხა 10 დეკემბერს. 38 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ზვავისაგანა.

ამავე ელმირზას ასული სალომე გარდაიცვალა 7 დეკემბერს, დაიმარხა 10 დეკემბერს. 14 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ზვავისაგანა.

კიდევ ელმირზას ძე ივანე, გარდაიცვალა 7 დეკემბერს, დაიმარხა 10 დეკემბერს. 8 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ზვავისაგანა.

კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელს **გაგუანოს**¹ მცხოვრებელის ელმირზა ქოქაევის (sic) ასული პელაგია. გარდაიცვალა 7 დეკემბერს, დაიმარხა 10 დეკემბერს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ზვავისაგანა.

იმავე სოფელს და იმავე სახლსა შინა კოსტანტინე ქოქაევის ასული ელისაბედი გარდაიცვალა 7 დეკემბერს, დაიმარხა 10 დეკემბერს. 5 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ზვავისაგანა.

იმავე სახლსა შინა ალექსანდრე ქოქაევის მეუღლე ნინო გლახას ასული. გარდაიცვალა 7 დეკემბერს, დაიმარხა 10 დეკემბერს. 27 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ზვავისაგანა.

იმავე სოფელს მცხოვრებელი ბარასპი გუძის ძე ქოქაშვილი (sic) გარდაიცვალა 7 დეკემბერს, დაიმარხა 10 დეკემბერს. 65 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ზვავისაგანა.

სოფელ გაგუანოს მცხოვრები ბარასპი ქოქაევის მეუღლე ნინო ქუძის ასული. გარდაიცვალა 7 დეკემბერს, დაიმარხა 10 დეკემბერს. 56 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ზვავისაგანა.

იმავე სოფელს გაგუანოს და იმავე სახლსა შინა ივანე ქოქაევის მეუღლე მარიამ ბესლანის ასული. გარდაიცვალა 7 დეკემბერს, დაიმარხა 10 დეკემბერს. 37 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ზვავისაგანა.

იმავე სახლსა ვასილი ქოქაევის მეუღლე მართა ძანის ასული. გარდაიცვალა 7 დეკემბერს, დაიმარხა 10 დეკემბერს. 19 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ზვავისაგანა.

იმავე სოფელს და იმავე სახლსა ივანე ქოქაევის მეუღლე გუთა ალხასტის ასული გარდაიცვალა 7 დეკემბერს, დაიმარხა 10 დეკემბერს. 15 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ზვავისაგანა.

სოფელ გაგუანოს მცხოვრები მირზაბეგ გაბის ძე აბაშვილი. გარდაიცვალა 7 დეკემბერს, დაიმარხა 10 დეკემბერს. 56 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ზვავისაგანა.

იმავე სოფელს და იმავე სახლსა შინა მირზაბეგ აბაშვილის მეუღლე მარიამ ყუდაბერდის ასული. გარდაიცვალა 7 დეკემბერს, დაიმარხა 10 დეკემბერს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ზვავისაგანა.

¹ ჩანს, სოფელი გაგუანთა ზვავმა მთლიანად გაანადგურა, რადგან იგი აღარ იხსენიება შემდგომი წლების მეტრიკულ წიგნებში.

იმავე სახლსა შინა და იმავე სოფელს მცხოვრებელის აბრამ აბაევის (sic) მეუღლე თამარ ივანეს ასული. გარდაიცვალა 7 დეკემბერს, დაიმარხა 10 დეკემბერს. 23 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ზვავისაგანა.

სოფელ გაგუანთს აბრამ აბაევის ასული თამარ გარდაიცვალა 7 დეკემბერს, დაიმარხა 10 დეკემბერს. 5 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ზვავისაგანა.

იმავე სოფელ გაგუანთს და იმავე სახლსა შინა ბიძაშვილი მირზაბეგისა ნიკოლოზ დავითის ძე აბაშვილი (sic) გარდაიცვალა 7 დეკემბერს, დაიმარხა 10 დეკემბერს. 14 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ზვავისაგანა.

ზემო უხათს ალექსანდრე თოთრაძის ძე ქობილოვი (sic) გარდაიცვალა 14 დეკემბერს, დაიმარხა 15 დეკემბერს. 10 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშითა.

კობში ალექსი ბათრაძის ძე ცალაგისშვილი (sic) გარდაიცვალა 22 დაიმარხა, დაიმარხა 23 დეკემბერს. 61 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მახვილითა.

ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №2028

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი 1868 წელი

ბლადოჩინი მღვდელი გიორგი იტონიევი [იტონიშვილი - ნ.შ.], პრიჩეტნიკი ზაქარია კობაიძე

დაბადებულთათვის

მიხეილი, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 19 იანვარს. მშობლები¹: სოფელ კობში მცხოვრები ისმაილ ისაიას ძე ქოცოევი (sic) და უკანონო ცოლი ამისი მართა ქოს ასული (sic). მიმრქმელი – კობის პრიხოლის ბლადოჩინი მღვდელი გიორგი ივანეს ძე იტონიევი. საიდუმლო ნათლისღება ადასრულა სიონის პრიხოლის მღვდელმა ზაქარია კარიაულოვმა (sic) [კარიაული].

გიორგი და მიხეილი (ტყუპები), დაიბადნენ 12 იანვარს, მოინათლნენ 20 იანვარს. მშობლები: ზემო ოქროყანას მცხოვრები ენალდიყო ჯიტარის ძე გუდიშვილი (sic) და მართა დიდოს ასული. ორისავე მიმრქმელი იყო ქვემო ოქროყანაში მცხოვრებული გლახა ბიჭოს ძე ზაღაგიშვილი.

ვასილი, დაიბადა 11 თებერვალს, მოინათლა 20 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ყულუ ქიფილის ძე თაყაევი (sic) და უკანონო ცოლი ამისი მაგდან დავითის ასული. მიმრქმელი – ქალაქ ღუშეთში მცხოვრები, კობში მოვაჭრე მიხეილ იოსების ძე ოთიოვი (sic).

ელისაბედ, დაიბადა 19 თებერვალს, მოინათლა 28 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ციცკა რაჯაბას ძე მისოსტოვი და პელო საბანის ასული. მიმრქმელი – ქალაქ ღუშეთში მცხოვრებული, კობში მოვაჭრე იოსებ ვანეზის ძე აზაზოვი.

¹ ახალმონათლულთა მშობლებს და მიმრქმელთ უწერიათ – „ტფილისის ღუბერნიის, ხევის უჩასტკის კობის ეკლესიის სამრევლო“ – რასაც ვტოვებთ და აღარ ვუთითებთ. ასევე აღარ ვუთითებთ მშობლების მართლმადიდებლურ აღმსარებლობას.

ნინო, დაიბადა 10 მარტს, მოინათლა 25 მარტს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ფარსა შავლოხის ძე ქასაშვილი და გუთაშ დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზაყაგორს მცხოვრები ნოღა ჩეთოევის მეუღლე ელისაბედ სოლომანის ასული.

ბაბალე, დაიბადა 5 აპრილს, მოინათლა 20 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები გაბრიელ ყიბილას ძე ქასაევი და **ნინო** განის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები სიმონ გალის ძე აბაევი.

სიმონ, დაიბადა 6 მაისს, მოინათლა 20 მაისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები **ერისტავ** (sic) ძიბას ძე თავაევი და უკანონო ცოლი ამისი ნალყიზ საბანის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები იაგორ ნოღას ძე თავაევი.

მიხეილ, დაიბადა 15 მაისს, მოინათლა 26 მაისს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ალექსი უმარის ძე ცაბოლოვი და თამარ ზოზრუყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ სიონში მცხოვრები, კობის ეკლესიის პრიჩეტნიკი ზაქარია ივანეს ძე კობაიძე.

ალექსანდრე, დაიბადა 5 ივნისს, მოინათლა 18 ივნისს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები **გლახა** დოღეთუყოს ძე ქასოევი (sic) და **თინათინ გლახას** ასული. მიმრქმელი – კობის ეკლესიის ბლაღოჩინი მღვდელი გიორგი ივანეს ძე იტონიევი, საუდუმლო ნათლობისა ადასრულა სიონის პრიხოღის მღვდელმა ზაქარია კარიაულოვმა (sic) [კარიაული].

გიორგი, დაიბადა 15 ივნისს, მოინათლა 28 ივნისს. მშობლები: სოფელ ქვემო ოქროყანას მცხოვრები მოსე ზოზრიყოს ძე ქოქაევი და გუთაშ კულუხას ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები **გლახა** დოღეთუყოს ძე ქასაშვილი.

მარიამ, დაიბადა 10 ივლისს, მოინათლა 22 ივლისს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები **ლევან** ხუხის (sic) ძე ღუღიევი და ზალი ძახოს ასული. მიმრქმელი – იმავე სოფელს მცხოვრები ძახო ჩელემეთის ძე არჩინაშვილი.

სიმონ, დაიბადა 1 აგვისტოს, მოინათლა 18 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები როსტომ გაგას ძე ზაღაგოვი და უკანონო ცოლი ამისი **ნინო** სმაილის (sic) ასული. მიმრქმელი – იმავე სოფელს ოქროყანაში მცხოვრები ალექსი ჩელემეთის ძე არჩინაშვილი.

ბორის, დაიბადა 3 სექტემბერს, მოინათლა 12 სექტემბერს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ყუდაბერდ დავითის ძე ქოქაშვილი და ნალყიზ **ლევანის** ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები **გლახა** დოღეთუყოს ძე ქასაევი.

დარია, დაიბადა 15 ოქტომბერს, მოინათლა 24 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები იაგორ ბერდის ძე ქოქაევი და ზალი ყადის ასული. მიმრქმელი – კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ აგაიანთს მცხოვრები ძანბოლ აგაევის მეუღლე საოთ მაციკას ასული.

ნინო, დაიბადა 5 ნოემბერს, მოინათლა 15 ნოემბერს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ჯინო დახცოს ძე შავლოხოვი და გიგი გიბილას ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები მოსე ზოზრიყოს ძე ქოქაევი.

მარიამ, დაიბადა 25 ნოემბერს, მოინათლა 10 დეკემბერს. მშობლები: კობის ბლაღოჩინი მღვდელი გიორგი ივანეს ძე იტონიევი და თინათინ გიორგის ასული. მიმრქმელი – ქვეშეთის პრისტავი, ტიტულიარნი სოვეტნიკი გაბრიელ ეფრემის ძე კალუბანსკი. საიდუმლო ნათლობა ადასრულა სიონის პრიხოღის მღვდელმა ზაქარია კარიაულოვმა.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო¹, სოფელ მნაში მცხოვრები სტეფან დავითის ძე ცაბოლოვი. 18 წლის. პირველი

¹ „ტფილისის გუბერნიის, ღუშეთის უუზდის, ხევის უჩასტკის, კობის ეკლესიის სამრევლო“ – ყველა ჯვარდაწერილს უწერია, რასაც ვტოვებთ.

ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ანდრი (sic) ღუდიევის ასული **თამარი**. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ მნაში მცხოვრები ალექსანდრე ზაქარას (sic) ძე ქასოევი (sic), სასძლოს მხრივ, სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები მირზაბეგ ყაზბეგის ძე ღუდიევი. ჯვარი დაიწერეს 28 იანვარს.

სასიძო, სოფელ ქვემო ოქროყანას მცხოვრები ჯახო ჩელემეთის ძე არჯინოვი (sic) 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენში მცხოვრები ჯინო შავლოხოვის ასული **ბაბაღე**. 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები მიხეილ ღუდას ძე ღუდიევი. სასძლოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები **გლახა** დავითის ძე ქოქაევი. ჯვარი დაიწერეს 4 თებერვალს.

სასიძო, სოფელ მნაში მცხოვრები დავით ბაქას ძე (sic) ქასოევი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, გორის უეზდის სოფელ სიბაში მცხოვრები ძატიევის ასული თამარი. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ მნაში მცხოვრები **გლახა** დოღეთუყოს ძე ქასაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები გუტარი გალის (sic) ძე ძატიევი (sic). ჯვარი დაიწერეს 5 ივნისს.

სასიძო, სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები გაბრიელ გისოს ძე ზადაგიშვილი. 17 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები ალექსი ცალაგოვის ასული მარიამ. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები **გლახა** ბიჭის ძე ზადაგოვი. სასძლოს მხრივ, სოფელ მნაში მცხოვრები ივანე ბარასპის ძე ქოქაევი. ჯვარი დაიწერეს 21 ივლისს.

გარდაცვალებულთათვის

დაიკრძალნენ „თავიანთ ძველებურ განწესებულ სასაფლაოსა შინა“.

კობში მცხოვრები რაჯაბა ელბიზდის ძე მისოსტოვი გარდაიცვალა 6 იანვარს, დაიმარხა 9 იანვარს. 53 წლის. გარდაცვალების მიზეზი – კაცმა მოკლა.

კობში მცხოვრები ფარსა ქასაევის მამიდა **მაია** გოჯიას ასული გარდაიცვალა 10 იანვარს, დაიმარხა 11 იანვარს. 61 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლექით.

ბაზილანში მცხოვრები **ნინია** ყავდიხის ძე გოტომშვილი (sic) გარდაიცვალა 15 იანვარს, დაიმარხა 16 იანვარს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მსჭვლითა.

კობში მცხოვრები ცომაყ ბიგანაშვილის დედა მარიამ დახცის ასული. გარდაიცვალა 13 მარტს, დაიმარხა 14 მარტს. 98 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ზემო ოქროყანაში მცხოვრები გისი ბიდიხოვის დედა ქიქა დოჭეს ასული გარდაიცვალა 14 აპრილს, დაიმარხა 15 აპრილს. 100 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

კობში მცხოვრები თამები (sic) მამსირის ძე ქასაევი გარდაიცვალა 24 აპრილს, დაიმარხა 25 აპრილს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადისაგან.

ზემო უხათს მცხოვრები ყასპოლ თოთრადის ძე ქობულოვი (sic) გარდაიცვალა 15 მაისს, დაიმარხა 16 მაისს. 14 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

შავარდენში მცხოვრები **ლევან** დახცის ძე შავლოხოვი გარდაიცვალა 4 ივნისს, დაიმარხა 6 ივნისს. 38 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ურემმა გაიგდო (sic).

ზემო ოქროყანას მცხოვრები ფრი (sic) ბიდიხოვის შვილი ივანე გარდაიცვალა 24 ივნისს, დაიმარხა 25 ივნისს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

კობში მცხოვრები გობი (sic) სალბიევის რძალი გუბლე (sic) შიოს ასული. გარდაიცვალა 10 ივლისს, დაიმარხა 11 ივლისს. 61 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმჭლექით.

კობში მცხოვრები ბარათა მაისურას ძე თავაევი გარდაიცვალა 29 ივლისს, დაიმარხა 30 ივლისს. 59 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციავ-ცხელებით.

მნაში მცხოვრები ანდრია ბინძას ძე ქასოვი გარდაიცვალა 15 სექტემბერს, დაიმარხა 16 სექტემბერს. 15 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მსჭვლითა.

ზემო ოქროყანას მცხოვრები ჯიმშერ ბიდხოვის შვილი ვასილი გარდაიცვალა 8 ოქტომბერს, დაიმარხა 9 ოქტომბერს. 8 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

კობში მცხოვრები დავით ცალაგოვის დედა ევდოტია (sic) მაციკას (sic) ასული გარდაიცვალა 18 ნოემბერს, დაიმარხა 19 ნოემბერს. 51 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულისტკივილით.

ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №2109

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1869 წელი**

ბლადოჩინო მღვდელი გიორგი იტონიევი [იტონიშვილი - ნ.მ.], პრიჩეტნიკი ზაქარია კობაიძე

დაბადებულთათვის

იოვანე, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 10 იანვარს. მშობლები¹: სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები ელზარიყო ცორეს ძე ღუდიევი და **თამარი** ქალერის (sic) ასული. მიმრქმელი – ზემო ოქროყანას მცხოვრები იოვანე ალექსის ძე ღუდიევი.

ალექსი, დაიბადა 15 იანვარს, მოინათლა 28 იანვარს. მშობლები: სოფელ ნაოყავს მცხოვრები დუდარ თაჯეს ძე ძილიევი (sic) და უკანონო ცოლი მისი ცამაყუდ ფარნის ასული. მიმრქმელი – სოფელ აგიანთას მცხოვრები მიხაილ კულუხას ძე აგაევი.

ვიკტორი (sic), დაიბადა 24 იანვარს, მოინათლა 17 თებერვალს. მშობლები: პრუსიის სახელმწიფოს ყმა რუდოლფ თეოდორეს ძე ბარქსი (sic) და იულია კოსტანტინეს ასული. მიმრქმელი – სტატსკი სოვეტნიკი ვანერიან ივანეს ძე დელეკრუა (sic)

ნინო, დაიბადა 10 თებერვალს, მოინათლა 22 თებერვალს. მშობლები: სოფელ ნაოყავს მცხოვრები ძამნბოლ გაგის ძე აგაევი და ხაოთ ბარასპის ასული. მიმრქმელი – ღუშეთის უეზდის სოფელ კაიშაურის ეკლესიის სამრევლოს სოფელ კაიშაურში მცხოვრები აღდგომელა ბეჟანის ძე ზაქაიძე.

ანდრია, დაიბადა 15 მარტს, მოინათლა 28 მარტს. მშობლები: სოფელ მნას მცხოვრები იოვანე ბარასპის ძე ქოქაევი და უკანონო ცოლი ამისი გუთაზ ენალდის ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანას მცხოვრები ყაბირზა იასეს ძე ზადაგოვი (sic).

სიმონ, დაიბადა 5 აპრილს, მოინათლა 14 აპრილს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები კოხე ყანიზის ძე ქოქაევი და ყიზმიდე ალხასტის ასული. მიმრქმელი – კობის ეკლესიის მღვდელი ბლადოჩინი გიორგი იტონიევი.

ადამ, დაიბადა 12 აპრილს, მოინათლა 24 აპრილს. მშობლები: სოფელ ოქროყანას მცხოვრები ონეზ ნანეს ძე ქოქაევი და უკანონო ცოლი მისი გოსეზიყ (sic) რაფიელის ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანას მცხოვრები ელზა ბიჭილას ძე ზადაგოვი.

ელენე, დაიბადა 3 მაისს, მოინათლა 15 მაისს. მშობლები: სოფელ ნაოყავს მცხოვრები ბიგა კულუხას ძე აგაევი და მარიამ გაბისას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანს მცხოვრებელი ივანე ციცოს ძე აბაევი.

¹ მშობლებს უწერიათ – „ტფილისის გუბერნიის, ღუშეთის უეზდის, კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ... სახელმწიფო ყმა“ – რასაც ვტოვებთ.

იოსებ, დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 21 მაისს. მშობლები: სოფელ შავარდენს მცხოვრები სიმონ დავითის ძე ბაბეშვილი და ბარბარე დახცის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანს მცხოვრები ივანე გაბრიელის ძე აბაევი.

მარიამ, დაიბადა 15 მაისს, მოინათლა 27 მაისს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები მოსე გიწის ძე ზაჩიევი და მარინე ალხასტის ასული. მიმრქმელი – სოფელ ქვემო ოქროყანას მცხოვრები როსტომ გაჯას ძე ზალაგოვი.

სოფიო, დაიბადა 3 ივნისს, მოინათლა 18 ივნისს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები იაგორ ნაოგას ძე თაკაევი და **თამარი** ქუდაგის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ისმეილ ისაიას ძე ქოცაევი.

ნატალია, დაიბადა 14 ივნისს, მოინათლა 28 ივნისს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები თევდორე ყირდის ძე აბაევი და სალომე მამსირას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ივანე ბიციკოს ძე თუაევი.

ალექსანდრე, დაიბადა 2 ივლისს, მოინათლა 15 ივლისს. მშობლები: სოფელ თოღგოთს მცხოვრები თეკო ადამის ძე ფიდარიშვილი (sic) და ბარბარე დოყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები დუდარ ზახის ძე ზაჩიევი.

ალექსანდრე, დაიბადა 5 აგვისტოს, მოინათლა 20 აგვისტოს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ყუდა ქიფელის (sic) ძე თუაევი და მართა მახამათის ასული. მიმრქმელი – ტფილისი ქალაქს მცხოვრებელი სოლომონ არტემის ძე ჭუმბარიტოვი.

ილია, დაიბადა 10 სექტემბერს, მოინათლა 24 სექტემბერს. მშობლები: სოფელ მნას მცხოვრები დავით ბაქარის ძე ქასაშვილი და **თამარი** დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ შავარდენს მცხოვრები ძანბოლ რაფიელის ძე საპიევი.

ნინო, დაიბადა 18 სექტემბერს, მოინათლა 30 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები ფარი ყაზის ძე ბიდიხოვი და **დარეჯან** ელიზბარის ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელ ტონჩას მცხოვრები სოსიკა გლახას ძე ოთიოვი (sic).

ისაკ, დაიბადა 8 ოქტომბერს, მოინათლა 20 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები გლახა ივანეს ძე ძუაევი და მაგდან დიდის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნას მცხოვრები **გლახა** დოლათუყოს ძე ქასაევი.

დავითი, დაიბადა 14 ოქტომბერს, მოინათლა 23 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები თოთი სოსრეთის ძე თუაევი და **ქეთო** ყაზიბეგის ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის ძმიანთკარის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ჩადისციხეს მცხოვრები სახელმწიფო ყმა თევდორე მოსეს ძე ქავთაროვი (sic).

იოვანე, დაიბადა 1 ნოემბერს, მოინათლა 12 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები გისო გაითუგის ძე ბათაევი (sic) და უკანონო ცოლი მისი ჩეთო ზაზას ასული. მიმრქმელი – სოფელ ანანურს მცხოვრები სოლომან (sic) ივანეს ძე ფიცხელაური.

ანასტასია, დაიბადა 8 ნოემბერს, მოინათლა 18 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები იორდანე ოზბის ძე ბათაევი და **კეკელი** სოსთერის ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათს მცხოვრები გრიგოლ გაჯეს ძე ძუკაევი.

ელისაბედი, დაიბადა 2 დეკემბერს, მოინათლა 21 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები ბერდ სოსთეს ძე თუაევი და მართა გისო ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელს ჩადისციხეს მცხოვრები თევდორე მოსეს ძე ქავთაროვი (sic).

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო¹, სოფელ შავარდენს მცხოვრები გრიგოლ ბერდიას ძე ქოქაევი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ უხათს მცხოვრები ოზბი ბათაევის ასული ნინო. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ აგაიანთას მცხოვრები ძანბოლ გაგის ძე აგაევი; სასძლო მხრივ, სოფელ ზემო უხათს მცხოვრები დიმიტრი ჯაითის ძე თუაევი. ჯვარი დაიწერეს 8 იანვარს.

სასიძო, სოფელ კობს მცხოვრები გაგი რაჯაბას ძე მისოსტოვი(sic). 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენს მცხოვრები ალექსანდრე ქოქაევის ასული სოფიო. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ კობს მცხოვრები ასჭე (sic) ბასეს ძე ქასაევი; სასძლო მხრივ, სოფელ შავარდენს მცხოვრები ალექსანდრე ელზარას ძე ქოქაევი. ჯვარი დაიწერეს 15 იანვარს.

სასიძო, ღუდის პრიხოლის სოფელ ქემლისციხეში მცხოვრები გრიგოლ თოთრადის ძე ქოქაევი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენს მცხოვრები რაფიელ საპიევის ასული ნინო. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, ღუდის პრიხოლის სოფელ შექეთს მცხოვრები ისაკ ფარას ძე რუბაევი; სასძლო მხრივ, სოფელ აგაიანთას მცხოვრები ბიგა კულუხას ძე აგაევი. ჯვარი დაიწერეს 10 თებერვალს.

სასიძო, აბანოს სამრევლოს სოფელ ჩეთიში²(sic) მცხოვრები ელზარიყო სავქუძის ძე ქასაევი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ უხათს მცხოვრები ღუდარ თუაევის ასული დარეჯან. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ აბანოს სამრევლოს სოფელ ქეთირშს (sic) მცხოვრები ისმიელ ღუდას ძე ქეთოევი (sic); სასძლო მხრივ, სნოს პრიხოლის, სოფელ არშას მცხოვრებ შიო სიმონის ძე ბაზალი. ჯვარი დაიწერეს 15 თებერვალს.

სასიძო, სნოს ეკლესიის სამრევლოს სოფელ არშას მცხოვრებელი თევდორე თემურაზის ძე ბაზალი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ გიმარას მცხოვრები ღუდარიყო ბეროზოვის ასული³. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ უხათს მცხოვრები თოთი სოსთეს ძე თუაევი. სასძლო მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები გიორგი ძიბას ძე თუაევი. ჯვარი დაიწერეს 4 ნოემბერს.

სასიძო, ღუდის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ღუდს მცხოვრები ნიკოლოზ დავითის ძე ძანაევი (sic). 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენს მცხოვრები გლახა ქოქაევის ასული ელისაბედ. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, ღუდის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ერეთს მცხოვრები აში (sic) ბაზოს ძე გადიევი; სასძლო მხრივ, სოფელ შავარდენს მცხოვრები ივანე გაბეს ძე ქოქაევი. ჯვარი დაიწერეს 6 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ აბანოს მცხოვრები ელიზბარ მარახათის (sic) ძე ცაბოლოვი. 37 წლის. პირველი ქორწინება(sic). სასძლო, სოფელ შავარდენს მცხოვრები ყავდინ ქოქაევის ასული გაიანე. 33 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრები მახამათ დოლათ-მიზრზას ძე ცაბოლოვი. სასძლო მხრივ, სოფელ შავარდენს მცხოვრები დავით რუხიას ძე ბაბუშვილი (sic) [ბაბუშვილი]. ჯვარი დაიწერეს 8 ნოემბერს.

სასიძო, გორის უეზდის, სიბაზღებირის (sic) ეკლესიის პრიხოლის სოფელ სიბაში მცხოვრები ალექსი ქოქას ძე აბაევი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობს მცხოვრები

¹ ყველა ჯვარდაწერილს უწერია – „ტიფლისის გუბერნიის, ღუშეთის უეზდის, ხევის უჩასტკის, კობის ეკლესიის სამრევლო“ – რასაც ვტოვებთ.

² სოფელი ქეთირი უნდა იყოს.

³ სასძლოს სახელი დოკუმენტში გამორჩენილია.

ივანე თუავეის ასული **ნინო**. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ სიბაში მცხოვრები ციცი ბალას ძე აბავეი; სასძლო მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ეფრემ ქასავეი. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ მნას მცხოვრები გაბრიელ ივანეს ძე ქოქავეი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქვემო უხათს მცხოვრები დუდა სამისშვილის (sic) ასული **ნინო**. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ მნას მცხოვრები ყუდა შიოს ძე გუთონოვი (sic); სასძლო მხრივ, სოფელ უხათს მცხოვრები ვასტე ბეპირახის ძე ძუკაშვილი. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ მნაში მცხოვრები აბრამ მირზაბეგის ძე აბავეი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო უხათს მცხოვრები ბერდა თუავეის ასული **სოფო**. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ნოყავს მცხოვრები გრიგოლ ვასტეს ძე ძილიევი; სასძლო მხრივ, სოფელ უხათს მცხოვრები ანდრიყ ყავდინის ძე თუავეი. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

დაიკრძალნენ „თავიანთ ძველებურ განწყობებს სასაფლაოსა შინა“.

შავარდენში მცხოვრები ძანბოლ საპიევის ბებია **ხორეშან** (sic) დოთეს ასული გარდაიცვალა 14 იანვარს, დაიმარხა 15 იანვარს. 100 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

კობს მცხოვრები გობი გადის ძე სალბიევი გარდაიცვალა 26 თებერვალს, დაიმარხა 27 თებერვალს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადით.

ოქროყანას მცხოვრები ყამირზი იასეს ძე ზადაგოვი (sic) გარდაიცვალა 11 აპრილს, დაიმარხა 12 აპრილს. 52 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მსჭვლით.

ზემო უხათს მცხოვრები ივანე თუავეის ძე მიხაილ (sic) გარდაიცვალა 16 აპრილს, დაიმარხა 17 აპრილს. 10 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მსჭვლით (sic).

კობს მცხოვრები დოჭე დაცის ძე ყარაევი გარდაიცვალა 10 მაისს, დაიმარხა 11 მაისს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლექით.

ზემო ოქროყანას მცხოვრები დიყო ღუდიევის ძე იაკობი გარდაიცვალა 15 ივნისს, დაიმარხა 16 ივნისს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშით.

ზემო უხათს მცხოვრები გაბე ბერდიას ძე თუავეი გარდაიცვალა 21 ივნისს, დაიმარხა 25 ივნისს. 28 წლის. გარდაცვალების მიზეზი – კაცმა მოკლა.

ზემო ოქროყანას მცხოვრები ენალდიყოს ძე იოვანე¹ გარდაიცვალა 25 აგვისტოს, დაიმარხა 26 აგვისტოს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშით.

ოქროყანას მცხოვრები გერი ბედიხოვის (sic) ასული **ნინო** გარდაიცვალა 5 სექტემბერს, დაიმარხა 9 (sic) სექტემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშით.

ოქროყანას მცხოვრები ანდრიყო ღუდიევის ძე ქრისტეფორე გარდაიცვალა 8 სექტემბერს, დაიმარხა 10 სექტემბერს. 6 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშით.

ოქროყანას მცხოვრები ელზარიყო ღუდიევის ქალი **ნინო** გარდაიცვალა 11 სექტემბერს, დაიმარხა 13 სექტემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშით.

მნაში მცხოვრები **გლახა** ქასავეის შვილი გიორგი გარდაიცვალა 12 სექტემბერს, დაიმარხა 14 სექტემბერს. 7 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშით.

აგაიანთას (sic) მცხოვრები ბიგა (sic) აგაევის ასული **დარიკო** გარდაიცვალა 13 სექტემბერს, დაიმარხა 15 სექტემბერს. 8 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშით.

¹ გვარი გამორჩენილია.

მნას მცხოვრები კონი (sic) ქოქაევის ძე სიმონ გარდაიცვალა 15 სექტემბერს, დაიმარხა 17 ოქტომბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშით.

კობს მცხოვრები მაცია (sic) თაკაევის მეუღლე სოფიო მიყის (sic) ასული გარდაიცვალა 4 ნოემბერს, დაიმარხა 6 ნოემბერს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლექით.

კობს მცხოვრები ისმეილ ქოცოევის მეუღლე ხანიმე (sic) ისას ასული გარდაიცვალა 7 ნოემბერს, დაიმარხა 9 ნოემბერს. 65 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით.

კობს მცხოვრები თევდორე ისაიას ძე თუაევი გარდაიცვალა 18 ნოემბერს, დაიმარხა 20 ნოემბერს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მჭვლით.

ფონდი 489, ანაწერი 6, დოკუმენტი №2121

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი 1870 წელი

ბლადოჩინი მღვდელი გიორგი იტონიევი [იტონიშვილი - ნ.შ.], დიაკონი ზაქარია კობაიძე დაბადებულთათვის

ვლადიმერი, დაიბადა 2 იანვარს, მოინათლა 10 იანვარს. მშობლები: სოფელ ბაზილანს მცხოვრები გრიგოლ კოფის(sic) ზაჩიევი და დარეჯან ხეჩას ასული. მიმრქმელი – კობის ეკლესიის პრიხეტნიკი ზაქარია ივანეს ძე კობაიძე.

გიორგი, დაიბადა 4 იანვარს, მოინათლა 12 იანვარს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ციცკა რაჯაბას ძე მისისტოვი და პელო საბანას ასული. მიმრქმელი – კობის პრიხოდის ბლადოჩინი მღვდელი გიორგი ივანეს ძე იტონიევი. საიდუმლო ნათლობა აღასრულა სიონის პრიხოდის მღვდელმა ზაქარია კარიულმა.

ივანე, დაიბადა 14 იანვარს, მოინათლა 26 იანვარს. მშობლები: სოფელ ქვემო ოქროყანას მცხოვრები ტეტი (sic) ბიჭის ძე ზადაგოვი (sic) გიგო დიგის ასული. მიმრქმელი -სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ახლავ ჩაღის ძე ღუდიევი

დარია, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 14 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ყასპოლ ბასეს ძე ქასაევი და მარინე აბეს ასული. მიმრქმელი – სნოს ეკლესიის სამრევლოს სოფელ გაიბოტენში მცხოვრები დავით გიორგის ძე ხულელიძე.

ნინო, დაიბადა 20 თებერვალს, მოინათლა 28 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ასჭე ნასეს ძე ქასაევი და ელენე ძიმსურის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები დავით გაღის ძე აბაევი.

ზაქარია, დაიბადა 2 მარტს, მოინათლა 14 მარტს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები გაბრიელ ყიბილის ძე ქასაევი და **ნინო** განის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები თასო ვარიყანის ძე ქოქაევი.

გაბრიელი, დაიბადა 23 მარტს, მოინათლა 28 მარტს. მშობლები: კობის ბლადოჩინი მღვდელი გიორგი ივანეს ძე იტონიევი და თინათინ გიორგის ასული. მიმრქმელი – ქ. ვლადიკავკაზში მცხოვრები ასტავნოვი კოლეჟსკი რეისტრატირი (sic) პაპა აბრამის ძე აბრამოვი. საიდუმლო ნათლობა ჩაატარა სიონის პრიხოდის მღვდელმა ზაქარია კარიულმა.

მარიამ, დაიბადა 22 მარტს, მოინათლა 29 მარტს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ელძარიყო დოჭეს ძე ყარაევი და ელისაბედ გობის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები კოვა აბელის ძე ქოცოევი(sic).

ეკატერინე(sic), დაიბადა 4 აპრილს, მოინათლა 13 აპრილს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ძიდი (sic) ღოჭეს ძე ყარაევი და სალომე ბიციკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ალექსი დოღეჯერის ძე ქასაევი.

ანნა, დაიბადა 9 აპრილს, მოინათლა 21 აპრილს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ბადი ბესლანის ძე ყარაევი და ზუზუ (sic) **ნინიას** ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები **გლახა** გას ძე აბაევი.

მარინე, დაიბადა 14 აპრილს, მოინათლა 25 აპრილს. მშობლები: სოფელ ბაზილანს მცხოვრები რამონ (sic) ქუძის ძე ჯიკაევი (sic) და ტასია რუბას ასული. მიმრქმელი – სოფელ თოღოთში მცხოვრები ციცკა ბეპიზარის ძე თავაევი.

ივანე, დაიბადა 2 მაისს, მოინათლა 14 მაისს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ივანე ბათრაძის ძე ბიგანოვი (sic) და ნალმის ქუცრის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები გრიგოლ კოფის ძე ზაჩიევი.

ტატიან (sic), დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 18 მაისს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები გრიგოლ **ბიჭიკოს** ძე თუაევი და **თამარ** ბიტეს (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ სტეფანწმინდაში მცხოვრები ვასილ გრიგოლის ძე ეფხომვილი.

სალომე, დაიბადა 3 ივნისს, მოინათლა 10 ივნისს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები როსტომ ციცის ძე ძუკაევი და სალომე ბაზირის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო უხათს მცხოვრები მათე დუდას ძე თუაევი.

სალომე, დაიბადა 13 ივნისს, მოინათლა 22 ივნისს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ივანე ბიციკოს ძე თუაევი და ეფემია ძაქეს ასული. მიმრქმელი – სოფელ სტეფანწმინდაში მცხოვრები ვასილ გრიგოლის ძე ეფხომვილი.

სიმონ, დაიბადა 5 ივლისს, მოინათლა 18 ივლისს. მშობლები: სოფელ ბიდარას მცხოვრები თათა (sic) ბიციკოს ძე ბოცოევი და დედუ ცორეს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები უცი (sic) გალის ძე აბაევი.

ალექსანდრე, დაიბადა 9 ივლისს, მოინათლა 23 ივლისს. მშობლები: სოფელ მნას მცხოვრები კოხე (sic) ყანიზის ძე ქოქაევი და ყაზმიდე ალხასტის ასული. მიმრქმელი – კობის ეკლესიის მთავარდიაკონი ზაქარია ივანეს ძე კობაიძე.

მარიამ, დაიბადა 2 აგვისტოს, მოინათლა 14 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები გისი ყაზის ძე ბიდიხოვი და თოთრიძან (sic) ასლამბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები ყასპოლ გიორგის ძე ჯახიევი.

მიხეილ, დაიბადა 8 აგვისტოს, მოინათლა 21 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები ყასპოლათ ლექსის (sic) ძე ღუდიევი და **ფეფელო** (sic) მირზაბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოყავში მცხოვრები აგათი აბრაგის ძე აბაევი.

თევდორე, დაიბადა 11 სექტემბერს, მოინათლა 19 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები ფრი (sic) ყაზის ძე ბიდიხოვი და **დარეჯან** ელმირზას ასული. მიმრქმელი – სოფელ აგაიანთს მცხოვრები ბიგა (sic) კულუხას ძე აგაევი.

მართა, დაიბადა 13 სექტემბერს, მოინათლა 23 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები ანდრეყო (sic) თალას ძე ღუდიევი და გოსე ბართას ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები თუმარიყო ყაზის ძე ბიდიხოვი.

ვასილი, დაიბადა 3 ოქტომბერს, მოინათლა 13 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები გრიგოლ ბიციკოს ძე თუაევი და **თამარ** ბიტეს ასული. მიმრქმელი – სოფელ სტეფანწმინდაში მცხოვრები იოსებ გრიგოლის ძე ეფხომვილი.

სალომე, დაიბადა 1 ნოემბერს, მოინათლა 12 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ბაზილანს მცხოვრები ივანე იკოს ძე ყარაევი და **დარეჯან** ბიზარუყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ქეთირს მცხოვრები ცოფან ხუფას ძე ქოქაევი.

გრიგოლ, დაიბადა 11 ნოემბერს, მოინათლა 19 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ბაზილანს მცხოვრები სტეფან ციცოს ძე აბაევი და გიზი მაციკას ასული. მიმრქმელი – ქალაქ ღუშეთში მცხოვრებელი, კობში კოვაჭრე გრიგოლ თათუას ძე ონოზოვი (sic).

გაიანე, დაიბადა 2 დეკემბერს, მოინათლა 14 დეკემბერს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები იგუტარი (sic) გალის ძე აბაევი და სახარ დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ელძარიყო დოჭეს ძე ყარაევი.

გიორგი, დაიბადა 6 დეკემბერს, მოინათლა 21 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ნოყავს მცხოვრები გათი (sic) აბრაგის ძე აბაევი და სალომე გაბისას ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოყავში მცხოვრები გიბიცაი (sic) ასჭეს ძე ძილიევი (sic).

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ ბიდარას მცხოვრები ვასილი ბიცკოს ძე ბიდაროვი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, ღუშეთის უეზდის, ღუდის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ერეთოს მცხოვრები ბიცკო რუბაევის ასული ნინო. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ სივრავთას (sic) მცხოვრები ქუძი იდას ძე ყალაგოვი (sic); სასძლოს მხრივ, სოფელ ერეთოში მცხოვრები თასპიზარ (sic) თეფსას ძე რუბაევი. ჯვარი დაიწერეს 18 ივლისს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები ისმაილ იასეს ძე ქოცოევი. 55 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფს მცხოვრები ქო (sic) ყალაგოვის ასული მართა. 35 წლის. პირველი ქორწინება(sic). თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ვასილი ყამბელათის ძე თაკაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ბასა დოღეთჯერის ძე ქასაევი. ჯვარი დაიწერეს 20 ივლისს.

სასიძო, სოფელ სნოში მცხოვრები ივანე ჯარიას ძე ფირანიშვილი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები სიმონ ღუდიევის ასული **თამარ**. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ სნოს მცხოვრები ივანე იაკობის ძე ფირანიშვილი, სასძლოს მხრივ, სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები წიწი (sic) ლექსის (sic) ძე ღუდიევი. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ბაზილანში მცხოვრები თოთრიბეგ კალავას ძე გაგიევი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები ნოგა (sic) თაკაევის ასული ზარყიზ. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ბაზილანში მცხოვრები დანბოლათ ძახის ძე ზაჩიევი, სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები გიცკა მაისურის (sic) ძე თაკაევი. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები აფაკო ღუდას ძე დანთიევი. 27 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენში მცხოვრები ყუდაბერდ ქოქაევის ასული ეკატირინე (sic). 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ცოცოლთაში მცხოვრები ალექსანდრე ბიცკოს ძე დანთიევი. სასძლოს მხრივ, სოფელ ბაზილანში მცხოვრები კოფი (sic) ძახის ძე ზაჩიევი. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ აბანოში მცხოვრები თოთიკ ყანიზის ძე საპიევი. 27 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ მნაში მცხოვრები ყუდა გუთონოვის (sic) ასული **ნინო**. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ აბანოში მცხოვრები გაუს ცორეს ძე ღუდიევი. სასძლოს მხრივ, სოფელ მნაში მცხოვრები ალექსანდრე ბაქას ძე ქასაევი. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ქეთირს მცხოვრები დიმიტრი ელმირზას ძე ქოქაევი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო უხათს მცხოვრები ბერდ (sic) თუავეის ასული სალომე. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ქეთირს მცხოვრები ისმელ ღუდას ძე ქოქაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ ზემო უხათს მცხოვრები ყასპოლათ ღუდას ძე თუაევი. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ქვემო უხათს მცხოვრები დავით ღუდას ძე სამიევი(?). 24 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ მნაში მცხოვრები ისმაილ ქასოვეის ასული **თამარ**. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი, სასიძოს მხრივ, სოფელ ქვემო უხათში მცხოვრები აბე ვაზის(sic) ძე ცაბოლოვი, სასძლოს მხრივ, სოფელ მნაში მცხოვრები გულუ ივანეს ძე ქოქაევი. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ მნაში მცხოვრები ალექსი ყანიზის ძე ქოქაევი. 38 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო უხათში მცხოვრები თოთრაძ ქობულაშვილის (sic) ასული სალომე. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ მნაში მცხოვრები გლახა დოდუთუყოს ძე ქასაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ ზემო უხათში მცხოვრები ძანიყო იულიანის ძე ფარნიევი (sic). ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ზემო ღესს მცხოვრები სტეფან თულუხას ძე ხამიცოვი. 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აგაიანთს მცხოვრები მიხეილ აგაევის ასული მარინე. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ზემო ღესს მცხოვრები აბისალ(sic) ცორეს ძე ხამიცოვი; სასძლოს მხრივ, სოფელ აგაიანთს მცხოვრები ბიმბოლათ გაგის ძე აგაევი. ჯვარი დაიწერეს 14 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

დაიკრძალნენ „თავიანთ განწესებულ ძველებურს სასაფლაოსა შინა“.

კობში მცხოვრები ფარსა შავლოხის ძე ქასაევი გარდაიცვალა 13 მარტს, დაიმარხა 15 მარტს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლეკით.

მნაში მცხოვრები ციცო გაგას ძე ყუსოვი (sic) გარდაიცვალა 10 აპრილს, დაიმარხა 12 აპრილს. 100 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობა.

ასტავნოი სალდატი კოსტანტინე ლავიზა ... (sic) – (sic) დაიკრძალა 2 მაისს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ზვავისაგან. დაიკრძალა კობის შტატის ეკლესიის მიცვალებულის სასაფლაოსა შინა.

შავარდენში მცხოვრები დავით ქოქაევის მეუღლე მარიამ შულის ასული. გარდაიცვალა 12 მაისს, დაიმარხა 14 მაისს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკით.

ნოყავში მცხოვრები ვასჟე ძილიევის მეუღლე ქიქა გაჯიას ასული გარდაიცვალა 13 ივნისს, დაიმარხა 15 ივნისს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადით.

მნაში მცხოვრები ალექსი ცაბოლოვის ვაჟი გიორგი გარდაიცვალა 25 ივნისს, დაიმარხა 27 ივნისს. 13 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ზვავისაგან (sic).

შავარდენში მცხოვრები დავით ბაბეშვილის მეუღლე ქიქა ყაზის ასული გარდაიცვალა 3 სექტემბერს, დაიმარხა 4 სექტემბერს. 62 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მსჭვლით.

ოქროყანაში მცხოვრები ახლავ გრიგოლის ძე ღუდიევი გარდაიცვალა 5 ოქტომბერს, დაიმარხა 7 ოქტომბერს. 58 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკით.

ზემო ოქროყანაში მცხოვრები წიწი (sic) რუხის ძე ზაჩიევი გარდაიცვალა 5 ოქტომბერს, დაიმარხა 7 ოქტომბერს. 47 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციავ-ცხელებით.

ზემო უხათში მცხოვრები მიტკა თუავეის მეუღლე **ბაბალე** ბეპიზარის ასული გარდაიცვალა 26 ოქტომბერს, დაიმარხა 28 ოქტომბერს. 21 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ლოგინობაზედ.

კობში მცხოვრები ნოგა ყამბელის ძე თაკავეი გარდაიცვალა 1 ნოემბერს, დაიმარხა 3 ნოემბერს. 62 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მსჭვლითა.

კობში მცხოვრები ვანკა ბიგანოვის მამიდა **ხორეშან** გიბილას ასული გარდაიცვალა 17 ნოემბერს, დაიმარხა 19 ნოემბერს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მსჭვლითა.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №47

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1871 წელი**

ბლადოჩინი მღვდელი გიორგი იტონიევი [იტონიშვილი - ნ.შ.], მთავარდიაკონი ზაქარია კობაიძე

დაბადებულთათვის

ნინო, დაიბადა 2 იანვარს, მოინათლა 8 იანვარს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები **ერისთავ** (sic) ძიბას (sic) ძე თუავეი და ანასტასია საბანის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ყუდე ქიფილის ძე თუავეი.

მარიამ, დაიბადა 10 იანვარს, მოინათლა 21 იანვარს. მშობლები: სოფელ ზემო უხათში მცხოვრები მაშინკა (sic) ქუცარის ძე ქობულოვი და ელისაბედ ციციას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები ივანე გისოს ძე ჯახიევი.

ალექსი, დაიბადა 18 იანვარს, მოინათლა 30 იანვარს. მშობლები: სოფელ ზემო უხათში მცხოვრები გაგი ბესლანის ძე ქობულოვი და სალომე სოლომანის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო უხათში მცხოვრები გიორგი ყირდეს ძე სალბიევი.

ივანე, დაიბადა 4 თებერვალს, მოინათლა 17 თებერვალს. მშობლები: სოფელ ნოყავში მცხოვრები ციბო აბრამის ძე აბავეი და გოსე სალვას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები ზაურბეგ კოფის ძე ზაჩიევი.

გიორგი, დაიბადა 12 თებერვალს, მოინათლა 23 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები აგო (sic) მიგალის (sic) ძე აბავეი და ათერა ძანგას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები ყასფოლ გისოს ძე ჯახავეი.

მარიამ, დაიბადა 14 თებერვალს, მოინათლა 26 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები **დავით გლახას** ძე აბავეი და მარიამ ელბიზდის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები ყირიმ გისოს ძე ჯახიევი.

გიორგი, დაიბადა 17 თებერვალს, მოინათლა 27 თებერვალს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ენალდიყო ჯუტარის (sic) ძე ღუდიევი და დარია დიდოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები თოთო გიბილის ძე ძაკავეი.

გიორგი, დაიბადა 2 მარტს, მოინათლა 9 მარტს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები მოსე **წიწილიას** (sic) ძე ზაჩიევი და გიგიცა ალხასტის ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოყავში მცხოვრები გამო აბრაგის ძე აბავეი.

დიმიტრი, დაიბადა 6 მარტს, მოინათლა 13 მარტს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ყუდე შიოს ძე გუთონოვი (sic) და **თამარ** ქარელის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბიდარაში მცხოვრები დიმიტრ გისოს ძე ბიდაროვი.

ელისაბედ, დაიბადა 8 მარტს, მოინათლა 19 მარტს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ელძარიყო ცორეს ძე ღუდიევი და მარიამ ცორეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოყავში მცხოვრები ბერდიც (sic) მირზაბეგის ძე აბავეი.

თევდორე, დაიბადა 3 აპრილს, მოინათლა 11 აპრილს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები ალექსი ბითეს ძე ყარაევი (sic) და გუთაზ ძამაბეგის (sic) ასული. მიმრქმელი – კურსკის ლუბერნიის ხატეჟის (sic) ქალაქში მცხოვრები, კობში მოვაჭრე თევდორე ანდრიას ძე ევლილევსკი.

ბაბაღე (sic), დაიბადა 12 აპრილს, მოინათლა 21 აპრილს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები დუდა ძახის ძე ზაჩიევი და ძუათხან ბარასპის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები სიმონ გალის ძე აბაევი.

პელაგია, დაიბადა 4 მაისს, მოინათლა 23 მაისს. მშობლები: კობის სამრევლოს მთავარდიაკონი ზაქარია ივანეს ძე კობაიძე და სოფიო ბესარიონის ასული. მიმრქმელი – კობის ეკლესიის ბლადოჩინი მღვდელი გიორგი ივანეს ძე იტონიევი. ნათლობის საიდუმლო ჩაატარა სიონის პრიხოდის მღვდელმა ზაქარია კარიაულმა.

ვასილი, დაიბადა 14 მაისს, მოინათლა 27 მაისს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები ქოკა (sic) ისმელის ძე აბაევი და ნალმის ძახოს ასული. მიმრქმელი – ღუმეთში მცხოვრები და კობში მოვაჭრე გრიგოლ თათუას ძე ონეზოვი.

მარიამ, დაიბადა 20 მაისს, მოინათლა 29 მაისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ისმელ ისაიას ძე ქოცოევი და მართა ქოს (sic) ასული. მიმრქმელი – კობის ბლადოჩინი მღვდლის მეუღლე თინათინ გიორგის ასული. ნათლობის საიდუმლო აღასრულა აბანოს პრიხოდის მღვდელმა გაბრიელ ღუდიევმა.

ნინო, დაიბადა 2 ივნისს, მოინათლა 8 ივნისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ივანე ბატრადის ძე ბიგანოვი (sic) და ნალმის ქუცრის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები უცი (sic) გალის ძე აბაევი.

მაგდალინა, დაიბადა 4 ივნისს, მოინათლა 10 ივნისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ანდრო რაძაბას ძე მისოსტოვი (sic) და დისო ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – კურსკის ლუბერნიის ხვატეჟის (sic) ქალაქში მცხოვრებელი, კობში მოვაჭრე თევდორე ანდრიას ძე ევლილევსკი.

ნინო, დაიბადა 8 ივნისს, მოინათლა 15 ივნისს. მშობლები: სოფელ ბიდარაში მცხოვრები მიტკა გისოს ძე ბიდაროვი და ელისაბედ საბანის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ალექსი ელბიზდის ძე მისისტოვი.

სალომე¹, დაიბადა 3 ივლისს, მოინათლა 11 ივლისს. მშობლები: სოფელ ბიდარაში მცხოვრები მიტკა გისოს ძე ბიდაროვი და ელისაბედ საბანის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ასჭე ბასეს ძე ქასაევი.

მარიამ, დაიბადა 18 ივლისს, მოინათლა 28 ივლისს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ყუდაბერდ დავითის ძე ქოქაევი და ნალყიზ **ლევანის** ასული. მიმრქმელი – ქალაქ ღუმეთში მცხოვრები, კობში მოვაჭრე იოსებ ონეზის ძე აზიზოვი.

გრიგოლი, დაიბადა 21 ივლისს, მოინათლა 30 ივლისს. მშობლები: სოფელ ნოყავში მცხოვრები ბერილიცა (sic) აბათას ძე აგაევი და უკანონო ცოლი ამისი მართა მამსირის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები ელიზბარ ისმელის ძე აბაევი.

ნინო, დაიბადა 2 აგვისტოს, მოინათლა 13 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ნოყავში მცხოვრები ძანბელ გაგის ძე აგაევი და საოთ ბირსის ასული. მიმრქმელი – სიონის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ფხელშეში მცხოვრები მამუკა ბაის ძე ელოშვილი (sic).

დარია, დაიბადა 7 აგვისტოს, მოინათლა 16 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ზემო უხათში

¹ ნინო და სალომე დები უნდა იყვნენ, სხვადასხვა წლებში დაბადებულები. ჩანს, გადამწერს შეცდომა დაუშვია და მათი დაბადების წლები არ მიუთითებია.

მცხოვრები თოთი სოსთეს (sic) ძე თუავეი და ჩეთო ყაზბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო უხათში მცხოვრები ივანე გოჭიას (sic) ძე თუავეი.

ივანე, დაიბადა 1 სექტემბერს, მოინათლა 13 სექტემბერს. მშობლები: სოფელ თოღგოთში მცხოვრები ციცკა ბეპიზარის ძე თავავეი და ანნა სხანჯერის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ალექსანდრე ბერიას (sic) ძე ყარავეი.

მარიამ, დაიბადა 13 სექტემბერს, მოინათლა 23 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები თევდორე ყირდის ძე აბავეი და სალომე გამასირის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ივანე ბიციკოს ძე თუავეი.

იაკობი, დაიბადა 5 ოქტომბერს, მოინათლა 18 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ელდარიყო დოჭეს ძე ყარავეი და ელისაბედ გობის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები იორდანე დოყოს ძე თავავეი.

მიხეილ, დაიბადა 14 ოქტომბერს, მოინათლა 30 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ძანბელათ ძახის ძე ზაჩიევი და **ნინო** ძოთრადის ასული. მიმრქმელი – სოფელ ანანურში მცხოვრები იაგორ ავეტიქას ძე ანდრიევი (sic).

ნინო, დაიბადა 4 ნოემბერს, მოინათლა 14 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ყულე ქიფილის ძე თუავეი და მართა მახამათის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ივანე ბიციკოს ძე თუავეი.

ზაქარია, დაიბადა 8 ნოემბერს, მოინათლა 25 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ზემო უხათში მცხოვრები მათე დუდას ძე თუავეი და **ნინო** გუძის ასული. მიმრქმელი – დუშეთში მცხოვრები ზაქარ სარქისის ძე პეტრუშოვი.

კოსტანტინე, დაიბადა 3 დეკემბერს, მოინათლა 12 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ზემო უხათში მცხოვრები ადამა თეიმურაზის ძე ბათავეი და ზაალ ნაფის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო უხათში მცხოვრები ივანე გოგას (sic) ძე თუავეი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები ათანასი აბელის ძე ქოცოვეი (sic). 50 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ილია მაყიევის (sic) ასული **ბაბალე**. 40 წლის. მეორე ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ფიდი (sic) დოჭეს ძე ყარავეი (sic); სასძლოს მხრივ, სოფელ ბაზილანში მცხოვრები ივანე ციცოს ძე აბავეი. ჯვარი დაიწერეს 18 ივნისს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები ბესარიონ ქიფილის ძე თუავეი. 45 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, დუშეთის მაზრის დუდის სამრევლოს სოფელ ქუმლისციხეში მცხოვრები მახამათ სოყუროვის ასული სალომე. 35 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ციცკა გობის ძე სალბიევი; სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები იაგორ ნოგას ძე თავავეი. ჯვარი დაიწერეს 18 ივლისს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები ათანასე ბესეს ძე ყარავეი. 34 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, დუდის სამრევლოს სოფელ განისში მცხოვრები ნინი (sic) გადიევის (sic) ასული მაგდანი (sic). 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები თედო ელბიზდის ძე მისოსტოვი; სასძლოს მხრივ, სოფელ ბაზილანში მცხოვრები ყირიმ გისოს ძე ჯახავეი. ჯვარი დაიწერეს 21 ივლისს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები **ერისთავა** (sic) ძიბას (sic) ძე თუავეი. 40 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აბანოში მცხოვრები საბანა ცაბოლოვის ასული ანასტასია. 30 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ბაზილანში მცხოვრები ივანე ციცის ძე აბავეი; სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ვასილი გისოს ძე სალბიევი. ჯვარი დაიწერეს 25 ივლისს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები ივანე ბიციკოს ძე თუავეი. 40 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ნოყავში მცხოვრები ასე ქასავეის ასული ეფემია. 35 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, ღუდის სამრევლოს სოფელ ქუმლისციხეში მცხოვრები გოგა ბიჭილას ძე ცალაგოვი; სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები გიორგი ძიბას (sic) ძე თუავეი. ჯვარი დაიწერეს 27 ივლისს.

სასიძო, სოფელ ბაზილანში მცხოვრები გიორგი გისოს ძე ძახიევი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები ცომაყა ბიგანოვის ასული სოფიო. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ბაზილანში მცხოვრები ზაბარ ისმელის ძე აბაევი; სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები გიორგი ძიბას ძე თუავეი. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

დაიკრძალნენ „თავიანთ განწესებულს სასაფლაოსა შინა“.

მნაში მცხოვრები ალექსანდრე ქასავეის მეუღლე მარინე ელმირზას ასული გარდაიცვალა 2 იანვარს, დაიმარხა 4 იანვარს. 21 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექით.

კობში მცხოვრები ბიციკო თუავეის მეუღლე ამმა გაგას ასული გარდაიცვალა 7 იანვარს, დაიმარხა 9 იანვარს. 63 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მსჭვლით.

კობში მცხოვრები გისო თუავეის მეუღლე ფათიმე ბორუყოს ასული გარდაიცვალა 26 აპრილს, დაიმარხა 28 აპრილს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

უხათში მცხოვრები თოთი თუავეის ასული დარია გარდაიცვალა 16 ივლისს, დაიმარხა 18 ივლისს. 5 თვის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ზემო უხათში მცხოვრები მათე თუავეის ძე ზაქარია გარდაიცვალა 7 დეკემბერს, დაიმარხა 9 დეკემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ზემო უხათში მცხოვრები ადამა ბათაევის ძე კოსტანტინე გარდაიცვალა 9 დეკემბერს, დაიმარხა 11 დეკემბერს. 6 თვის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშით.

თოლგოთში მცხოვრები ციცკა თავავეის ძე ივანე გარდაიცვალა 23 დეკემბერს, დაიმარხა 24 დეკემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

უხათში მცხოვრები დოლეთხან დანთიევის მეუღლე ბაბაღე ფარნაზის ასული გარდაიცვალა 26 დეკემბერს, დაიმარხა 28 დეკემბერს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

კობში მცხოვრები ივანე ბიგანოვის და სასა (sic) გარდაიცვალა 28 დეკემბერს, დაიმარხა 30 დეკემბერს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექით.

აგაიანთას (sic) მცხოვრები გოგა ნათრაის ძე აგაევი გარდაიცვალა 29 დეკემბერს, დაიმარხა 31 დეკემბერს. 63 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №48

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1872 წელი**

ბლადოჩინი მღვდელი გიორგი იტონიევი [ითონიშვილი - ნ.შ.], კობის პრიხოდის მთავარდიაკონი ზაქარია კობაიძე

დაბადებულთათვის

ნინო, დაიბადა 2 იანვარს, მოინათლა 12 იანვარს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ანდრიყო ყავდინის ძე თავაევი და უკანონო ცოლი **თამარ** ოსას (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები ზნაურ ფარნაზის ძე ქობულოვი.

ალექსი, დაიბადა 6 იანვარს, მოინათლა 24 იანვარს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები **იაგორ** ნოგას ძე თავაევი და **თამარ** ქუდაგას (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ბიდარაში მცხოვრები კუზმა იდას ძე ყალაგოვი (sic).

ალექსი, დაიბადა 14 იანვარს, მოინათლა 30 იანვარს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები **გლახა** ივანეს ძე ძუკაევი და მაგდან დიდოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ციცი ღუდიევი.

სიმონი, დაიბადა 3 თებერვალს, მოინათლა 18 თებერვალს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები მარკიც (sic) ჯიმშერის ძე ბიდიხოვი და **ნინო ლევანის** ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ყუდე ქიფილის ძე თუაევი.

ილია, დაიბადა 10 თებერვალს, მოინათლა 21 თებერვალს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები რამონ ქუძის ძე ჯიკაევი და ტასია ყუბას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები გიორგი გისოს ძე ძახიევი.

მაგდან, დაიბადა 2 მარტს, მოინათლა 17 მარტს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ალექსანდრე ბესეს ძე ყარაევი და ყიზლარ (sic) ალიმირზას ასული. მიმრქმელი – ქალაქ ღუშეთში მცხოვრები, კობში მოვაჭრე არუთინ სარქისის ძე ვართანოვი.

ივანე, დაიბადა 11 მარტს, მოინათლა 26 მარტს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ბადი ბესეს ძე ყარაევი და მაგდან **ნინიას** ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები **გლახა** გაძას ძე აბაევი.

აგგეი (sic), დაიბადა 28 მარტს, მოინათლა 6 აპრილს. მშობლები: ბლადოჩინი კობის მღვდელი გიორგი ივანეს ძე იტონიევი [იტონიშვილი] და თინათინ გიორგის ასული. მიმრქმელი – №77 ტენდიცის პეხოტნის პოლკის შტაფს-კაპიტანი სერგეი ალექსანდრეს ძე რაჟანსკი. საიდუმლო ნათლობა აღასრულა სიონის პრიხოდის მღვდელმა ზაქარია კარიაულმა.

მარიამი, დაიბადა 4 აპრილს, მოინათლა 17 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ციცკა რაჯაბას ძე მისისტოვი და პელო საბანის ასული. მიმრქმელი – ღუშეთის უეზდის სოფელ იორში მცხოვრები, კობში მოვაჭრე გლახა ლაზარეს ძე ქურციკაძე.

ნინო, დაიბადა 14 აპრილს, მოინათლა 30 აპრილს. მშობლები: სოფელ ნოყავში მცხოვრები გიბიცა ასჭეს ძე ძილიევი და მარინე ძახოს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები უცი (sic) გალის ძე აბაევი.

ელისაბედი, დაიბადა 6 მაისს, მოინათლა 14 მაისს. მშობლები: სოფელ ნოყავში მცხოვრები ბადუ თიგეს ძე ძილიევი (sic) და სოფიო იდას ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოყავში მცხოვრები თემირ გაბისის ძე საბიევი.

სპირიდონი, დაიბადა 12 მაისს, მოინათლა 25 მაისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები იორდანე ვაზბის ძე ბათაევი და **კეკე** სოსთეს ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის სოფელ ედისში მცხოვრები გოლა (sic) თავჩეს ძე ძუკაევი.

დიმიტრი, დაიბადა 18 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები გისო გაითუგოს ძე ბათაევი და უკანონო ცოლი ჩეთყ (sic) ზაზას ასული. მიმრქმელი – ღუშეთის უეზდის სოფელ ჩილოიანთს (sic) მცხოვრები მალხაზ პეტრეს ძე გურწიოვი (sic).

ნატალია, დაიბადა 6 ივნისს, მოინათლა 17 ივნისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები როსტომ ციცოს ძე ძუკაევი და გოსე ბაზირას ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები **ციცკა** თაიმურაზის ძე ბათაევი.

სოლომან (sic), დაიბადა 10 ივნისს, მოინათლა 25 ივნისს. მშობლები: სოფელ ნოყავში მცხოვრები ღუდარ თიგეს ძე ძილიევი და ცამყუდ საფარის ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოყავში მცხოვრები გათი აბრაგის ძე აბაევი.

დიმიტრი, დაიბადა 6 ივლისს, მოინათლა 20 ივლისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ბერდ სოსთეს ძე თავაევი და მართა გისოს ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელ პავლეურში მცხოვრები მარმაზან ბეწინას ძე როსტიაშვილი.

სოფიო, დაიბადა 12 ივლისს, მოინათლა 23 ივლისს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ყუბა უმარის ძე ცაბოლოვი და ელისაბედ რაფიელის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები ელიზბარ ისმელის ძე აბაევი.

ალექსანდრე, დაიბადა 17 ივლისს, მოინათლა 30 ივლისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ალექსანდრე თუზას ძე სალბიევი და ელისაბედ ძივის (sic) ასული. მიმრქმელი – კობის ბლალოჩინი მღვდელი გიორგი ივანეს ძე იტონიევი [ითონიშვილი].¹

გრიგოლი, დაიბადა 3 აგვისტოს, მოინათლა 14 აგვისტოს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები დავით თოთრაძის ძე ქობულოვი და თოთრი მანხათის ასული. მიმრქმელი – ქალაქ დუშეთის მცხოვრები, კობში მოვაჭრე გრიგოლ დავითის ძე ოხონოზოვი.

ანტონი, დაიბადა 9 აგვისტოს, მოინათლა 28 აგვისტოს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ალექსი უმარის ძე ცაბოლოვი და ელისაბედ ზოზრიყოს ასული. მიმრქმელი – კობის ეკლესიის მთავარდიაკონი ზაქარია ივანეს ძე კობაიძე.

დავით, დაიბადა 14 აგვისტოს, მოინათლა 30 აგვისტოს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ანდრია ყავდინის ძე თავაევი და მართა ოსას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები აბე დუდას ძე ცაბოლოვი.

ადამი, დაიბადა 5 სექტემბერს, მოინათლა 15 სექტემბერს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები სტეფანე დავითის ძე ცაბოლოვი და **თამარ** ანდრიას ასული. მიმრქმელი – სოფელ შავარდენში მცხოვრები ივანე გამას ძე ქოქაევი.

სალომე, დაიბადა 11 სექტემბერს, მოინათლა 23 სექტემბერს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ცენგ (sic) ურყანის ძე ქოქაევი და ცოფრი ხუცას ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები ნიკოლოზ გრიგოლის ძე შუდიევი.

ქრისტინე, დაიბადა 3 ოქტომბერს, მოინათლა 14 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები დავით ბაქას ძე ქასაევი და **თამარ** ყოს (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები ყუბა უმარის ძე ცაბოლოვი.

დიმიტრი, დაიბადა 8 ოქტომბერს, მოინათლა 19 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები იოსებ სიას ძე ზადაგოვი და ნაღყიზ სოზრის ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები მიხეილ დუდას ძე დუდიევი.

მარინე, დაიბადა 17 ოქტომბერს, მოინათლა 30 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ივანე ბარასპის ძე ქოქაევი და გიგა ენალდის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები **დათა** უმარას ძე ცაბოლოვი.

რამონ (sic), დაიბადა 7 ნოემბერს, მოინათლა 14 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები დეტე (sic) **ბიჭის** ძე ზადაგოვი და გიგო დიგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები მიხეილ დუდას ძე დუდიევი.

გიორგი, დაიბადა 10 ნოემბერს, მოინათლა 24 ნოემბერს. მშობლები: სოფელ აგაიანთს მცხოვრები ბიგა კულუხას ძე აგაევი და მარიამ გაბისას ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის ღუდის ეკლესიის სამრევლოს სოფელს ურმისში (sic) მცხოვრები მოსე გიორგის ძე ქოჩოროვი (sic).

¹ ნათლობა ვინ ჩაატარა არ წერია.

მიხეილ, დაიბადა 23 სექტემბერს, მოინათლა 10 დეკემბერს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები აბე (sic) ვაზის (sic) ძე ცაბოლოვი და უკანონო ცოლი მართა ბიტეს ასული. მიმრქმელი – ქ. ღუშეთში მცხოვრები, კობში მოვაჭრე გრიგოლ დავითის ძე ოხონოზოვი.

ელისაბედი, დაიბადა 4 დეკემბერს, მოინათლა 18 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ზემო უხათში მცხოვრები ციცი სოსთეს ძე თუავეი და უკანონო ცოლი **ნინო** მურათის ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები გრიგოლ ფრანგას ძე ურთავეი.

გიორგი, დაიბადა 12 დეკემბერს, მოინათლა 26 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ფრი (sic) ყაზის ძე ბილიხოვი და **დარეჯან** ელმირზას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ივანე ბიცეკოს ძე თავავეი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ ზემო უხათში მცხოვრები **ლევან** თოთრაძის ძე ქობულოვი (sic). 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ მნაში მცხოვრები **გლახა** დოღეთუყოს ძის ქასავეის ასული ნატალია. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ზემო უხათში მცხოვრები გიორგი ყირღის ძე საბიევი; სასძლოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები იაგორ ბერდის ძე ქოქავეი. ჯვარი დაიწერეს 18 თებერვალს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები ძახო ბეჟანის ძე ქოქავეი. 27 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, გორის უეზდის ქალაქას სამრევლოს სოფელ ერმანში მცხოვრები ბაშათ (sic) თიბილოვის ასული დარეჯან. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები **გლახა** გაძას ძე აბავეი; სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები თედო ელბიზდის ძე მისისტოვი. ჯვარი დაიწერეს 8 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები კოსტანტინე მირზაბეგის ძე ღუდიევი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ბაზილანში მცხოვრები ალექსი ყარავეის ასული ელისაბედი. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები მახბოლა (sic) გაგის ძე აგავეი; სასძლოს მხრივ, სოფელ ბაზილანში მცხოვრები ციცი (sic) გრიგოლის ძე აბავეი. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები გიორგი ბადურის ძე ღუდიევი. 26 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენში მცხოვრები რაფიელ საბიევის ასული ანა. 25 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ციცი ალექსის ძე ღუდიევი; სასძლოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები ყარას რაფიელის ძე საპიევი. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ზემო დესში მცხოვრები სოლომან (sic) რევაზის ძე ყაზიევი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენში მცხოვრები ალექსანდრე ქოქავეის ასული¹. 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ზემო დესში მცხოვრები ბირთან (sic) სავქუძის ძე სავძაწოვი (sic); სასძლოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები **იაგორ** ბერდის ძე ქოქავეი. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

ლაიკრძალენ „თავიანთ ძველებურს განწესებულს სასაფლაოსა შინა“.

ოქროყანაში მცხოვრები გრიგოლ ღუდიევის მეუღლე **თამარ** გიორგის ასული გარდაიცვალა 16 იანვარს, დაიმარხა 18 იანვარს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მსჭვლითა.

უხათში მცხოვრები ივანე გაგას ძე ბათავეი გარდაიცვალა 25 იანვარს, დაიმარხა 27 იანვარს. 63 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნითა.

¹ სასძლოს სახელი დოკუმენტში გამორჩენილია.

ბაზილანში მცხოვრები ციცო აბაევის მეუღლე **ქეთევან** ყოს (sic) ასული გარდაიცვალა 27 იანვარს, დაიმარხა 30 იანვარს. 62 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მსჭვლითა.

ნოყავში მცხოვრები ბიზდე (sic) გაგის ძე ოსიევი (sic) გარდაიცვალა 1 თებერვალს, დაიმარხა 3 თებერვალს. 120 წლის (sic). გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

კობში მცხოვრები ალექსი ქასაევის მეუღლე მარიამ გიბილას ასული გარდაიცვალა 3 თებერვალს, დაიმარხა 5 თებერვალს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციავ-ცხელებით.

კობში მცხოვრები ივანე მაყის (sic) ძე მისისტოვი გარდაიცვალა 11 თებერვალს, დაიმარხა 13 თებერვალს. 100 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

უხათში მცხოვრები ბერდ თუაევის დედა ბორიონ (sic) ელძარიყოს ასული გარდაიცვალა 23 თებერვალს, დაიმარხა 25 თებერვალს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი -სიმსივნით.

შავარდენში მცხოვრები ჯახო ქოქაევის დედა მარიამ გალავას (sic) ასული გარდაიცვალა 22 მარტს, დაიმარხა 24 მარტს. 98 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ბაზილანში მცხოვრები დიმიტრი ძახის ძე ზაჩიევი გარდაიცვალა 4 მარტს, დაიმარხა 6 მარტს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქარებითა.

ნოყავში მცხოვრები გაბის გაბას ძე სამიევი გარდაიცვალა 16 მაისს, დაიმარხა 18 მაისს. 58 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მსჭვლითა.

უხათში მცხოვრები მათე თავაევის მამა დუდა მარსაგის ძე გარდაიცვალა 14 ივნისს, დაიმარხა 16 ივნისს. 62 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციავ-ცხელებითა.

კობში მცხოვრები გიორგი (ცაცა) თასოს ძე ქოქაევი გარდაიცვალა 16 ივნისს, დაიმარხა 19 ივნისს. 26 წლის. გარდაცვალების მიზეზი – კაცმა მოკლა.

ნოყავში მცხოვრები ყასპოლ გაბისის ძე სამიევი გარდაიცვალა 30 აგვისტოს, დაიმარხა 2 სექტემბერს. 21 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციავ-ცხელებით.

ბაზილანში მცხოვრები ადიგე გიორგის ძე გულიოვი (sic) გარდაიცვალა 28 სექტემბერს, დაიმარხა 30 სექტემბერს. 62 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციავ-ცხელებით.

ოქროყანაში მცხოვრები გაბრიელ გისოს ძე ზაღაგოვი გარდაიცვალა 23 ოქტომბერს, დაიმარხა 25 ოქტომბერს. 28 წლის. გარდაცვალების მიზეზი – შირიმითა.

უხათში მცხოვრები თოთრი თუაევის ასული მარიამი გარდაიცვალა 18 ნოემბერს, დაიმარხა 21 ნოემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებითა.

ბიდარაში მცხოვრები დიმიტრი იგისოს (sic) ძე ბიდაროვი გარდაიცვალა 14 დეკემბერს, დაიმარხა 16 დეკემბერს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გაციებით.

ბაზილანში მცხოვრები ალექსი ყარაევის დედა გოტონ (sic) ზათის ასული გარდაიცვალა 14 დეკემბერს, დაიმარხა 16 დეკემბერს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკითა.

ოქროყანაში მცხოვრები მოსე ქოქაევის დედის ნაცვალი **ნინო** სიას ასული გარდაიცვალა 25 დეკემბერს, დაიმარხა 27 დეკემბერს. 75 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩეხოტკითა.

ბაზილანში მცხოვრები გაბრიელ ზათის ძე აბაევი გარდაიცვალა 29 დეკემბერს, დაიმარხა 31 დეკემბერს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრივ სიკვდილითა (ცხენმა მოკლა) (sic).

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №49

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1873 წელი**

**ბლადოჩინი მღვდელი გიორგი იტონიევი [იტონიშვილი - ნ.შ.], მთავარდიაკონი ზაქარია
კობაიძე**

დაბადებულთათვის

ნატალია, დაიბადა 2 იანვარს, მოინათლა 10 იანვარს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები **ლევან** რუხის ძე გუდიევი და **დან** (sic) ძახოტის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები აიყოს (sic) გისოს ძე ძახაიევი (sic).

ელისაბედი, დაიბადა 4 იანვარს, მოინათლა 11 იანვარს. მშობლები: სოფელ თოღგოთში მცხოვრები თეკო აიდაროვი და ბარბარე დოყას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები **აზნაურ** ილანას ძე ბულაცოვი.

ვლადიმერი, დაიბადა 6 იანვარს, მოინათლა 12 იანვარს. მშობლები: სოფელ ბიდარაში მცხოვრები მიტკა გისოს ძე ბიდაროვი და ელისაბედ საბას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ასჭე (sic) ბასას ძე ქასაევი.

გაიანე და გიორგი (ტყუპები), დაიბადნენ 10 იანვარს, მოინათლნენ 15 იანვარს. მშობლები: სოფელ ნოყავში მცხოვრები ყასფოლ გაბისის ძე სამოევი და სოფიო ფირას ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელ არანისში მცხოვრები სოლომონ სოსის ძე ჭინჭარაიშვილი.

სალომე, დაიბადა 15 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ციკო გიბის ძე სალბიევი და ძიგო ფარნაზის ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები გიორგი ბაადურის ძე გუდიევი.

მარინე, დაიბადა 18 იანვარს, მოინათლა 25 იანვარს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები გაბრიელ გისოს ძე ზადაგოვი და **თამარ** ალექსის ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ვასილ მალზახის ძე არჯინაშვილი (sic).

სოფიო, დაიბადა 25 იანვარს, მოინათლა 30 იანვარს. მშობლები: სოფელ ბიდარაში მცხოვრები გიორგი ბიციკოს ძე ბიდაროვი და **დედუფალ** ცორეს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები უცი გალის ძე აბაევი.

მარიამი, დაიბადა 26 იანვარს, მოინათლა 31 იანვარს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ვანუზ ნანეს ძე ქოქაევი და ელისაბედ თითიკას ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოყავში მცხოვრები სტეფან აბრაგის ძე აბაევი.

მართა, დაიბადა 28 იანვარს, მოინათლა 31 იანვარს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები გრიგოლ ბაპუს ძე ზადაგოვი და ელისაბედ თაფრიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები **გლახა** დოლოთიყოს ძე ქასაევი.

სოლომან, დაიბადა 2 თებერვალს, მოინათლა 6 თებერვალს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები გრიგოლს ბერდას ძე ქოქაევი და **ნინო** ვაზბის ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოყავში მცხოვრები ბიბო გაგის ძე ყარაევი.

ეგნატე, დაიბადა 4 თებერვალს, მოინათლა 10 თებერვალს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ჯინო დახცოს ძე შავლოხოვი და გიგი გიბილას ასული. მიმრქმელი – სოფელ შავარდენში მცხოვრები ალექსი **გლახას** ძე ქოქაევი.

თინათინ, დაიბადა 6 თებერვალს, მოინათლა 11 თებერვალს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ძანბოლ რაფიელის ძე საპიევი და **ნინო** ალექსის ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოყავში მცხოვრები გაუს ილიცის ძე აგაევი.

სოფიო, დაიბადა 8 თებერვალს, მოინათლა 12 თებერვალს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ყასპოლ სავაევის ძე ქოქაევი და **კაკე** ქუცრის ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოყავში მცხოვრები ძანბოლ გაგის ძე აგაიევი.

ივანე, დაიბადა 10 თებერვალს, მოინათლა 14 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ყარამან ბასეს ძე ქასაიევი (sic) და მარინე აზეს ასული. მიმრქმელი – ქალაქ ღუშეთში მცხოვრები კობში მოვაჭრე აბაზ სარქიასას ძე აბაზოვი.

ნინო, დაიბადა 13 თებერვალს, მოინათლა 16 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ვასტე ბიასეს ძე ქასაიევი და ელენე ძიმსერის (sic) ასული. მიმრქმელი – ქალაქ ღუშეთში მცხოვრები აბაზა სარქიასას ძე აბაზოვი.

სოლომონ, დაიბადა 15 თებერვალს, მოინათლა 20 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები გრიგოლ ბიციკას ძე თავაევი და **თამარ** ბიჯეს ასული. მიმრქმელი – სოფელ სტეფანწმინდაში მცხოვრები ვასილი გრიგოლის ძე ეფხომილი.

მართა, დაიბადა 18 თებერვალს, მოინათლა 24 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ძდი (sic) დოჭეს ძე ყარაევი და სალომე ბიციკას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ალექსი დოლაჯერის ძე ქასაევი.

იოსებ, დაიბადა 20 თებერვალს, მოინათლა 26 თებერვალს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ყასპოლ ალექსის ძე ღუდიევი და **ფეფელი** მირზაბეგის ასული. მიმრქმელი – ღუშეთის ქალაქში მცხოვრები კობში მოვაჭრე იოსებ ივანეს ძე აზინოვი (sic).

გაბრიელი, დაიბადა 22 თებერვალს, მოინათლა 28 თებერვალს. მშობლები: სოფელ ნოყავში მცხოვრები ძამბოლ გაგის ძე აგაიევი (sic) და სოფიო ასლამირზას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს პრიხოდის მღვდელი გაბრიელ ასას ძე ღუდიევი.

სალომე, დაიბადა 25 თებერვალს, მოინათლა 28 თებერვალს. მშობლები: კობის სამრევლოს სოფელ მექეთში (sic)¹ მცხოვრები ალექსი ბიბოს ძე რუბაევი და უკანონო ცოლი ბარბარე როსტომის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ალექსი ელბიზდის ძე მისისოვი(sic).

მარიამ, დაიბადა 26 თებერვალს, მოინათლა 28 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ადამ ყუდეს ძე თავაევი და მაგდან დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ელძარიყო დოჭეს ძე ყარაიევი.

ნინო, დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 6 მარტს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ივანე ბიძის ძე ბიგანოვი და დიდი ქუცრის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები **გლახა** გაძას ძე ძატიევი (sic).

დარია, დაიბადა 3 მარტს, მოინათლა 8 მარტს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები **გლახა** გაძას ძე ძატიევი და დოხა ახას (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები გისო მაღხაზას ძე თავაევი.

ანასტასია, დაიბადა 4 მარტს, მოინათლა 10 მარტს. მშობლები: კობის ეკლესიის სამრევლოს მთავარდიაკონი ზაქარია ივანეს ძე კობაიძე და სოფიო ბესარიონის ასული. მიმრქმელი – კობის ეკლესიის ბლაღოჩინი მღვდელი გიორგი ივანეს ძე იტონიევი [ითონიშვილი].²

სალომე, დაიბადა 12 აპრილს, მოინათლა 20 აპრილს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები ნიკალაი გოკას ძე ყარაევი და ეზდეგ (sic) ვასტეს ასული. მიმრქმელი – ღუშეთის ქალაქსა შინა მცხოვრები ისაკ არუთინას ძე ღარიბოვი.

¹ სოფელი შეცდომით არის მიკუთვნებული კობის სამრევლოს, ამჟამად ირიცხება ახალგორის მუნიციპალიტეტში.

² ნათლობის საიდუმლო ვინ აღასრულა არ წერია.

სოფიო, დაიბადა 5 მაისს, მოინათლა 15 მაისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები დოდან გაითიგას (sic) ძე ბათაევი და ჩეთო (sic) ზაზას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები თოთო გიბილას ძე ძაკაევი.

ალექსანდრე, დაიბადა 6 ივნისს, მოინათლა 15 ივნისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ივანე ბიჭიკას ძე თავაევი და ძაქვ (sic) ასას ასული. მიმრქმელი – სოფელ სტეფანწმინდაში მცხოვრები ვასილ გრიგოლის ძე ეფხოშვილი.

ნინო, დაიბადა 16 ივნისს, მოინათლა 22 ივნისს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები გაპო გისოს ძე ძახაევი და მარიამ ბასას ასული. მიმრქმელი – ღუმეთის უეზდის სოფელ იორში მცხოვრები, კობში მოვაჭრე მიხეილ ლაზარეს ძე ქურციკიძე.

სალომე, დაიბადა 4 აგვისტოს, მოინათლა 12 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები ელისბარ ისმეილას ძე აბაევი და დოდე შალის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები ანდრიყო ყავდის ძე თავაევი.

მარიამი, დაიბადა 16 აგვისტოს, მოინათლა 23 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები ალექსანდრე ბითეს ძე ყარაევი და გუთაზ დამბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები თოთო (sic) გიბილას ძე ძაკაევი.

გიორგი, დაიბადა 5 სექტემბერს, მოინათლა 12 სექტემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ძახო ბეჟანას ძე ქოქაევი და **დარეჯან** ბაბეთის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ძიდი დოჯეს ძე ყარაევი.

დიმიტრი, დაიბადა 10 სექტემბერს, მოინათლა 18 სექტემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ფარსა სავლოხის ძე ქასაევი და გუთა დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები აბრამ ბათრადის ძე თავაევი.

ელისაბედი, დაიბადა 26 ოქტომბერს, მოინათლა 31 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ყიბილის ძე ქასაევი¹ და სოფიო ხალდას ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის სოფელ სიბაში მცხოვრები კული (sic) ქოკას ძე ძაღოშვილი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, აბანოს სამრევლოს სოფელ ყარათყავში მცხოვრები ყასპოლ ახმათის ძე ბულაცოვი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, კობის სამრევლოს სოფელ უხათში მცხოვრები ქუცრი თავაევის ასული მარინე. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ყარათყავში მცხოვრები: თაფხარიყო (sic) დოჭეს ძე ბულაცოვი. გაგი ნაფოს ძე ურგიევი(sic), სასძლოს მხრივ, სოფელ უხათში მცხოვრები ყასპოლ დუდას ძე თაყაევი, ბაბინკა (sic) ქუციკას ძე ქობულოვი (sic). ჯვარი დაიწერეს 8 იანვარს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები სვიმონ გაბის ძე სალბიევი. 30 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, ვლადიკავკაზის ოკრუგის სოფელ ხუმალაგში მცხოვრებელი ფარნაზ ბიზიევის ასული ძიგო. 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ძიდი (sic) დოჭეს ძე ყარაევი, ვასჭე ბასას ძე ქასაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ ბაზილანში მცხოვრები ძიგა კაფის ძე ზაჩიევი, მალხაზ რაუბის ძე ქოცაევი. ჯვარი დაიწერეს 8 იანვარს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები იორდანე ეფრემის ძე ქასაევი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, ღუმეთის უეზდის სოფელ ქვემო უხადში (sic) მცხოვრები ყავდინ თუაევის ასული მარინე. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ვასჭე ბასას ძე ქასაევი, ციცკა ეაჯაბას ძე მისისტოვი. სასძლოს მხრივ,

¹ მამის სახელი გამორჩენილია.

სოფელ ქვემო უხადში (sic) მცხოვრები სვიმონ ღუდას ძე სამიევი, გრიგოლ ფრანგის ძე თაყაევი. ჯვარი დაიწერეს 8 იანვარს.

სასიძო, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ვასილი ალექსანდრეს ძე გუდიევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, აბანოს სამრევლოს სოფელ რესში მცხოვრები ვასჟე ყუსაევის ასული ხარ (sic). 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები: მარკოც (sic) ჯიმბერის ძე ბიდიხოვი. კოსტანტინე მირზაბეგის ძე გუდიევი. სასძლოს მხრივ, სოფელ რესში მცხოვრები ინუს ვასჟეს ძე ქუსაევი (sic), თოთო გიბილას ძე ძაკაევი. ჯვარი დაიწერეს 11 თებერვალს.

სასიძო, კობის სამრევლოს სოფელ უხადში (sic) მცხოვრები დავით გუბეს ძე ბათაევი. 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, აბანოს სამრევლოს სოფელ რესში მცხოვრები ზადახცი ფაბედის (sic) ასული **თამარ**. 24 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ უხადში მცხოვრები: **ლევან** თოთრაძის ძე ქობულოვი. იორდან ვაზბის ძე ბათაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ ბაზილანში მცხოვრები თოთო გიბილას ძე ძაკაევი პეტრე ჩერმელის ძე კუსაევი (sic). ჯვარი დაიწერეს 11 მაისს.

სასიძო, ღუმეთის უეზდის სოფელ თხილონში (sic) მცხოვრები არტემ დავითის ძე გულიშვილი. 16 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები ივანე ბიჭიკოს ძის თუაევის ასული მაგდან. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, ღუმეთის უეზდის სოფელ სარბითაში (sic) მცხოვრები: გრიგოლ გიორგის ძე მიქელიშვილი, იქვე გაბრიელ გიორგის ძე გულიშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები დავით გალის ძე აბაევი, გრიგოლ ბიჭიკოს ძე თუაევი. ჯვარი დაიწერეს 20 სექტემბერს.

სასიძო, ვლადიკავკაზის ოკრუგის ზაყის პრიხოლის სოფელ აბაიანთას მცხოვრები ელისბარ ლუას ძე აბაევი. 16 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ბიდარათას (sic) მცხოვრები გისო ბაიდაროვის ასული **ნინო**. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ სოფელ ზაყაში მცხოვრები: **ლევან** გიბილის ძე აბაევი. გლახა მიწაკის(?) ძე ხუთითი (sic). სასძლოს მხრივ, სოფელ ბიდარაში მცხოვრები თათარყან ბიციკოს ძე ბიდაროვი. ამავე სოფელს მცხოვრები ქუცი იდას ძე ყალოგოვი. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

სასიძო, ღუმეთის უეზდის [აბანოს სამრევლოს] სოფელ ჩეთრისში (sic) მცხოვრები ნიკოლოზ ფარნაზის ძე ქოქაევი. 29 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ალხასტ არჯინაშვილის (sic) ასული მართა. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ქეთრისში (sic) მცხოვრები ძიგვი ჩერემენის ძე ცალაგოვი, ლუა გუდეს ძე ქოქაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები: ძახო ჩელემეთის ძე არჯინოვი (sic). ალექსანდრე გისოს ძე ზადაგოვი. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ყარათყავში მცხოვრები როსტომ ქასას ძე ბულაცოვი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები მოსე ქოქაევის ასული **ნინო**. 13 წლის (sic). პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ყარათყავში მცხოვრები ალაჯიყო ძანგის ძე ბულაცოვი. ყასპოლ ანმათას ძე ბულაცოვი. სასძლოს მხრივ, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები: ძახო ჩელემეთის ძე არჯინოვი. გრიგოლ ბაპუს (sic) ძე ზადაგოვი. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, ღუმეთის უეზდის [აბანოს სამრევლოს] სოფელს ქეთრისში მცხოვრები სოლომან ქუცრის ძე ქოქაევი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, ღუმეთის უეზდის [კობის სამრევლოს] სოფელ თოღოთში მცხოვრები ბეპიზარ თაკაევის ასული მარინე. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ქეთრში მცხოვრები ლუარსაბ

ყუდანათის ძე ქოქაევი. თოთო აფათანგის ძე ქოქაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ თოღგოთში მცხოვრები ვაჟე ალექსანდრეს ძე თაკაევი, თეკო აიდარიყოს ძე აიდაროვი. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ შავარდენში მცხოვრები სტეფან საყლავის ძე ქოქაევი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენში მცხოვრები რაფიელ საპიშვილის ასული ელისაბედ. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ნოყავში მცხოვრები ბიბო გაგის ძე აგაევი. სოფელ შავარდენში მცხოვრები ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ქოქაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები: გრიგოლ **ბერდიას** ძე ქოქაევი, ამავე სოფელში მცხოვრები სვიმონ დავითის ძე ბაბაშვილი (sic). ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ შავარდენში მცხოვრები ყარასე რაფიელის ძე საპიევი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენში მცხოვრები ისმაილ ქასაშვილის ასული ელისაბედ. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები ალექსანდრე **გლახას** ძე ქოქაევი. გიორგი **ნინიას** ძე არჩინაშვილი (sic). სასძლოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები: გიორგი **ბერდიას** ძე ქოქაევი და ყუდა შიოს ძე გუთონოვი (sic). ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ უხადში (sic) მცხოვრები ციცკა თეიმურაზის ძე ბათაევი. 33 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, გორის უეზდის სოფელს ერმანში მცხოვრები ხასი (sic) თუაევის ასული თამარი. 33 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ უხადში მცხოვრები გაგი ბესლანის ძე ქობულოვი, ანდრია ყოყავდის ძე თუაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ უხადში მცხოვრები იორდანე ვაზბეს ძე ბათაევი (sic) და გაძო თუზას ძე სალბიევი. ჯვარი დაიწერეს 14 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

„დაიმარხნენ თავიანთ დაწესებულს სასაფლაოსა შინა“.

ბაზილანში მცხოვრები გაბრიელ ხათის ძე აბაევი გარდაიცვალა 2 იანვარს, დაიმარხა 4 იანვარს. 76 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციავ-ცხელებით.

კობში მცხოვრები ძიდი ყარაევის დედის ნაცვალი გუთონონ (sic) აითევის ასული გარდაიცვალა 20 თებერვალს, დაიმარხა 22 თებერვალს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

კობში მცხოვრები ჯიბი (sic) ქასაევის დედა ზალი გავის ასული გარდაიცვალა 12 მარტს, დაიმარხა 14 მარტს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადისაგან.

კობში მცხოვრები ჯიოსა (sic) ქოცაევის დედა ელისაბედ გიბილას ასული გარდაიცვალა 26 აპრილს, დაიმარხა 28 აპრილს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადისაგან.

კობში მცხოვრები ჯიოს ქოცაევის მეუღლე ანნა გაძას ასული გარდაიცვალა 1 მაისს, დაიმარხა 3 მაისს. 25 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადისაგან.

კობში მცხოვრები ჯიბო (sic) ქოცაევის ასული **ნინო** გარდაიცვალა 3 მაისს, დაიმარხა 5 მაისს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადისაგან.

კობში მცხოვრები გისო თაყაევის რძალი ქასიან (sic) ძივას ასული გარდაიცვალა 27 მაისს, დაიმარხა 29 მაისს. 52 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადისაგან.

კობში მცხოვრები ბათრა ჯაირას ძე თაყაევი გარდაიცვალა 1 ივნისს, დაიმარხა 3 ივნისს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადისაგან.

კობში მცხოვრები უცი (sic) აბაევის მეუღლე **ნინო** ბესლანის ასული გარდაიცვალა 11 ივნისს, დაიმარხა 13 ივნისს. 47 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადისაგან.

უხათში მცხოვრები მათე დუდას ძე თავაევი გარდაიცვალა 20 ივლისს, დაიმარხა 22 ივლისს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადისაგან.

ოქროყანაში მცხოვრები გახა გუდიევის რძალი **ქეთავანა** (sic) გარდაიცვალა 10 ოქტომბერს, დაიმარხა 12 ოქტომბერს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობისაგან.

კობში მცხოვრები **ერისთავ** (sic) თაყაევის მეუღლე ანასტასია გარდაიცვალა 14 ოქტომბერს, დაიმარხა 16 ოქტომბერს. 22 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადისაგან.

ოქროყანაში მცხოვრები გახა გუდიევის მეუღლე მარიამი გარდაიცვალა 4 ნოემბერს, დაიმარხა 6 ნოემბერს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მსჭვლისაგან.

ოქროყანაში მცხოვრები გახა გუდიევის რძალი ბურგაღონა (sic) გარდაიცვალა 28 ნოემბერს, დაიმარხა 30 ნოემბერს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობისაგან.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №50

ხევის უჩასტკის, კობის საბლაღოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი 1874 წელი

მღვდელი გაბრიელ დუდიევი¹

დაბადებულთათვის

გრიგოლი, დაიბადა 2 იანვარს, მოინათლა 10 იანვარს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები სახელმწიფო ოსი² თოთი სისტას ძე თავაევი და **ქეთევან** ყაზბეგის ასული. მიმრქმელი – აბანოს ეკლესიის სამრევლოს და ამავე სოფელს მცხოვრები აბე (sic) დუდას ძე ჩაბოლიშვილი.

მიხეილი, დაიბადა 1 იანვარს, მოინათლა 11 იანვარს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ქუცულო გაბლის ძე სალბიევი და დარია სალვას (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ყუდა ქუცლის ძე თავაევი.

ნინა, დაიბადა 7 იანვარს, მოინათლა 14 იანვარს. მშობლები: სოფელ თოღგოთს მცხოვრები ციცკა ბეჰზარის ძე თავაევი და ნენე სხანგერის ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათს მცხოვრები გიორგი ურდის ძე სალბიშვილი.

ანტონი, დაიბადა 10 იანვარს, მოინათლა 17 იანვარს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ციცკა გობის ძე სალბიშვილი და ყუმბიდა (sic) თოთის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობს მცხოვრები მიხეილ ნაოგის ძე თავაევი.

იოანე, დაიბადა 5 იანვარს, მოინათლა 27 იანვარს. მშობლები: სოფელ ნაოყავს მცხოვრები ძახო ვასჯეს ძე ძლიევი (sic) და ნინა ძახოს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობს მცხოვრები უცი გალის ძე აბაევი.

ალექსეი (sic), დაიბადა 29 იანვარს, მოინათლა 12 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები მიხეილ ნაოგის ძე თავაევი და ელისაბედ გრიგოლის ასული. მიმრქმელი – კობის სტანციის სმოტრიტელი ალექსეი კუზმანის ძე კრაპჩენკო.

ესტატე, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 12 თებერვალს. მშობლები: სოფელ მნას მცხოვრები ბურდიე (sic) მირზაბეგის ძე აბაევი და სოფიო ბერდას ასული. მიმრქმელი – სოფელ მნას მცხოვრები **გლახა** დოლათყოს ძე ქასაშვილი.

ევდოკია, დაიბადა 25 თებერვალს, მოინათლა 1 მარტს. მშობლები: სოფელ შავარდენს მცხოვრები ალექსანდრე **გლახას** ძე ქოქაშვილი და ნინა თედოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ძახო ქელეხეთის ძე არჩინაშვილი.

¹ დიაკვანი და წიგნის მკითხველი კობის ეკლესიას არ ჰყავს.

² სადაც წერია „სახელმწიფო ოსი“ იმ შემთხვევაში ვუთითებთ.

ალექსი, დაიბადა 7 მარტს, მოინათლა 17 მარტს. მშობლები: სოფელ ბაზილანს მცხოვრები იასონ გისოს ძე ძახაევი და ქეთავანა (sic) ცომაყის ასული. მიმრქმელი – კობის ვაჭარი ივანე გრიგოლის ძე ლუდიევი (sic).

არტემი, დაიბადა 15 თებერვალს, მოინათლა 24 მარტს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები იორდანე ვაზბის ძე ბათაშვილი (sic) და კეკელი სოსთას ასული. მიმრქმელი – სოფელს ანანურში მცხოვრებული დავით იაკობის ძე ლაზაროვი.

მარიამ, დაიბადა 23 იანვარს, მოინათლა 25 მარტს. მშობლები: სოფელ მნას მცხოვრები ყუდა მირზაბეგის ძე აბაევი და გიგი ყბლის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ შავარდენში მცხოვრები ალექსანდრე გლახას ძე ქოქაშვილი.

თევდორე, დაიბადა 14 მარტს, მოინათლა 3 აპრილს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები გლახა თოდას ძე ძუკაევი და მაგდანა დიდოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები მოსე ძიწის ძე ზაქაშვილი (sic).

ანასტასია, 3 წლის, მოინათლა 15 აპრილს. მშობლები: სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები ნიკოლოზ მოსეს ძე ქოქაშვილი და სოფიო დავითის ასული. მიმრქმელი – ღუმეთის უეზდის სოფელ კარიაულთკარს მცხოვრები ზაქარია ფრიდონის ძე კარიაული.

ელისაბედი, დაიბადა 4 მარტს, მოინათლა 24 აპრილს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ელდარყო ცორას ძე გუდიევი და მარიამ ქარელის ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ივანე გუდიევის მეუღლე ბუტუ (sic) მარხათის ასული.

პელაგია, დაიბადა 31 მარტს, მოინათლა 4 მაისს. მშობლები: სოფელ ქვემო უხათს მცხოვრები აბე (sic) ვასილის ძე ცაბოლიშვილი და მართა ბატეს (sic) ასული. მიმრქმელი – ყანობის სამრევლოს სოფელ ხურთისს მცხოვრები იოსებ ჩოჩოშვილი.

ტასია, დაიბადა 17 აპრილს, მოინათლა 10 მაისს. მშობლები: სოფელ ქვემო ოქროყანას მცხოვრები ნიკოლოზ მოსეს ძე ქოქაევი და სოფიო დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ კარიაულთკარს მცხოვრებული ზაქარია ფრიდონის ძე კარიაული.

ალექსანდრე, დაიბადა 9 აპრილს, მოინათლა 13 მაისს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები გაგი ბესლანის ძე ქობლოვი (sic) და მარინე სოლომანის ასული. მიმრქმელი – იმავე სოფელს მცხოვრები გიორგი ყრდის (sic) ძე სალბიევი.

თეკლე, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 9 ივნისს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები კოსტანტინე მირზაბეგის ძე გუდიევი და სოფიო ალექსის ასული. მიმრქმელი – მღეთის ეკლესიის სამრევლოს სოფელ მღეთში მცხოვრებული მიხეილ ბერის ძე ნაზლაიძე.

მართა, დაიბადა 14 მაისს, მოინათლა 9 ივნისს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები ასლანბეგ ცუბეს ძე ბათაევი და გიგი ხადრაგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ქვემო უხათს მცხოვრები ზნაურ ყავდინას ძე თაყაევი.

თომა, დაიბადა 25 მაისს, მოინათლა 30 ივნისს. მშობლები: სოფელ მნას მცხოვრები ალექსანდრე ბაქას ძე ქასაევი და ნინო გაგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილონას (sic) მცხოვრები თოთო გბძლის (sic) ძე ძაკაევი.

ვლადიმერი, დაიბადა 27 ივნისს, მოინათლა 15 ივლისს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები ადამ თეიმურაზის ძე ბათაევი და ნენე ივანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ქვემო უხათს მცხოვრები ალექსანდრე აბეს ძე ცაბოლოვი.

მაკრინე, დაიბადა 23 მარტს, მოინათლა 19 ივლისს. მშობლები: სოფელ მნას მცხოვრები ყუბა უმარის ძე ცაბოლოვი და მელანია რაფიელის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილონას (sic) მცხოვრები ელიზბარ სმაილის ძე აბაევი.

ალექსანდრე, დაიბადა 7 აგვისტოს, მოინათლა 12 აგვისტოს. მშობლები: კობის წმინდა მთავარმოწამის გიორგის ეკლესიის მღუდელი გაბრიელ იასას ძე ღუდიევი და სოფიო გრიგოლის ასული. მიმრქმელი – სიონის ეკლესიის მღუდელი გიორგი ესტატეს ძე ფეიქაროვი [ფეიქრიშვილი]. მონათლა სიონის სამრევლოს მღუდელმა გიორგის ფეიქაროვმა(sic).

დომნა (sic), დაიბადა 14 მაისს, მოინათლა 3 სექტემბერს. მშობლები: სოფელ მნას მცხოვრები სტეფან დავითის ძე ცაბოლოვი და **თამარ** ანდრიას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანას მცხოვრები თოთო გაბილის ძე ძაკაევი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ ზემო უხათს მცხოვრები ივანე გუტის ძე ქობლოვი (sic). 26 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობს მცხოვრები ვასილი სალბიევის ასული სალომე. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ უხათს მცხოვრები: გიორგი ურდის ძე სალბიევი, ივანე **გოგიას** ძე თუაევი, სასინკა ქურციკის ძე ქობლოვი (sic). სასძლოს მხრივ, სოფელ კობს მცხოვრები ძდი (sic) დოჯეს ძე ყარაევი, ციცკა გობის ძე სალბიევი, გიორგი თავაევი. ჯვარი დაიწერეს 21 იანვარს.

სასიძო, სოფელ ქვემო უხათს მცხოვრები გრიგოლ ფრანგის ძე ურთაევი. 27 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობს მცხოვრები ნაოგ თაკაევის ასული ბარბარე. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ უხათს მცხოვრები ციცკა თაიმურაზის ძე ბათაევი, ანდრეო ყავდინის ძე თუაევი, ივანე გოგიას ძე თუაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობს მცხოვრები იაგორ ნაოგის ძე თაკაევი, იორდანე დოყოს ძე თაკაევი და გისო ჩოქოს ძე თუაევი. ჯვარი დაიწერეს 9 ივლისს.

სასიძო, სოფელ ზემო უხათს მცხოვრები მიტკა გიათას ძე თუაევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქეთერისს (sic) მცხოვრები ფარსი ქოქაშვილის ასული **მელანია**. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ უხათს მცხოვრები ივანე გოგიას ძე თუაევი, იორდანე ვაზბის ძე ბათაევი, **ლევან** თოთრძის ძე ქობლოვი. სასძლოს მხრივ, სოფელ ქეთერს მცხოვრები ბათრად ქერმენის ძე ცალაგისშვილი, ნიკოლოზ ფარნაზის ძე ქოქაშვილი, გისო დუდას ძე ქასაშვილი. ჯვარი დაიწერეს 11 ივლისს.

სასიძო, დუმეთის უეზდის გრემისხევის ეკლესიის სამრევლოს სოფელ თხილონს მცხოვრები ვასილი გაბრიელის ძე გულიშვილი. 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობს მცხოვრები გუდა თუაევის ასული მარიამი. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ თხილონს მცხოვრები ცუცნ (sic) კალავის ძე ბულაციშვილი, კოსტანტინე დავითის ძე მიქელიშვილი (sic), ტატო ნინიას ძე გედევანიშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობს მცხოვრები ივანე ბიციკოს ძე თუაევი, **ერისტავ** ძიბას ძე თავაევი, ზნაურ გუგუს ძე ყალაგიშვილი. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები როსტომ ძინგის ძე ძანთიაშვილი(sic). 27 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ მნას მცხოვრები ნაფი ქასაშვილის ასული **დედუფალ** (sic). 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ცოცოლთას მცხოვრები ბიბო გეთას ძე ბულაცის შვილი (sic), თოთარ ბიციკოს ძე ძანთიაშვილი, ძანალდი ლიძას ძე ძანთიაშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ მნას მცხოვრები გიგოლა სიას ძე შულიშვილი (sic), ყუბა უმარის ძე ცაბოლიშვილი, თოთო დოლათყოს ძე ქასაევი. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

სასიძო, ყანობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ ფხელშეს მცხოვრები სიმონ ივანეს ძე ელოშვილი. 35 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენს მცხოვრები ყუდაბერდ

ქოქაშვილის ასული **ნინო**. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ფხელშეს მცხოვრები იოსებ ივანეს ძე ჩქარიული, ივანე თემურას ძე ჩქარიული, თომა ბაის ძე ჩქარიული. სასძლოს მხრივ, სოფელ შავარდენს მცხოვრები გრიგოლ ბერდის ძე ქოქაშვილი, ალექსანდრე **გლახას** ძე ქოქაშვილი, ხალთა (sic) მახამათის ძე ქოქაშვილი. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, აბანოს სამრევლოს სოფელ ტეფს მცხოვრები გრიგოლ ციცოს ძე ყალაგიშვილი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ მნას მცხოვრები ბაქა ქასაშვილის ასული ეკატერინე. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ტეფს მცხოვრები თოთრყ (sic) ფარნაზის ძე ყალაგიშვილი, მიხეილ თოთრადის ძე ყალაგიშვილი, ცორა ისათას ძე ყალაგიშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ მნას მცხოვრები ყუბა უმარის ძე ცაბოლიშვილი, ისმეილ მამათის ძე ქოქაშვილი, პეტრე ქერმენის ძე ქასაშვილი. ჯვარი დაიწერეს 14 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

„დაიმარხნენ თავიანთ საგვარეულო განწესებულ სასაფლაოზე“.

თოღოტოს მცხოვრები ალექსი გობის ძე თაკაევი გარდაიცვალა 6 მარტს, დაიმარხა 9 მარტს. 47 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

კობს მცხოვრები ცომაყ ოსმანის ძე ბიგანოვი გარდაიცვალა 23 მარტს, დაიმარხა 25 მარტს. 68 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოვლის ქარისგან დაიხრჩო.

შავარდენს მცხოვრები სიმონ დავითის ძე ბაბიევი გარდაიცვალა 7 აპრილს, დაიმარხა 10 აპრილს. 47 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ანთებისაგან.

კობს მცხოვრები ვასილი სალბიშილის ქვრივი დედა, სალომე ვართყანის ასული გარდაიცვალა 23 აპრილს, დაიმარხა 25 აპრილს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

ზემო ოქროყანას მცხოვრები გიორგი გუდუევის ქვრივი დედა, **მაია** ნიკოლოზის ასული გარდაიცვალა 10 მაისს, დაიმარხა 13 მაისს. 43 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

ბაზილანას (sic) მცხოვრები ქოქა აბაევის ძე ვასილი გარდაიცვალა 8 ნოემბერს, დაიმარხა 11 ნოემბერს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებით.

ქვემო ოქროყანას მცხოვრები იოსებ ზადაგოვის ქვრივი რძალი, **დარეჯან** ვარიგას (sic) ასული გარდაიცვალა 3 დეკემბერს, დაიმარხა 6 დეკემბერს. 46 წლის¹.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №51

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1875 წელი

1875 წელს კობის ეკლესიას სხვადასხვა სამრევლოს მღვდელი ემსახურებოდა, კერძოდ: აბანოს სამრევლოს მღვდელი გრიგოლ ბოჭოროვი [ბოჭორიშვილი ნ.შ.], ყანობის სამრევლოს კეთილმოწესე მღვდელი გიორგი იტონიევი [იტონიშვილი - ნ.შ.], ხოლო 25 მაისიდან კობის ეკლესიის მღვდლად იხსენიება მაქსიმე დოლიძე, პრიჩეტნიკი გრიგოლ სიანაიძე.

დაბადებულთათვის

ანდრია, დაიბადა 12 იანვარს, მოინათლა 15 თებერვალს. მშობლები: სოფელ ოქროყანას მცხოვრები სახელმწიფო ოსი გიორგი (მარკიც) ძიმსერის (sic) ძე ბიდიხოვი და **ნინო**

¹ გარდაცვალების მიზეზი არ წერია.

ლევანის ასული. მიმრქმელი – აწ გარდაცვალებულის გაბრიელ ღუდიევის მეუღლე სოფიო გრიგოლის ასული¹. მონათლა აბანოს სამრევლოს მღვდელმა გრიგოლ ბოჭოროვმა.

მაქსიმე, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 15 თებერვალს. მშობლები: სოფელ ოქროყანას მცხოვრები სახელმწიფო ოსი ფირი (sic) ყაზის ძე ბიდიხოვი და დარეჯან ელმირზას ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელ ქუმლისციხეს² მცხოვრები გიორგი ბიჭიას ძე³, კობს მცხოვრები გრიგოლ ბიციკოს ძე თუაშვილი. მონათლა აბანოს სამრევლოს მღვდელმა გრიგოლ ბოჭოროვმა.

ალექსი, 10 თვისა, მოინათლა 25 მაისს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ყუდა ქიფილის ძე თავავეი და მართა მახამაზას ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელ ქუმლისციხეს მცხოვრები გიორგი ბიჭიას ძე სალაგოვი. მონათლა კობის სამრევლოს მღვდელმა მაქსიმე დოლიძემ.

ალექსანდრე, დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 8 ივნისს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ალექსანდრე (ციციკო (sic) რაჯამას ძე მისოსტოვი და სოფიო საბანის ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელ იორში მცხოვრები მიხეილ (გლახა) ლაზარეს ძე ქურციკაძე.

სოფიო, დაიბადა 2 მაისს, მოინათლა 8 ივნისს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ანდრია რაჯაბას ძე მისოსტოვი და დისო ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები იორდანე დოყოს ძე თავაშვილი.

იოვანნე (sic), დაიბადა 2 აპრილს, მოინათლა 10 ივნისს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები ალექსი თუას ძე სალბიევი და ელისაბედ ძივის ასული. მიმრქმელი – სოფელ კავკავის უეზდის სოფელ ზაყას მცხოვრები გისი გიბილის ძე აბავეი.

სვიმონი, დაიბადა 8 იანვარს, მოინათლა 11 ივნისს. მშობლები: სოფელ ნავაყავას (sic) მცხოვრები ციბო აბრაგის ძე აბავეი და მოსე სალვას ასული. მიმრქმელი – კობის სამრევლოს მღვდელი მაქსიმე ბესარიონის ძე დოლიძე.

სოფიო, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 11 ივნისს. მშობლები: სოფელ ნავაყავს მცხოვრები სტეფანე აბრაგის ძე აბავეი და გოსე მანის ასული. მიმრქმელი – სოფელ ჩირიკში მცხოვრები შიო გიორგის ძე კობაიძე.

ნინა, დაიბადა 2 თებერვალს, მოინათლა 20 ივნისს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები დავით თოთის ძე ქობულიშვილი (sic) და თოთარი (sic) ჯანთახათის ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები გრიგოლ ფრანგის ძე ურთაშვილი. მონათლა აბანოს პრიხოლის მღვდელმა გრიგოლ ბოჭოროვმა.

ზაქარია, დაიბადა 7 იანვარს, მოინათლა 20 ივნისს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები შაშინკა (sic) ქიციკის ძე ქობულიშვილი და დოხა ციცის ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათს მცხოვრები სვიმონ დუდას ძე სამიშვილი. მონათლა აბანოს მღვდელმა გრიგოლ ბოჭოროვმა.

ანნა, 4 წლის, მოინათლა 20 ივნისს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები როსტომ გაიცოს ძე ძუკავეი და გოსე ბაზირის ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათს მცხოვრები ყასბოლ დუდას ძე თუაშვილი. მონათლა აბანოს მღვდელი გრიგოლ ბოჭოროვმა.

ანასტასია, დაიბადა 2 ივლისს, მოინათლა 22 ივლისს. მშობლები: სოფელ ბიდარას მცხოვრები გიორგი (ციციკა) ბიციკოს ძე ბოცაკაშვილი (sic) და **ნინო** ციკოს ასული.

¹ სოფიო გრიგოლის ასულის მეუღლე კობის ეკლესიის გარდაცვლილი მღვდელი გაბრიელ ღუდიევი უნდა იყოს.

² ამ წლის დოკუმენტში ყველგან წერია სოფელი ქუვლისციხე.

³ გვარი არ წერია.

მიმრქმელი – ღუშეთის უეზდის სოფელ ზაქათას მცხოვრები გლახა ნინიას ძე ზაქაიძე. მონათლა კობის მღვდელმა მაქსიმე დოლიძემ.

გიორგი, დაიბადა 15 მაისს, მოინათლა 25 ივლისს. მშობლები: სოფელ ქვემო უხათს მცხოვრები დავით ღუდას ძე სამიშვილი და **თამარ** სმაილის ასული. მიმრქმელი – სოფელ ქვემო უხათს მცხოვრები ივანე გოგიას ძე თუავეი. მონათლა ყანობის სამრევლოს მღვდელმა და ბლადოჩინმა გიორგი იტონიევმა.

მარიამი, დაიბადა 2 აგვისტოს, მოინათლა 19 აგვისტოს. მშობლები: სოფელ აგაიანთში მცხოვრები ბეჟან (დამბოლათ) გაგის ძე აგაევი და სოფიო ქუცრის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზალეთს მცხოვრები რემანოზ (sic) ბაგრატიის ძე ნათელაშვილი.

პეტრე, დაიბადა 4 აგვისტოს, მოინათლა 23 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ოქროყანას მცხოვრები ელანდყო კიტრის (sic) ძე ღუდიევი და **დედოფალ** (sic) დედოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანას (sic) მცხოვრები იასონ (ყირიმ) გიოს ძე ძახავეი.

გაბრიელ, დაიბადა 1 აგვისტოს, მოინათლა 24 აგვისტოს. მშობლები: სოფელ მნას მცხოვრები ცენგურ ყანის ძე ქოქავეი და სოფიო ხუცას ასული. მიმრქმელი – სოფელ მნას მცხოვრები **გლახა** დოლათყოს ძე ქასავეის მეუღლე **თინათინ გლახას** ასული.

დიმიტრი, დაიბადა 1 ოქტომბერს, მოინათლა 26 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ აგაიანთში მცხოვრები მიხეილ (ბიგა) კულუხის ძე აგაევი და მარიამ გაბის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანას მცხოვრები იოვანნე გაბრიელის ძე აბავეი.

სოფიო, დაიბადა 5 მარტს, მოინათლა 10 ნოემბერს. მშობლები: სოფელ თოღგოთს მცხოვრები ბაბანა ბულაცას ძე თავავეი და **თამარ** ღუდას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანას მცხოვრები გიორგი ძახავეის მეუღლე **ნინო** ვარიყანის ასული.

ალექსანდრე, 1 წლის, მოინათლა 11 ნოემბერს. მშობლები: სოფელ თოღგოთს მცხოვრები ვასილი ალექსის ძე თავავეი და თოხა **გლახას** ასული. მიმრქმელი – სოფელ თოღგოთს მცხოვრები ძახი გაძას ძე ძატიოვი.

დიმიტრი, დაიბადა 2 ნოემბერს, მოინათლა 11 ნოემბერს. მშობლები: სოფელ თოღგოთს მცხოვრები **გლახა** ძატის ძე ძატიოვი (sic) და ღუხა (sic) ახას ასული. მიმრქმელი – სოფელ ყანობს მცხოვრები გიგოლა ნინიას ძე ჭიაშვილი [ჭიალაშვილი - ნ.შ.].

დიმიტრი, დაიბადა 1 ნოემბერს, მოინათლა 14 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები იოვანნე (sic) ბათრადას ძე ბიძანოვი (sic) და დიდი ქუცირას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანას მცხოვრები გრიგოლ კობის (sic) ძე ზაქაევი (sic).

ნინა, დაიბადა 5 ნოემბერს, მოინათლა 14 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ბიციკო გობის ძე სალბიევი და ფირდა **ფარნავოზის** (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანას მცხოვრები ვასილი კოფის ძე ზაქავეი.

ნიკოლოზი, დაიბადა 6 ნოემბერს, მოინათლა 14 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ჯახო ბეჟანის ძე ქოქავეი და **დარეჯან** მამათის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ძიდი დოჩეს ძე ყარავეი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები დავით ალექსანდრეს ძე ცალაგოვი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასიძო, სოფელ თოღგოთას (sic) მცხოვრები ბეჟარ თავეევის ასული (ჩიზნაიქ (sic) მარიამი. 23 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ქვემო უხათს მცხოვრები ანდრიყო ყავდინის ძე თავავეი, სოფელ კობში მცხოვრები გინო რაძამას ძე მისისტოვი. სასიძოს მხრივ, სოფელ შავარდენს მცხოვრები: დამბოლ ლავის (sic) ძე საპიშვილი (sic), მიხეილ ცოფანის ძე ღუდიევი. ჯვარი დაიწერეს 1 სექტემბერს.

სასიძო, სოფელ ზემო უხათს მცხოვრები თანასე გიუნას ძე ბუქალოვი (sic). 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო უხათს მცხოვრები (თოთრიბეგ) იოვანე თაკაევის ასული ნინა. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ზემო უხათს მცხოვრები სახელმწიფო გლეხნი: იორდანე ვაზმის ძე ბათაევი, ყასპოლ დუდას ძე თაკაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ უხათს მცხოვრები ზაურბეგ ბერდის ძე თუაევი, ბაზილანას მცხოვრები თოთო გიბილის ძე თაკაევი. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ტეფირში¹ (sic) მცხოვრები გიორგი ყულადარის ძე ყალაგაშვილი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ენალდყო ღუდიევის ასული ეკატერინე. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ტეფირში (sic) მცხოვრები ანდრია (sic) ყულარადას ძე ცაგაშვილი (sic), დარიშხან (sic) დიდის ძე ყალაგიშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ ოქროყანას მცხოვრები მიხეილ ცოფინას ძე ღუდიევი, სოფელ ბაზილანას (sic) მცხოვრები აჯაყო გიორგის ძე აბაევი. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ცოცოლთაში მცხოვრები ანდრია გიდის ძე თავაშვილი. 16 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ უხათს მცხოვრები დავით თოთრადას ძე ქობულოვის (sic) ასული დარია. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ღესში მცხოვრები **გლახა** თოთრადის ძე დანთიშვილი, დოლათყო ლათას (sic) ძე დანთიშვილი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები იაგორ ვასილის ძე თაკაევი, იორდანე დოყოს ძე თაკაევი. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ქეთირში მცხოვრები სვიმონ ფარსას ძე ქოქაშვილი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო უხათს მცხოვრები გაბისა ყეროს (sic) ძე ყესოშვილი (sic) ასული სოფიო. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ქეთირში მცხოვრები **ლუარსაბ** გუდას ძე ქოქაევი, სოფელ ბაზილანას მცხოვრები თოთო გიბილის ძე თაკაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ უხათს მცხოვრები ალექსი თუაზას ძე სალბიშვილი, სოფელ ბაზილანას მცხოვრები ძიგა კოფის (sic) ძე ზაქიევი. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ზემო უხათს მცხოვრები სვიმონ დუდას ძე სამიშვილი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ თოლგოთას (sic) მცხოვრები ბაბანა ინანის ძე ბულაცოვის ასული ნინა. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ზემო უხათს მცხოვრები ყასპოლ დუდას ძე თაკაევი, ზაურბეგ ბერდის ძე თაკაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ თოლგოთას მცხოვრები იოვანე ბაბანას ძე ბულაცოვი, და სოფელ ბაზილანას მცხოვრები ყირიმ გისოს ძე ძახაევი. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

დაიკრძალნენ „ადმორჩეულ საგვარეულო განწესებულ სასაფლაოზე“.

შავარდენს მცხოვრები ყარასი რაფიელის ძე საპიევი გარდაიცვალა 1 აპრილს, დაიმარხა 3 აპრილს. 27 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლექისაგან.

კობში მცხოვრები ზაქარია (ქუფილ) ზურის ძე თავაევი გარდაიცვალა 8 აპრილს, დაიმარხა 10 აპრილს. 72 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

შავარდენს მცხოვრები ბაგრატ (დამბოლ) საპიევის მეუღლე **ნინო** ალექსანდრეს ასული გარდაიცვალა 10 მაისს, დაიმარხა 12 მაისს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულისტკივლითა.

¹ იგულისხმება სოფელი ტეფი.

მნას მცხოვრები ნიკოლოზ (სმაილ) ქოქაევის მეუღლე **თამარ** ძივის (sic) ასული გარდაიცვალა 14 მაისს, დაიმარხა 19 მაისს. 33 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფერდის ტკივილისაგან.

კობში მცხოვრები ალექსანდრე ცალაგოვის ასული ბარბარე გარდაიცვალა 21 მაისს, დაიმარხა 23 მაისს. 13 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ანთებით.

ზემო უხათს მცხოვრები მიტკა თუაევის დედა ქურივი **დარეჯან** გაგის ასული გარდაიცვალა 17 ივნისს, დაიმარხა 19 ივნისს. 67 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

კობში მცხოვრები ბიდი (sic) ყარაევის დედა მარიამ დოყოს ასული გარდაიცვალა 27 სექტემბერს, დაიმარხა 30 სექტემბერს. 62 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნისაგან. აღსარება ათქმევინა და აზიარა ყანობის სამრევლოს მღვდელმა გიორგი იტონიევმა [იტონიშვილმა], წესი აუგო აბანოს სამრევლოს მღვდელმა გრიგოლ ბოჭოროვმა.

ქვემო ოქროყანას მცხოვრები მიხეილ დუდას ძე ღუდუევი გარდაიცვალა 10 ოქტომბერს, დაიმარხა 15 ოქტომბერს. 37 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხანჯლით მოკლეს. წესი აუგო ყანობის სამრევლოს მღვდელმა გიორგი იტონიევმა [იტონიშვილმა].

მნას მცხოვრები ალექსანდრე ცაბოლოვის ძე მიხეილი გარდაიცვალა 23 ოქტომბერს, დაიმარხა 25 ოქტომბერს¹. გარდაცვალების მიზეზი – წყალში ფაიხჩო (sic).

ზემო ოქროყანას მცხოვრები იაკობ (გაბი) ვარის ძე ბიდიხოვი გარდაიცვალა 10 ნოემბერს, დაიმარხა 12 ნოემბერს. 63 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით. აღსარება ათქმევინა, აზიარა და წესი აუგო კობის სამრევლოს მღვდელმა მაქსიმე დოლიძემ.

ფონდი, 489, ანაწერი 50. დოკუმენტი №52

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი 1876 წელი

მღვდელი მაქსიმე დოლიძე, პრიჩეტნილი გრიგოლ სიანაიძე დაბადებულთათვის

ზაქარია, დაიბადა 21 იანვარს, მოინათლა 1 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო ოსი ისმაილ ისას ძე ქოცაევი და მართა ქოქას ასული. მიმრქმელი – სოფელ მნას მცხოვრები **გლახა** დოლოთოყოს ძე ქასაევი.

თევდორე, დაიბადა 20 იანვარს, მოინათლა 1 თებერვალს. მშობლები: კობის ეკლესიის სამრევლოს², სახელმწიფო ოსი მალხაზ რუას ძე ქოცაევი და სახარა (sic) გუდას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები იოვანე ბიჯიკოს ძე თავაევი.

სოფიო, დაიბადა 25 იანვარს, მოინათლა 1 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო ოსი იაგორ ნავაგის ძე თავაევი და **თამარ** ქუდაგას ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელ ყალაგათში (sic) მცხოვრები ქუჩი იდას ძე ყალაგაშვილი.

ელისაბედი, დაიბადა 25 იანვარს, მოინათლა 1 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო ოსი თემრიყო რევაზის ძე აბაევი და სოფიო გუდას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები იორდანე ეფრეს ძე ქასაშვილი.

¹ ასაკი არ წერია.

² სოფელი არ წერია.

სიმონ, დაიბადა 26 იანვარს, მოინათლა 1 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი (sic) ისმეილ იასას ძე ქოცაევი და მართა ქოქას ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები **გლახა** დოლოთყოს ძე ქასაევი.

იოსები, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 15 თებერვალს. მშობლები: სოფელ ბაზილანას (sic) მცხოვრები სახელმწიფო გლეხი რომან ჟუკაევი(?) და ტასია რუბას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანას (sic) მცხოვრები თოთო გივას ძე ძაკაევი.

პელაგია, დაიბადა 10 მარტს, მოინათლა 4 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი (sic) ვასჟე ბესლანას ძე ქასაევი და გიგი ჟიმშერას ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის (sic)¹ სოფელ არბოს მცხოვრები **ლევან** ლუარსაბის ძე ბადაევი.

მელანია, დაიბადა 10 მარტს, მოინათლა 4 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ყასპოლ მესლანის ძე ქასაევი და მარინე აბეს (sic) ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის სოფელ არბოს მცხოვრები **ლევან** ლუარსაბის ძე ბადაევი.

ანდრია, დაიბადა 10 მარტს, მოინათლა 4 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები გაბრიელ ბეჟიას ძე ქასაევი და მართა თოთრაყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები თასო ყალაგას ძე ქასაევის მეუღლე ბარბარე სხასას (sic) ასული.

ნინო, დაიბადა 20 მარტს, მოინათლა 5 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ვლადიმერ ალექსის ძე მისოსტოვი და ქუსრიხან (sic) უცის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო უხათს მცხოვრები ზაურბეგ ბარალას ძე თუაევი.

იოვანე, დაიბადა 20 მარტს, მოინათლა 5 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ზარიბეგ მარათას ძე მისისტოვი და **თამარა** ალექსის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ვასჟე ბესლანას ძე ქასაევი.

მარიამი, დაიბადა 20 მარტს, მოინათლა 5 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სოლამონის (sic) თუაევის ასული ელისაბედ, ამისი ნაშობი უკანონო არის. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ალექსი გიორგის ძე ქასაევი.

სანდრო, დაიბადა 10 მარტს, მოინათლა 8 აპრილს. მშობლები: სოფელ ოქროყანას მცხოვრები გრიგოლ ასას ძე ღუდიევი და **თამარა** თოთრაჯას ასული. მიმრქმელი – კობის წმინდა გიორგის ეკლესიის პრიჩეტნიკი გრიგოლ მღვდლის ზაქარიას ძე სიანაიძე.

ანდრია, დაიბადა 10 მარტს, მოინათლა 8 აპრილს. მშობლები: სოფელ ოქროყანას მცხოვრები მოსე **წიწილას** (sic) ძე ზაჩიევი და გიგი ცალხატის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ციცი ალექსის ძე ღუდიევი.

აბრამ, დაიბადა 10 მარტს, მოინათლა 8 აპრილს. მშობლები: სოფელ ქვემო ოქროყანას მცხოვრები დიმიტრი ბიჟის ძე ზაღაღოვი და გიგო ისმაილის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ალექსი საბას ძე მისისტოვი.

მართა, დაიბადა 9 თებერვალს, მოინათლა 18 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ოთრაჭა (sic) შიოს ძე ყარაევი და **მაგდან ნინიას** ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის სოფელ როკას მცხოვრები თომა ბიბოს ძე თომაევი.

მარიამი, დაიბადა 7 იანვარს, მოინათლა 18 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ელმარყო დოჩეს ძე ყარაევი და ელისაბედ გობას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანას (sic) მცხოვრები ძიმა კობის (sic) ძე ზაქიევის მეუღლე ყულა (sic) ასაბეგას ასული.

გიორგი, დაიბადა 7 თებერვალს, მოინათლა 18 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები გიორგი ძედრეს ძე ყარაევი და **ნინო** ციცის ასული. მიმრქმელი – სნოს სამრევლოს სოფელ აჩხოტს მცხოვრები თამრასყო (sic) ნუარას ძე ბედოშვილი (sic).

¹ შეცდომა უნდა იყოს სოფელი არბო შედიოდა გორის მაზრაში.

სოფიო, დაიბადა 7 თებერვალს, მოინათლა 18 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ზაურბეგ აბეს ძე თავაუვი და ცოფრაი (sic) ძანგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანას მცხოვრები თოთო ძიბილას ძე ძაკაუვი.

ნიკოლაოზ (sic), დაიბადა 1875 წლის 20 დეკემბერს, მოინათლა 28 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები გრიგოლ ალექსის ძე ცალაგოვი და მართა ბეპიზარას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანას მცხოვრები გოკო ისმელის ძე აბაუვი.

იაკობ, დაიბადა 29 აპრილს, მოინათლა 30 აპრილს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები იოვანე როსტომის ძე თუაუვი და **ქეთო** (sic) ყაზიბეგის ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელს თრუსოს (sic) მცხოვრები აბე დუდას ძე ცობალოვი.

დავითი, დაიბადა 7 ივნისს, მოინათლა 15 ივნისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები იოვანე ბაჯიკოს ძე თუაუვი და ფათიმე ასას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ეფრემ მისოსტის ძე ქასაუვი.

სოლომონ, დაიბადა 7 ივნისს, მოინათლა 15 ივნისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები იოვანე ბუჯიკოს ძე თუაუვი და ფათიმე ასას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ეფრემ მისოსტის ძე ქასაუვი.

ნიკოლაოზ (sic), დაიბადა 10 ივნისს, მოინათლა 16 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ბაზილანას მცხოვრები ციცირა გრიგოლის ძე ძუკაშვილი (sic) და გიბი მაცკას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები იოვანე ბიჯიკოს ძე თუაუვი.

ალექსანდრე, დაიბადა 10 აგვისტოს, მოინათლა 16 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ბაზილანას მცხოვრები ელიზბარ ისმაილის ძე აბაუვი და **ნინო** გიძას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები იოვანე ბიჯიკოს ძე თუაუვი.

გიორგი, დაიბადა 10 აგვისტოს, მოინათლა 16 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ბაზილანას მცხოვრები თევდორე ურაილის(?) ძე აბაუვი და სალომე ელძარიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები იოვანე ბიჯიკოს ძე თუაუვი.

იოვანე (ინუს), დაიბადა 5 მარტს, მოინათლა 1 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ქვემო უხათს მცხოვრები ანდრია ყავდინის ძე თავაუვი და მართა გუბილას ასული. მიმრქმელი – კობის წმინდა გიორგის ეკლესიის პრიხოდის მთავარდიაკონი გრიგოლ მღვდლის ზაქარიას ძე სიანაიძე.

სოფიო, დაიბადა 7 მარტს, მოინათლა 1 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები **ლევან** თომას ძე ქობულოვი და **ნატო გლახას** ასული. მიმრქმელი – კობის წმინდა გიორგის ეკლესიის პრიხოდის მთავარდიაკონი გრიგოლ მღვდლის ზაქარიას ძე სიანაიძე.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ თოღგოთში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი გიორგი (ჟიმშერა) გაქას ძე აბაუვი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო უხათს მცხოვრები ბერდა თავაუვის ასული სალომე (ყიზმიდ). 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ სოფელ თოღგოთს მცხოვრები: ციცკა ბეპიზარას ძე თავაუვი, სოფელ ბაზილანას მცხოვრები თოთო ძიბილას ძე ძაკაუვი. სასძლოს მხრივ, სოფელ ზემო უხათს მცხოვრები: იორდანე ფაზმას ძე ბათაუვი და დავით დუდას ძე სამიშვილი. ჯვარი დაიწერეს 10 იანვარს.

სასიძო, სოფელ ბაზილანას მცხოვრები ზაურბეგ თოთოს ძე ძაკაუვი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, დუდის ეკლესიის სამრევლოს სოფელ მექეთს მცხოვრები ბახოს (sic) ქოდრიევის ასული მარიამი. 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ სოფელ ბაზილანას მცხოვრები ყასპოლ გისოს ძე ძახაუვი, გრიგოლ მარკოზის ძე ზაქიევი,

ყასპოლ ჟომბერის (?) ძე თავავეი. სასძლოს მხრივ, სოფელ ბაზილანას მცხოვრები თეპო ყრაცის(?) ძე აბავეი. კოსტანტინ ბირზაბეგის ძე ლუდივეი. ჯვარი დაიწერეს 11 ივლისს.

გარდაცვალებულთათვის¹

დაიკრძალნენ „თავიანთ აღმორჩეულს სასაფლაოსა ზედა“.

კობში მცხოვრები ნაგოს ძე იაგორ თავავეი გარდაიცვალა 5 თებერვალს, დაიმარხა 7 თებერვალს. 27 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრათ მოკვდა. წესი აუგო აბანოს პრიხოდის მღვდელმა გრიგოლ ბოჭოროვმა, პრიჩეტნიკი გრიგოლ სიანაიძის თანდასწრებითა.

მნას მცხოვრები (ყუდა) იოსებ შიოს ძე გუთონოვი გარდაიცვალა 8 თებერვალს, დაიმარხა 10 თებერვალს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილით. წესი აუგო კობის ეკლესიის მღვდელმა მაქსიმე დოლიძემ.

ზემო უხათს მცხოვრები იოვანე თუავეის მეუღლე ქეთო ყაზიბეგის ასული გარდაიცვალა 28 აპრილს, დაიმარხა 30 აპრილს. 28 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ლოგინობაზედ, აზიარა და წესი აუგო სიონის პრიხოდის მღვდელმა გიორგი გოცირიძემ.

ზემო ოქროყანას მცხოვრები მოსე ზაჩივეის დედა ქიქა დავითის ასული გარდაიცვალა 28 აპრილს, დაიმარხა 30 აპრილს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობის გამო. აზიარა და წესი აუგო აბანოს პრიხოდის მღვდელმა გრიგოლ ბოჭოროვმა.

კობში მცხოვრები თოთრაჭა ძათას ძე ცალაგოვი გარდაიცვალა 30 აპრილს, დაიმარხა 2 მაისს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობის გამო (sic). აზიარა და წესი აუგო სიონის პრიხოდის მღვდელმა გიორგი გოცირიძემ.

შავარდენს მცხოვრები ალექსანდრეს მეუღლე² კაკე თევდორეს ასული გარდაიცვალა 12 მაისს, დაიმარხა 14 მაისს. 25 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ლოგინობაზედ. აზიარა და წესი აუგო სიონის პრიხოდის მღვდელმა გრიგოლ გოცირიძემ.

კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ თოთოს (sic)³ მცხოვრები ქიქა ყურამანის (?) ასული გარდაიცვალა 29 ივლისს, დაიმარხა 31 ივლისს. 51 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობის გამო. აზიარა და წესი აუგო აბანოს მღვდელმა გრიგოლ ბოჭოროვმა. დაიკრძალა კობის ეკლესიის გალავანში სასაოფლაოზედა.

ქვემო ოქროყანას მცხოვრები დიმიტრი ბიქიკოს (sic) ძე ზალაგოვი გარდაიცვალა 30 ივლისს, დაიმარხა 1 აგვისტოს. 38 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მჭვლის გამო. აზიარა და წესი აუგო აბანოს მღვდელმა გრიგოლ ბოჭოროვმა.

ნოვაყავს მცხოვრები ლუდა ვასქეს ძე ძილიშვილი (sic) გარდაიცვალა 18 სექტემბერს, დაიმარხა 20 სექტემბერს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მჭვლის გამო. აზიარა და წესი აუგო აბანოს პრიხოდის მღვდელმა ყაფლან გველესიანმა.

ქვემო ოქროყანას მცხოვრები მიხეილის დედა ლუდივეის (sic) გაგუ რაუხის ასული. გარდაიცვალა 25 სექტემბერს, დაიმარხა 27 სექტემბერს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობის გამო. აზიარა და წესი აუგო აბანოს პრიხოდის მღვდელმა ყაფლან გველესიანმა.

¹ გარდაცვალებულთა გრაფაში რამდენიმე მღვდელი წერია, რომელთაც ჩაიბარეს აღსარება, ზიარება და გარდაცვალებულებს აუგეს წესი.

² გვარი არ წერია.

³ თოღგოთი უნდა იგულისხმებოდეს.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №53

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1877 წელი**

კობის სამრევლოს არ ჰყავს მუდმივი მღვდელი, თავდაპირველად იხსენიება კობის პრიხოდის მღვდელი ალექსანდრე ქოქოვეი, მთავარდიაკონი გრიგოლ სვიანაიძე, ხოლო ივლისის თვიდან კობის სამრევლოს ემსახურებოდა სიონის სამრევლოს მღვდელი გიორგი გოცირიძე, ყანობის სამრევლოს მღვდელი გიორგი იტონიევი [ითონიშვილი - ნ.შ.] და სწოს სამრევლოს მღვდელი დავით მამამთავრიშვილი.

დაბადებულთათვის

სოფიო, დაიბადა 1 იანვარს, მოინათლა 10 იანვარს. მშობლები: სოფელ თოღგოთს მცხოვრები სახელმწიფო გლეხი¹ ციცკა ებისძრას (sic) ძე თაკავეი და ანნა ხანჯარას ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელ ქუმლისციხეში მცხოვრებული გლეხი ბილა გიორგის ძე ბურაჯიძე (sic).

ნიკოლოზი, დაიბადა 2 იანვარს, მოინათლა 10 მარტს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ბიციკო გაბეს ძე სალბიევი და სოფიო გრანგას ასული. მიმრქმელი – სოფელ გორისციხეს მცხოვრები გლეხი ლევან გრიგოლის ძე ამსაჯანოვი [ავსაჯანიშვილი].

მელანია, დაიბადა 4 მარტს, მოინათლა 13 მარტს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები პეტრე გიბილას ძე სალბიევი და დარია შათას (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ყუდა ზაქარიას ძე თუავეი.

ევგენია, დაიბადა 1 აპრილს, მოინათლა 9 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ალექსანდრე ბესლანას ძე კარავეი და ჩიზნადი (sic) ზუგეს ასული. მიმრქმელი – სოფელ გორისციხეში მცხოვრები გლეხი გლახა ჯგუნას (sic) ძე ჩკარეული (sic) [ჩქარეული].

სოფიო, დაიბადა 2 აპრილს, მოინათლა 11 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები გუტრი გალის ძე აბავეი და სახარა დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ერჯარიყო დოჯის ძე კარავეი.

ანნა, დაიბადა 1 აპრილს, მოინათლა 14 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები გაგია რევაზას ძე მისისტოვი და სოფიო ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები გლეხი იორდან ეფრემის ძე თავავეი.

ალექსანდრე, დაიბადა 4 აპრილს, მოინათლა 15 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ივანე ბათირაჯას ძე ბიგანოვი და ნალმისა (sic) ქუცრის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანაში (sic) მცხოვრები გრიგოლ მარკოზის ძე ზაკავეი.

პელაგია, დაიბადა 5 მაისს, მოინათლა 15 მაისს. მშობლები: სოფელ ბაზილანაში მცხოვრები გრიგოლ მარკოზის ძე ზაკიევი (sic) და დარია ხეჩოს ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელს კალის ხევში (sic) მცხოვრები გლეხი ივანე ნამგალაულოვი (sic) [ნამგალაური].

ოლგა, დაიბადა 2 მაისს, მოინათლა 17 მაისს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ივანე ნანეს ძე ქოქავეი და ელისაბედ თოთიკას ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოვაყავში მცხოვრები სტეფანე აბავეი.

მარიამი, დაიბადა 5 მაისს, მოინათლა 17 მაისს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ნიკოლოზ მოსეს ძე ქოქავეი და სალომე დავითის ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელ კაიშაურში მცხოვრები, კობის პრიხოდის დიაკონი გრიგოლ სვიანაიძე.

¹ 1877 წლის კობის სამრევლოს მეტრიკულ წიგნში ყველას უწერია „სახელმწიფო გლეხი“, ამიტომ სხვაგან აღარ ვუთითებთ.

პავლე, დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ ბაზილანას მცხოვრები ზაურბეგ თოთას ძე ძაკაევი და მარიამ ბახოს ასული. მიმრქმელი – ღუმეთის უეზდის სოფელ იორში მცხოვრები მიქელ ლაზარეს ძე ქურციკიძე.

ვლადიმერი, დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 17 ივნისს. მშობლები: სოფელ ბაზილანას (sic) მცხოვრები გიორგი გისოს ძე ძახაევი და სოფიო ცომაყას ასული. მიმრქმელი – ღუმეთის უეზდის სოფელ ყოვილს¹ (sic) მცხოვრები იასე იოსების ძე თანიაშვილი.

ნატალია, დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 17 ივნისს. მშობლები: სოფელ ბაზილანას მცხოვრები ყასპოლათ გისოს ძე ძახაევი და ქოქა ბაირას ასული. მიმრქმელი – ღუმეთის უეზდის სოფელ იორში მცხოვრები მიხეილ ლაზარეს ძე ქურციკიძე.

კოსტანტინე, დაიბადა 7 იანვარს, მოინათლა 17 ივნისს. მშობლები: სოფელ ბაზილანას მცხოვრები ქოკო (sic) ისმეილის ძე აბაევი და ქოქიანა (sic) ჭახოს (sic) ასული. მიმრქმელი – ღუმეთის უეზდის სოფელ ყოვილის (sic) მცხოვრები იასე იოსების ძე თანიევი.

ანდრია, დაიბადა 1 იანვარს, მოინათლა 5 ივლისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები გიგო ბიჩიკოს ძე თავაშვილი (sic) და მარიამ მანასეს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები გლეხი დავით **გლახას** ძე აბაევი. ნათლობა აღასრულა სიონის მღვდელმა გიორგი გოცირიძემ.

სოფიო, დაიბადა 30 იანვარს, მოინათლა 28 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები სპირიდონ (ფრაი) ყაზის ძე ბალიხოვი და მარიამ ილმიზას ასული. მიმრქმელი – კობის პრიხოლის მთავარდიაკონი გრიგოლ ზაქარიას ძე სიანაიძე. ნათლობა აღასრულა სნოს პრიხოლის მღვდელმა დავით მამამთავრიშვილმა.

ნინო, დაიბადა 24 ივნისს, მოინათლა 28 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები გოგი ბადურის ძე ღუდიევი და ანნა დრაფიელის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანას მცხოვრები ათაყო გიოს ძე ძაკაევი. ნათლობა აღასრულა სნოს პრიხოლის მღვდელმა დავით მამამთავრიშვილმა.

ჯვარდაწერილთათვის

ჯვრისწერა აღასრულა ყანობის პრიხოლის ბლადოჩინმა მღვდელმა გიორგი იტონიევმა [იტონიშვილმა - ნ.შ.], მთავარდიაკობი გრიგოლ სანაიძე (sic)

სასიძო, ღუმეთის უეზდის სოფელ გრემისხევის წმინდის ქალწულის მოწამის მარინას ეკლესიის სამრევლოს სოფელ თხილოვანის (sic) მცხოვრები სახაზინო ყმა გიორგი ივანეს ძე გუდიშვილი (sic). 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები ღუდა თუაევის ასული **ბაბაღე**. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ თხილოვანში მცხოვრები თუთუ ნოგის ძე ბიზიკოვი, ზაქარია გიორგის ძე ბულაცოვი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ელდარყო ამძორიყოს ძე თუაევი, ზაურბეგ ბერდას ძე თუაევი. ჯვარი დაიწერეს 8 ნოემბერს.

სასიძო, აბანოს სამრევლოს სოფელ აბანოში მცხოვრები **ლევან** ძახის ძე ცობოლოვი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები ელდარიყოს ღუდიევის ასული ანნა. 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ აბანოს მცხოვრები ძახო მანეს ძე ცობოლოვი, იაგორ თავას ძე ცობოლოვი. სასძლოს მხრივ, სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები **ვახტანგინ** (sic) მირზაბეგას ძე ღუდიევი, **გლახა მათეს** ძე ღუდიევი. ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ზემო უხათში მცხოვრები **მათე** სოსთას ძე თუაევი. 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები ელზარყო ყარაევის ასული ანნა. 21 წლის.

¹ იგულისხმება სოფელი ყვავილი.

პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ვანკა ალექსას ძე მისისტოვი, ბაბო (sic) ისმეილის ძე ბილაროვი (sic), სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები თეკოელ (?) ზარიყოს ძე ყალაგოვი, **იაგორ** ივანეს ძე თავაევი. ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ შავარდენს მცხოვრები გიორგი ნინიას ძე არჯენაშვილი (sic). 32 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ოქროყანას მცხოვრები ბადურა გუდიევის ასული სოფიო. 27 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები იაგორ ბერდას ძე ქოქიევი, ყასპოლ ლულას ძე ქოქაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ ოქროყანას მცხოვრები იაგორ ალექსანდრეს ძე ლუდიევი. ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ შავარდენში მცხოვრები ესტატე **გლახას** ძე ქოქაევი. 19 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ თოღგოთას (sic) მცხოვრები თეკო ბიდაროვის ასული მარიამ. 14 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები გრიგოლ ბედას(?) ძე ქოქაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ თოღგოთაში მცხოვრები ვასქე ალექსის ძე თავაევი. ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები გიორგი ვასილის ძე სალბიშვილი (sic). 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ უხათში მცხოვრები ღუდა თუაევის ასული ელისაბედ. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მისისტოვი, სასძლოს მხრივ, სოფელ ქვემო უხათს მცხოვრები ნაუროზ ყაფლანის ძე თუაევი. ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ნოაყავში მცხოვრები ალექსანდრე ყავდინას ძე აბაევი. 32 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენში მცხოვრები სიმონა (sic) ბაბულაშვილის¹ ასული მარიამ. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ნოაყავში მცხოვრები გრიგოლ გრიგოლის (sic) ძე ძალიევი (sic); სასძლოს მხრივ, სოფელ ნოაყავში მცხოვრები თემარიყო გაბის ძე სამოვიშვილი². ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

დაიკრძალნენ „თავიანთ აღმორჩეულს სასაფლაოზედ“.

ბაზილანას (sic) მცხოვრები მარკოზ გახას ძე ზაქიევი გარდაიცვალა 13 იანვარს, დაიმარხა 15 იანვარს. 48 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექისაგან.

კობში მცხოვრები ციცა (sic) მასოსტოვის მეუღლე სოფიო გარდაიცვალა 9 მარტს, დაიმარხა 11 მარტს. 27 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ლოგინობაზედ.

ბაზილანას მცხოვრები **ნიკოლაოზ** (sic) ყარაევის ასული სოფიო გარდაიცვალა 10 მარტს, დაიმარხა 12 მარტს. 10 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილისაგან.

კობში მცხოვრები ვლადიმერ მისოსტოვის ასული **ნინო** გარდაიცვალა 7 აპრილს, დაიმარხა 9 აპრილს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელისაგან.

ზემო უხათს მცხოვრები გიორგი სათას ძე თავაევი გარდაიცვალა 10 აპრილს, დაიმარხა 12 აპრილს. 36 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფერდის ქარისაგან.

შავარდენს მცხოვრები იაგორ ქოქაევის ასული **დარო** გარდაიცვალა 20 აპრილს, დაიმარხა 22 აპრილს. 9 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

ზემო ოქროყანას მცხოვრები ყაზიბეგას ძე იასე ლუდიევი გარდაიცვალა 2 მაისს, დაიმარხა 4 მაისს. 93 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობის გამო.

¹ ბაბუშვილი უნდა იყოს.

² სამიშვილი უნდა იყოს.

მნას მცხოვრები გიორგი ქასაევი გარდაიცვალა 10 მაისს, დაიმარხა 12 მაისს. 47 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფერდის ქარისაგან.

ზემო ოქროყანას მცხოვრები სას (sic) მეუღლე ანნა მურასას ასული¹. გარდაიცვალა 20 მაისს, დაიმარხა 22 მაისს. 63 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიჭლექის გამო.

ქვემო ოქროყანას მცხოვრები ივანე არჯენას (sic) მეუღლე ბარბარე გიორგის ასული გარდაიცვალა 24 ივნისს, დაიმარხა 26 ივნისს. 31 წლის².

მნას მცხოვრები გიორგი ქასაევის მეუღლე სოფიო ჩორას ასული გარდაიცვალა 3 ივნისს, დაიმარხა 5 ივნისს. 42 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

მნას მცხოვრები ქუცრი შიოს ძე გუთუნოვი გარდაიცვალა 10 ივნისს, დაიმარხა 12 ივნისს. 42 წლის. გარდაცვალების მიზეზ – ციებისაგან.

მნას მცხოვრები გიორგის³ დედა ქვრივი აბათო აბრამის ასული გარდაიცვალა 16 ივნისს, დაიმარხა 18 ივნისს. 48 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

მნას მცხოვრები იაკობის ძე გუთუნოვი დიმიტრი გარდაიცვალა 20 ივნისს, დაიმარხა 22 ივნისს. 6 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელისაგან.

ოქროყანას მცხოვრები **გლახა** ნოდას ძე ძაკაევი გარდაიცვალა 2 ივლისს, დაიმარხა 4 ივლისს. 41 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიჭლექისაგან.

კობში მცხოვრები ალექსანდრე იოვანეს ძე თაკაევის გარდაიცვალა 3 ივლისს, დაიმარხა 5 ივლისს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელისაგან.

ზემო ოქროყანას მცხოვრები ყაზიბეგას ძე ლუდიევი **მახარობელი** გარდაიცვალა 2 აგვისტოს, დაიმარხა 4 აგვისტოს. 38 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მჭოლისაგან.

ბაზილანას მცხოვრები ალექსანდრე ყარიმას ძე ძახაევი გარდაიცვალა 2 აგვისტოს, დაიმარხა 5 აგვისტოს. 6 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელისაგან.

ბაზილანს (sic) მცხოვრები იოვანე ბათას ძე კარაევი გარდაიცვალა 20 აგვისტოს, დაიმარხა 23 აგვისტოს. 64 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველისაგან.

ნოყავს მცხოვრები გრიგოლ **ვახტანგის** ძე ძილიევი (sic) გარდაიცვალა 20 აგვისტოს, დაიმარხა 23 აგვისტოს. 67 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ანთებისაგან.

ზემო უხატოს მცხოვრები იორდანეს ძე არტემ აბათაევი (sic) გარდაიცვალა 29 აგვისტოს, დაიმარხა 31 აგვისტოს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელისაგან.

ზემო ოქროყანას მცხოვრები თევდორე ბევრას (?) ძე ბიდიხოვი გარდაიცვალა 29 აგვისტოს, დაიმარხა 31 აგვისტოს. 7 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელისაგან.

ზემო ოქროყანას მცხოვრები იოსებ დავითის ძე ლუდიევი გარდაიცვალა 1 სექტემბერს, დაიმარხა 3 სექტემბერს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელისაგან.

ქვემო ოქროყანას მცხოვრები ალექსანდრე გისოს ძე ლუდიევი გარდაიცვალა 5 სექტემბერს, დაიმარხა 7 სექტემბერს. 25 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

ბაზილანას მცხოვრები ისმაილ **ვახტანგის** ძე აბაევი გარდაიცვალა 5 სექტემბერს, დაიმარხა 7 სექტემბერს. 102 წლის (sic). გარდაცვალების მიზეზი – [მოხუცებულობისგან ?].

ნოყავს მცხოვრები მათე აბრამას ძე აბაევი გარდაიცვალა 11 ოქტომბერს, დაიმარხა 14 ოქტომბერს. 45 წლის (sic). გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობის გამო (sic).

ნოყავს მცხოვრები ქუცირა ბერაზას ძე ბეროხოვი გარდაიცვალა 20 ოქტომბერს, დაიმარხა 23 ოქტომბერს. 91 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობისაგან.

¹ გვარი არ წერია.

² გარდაცვალების მიზეზი არ წერია.

³ გვარი არ წერია.

შავარდენს მცხოვრები დავით რუხიას ძე ბაბიევი გარდაიცვალა 23 ოქტომბერს, დაიმარხა 25 ოქტომბერს. 100 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობისა გამო.

ზემო ოქროყანას მცხოვრები **გლახა** იოთამის ძე ღუდუევი გარდაიცვალა 23 ოქტომბერს, დაიმარხა 25 ოქტომბერს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისა გამო.

ზემო უხათში მცხოვრები ბერდას¹ მეუღლე მართა გისოს ასული გარდაიცვალა 4 ნოემბერს, დაიმარხა 6 ნოემბერს. 42 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მჭვლისა გამო.

კობში მცხოვრები ისმაილ ქოცოევი გარდაიცვალა 1 დეკემბერს, დაიმარხა 3 დეკემბერს. 89 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობისა გამო.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №54

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1878 წელი**

**მღვდელი გრიგოლ სიანაიძე², პრიჩეტნიკი სოფრონ კოლოტაშვილი
დაბადებულთათვის**

პავლე, დაიბადა 1877 წლის 30 დეკემბერს, მოინათლა 1878 წლის 25 იანვარს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი³ ციცაკა გობას ძე სალბიევი და **ნინო** ელიზბარის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები მიხელ ნოაგას ძე თავაევი.

გიორგი, დაიბადა 1877 წლის 10 აგვისტოს, მოინათლა 6 თებერვალს. მშობლები: სოფელ ქვემო უხათს მცხოვრები აბა ვასჭეს ძე ჩობოლოვი და მართა ბუდის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყაზიბეგს მცხოვრები თავადიშვილი⁴ (sic) ადამ ადამოვის ძე ყაზიბეგოვი.

ალექსანდრე, დაიბადა 1877 წლის 1 იანვარს, მოინათლა 1878 წლის 11 თებერვალს. მშობლები: სოფელ ბიდარას მცხოვრები **დათიკო** (sic) ბიჩიკოს ძე ბიდაროვი და ტასო ცორას ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის სოფელ როკში მცხოვრები თომა თომაევი.

პავლე, დაიბადა 1877 წლის 1 იანვარს, მოინათლა 1878 წლის 16 თებერვალს, წლინახევრის (sic). მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები სტეფანე უმარას ძე ჩაბოლოვი და **თამარ** ანდრიას ასული. მიმრქმელი – კობის პრიხოლის მღვდელი გრიგოლ ზაქარიას ძე სიანაიძე.

მარიამ, წლინახევრის (sic), დაიბადა 1877 წლის 1 თებერვალს, მოინათლა 1878 წლის 16 თებერვალს. მშობლები: ამავე სოფლის მცხოვრები დავი ბაქას ძე ქასაევი და **თამარ** ყოყას ასული. მიმრქმელი – კობის პრიხოლის მღვდელი გრიგოლ ზაქარიას ძე სიანაიძე.

ნიკოლოზი, დაიბადა 1877 წლის 1 იანვარს, მოინათლა 1878 წლის 16 თებერვალს, წლინახევრის (sic). მშობლები: სოფელ მნას მცხოვრები ყუბა უმარას ძე ცაბოლოვი და სოფიო დრაფიელის ასული. მიმრქმელი – სოფელ შავარდენში მცხოვრები ანდრია გინოს ძე შავდუხოვი (sic).

ალექსანდრე, წლინახევრის (sic), მოინათლა 1878 წლის 16 თებერვალს. მშობლები: ამავე სოფელს მცხოვრები ალექსანდრე უმარას ძე ცაბოლოვი და სალომე ზოზრიყოს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ნიკოლოზ გრიგოლის ძე ბადაევი (sic).

¹ გვარი არ წერია.

² წინა წლების მეტრიკულ წიგნებში იგი სიანაიძის გვარით წერია, ხოლო 1878 წლის წიგნში ხელმოწერას აკეთებს სიანაიძის გვარით.

³ 1878 წლის მეტრიკულ წიგნში კობის სამრევლოს მოსახლეობას ყველას უწერია „სახელმწიფო გლეხი“, ამიტომ სხვაგან აღარ ვუთითებთ.

⁴ ყაზბეგები თავადთა წოდებას არ მიეკუთვნებოდნენ, მათ მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიიღეს აზნაურის წოდება.

იოანე, დაიბადა 1877 წლის 1 დეკემბერს, მოინათლა 1878 წლის 16 თებერვალს. მშობლები: სოფელ ნოყავში მცხოვრები გიბიცი (sic) ვასჭეს ძე ძილიევი და მარიამ ძახოს ასული. მიმრქმელი – სოფელ მნას მცხოვრები ალექსანდრე ბაქას ძე ქასაევი.

მაგდან, დაიბადა 1877 წლის იანვარს, მოინათლა 1878 წლის 14 მარტს. მშობლები: სოფელ ბაზილანას (sic) მცხოვრები ნიკოლოზ ივანეს ძე ყარაევი და მარინე ვასჭეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბიდარას მცხოვრები ალექსანდრე გისოს ძე ბიდაროვი.

ალექსანდრე, დაიბადა 1877 წლის 1 თიბათვეს [ივნისს], მოინათლა 1878 წლის 17 თებერვალს. მშობლები: სოფელ მნას მცხოვრები ბერი მახარობელის (sic) ძე აბაევი და სოფიო ბაადურის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანას მცხოვრები ელიზბარ ისმეილის ძე აბაევი.

ანასტასია, დაიბადა 1877 წლის 1 იანვარს. მოინათლა 1878 წლის 22 თებერვალს. მშობლები: ამავე სოფელს მცხოვრები კოსტანტინე ყანიზას ძე ქოქაევი და მარიამ ალხაზის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანას მცხოვრები ელიზბარ ივანეს ძე აბაევი.

კოსტანტინე, დაიბადა 1877 წლის იანვარს, მოინათლა 1878 წლის 22 თებერვალს. მშობლები: სოფელ მნას მცხოვრები ალექსანდრე ყანოს ძე ქოქაევი და სალომე თოთრადის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანას მცხოვრები ელიზბარ ისმეილის ძე აბაევი.

ანასტასია, დაიბადა 14 თებერვალს, მოინათლა 1878 წლის 22 თებერვალს. მშობლები: სოფელ ბაზილანას მცხოვრები ზარუბეგ კოფას ძე ზაქიევი და გისაზი ივანეს ასული. მიმრქმელი – აბანოს პრიხოდის მღვდელი ზაქარია სვიმონის ძე პეტრიაშვილი (sic).

ალექსანდრე, დაიბადა 1877 წლის იანვარს, მოინათლა 1878 წლის 17 თებერვალს. მშობლები: სოფელ ზედო უთს (sic) [უხათს] მცხოვრები იორდანე ოზბას ძე ბათაევი და კეკე (?) სიხოსტას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები გიორგი თავაევის მეუღლე თინათინ ალაჯიყოს ასული.

მარიამ, დაიბადა 1877 წლის 17 მარტს, მოინათლა 1878 წლის 30 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები დავით ალექსანდრეს ძე ჩალაგოვი და ბეპიზარას ასული¹. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ყუდა თავაევის მეუღლე მართა მახამათას ასული.

მაშო, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 8 მაისს. მშობლები: სოფელ ზემო უხათში მცხოვრები აზნაურა ელისბარის ძე ქობულოვი და მართა ბახლანას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანას მცხოვრები ძიგა იაკობის ძე ზაქიევი.

ნინო, დაიბადა 1878 წლის 19 აპრილს, მოინათლა 16 მაისს. მშობლები: ამავე სოფელს მცხოვრები ადამა თემურაზის ძე ბათაევი და ელისაბედ ნაფის ასული. მიმრქმელი – ღუმეთის ქალაქსა შინა მცხოვრები აბაზა სარქისას ძე აბაზოვი.

მიხეილ, დაიბადა 9 იანვარს, მოინათლა 10 მაისს. მშობლები: ამავე სოფელს მცხოვრები როსტომა გიცოს ძე ძუკაევი და სოფიო ნაზრის ასული. მიმრქმელი – ღუმეთის ქალაქსა შინა მცხოვრები გრიგოლ დავითის ძე ოხანეზოვი.

მარიამ, დაიბადა 9 იანვარს, მოინათლა 6 მაისს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები ალექსანდრე თეკას ძე სალბიევი და ელისაბედ გივას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ბიგნინა (sic) ალაჯიყოს ასული.²

მაიკო, დაიბადა 30 იანვარს, მოინათლა 24 მაისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები მიხეილ ნოგას ძე თავაევი და ქობულონა (?) გრიგოლის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ქიგა (sic) ისმეილას ძე აბაევი.

¹ დედის სახელი არ წერია.

² გვარი არ წერია.

მარიამ, დაიბადა 30 იანვარს, მოინათლა 25 მაისს. მშობლები: ამავე სოფელს მცხოვრები გრიგოლ ფრანგას ძე ურთავეი და ბარბარე ნიგას ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო უხათს მცხოვრები გიუნა ბუქალოვი (?) მეუღლე სალომე გიცის ასული.

ალექსანდრე, დაიბადა 10 თებერვალს, მოინათლა 25 მაისს. მშობლები: ამავე სოფელს მცხოვრები ქუცრო გიბილას ძე სალბიევი და მარიამ სალუას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ყუდა თავაევის მეუღლე მართა მახამათას ასული.

სოფიო, დაიბადა 13 თებერვალს, მოინათლა 25 მაისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები იორდანე დოკას ძე თავაევი და მარიამ დუდას ასული¹.

გიორგი, დაიბადა 1877 წლის 13 თებერვალს, მოინათლა 25 მაისს. მშობლები: ამავე სოფელს მცხოვრები ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მისისტოვი და გისალხან (sic) უცის ასული. მიმრქმელი – დუშეთის ქალაქსა შინა მცხოვრები აბაზა სარქისას ძე აბაზოვი.

ნიკოლოზ, დაიბადა 1877 წლის 18 დეკემბერს². მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები დავით თათრიჯანას ძე ქობულოვი და თოთრიმან ხათას ასული. მიმრქმელი – დუშეთის ქალაქსა შინა მცხოვრები გრიგოლ დავითის ძე ოხანეზოვი.

ვასილი, დაიბადა 1877 წლის 9 ოქტომბერს, მოინათლა 1878 წლის 25 მაისს. მშობლები: ამავე სოფელს მცხოვრები გისო გათიყოს ძე ბათაევი და ხამიცოლ ზაზას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები **ლევან** თარაჯიყოს ძე ქობულოვი.

სოფიო, დაიბადა 1877 წლის 1 ოქტომბერს, მოინათლა 1878 წლის 8 ივლისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები გარას მარეს ძე აბაევი და სალომე ბერდას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ვასჟე ბესლანის ძე ქასაევი.

ტასია, დაიბადა 1877 წლის 2 დეკემბერს, მოინათლა 1878 წლის 18 ივლისს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები მარკიი (sic) ჯიმშერის ძე ბიდიხოვი და **ნინო ლევანის** ასული. მიმრქმელი – სოფელ მნას მცხოვრები დიმიტრი უმარას ძე ცაბოლოვი.

ვასილი, დაიბადა 5 მარტს, მოინათლა 18 ივლისს. მშობლები: ამავე სოფელს მცხოვრები **გლახა** იოთამის ძე გუდიევი და ჩიზნალი დამბოლას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები მარკიი ჯიმშერას ძე ბიდიხოვი.

მოსე, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 24 აგვისტოს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები გრიგოლ ბიჭიკოს ძე თავაევი და **თამარ** ბიტრას ასული. მიმრქმელი – თიანეთის უეზდის სოფელ ზემო თიანეთს მცხოვრები ანდრია დიმიტრის ძე ცალუღელაშვილი.

მარიამ, დაიბადა 1876 წლის 1 დეკემბერს, მოინათლა 1878 წლის 26 აგვისტოს. მშობლები: სოფელ აგაიანთას მცხოვრები ილია მიხეილის ძე აგაევი და მართა ბათას ასული. მიმრქმელი – სოფელ არშას (sic) მცხოვრები ივანე სვიმონის ძე ქარაევი³.

სოფიო, დაიბადა 12 სექტემბერს, მოინათლა 19 სექტემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ვასჟე ბესლანის ძე ქასაევი და გიგი აქშეშის ასული. მიმრქმელი – ლიმინსკის გუბერნიის, კოლისკის უეზდის სოფელ ედვაზნოს მცხოვრები ვალენტი ბარლოვსკი.

ტასია, დაიბადა 20 ოქტომბერს, მოინათლა 28 ოქტომბერს. მშობლები: ამავე სოფელს მცხოვრები გაბრიელ ყიბილას ძე ქასაევი და **ნინო** განის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები უცი გალას ძე აბაევი.

¹ მიმრქმელი არ წერია.

² ნათლობის თარიღი არ წერია.

³ მიმრქმელის სოფელი არასწორი უნდა იყოს.

ალექსანდრე, დაიბადა 10 ნოემბერს, მოინათლა 18 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები იორდანე ეფრემის ძე ქასაევი და ფათიმე ყავდიხანას ასული. მიმრქმელი – კურსკის გუბერნიის სოფელს სალამიდინსკში მცხოვრები იაგორ მაკიევას ძე ბულატიკოვი. სოფიო, დაიბადა 1877 წლის 1 დეკემბერს, მოინათლა 1878 წლის 18 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ქვემო ოქროყანას მცხოვრები ნიკოლოზ მოსეს ძე ქოქაევი და **ნინო** დავითის ასული. მიმრქმელი – კობის პრიხოლის მღვდელი გრიგოლ ზაქარიას ძე სვიანაიძე (sic).

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, თიანეთის უეზდის სოფელს სვიმანიანთ ხევს (sic) მცხოვრები გიორგი იესეს ძე მოხევიშვილი (sic). 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო სოფელ უხათში მცხოვრები **თეკლე** გაგის ასული¹. 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ სვიმანიანთხევს მცხოვრები: ივანე ბეკურაშვილი, მიხეილ საღირაშვილი, გამიხარდი ქიმბაჩიშვილი; სასძლოს მხრივ, სოფელ უხათს მცხოვრები ივანე აბეს ძე ცაბოლოვი, შიო თასის ძე ორთაევი (sic). ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები სოხედან (?) ბარანგას ძე ორთაევი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო სოფელ უხათს მცხოვრები სოფიო თასის ასული. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობს მცხოვრები ძიგა იაკობის ძე ზაქიევი, მათე სოსტას ძე თავაევი, სასძლოს მხრივ, სოფელ უხათს მცხოვრები შიო თასის ძე ორთაევი, ივანე თასის ძე ცაბოლოვი. ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები ანდრია ღუდას ძე თავაევი. 19 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო სოფელ ბაზილანას მცხოვრები მამიძან ნიკოლოზის ასული. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობს მცხოვრები: ალექსანდრე გისოს ძე ბიდაროვი, ივანე ბიჭიკოს ძე თავაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ ბაზილანას მცხოვრები ესტატე ნიკოლოზის ძე ყარაევი, ყირიმა გისოს ძე ძახაევი. ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

სასიძო, გორის უეზდის სოფელ ზღურბის (sic) პრიხოლის სოფელ სიბას მცხოვრები გიორგი სიგვას (sic) ძე ძანტიაშვილი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო სოფელ კობს მცხოვრები **მართა ერისთავას** (sic) ასული. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ სიბას მცხოვრები: ბიბო ძანდას ძე აბაევი, ანდრია ყულაღარას ძე ყალაგოვი; სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები **ერისთავა** თავაევი, ძიგა მარკოზის ძე ზაქიევი. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ უხათს მცხოვრები ყასპოლ თავუას (sic) ძე ბათაევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო სოფელ შავარდენში მცხოვრები **დარიკო** იაგორის ასული. 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ უხათს მცხოვრები: სოსტა ბერდას ძე თავაევი, გიორგი ყაჩრდის (sic) ძე თავაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები გრიგოლ ბერდიას ძე ქოქაევი, ყასპოლა საყდოს (?) ძე ქოქაევი. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

სასიძო, აბანოს სამრევლოს სოფელ ყარათყავას მცხოვრები ბესარიონ ქასას ძე ბულაცოვი. 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო სოფელ უხათს მცხოვრები **მაია** ბეპიზარას ასული. 24 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ყარათყავს მცხოვრები: შამინკა (sic) ბაზროს ძე ბულაცოვი, ძახო მათეს ძე ბულაცოვი. სასძლოს მხრივ, სოფელ უხათს მცხოვრები **სანდრო** გიორგის ძე ბათაევი, ბადუ მაჯეს ძე ურთაევი. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

¹ 1878 წლის ჯვრისწერის გრაფაში სასძლოს გვარი არ უწერიათ.

სასიძო, სოფელ თოღოგოთს მცხოვრები ივანე ბაბანას ძე ბულაცოვი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო სოფელ შავარდენში მცხოვრები ნატალია ყუდაბერდას ასული. 19 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ თოღოგოთს მცხოვრები სვიმონ სამიშვილი, გრიგოლ ღუდას ძე თავაევი; სასძლოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები ყასპოლ ბეპირას ძე თავაევი, ეგნატე ყუდაბერდის ძე ქოქაევი. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ბაზილანას (sic) მცხოვრები ივანე გისოს ძე ძახაევი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო სოფელ ნოყავს მცხოვრები **მაია** გაბისას ასული. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ბაზილანას მცხოვრები: ბიბო თევდორეს ძე აბაევი, ესტატე ნიკოლოზის ძე ყარაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ ნოყავს მცხოვრები ნიკოლოზ გაბისას ძე ყარაევი, გიბიცი ვასჭეს ძე ძილიევი. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

დაიკრძალნენ „თავიანთ აღმორჩეულს ძველთაგან სასაფლაოსა ზედა განწესებულისა“, კობში მცხოვრები გიორგი თავაევი გარდაიცვალა 27 იანვარს, დაიმარხა 29 იანვარს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

მნაში მცხოვრები ნაფი ქასაევი გარდაიცვალა 29 იანვარს, დაიმარხა 31 იანვარს. 54 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილისაგან.

ამავე სოფელს მცხოვრები ნაფი ქასაევის მეუღლე გიძო უმარას ასული გარდაიცვალა 29 იანვარს, დაიმარხა 31 იანვარს. 52 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

ქვემო ოქროყანას მცხოვრები მოსე ქოქაევი გარდაიცვალა 8 თებერვალს, დაიმარხა 10 თებერვალს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექისაგან.

კობში მცხოვრები პავლე სალბიშვილი გარდაიცვალა 8 თებერვალს, დაიმარხა 10 თებერვალს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელით.

ქვემო ოქროყანას მცხოვრები **ლევან** გუდიევის ასული მამო გარდაიცვალა 9 თებერვალს, დაიმარხა 11 თებერვალს. 5 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თავის ტკივილისაგან.

კობში მცხოვრები ალექსი თუაევი გარდაიცვალა 25 თებერვალს, დაიმარხა 27 თებერვალს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციებ-ცხელებისგან.

ზემო უხათს მცხოვრები გისო ბათაევი გარდაიცვალა 1 მარტს, დაიმარხა 4 მარტს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ცივებისაგან.

ზემო ოქროყანას მცხოვრები გიორგი ბიდიხოვი გარდაიცვალა 29 მარტს, დაიმარხა 31 მარტს. 5 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექისაგან.

თოღოგოთს მცხოვრები თავაევის¹ მეუღლე დარეჯან გარდაიცვალა 20 მარტს, დაიმარხა 31 მარტს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობისაგან.

ქვემო ოქროყანას მცხოვრები ადგირის² მეუღლე ადგა (sic) გარდაიცვალა 11 აპრილს, დაიმარხა 13 აპრილს. 48 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობისაგან (sic).

ნოყავს მცხოვრები სტეფანე ქოქაევი გარდაიცვალა 30 აპრილს, დაიმარხა 2 მაისს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის ტკივილისაგან.

კობში მცხოვრები ციცკა სალბიშვილის ძე ალექსანდრე გარდაიცვალა 7 მაისს, დაიმარხა 9 მაისს (sic). 6 თვის. გარდაცვალების მიზეზი – ხველებისაგან.

მნაში მცხოვრები არტემ ქასაევი გარდაიცვალა 11 სექტემბერს, დაიმარხა 12 სექტემბერს. 28 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულისტკივილისაგან.

¹ მეუღლის სახელი არ წერია.

² მეუღლის გვარი არ წერია.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №55

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1879 წელი**

**კობის ეკლესიის მღვდელი გრიგოლ სვიანაიძე (sic),¹ პრიჩეტნიკი სოფრომ კოლატაძე²
დაბადებულთათვის³**

სპირიდონი, დაიბადა 1877 წლის 3 მაისს, მოინათლა 1878 წლის 17 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ზემო უხათს მცხოვრები სახელმწიფო გლეხი⁴ **ლევან** თოთრატის ძე ქობულოვი და ნატალია **გლახას** ასული. მიმრქმელი – კობის პრიხოდის მღვდელი გრიგოლ სიანაიძე (sic).

დარეჯანი, დაიბადა 1 ნოემბერს, მოინათლა 15 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ნოაყავში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი მიხეილ ქუცირის ძე ბერეზოვი და ელისაბედ გინოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები ელისაბედ თოთოს მეუღლე ძაკაევი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, კობის ეკლესიის სამრევლოს სოფელ აგაიანთში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი გაბრიელ ძამბოლას ძე აგაევი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები **ნინო** ყუდას ასული თავაევი. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ აგაიანთში მცხოვრები: მიხეილ კულუხას ძე აგაევი, სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები გრიგოლ ფრის ძე ბიდიხოვი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: ნაფიდ ისოს ძე აბაევი, ზაქარია ისმეილის ძე ქოცაევი. ჯვარი დაიწერეს 27 იანვარს.

სასიძო, სოფელ უხათში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ალექსი გაგის ძე ქობულოვი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი გაგი მისოსტოვის ასული სოფიო. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ანდრია გისოს ძე ბათაევი, სოფელ უხათში მცხოვრები გრიგოლ დავითის (sic) ძე ქობულოვი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: ვლადიმერ ალექსის ძე მისოსტოვი, ალექსი მიხეილის ძე თავაევი. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, ტფილისის გუბერნიისა და გორის უეზდის და სოფელ ბრიტეულში (sic) მცხოვრები სახელმწიფო გლეხი, ოსთაგანი გაბრიელ მიხეილის ძე სლანოვი. 24 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ მნაში მცხოვრები ალექსანდრე ყუსაევის ასული დარიკო. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ აბანოს სამრევლოს სოფელ დესში მცხოვრები გიცა თემსრიყოს ძე ხამუცოვი, იგივე დესში მცხოვრები ვლადიმერ აბისის ძე ხამუცოვი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობის სამრევლოს სოფელ მნაში მცხოვრები: **ილიკო** დავითას ძე ქასაევი და სტეფანე დავითის ძე ჩაბოლოვი. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ შავარდენში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი იოსებ სიმონის ძე ბაბიევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ნოაყავაში (sic) მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ღუდა ძილიევის ასული მარინე. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები: გიორგი ივანეს ძე არჯინოვი, ანდრია გინოს ძე შავლუხოვი. სასძლოს მხრივ, სოფელ ნოაყავაში მცხოვრები: სოლომან ღუდას ძე ძილიევი, მიხეილ ქუცირის ძე ბერეზოვი. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

სასიძო, აბანოს სამრევლოს სოფელ ჯიმარაში (sic) მცხოვრები სახელმწიფო გლეხი, ოსთაგანი ანდრია დავითის ძე ბერეზოვი. 30 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი **გლახა** მათიევის ასული **დარიკო**. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ გიმარაში (sic) მცხოვრები ასაკო ზაბეს ძე ბერეზოვი, იმავე სოფელში მცხოვრები გიორგი თოთრაძის ძე ბერეზოვი. სასძლოს მხრივ,

სოფელ კობში მცხოვრები: **სანდრო გლახას** ძე ძათიევი, ყარასე უცის ძე აბაევი. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, ღუშეთის უეზდის ღუდის სამრევლოს სოფელ განისაში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ოსთაგანი მიტკა მოსეს ძე გადიშვილი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო გლეხის ძიდი ყარაევის ასული მაკა. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ განისაში მცხოვრები ვლადიმერ ქიფილის ძე გადიევი, ღუდის ეკლესიის მეორე პრიჩეტნიკი ბესო¹. სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: მიხეილ ისმეილის ძე ქოცაევი და დიმიტრი ძიდის ძე ყარაევი. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ნოაყავში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი გიორგი გათის ძე აბაევი. 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები სახელმწიფო გლეხი გიორგი ბიდიხოვის ასული ტასო. 15 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ნოაყავში მცხოვრები: თემირ გაბრიელის ძე სამოვი, **სანდრო** ღუდას ძე ძილიევი, სასძლოს მხრივ, სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები: ყასპოლათ ლექსის ძე გუდიევი, **გოგი** ბადურას ძე გუდიევი. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასძლო, სნოს ეკლესიის სამრევლოს სოფელ აჩხოტს მცხოვრები ივანე გრიგოლის ძე ბედოევი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ბაზილანში მცხოვრები სახაზინო გლეხი სალომე ნიკოლოზის ასული ყარაევი. 25 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ აჩხოტს მცხოვრები: ესტატე მოსეს ძე ბედოევი, ელიოზ ივანეს ძე ბედოევი. სასძლოს მხრივ, სოფელ ბაზილანში მცხოვრები: გრიგოლ ალექსის ძე ყარაევი, ნიკოლოზ სტეფანეს ძე აბაევი. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ უხათში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი სოლომან ფრანგას ძე ურთაევი. 29 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ მნაში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი მარინე ივანეს ასული ქოქაევი. 26 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ უხათში მცხოვრები: **ლევან** თოთრაძის ძე ქობულოვი და **ლევან** გაბის ძე ყუსაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ მნაში მცხოვრები დავით ივანეს ძე ქოქაევი, მიხეილ ბაქას ძე ყუსაევი. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ბაზილანში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ვლადიმერ გრიგოლის ძე ზაჩიევი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აჩხოტს მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ეკატერინე გიორგის ასული ბედოევი. 21 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ბაზილანში (sic) მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ზაურბეგ თოთოს ძე ძაკაევი, სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ივანე ყარამანის ძე ქასაევი. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

„არიან დასაფლავებულნი თავიანთ ძველებურს სასაფლაოში“.

ბაზილანში მცხოვრები ილია ელისბარის ძე აბაევი გარდაიცვალა 5 თებერვალს, დაიმარხა 6 თებერვალს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელა.

ბაზილანში მცხოვრები ნიკოლოზ აბაევის ძე დიმიტრი გარდაიცვალა 8 თებერვალს, დაიმარხა 9 თებერვალს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელასაგან.

ბაზილანში მცხოვრები ნიკოლოზ აბაევის ასული პელაგია გარდაიცვალა 11 თებერვალს, დაიმარხა 12 თებერვალს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელასაგან.

¹ გვარი არ წერია.

ბაზილანში მცხოვრები ქოქა აბაევის ასული ეკატერინე გარდაიცვალა 14 თებერვალს, დაიმარხა 15 თებერვალს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელასაგან.

ბაზილანში მცხოვრები ზნაურ ბულაცოვის ძე¹ გარდაიცვალა 17 თებერვალს, დაიმარხა 18 თებერვალს. 5 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელასაგან.

ბაზილანში მცხოვრები ვასილ თაკაევის ძე გიორგი გარდაიცვალა 21 თებერვალს, დაიმარხა 22 თებერვალს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელასაგან.

იგივე ვასილ თაკაევის ასული ოლღა გარდაიცვალა 26 თებერვალს, დაიმარხა 28 თებერვალს. 11 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელასაგან.

ბაზილანში მცხოვრები თოთი გაჯიევის ასული ოლღა გარდაიცვალა 3 მარტს, დაიმარხა 4 მარტს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელასაგან.

ბაზილანში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი²ივანე ძაკაევის ძე სვიმონი გარდაიცვალა 6 მარტს, დაიმარხა 7 მარტს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელასაგან.

უხათში³ მცხოვრები გლეხი ალექსანდრე ქობულაშვილის ასული სოფიო გარდაიცვალა 9 მარტს, დაიმარხა 10 მარტს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელასაგან.

ბაზილანში მცხოვრები ჭრბო გაჯიევის ასული **თამარი** გარდაიცვალა 12 მარტს, დაიმარხა 13 მარტს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელასაგან.

კობში მცხოვრები ალექსი მისოსტოვის ძე მიხეილი გარდაიცვალა 25 მარტს, დაიმარხა 27 მარტს. 28 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თოფისაგან.

კობში მცხოვრები პეტრე გათის ძე ბათაევი გარდაიცვალა 29 მარტს, დაიმარხა 1 აპრილს. 95 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობისაგან.

ქვემო ოქროყანას მცხოვრები გიორგი მოსეს ძე ქოქაევი გარდაიცვალა 11 აპრილს, დაიმარხა 13 აპრილს. 25 წლის. გარდაცვალების მიზეზი – დიდის ხნის ავადმყოფობითა.

უხათში მცხოვრები ჯიუნა (sic) სოსლანის ძე ბოქულოვი გარდაიცვალა 19 მაისს, დაიმარხა 21 მაისს. 98 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობისაგან.

უხათში მცხოვრები ყარამან გისოს ძე სმოვი (sic) გარდაიცვალა 24 მაისს, დაიმარხა 26 მაისს. 33 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალში დახრჩობით.

შავარდენს მცხოვრები სტეფანე საკლავას ძის ქოქაევის მეუღლე სოფიო რაფიელის ასული გარდაიცვალა 16 ნოემბერს, დაიმარხა 17 ნოემბერს. 36 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მშობიარობისაგან.

უხათში მცხოვრები ადამ ბათაევის ძე ისაკი გარდაიცვალა 18 დეკემბერს, დაიმარხა 20 დეკემბერს. 14 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თავის ანთებისაგან.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №69

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1894 წელი**

მღვდელი ბართლომე გარსიევი [გარსიაშვილი - ნ.შ.], მთავარდიაკონი ონისიმე კველიევი [კველიშვილი - ნ.შ.]

დაბადებულთათვის

ილღა, დაიბადა 1893 წლის 20 ნოემბერს, მოინათლა 1894 წლის 8 იანვარს. მშობლები:

¹ სახელი არ წერია.

² ამის შემდეგ ყველას უწერია „სახელმწიფო გლეხი“, სხვაგან აღარ ვუთითებთ.

³ წერია უხვათი.

სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი¹ ადამა ონოზას (sic) ძე ქოქაევი და **ნინო** მათეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები ზაქარია თოტას ძე ძაკაევი.

ნინო, დაიბადა 15 იანვარს, მოინათლა 28 იანვარს. მშობლები: სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები გიორგი მოსეს ძე ქოქაევი და სალომი (sic) ივანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ყირიმ თოთიკას ძე ყალაგოვი.

ლაზარე, დაიბადა 27 იანვარს, მოინათლა 2 თებერვალს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ზაურბეგ ნინიას ძე ქასაევი და მაგდანი ძიწინის (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები **ნიკალა** გოკის ძე ყარაევი.

ოლღა, დაიბადა 15 თებერვალს, მოინათლა 25 მარტს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ვასილი ყუდას ძე თავაევი და მართა ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის სოფელ სიბაში მცხოვრები და კობში მოვაჭრე გრიგოლ ვასილის ძე აბაევი.

დიმიტრი, დაიბადა 30 მარტს, მოინათლა 8 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები მიხეილ ნაოგას ძე თავაევი და ელისაბედ გიორგის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები მიხეილ ისმეილის ძე კოცევი (sic).

სოფიო, დაიბადა 16 მარტს, მოინათლა 18 აპრილს. მშობლები: სოფელ უხათს² მცხოვრები ივანე იორდანეს ძე ბათაევი და მარიამ თემრიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები **აბრამა** ბათრაძეს ძე თავაევი.

გიორგი, დაიბადა 1 აპრილს, მოინათლა 7 მაისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები გრიგოლ ფრანგას ძე ურთაევი და ბარბარე ნაოგას ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები გიორგი დავითის ძე ქობულოვი.

თევდორე, დაიბადა 12 აპრილს, მოინათლა 17 მაისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები **ლევან** გაბისას ძე ყუსაევი და ეკატერინე ნიკოლოზის ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები იორამ ივანეს ძე თავაევი.

ოლღა, დაიბადა 20 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები **ლევან** თოთრაძეს ძე ქობულოვი და ნატალია **გლახას** ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის სოფელ როკაში მცხოვრები ემარიყოს ასული ნინა თამაევი.

ვლადიმერი, დაიბადა 18 თებერვალს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ალექსანდრე თოთრაძეს ძე ქობულოვი და მარიამ აბეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები მიხეილის მეუღლე ეფემია ანდრიას ასული ზაქიევი.

პეტრე, დაიბადა 8 აპრილს, მოინათლა 5 ივნისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები თასო გინის ძე ბუქულოვი (sic) და **ნინო** თოთის ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები თემრიყო დავითის ძე ქობულოვი.

ნატალია, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები აბრამ დავითის ძე ზალაგოვი და მარიამ დუდას ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები მიხეილ გისოს ძე ბიდიხოვი.

სოფიო, დაიბადა 9 მარტს, მოინათლა 12 ივნისს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ყირიმ თოთიკას ძე ყალაგოვი და **დარიკო** ყარამანის ასული. მიმრქმელი – სიონის სამრევლოს სოფელ გორისციხეს მცხოვრები ალექსი გრიგოლის ძე ავსაჯანოვი [ავსაჯანიშვილი].

¹ ყველას უწერია სახელმწიფო გლეხი, სხვაგან ადარ ვუთითებთ.

² ყველგან წერია სოფელი უხვათი.

ოლღა, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 16 ივნისს. მშობლები: სოფელ ქვემო ოქროყანას მცხოვრები გიგო იოსების ძე ზადაგოვი და ელისაბედ თამსრიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ივანე ბიჭიკოს ძე თავაევი.

ევა, დაიბადა 9 აპრილს, მოინათლა 30 ივნისს. მშობლები: აბანოს ეკლესიის სამრევლოს სოფელ ყარათ ხევში (sic) მცხოვრები ანდრია ბაბანას ძე ბულაცოვი და ელისაბედ ელდარყოს ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის ზღუბირის ეკლესიის სამრევლოს სოფელ სიბაში მცხოვრები, დროებით კობში მოვაჭრე ივანეს მეუღლე ნინო ყასპოლას ასული.

სალომე, დაიბადა 20 მაისს, მოინათლა 2 ივლისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ლევან გობის ძე სალბიევი და ნინო ელისბარას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები მიხეილის ასული მარიამ თავაევი.

ისაკი, დაიბადა 18 მაისს, მოინათლა 2 ივლისს. მშობლები: სოფელ ნოყავაში (sic) მცხოვრები გაბრიელ ჯამბოლის ძე აგაევი და ნინო ყუდეს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მოვაჭრე ივანე ვასილის ძე აბაევი.

დიმიტრი, დაიბადა 1893 წლის 7 ოქტომბერს, მოინათლა 1894 წლის 20 ივლისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ივანე ისმეილის ძე ქოჩაევი და ქეთევან ელმირზას ასული. მიმრქმელი – კობის ეკლესიის მთავარდიაკონი დიონისე იოსების ძე კველიშვილი.

ბარბარე, დაიბადა 1893 წლის 10 ნოემბერს, მოინათლა 1894 წლის 20 ივლისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ნიკოლოზ ისმეილის ძე ქოჩაევი და ნინო ჯამბოლათის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები სიმონ ერისთავის ძე თავაევი.

იოსები, დაიბადა 1893 წლის 15 ოქტომბერს, მოინათლა 1894 წლის 22 ნოემბერს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები დიმიტრი ომარის ძე ჩაბოლოვი და მარიამ ბორყოს ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელ მოღვრევიდგან (sic) მცხოვრები ნიკოლოზ გიორგის ძე წამალაიძე.

ანა, დაიბადა 12 სექტემბერს, მოინათლა 22 ნოემბერს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები სტეფანე დავითის ძე ჩაბოლოვი და თამარ ანდრიას ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები ვასილის მეუღლე ნინო ძახოთის ასული ქასაევი.

სოლომანი, დაიბადა 13 ოქტომბერს, მოინათლა 26 ნოემბერს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ივანე აბეს ძე ჩაბოლოვი და სოფიო თამსიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ყარასეს მეუღლე ნინო გაუსას ასული აბაევი.

მიხეილი, დაიბადა 12 აგვისტოს, მოინათლა 10 დეკემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ყარამან ბესარიონის ძე ქასაევი და მარინე აბეს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ალექსანდრე ბესეს ძე ყარაევი.

სოფიო, დაიბადა 15 სექტემბერს, მოინათლა 26 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები ელისბარა ისმაილის ძე აბაევი და დოლეთხან ციცოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები გრიგოლ იაკობის ძე ზაჩიევი.

ქსენია, დაიბადა 7 ნოემბერს, მოინათლა 27 დეკემბერს. მშობლები: დუშეთის უეზდის სოფელ ყარათხევში (sic)¹ მცხოვრები ზნაურა აბრამის ძე ბულაცოვი და ნინო ბირთანის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები გიორგის მეუღლე ნინო გლახას ასული ზაჩიევი.

¹ იგივე სოფელი ყარათყავი.

ოლდა, დაიბადა 5 ოქტომბერს, მოინათლა 27 დეკემბერს. მშობლები: სოფელ თოღგოთს მცხოვრები ალექსანდრე ივანეს ძე ფიდაროვი (sic) და სალომე ცონგურას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები თოთის მეუღლე **ნინო** ნაოგის ასული გაჩიევი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ თოღგოთში მცხოვრები ალექსანდრე ვასილის ძე თავაევი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, გორის უეზდის ზღუბირის ეკლესიის სამრევლოს სოფელ სიბაში მცხოვრები **დარიკო** ჭებოს ასული გაგიშვილი. 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ბაზილანში მცხოვრები ნიკოლოზი ციცრის ძე აბაევი, სოფელ კობში მცხოვრები გაგი ციცკას ძე სალბიევი. რადგანაც ამათ წერა არ იცოდნენ ამათის თხოვნითა და ხელს (sic) ჩამორთმევით ხელს ვაწერ მთავარდიაკონი დიონისე კევლიევი. სასძლოს მხრივ, სოფელ სიბაში მცხოვრები: გრიგოლ რუხის ძე გაგიშვილი, გრიგოლ ძანგის ძე აბაევი. რადგანაც ამათ წერა არ იცოდნენ ამათის თხოვნითა და ხელს (sic) ჩამორთმევით ხელს ვაწერ მთავარდიაკონი დიონისე კევლიევი. ჯვარი დაიწერეს 22 სექტემბერს.

სასიძო, სოფელ ნოყავში მცხოვრები ნიკოლოზი გაბრიელის ძე სამოვი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო სოფელ შავარდენში მცხოვრები სალომე ალექსანდრეს ასული ქოქაევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, კობის ეკლესიის სამრევლოში მცხოვრები¹: გიორგი გათის ძე აბაევი, მიხეილ ქუცირის ძე ბერეზოვი, რადგანაც ამათ წერა არ იცოდნენ ამათის თხოვნითა და ხელს (sic) ჩამორთმევით ხელს ვაწერ მთავარდიაკონი დიონისე კევლიევი. სასძლოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები: ნიკოლოზი ალექსანდრეს ძე ქოქაევი, ყასპოლათი ალექსანდრეს ძე ქოქაევი. რადგანაც ამათ წერა არ იცოდნენ ამათის თხოვნითა და ხელს (sic) ჩამორთმევით ხელს ვაწერ მთავარდიაკონი დიონისე კევლიევი. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს

სასიძო, აბანოს სამრევლოს სოფელ ჩეთრის მცხოვრები აბრამ როსტომის ძე ქოქაევი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო სოფელ კობში მცხოვრები სოფიო ძარასას ასული ძანთიევი. 19 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ჩეთრის მცხოვრები: სოსლანბეგი ბაირას ძე ქოქაევი, სოსლამ ქუცირის ძე ქოქაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: გიორგი ვასილის ძე ქასაევი, ვლადიმერ სიმონის ძე აბაევი. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

„არიან დასაფლავებულნი თავიანთ ძველებურს სასაფლაოში“.

ბაზილანში მცხოვრები მიხეილ აზგერის ძე ძახაევი გარდაიცვალა 16 იანვარს, დაიმარხა 18 იანვარს. 98 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

უხათში მცხოვრები ციცი სოსთეს ძე თავაევი გარდაიცვალა 12 მარტს, დაიმარხა 14 მარტს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცარის ავანტყოფობით.

უხათში მცხოვრები იასე თავაევის მეუღლე გურძი გარდაიცვალა 17 აპრილს, დაიმარხა 19 აპრილს. 71 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ღიძის ხნის ავანტყოფობით.

კობში მცხოვრები ივანე რაჯაბას ძე მისოსტოვი გარდაიცვალა 2 ივნისს, დაიმარხა 4 ივნისს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალმანკისაგან.

მნაში მცხოვრები ყუდაბერდის ასული სოფიო აბაევი გარდაიცვალა 15 ივნისს, დაიმარხა 17 ივნისს. 11 წლის².

¹ სოფელი არ წერია.

² გარდაცვალების მიზეზი არ წერია.

აგაიანთში მცხოვრები ილიჩას ასული სოგო აგაევი გარდაიცვალა 17 ივლისს, დაიმარხა 19 ივლისს. 12 წლის¹.

უხათში მცხოვრები ალექსანდრეს ასული ნატალია ქობულოვი გარდაიცვალა 30 ივლისს, დაიმარხა 31 ივლისს. 10 წლის².

უხათში მცხოვრები გრიგოლის ძე გიორგი ქობულოვი გარდაიცვალა 1 აგვისტოს, დაიმარხა 3 აგვისტოს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშით.

უხათში მცხოვრები ალექსანდრეს ასული თინათინი ქობულოვი გარდაიცვალა 5 აგვისტოს, დაიმარხა 6 აგვისტოს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშით.

უხათში მცხოვრები დავითის ასული მართა ქობულოვი გარდაიცვალა 15 აგვისტოს, დაიმარხა 17 აგვისტოს. 11 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

უხათში მცხოვრები ყასპოლათის ძე თევდორე³ გარდაიცვალა 20 აგვისტოს, დაიმარხა 22 აგვისტოს. 16 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცელში ავანტყოფობით.

უხათში მცხოვრები ყასპოლათის ასული ოლდა⁴ გარდაიცვალა 23 აგვისტოს, დაიმარხა 25 აგვისტოს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

უხათში მცხოვრები ლევანის ძე თევდორე ყუსაევი გარდაიცვალა 1 სექტემბერს, დაიმარხა 3 სექტემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშით.

უხათში მცხოვრები ივანეს ასული ბარბარე ბათაევი გარდაიცვალა 7 სექტემბერს, დაიმარხა 9 სექტემბერს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყვავილით.

უხათში მცხოვრები თოთის ძე ვასილი თავაევი გარდაიცვალა 15 სექტემბერს, დაიმარხა 17 სექტემბერს. 6 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელასაგან.

უხათში მცხოვრები ელდარიყოს ძე ილია თავაევი გარდაიცვალა 19 სექტემბერს, დაიმარხა 21 სექტემბერს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელისაგან.

უხათში მცხოვრები თოთის ასული ნინო თავაევი გარდაიცვალა 25 სექტემბერს, დაიმარხა 27 სექტემბერს. 10 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალში დაიხრჩო.

უხათში მცხოვრები თოთის ასული სალომე თავაევი გარდაიცვალა 28 სექტემბერს, დაიმარხა 30 სექტემბერს. 13 წლის. გარდაცვალების მიზეზი – დიდ ხნის ავანტყოფობით.

უხათში მცხოვრები გოდოს ძე გრიგოლი სამოვი გარდაიცვალა 5 ნოემბერს, დაიმარხა 7 ნოემბერს. წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყვავილით.

უხათში მცხოვრები გაგის ასული ქსენია ქობულოვი გარდაიცვალა 9 ნოემბერს, დაიმარხა 11 ნოემბერს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

უხათში მცხოვრები როსტომის ასული სოფიო ძუკაევი გარდაიცვალა 15 ნოემბერს, დაიმარხა 17 ნოემბერს. 5 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრათ მოკვდა.

უხათში მცხოვრები გრიგოლის მეუღლე ნინო თავაევი გარდაიცვალა 20 ნოემბერს, დაიმარხა 22 ნოემბერს. 29 წლის. გარდაცვალების მიზეზი – დიდ ხნის ავანტყოფობითა.

კობში მცხოვრები ყარამანის ძე მიხეილი⁵ გარდაიცვალა 23 ნოემბერს, დაიმარხა 25 ნოემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტკივილით.

¹ გარდაცვალების მიზეზი არ წერია.

² გარდაცვალების მიზეზი არ წერია.

³ გვარი არ წერია.

⁴ გვარი არ წერია.

⁵ გვარი არ წერია.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №70

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1895 წელი

მღვდელი ბართლომე გარსიევი [გარსიაშვილი - ნ.შ.], მთავარდიაკონი დიონისე კველიევი
[კველიშვილი - ნ.შ.]

დაბადებულთათვის

გრიგოლი, დაიბადა 1894 წლის 21 ნოემბერს, მოინათლა 1895 წლის 4 იანვარს. მშობლები: სოფელ უხვათში¹ (sic) მცხოვრები სახელმწიფო გლეხი² ანდრია გისოს ძე ბათაევი და თეკლე გიორგის ასული. მიმრქმელი – სოფელ უხვათში მცხოვრები ლევანი ივანეს ძე თავაევი.

ნიკოლოზი, დაიბადა 1894 წლის 1 დეკემბერს, მოინათლა 1895 წლის 4 იანვარს. მშობლები: სოფელ უხვათში მცხოვრები ალაჯიყო გისოს ძე ბათაევი და მარიამ ციცკას ასული. მიმრქმელი – სოფელ უხვათში მცხოვრები კოსტანტინე ლევანის ძე ქობულოვი.

ალექსი, დაიბადა 1893 წლის 5 მარტს, მოინათლა 1895 წლის 4 იანვარს. მშობლები: სოფელ უხვათში მცხოვრები გოდი (sic) დუდას ძე სამოვი და სალომე ფარსეს ასული. მიმრქმელი – სოფელ უხვათში მცხოვრები ნიკოლოზი გაბრიელის ძე გუსაევი. ალექსანდრეს გვერდით სხვა ხელით უწერია: – „შენიშვნა. რადგან აქ არ უცხოვრიათ და აქა იქა სხვა ალაგებში ყოფილან, იმის მიზეზით დარჩომილა დიდი ხნის მოუნათლავი“.

ანნა, დაიბადა 1894 წლის 12 დეკემბერს, მოინათლა 1895 წლის 10 იანვარს. მშობლები: სოფელ შავარდენს მცხოვრები ვასილი ნინიას ძე არჩინოვი და ელისაბედ ყუდაბერდას ასული. მიმრქმელი – კობის მღვდელი ბართლომე შარმაზანის ძე გარსიევი.

სოფიო, დაიბადა [1894 წლის] 17 დეკემბერს, მოინათლა [1895 წლის] 12 იანვარს. მშობლები: სოფელ შავარდენს მცხოვრები ანდრია გინოს ძე შავლუხოვი და ნინო დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ შავარდენში მცხოვრები ჯამბულის მეუღლე სალომე ნინიას ასული საპიევი.

ბარბარე, დაიბადა 21 დეკემბერს, მოინათლა 18 იანვარს. მშობლები: სოფელ შავარდენს მცხოვრები ვასილი გლახას ძე ქოქაევი და სალომე ელისბარის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები მაგდანი ნიკოლოზის ასული შუდიევი.

სერგო, დაიბადა 1894 წლის 19 დეკემბერს, მოინათლა 1895 წლის 22 იანვარს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები ვლადიმერ გრიგოლის ძე ზაჩიევი და ელისაბედ გიორგის ასული. მიმრქმელი – კობში მოვაჭრე ილია გიორგის ძე ბურაშვილი (sic).

ზაქარია, დაიბადა 1894 წლის 15 ივნისს, მოინათლა 1895 წლის 6 თებერვალს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ყასპოლათი ალექსის ძე გუდიევი და თამარი გილის ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოყავში მცხოვრები ბესარიონ გაგის ძე აგაევი.

ნატალია, დაიბადა 1894 წლის 3 იანვარს, მოინათლა 1895 წლის 6 თებერვალს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ციცკა ძაკოს ძე გუდიევი და მარიამ ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – იქვე მცხოვრები მიხეილ გისოს ძე ბიდიხოვი.

ქსენია, დაიბადა 1894 წლის 12 იანვარს, მოინათლა 1895 წლის 9 თებერვალს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები ოსთაგანი გლეხი ათანასი გისოს ძე ძახაევი და გაიანე გაბისას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები გარდაცვალებულის თედო ისმეილის ძის აბაევის ქვრივი სალომე გამას ასული.

¹ სოფელ უხვათის მაგივრად ყველგან წერია სოფელი უხვათი, სხვაგან აღარ ვუთითებთ.

² თითქმის ყველას უწერია „სახელმწიფო გლეხი“, ამიტომ სხვაგან აღარ ვუთითებთ.

პავლე, დაიბადა 1895 წლის 15 თებერვალს, მოინათლა 16 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები აფაყო ვასილის ძე სალბიევი და მარიამ ძახოს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები სვიმონ **ერისთავას** ძე თავაევი.

იოსები, დაიბადა 9 იანვარს, მოინათლა 16 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ყარასე სვიმონის ძე აბაევი და **ნინო** გაუსას ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები ალექსი გაგის ძე ქობულოვი.

დარია, დაიბადა 11 თებერვალს, მოინათლა 16 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ნაფი ღუჩის ძე აბაევი და გოსამა ნიკოლოზის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობშივე მცხოვრები მიხეილ ყუდეს ძე თავაევი.

ვერა, დაიბადა 13 თებერვალს, მოინათლა 16 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ნიკოლოზ ისმეილის ძე ქოჩაევი და **ნინო** ჯანბოლას ასული. მიმრქმელი – სოფელ ყანობში მცხოვრები აგგეი (sic) იტონიევის მეუღლე ელისაბედ ელბიზის ასული.

ვახტანგი, დაიბადა 22 იანვარს, მოინათლა 17 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ივანე იგივე ასლამირზა ისმეილის ძე ქოჩაევი და **ქეთევან** ელმირზას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები დეკანოზ გიორგი იტონიევის ასული მარიამი მისოსტოვის ქვრივი.

იობი, დაიბადა 10 მარტს, მოინათლა 17 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები გიორგი ძიდის ძე ყარაევი და **ნინო** ციცის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები **დარეჯან** თოთოს მეუღლე ძაკაევის ქვრივი.

მარიამი, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 17 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ალექსი გაგის ძე ქობულოვი და სოფიო გაგის ასული. მიმრქმელი – სიონის სამრევლოს სოფელ გორისციხეს მცხოვრები იოსებ გიორგის ძე ავსაჯანოვი [ავსაჯანიშვილი].

დარია, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 18 აპრილს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები თომა ადამის ძე ბათაევი და სახარ გრიგოლის ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები კოსტა **ლევანის** ძე ქობულოვი.

ნიკოლოზი, დაიბადა 11 აპრილს, მოინათლა 27 მაისს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები გიორგი იგივე ყირიმ მიხეილის ძე ჯახაევი და სოფიო ცოფანას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრებელი და კობში მოვაჭრე ივანე გრიგოლის ძე ღუდიევი.

ვასილი, დაიბადა 16 მარტს, მოინათლა 1 ივნისს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ალექსანდრე ზაურბეგის ძე ქოქაევი და **თეკლე** ფაცოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები გრიგოლ სტეფანეს ძე აბაევი.

ივანე, დაიბადა 10 თებერვალს, მოინათლა 1 ივნისს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები გრიგოლ ნაფის ძე ქასაევი და ეკატერინე სოლომანის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები ალექსანდრე ქოქაევის მეუღლე **თეკლე** ფაცოს ასული.

დავითი, დაიბადა 5 მარტს, მოინათლა 8 ივნისს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები ოსი **გიგო** იასეს ძე გუდიევი და **თამარი** თოთრაძის ასული. მიმრქმელი – სოფელ ქვემო ოქროყანას მცხოვრები გარდაცვალებული **ლევანა** გუდიევის მეუღლე ქვრივი მარიამ ძახოს ასული.

გიორგი, დაიბადა 9 თებერვალს, მოინათლა 25 ივნისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები შიო თასოს ძე ქოქაევი და მაგდანი მახამათას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები გრიგოლ ზაჩიევის ასული მარინე.

კოსტანტინე, დაიბადა 15 მაისს, მოინათლა 8 ივლისს. მშობლები: სოფელ აბანოს სამრევლოს სოფელ ცოცოლთაში მცხოვრები სვიმონა ძანაღდის ძე ძანთიევი და სალომე იგივე ზალი ძიდის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყანობში მცხოვრები შიო სვიმონის ძე კობიოვი (sic) [კობიაშვილი].

ვლადიმერი, დაიბადა 1894 წლის 26 დეკემბერს, მოინათლა 11 ივლისს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები მიხეილ ბაქას ძე ქასაევი და **ნინო** ძახოს ასული. მიმრქმელი – აბანოს სამრევლოს სოფელ გიმარაში მცხოვრები ციცკა ზაბეს ძე ბერეზოვი.

მაგდანი, დაიბადა 10 თებერვალს, მოინათლა 11 ივლისს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები აფაყო ალექსის ძე ჩაბოლოვი და ლიზა ზოგის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები ესტატე ბერდიყას ძე აბაევი.

ოლღა, დაიბადა 1893 წლის 5 ნოემბერს, მოინათლა 11 ივლისს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრებ ბერდიყას მეუღლე ქერიკ სოფიო ბერას ასულს უკანონოთ დაებადა შვილი. მიმრქმელი – სოფელ ქვემო ოქროყანას მცხოვრები ჯახო არჯინოვის მეუღლე მარიამი ქოქას ასული. – რადგანაც ამ პრიზოდში არ იმყოფებოდნენ ამის მიზეზით დარჩომილან დიდი ხნის მოუნათლავნი.

დიმიტრი, დაიბადა 30 მარტს, მოინათლა 11 ივლისს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები სალომე თოთიკის ასულ ქოქაევის უკანონოდ დაბადებული შვილი. მიმრქმელი – აბანოს სამრევლოს სოფელ ყარათხევში (sic) მცხოვრები ელისაბედ თაოსოს ასული ბულაცოვი.

გიორგი, დაიბადა 27 მაისს, მოინათლა 11 ივნისს. მშობლები: გორის უეზდის სოფელ სიბაში მცხოვრები, დროებით კობში მცხოვრები, მოვაჭრე ივანე ვასილის ძე აბაევი და **ნინო** ყასპოლათის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მოვაჭრე დიმიტრი შაველის ძე ჩაბოლოვი. სოფიო, დაიბადა 8 ივლისს, მოინათლა 17 აგვისტოს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ოსი ზაურბეგ ალინბეგის ძე თავაევი და [სოფიო]¹ **ბიბოს** ასული. მიმრქმელი – კობის სამრევლოში მცხოვრები ათანასე მიხეილის ძე ძახაევი.

ზაქარია, დაიბადა 24 მკათათვეს [ივლისს], მოინათლა 20 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები ოსთაგანი გრიგოლ ალექსის ძე ყარაევი და სოფიო გაბრიელის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები ოსთაგანი ანდრია (ციცკა) ბეპიზარას ძე თავაევი.

მარიამი, დაიბადა 25 თებერვალს, მოინათლა 21 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ნოყავაში (sic) მცხოვრები ნიკოლოზ გაბრიელის ძე სამოვი და სალომე ანდრიას ასული. მიმრქმელი – სოფელ გორისციხეს მცხოვრები ივანე შიოს ძე ჩქარეული.

ელისაბედი, დაიბადა 1 ოქტომბერს, მოინათლა 25 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები გიორგი ჯამბოლათის ძე ზაჩიევი და **ნინო გლახას** ასული. მიმრქმელი – კობის სტანციის ბუფეჩიკი სალომი (sic) ილიას მეუღლე ბურაევი.

ზაქარია, დაიბადა 10 აგვისტოს, მოინათლა 26 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ სიონში მცხოვრები გიორგი გრიგოლის ძე ფაჯიშვილი და **ნინო ლევანის** ასული. მიმრქმელი – კობის სამრევლოში მცხოვრები იორამი ივანეს ძე თავაევი.

ნინო, დაიბადა 5 აგვისტოს, მოინათლა 26 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ალექსანდრე აბეს ძე ჩაბოლოვი და ელისაბედ დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ სიონში მცხოვრები თევდორე ნიკოლოზის ძე ღუდუშაური.

¹ ახალშობილის დედის სახელი აღვადგინეთ ამავე წლის გარდაცვალებულთა გრაფის მიხედვით, იხ. კობში მცხოვრები ზაურბეგის მეუღლე სოფიო თავაევი ...

ზაქარია, დაიბადა 16 სექტემბერს, მოინათლა 28 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები გიგო ფრეს ძე ბიდიხოვი და მარიამ ლევანის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყანობში მცხოვრები ალექსი გიორგის ძე კობიევი [კობიაშვილი].

ისაკი, დაიბადა 26 ივლისს, მოინათლა 1 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ანდრია ღუდას ძე თავაევი და ანა ნიკოლოზის ასული. მიმრქმელი – ღუშეთში მცხოვრები გრიგოლი იოსების ძე აზიზოვი.

სვიმონი, დაიბადა 9 სექტემბერს, მოინათლა 3 ნოემბერს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები გაბრიელ სვიმონის ძე ბაბიევი და მარიამ ანდრიას ასული. მიმრქმელი – სოფელ ყანობში მცხოვრები ივანე იოსების ძე კობიევი [კობიაშვილი].

გრიგოლი, დაიბადა 27 ივლისს, მოინათლა 3 ნოემბერს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ესტატე გლახას ძე ქოქაევი და ელისაბედ თეკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყანობში მცხოვრები გიორგი ლევანის ძე კობიევი [კობიაშვილი].

ნინო, დაიბადა 10 აგვისტოს, მოინათლა 12 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები კიკო იოსების ძე ზაღაგოვი და სალომე ცორეს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მოვაჭრე ივანე ვასილის ძე აბაევი.

ანნა, დაიბადა 20 მარტს, მოინათლა 12 ნოემბერს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ძაკო ღუდას ძე თავაევი და სახარ ქუცირის ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები ვასილი დავითის ძე სამოვი.

გიორგი, დაიბადა 12 მაისს, მოინათლა 27 დეკემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სახაზინო გლეხი, ოსთაგანი ანდრია გლახას ძე ძათიევი და ეფემია ზაურბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები მიხეილი ყუდას ძე თავაევი.

დიმიტრი, დაიბადა 1 ნოემბერს, მოინათლა 31 დეკემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სახაზინო გლეხი, ოსთაგანი სიმონ ერისთავის ძე თავაევი და ელისაბედ თათალოს ასული. მიმრქმელი – სოფელ გორისციხეს მცხოვრები ალექსი გრიგოლის ძე ავსაჯანოვი [ავსაჯანიშვილი].

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სნოს ეკლესიის სამრევლოს სოფელ აჩხოტში მცხოვრები გიორგი ივანეს ძე ბედოევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები მარიამ კუტრის ასული აბაევი. 21 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ აჩხოტში მცხოვრები: ილია გიორგის ძე ბედოევი, ელიოზი ივანეს ძე ბედოევი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: სიმონ ისმეილის ძე კოცევი (sic), ვასილი ადამის ძე თავაევი. ჯვარი დაიწერეს 8 ნოემბერს.

სასიძო, აბანოს სამრევლოს სოფელ დესს მცხოვრები ივანე ბიდოს ძე ხამუცოვი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი მართა თოთრადის ასული ყარაევი. 21 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ დესს მცხოვრები: ყასპოლ ყარაღაევი, ზაურბეგ ბიზიკას ძე ხამუცოვი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობს მცხოვრები: ივანე თოთრადანას ძე ყარაევი, მიხეილ ელდარყოს ძე ყარაევი. ჯვარი დაიწერეს 8 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ შავარდენში მცხოვრები ბორის ყუდაბერდის ძე ქოქაევი. 24 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ უხვათში მცხოვრები მარიამ გრიგოლის ასული¹. 22 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები ვასილი ალხასტის ძე არჯინოვი, სოფელ შავარდენში მცხოვრები გიორგი ნინიას ძე

¹ გვარი არ წერია.

არჩინოვი, სასძლოს მხრივ, სოფელ უხათში მცხოვრები სოლომან ფრანგის ძე ურთაევი, სოფელ გორისციხეში მცხოვრები გიორგი გიორგის ძე ჩქარეული. ჯვარი დაიწერეს 8 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

ზემო ოქროყანას მცხოვრები გისოს მეუღლე თოთრიძან ბიდიხოვი გარდაიცვალა 26 იანვარს, დაიმარხა 28 იანვარს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მჭვალისაგან.

ნოყავში მცხოვრები ოსი ივანე ციბოს ძე აბაევი გარდაიცვალა 16 თებერვალს, დაიმარხა 18 თებერვალს. 23 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექითა. აზიარა და წესი აუგო სიონის პრიხოდის მღვდელმა ზაქარია კობაიძემ.

შავარდენს მცხოვრები ოსი ყარასე გაბრიელის ძე სალბიევი გარდაიცვალა 8 მარტს, დაიმარხა 10 მარტს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ზოვმა დაიტანა.

ოქროყანას მცხოვრები ზაქარია ადამას ძე ქოქაევი გარდაიცვალა 20 მაისს, დაიმარხა 22 მაისს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიჭლექით.

უხათში მცხოვრები ივანე ყავდინის ძე თავაევი გარდაიცვალა 25 მაისს, დაიმარხა 27 მაისს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – საოფლით.

უხათში მცხოვრები ელისაბედ დუდას მეუღლე თავაევი გარდაიცვალა 15 ივნისს, დაიმარხა 17 ივნისს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიბერისაგან.

კობში მცხოვრები ზაურბეგის მეუღლე სოფიო თავაევი გარდაიცვალა 27 ივლისს, დაიმარხა 29 ივლისს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მშობიარობაზედ.

კობში მცხოვრები ოსი ივანეს ძე **ვახტანგი** ქოჩაევი (sic) გარდაიცვალა 3 აგვისტოს, დაიმარხა 5 აგვისტოს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელასაგან.

კობში მცხოვრები ბარბარე ნიკოლოზის ასული¹ გარდაიცვალა 9 აგვისტოს, დაიმარხა 11 აგვისტოს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელასაგან.

კობში მცხოვრები ოსი აბრამის ასული ოლდა თავაევი გარდაიცვალა 12 აგვისტოს, დაიმარხა 13 აგვისტოს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წითელასაგან.

ნოყავში მცხოვრები გიორგის მეუღლე ანასტასია გიორგის ასული აბაევი გარდაიცვალა 20 ოქტომბერს, დაიმარხა 22 ოქტომბერს. 20 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მშობიარობაზედ.

ბაზილანში მცხოვრები დავით ჯიმშერის ძე ზაჩიევი გარდაიცვალა 8 დეკემბერს, დაიმარხა 10 დეკემბერს. 65 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრათ.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №71

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1896 წელი**

მღვდელი ბართლომე გარსიევი [გარსიაშვილი - ნ.შ.], მთავარდიაკონი დიონისე კველიევი [კველიშვილი - ნ.შ.]

დაბადებულთათვის

აბრამი, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 25 იანვარს. მშობლები: სოფელ ნოყავში მცხოვრები ანდრია დუდარას ძე ძილიევი და მაგდანი ბაღუს ასული. მიმრქმელი – აბანოს სამრევლოს სოფელ ყარათყავს მცხოვრები ივანე ბაბანას ძე ბულაცოვი.

¹ გვარი არ წერია.

მაკა, დაიბადა 5 იანვარს, მოინათლა 25 იანვარს. მშობლები: სოფელ აბანოს სამრევლოს სოფელ ყარათყავას მცხოვრები სახელმწიფო გლეხი¹ ივანე ბაბაას ძე ბულაცოვი და ნატალია ყუდაბერდას ასული. მიმრქმელი – სოფელ თოღგოთს მცხოვრები ვასილი ალექსის ძე თავაევი.

ვლადიმერი, დაიბადა 1895 წლის 10 ნოემბერს, მოინათლა 1896 წლის 12 აპრილს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები ოსთაგანი ნიკოლოზ თევდორეს ძე აბაევი და ეკატერინე გიორგის ასული. მიმრქმელი – კობის პრიხოლის მღვდელი ბართლომე გარსიევი.

ნინო, დაიბადა 1895 წლის 5 სექტემბერს, მოინათლა 1896 წლის 13 აპრილს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ოსთაგანი დავით ივანეს ძე ქოქაევი და მარიამ ნიკოლოზის ასული. მიმრქმელი – სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები **ლევანის** მეუღლე მარიამ გუდიევის ქვრივი.

ალექსანდრე, დაიბადა 1896 წლის 10 თებერვალს, მოინათლა 20 მაისს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები იოსებ სიმონის ძე ბაბიევი და მარიამ დუდარას ასული. მიმრქმელი – სოფელ ყანობში მცხოვრები ივანე იოსების ძე კობიევი [კობიაშვილი].

ეკატერინე, დაიბადა 20 აპრილს, მოინათლა 27 მაისს. მშობლები: სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები ოსთაგანი ვასილ ალხაზის ძე არჯინოვი და **თექლე** საბანას ასული. მიმრქმელი – კობის პრიხოლის მღვდელი ბართლომე შერმაზანის ძე გარსიევი.

გრიგოლი, დაიბადა 5 მარტს, მოინათლა 28 მაისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი ვლადიმერ სიმონის ძე აბაევი და სოფიო სოლომანის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები მიხეილ ისმეილის ძე ქოცაევი.

ოღლა, დაიბადა 9 მარტს, მოინათლა 28 მაისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი ნაფი ღურმიშხანის ძე აბაევი და გოსამა ნიკოლოზის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები მიხეილის მეუღლე ბარბარე მოსეს ასული².

ქსენია, დაიბადა 1895 წლის 8 სექტემბერს, მოინათლა 1896 წლის 28 მაისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ვასილი ადამის ძე თავაევი და მაგდან ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის სოფელ სიბაში მცხოვრები და კობში მოვაჭრე გრიგოლ ვასილის ძე აბაევი.

თევდორე, დაიბადა 28 იანვარს, მოინათლა 17 ივნისს. მშობლები: სოფელ უხათში³ მცხოვრები ოსთაგანი ივანე იორდანეს ძე ბათაევი და მარიამი მისრიყოს ასული. მიმრქმელი – დიაკონი დიონისე კევლიევი.

ქსენია, დაიბადა 9 თებერვალს, მოინათლა 24 ივნისს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ოსთაგანი მიხეილ გისის ძე ბიდხოვი და ნატალია თევდორეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოყავში მცხოვრები ოსთაგანი ივანე ბიბოს ძე აგაევი.

პლატონი, დაიბადა 5 იანვარს, მოინათლა 1 ივლისს. მშობლები: სოფელ ნოყავში მცხოვრები ოსთაგანი მიხეილ ილიჩას ძე აგაევი და ტასია ნალიყას ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ოსთაგანი ყასპოლათ ალექსის ძე გუდიევი.

პელაგია, დაიბადა 20 იანვარს, მოინათლა 1 ივლისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი ძარახ გაძას ძე წანტიევი (sic) და ყიზმიდე იგივე სალომე ბერდას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი ივანე თითიკოს ძე ქასაევი.

¹ ყველას უწერია „სახელმწიფო გლეხი“, სხვაგან აღარ ვუთითებთ.

² გვარი არ წერია.

³ ამ წლის აღწერაში ყველგან წერია სოფელი უხვათი, სხვაგან აღარ ვუთითებთ.

ქსენია, დაიბადა 25 მარტს, მოინათლა 1 ივლისს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები ოსთაგანი ვლადიმერ გაპის ძე ზაჩიევი და ელისაბედ თამსრიყოს ასული. მიმრქმელი – ქალაქ ღუშეთში მცხოვრები კობის სტანციის ბუფეტჩიკი ილია გიორგის ძე ბურაევი.

სტეფანე, დაიბადა 22 ივნისს, მოინათლა 2 ივლისს. მშობლები: სოფელ თოღგოს მცხოვრები ოსთაგანი ალექსანდრე ვასილის ძე თავაევი და **დარიკო** ჭებოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები ოსთაგანი ნიკოლოზ ივანეს ძე აბაევი.

ალექსანდრე, დაიბადა 18 მაისს, მოინათლა 2 ივლისს. მშობლები: სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები გაბრიელ დავითის ძე ზაღაგოვი და სოფიო ყასპოლათის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ოსთაგანი მიხეილ ყასპოლათის ძე გუდიევი.

ვასილი, დაიბადა 10 თებერვალს, მოინათლა 3 ივლისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი სიმონ ეფრემის ძე ქასაევი და გიგი ბაირას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი ბეჩერ იორდანეს ძე თაკაევი.

პავლე, დაიბადა 9 ივნისს, მოინათლა 29 ივლისს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები ოსთაგანი მიხეილ ჯამბოლის ძე ზაჩიევი და ეფემია ანდრიას ასული. მიმრქმელი – ქ. კავკაზში მცხოვრები ანდრია გიორგის ძე ანდრიევი.

დიმიტრი, დაიბადა 5 ივნისს, მოინათლა 28 ივლისს. მშობლები: სოფელ ბიდარაში მცხოვრები ციცა (sic) ბიჭიკოს ძე ბიდაროვი და **ნინო** ჯივოს ასული. მიმრქმელი – სოფელ არახვეთში მცხოვრები ვასილი ნინიას ძე ბურდული.

სოლომანი, დაიბადა 20 მარტს, მოინათლა 9 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ოსთაგანი ონეზ ნანეს ძე ქოქაევი და სალომე იასეს ასული. მიმრქმელი – სოფელ გორისციხეში მცხოვრები გიორგი გიორგის ძე ჩქარეული.

ოღლა, დაიბადა 1 სექტემბერს, მოინათლა 13 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი მიხეილ ელძარიყოს ძე ყარაევი და სახთის სტეფანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი ზაქარია გაბრიელის ძე ქასაევი.

სოფიო, დაიბადა 16 ოქტომბერს, მოინათლა 14 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი გიორგი ვასილის ძე ქასაევი და ანა გიორგის ასულ. მიმრქმელი – კობის ეკლესიის დიაკვანი დიონისე კეკელიევი.

ყარამანი, დაიბადა 18 ივლისს, მოინათლა 15 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი ივანე ისმეილის ძე კოცაევი (sic) და **ქეთევან** ძახოთას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი ძიდი დოჯეს ძე ყარაევი.

ბაგრატი, დაიბადა 15 ოქტომბერს, მოინათლა 13 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები ოსთაგანი ადამა ონეზას ძე ქოქაევი და **ნინო** გათეს ასული. მიმრქმელი – კობის ეკლესიის მთავარდიაკონი დიონისე კეკელიევი.

სალომე, დაიბადა 21 სექტემბერს, მოინათლა 15 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები ოსთაგანი პავლე ზაურბეგის ძე ძაკაევი და მაკა ყასპოლათის ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის სოფელ სიბაში მცხოვრები, დროებით კობში მოვაჭრე ივანე ვასილის ძე აბაევი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი ივანე ბატრაძეს ძე ბიგანოვი. 50 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენში მცხოვრები მაგდანი ყულა ბერდას (sic) ასული ქოქაევი. 35 წლის. მეორე ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი: **გლახა** კაძას (sic) ძანთიევი, დიმიტრი ძიდის ძე ყარაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ

შავარდენში მცხოვრები ოსთაგანი: გრიგოლ ყუდაბერდის ძე ქოქაევი, გიორგი ივანეს ძე არჯინოვი. ჯვარი დაიწერეს 13 ნომბერს.

სასიძო, სოფელ მნაში მცხოვრები გაბრიელ ყუდას ძე გუთნოვი (sic). 30 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ მნაში მცხოვრები ოსთაგანი სოფიო ბერდას ასული აბაევი. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები ოსთაგანი: ადამა ონეზას ძე ქოქაევი, ნიკოლოზ გრიგოლის ძე შუდიევი (sic). სასძლოს მხრივ, სოფელ მნაში მცხოვრები გლეხი ოსთაგანი: მიხეილ ყუდაბერდის ძე აბაევი, ზემო ოქროყანაში მცხოვრები ნილიყ გიცას ძე აბაევი. ჯვარი დაიწერეს 13 ნომბერს. სასიძო, აბანოს სამრევლოს სოფელ სავატიის მცხოვრები ოსთაგანი მიხეილ ცორეს ძე ქასაევი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები ოსთაგანი **ნინო ლევანის** ასული გუდიევი. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ აბანოს სამრევლოს სოფელ ზადაგორს (sic)¹ მცხოვრები ოსთაგანი სერგო ივანეს ძე ქეთოევი, სოფელ სავატიის მცხოვრები ოსთაგანი ვასილი ღუდას ძე ქასაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები ოსთაგანი გრიგოლ ლევანის ძე გუდიევი, სოფელ ბაზილანში მცხოვრები ოსთაგანი თოთ გიორგის ძე აბაევი. ჯვარი დაიწერეს 15 ნომბერს.

გარდაცვალებულთათვის²

მნაში მცხოვრები გაბრიელის მეუღლე ნინო გუთნოვი (sic) გარდაიცვალა 9 მარტს, დაიმარხა 10 მარტს. 24 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მშობიარობაზედ.

ნოყაჰში მცხოვრები კულო (sic) ელოვი (sic) [ელოევი] გარდაიცვალა 5 მაისს, დაიმარხა 6 მაისს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობისგან.

კობში მცხოვრები ალექსანდრე ყარაევი გარდაიცვალა 16 მაისს, დაიმარხა 17 მაისს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიჭლექით.

უხათში მცხოვრები ჰავლე ალექსანდრეს ძე ჩაბოლოვი გარდაიცვალა 21 მაისს, დაიმარხა 22 მაისს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

უხათში მცხოვრები გიორგის მეუღლე ანა თავაევი გარდაიცვალა 31 მაისს, დაიმარხა 1 ივნისს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – დიდისხნის ავთმყოფობით.

კობში მცხოვრები **ლევანი** ფარსას ძე ქასაევი გარდაიცვალა 3 ივნისს, დაიმარხა 4 ივნისს. 29 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩიხოტკით.

კობში მცხოვრები დავითის მეუღლე მარიამ აბაევი გარდაიცვალა 14 ივნისს, დაიმარხა 15 ივნისს. 71 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობისაგან.

ბაზილანში მცხოვრები ვასილი გიორგის ძე ძახაევი გარდაიცვალა 17 ივნისს, დაიმარხა 19 ივნისს. 15 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალში დაიხრჩო.

¹ იგულისხმება სოფელი ზაყაგორი.

² არ უწერიან დაკრძალვის ადგილი.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №72

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1897 წელი**

**მღვდელი ბართლომე გარსიევი [გარსიაშვილი - ნ.შ.], მთავარდიაკონი დიონისე კველიევი
[კველიშვილი - ნ.შ.]**

დაბადებულთათვის

ნინა, დაიბადა 1896 წლის 5 აპრილს, მოინათლა 1897 წლის 14 თებერვალს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები სახაზინო გლეხი ყასპოლათი საკლავას ძე ქოქაევი და სოფიო ქიცირის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები სახაზინო გლეხი¹ ოსთაგანი ალექსანდრე ზაურბეგის ძე ქაშოევი.

ოლღა, დაიბადა 1896 წლის 5 ნოემბერს, მოინათლა 1897 წლის 14 თებერვალს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ოსთაგანი გრიგოლ **ნინიას** ძე არჩინოვი და მარიამ ონეზას ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები ოსთაგანი ალექსი **გლახას** ძე ქასაევი.

ქსენია, დაიბადა 1897 წლის 9 თებერვალს, მოინათლა 14 თებერვალს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ოსთაგანი იაკობ გინოს ძე შავლუხოვი და ბარბარე ბაბანას ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოაყავში მცხოვრები ივანე ბიბოს ძე აგაევი ოსთაგანი.

ბესარიონი, დაიბადა 9 თებერვალს, მოინათლა 14 თებერვალს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ძამბოლათი რაფიელის ძე საპიევი და სალომე ჯინოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოაყავაში მცხოვრები მიხეილ ქუცირის ძე ბერეუოვი.

ვასილი, დაიბადა 1897 წლის 7 იანვარს, მოინათლა 15 თებერვალს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ოსთაგანი მოსე ძიწილის ძე ზაჩიევი და მარინე თასოს ასული. მიმრქმელი – აბანოს ეკლესიის სამრევლოს სოფელ² ...

ვასილი, დაიბადა 9 მარტს, მოინათლა 10 მაისს. მშობლები: სოფელ თოღგოთს მცხოვრები ალექსანდრე თეკოს ძე ბიდაროვი და სალომე ცონგურას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილაანში (sic) მცხოვრები თოთი გაგის ძე აბაევი.

ანა, დაიბადა 11 იანვარს, მოინათლა 10 მაისს. მშობლები: სოფელ ბაზილაანში მცხოვრები ყირიმ გისოს ძე ძახიევი და სოფიო ცოფანას ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელ ფასანაურში მცხოვრები, დროებით კობში მოვაჭრე ივანე გრიგოლის ძე გუდიევი.

ოლღა, დაიბადა 4 იანვარს, მოინათლა 10 მაისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ანდრია ივანეს ძე თავაევი და ნინო ფარსეს ასული. მიმრქმელი – სოფელ სტეფანწმინდაში მცხოვრები ზაქარია ბადურის ძე ყაზიბეგი.

ვლადიმერი, დაიბადა 9 მარტს, მოინათლა 5 ივნისს. მშობლები: სოფელ ბაზილაანში მცხოვრები გრიგოლ ალექსის ძე ყარაევი და ელისაბედი გაბრიელის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილაანში მცხოვრები ოსთაგანი ანდრია ბეპუზარის ძე თავაევი.

ვასილი, დაიბადა 16 იანვარს, მოინათლა 5 ივნისს. მშობლები: სოფელ ბაზილაანში მცხოვრები ესტატე ნიკოლოზის ძე ყარაევი და ჩაბე გიდის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბიდარაში მცხოვრები ოსთაგანი ვლადიმერ დიმიტრის ძე ბიდაროვი.

ზაქარია, დაიბადა 9 მარტს, მოინათლა 6 ივნისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ალექსანდრე აბეს ძე ჩაბოლოვი და ელისაბედ დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი ვლადიმერ ალექსის ძე მისოსტოვი.

¹ სახაზინო გლეხს სხვაგან ადარ ვუთითებთ.

² სოფელი და მიმრქმელი არ წერია.

გიორგი, დაიბადა 27 აპრილს, მოინათლა 6 ივნისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ოსთაგანი ივანე აბეს ძე ჩაბოლოვი და სოფიო თამასრიყოს ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის ზღუბირის სამრევლოს სოფელ სიბაში მცხოვრები ოსთაგანი ბაზირ გაუსას ძე ზორაევი.

სოფიო, დაიბადა 15 მარტს, მოინათლა 28 ივლისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები გრიგოლ ფრანგას ძე ურთაევი და ბარბარე ვასილის ასული. მიმრქმელი – სოფელ წეროვანში მცხოვრები ნიკოლოზ იოსების ძე სუხაშვილი.

მარიამი, დაიბადა 10 თებერვალს, მოინათლა 28 ივლისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები სოსლან ფრანგას ძე ურთაევი და მარინე ივანეს ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელ შამაბუროში მცხოვრები კოსტანტინე გაბრიელის ძე გიგაური.

დარეჯანი, დაიბადა 25 მაისს, მოინათლა 28 ივლისს. მშობლები: სოფელ თოღგოთს მცხოვრები ოსთაგანი ანდრია აცამას ძე ბულაცოვი და სალომე დუდას ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები **ნინო** ჯამბოლას მეუღლე ზაჩიევი.

ანნა, დაიბადა 29 აპრილს, მოინათლა 28 ივლისს. მშობლები: სოფელ ნოაყავაში მცხოვრები მიხეილ ქუცირის ძე ბერეზოვი და ელისაბედ გინოს ასული. მიმრქმელი – დუშეთის მოქალაქე გრიგოლ იოსების ძე აზიზოვი.

ნატალია, დაიბადა 11 მარტს, მოინათლა 29 ივლისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ოსთაგანი თომა ადამის ძე ბათაევი და სახარ გრიგოლის ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები პელაგია გაგის ასული ქობულოვი.

მარიამი, დაიბადა 5 ივნისს, მოინათლა 10 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი ძარახა გაძას ძე დანთიევი და სოფიო ბერდას ასული. მიმრქმელი – ყანობის პრიხოდის მღვდელი დეკანოზი გიორგი ნიკოლოზის ძე იტონიევი.

ოლღა, დაიბადა 5 სექტემბერს, მოინათლა 17 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი ივანე ბათრადას ძე ბიგანოვი და მაგდანი ყუდაბერდას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები გიგი ელძარყოს ასული ყარაევი.

მარიამი, დაიბადა 3 ივნისს, მოინათლა 17 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები იორდანე ეფრემის ძე ქასაევი და ფათი ყავდინის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი სახარ ზაქარიას მეუღლე დანთიევი.

მარიამი, დაიბადა 1 აპრილს, მოინათლა 17 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ნოაყავაში მცხოვრები ოსთაგანი გაბრიელ ჯამბოლას ძე აგაევი და **ნინო** ყუდას ასული. მიმრქმელი – გორის უეზდის სოფელს სიბაში მცხოვრები და დროებით კობში მოვაჭრე ივანე ვასილის ძე აბაევი.

მარიამი, დაიბადა 4 მაისს, მოინათლა 18 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ოსთაგანი მიხეილ ყასპოლათის ძე გუდიევი და **ნინო** ვასილის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები ალექსანდრე **გლახას** ძე ქასაევი.

ალექსანდრე, დაიბადა 27 ივლისს, მოინათლა 18 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები ოსთაგანი ყასპოლ ალექსის ძე გუდიევი და **თამარი** გალის ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები მიხეილ გისოს ძე ბიდიხოვი.

ათანასე, დაიბადა 10 სექტემბერს, მოინათლა 18 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ნოაყავაში მცხოვრები ოსთაგანი ანდრია დუდას ძე ძილიევი და მაგდანი ბიდას ასული. მიმრქმელი – აბანოს სამრევლოს სოფელ ყარათ ხევში (sic) მცხოვრები ივანე ბაბანას ძე ბულაცოვი.

ელისაბედი, დაიბადა 6 ოქტომბერს, მოინათლა 18 ნოემბერს. მშობლები: აბანოს სამრევლოს სოფელ ყარათ ხევს (sic) მცხოვრები ანდრია ბაბანას ძე ბულაცოვი და ელისაბედ

ძაკოს ასული. მიმრქმელი – აბანოს სამრევლოს სოფელ შავატისას¹ (sic) მცხოვრები ციცა ცალიკის ძე სანბეგოვი.

ქსენია, დაიბადა 10 ივნისს, მოინათლა 20 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი გიორგი ძიდის ძე ყარაევი და **ნინო** ციცის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები ელონა (sic) თოთოს მეუღლე ძაკაევი.

ოლღა, დაიბადა 17 ივლისს, მოინათლა 20 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები გულა ვასილის ძე სალბიევი და **დარიკო** ბიბოს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ნატალია იორდანეს ასული თაკაევი.

დიმიტრი, დაიბადა 11 ივლისს, მოინათლა 21 ნოემბერს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ოსთაგანი ალექსანდრე თოთრაძის ძე ქობულოვი და **მაია** აბეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები მიხეილ ზაჩიევის მეუღლე სოფიო.

ელენე, დაიბადა 13 სექტემბერს, მოინათლა 21 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები ოსთაგანი ნიკოლოზ თევდორეს ძე აბაევი და ეკატერინე გიორგის ასული. მიმრქმელი – კობის პრიხოლის მღვდელი ბართლომე შარმაზანის ძე გარსიევი.

დარეჯანი, დაიბადა 9 აგვისტოს, მოინათლა 21 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი სვიმონ **ერისთავას** ძე თავაევი და ელისაბედ თათალოს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი გიორგი ვასილის ძე ქასაევი.

ვალოდია, დაიბადა 18 აგვისტოს, მოინათლა 21 ნოემბერს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ოსთაგანი **ლევან** თოთრაძის ძე ქობულოვი და ნატალია **გლახას** ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები **ნინო** თეიმურაზის ასული თომაევი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი ზაურბეგ ალიმბეგის ძე თავაევი. 35 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სიონის ეკლესიის სამრევლოს სოფელ არშაში მცხოვრები გლახა სულეურის (sic) [სულიაურის] ქვრივი ნინო აბრამის ასული. 30 წლის. მეორე ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: აბრამ ბათრაძას ძე თავაშვილი, ნაფი გომაგოს ძე აბაშვილი. სასძლოს მხრივ, ღუდის სამრევლოს სოფელ ქუმლისციხეში მცხოვრები ოსთაგანი ანდრია აბრამის ძე ჩალაგოვი, იგივე სოფელში მცხოვრები ანდრია გურგენის ძე ჭივიშვილი. ჯვარი დაიწერეს 21 ივლისს.

სასიძო, სოფელ შავარდენში მცხოვრები გიორგი **გლახას** ძე ქოქაევი. 26 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ უხათში მცხოვრები ოსთაგანი **ნინო** ზნარის ასული². პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები: გიორგი ნინიას ძე არჩინოვი, იმავე სოფელს მცხოვრები ესტატე **გლახას** ძე ქოქაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ უხათში მცხოვრები: გიტო თოთის ძე თავაევი, მახამათა ზნაურას ძე ქობულოვი. ჯვარი დაიწერეს 17 აგვისტოს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები დიმიტრი ფარსეს ძე ქასაევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ უხათში მცხოვრები მარიამ ადამას ასული ბათაევი. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: მიხეილ ყუდას ძე თავაევი, ვასილი ყუდას ძე თავაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ უხათში მცხოვრები: ალექსანდრე თოთოს ძე თავაევი, დავით ანდრიას ძე თავაევი. ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს. სასიძო, აბანოს სამრევლოს სოფელ ყარათ ხევს (sic) მცხოვრები ნიკოლოზ ალაჯიყოს ძე ბულაცოვი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები ოსთაგანი

¹ იგულისხმება სოფელი შავატისი.

² ასაკი და გვარი არ წერია.

სალომე ყარასეს ასული. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ აბანოს სამრევლოს სოფელ ყარათ ხევს მცხოვრები ივანე ბაბანას ძე ბულაცოვი, ანდრია აცამაზას ძე ბულაცოვი, სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ზაქარია ისმეილის ძე კოცავეი, ვლადიმერ სიმონის ძე თავავეი. ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

„არიან დასაფლავებულნი თავიანთ ძველებურს განწესებულს სასაფლაოში“.

სასიძო, აბანოს სამრევლოს სოფელ ყარათყას მცხოვრები სოლომანი ივანეს ძე ბულაცოვი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები სალომე გიგოს ასული ბიდიხოვი. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ყარათყას მცხოვრები ციცკა თემარიყოს ძე ბულაცოვი, ჯაფარ (sic) თემარიყოს ძე ურთაევი.

სასძლოს მხრივ, სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები პეტრე ენაღდიყოს ძე გუდიევი, ათანასე ელძარყოს ძე გუდიევი. ჯვარი დაიწერეს 27 სექტემბერს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები მიხეილი მეილის (sic) ძე კოცაევი. 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები მარიამ ძარახას ასული ძანთიევი. 21 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: აბრამი ბათრადის ძე თავაევი, დიმიტრი ძიდის ძე ყარაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ვლადიმერ სვიმონის ძე აბაევი, სვიმონ ისმელის ძე კოცაევი. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

არიან „თავიანთ განწესებულს სასფლაოზედ დასაფლავებულნი.“

კობში მცხოვრები ლაზარე იესეს ძე თავაევი გარდაიცვალა 10 თებერვალს, დაიმარხა 12 თებერვალს¹. გარდაცვალების მიზეზი – მღებთარობით (sic).

უხვათს მცხოვრები ილარიონ ზნაურას ძე თავაევი გარდაიცვალა 15 აპრილს, დაიმარხა 17 აპრილს². გარდაცვალების მიზეზი – სახადისაგან.

კობში მცხოვრები ივანე გიორგის ძე მისოსტოვი გარდაიცვალა 10 ივნისს, დაიმარხა 12 ივნისს. 18 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადისაგან.

კობში მცხოვრები სახარ ზაქარიას მეუღლე აბაევი გარდაიცვალა 16 ივნისს, დაიმარხა 17 ივნისს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადისაგან.

უხვათში მცხოვრები ზალიხან ადამას მეუღლე ბათაევი გარდაიცვალა 3 ივლისს, დაიმარხა 4 ივლისს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – დიდხნის ავთმყოფობით.

უხვათს მცხოვრები სალომე ჯინოს მეუღლე ბუქლოვი (sic) გარდაიცვალა 11 ივლისს, დაიმარხა 12 ივლისს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადით.

კობს მცხოვრები **თამარი** გიორგის ასული ყარაევი გარდაიცვალა 13 ივლისს, დაიმარხა 14 ივლისს. 16 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადით.

კობს მცხოვრები ანა გაგის ასული მისოსტოვი გარდაიცვალა 10 აგვისტოს, დაიმარხა 11 აგვისტოს. 18 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადით.

უხვათს მცხოვრები **თამარი** დავითის მეუღლე სამოვი გარდაიცვალა 20 სექტემბერს, დაიმარხა 21 სექტემბერს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადისაგან.

ბაზილანში მცხოვრები დიმიტრი ვლადიმერის ძე ზაჩიევი გარდაიცვალა 19 დეკემბერს, დაიმარხა 20 დეკემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №79

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1903 წელი**

მღვდელი ბართლომე გარსიევი [გარსიაშვილი - ნ.შ.], მთავარდიაკონი დიონისე კეკელიევი [კეკელიშვილი - ნ.შ.]

დაბადებულთათვის³

ნიკოლოზი, დაიბადა 10 იანვარს, მოინათლა 25 იანვარს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ბუცქი ღურმიშხანის ძე აბაევი და გოსა ნიკოლოზის ასული. მიმრქმელი – სოფელ

¹ გარდაცვლილის ასაკი არ წერია.

² აქაც, ასაკი არ წერია.

³ პირველ გვერდზე ნაწერი აღარ იკითხება.

სტეფანწმინდაში მცხოვრები დავით გრიგოლის ძე ცოფიკოვი [ჩოფიკაშვილი].

ზაქარია, დაიბადა 17 იანვარს, მოინათლა 4 თებერვალს. მშობლები: სოფელ უხვათს მცხოვრები ალექსანდრე დიმიტრის ძე თავაევი და ელისაბედ ალიმბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობს მცხოვრები ვლადიმერ ივანეს ძე თავაევი.

ვლადიმერი, დაიბადა 19 იანვარს, მოინათლა 6 თებერვალს. მშობლები: სოფელ უხვათს მცხოვრები გიტო ციცის ძე თავაევი და სალომე ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – სოფელ სიონში მცხოვრები ანტონი იოსების ძე წამალაიძე.

დავითი, დაიბადა 15 იანვარს, მოინათლა 6 თებერვალს. მშობლები: გორის უეზდის სოფელ სიბაში მცხოვრები, კობში დროებით მოვაჭრე ზაქარია ვასილის ძე აბაევი და **ნინო** ციცკას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ანდრია ივანეს ძე მისოსტოვი.

ანა, დაიბადა 23 იანვარს, მოინათლა 7 თებერვალს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები იოსებ სიმონის ძე ბაბიევი და სოფიო გოლოს (?) ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოყავში მცხოვრები ივანე ბიბოს ძე აგაევი.

სოლომანი, დაიბადა 28 იანვარს, მოინათლა 8 თებერვალს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები იაკობი გინოს ძე შავლუხოვი და ბარბარე ბაბანას ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოყავში მცხოვრები ნიკოლოზი ჯანბოლათის ძე აგაევი.

ნიკოლოზი, დაიბადა 30 იანვარს, მოინათლა 9 თებერვალს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები დამბოლათი რაფიელის ძე საპიევი და სალომე **ნინიას** ასული. მიმრქმელი – აბანოს სამრევლოს სოფელს ყარათყავს მცხოვრები ივანე ბაბანას ძე ბულაცოვი.

ანასტასია, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 11 თებერვალს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები ივანე ელდარყოს ძე გუდიევი და **მაია** მაშინკას ასული. მიმრქმელი – იმავე სოფელს მცხოვრები მიხეილ გისოს ძე ბიდიხოვი.

მარიამი, დაიბადა 3 თებერვალს, მოინათლა 11 თებერვალს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები აფაყო ელდარყოს ძე გუდიევი და სოფიო ენაღდიყოს ასული. მიმრქმელი – სოფელ შავარდენში მცხოვრები ელისაბედ ვასილის მეუღლე არჯინოვი.

სოლომონი, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 14 თებერვალს. მშობლები: ამავე სოფელს მცხოვრები დავითი ვასილის ძე გუდიევი და თოთრიძანი (sic) ბაზიკოს (sic) ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები ბელიციცი (sic) ალექსის ძე გუდიევი.

რაქდენი, დაიბადა 8 თებერვალს, მოინათლა 16 თებერვალს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები მიხეილ ყასპოლათის ძე გუდიევი და **ნინო** ვასილის ასული. მიმრქმელი – სოფელ ქვემო ოქროყანას მცხოვრები ვანეზ (sic) ივანეს ძე ქოქაევი.

დავითი, დაიბადა 26 იანვარს, მოინათლა 21 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ასლამირზ ისმეილის ძე კოცევი და **ქეთევანი** ძახოთას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ძიდი (sic) ბესეს ძე ყარაევი.

ნინო, დაიბადა 29 იანვარს, მოინათლა 22 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები მიხეილ ელდარიყოს ძე ყარაევი და სახარ სტეფანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები თოთის მეუღლე **დარეჯანი** ფალასის (sic) ასული ძაკაევი.

სტეფანე, დაიბადა 5 მარტს, მოინათლა 23 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ვასილი ადამის ძე თავაევი და **დარიკო** ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – სოფელ უხვათს მცხოვრები ძაბო გრიგოლის ძე ურთაევი.

ნიკოლოზი, დაიბადა 6 იანვარს, მოინათლა 7 ივნისს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები გაბრიელ ყუდაბერდეს (sic) ძე ქოქაევი და სოფიო სტეფანეს ასული. მიმრქმელი – ქ. ვლადიკავკაზს მცხოვრები პავლე დიმიტრის ძე ცაბოლოვი.

ნინო, დაიბადა 7 აპრილს, მოინათლა 6 ივნისს. მშობლები: სოფელ ნოყავში მცხოვრები გიორგი ბიგას ძე აგავეი და პელაგია დიმიტრის ასული. მიმრქმელი – სოფელ ქუმლისციხეში მცხოვრები გურგენ წივიშვილი.

ქრისტეფორე, დაიბადა 27 თებერვალი, მოინათლა 13 ივნისი. მშობლები: გორის უეზდის ელისის სამრევლოს სოფელ სიბაში მცხოვრები დავითი ვასილის ძე აბავეი და სოფიო სვიმონის ასული. მიმრქმელი – ქალაქ სიღნაღში მცხოვრები, კობის ფოსტის განყოფილების უფროსი ნიკოლოზი იოსების ძე ხელავეი [ხელაშვილი].

სვიმონი, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 15 ივლისს. მშობლები: სოფელ უხვათს მცხოვრები კოსტანტინე **ლევანის** ძე ქობულოვი და **დარიკო** იაგორის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები კოსტანტინე ქოკას ძე აბავეი.

მაკა, დაიბადა 9 მარტს, მოინათლა 10 ივლისს. მშობლები: სოფელ უხვათს მცხოვრები ალექსანდრე თოთრაძის ძე ქობულოვი და **მაია** ივანეს ასული. მიმრქმელი – სიონის სამრევლოს სოფელ თოთს მცხოვრები ანდრია თეკოს ძე მირიქოვი.

ყარამანი, დაიბადა 26 აგვისტოს, მოინათლა 26 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ქვემო ოქროყანას მცხოვრები ადამა ვანუზას ძე ქოქავეი და **ნინო** მათეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები აფანასი ელძარიყოს ძე გუდიევი.

ლევანი, დაიბადა 5 სექტემბერს, მოინათლა 28 სექტემბერს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ვლადიმერ ალექსის ძე მისოსტოვი და ქოსელხანი უცის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ივანეს მეუღლე ნატალია ცორეს ასული თავავეი.

ნიკოლოზი, დაიბადა 21 აგვისტოს, მოინათლა 13 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ალექსანდრე ქუცულოს ძე სალბიევი და მარიამ ელისბარის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ზაქარია გაბრიელის ძე ქასავეი.

სტეფანე, დაიბადა 5 სექტემბერს, მოინათლა 20 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ზემო უხვათს მცხოვრები ანდრია გისოს ძე ბათავეი და ქოსელ გისკას ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ივანე გოგიას ძე თავავეი.

მარიამი, დაიბადა 9 ოქტომბერს, მოინათლა 23 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ზემო უხვათს მცხოვრები დავითი თოთრაძანის ძე ქობულოვი და **დარიკო** ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ელისაბედ როსტომის ასული ძუკავეი.

მიხეილი, დაიბადა 15 ოქტომბერს, მოინათლა 26 ნოემბერს. მშობლები: სოფელ უხვათს მცხოვრები ნიკოლოზი გაბისას ძე ყუსავეი და სოფიო ფრის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები ალექსი დავითის ძე ქობულოვი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, კობის სამრევლოს სოფელ უხვათში მცხოვრები ისაკი იორდანეს ძე ბათავეი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, გორის უეზდის ზღუბერის სამრევლოს სოფელ სიბაში მცხოვრები ოლდა ვასილის ასული აბავეი. 19 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ უხვათში მცხოვრები გიორგი დავითის ძე სამოვი, გიორგი ივანეს ძე ცაბოლოვი. სასძლოს მხრივ, გორის უეზდის სოფელ სიბაში მცხოვრები გრიგოლ ვასილის ძე აბავეი, ზაქარია ვასილის ძე აბავეი. ჯვარი დაიწერეს 4 მაისს.

სასიძო, კობის სამრევლოში მცხოვრები დრობით ვლადიკავკაზში მაცხოვრებელი ივანე იაკობის ძე ზაჩიევი. 30 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, ქ. ვლადიკავკაზს მცხოვრები სოფიო ნიკოლოზის ასული ძამიევი. 27 წლის. მეორე ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ბაზილანში მცხოვრები თოთი ივანეს ძე გაჯიევი, ალექსანდრე ვლადიმერის ძე მისოსტოვი. სასძლოს მხრივ, ქ. ვლადიკავკაზს მცხოვრები გრიგოლი ნიკოლოზის ძე ძამიევი, გიორგი ივანეს ძე გოგიჩაშვილი. ჯვარი დაიწერეს 6 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები ეგნატი ნალიყას ძე აბაევი. 24 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები ოლდა ლევანის ასული. 21 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ნოყავში მცხოვრები გაუსა ილიჩას ძე აგაევი, ადამა ონეზას ძე ქოქაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ ნოყავში მცხოვრები სვიმონ ციბოს ძე აბაევი, გრიგოლ ლევანის ძე გუდიევი. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

სასიძო, კობის სამრევლოში მცხოვრები, დროებით კავკას მაცხოვრებელი ივანე ალექსის ძე სალბიევი. 24 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენში მცხოვრები ბარბარე ივანეს ასული. 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, ქ. ვლადიკავკას მცხოვრები ბიწიკა ხარიტონის ძე ჯეთოევი, ივანე გიორგის ძე ცაბოლოვი, სასძლოს მხრივ, სოფელ შავარდენს მცხოვრები ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ქოქაევი, თოთი გაგის ძე გაჩიევი. ჯვარი დაიწერეს 12 სექტემბერს.

გარდაცვალებულთათვის

კობს მცხოვრები ნინო გაგის ასული სალბიევი გარდაიცვალა 1 თებერვალს, დაიმარხა 2 თებერვალს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ბაზილანში მცხოვრები ვასილი ყირმას ძე ჯახაევი გარდაიცვალა 1 მარტს, დაიმარხა 2 მარტს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყივანა ხველებისაგან.

კობს მცხოვრები დიმიტრი სვიმონის ძე ქასაევი გარდაიცვალა 23 მარტს, დაიმარხა 24 მარტს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

ნოყავში მცხოვრები სალომე ივანეს მეუღლე ძილიევი გარდაიცვალა 10 მაისს, დაიმარხა 12 მაისს. 20 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მშობიარობაზედა.

კობს მცხოვრები სტეფანე ვასილის ძე თავაევი გარდაიცვალა 4 ივნისს, დაიმარხა 5 ივნისს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყელის ტკივილით.

უხვათს მცხოვრები ბერდა სოსთეს ძე თავაევი გარდაიცვალა 18 ივნისს, დაიმარხა 20 ივნისს. 75 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადისაგან.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №80

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი 1904 წელი

1904 წელს კობის სამრევლოს არ ჰყავს მუდმივი მღვდელი – 15 მარტის ჩათვლით ეკლესიაში კვლავ ბართლომე გარსიაშვილი მსახუროს, ხოლო მარტის შუა რიცხვებიდან აგვისტოს თვის ჩათვლით კობის სამრევლოს ემსახურებოდნენ: ყანობის სამრევლოს მღვდელი გიორგი იტონიევი [იტონიშვილი - ნ.შ.], სიონის სამრევლოს მღვდელი ზაქარია კობაიძე, რომელსაც დროებით ჩაბარებული ჰქონდა კობის სამრევლო, აბანოს სამრევლოს მღვდელი ზაქარია პეტრიაშვილი. ხოლო სექტემბრიდან კობის სამრევლოს მღვდლად იხსენიება ალექსანდრე მისისტოვი. მთავარდიაკონი დიონისე კველიევი [კველიშვილი - ნ.შ.]¹.

დაბადებულთათვის²

ლაზარე, დაიბადა 1903 წლის 7 ნოემბერს, მოინათლა 1904 წლის 1 თებერვალს. მშობლები: სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები ნიკოლოზ იგივე თემირყან გიგოს ძე ზადაგოვი და

¹ სექტემბრის თვიდან, მღვდელ ალექსანდრე მისისტოვის მსახურებიდან, დოკუმენტი რუსულ ენაზეა შედგენილი.

² დაბადებულთა გრაფის პირველი გვერდი დაზიანებულია და ნაწერი აღარ იკითხება.

სოფიო როსტომის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები პავლე ზაურბეგის ძე ძაკაევი.

დარეჯანი, დაიბადა 1903 წლის 3 იანვარს, მოინათლა 1904 წლის 4 თებერვალს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები აფაკო ალექსის ძე ცაბოლოვი და ლიზა სოლომანის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები ზნაურ ქოქაევის მეუღლე ბარბარე გაბრიელის ასული.

კოსტანტინე, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 4 თებერვალს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ნიკოლოზ გრიგოლის ძე შუღიევი და უკანონო ცოლი სოფიო თათარყანის ასული. მიმრქმელი – სოფელ ზემო ოქროყანაში მცხოვრები მიხეილ ყასპოლის ძე გუდიევი.

სერგო, დაიბადა 2 თებერვალს, მოინათლა 13 მარტს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ალექსი მიხეილის ძე თაკაევი და ევა ყარასეს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები სვიმონ **ერისთავას** (sic) ძე თავაევი.

თამარი, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 5 მაისს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები მიხეილ ჯანბოლას ძე ზაქიევი და ეფემია ციცკას ასული. მიმრქმელი – დუშეთის უეზდის სოფელ გვიდაქში (sic) მცხოვრები ტარასი ივანეს ძე ბუჩუკური.

ნინო, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 9 მაისს. მშობლები: სოფელ თოღგოთს მცხოვრები ოსთაგანი ალექსანდრე ვასილის ძე თაკაევი და დარია ჭებოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყანობში მცხოვრები ალექსი გიორგის ძე კობიევი [კობიაშვილი].

ნიკოლოზი, დაიბადა 2 იანვარს, მოინათლა 19 მარტს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები გიორგი თევდორეს ძე აბაევი და მარიამი ივანეს ასული. მიმრქმელი – ქალაქ დუშეთს მცხოვრები ზალი ილიას ძე დვთისიშვილი.

მარიამი, დაიბადა 12 იანვარს, მოინათლა 27 ივნისს. მშობლები: სოფელ ნოყავში მცხოვრები გაბრიელ (ინუს) ძამბოლათის ძე აგაევი და **ნინო** ყუდეს ასული. მიმრქმელი – სნოს სამრევლოს სოფელ კარკუჩაში მცხოვრები იაკობ ივანეს ძე მალისაგოვი (sic) [მარსაგიშვილი].

ალექსანდრე, დაიბადა 3 თებერვალს, მოინათლა 15 ივლისს. მშობლები: სოფელ ნოყავში მცხოვრები გიორგი ილიჩას ძე აგაევი და სოფიო ზაურბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ გორისციხეს მცხოვრები გიორგი გიორგის (sic) ძე დოლიჩიევი (sic) [ჩქარეული].

ანასტასია, დაიბადა 5 მარტს, მოინათლა 16 ივლისს. მშობლები: სოფელ კობს მცხოვრები ივანე ყასპოლათის ძე ქასაევი და სიდონია საბანას ასული. მიმრქმელი – სოფელ აჩხოტს მცხოვრები ნიკოლოზ ბედოევის მეუღლე სალომე ივანეს ასული.

გიორგი, დაიბადა 5 სექტემბერს, მოინათლა 27 სექტემბერს, მშობლები: აბანოს სამრევლოს სოფელ ყარათხევს მცხოვრები სოსლანი დიმიტრის ძე კუმალაგოვი და სოფიო სტეფანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ გორისციხეს მცხოვრები იოსებ გიორგის ძე ავსაჯანოვი [ავსაჯანიშვილი].

გაიანე, დაიბადა 7 სექტემბერს, მოინათლა 12 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები ალექსი ელისბარის ძე აბაევი და მარიამი გიბიცის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები იოსებ გაუსას ძე გუდიევი.

ივანე, დაიბადა 12 სექტემბერს, მოინათლა 14 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები მიხეილ გისის ძე ბიდიხოვი და ნატალია თევდორეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოყავში მცხოვრები სერგი ბაბანას ძე ბულაცოვი.

ნატალია, დაიბადა 20 ოქტომბერს, მოინათლა 23 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები აბრამი ბათრადეს ძე თავაევი და სალომე ვასილის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ივანე აბაევის მეუღლე ეკატერინე გიორგის ასული.

ნიკიფორე, დაიბადა 16 დეკემბერს, მოინათლა 17 დეკემბერს, მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები გრიგოლ ალექსის ძე ყარაევი და ელისაბედ გაბრიელს ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები თოთი კალაგის ძე გაჯიევი.

ნატალია, დაიბადა 27 დეკემბერს, მოინათლა 31 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ბაზილანში მცხოვრები დიმიტრი ყასპოლათის ძე ძახაევი და სოფიო ყასპოლათის ასული. მიმრქმელი – ამავე სოფელს მცხოვრები პავლე ზაურბეგის ძე ძაკაევი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ ქვემო ოქროყანაში მცხოვრები დავითი ივანეს ძე ქოქაევი. 24 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ბაზილანში მცხოვრები სოფიო ციცის ასული აბაევი. 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ გორისციხეში მცხოვრები ლევანი გრიგოლის ძე ავსაჯანოვი [ავსაჯანიშვილი], სოფელ მნაში მცხოვრები ნიკოლოზი გრიგოლის ძე შუღიევი, სასძლოს მხრივ, სოფელ ბაზილანში მცხოვრები ალექსი ელისბარის ძე აბაევი, დიმიტრი ყასპოლათის ძე ძახაევი. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ბაზილანში მცხოვრები დავით ქოკას ძე აბაევი. 24 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენში მცხოვრები **ნინო** ალექსანდრეს ასული. 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ბაზილანში მცხოვრები სოლომანი ალექსი ძე ყარაევი, ესტატე ნიკოლოზის ძე ყარაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ შავარდენს მცხოვრები ვასილი ნიკოლოზის ძე ქოქაევი, ეგნატი გინოს ძე შავლუხოვი. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ უხვათს მცხოვრები გაბრიელ გრიგოლის ძე ურთაევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები სოფიო ყასპოლათის ასული გუდიევი. 19 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ გორისციხეს მცხოვრები იოსებ გიორგის ძე ავსაჯანოვი [ავსაჯანიშვილი], ვასილი ზნაურის ძე ქობულოვი. სასძლოს მხრივ, სოფელ ზემო ოქროყანას მცხოვრები ალექსანდრე ყასპოლათის ძე გუდიევი, ივანე **გლახას** ძე გუდიევი. ჯვარი დაიწერეს 12 ნოემბერს.

სასიძო, მლეთის სამრევლოს სოფელ ხატისაში (sic) მცხოვრები ნიკოლოზი გაბრიელის ძე რუბიევი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ნოყავში მცხოვრები სალომე გამეს ასული ქოქაევი. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ხატისაში მცხოვრები ილია თოთრამის ძე ცაბოლოვი, გიორგი გაგის ძე რუბაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ ნოყავს მცხოვრები ივანე გიბიცის ძე ძილიევი, სოლომანი მიხეილის ძე აგაევი. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

კობს მცხოვრები ნიკოლოზ ნაფის ძე აბაევი გარდაიცვალა 18 იანვარს, დაიმარხა 19 იანვარს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყვავილისაგან.

კობს მცხოვრები მართა ისმეილის მეუღლე ქოცაევი გარდაიცვალა 12 თებერვალს, დაიმარხა 14 თებერვალს. 66 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრათ.

უხათში მცხოვრები თასო ჯიუნას ძე ბუქულოვი (sic) გარდაიცვალა 13 მარტს, დაიმარხა 15 მარტს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხანგრძლივის სნეულობისაგან.

უხათს მცხოვრები სფირიდონ იორდანეს ძე ძანაევის ძე ალექსანდრე გარდაიცვალა 25 მარტს, დაიმარხა 27 მარტს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექითა.

უხათს მცხოვრები თოთრამ ქობულოვის ქვრივი თოთრიმან გარდაიცვალა 21 მაისს, დაიმარხა 23 მაისს. 76 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექითა.

ბიდარას მცხოვრები ქაიხოსრო იდეს ძე ყალაგოვი გარდაიცვალა 25 აგვისტოს, დაიმარხა 26 აგვისტოს. 75 წლის. გარდაცვალების მიზეზი – დიდი ხნის ავთმყოფიბისაგან.

უხვათს მცხოვრები ნიკოლოზი დუდას ძე თავაუვი გარდაიცვალა 16 ოქტომბერს, დაიმარხა 17 ოქტომბერს. 39 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადით.

უხვათს მცხოვრები ეკატერინე იორდანეს მეუღლე სოსთეს ასული გარდაიცვალა 23 ოქტომბერს, დაიმარხა 24 ოქტომბერს. 59 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სიმსივნით.

კობს მცხოვრები თედო მისოსტოვის მეუღლე ანა გარდაიცვალა 25 ნოემბერს, დაიმარხა 26 ნოემბერს. 89 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მღებიარობით (sic).

შავარდენს მცხოვრები **გლახა** დავითის ძე ქოქაუვი გარდაიცვალა 2 დეკემბერს, დაიმარხა 3 დეკემბერს. 68 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადისაგან.

ქვემო ოქროყანაში მცხოვრები როსტომ ზადაგოვის მეუღლე **ნინო** გარდაიცვალა 20 დეკემბერს, დაიმარხა 29 დეკემბერს. 59 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადისაგან.

ნოყავში მცხოვრები მარიამი ხასაყოს მეუღლე ძილიევისა გარდაიცვალა 25 დეკემბერს, დაიმარხა 26 დეკემბერს. 23 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სახადისაგან.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №81

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი 1905 წელი

**მღვდელი ალექსანდრე მისისტოვი, დიაკვანი დიონისე კველიევი [კველიშვილი - ნ.შ.]
დაბადებულთათვის¹**

სიდონია, დაიბადა 2 თებერვალს, მოინათლა 18 თებერვალს. მშობლები: სოფელ მნას მცხოვრები გაბრიელ ბერდის ძე გუტიევი და სოფია ბერდიკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ მნას მცხოვრები ვლადიმერ ბაზირის ძე კასოვი.

ივანე, დაიბადა 2 აპრილს, მოინათლა 15 აპრილს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები გიორგი მიხეილის ძე ზაკიევი და ეფემია ხუტის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები ივანე დიმიტრის ძე ცაბოლოვი.

ლაზარე, დაიბადა 17 აპრილს, მოინათლა 30 აპრილს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები სტეფანე ზურაბის ძე ზაკაევი და სოფია კონსტანტინეს ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები ივანე დიმიტრის ძე ცაბოლოვი.

ალექსანდრე, დაიბადა 5 მაისს, მოინათლა 16 მაისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები გიორგი დავითის ძე სამოვი და მარიამ ჯანოსტის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები გიორგი ვლადიმერის ძე მისისტოვი.

დარია, დაიბადა 3 მაისს, მოინათლა 16 მაისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ალექსანდრე დიმიტრის ძე ტუაევი და ელისაბედ ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ვლადიმერ ივანეს ძე ტუაევი.

გაბრიელი, დაიბადა 8 მაისს, მოინათლა 16 მაისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები გიტო თოთის ძე ტუაევი და სალომე ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – გორის მაზრის სოფელ სიბაში მცხოვრები მიხეილ ვასილის ძე აბაევი.

პეტრე, დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 25 მაისს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები ევსტატე ნიკოლოზის ძე ყარაევი და ჩაბე გიბის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბიდარაში მცხოვრები ვლადიმერ დიმიტრის ძე ბიდაროვი.

¹ დოკუმენტის პირველ გვერდზე ნაწერი აღარ იკითხება.

პეტრე, დაიბადა 5 ივნისს, მოინათლა 20 ივნისს. მშობლები: აბანოს სამრევლოს სოფელი ყარათ-ყაუში მცხოვრები სერგი ბაბანას ძე ბულაცოვი და ქოსერხან საბანას ასული. მიმრქმელი – აბანოს სამრევლოს სოფელ გიმარაში მცხოვრები ციცკა ზაბეს ძე ბერეზოვი.

პავლე, დაიბადა 5 ივნისს, მოინათლა 20 ივნისს. მშობლები: აბანოს სამრევლოს სოფელ ყარათ-ყაუში მცხოვრები სერგი ბაბანას ძე ბულაცოვი და ქოსერხან საბანას ასული. მიმრქმელი – სოფელ გიმარაში მცხოვრები ნიკოლოზ ასაკოს ძე ბერეზოვი.

ალექსი, დაიბადა 7 ივნისს, მოინათლა 28 ივნისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები დიმიტრი პარსას ძე ქასაევი და მარიამ ადამის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები გასი იაკობის ძე ტაკაევი.

ვლადიმერი, დაიბადა 8 ივნისს, მოინათლა 30 ივნისს. მშობლები: სოფელ შავარდენში (sic) მცხოვრები იოსებ დავითის ძე მამიევი და **დარეჯან** გრიგოლის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყანობში მცხოვრები ნიკოლოზ გიორგის ძე აიდაროვი [აიდარაშვილი].

ვასილი, დაიბადა 1 ივლისს, მოინათლა 18 ივლისს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ბიბო გრიგოლის ძე კოკაევი და მარიამ კასპოლას ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები გრიგოლი **ლევანის** ძე გუდიევი.

ნადეჟდა, დაიბადა 4 ივლისს, მოინათლა 18 ივლისს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ისააკ დავითის ძე მამიევი და დარია ჯამბოლათის ასული. მიმრქმელი – სოფელ შავარდენში მცხოვრები ივანე კასპოლას ძე კოკაევი.

ილია, დაიბადა 5 ივლისს, მოინათლა 18 ივლისს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები გიორგი **ნინიას** ძე არჩინოვი და მარიამ ქაიხოსროს ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები ტოტი კალოს ძე გაჯიევი.

მარიამი, დაიბადა 1 აგვისტოს, მოინათლა 15 აგვისტოს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ბუცკი ღურმიშხანის ძე აბაევი და გოსამა ქოქას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები მარიამ ვლადიმერის ასული მისისტოვი.

ნიკალაი, დაიბადა 3 აგვისტოს, მოინათლა 15 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები დავით ვასილის ძე გუდიევი და თოთრზან (sic) ბაზიკის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყანობში მცხოვრები ადამ ივანეს ძე ვარდაშევი (sic) [ვარდიშვილი].

დიმიტრი, დაიბადა 4 აგვისტოს, მოინათლა 15 აგვისტოს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ვლადიმერ ზაურბეგის ძე კასაევი და სალომე ბატრაზას ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები გრიგოლ **ლევანის** ძე გუტიევი.

პავლე, დაიბადა 6 აგვისტოს, მოინათლა 17 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ვასილი აღხაზას ძე არჩინოვი და **თეკლე** საბანას ასული. მიმრქმელი – კობის ეკლესიის დიაკვანი დიონისე კევლიევი [კევლიშვილი].

ისიდორე, დაიბადა 1 სექტემბერს, მოინათლა 11 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები არტემ ესტატეს ძე ზადაგოვ და **ნინო** დიდოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ფანშეტში მცხოვრები აბრამ გრიგოლის ძე საბრიკოვი (sic) [საბაური].

გაბრიელი, დაიბადა 2 სექტემბერს, მოინათლა 11 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ბიდარაში მცხოვრები ვლადიმერ დიმიტრის ძე ბიდაროვი და ოლგა ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – სოფელ სტეფანწმინდაში მცხოვრები დიმიტრი პავლეს ძე ღუდუშაური.

მარია, დაიბადა 7 სექტემბერს, მოინათლა 25 სექტემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები მიხეილ ელზარკოს ძე ყარაევი და ბარბარე სტეფანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები **Дареджан** Елоева Закаева (sic).

სოფია, დაიბადა 3 სექტემბერს, მოინათლა 30 სექტემბერს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ალექსანდრე აბეს ძე ცაბოლოვი და ელისაბედ დავითის ასული. მიმრქმელი – ქ. თბილისში მცხოვრები არტემ იოსების ძე ბატიევი.

ვლადიმერი, დაიბადა 2 ოქტომბერს, მოინათლა 10 ოქტომბერს. მშობლები: დროებით სოფელ ალმასიანში მცხოვრები დავით ვასილის ძე აბაევი და სოფიო სიმონის ასული. მიმრქმელი – ქ. სიღნაღში მცხოვრები გიორგი ნიკოლოზის ძე ხელაევი [ხელაშვილი].

ანასტასია, დაიბადა 7 ოქტომბერს, მოინათლა 20 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სიმონ **ერისთავის** ძე ტუაევი და ელისაბედ ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – ქ. ვლადიკავკაზში მცხოვრები პავლე პანაეტის ძე ყარაევი.

გიორგი, დაიბადა 2 ნოემბერს, მოინათლა 15 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ნიკალაი იზმაილის ძე კოცაევი და ნინა ჯამბოლათის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ძიდი დოჩეს ძე ყარაევი.

მიხეილი, დაიბადა 2 ნოემბერს, მოინათლა 25 ნოემბერს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები რაჟდენ გისოს ძე ბატოევი და ანა მიხეილის ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები ნიკალაი თოთის ძე ტუაევი.

ოლგა, დაიბადა 1 ნოემბერს, მოინათლა 25 ნოემბერს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები მათე სიმონის ძე ბაბიევი და მარიამ ანდრიას ასული. მიმრქმელი – სოფელ აგაიანში მცხოვრები ოლგა რევენის ასული აგაევა.

იერემია, დაიბადა 1 ნოემბერს, მოინათლა 30 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები გიორგი ვლადიმერის ძე მისისტოვი და ოლგა მიხეილის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები იოსებ გრიგოლის ძე ტუაევი.

ანასტასია, დაიბადა 7 ნოემბერს, მოინათლა 30 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ვლადიმერ სიმონის ძე აბაევი და სოფია სოლომონის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ვასილი გრიგოლის ძე ტუაევი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, აბანოს სამრევლოს სოფელ ტეფში მცხოვრები ალექსანდრე გუდის ძე ყალაგოვი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენში მცხოვრები მარიამ გიორგის ასული არჩინოვი. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ტეფში მცხოვრები: თომა ყალაგოვი, სოსლანბეგ ანდრიას ძე ყალაგოვი. სასძლოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები: გრიგოლი ნინიას ძე არჩინოვი, დიმიტრი კუდაბერდას ძე კოკაევი. ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები ანდრეი ციცკოს ძე სალბიევი. 25 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები მარიამ ანდრიას ასული ზაგაგოვი. 23 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: ანდრია გაბრიელის ძე კასაევი, **გოგა** სალბიევი, სასძლოს მხრივ, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ილია ანდრიას ძე ზაგაგოვი, ზაქარია გიგოს ძე ზაკაგოვ. ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

სასიძო, ქ. ვლადიკავკაზში მცხოვრები გრიგოლი კუდას ძე აბაევი. 30 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ უხათში მცხოვრები ნატალია სოსლომის ასული ურტაევი. 24 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, ქ. ვლადიკავკაზში მცხოვრები: დიმიტრი დავითის ძე ნოგაევი, სოფელ ნარში მცხოვრები ნიკოლოზ ოგანეზის ძე მალიევი; სასძლოს მხრივ, სოფელ უხათში მცხოვრები ჯამბოლ გიორგის ძე ურტაევი, გიორგი აბეს ძე ცაბოლოვი. ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ უხათში მცხოვრები ალექსანდრე რაჟდენის ძე ძუკოვი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ სივრატში მცხოვრები **ნინო** გიორგის ასული კალაგოვი. 20

წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ უხათში მცხოვრები: დავით ტოტრაშის ძე კობლოვი, ნიკალაი ტოტის ძე ტუაევი. სასიძოს მხრივ, სოფელ სივრატისში მცხოვრები მიხეილ გიორგის ძე კალაგოვი, გიორგი ვასილის ძე მაკოევი. ჯვარი დაიწერეს 9 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

დაიკრძალნენ „სოფლის სასაფლაოზე.“

ოქროყანაში მცხოვრები ნინა მიხეილის ასული გუდიევი გარდაიცვალა 12 იანვარს, დაიკრძალა 14 იანვარს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფი.

კობში მცხოვრები ივანე ბიზიკოს ძე ტუაევი გარდაიცვალა 16 იანვარს, დაიკრძალა 18 იანვარს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექით.

მნაში მცხოვრები მარიამ გაბრიელის ასული ცაბოლოვა გარდაიცვალა 10 თებერვალს, დაიკრძალა 12 თებერვალს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფი.

ოქროყანაში მცხოვრები ნალკიზ მიხეილის ასული ზაღაგოვი გარდაიცვალა 5 მარტს, დაიკრძალა 7 მარტს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფი.

ოქროყანაში მცხოვრები თეოდორ დიმიტრის ძე ზაღაგოვი გარდაიცვალა 8 მარტს, დაიკრძალა 10 მარტს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფი.

ოქროყანაში მცხოვრები კირიმ ტოტიკოს ძე ყალაგოვი გარდაიცვალა 11 მარტს, დაიკრძალა 13 მარტს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფი.

შავარდენში მცხოვრები ზაქარია გრიგოლის ძე არჯინოვი გარდაიცვალა 14 მარტს, დაიკრძალა 16 მარტს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფი.

ნოგყაუში მცხოვრები ალექსანდრე ბიგას ძე აგაევი გარდაიცვალა 16 მარტს, დაიკრძალა 18 მარტს. 25 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფილტვების ანთებით.

მნაში მცხოვრები სტეფანე დავითის ძე ცაბოლოვი გარდაიცვალა 25 მარტს, დაიკრძალა 27 მარტს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფი.

კობში მცხოვრები ვარლამ მიხეილის ძე ტუაევი გარდაიცვალა 1 აპრილს, დაიკრძალა 3 აპრილს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩუტყვავილა.

ნოგყაუში მცხოვრები გუტაზ ნადირას ძე აბაევი გარდაიცვალა 8 აპრილს, დაიკრძალა 9 აპრილს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფი.

ოქროყანაში მცხოვრები ვლადიმერ გრიგოლის ძე გუდიევი გარდაიცვალა 13 მაისს, დაიკრძალა 14 მაისს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჩუტყვავილა.

მნაში მცხოვრები **თამარა** ანდრიას ასული ცაბოლოვი გარდაიცვალა 14 მაისს, დაიკრძალა 15 მაისს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფი.

ოქროყანაში მცხოვრები ელზარკო ძიბირტის ძე (Дзиритов) გუდიევი გარდაიცვალა 29 მაისს, დაიკრძალა 31 მაისს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფი.

მნაში მცხოვრები Нина Сомова Цабилова გარდაიცვალა 14 მაისს, დაიკრძალა 15 ივლისს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფი.

ღროებით აღმასიანში მცხოვრები გრიგოლი ვასილის ძე აბაევი გარდაიცვალა 21 სექტემბერს, დაიკრძალა 25 სექტემბერს (sic). 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოკლეს. დაკრძალეს სოფელ ნოგ-ყაუს სასაფლაოზე.

ნოგ-ყაუში მცხოვრები ნიკალაი გაბრიელის ძე სამოვი გარდაიცვალა 8 ოქტომბერს, დაიკრძალა 10 ოქტომბერს. 49 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფილტვების ანთებით.

შავარდენში მცხოვრები მათე სიმონის ძე ბაბიევი გარდაიცვალა 29 ოქტომბერს, დაიკრძალა 7 ნოემბერს (sic). 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოკლეს.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №82

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1906 წელი**

მღვდელი ალექსანდრე მისისტოვი

დაბადებულთათვის

გიორგი, დაიბადა 10 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ანდრია თოთის ძე თავაევი და ძიგო ივანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარატყავში მცხოვრები გაბრიელ დავითის ძე ბულაცოვი.

ალექსანდრე, დაიბადა 12 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ივანე იორდანეს ძე ბატაევი და მარიამ ... მიმრქმელი – სოფელ ყანობში მცხოვრები ივანე იოსების ძე ვარდამოვი [ვარდიშვილი].

ოლგა, დაიბადა 16 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები გაბრიელ კუდაბერდას ძე კოკაევი და სოფია სტეფანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ვლადიმერ ივანეს ძე თავაევი.

თამარა, დაიბადა 17 იანვარს, მოინათლა 25 იანვარს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ბორის კუდაბერდას ძე კოკაევი და ნატალია გრიგოლის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები ზაქარია ბესარიონის ძე აბაევი.

დარია, დაიბადა 20 იანვარს, მოინათლა 25 იანვარს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ვასილი **ნინიას** ძე არჩინოვი და ელისაბედ კუდაბერდას ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოგყაუში მცხოვრები სერგეი ბაბინას ძე ბულაცოვი.

ნინა, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 20 თებერვალს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები გრიგოლი ნიკოლოზის ძე არჩინოვი და მარიამ ვანუზას ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოგყაუსში მცხოვრები ზაქარია **ლევანის** ძე ოსიევი.

ალექსანდრე, დაიბადა 6 თებერვალს, მოინათლა 20 თებერვალს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები დავით ვანუზის ძე კოკაევი და სოფია ციცრის ასული. მიმრქმელი – სოფელ ყარათყავში მცხოვრები ალექსანდრე თამერიკოს ძე ბულაცოვი.

ნიკალაი, დაიბადა 3 აპრილს, მოინათლა 28 აპრილს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები თემრკო დახცილოს ძე თომაევი და დედუ ილას ასული (Темрко Дахцилов Томас и Дуду Илаева). მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები დარია გრიგოლის ასული კავალესკაია (sic).

ალექსანდრე, დაიბადა 7 აპრილს, მოინათლა 28 აპრილს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ესტატე ბერდას ძე აბაევი და სახარ სურხის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები ნიკალაი გრიგოლის ძე სუხიევი.

ბორისი, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 28 აპრილს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ნიკოლოზ **გლახას** ძე კასაევი და მარიამ მიხეილის ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოგყაუში მცხოვრები იოსებ ბიგოს ძე აგაევი.

ვერა, დაიბადა 9 ივლისს, მოინათლა 29 ივლისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ათანასე ვასილის ძე სალბიევი და მარიამ ძოლხოს ასული (Дзюлхоев). მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები მარიამ ნიკოლოზის ასული თავაევი.

ვლადიმერი, დაიბადა 11 ივლისს, მოინათლა 29 ივლისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ილია **ლევანის** ძე თავაევი და რუო (sic) მიხეილის ასული. მიმრქმელი – მღვდელი ალექსანდრე მისისტოვი.

ლეონიდი, დაიბადა 1 ოქტომბერს, მოინათლა 15 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები თემრიკო გილოს ძე ზალაგოვი და სოფია როსტომის ასული. მიმრქმელი – მღვდელი ალექსანდრე მისისტოვი.

ნიკალაი, დაიბადა 7 ოქტომბერს, მოინათლა 15 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები კაურბეგ სასკოს ძე კობლოვი და დარია კასპოლას ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები Ацтемир Дзукაев.

დიმიტრი, დაიბადა 9 ოქტომბერს, მოინათლა 15 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები სტეფანე ზურაბის ძე ზაკაევი და სოფია კონსტანტინეს ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები ივანე დიმიტრის ძე ცაბოლოვი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები იაკობ ივანეს ძე თავაევი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები თინათინ ვასილის ასული ქასაევი. 19 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: ზაქარია ვასილის ძე აბაევი, მოსე თავაევი; სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: ივანე კასაევი, ალექსი თავაევი. ჯვარი დაიწერეს 6 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები ივანე ანდრიას ძე თავაევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ უხათში მცხოვრები სოფია ალექსანდრეს ასული ბათაევი. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: ბუცი აბაევი, გაგი სალბიევი, სასძლოს მხრივ, სოფელ უხათში მცხოვრები ალოპი(?) ბატაევი, გაბრიელ ბულაცოვ. ჯვარი დაიწერეს 6 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ღესში მცხოვრები გიორგი ხიმიცას ძე ხამიცოვი. 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები გაიანე შიოს ასული კოკაევი. 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ღესში მცხოვრები: სიმონ მირმანის ძე და ილია პაცოს ძე ხიმიცოვები, სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: ალექსი კოკაევი, გიორგი ტოკაევი. ჯვარი დაიწერეს 6 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ აბანოში მცხოვრები კონსტანტინე ძაგოს ძე ცაბოლოვი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აღმასიანში მცხოვრები მარია ტოტიას ასული გაჯიევი. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ აბანოში მცხოვრები: ვლადიმერ ჯახოს ძე ცაბოლოვი, გაბრიელ გრიგოლის ძე ცაბოლოვი, სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: სტეფანე მიხეილის ძე თომაევი, ჩებო გაჯიევი. ჯვარი დაიწერეს 7 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის¹

ნოგაუში მცხოვრები ბართლომე გიორგის ძე აგაევი გარდაიცვალა 17 მარტს, დაიკრძალა 19 მარტს, 90 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხანგრძლივი ავადმყოფობით.

შავარდენში მცხოვრები გაიანე სათის ასული კარაევა გარდაიცვალა 24 მარტს, დაიკრძალა 26 მარტს. 18 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფით.

კობში მცხოვრები გიორგი გიორგის (sic) ძე თავაევი გარდაიცვალა 25 მარტს, დაიკრძალა 27 მარტს. 25 წლის. გარდაცვალების მიზეზი – დაიხრჩო.

კობში მცხოვრები მარიამ ნადირას ასული სალბიევი გარდაიცვალა 28 მარტს, დაიკრძალა 30 მარტს. 49 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფილტვების ანთებით.

¹ გარდაცვალებულთა რეგისტრაცია მარტიდან იწყება და სექტემბრის თვით მთავრდება. დოკუმენტი არასრული უნდა იყოს.

კობში მცხოვრები ივანე მისისტოვის მეუღლე ელისაბედ აფანასის ასული გარდაიცვალა 20 ივნისს, დაიკრძალა 22 ივნისს. 38 წლის¹.

ალმასიანში მცხოვრები ლაზარე სტეფანეს ძე ზაკოვეი (sic) გარდაიცვალა 25 ივნისს, დაიკრძალა 27 ივნისს. 1 წლის.

უხათში მცხოვრები დავით ტოტრაზის ძე კობლოვი გარდაიცვალა 28 ივნისს, დაიკრძალა 30 ივნისს. 52 წლის.

კობში მცხოვრები გრიგოლი ივანეს ძე მისისტოვი გარდაიცვალა 2 სექტემბერს, დაიკრძალა 5 სექტემბერს. 17 წლის.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №83

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი 1907 წელი

მღვდელი ალექსანდრე მისისტოვი დაბადებულთათვის²

ნიკალაი, დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 14 მარტს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ბიბო გრიგოლის ძე კონაევი და მარიამ კონსტანტინეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ზილიხან ძოხას ასული გუდიევა.

ივანე, დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 14 მარტს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები მიხეილ გინოს ძე შავლოხოვი და Нина Кокцева. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ივანე ათანასეს ძე გუდიევი.

ქსენია, დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 14 მარტს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ალექსანდრე გლახას ძე კასაევი და ოლგა ნასრის ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ვანუზ ნაეს ძე კოკაევი.

ბორისი, დაიბადა 5 აპრილს, მოინათლა 17 აპრილს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ივანე გლახას ძე გუდიევი და სოფია ნიკოლოზის ასული. მიმრქმელი – სოფელ გორისციხეში მცხოვრები ლევან გრიგოლის ძე ავსაჯანოვი [ავსაჯანიშვილი].

ვასილი, დაიბადა 7 მაისს, მოინათლა 20 მაისს. მშობლები: სოფელ ალმასიანში მცხოვრები პავლე ზურაბის ძე Дзакое და მარიამ Сырובה. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები იოსებ გრიგოლის ძე თავაევი.

სტეფანე, დაიბადა 7 მაისს, მოინათლა 20 მაისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ალექსანდრე დიმიტრის ძე თავაევი და ელისაბედ ასლამბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ვლადიმერ ივანეს ძე თავაევი.

კონსტანტინე, დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ნიკალაი გაბისის ძე კუსაევი და Нина Пругиева. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები მარიამ სიმონის ასული კობლიევი.

ვასილი, დაიბადა 10 მაისს, მოინათლა 30 მაისს. მშობლები: სოფელ ნოვოკავში მცხოვრები ხასაკო გიბიციის ძე Дзалиев და აბა (sic) ელბიზდიკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოვოყავში მცხოვრები გოსადი იოსების ასული აგაევი.

¹ გარდაცვალების მიზეზი არ წერია.

² დოკუმენტის პირველი გვერდი დაზიანებულია და ნაწერი აღარ იკითხება.

ვლადიმერი, დაიბადა 12 მაისს, მოინათლა 31 მაისს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები Оси́п Ю́рьевич Кавале́вский და დარია გრიგოლის ასული. მიმრქმელი – აბანოს სამრევლოს სოფელ სვატისში მცხოვრები ბება გულის ძე ელოევი.

ტატიანა, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 10 ივნისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები სპირიდონ დანის ძე ბატაევ და ნატალია კუცირის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბიბილურში მცხოვრები მათე ნინიას ძე ბიბილური.

ალექსი, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 10 ივნისს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები ათანასე გიორგის ძე ჯახაევი (Джахаев) და მარიამ გისერის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები ბიბო თედოს ძე აბაევი.

ელისაბედი, დაიბადა 10 ივლისს, მოინათლა 30 ივლისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები კონსტანტინე **ლევანის** ძე კობლოვი და დარია ეგორის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები დავით Kokaev აბაევი.

ალექსი, დაიბადა 10 ივლისს, მოინათლა 30 ივლისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები **ლევან** გაბისის ძე კუსაევ და ეკატერინე ნიკოლოზის ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები ანდრია თოთის ძე თავაევი.

ვიქტორი, დაიბადა 10 ივლისს, მოინათლა 30 ივლისს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები ევსტატე ნიკოლოზის ძე კარაევი და გაბე ბაბის ასული. მიმრქმელი – სოფელ ანანურში მცხოვრები ქსენია სერგის ასული ანდრეევა.

ეკატერინე, დაიბადა 2 ივლისს, მოინათლა 15 ივლისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები კონსტანტინე ივანეს ძე თავაევი და **თინათინ** ვასილის ასული. მიმრქმელი – წინასოფლის სამრევლოს სოფელ ბაბულთ კარში(?) მცხოვრები ივანე გიორგის ძე მანიშვილი.

ვლადიმერი, დაიბადა 5 აგვისტოს, მოინათლა 15 აგვისტოს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ნიკოლოზ იორდანეს ძე თანაევი და ელისაბედ ბუდაბერდას ასული. მიმრქმელი – სოფელ არგოხში მცხოვრები ალექსანდრე **გლახას** ძე მერაბიშვილი.

ბარბარე, დაიბადა 4 სექტემბერს, მოინათლა 16 სექტემბერს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ალექსი **გლახას** ძე კობლიევი და სოფია გაგიას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები ნატალია სიმონის ასული გუდიევი.

ბარლეგი (?), დაიბადა 2 დეკემბერს, მოინათლა 25 დეკემბერს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ხასაკო გისოს ძე ბიდიხოვი და მარიამ თეოდორეს ასული. მიმრქმელი – სოფელ გორისციხეში მცხოვრები ალექსანდრე ლევანის ძე ავსაჯანოვი [ავსაჯანიშვილი].

ევგენია, დაიბადა 5 დეკემბერს, მოინათლა 25 დეკემბერს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ვლადიმერ ზაურბეგის ძე კასაევი და სოლომია ბაგირის ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოვოკავში მცხოვრები მოსე იოსების ძე ოსიევი.

მარია, დაიბადა 5 დეკემბერს, მოინათლა 25 დეკემბერს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ნიკალაი გრიგოლის ძე სუხიევი და სოფია ტოტარკის ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ილია კასპოლას ძე გუდიევი.

დიმიტრი, დაიბადა 5 დეკემბერს, მოინათლა 25 დეკემბერს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები გაბრიელ კუდაბერდას ძე გუტხოვი და სოფია ბერდიკის ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები პარსი პრის ძე ბიდიხოვი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები Александр Каликов Абаев. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასიძო, სოფელ შავარდენში მცხოვრები დარია ნიკოლოზის ასული კოკაევა. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები:

დიმიტრი გისოს ძე ბიდიხოვი, ილია გიორგის ძე გუდიევი. სასძლოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები ვასილი ნიკოლოზის ძე კოკაევი, ივანე კასპოლის ძე კოკაევი. ჯვარი დაიწერეს 2 ივლისს.

სასიძო, სოფელ ბალთაში მცხოვრები Симон Григориев Тотров. 24 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები ქსენია ვასილის ასული კასაევა. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ვლადიკავკაზში მცხოვრები ალექსანდრე ალექსის ძე აბაევი, სოფელ ბალთაში მცხოვრები ხასაკო ლევანის ძე კარაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: ივანე დავითის ძე კასაევი, გაგი იაგორის ძე ტოკაევი. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ მნაში მცხოვრები პავლე ადამის ძე ცაბოლოვი. 29 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კეტრისში მცხოვრები მარიამ დიმიტრის ასული კოკაევა. 19 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ მნაში მცხოვრები: ილას ალექსანდრეს ძე კუსაევი, თეოდორე კუბას ძე ცაბოლოვი. სასძლოს მხრივ, სოფელ კეტრისში მცხოვრები: გიორგი დიმიტრის ძე კოკაევი, სოფელ აღმასიანში მცხოვრები Тотн Калоев Джаджиев. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის¹

აღმასიანში მცხოვრები დავით ციცროს ძე აბაევი გარდაიცვალა 1 აგვისტოს, დაიკრძალა 3 აგვისტოს. 27 წლის. გარდაცვალების მიზეზი – დამბლით.

უხათში მცხოვრები ალექსანდრე ვასილის ძე სამოვი გარდაიცვალა 4 აგვისტოს, დაიკრძალა 6 აგვისტოს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – თავის ტვინის ანთებით.

ოქროყანაში მცხოვრები გოკორ ანდრიას ძე გუდიევი გარდაიცვალა 7 აგვისტოს, დაიკრძალა 9 აგვისტოს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხანგრძლივი ავადმყოფობით.

მნაში მცხოვრები ათანასე ალექსის ძე ცაბოლოვი გარდაიცვალა 12 აგვისტოს, დაიკრძალა 14 აგვისტოს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფილტვების ანთებით.

კობში მცხოვრები Дзиди Дочиев Каев გარდაიცვალა 8 სექტემბერს, დაიკრძალა 10 სექტემბერს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხანგრძლივი ავადმყოფობით.

კობში მცხოვრები სოლომონ შიოს ძე კასაევი გარდაიცვალა 15 სექტემბერს, დაიკრძალა 17 სექტემბერს. 14 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ანთებით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №84

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი 1908 წელი

მღვდელი ალექსანდრე მისისტოვი

დაბადებულთათვის

ვლადიმერი, დაიბადა 2 იანვარს, მოინათლა 15 იანვარს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ივანე ანდრიას ძე თავაევი და სოფია ანდრიას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები იოსებ გაცის ძე გუდიევი.

მიხეილი, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 11 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები აბრაამ ბორისის ძე თავაევი და სალი (sic) ვასილის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ელისაბედ გრიგოლის ძე ტაკაევი.

¹ გარდაცვლილთა გრაფა არასრულია, მხოლოდ ორი თვის მონაცემებია შეტანილი.

ვლადიმერი, დაიბადა 2 თებერვალს, მოინათლა 11 თებერვალს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ალექსანდრე ყასპოლას ძე გუდიევი და **ბაბალე** დრისოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოვოყავში მცხოვრები რევსკი (sic) ბიბოს ძე აგაევი.

კონსტანტინე, დაიბადა 3 თებერვალს, მოინათლა 11 თებერვალს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ანდრია თოთის ძე თავაევი და ძგო (Дзго) ივანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები ზაქარია ვასილის ძე აბაევი.

ვლადიმერი, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 11 თებერვალს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები დავით თოთის ძე თავაევი და სოლომია სასინკას ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები სოფია გაგის ასული კობლოვა.

კონსტანტინე, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 19 თებერვალს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ალექსანდრე ალექსის ძე ცაბოლოვი და მაგდანა Дзадзеев. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ალექსი ნალიკოს ძე აბაევი.

ალექსი, დაიბადა 7 თებერვალს, მოინათლა 19 თებერვალს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ადამ პეპანას ძე ცაბოლოვი და სოფია ადამის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები **მელანია** კავდინას ასული კასაევა.

ვერა, დაიბადა 10 თებერვალს, მოინათლა 19 თებერვალს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები სოსლანბეგ ვასილის ძე გუდიევი და თოთრიდან (sic) ბიზიკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები მიხეილ როსტომის ძე ზაგაევი.

ივანე, დაიბადა 15 თებერვალს, მოინათლა 25 თებერვალს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ისაკ სიმონის ძე ბაბიევი და დარია ჯამბოლათის ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოვოკავში მცხოვრები იოსებ აგაევი.

სერგეი, დაიბადა 6 ივნისს, მოინათლა 30 ივნისს. მშობლები: სოფელ ბიდარაში მცხოვრები ვლადიმერ დიმიტრის ძე ბიდაროვი და ოლგა ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – სოფელ სტეფანწმინდაში მცხოვრები დიმიტრი პავლეს ძე ლუღუშაური.

ვერა, დაიბადა 12 ივნისს, მოინათლა 30 ივნისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები მახამეთ ზნაურის ძე კობლოვი და ხაძაკიზა სიმონის ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები სოფია გიორგის ასული ცაბოლოვა.

აზა, დაიბადა 1 ივლისს, მოინათლა 30 ივლისს. მშობლები: კობის ეკლესიის მღვდელი ალექსანდრე ვლადიმერის ძე მისოსტოვი და ოლგა დიმიტრის ასული. მიმრქმელი – უნივერსიტეტის სტუდენტი პავლე დიმიტრის ძე ცაბოლოვი და სოფელ აბანოში მცხოვრები ნატალია სიმონის ძე გუდიევი. ნათლობა აღასრულა დეკანოზმა გრიგოლი ნიკურაძემ, წიგნის მკითხველი მიხეილ ჯახიევი.

ნიკოლაი, დაიბადა 7 აგვისტოს, მოინათლა 20 აგვისტოს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ვასილი ბერდიას ძე აბაევი და სოფია გრიგოლის ასული. მიმრქმელი – სოფელ შავარდენში მცხოვრები ვლადიმერ გიორგის ძე არჯინოვი.

ტომოთე, დაიბადა 5 სექტემბერს, მოინათლა 30 სექტემბერს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ბიმბოლათ ძაკოს ძე თავაევი და ირიკო (?) კუცირის ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები მიხეილ **ლევანის** ძე კობლოვი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ აღმასიანში მცხოვრები მიხეილ ვასილის ძე აბაევი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ უხათში მცხოვრები სოფია **ლევანის** ასული თავაევა. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ყარატყავში მცხოვრები სოსლანბეგ ტემირკოს ძე კუმალაგოვი, სოფელ აღმასიანში მცხოვრები კამბოლ კასპოლას ძე

ჯახიევი. სასძლოს მხრივ, სოფელ უხათში მცხოვრები ინუს (sic) **ლევანის** ძე თავაევი, გიცილ თოთის ძე თავაევი. ჯვარი დაიწერეს 7 თებერვალს.

სასიძო, გორის მაზრის სოფელი სბას (sic) [სიბას] მცხოვრები ყარამან ივანეს ძე აბაევი. 26 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ნატალია კასპოლას ასული გუდიევა. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ სბაში [სიბაში] მცხოვრები: დიმიტრი როსტომის ძე აბაევი, სიმონ აბაევი, სასძლოს მხრივ, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები: ალექსანდრე კასპოლატის ძე გუდიევი, გრიგოლ **ლევანის** ძე გუდიევი. ჯვარი დაიწერეს 20 ივლისს.

სასიძო, სოფელ ნანიანთკარში მცხოვრები გრიგოლი ანდრიას ძე ნანიამვილი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აღმასიანში მცხოვრები ნინა იოსების ძე კოვალევსკაია. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ბაზალეთში მცხოვრები იოსებ დავითის ძე პარკაული, სოფელ ანანურში მცხოვრები იოსებ იორგის ძე ბედაშვილი; სასძლოს მხრივ, სოფელ აღმასიანში მცხოვრები ანტონი იოსების ძე კოვალევსკი, მასქიმე მაირის ძე თიბილოვი. ჯვარი დაიწერეს 4 სექტემბერს.

გარდაცვალებულთათვის¹

ოქროყანაში მცხოვრები ლევ თემირყანის ძე ზაღაგოვი გარდაიცვალა 7 თებერვალს, დაიკრძალა 9 თებერვალს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყვავილით.

ოქროყანაში მცხოვრები ვერა გრიგოლის ასული გუდიევი გარდაიცვალა 4 მარტს, დაიკრძალა 6 მარტს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყვავილით.

კობში მცხოვრები ღურმიშხან გაგის ძე აბაევი გარდაიცვალა 18 მარტს, დაიკრძალა 20 მარტს².

კობში მცხოვრები გუტაზ თემირკას ასული მისისტოვა გარდაიცვალა 10 აპრილს, დაიკრძალა 12 აპრილს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექით.

შავარდენში მცხოვრები თომა კოკაევი გარდაიცვალა 25 მაისს, დაიკრძალა 27 მაისს. 75 წლის³.

უხათში მცხოვრები ვასილ ძაბოს ძე ურტაევი გარდაიცვალა 11 აგვისტოს, დაიკრძალა 13 აგვისტოს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშით.

უხათში მცხოვრები ოლგა ივანეს ასული ცალაგოვა გარდაიცვალა 20 აგვისტოს, დაიკრძალა 22 აგვისტოს. 3 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშით.

უხათში მცხოვრები ნატალია გიორგის ასული ცაბოლოვა გარდაიცვალა 9 სექტემბერს, დაიკრძალა 10 სექტემბერს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშით.

კობში მცხოვრები ანნა გაგის ასული თავაევა გარდაიცვალა 13 სექტემბერს, დაიკრძალა 15 სექტემბერს. 23 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექით.

¹ დოკუმენტი არასრული უნდა იყოს, რადგან გარდაცვალებულთა რეგისტრაცია თებერვლის თვით იწყება და სექტემბრით მთავრდება.

² ასაკი და გარდაცვალების მიზეზი არ წერია.

³ გარდაცვალების მიზეზი არ წერია.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №85

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1909 წელი**

**მღვდელი ალექსანდრე მისისტოვი, წიგნის მკითხველი მიხეილ ჯახიევი
დაბადებულთათვის**

ქსენია, დაიბადა 17 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ ნოვოკაჟში მცხოვრები გიორგი მიხეილის ძე აგაევი და მარიამ ყუბას ასული. მიმრქმელი – კობის მღვდელი ალექსანდრე მისისტოვი.

ხარიტონი, დაიბადა 19 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები რაჟდენ გისოს ძე ბატაევი და სოფია მიხეილის ასული მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები ნინა ალექსანდრეს ასული ცაბოლოვა.

სერაფიმე, დაიბადა 3 მარტს, მოინათლა 30 მარტს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ალექსანდრე კუცკის ძე სალბიევი და მარიამ ელიზბარის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ოლგა მიხეილის ასული მისისტოვა.

ალექსი, დაიბადა 10 მარტს, მოინათლა 30 მარტს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ევსტატე ბერდას ძე აბაევი და სახარ სურხის ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოვოკაჟში მცხოვრები რევსკი (sic) ბიბის ძე აგაევი.

ვლადიმერი, დაიბადა 4 მაისს, მოინათლა 28 მაისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები სპირიდონ იოსების ძე ბატაევი და ნატალია კუცირის ასული. მიმრქმელი – სოფელ სიონში მცხოვრები ვლადიმერ თეოდორეს ძე ღუდუშაური.

ვერა, დაიბადა 6 მაისს, მოინათლა 28 მაისს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები **დათო** (sic) ნამიკოს ძე აბაევი და ოლგა **ლევანის** ასული. მიმრქმელი – სოფელ შავარდენში მცხოვრები გიორგი ჯამბოლათის ძე სამიევი.

ნადეჟდა, დაიბადა 7 მაისს, მოინათლა 28 მაისს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები გიორგი ენალდიკოს ძე გუდიევი და მარიამ ასაკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ბეკი (sic) ფრის ძე ბიდიხოვი.

სერგეი, დაიბადა 4 ივლისს, მოინათლა 21 ივლისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ალექსი გაგის ძე კობლოვი და სოფია გაგის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოს მცხოვრები ნატალია სიმონის ასული გუდიევა.

ალექსანდრე, დაიბადა 2 აგვისტოს, მოინათლა 15 აგვისტოს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები დიმიტრი კასპოლათის ძე ჯახაევი და სოლომია კასპოლას ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები **თეკლე** ციცკას ასული თაკაევა.

კონსტანტინე, დაიბადა 1 ნოემბერს, მოინათლა 14 ნოემბერს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები კოსტა **ლევანის** ძე კობლოვი და დარია იაგორის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები კოსტა აბაევი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ აბანოში მცხოვრები დიმიტრი მიხეილის ძე ბიზიკოვი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები ელისაბედ ყარასეს ასული აბაევი. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ აბანოში მცხოვრები: ციცკო (sic) გაგის ძე ბიზიკოვი, ანდრია მიხეილის ძე ცაბოლოვი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: ლაზარე ყარასეს ძე აბაევი, გაკო უცის ძე აბაევი. ჯვარი დაიწერეს 21 ივლისს.

სასიძო, სოფელ ტეფში მცხოვრები გრიგოლ ბოჩის ძე კალაგოვი. 27 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ უხათში მცხოვრები ნატალია გრიგოლის ასული ურთაევა. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ტეფში მცხოვრები: ალექსანდრე ცორას ძე კალაგოვი, დავით ბაზის ძე კალაგოვი. სასძლოს მხრივ, სოფელ უხათში მცხოვრები: დაბო გრიგოლის ძე ურტაევი, Георгий Абиев Цабилов. ჯვარი დაიწერეს 21 ივლისს.

სასიძო, სოფელ უხათში მცხოვრები მიხეილ ციცის ძე თავაევი. 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენში მცხოვრები ნინა ვასილის ასული არჯანოვა. 19 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, ქ. ვლადიკავკაზში მცხოვრები: არტემ გრიგოლის ძე თავაევი, ილას კარასეს ძე კასაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები ვლადიმერ გიორგის ძე არჯინოვი, დიმიტრი ვასილის ძე არჯინოვი. ჯვარი დაიწერეს 21 ივლისს.

გარდაცვალებულთათვის

უხათში მცხოვრები Александр Дзиганов Коблов გარდაიცვალა 27 აპრილს, დაიკრძალა 29 აპრილს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხანგრძლივი ავადმყოფობით.

უხათში მცხოვრები გიგო თუზოს ასული თავაევა (Гиро Түзоева Таваева) გარდაიცვალა 13 ივნისს, დაიკრძალა 15 ივნისს. 68 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხანგრძლივი ავადმყოფობით.

კობში მცხოვრები ანდრია დუდას ძე თავაევი გარდაიცვალა 25 ივნისს, დაიკრძალა 27 ივნისს. 49 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლექი.

კობში მცხოვრები გიორგი იორდანეს ძე თავაევი გარდაიცვალა 2 ივლისს, დაიკრძალა 4 ივლისს. 19 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფილტვების ანთებით.

ოქროყანაში მცხოვრები თეოდორე გიორგის ძე გუდევი გარდაიცვალა 13 სექტემბერს, დაიკრძალა 15 სექტემბერს. 12 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტიფით.

ოქროყანაში მცხოვრები ელისაბედ ანდრიას ასული კოკაევა გარდაიცვალა 1 ნოემბერს, დაიკრძალა 3 ნოემბერს. 23 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტიფით.

კობში მცხოვრები გოსაზი ელზარიკოს ასული კარაევა გარდაიცვალა 22 ნოემბერს, დაიკრძალა 24 ნოემბერს. 39 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტიფით.

შავარდენში მცხოვრები ნიკალაი ალექსის ძე კოკაევი გარდაიცვალა 14 დეკემბერს, დაიკრძალა 16 დეკემბერს. 56 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მუცლის ტიფით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №86

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი 1910 წელი

მღვდელი ალექსანდრე მისისტოვი, წიგნის მკითხველი მიხეილ ჯახიევი

დაბადებულთათვის

ევა, დაიბადა 7 თებერვალს, მოინათლა 24 თებერვალს. მშობლები: სოფელ ნოვოკავში მცხოვრები გიორგი გატეს ძე აბაევი და სოფიო გიორგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოვოკავში მცხოვრები ვასილ ბულაცოვი.

გლაფირა, დაიბადა 1 თებერვალს, მოინათლა 24 თებერვალს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები გიორგი აბეს ძე ცაბოლოვი და ოლგა ალექსის ასული. მიმრქმელი – კობში მოვაჭრე ზაქარია ვასილის ძე აბაევი.

ტიმოთე, დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 28 მარტს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები მიხეილ გინოს ძე შავლოხოვი და Нина Кокцева. მიმრქმელი – სოფელ ნოვოყავში მცხოვრები ანდრია ღუდარის ძე ძლიევი (Дзлив).

ოლგა, დაიბადა 3 მარტს, მოინათლა 28 მარტს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ისაკ სიმონის ძე ბაბიევი და დარია ჯამბოლათის ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოვოყავში მცხოვრები იოსებ მიხეილის ძე აგაევი.

კონსტანტინე, დაიბადა 7 მარტს, მოინათლა 28 მარტს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ესტატე **გლახას** ძე კოკაევი და მარიამ თეკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოვოყავში მცხოვრები ნიკოლოზ ჯამბოლის ძე აგაევი.

სოფია, დაიბადა 1 აპრილს, მოინათლა 30 აპრილს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები გაბო კუდაბერდას ძე კოკაევი და სოფია სტეფანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოვოყავში მცხოვრები მიხეილ ილიას ძე აგაევი.

ანასტასია, დაიბადა 8 აპრილს, მოინათლა 30 აპრილს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები სტეფანე ზურაბის ძე ძუკოევი (Дзукоев) და София Когиева. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები სოფია ელიზბარის ასული აბაევი.

ნიკალაი, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 30 აპრილს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები ალექსანდრე ზურაბის ძე ძაკოევი (Дзакоев) და Дарья Когоева. მიმრქმელი – სოფელ სტეფანწმინდაში მცხოვრები მიხეილ ივანეს ძე გიგაური.

ბესარიონი, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 29 მაისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ათანასი ვასილის ძე სალბიევი და მარიამ ძახოს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები სიმონ გიორგის ძე თავაევი.

პავლე, დაიბადა 2 მაისს, მოინათლა 29 მაისს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები მაქსიმე მაიორის ძე (Маиоров) თიბილოვი და პელო გრიგოლის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები პავლე კირილის ძე ჯახოევი.

ილია, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 30 ივნისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ივანე კასპოლას ძე კასაევი და სიდონია Сабагоева. მიმრქმელი – სოფელ აჩხოტში მცხოვრები ივანე გრიგოლის ძე ბედოევი.

ანნა, დაიბადა 9 ივნისს, მოინათლა 30 ივნისს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები გრიგოლი ალექსის ძე ყარაევი და ელისაბედ გაბრიელის ასული. მიმრქმელი – სოფელ ართხმოში მცხოვრები გიორგი ვასილის ძე არაბული.

სოფია, დაიბადა 1 ივლისს, მოინათლა 30 ივლისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები კაურბეგ სასკოს ძე კობლოვი და დარია კასპოლას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები სიმონ გიორგის ძე თავაევი.

ქსენია, დაიბადა 4 აგვისტოს, მოინათლა 30 აგვისტოს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები მიხეილ ზნაურის ძე კობლოვი და Хадзекиз სიმონის ასული. მიმრქმელი – სოფელ აჩხოტში მცხოვრები სტეფანე მიხეილის ძე ბედოევი.

მართა, დაიბადა 1 სექტემბერს, მოინათლა 30 სექტემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ალექსანდრე იორდანეს ძე ქასაევი და ლიზა გულოს ასული. მიმრქმელი – სოფელ შოშანში (?) მცხოვრები მოსე სიმონის ძე მამულაძე.

ანასტასია, დაიბადა 9 სექტემბერს, მოინათლა 30 სექტემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები კონსტანტინე ივანეს ძე თავაევი და თინია (sic) კასპოლას ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები ნიკალაი ციცროს ძე აბაევი.

ოლგა, დაიბადა 1 ოქტომბერს, მოინათლა 30 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები მიხეილ კასპოლას ძე გუდიევი და მაკო ვასილის ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოვოყავში მცხოვრები გიორგი ყასპოლას ძე სამოვი.

ნინა, დაიბადა 5 ოქტომბერს, მოინათლა 30 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ნიკალაი გიგოლის ძე სუხიევი და სოფია თათარკანის ასული. მიმრქმელი – სოფელ წამალათიდან (sic) თეოდორე გლახას ძე წამალაიძე.

გიორგი, დაიბადა 18 ნოემბერს, მოინათლა 30 ნოემბერს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ქრისტეფორე დავითის ძე კუსოევი და მარია ძანას ასული (Дзанаева). მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები ადამ სტეფანეს ძე ცაბოლოვი.

ელენა, დაიბადა 20 ნოემბერს, მოინათლა 30 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები გიორგი თოთრაძე ძე კალაგოვი და დარია გიორგის ასული. მიმრქმელი – სოფელ სტეფანწმინდაში მცხოვრები ოლგა მიხეილის ასული ჩოფიკოვა [ჩოფიკაშვილი].

ივანე, დაიბადა 1 დეკემბერს, მოინათლა 31 დეკემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ვლადიმერ ივანეს ძე თავაევი და ნინა განკოს ძე (Ганкоева). მიმრქმელი – კობის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი ივანე რევაზის ძე მაჭავარიანი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ სივრატში მცხოვრები სოლომონ მიხეილის ძე კალაგოვი. 30 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აღმასიანში მცხოვრები თეკლა ბეჟუზარის ასული თავოევა. 26 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, ქ. ვლადიკავკაზში მცხოვრები ნიკალაი ალექსანდრეს ძე კოკაევი, ვასილი მიხეილის ძე ბულაცოვი. სასძლოს მხრივ, სოფელ აღმასიანში მცხოვრები: ვლადიმერ ციცკას ძე თავოევი, დიმიტრი კასპოლატის ძე ჯახოევი. ჯვარი დაიწერეს 7 იანვარს.

სასიძო, სოფელ აჩხოტში მცხოვრები გაბრიელ აცამის ძე ბედოევი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები სოფია ბაირის ძე თომოევა. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ აჩხოტში მცხოვრები: ხაზდი მოსეს ძე ბედოევი, ხუშინა (?) გოზის ძე ბედოევი, სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები თევდორე აბრამის ძე თასოევი, დიმიტრი კასპოლას ძე ქასაევი. ჯვარი დაიწერეს 8 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ბალთაში მცხოვრები ნიკალაი გრიგოლის ძე ტოტროვი. 27 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები მიხეილ გრიგოლის ძე ზაგაგოვის ასული სოფიო. 19 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ბალთაში მცხოვრები: მიხეილ ვასილის ძე ტოტროვი, აფაკო ვასილის ძე ტოტროვი. სასძლოს მხრივ, ტემირკო მიხეილის ძე ზაგაგოვი, ალექსანდრე აბრაამის ძე ზაგაგოვი. ჯვარი დაიწერეს 8 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ბურმასიკში მცხოვრები გაბრიელ გიორგის ძე თავაევი. 24 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ტეფში მცხოვრები კირილ გაბრიელის ძე კალაგოვის ასული ვერა. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ბურმასიკში მცხოვრები: გაბისი ლუარსაბის ძე თავაევი, ვასილ მიხეილის ძე თავაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ ტეფში მცხოვრები: ნამიკ კირილის ძე კალაგოვი, სტეფანე გაბრიელის ძე კალაგოვი. ჯვარი დაიწერეს 8 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის¹

კობში მცხოვრები სპირიდონ ივანეს ძე თავაუვი გარდაიცვალა 12 აგვისტოს, დაიკრძალა 14 აგვისტოს. 20 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოკლეს.

ალმასიანში მცხოვრები მარია გიბიცოს ასული აბაუვი გარდაიცვალა 6 სექტემბერს, დაიკრძალა 8 სექტემბერს. 30 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლეკით.

ალმასიანში მცხოვრები ალექსი აბაუვის ასული სოფია გარდაიცვალა 8 სექტემბერს, დაიკრძალა 10 სექტემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – დიფტერიით.

ნოვოკავში მცხოვრები გიორგი გატის ძე აბაუვის ასული ელო (sic) გარდაიცვალა 23 სექტემბერს, დაიკრძალა 25 სექტემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – დიფტერიით.

ნოვოკავში მცხოვრები დისო საბანას ძე აგაუვი გარდაიცვალა 26 სექტემბერს, დაიკრძალა 28 სექტემბერს. 60 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ბრონხიტი.

ალმასიანში მცხოვრები დარია კაცოს ასული ზაკაევა გარდაიცვალა 29 სექტემბერს, დაიკრძალა 30 სექტემბერს (sic). 24 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლეკით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №87

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი 1911 წელი

მღვდელი ალექსანდრე მისისტოვი, წიგნის მკითხველი გიორგი მეზურიშვილი, ნოემბერში წიგნის მკითხველად იხსენიება ისიდორე პერტაია, დეკემბერში – იოსებ ობგაიძე

დაბადებულთათვის

არტემი, დაიბადა 7 იანვარს, მოინათლა 20 იანვარს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები მიხეილ კარას ძე საპიევი და ელისაბედ ხუციას ასული. მიმრქმელი – სოფელ შავარდენში მცხოვრები ბაბალე (sic) ილასის ასული კოკაევა.

სოფია, დაიბადა 1 იანვარს, მოინათლა 25 თებერვალს. მშობლები: სოფელ ალმასიანში მცხოვრები ალექსი ელიზბარის ძე აბაუვი და მარიამ გიბიცას ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები ნატალია სიმონის ასული გუდიევა.

მიხეილი, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 25 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები გაგი ციციკას ძე სალბიევი და მარიამ სანდროს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები გრიგოლ გიორგის ძე ყარაევი.

იაგორი, დაიბადა 12 თებერვალს, მოინათლა 25 თებერვალს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ალექსი დიმიტრის ძე ზაგაგოვი და ნინა ალიბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები გიორგი კუხის ძე კოკოევი.

გრიგოლი, დაიბადა 13 თებერვალს, მოინათლა 25 თებერვალს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ალექსანდრე აბრაამის ძე ზაგაგოვი და ლიზა ბათის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები ესტატე ბერდიკის ძე აბაუვი.

ნადეჟდა, დაიბადა 5 მარტს, მოინათლა 28 მარტს. მშობლები: სოფელ ბიდარაში მცხოვრები ვლადიმერ დიმიტრის ძე ბიდაროვი და ოლგა ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყაზბეგში მცხოვრები დიმიტრი პავლეს ძე ღუღუშაური.

¹ გარდაცვალებულთა რეგისტრაცია აგვისტოს თვიდან იწყება და სექტემბრით მთავრდება.

ნიკალაი, დაიბადა 8 მარტს, მოინათლა 28 მარტს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ივანე ანდრიას ძე თავაუვი და სოფია **სანდროს** ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები იოსებ გაცოს ძე გუდიევი.

ანდრეი, დაიბადა 1 აპრილს, მოინათლა 25 აპრილს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები დიმიტრი იოსების ძე ზაგაგოვი და სოფია ვასილის ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოვოყავში მცხოვრები გრიგოლი **ნინიას** ძე არჯინოვი.

ვიქტორი, დაიბადა 2 აპრილს, მოინათლა 25 აპრილს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ილია **ლევანის** ძე თავაუვი და სოფია მიხეილის ასული. მიმრქმელი – **ზემო ხევის საზოგადოების მამასახლისი ტოტრბეგ ვლადიმერის ძე მისისტოვი**.

ისიდორე, დაიბადა 4 აპრილს, მოინათლა 25 აპრილს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები დავით თოთის ძე თავაუვი და მარიამ სისინკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ სბაში [სიბაში] მცხოვრები დავით ზაქარიას ძე აბაუვი.

ქრისტოფორე (sic), დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 28 მაისს. მშობლები: სოფელ ნოვოყავში მცხოვრები იოსებ ბიგოს ძე აგაუვი და მარია ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები იოსებ გაცის ძე გუდიევი.

გიორგი, დაიბადა 7 მაისს, მოინათლა 28 მაისს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ალექსანდრე კონსტანტინეს ძე გუდიევი და **ბაბაღე** დრისოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყაზბეგში მცხოვრები ნიკალაი სიმონის ძე გიგაური.

ევგენია, დაიბადა 12 მაისს, მოინათლა 28 მაისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები გაბრიელ გრიგოლის ძე ურტაუვი და სოფია ყასპოლის ასული. მიმრქმელი – სოფელ ახალგორში მცხოვრები ვასილი იოსების ძე მეტრეველი.

სერგეი, დაიბადა 10 ივლისს, მოინათლა 14 აგვისტოს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები აფაკო გიორგის ძე ძახაუვი (Джахаев) და მარია გიორგის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები ნიკალაი თეოდორეს ძე აბაუვი.

ქრისტოფორე, დაიბადა 15 ივლისს, მოინათლა 16 აგვისტოს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები სოსლან ალექსანდრეს ძე კოკაუვი და **თეკლა** იაგორის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები ევსტატე ბერძიკის ძე აბაუვი.

ირინა, დაიბადა 20 ივლისს, მოინათლა 20 აგვისტოს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ვლადიმერ ცოპის ძე აბაუვი და სოფია სოლომონის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები პავლე ათანასეს ძე სალბიევი.

ანდრია, დაიბადა 23 ივლისს, მოინათლა 28 აგვისტოს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ესტატე ბერდას ძე აბაუვი და სახარა სურხის ასული. მიმრქმელი – სოფელ წამალაურში მცხოვრები გლახა მიხეილის ძე წამალაიძე.

ვლადიმერი, დაიბადა 28 სექტემბერს, მოინათლა 10 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები Александр Горзанов Касаев и Елизавета Гуловка. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ალექსი თაკაუვის მეუღლე ევა.

თეიმურაზი, დაიბადა 15 ნოემბერს, მოინათლა 25 დეკემბერს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ბარამა ალექსანდრეს ძე კობლოვი და მარია გიორგის ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები გიორგი დიმიტრის ძე თავაუვი.

სოფია, დაიბადა 11 ნოემბერს, მოინათლა 30 დეკემბერს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები ესტატე ნიკოლოზის ძე კარაუვი და მარიამ გრიგოლის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები იოსებ გუდიევის მეუღლე ნატალია სიმონის ასული.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ აღმასიანში მცხოვრები ივანე აბაევი. 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ უხათში მცხოვრები ივანე ბათაევის ასული სოფია. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ აღმასიანში მცხოვრები ზაქარია ნიკოლის ძე აბაევი¹ ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ მნაში მცხოვრები სტეფანე ხოსიევი (sic). 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ მნაში მცხოვრები გიორგის არჯინოვის ასული ნატალია. 16 წლის. პირველი ქორწინება².

სასიძო, ქ. ვლადიკავკაზში მცხოვრები მიხეილ სიტოხოვი. 27 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აღმასიანში მცხოვრები ესტატე კარაევის ასული ევა.

სასიძო, სოფელ უხათში მცხოვრები მიხეილ ბათაევი. 30 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, აბანოს სამრევლოში მცხოვრები ალიმბეგ კალაგოვის ასული სოფია.

სასიძო, ქ. ვლადიკავკაზში მცხოვრები სტეფანე კისილას ძე სავლოხოვი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები ხასკო ბიდახოვის ასული მარია.

გარდაცვალებულთათვის³

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №88

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1912 წელი**

მღვდელი პეტრე თედევი, წიგნის მკითხველი იოსებ ოგბაიძე

დაბადებულთათვის⁴

ოღგა, დაიბადა 1911 წლის 25 ნოემბერს, მოინათლა 1912 წლის 20 იანვარს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები სტეფანე ნიკოლოზის ძე კოკაევი და ევა ხაურბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ კეტრისში მცხოვრები გაბრიელ ბულაცოვი.

ოღგა, დაიბადა 1911 წლის 20 სექტემბერს, მოინათლა 4 თებერვალს. მშობლები: სოფელ ქვემო უხათში მცხოვრები გიორგი აბას ძე ცაბოლოვი და სოფია გიორგის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები ზაქარია ივანეს ძე აბაევი.

ოთარი (sic), დაიბადა 4 თებერვალს, მოინათლა 6 თებერვალს (sic). მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ივანე აბას ძე ცაბოლოვი და სოფია თეიმურაზის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ბესარიონ ყარამანის ძე აბაევი.

ელენა, დაიბადა 1911 წლის 15 ოქტომბერს, მოინათლა 6 თებერვალს; მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები იაგორ სიმონის ძე საამოვი (sic) და ნაგო თომას ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები თეოდორე ლევანის ძე თოვაევი (Товаев).

ალექსანდრე, დაიბადა 1911 წლის 30 ოქტომბერს, მოინათლა 7 თებერვალს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ივანე ანდრიას ძე თოვაევი (Товаев) და **თინათინ** ივანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები გრიგოლ კუზიევის მეუღლე ქსენია ივანეს ასული.

¹ სასძლოს მხრიდან მოწმეები არ წერია.

² მოწმეები არ წერია.

³ გარდაცვალებულთა გრაფა არ არის შევსებული.

⁴ დაბადებულთა გრაფის პირველი გვერდი დაზიანებული და ნაწერი აღარ იკითხება.

ნინა, დაიბადა 1911 წლის 18 დეკემბერს, მოინათლა 26 მარტს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები კონსტანტინე კაკოს ძე აბაევი და ძიგუ ივანეს ასული. მიმრქმელი – აბანოს ეკლესიის მღვდლის ნესტორ სოტიევის მეუღლე დარია კასპოლის ასული.

ნიკალაი, დაიბადა 10 თებერვალს, მოინათლა 1 აპრილს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ივანე გიორგის ძე გუზიევი (sic) [გუდიევი?] და ელისაბედ დავითის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები გრიგოლ ვლადიმერის ძე აბაევი.

დარია, დაიბადა 1911 წლის 14 ივლისს, მოინათლა 1912 წლის 2 აპრილს. მშობლები: სოფელ ბიდარაში მცხოვრები ვლადიმერ ციცკას ძე ბიდაროვი და ანასტასია ციცოს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები შაველ ალექსანდრეს ძე კარაევი.

ნინა, დაიბადა 1911 წლის 10 მარტს, მოინათლა 1912 წლის 7 აპრილს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები ალექსანდრე კუცილას ძე სალბიევი და სოფია აფაკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ თოლოგოთში მცხოვრები ალექსანდრე Пидорих.

გიორგი, დაიბადა 1912 წლის 9 თებერვალს, მოინათლა 9 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სიმონ გიორგის ძე თავაევი და სოლომია არტემის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები გრიგოლ ლევანის ძე გუდიევი.

მარია, დაიბადა 1911 წლის 10 ნოემბერს, მოინათლა 10 აპრილს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები გიორგი ბიგას ძე აგაევი და მარიამ Xგაეხა. მიმრქმელი – სოფელ ყანობში მცხოვრები სიმონ გიორგის ძე კურკუმაშვილი (sic) [კურკუშული].

სოლომია, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 15 ივნისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ივანე კასპოლის ძე კოკაევი და სიდონია საბანას ასული. მიმრქმელი – სოფელ აჩხოტში მცხოვრები ივანე გრიგოლის ძე ბედოევი.

ბარის (sic), დაიბადა 10 ივნისს, მოინათლა 29 ივნისს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ვლადიმერ გიორგის ძე არჯინოვი და ნადია ვასილის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები კასპოლა კასაევი.

რაისა, დაიბადა 12 ივნისს, მოინათლა 29 ივნისს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები დიმიტრი კასპოლას ძე ჯახაევი და სოფია კასპოლას ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ქსენია ლევანის ასული გუდიევა.

მიხეილი, დაიბადა 15 ივნისს, მოინათლა 29 ივნისს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ალექსანდრე აბრამის ძე ზაგაგოვი და ლეზო (sic) ზამბოლის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები ზაქარია სუხაროვის ძე აბაევი.

მარია, დაიბადა 8 ივლისს, მოინათლა 21 ივლისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები Кайрбер Саамков Конилов და დარია კასპოლას ასული. მიმრქმელი – სოფელ საშაბუროში მცხოვრები ისაკ გაბრიელის ძე ირემაშვილი.

ნადეჟდა, დაიბადა 10 ივლისს, მოინათლა 21 ივლისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები კონსტანტინე ლევანის ძე კობლოვი და დარია იაგორას ასული. მიმრქმელი – სოფელ ქაისხევში მცხოვრები ალექსანდრე სიმონის ძე ნარიმანიძე.

ქრისტეფორე, დაიბადა 18 ივლისს, მოინათლა 31 ივლისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ალექსანდრე დიმიტრის ძე თავაევი და ლეზა ასლანბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები ოლგა ლევანის ასული კობლოვა.

სერგეი, დაიბადა 12 ივლისს, მოინათლა 7 აგვისტოს. მშობლები: აბანოს სამრევლოს მღვდელი ნესტორ მაქსიმეს ძე სოტიევი და დარია კასპოლის ასული. მიმრქმელი – სოფელ ანანურში მცხოვრები თამარა სერგოს ასული ანდრეევა.

ოლგა, დაიბადა 15 ივლისს, მოინათლა 18 აგვისტოს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები მიხაილ სტეფანეს ძე ცაბოლოვი და ბარბარე აღმასხანის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები გაიანე აბოს ასული კასოევა.

ანნა, დაიბადა 18 აგვისტოს, მოინათლა 30 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ილია **გლახას** ძე გუდიევი და ნინა ესტატეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ნიკოლოზ სტეფანეს ძე აბაევი.

მარია და სიდონია (ტყუპები), დაიბადნენ 20 აგვისტოს, მოინათლნენ 30 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ათანასი ელზარიკოს ძე გუდიევი და ხაირე ენალდიკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოვოკავში მცხოვრები გოსიდა ასოკოს ასული აგაევა და კეტრისში მცხოვრები გიორგი ძატოს ძე ცალაგოვი.

გიორგი, დაიბადა 21 აგვისტოს, მოინათლა 30 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები დავით ვასილის ძე გუდიევი და თოთრიძან (sic) ბიზიკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები სოლომია გიზილის ასული გუდიევა.

ანასტასია, დაიბადა 23 აგვისტოს¹. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ვასილი კუდაბერდას ძე აბაევი და სოფია გრიგოლის ასული. მიმრქმელი – სოფელ მუგუდაში მცხოვრები ზაქარია სიხას ძე უხინაიძე.

დუნია, დაიბადა 5 მაისს, მოინათლა 20 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ისაკ სიმონის ძე მამიევი (sic) და დარია დამბოლათის ასული. მიმრქმელი – ქ. ვლადიკავკაზში მცხოვრები ლეონიდ ივანეს ძე ზორაევი.

ანნა, დაიბადა 20 სექტემბერს, მოინათლა 25 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ აგაიანში მცხოვრები Копи-Ревки Биноев Агаев და გოსიდა ასიკოს ასული. მიმრქმელი – გორის მაზრის სოფელ ბრიტაულში მცხოვრები ვლადიმერ მიხეილის ძე სლანოვი.

თამარა, დაიბადა 26 სექტემბერს, მოინათლა 25 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ეგნატი გიორგის ძე შავლოხოვი და სოფია **ლეჟანის** ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ანდრია ზაგაგოვი.

ანდრია, დაიბადა 16 სექტემბერს, მოინათლა 26 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები გიორგი გულის ძე კოკაევი და **ბაბუცა** თეგოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები ანდრია დიმიტრის ძე ცაბოლოვი.

სოფია, დაიბადა 6 სექტემბერს, მოინათლა 27 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები მიხეილ გიორგის ძე შავლოხოვი და ნინა კაკუს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები ვლადიმერ ციცკას ძე თაკაევი.

ნიკალაი, დაიბადა 3 სექტემბერს, მოინათლა 28 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ქვემო უხათში მცხოვრები ძაბო გაბრიელის ძე ურტაევი და სოფია კასპოლათის ასული. მიმრქმელი – ქ. ბაქოში მცხოვრები მიხეილ იოსების ძე თურქიევი (sic).

ჟენია,...² მოინათლა 30 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ნანე სიმონის ძე კოკაევი და **მაიკო** გრიგოლის ასული. მიმრქმელი – ქ. ბაქოში მცხოვრები მიხეილ იოსების ძე თურქიევი.

ნიკალაი, დაიბადა 6 ნოემბერს, მოინათლა 15 დეკემბერს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები მიხეილ ზნაურის ძე კობილოვი და ხაძიკი სიმონის ასული. მიმრქმელი – სოფელ აჩხოტში მცხოვრები სტეფანე მიხეილის ძე ბედოევი.

¹ ნათლობის რიცხი დოკუმენტში გამორჩენილია.

² დაბადების თვე და რიცხვი არ წერია.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ შავარდენში მცხოვრები **სანდრო** სტეფანეს ძე კოკაევი. 27 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენში მცხოვრები ტატე (?) არჩინოვის ასული მარია. 19 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, ვანელი (sic) ვასილ მიხეილის ძე სოტიევი. სოფელ კობში მცხოვრები ლეკო (sic) კასპოლას ძე ჯახოვი, სასძლოს მხრივ, სოფელ აღმასიანი მცხოვრები: ანდრია დიმიტრის ძე ცობოლოვი, გრიგოლ მამოვი. ჯვარი დაიწერეს 5 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ ნოვოყავში მცხოვრები ზაურბეგ ლევანის ძე აბაევი. 30 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები გიორგი კარაევის ასული **ნატო**. 23 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ნოვოყავში მცხოვრები ეფრემ ბიდიხოვი, სიმონ აბაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: დავით სალბიევი, სისიკო აბაევი. ჯვარი დაიწერეს 5 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ შავარდენში მცხოვრები ასლანბეგ გორგის (sic) ძე არჩინოვი. 24 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენში მცხოვრები კარასე საპიევის ასული მარია. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ნოვოყავში მცხოვრები იოსებ მიხეილის ძე აგაევი, ვანელი (sic) ვასილი სომიევი (sic); სასძლოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები: ვასილი საპიევი, მიხეილ ვასილის ძე აბაევი. ჯვარი დაიწერეს 7 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

აღმასიანში მცხოვრები ესტატე კარაევის ასული მარია გარდაიცვალა 6 თებერვალს, დაიკრძალა 7 თებერვალს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – სისუსტიით.

თოღოტოში მცხოვრები **Александра Олдарова Борис** (sic) გარდაიცვალა 12 თებერვალს, დაიკრძალა 14 მარტს. 5 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშით.

კობში მცხოვრები გიორგი ყარაევი გარდაიცვალა 16 მარტს, დაიკრძალა 18 მარტს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფილტვების ანთებით.

კობში მცხოვრები დიმიტრი ყარაევი გარდაიცვალა 9 ივლისს, დაიკრძალა 11 ივლისს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

შავარდენში მცხოვრები ესატე **გლახას** ძე კოკაევი გარდაიცვალა 10 ივლისს, დაიკრძალა 12 ივლისს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – უეცრად.

მნაში მცხოვრები **მელანია** კუსაევა გარდაიცვალა 8 ნოემბერს, დაიკრძალა 10 ნოემბერს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფილტვების ანთებით.

უხათში მცხოვრები **ლევან** გიორგის ძე კუსოვი (sic) გარდაიცვალა 15 ნოემბერს, დაიკრძალა 17 ნოემბერს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფილტვების ანთებით.

კობში მცხოვრები როსტომ ბასილის ძე სალბიევი გარდაიცვალა 25 ნოემბერს, დაიკრძალა 27 ნოემბერს. 63 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექით.

უხათში მცხოვრები თომა ადამის ძე ბატაევის ძე პავლე გარდაიცვალა 4 დეკემბერს, დაიკრძალა 6 დეკემბერს. 4 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქუნთრუშით.

უხათში მცხოვრები კატი (sic) ნიკოლოზის ასული კუსოვა გარდაიცვალა 8 დეკემბერს, დაიკრძალა 11 დეკემბერს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფილტვების ანთებით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №89

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი 1913 წელი

მღვდელი პეტრე თედევი, წიგნის მკითხველი იოსებ ოგბაიძე

დაბადებულთათვის

ვასილი, დაიბადა 10 იანვარს, მოინათლა 28 იანვარს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ნიკოლოზ **გლახას** ძე კასოევი და მამო მიხეილის ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოვოკაჰში მცხოვრები იოსებ მაქსიმეს ძე აგაევი.

ვერა, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 27 თებერვალს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ზაქარია ნიკოლოზის ძე სუხიევი და ტასო ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – კობის სამრევლოს მღვდელი პეტრე თედევი.

ნიკოლოზი, დაიბადა 4 თებერვალს, მოინათლა 27 თებერვალს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები **სანდრო** ნიკოლოზის ძე აბაევი და ოლგა **ლევანის** ასული. მიმრქმელი – სოფელ წუნარში (sic) მცხოვრები კობის სამრევლოს მღვდელი პეტრე თედევი.

დარია, დაიბადა 12 მარტს, მოინათლა 20 მარტს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები თეოდორე პეტრეს ძე აბაევი და მამო გინოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაზილანში მცხოვრები მარია რიკილეს ასული ჯახოვა.

ბარბარე, დაიბადა 15 თებერვალს, მოინათლა 16 მარტს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ალექსანდრე კუცულას ძე სალბიევი და მარია ელიზბარის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ოლგა მიხეილის ასული მისისტოვი.

ნიკოლოზი, დაიბადა 4 აპრილს, მოინათლა 25 აპრილს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები მაქსიმე თიბილოვი და ოლგა გიორგის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები თეოდორე თედოს ძე აბაევი.

ანასტასია, დაიბადა 10 ივლისს, მოინათლა 28 ივლისს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები სტეფანე ალექსანდრეს ძე კუსოევი და **ნატო** გიორგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ცდოში მცხოვრები იაგორ კონსტანტინეს ძე წიკლაური.

ვლადიმერი, დაიბადა 3 აგვისტოს, მოინათლა 29 აგვისტოს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ადრიკო (sic) ვასილის ძე სალბიევი და მამო რუბის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები **ვანო** (sic) ანდრიას ძე თოვაევი (sic).

სერგეი, დაიბადა 2 აგვისტოს, მოინათლა 29 აგვისტოს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ნიკალაი იორდანეს ძე ბატაევი და ვერა ესტატის ასული. მიმრქმელი – სოფელ კაიშაურში მცხოვრები იოსებ სოფრომის ძე კაიშაური.

ქსენია, დაიბადა 3 ივნისს, მოინათლა 30 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ბიდარაში მცხოვრები ვლადიმერ დიმიტრის ძე ბიდაროვი და ოლგა ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ყაზბეგში მცხოვრები დიმიტრი პავლეს ძე ღუღუშაური.

ნინა, დაიბადა 5 მაისს, მოინათლა 10 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები გრიგოლი ბერდის ძე აბაევი და Гагუტ Дзахцикова. მიმრქმელი – სოფელ ცდოში მცხოვრები ანდრია წიკლაური.

კონსტანტინე, დაიბადა 12 ივლისს, მოინათლა 10 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები არტემ პეტრეს ძე ზაგაგოვი და Гута Зельмариевна. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ალიხან ნამიკის ძე აბაევი.

ილია, დაიბადა 7 ივლისს, მოინათლა 5 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ალექსანდრე გაბრიელის ძე ქასაევი და ლიზა გიორგის ასული. მიმრქმელი – კობში მცხოვრები ნატალია ივანეს ასული მისისტოვა.

ოლგა, დაიბადა 11 ივლისს, მოინათლა 17 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები დიმიტრი კასპოლას ძე ჯახოევი და სოფია კასპოლას ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ქსენია ივანეს ასული გუდიევა.

ანდრია, დაიბადა 5 ოქტომბერს, მოინათლა 15 ნოემბერს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები დავით კოკოს ძე აბაევი და ნინა კისილას ასული. მიმრქმელი – კობის მღვდელი პეტრე თედევი.

ვასილი, დაიბადა 8 ივლისს, მოინათლა 15 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სიმონ ერისთავის ძე თუაევი და დარია ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – სოფელ კეტრისში მცხოვრები სტეფანე ცორმონის ძე კოკაევი.

ვერა, დაიბადა 10 სექტემბერს, მოინათლა 17 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები მიხეილ ტოკაევი და ევა კარას ასული. მიმრქმელი – კობის სამრევლოს მასწავლებელი ვასილ მაქსიმეს ძე სოტიევი.

თამარა, დაიბადა 18 მაისს, მოინათლა 28 ნოემბერს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები ალექსანდრე ელიზბარის ძე აბაევი და Conი [სოფო?] ალექსის ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები იოსებ გაუსის ძე გუდიევი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, ვლადიკავკაზის ოლქის სოფელ ზაკაში მცხოვრები ვლადიმერ დრისოს ძე მედოევი. 26 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები ოლგა მიხეილის ასული ტომაევა. 22 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, ქ. ვლადიკავკაზში მცხოვრები მიხეილ ადამის ძე ციკოევი, სტეფანე გიცოს ძე ესევი, სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: გიორგი მიხეილის ძე კარაევი, სტეფანე მიხეილის ძე ტოკაევი. ჯვარი დაიწერეს 11 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ მნაში მცხოვრები ვლადიმერ სტეფანეს ძე ცაბოლოვი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ მნაში მცხოვრები ოლგა ბერდიკოს ასული აბაევი. 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ მნაში მცხოვრები: ტატე ბერდიკოს ძე აბაევი, თეოდორე ცაბოლოვი, სასძლოს მხრივ, სოფელ მნაში მცხოვრები: პეტრე აბაევი, ვასილ მაქსიმეს ძე სოტიევი. ჯვარი დაიწერეს 14 ნოემბერს.

სასიძო, აბანოს სამრევლო სოფელ რესში მცხოვრები გიორგი ალინბეგის ძე კალმანოვი. 30 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები მარია გრიგოლის ასული სალბიევა. 21 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ რესში მცხოვრები ზაურბეგ ურტაევი, სოფელ კობში მცხოვრები გიორგი კარაევი, სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ყარამან სალბიევი, სოლომონ კარაევი. ჯვარი დაიწერეს 14 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ მნაში მცხოვრები თეოდორე კუდაბის ძე ცაბოლოვი. 27 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ნინა გიორგის ასული კოკაევა. 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ მნაში მცხოვრები: ესტატე აბაევი, სოფელ აღმასიანში მცხოვრები ანდრია ცაბოლოვი. სასძლოს მხრივ, სოფელ ბაზილანში მცხოვრები: ვასილი სოტიევი, ზაქარია აბაევი. ჯვარი დაიწერეს 14 ნოემბერს.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები სიმონ ერისთავის ძე ტოვაევი. 49 წლის. მეორე ქორწინება. სასძლო, სოფელ მნაში მცხოვრები დარია ალექსანდრეს ასული კუსაევა. 40

წლის. მეორე ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: სოლომონ დიმიტრის ძე ქასაევი, დავით სალბიევი. სასძლოს მხრივ, სოფელ მნაში მცხოვრები: გრიგოლი კოკაევი, თეოდორე ცაბოლოვი. ჯვარი დაიწერეს 14 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

უხათში მცხოვრები **ლევან** გიორგის ძე კუსოვის ძე ნიკიტი გარდაიცვალა 10 თებერვალს, დაიკრძალა 12 თებერვალს. 17 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფილტვების ანთებით.

უხათში მცხოვრები გოსიფა გიორგის ასული ბატაევა გარდაიცვალა 12 თებერვალს, დაიკრძალა 14 თებერვალს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექით.

კობში მცხოვრები ჩაბო ბიბოს ასული კოცაევა გარდაიცვალა 10 აპრილს, დაიკრძალა 12 აპრილს. 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფილტვების ანთებით.

მნაში მცხოვრები მელესა კავდინას ასული კასოევა გარდაიცვალა 21 აპრილს, დაიკრძალა 23 აპრილს. 80 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ბრონხიტით.

ალმასიანში მცხოვრები გიგი აბაევა გარდაიცვალა 5 ივლისს, დაიკრძალა 7 ივლისს. 90 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ბრონხიტით.

კობში მცხოვრები ელზარიკო კარაევი გარდაიცვალა 15 სექტემბერს, დაიკრძალა 17 სექტემბერს. 85 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფილტვების ანთებით.

ბიდარაში მცხოვრები ვლადიმერ ბიდაროვის ძე **ვარდო** გარდაიცვალა 14 სექტემბერს, დაიკრძალა 16 სექტემბერს. 14 წლის. გარდაცვალების მიზეზი – დაზიანებით.

აგაიანში მცხოვრები იოსებ ბიგოს ძე აგაევი გარდაიცვალა 28 ოქტომბერს, დაიკრძალა 20 ოქტომბერს. 38 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექით.

უხათში მცხოვრები კონსტანტინე კობულოვის ძე **კოტე** გარდაიცვალა 10 ნოემბერს, დაიკრძალა 12 ნოემბერს. 5 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალმანკით.

მნაში მცხოვრები გრიგოლ ნაფის ძე კასოევი გარდაიცვალა 15 ნოემბერს, დაიკრძალა 17 ნოემბერს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გაციებით.

უხათში მცხოვრები დავით ადამის ძე ბატაევის ძე გაბრიელი გარდაიცვალა 10 დეკემბერს, დაიკრძალა 12 დეკემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გაციებით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №90

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი 1914 წელი

მღვდელი პეტრე თელეევი, წიგნის მკითხველი იოსებ ოგბაიძე

დაბადებულთათვის

ვასილი, დაიბადა 1 იანვარს, მოინათლა 25 იანვარს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ალექსანდრე ნალეკის ძე აბაევი და დარია ნიკოლოზის ასული. მიმრქმელი – სოფელ ალმასიანში მცხოვრები ყარამან კასპოლას ძე ჯახოვი.

ანასტატია, დაიბადა 2 თებერვალს, მოინათლა 15 თებერვალს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები გიორგი ინადიკოს ძე გუდიევი და მანიდა Закаевна. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ალექსანდრე აბაევი.

გიორგი, დაიბადა 1 იანვარს, მოინათლა 15 თებერვალს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები თემირკან გიორგის ძე ზაგაგოვი და სოფია როსტომის ასული. მიმრქმელი – სოფელ ალმასიანში მცხოვრები პავლე ზურაბის ძე ზაკაევი.

დავითი, დაიბადა 5 იანვარს, მოინათლა 17 თებერვალს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ალექსი ნიკოლოზის ძე კოკაევი და **ბაბალე** გისოს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ძაბო ვლადიმერის ძე მისისტოვი.

ოლგა, დაიბადა 6 იანვარს, მოინათლა 18 თებერვალს. მშობლები: სოფელ ნოვოკაჰში მცხოვრები ზაურბეგ **ლევანის** ძე აბაევი და **ნატო** გიორგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოვოკაჰში მცხოვრები სოფია გაბრიელის ასული აბაევი.

ალექსი, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 18 თებერვალს. მშობლები: სოფელ ნოვოკაჰში მცხოვრები ალექსანდრე ჯახოტის ძე ძლიევი და გაიანე აბოს ასული. მიმრქმელი – აბანოს სამრევლოს სოფელ კარატყაჰში მცხოვრები სოსლანბეკ დიმიტრის ძე კუმალაგოვი.

სოფია, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 19 თებერვალს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები ათანასი გისოს ძე ჯახოვი და მარია Гитеравна. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები ნიკალაი თედოს ძე აბაევი.

ქსენია, დაიბადა 6 თებერვალს, მოინათლა 10 აპრილს. მშობლები: სოფელ ბიდარაში მცხოვრები ლადი ციცკოს ძე ბიდაროვი და ტასო ციცკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები შაველ ალექსანდრეს ძე კარაევი.

სოფია, დაიბადა 5 იანვარს, მოინათლა 29 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ნიკოლოზ იორდანეს ძე თაკაევი და ლეზი Куховна. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ლიზა სალბიევა.

მიხეილი, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 30 აპრილს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები გრიგოლი თოთიას ძე ტოვაევი და **ნუცა** სოსინკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები ნალკიზ გაბიციის ძე კუსოევი.

მოსე, დაიბადა 16 მარტს, მოინათლა 10 მაისს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები გიორგი ივანეს ძე გუდიევი და **ნატო** ციცილას ასული. მიმრქმელი – სოფელ შავარდენში მცხოვრები უსიბი ყარასეს ძე საპიევი.

ალექსანდრე, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 2 ივნისს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები აბრაამ გიორგის ძე კოკაევი და ელისა ივანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ შავარდენში მცხოვრები ლეზო თეკოს ასული არჯინოვა.

ვასილი, დაიბადა 5 აპრილს, მოინათლა 10 ივნისს. მშობლები: სოფელ ნოვოკაჰში მცხოვრები იაგორ ილიცას ძე აგაევი და ციტო ზაურბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ქსენია ივანეს ასული გუდიევა.

ნადეჟდა, დაიბადა 3 მაისს, მოინათლა 24 ივნისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები იოსებ ზაურბეგის ძე ტოვაევი და ნატალია აფაკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები კობის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი ვლადიმერ **ლევანის** ძე ცაბოლოვი.

გაბრიელი, დაიბადა 10 მარტს, მოინათლა 13 ივლისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ალექსანდრე კუდას ძე ტოვაევი და გოსიდა ივანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები კასპოლ ივანეს ძე ტოვაევი.

ქსენია, დაიბადა 12 თებერვალს, მოინათლა 5 აგვისტოს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები იაგორ სიმონის ძე სამოვი და სოფია Фомина. მიმრქმელი – სოფელ სამაბუროში მცხოვრები იოსებ გაბრიელის ძე იორდანაშვილი.

ირინა, დაიბადა 25 თებერვალს, მოინათლა 15 აგვისტოს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ბიბო დიმიტრის ძე ცაბოლოვი და მამო ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – ღუშეთის მაზრის სოფელ წინამხარეში მცხოვრები ნინია პეტრეს ძე აბფიაური [აფციაური].

ოლგა, დაიბადა 5 ივლისს, მოინათლა 15 აგვისტოს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ნიკოლოზ გრიგოლის ძე სუხიევი და სოფიო Тотиевна. მიმრქმელი – სოფელ განისში მცხოვრები დიმიტრი ივანეს ძე გადიევი.

ანდრეი, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 28 აგვისტოს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები ივანე ალექსის ძე კარაევი და საბე გაბრიელის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები ილია Тотиев Гаджиев.

ანტონი, დაიბადა 20 მარტს, მოინათლა 30 აგვისტოს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები Василий Ефдом Абеев и Попо Георгиевна. მიმრქმელი – ქვეშეთის უბნის სოფელ მუღურში მცხოვრები დიმიტრი გლახას ძე წამალაიძე.

პავლე, დაიბადა 15 ივლისს, მოინათლა 25 სექტემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ივანე ანდრიას ძე ტოვაევი და სოფია ანდრიას ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები იოსებ გაუსას ძე გუდიევი.

რაისა, დაიბადა 10 ივლისს, მოინათლა 30 სექტემბერს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები მიხეილ ვასილის ძე აბაევი და ანა ლევანის ასული. მიმრქმელი – ქ. ვლადიკავკაზში მცხოვრები გაბრიელ ბეჩირის ძე ბულაცოვი.

კონსტანტინე, დაიბადა 13 მაისს, მოინათლა 30 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ნოვოკავში მცხოვრები ტემბოლატ ციბოს ძე აბაევ და ოლგა ზაურბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები ილას დავითის ძე კუსაევი.

ელენა, დაიბადა 13 თებერვალს, მოინათლა 15 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები ტემბეკ თედოს ძე აბაევი და მარია ივანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოვოკავში მცხოვრები ზაქარია გრიგოლის ძე ზაგაგოვი.

დავითი, დაიბადა 25 თებერვალს, მოინათლა 26 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ვლადიმერ სიმონის ძე აბაევი და სოფია სოლომონის ასული. მიმრქმელი – ყანობის სამრევლოს მღვდელი ალექსანდრე მისისტოვი¹.

ისიდორე, დაიბადა 11 სექტემბერს, მოინათლა 29 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები მიხეილ ყაზპოლას ძე გუდიევი და მაიკო ვასილის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ვლადიმერ ივანეს ძე ტვაევი (sic).

გრიგოლი, დაიბადა 30 სექტემბერს, მოინათლა 29 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ალექსანდრე კასპოლას ძე გუდიევი და ბაბაღე დრისოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები დავით ვასილის ძე კოკაევი.

ანასტასია, დაიბადა 15 მარტს, მოინათლა 10 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ქვემო უხათში მცხოვრები ივანე ანდრიას ძე ტუაევი და თითიკო ივანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები გრიგოლ ლევანის ძე გუდიევის მეუღლე სანჟე ივანეს ასული.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ აბანოში მცხოვრები გიორგი გრიგოლის ძე ცაბოლოვი. 26 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ უხათში მცხოვრები მარია თემირყანოს ასული კობიოვა. 21 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ უხათში მცხოვრები ალექსანდრე კობილოვი, სერგეი კანიკოვი; სასძლოს მხრივ, სოფელ აღმასიანში მცხოვრები: ზაქარია ვასილის ძე აბაევი, ნიკოლაი აბაევი. ჯვარი დაიწერეს 8 იანვარს.

¹ შევდომა უნდა იყოს, რადგან ყანობის სამრევლოს მღვდლად 1913 წელს იხსენიება ალექსანდრე ლომსაძე, იხ. ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №303.

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები დიმიტრი დავითის ძე კასაევი. 22 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ქსენია ივანეს ასული გუდიევა. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: სოლომონ აბაევი, პეტრე აბაევი, სასძლოს მხრივ, სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ალიხან აბაევი, ალექსანდრე სალბიევი. ჯვარი დაიწერეს 8 იანვარს.

სასიძო, აბანოს სამრევლოს სოფელ სვატისში მცხოვრები ესტატე სამბეგოვი. 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ შავარდენში მცხოვრები ოლგა გრიგოლის ასული არჩინოვა. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ სვატისში მცხოვრები სიმონ სოსლანის ძე კასაევი. სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ინალის კირიმის ძე კალაგოვი; სასძლოს მხრივ, სოფელ შავარდენში მცხოვრები: ტუშა არჩინოვი, სოფელ შავარდენში მცხოვრები ასახმატ არჩინოვი. ჯვარი დაიწერეს 13 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

უხათში მცხოვრები ალექსანდრე აბეს ძე ცაბელოვი გარდაიცვალა 12 მარტს, დაიკრძალა 15 მარტს. 63 წლის. გარდაცვალების მიზეზი – დაზიანებით.

შავარდენში მცხოვრები ბიბო გიგოლის ძე კოკაევი გარდაიცვალა 26 აპრილს, დაიკრძალა 28 აპრილს. 40 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლექით.

ალმასიანში მცხოვრები ესტატე კარაევის ასული მარია გარდაიცვალა 20 მაისს, დაიკრძალა 22 მაისს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გაციებით.

შავარდენში მცხოვრები ვასილი არჩინოვი გარდაიცვალა 21 მაისს, დაიკრძალა 23 მაისს. 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ბრონქიტით.

კობში მცხოვრები გიორგი ვასილის ძე ტუაევი გარდაიცვალა 25 მაისს, დაიკრძალა 28 მაისს. 18 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციმბირის წყლულით.

ოქროყანაში მცხოვრები ნალიკ ზამბეგის ძე აბაევი გარდაიცვალა 12 სექტემბერს, დაიკრძალა 15 სექტემბერს. 49 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გაციებით.

ალმასიანში მცხოვრები აფანასე ალექსის ძე კარაევი გარდაიცვალა 20 დეკემბერს, დაიკრძალა 22 დეკემბერს. 39 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლექით.

უხათში მცხოვრები ფილო იორდანეს ძე ბატაევი გარდაიცვალა 20 დეკემბერს, დაიკრძალა 25 დეკემბერს (sic). 48 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოკლეს.

შავარდენში მცხოვრები დიმიტრი ვასილის ძე არჩინოვის ქალიშვილი **თამარა** გარდაიცვალა 26 დეკემბერს, დაიკრძალა 27 დეკემბერს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყივანახველა.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №91

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1915 წელი**

მღვდელი ნესტორ სოტიევი და წიგნის მკითხველი იოსებ ოგბაიძე

დაბადებულთათვის

ვარვარა, დაიბადა 1 იანვარს, მოინათლა 10 იანვარს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ნალიკ გიორგის ძე კუსაევი და **ნინო** (sic) Гиеивна. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები **ვანო** (sic) ბათაევის მეუღლე მარია თემურკოს ასული.

იოსები, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 10 იანვარს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები კონსტანტინე **ლევანის** ძე კობლოვი და დარია ეგორის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები იოსებ Kokaev Abaev.

ელისავეტა, დაიბადა 1 იანვარს, მოინათლა 12 იანვარს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ალექსანდრე კუცლის (პეტრეს) ძე სალბიევი და **მარო** (sic) ელიზბარის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ალტი გაბრიელის ძე კასაევი.

ანასტასია, დაიბადა 4 იანვარს, მოინათლა 14 იანვარს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები დიმიტრი კასპოლათის ძე ჯახაევი და სოფია კასპოლათის ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები **ლევან** გუდიევის მეუღლე ესად.

ბორისი, დაიბადა 4 იანვარს, მოინათლა 18 იანვარს. მშობლები: კობის პოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი, სოფელ აბანოში მცხოვრები ვლადიმერ **ლევანის** ძე ცაბოლოვი და ევგენია გაბრიელის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები სიმონ ივანეს ძე აბაევი და კობის სადგურის მეზუფეტე აგაფია იაკობის ასული ბაკურაძე.

ზინაიდა, დაიბადა 15 თებერვალს, მოინათლა 20 თებერვალს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ნიკალაი სტეფანეს ძე კოკაევი და კოსერ გაპას ასული¹.

მარია, დაიბადა 7 იანვარს, მოინათლა 20 თებერვალს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ყარამან ალექსანდრეს ძე კობლოვი და **მარო** (sic) გიორგის ასული.²

ანასტასია, დაიბადა 3 თებერვალს, მოინათლა 24 თებერვალს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები დიმიტრი იოსების ძე ზაგაგოვი და სოფია ვასილის ასული. მიმრქმელი – სოფელ შავარდენში მცხოვრები გრიგოლი **ნინიას** ძე არჩინოვი.

ირინა, დაიბადა 2 თებერვალს, მოინათლა 24 თებერვალს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ალექსანდრე აბრამის ძე ზაგაგოვი და ლეზა ჯამბოლის ასული მიმრქმელი – კობის სამრევლოს მღვდელი ნესტორ სოტიევი.

ვიქტორი, დაიბადა 15 თებერვალს, მოინათლა 24 თებერვალს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ვლადიმერ გიორგის ძე არჩინოვი და ნადია ვასილის ასული. მიმრქმელი – კობის პრიხოდის მღვდელი ნესტორ სოტიევი.

პავლე, დაიბადა 15 თებერვალს, მოინათლა 24 თებერვალს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ასლანბეგ გიორგის ძე არჩინოვი და **მარო** კარასეს ასული. მიმრქმელი – ქალაქ ვლადიკავკაზში მცხოვრები გაბრიელ ბულაცოვი.

ანასტასია, დაიბადა 19 იანვარს, მოინათლა 24 თებერვალს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ვასილი (ბეჟან) ჯამბოლას ძე საპიევი და **თამარა** გობას ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები გრიგოლ **ლევანის** ძე გუდიევის მეუღლე სანიატ ივანეს ასული.

მარია, დაიბადა 26 იანვარს, მოინათლა 24 თებერვალს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები მიხაილ გინოს ძე შავლოხოვი და **ნინო** Kakyevna. მიმრქმელი – სოფელ ნოგაყუში მცხოვრები სოლომონ აგაევი.

ნიკალაი, დაიბადა 8 თებერვალს, მოინათლა 24 თებერვალს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ილუს სტეფანეს ძე კოკაევი და **მაიკო** Teteevna. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები სოფია ელიზბარის ძე აბაევი.

¹ მიმრქმელი არ წერია.

² მიმრქმელი არ წერია.

შუმანიკა (sic), დაიბადა 15 თებერვალს, მოინათლა 15 მარტს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები პავლე ზაურბეგის ძე ზაკაევი და მარია სურხავის ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები გრიგოლ **ლევანის** ძე გუდიევის მეუღლე საპიატ ივანეს ასული.

ანნა, დაიბადა 3 მარტს, მოინათლა 23 მარტს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები გრიგოლ პრის ძე ბიდიხოვი და მარია ივანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები კონსტანტინე ძაგოს ძე ცაბოლოვი.

მიხაილ, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 25 მარტს. მშობლები: კობის სამრევლოს მღვდელი ნესტორ მაქსიმეს ძე სოტიევი და დარია კასპოლის ასული. მიმრქმელი – ქ. ვლადიკავკაზის ოსური სკოლის მასწავლებელი ევსტაფიი ალექსის ძე აბაევი.

ნიკალაი და სიდონია (ტყუპები), დაიბადნენ 10 თებერვალს, მოინათლნენ 27 მარტს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები პავლე სტეფანეს ძე ცაბოლოვი და ვარინკა დიმიტრის ასული. მიმრქმელი – კობის მღვდელი ნესტრო სოტიევი და მნაში მცხოვრები კირიმ სუხიევის მეუღლე ტასო.

ზახარიი [ზაქარია], დაიბადა 1 მარტს, მოინათლა 30 მარტს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები მიხეილ სტეფანეს ძე ცაბოლოვი და ვარვარა აღმასხანის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები კარასე გრიგოლის ძე კასაევი.

იაკობი, დაიბადა 4 მარტს, მოინათლა 5 აპრილს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები დავით კოგკას ძე აბაევი და **ნინო** კისილის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები ზაქარია ზაურბეგის ძე ზაკაევი.

მარია, დაიბადა 28 მარტს, მოინათლა 6 აპრილს. მშობლები: სოფელ თოღგოთში მცხოვრები ვასილ ადოს ძე ბულაცოვი და სახარ დოხციკის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ალექსი თაკაევის მეუღლე ევა ყარასის ასული.

ვლადიმერი, დაიბადა 10 იანვარს, მოინათლა 6 აპრილს. მშობლები: სოფელ ნოგკავში მცხოვრები სოსლან დუდორის ძე ძლიევი და სალი ჩებოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოგკავში მცხოვრები სება ოსიევის მეუღლე სალომია ბაზის ასული.

თეოდორე, დაიბადა 17 თებერვალს, მოინათლა 6 იანვარს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები Капрбер Сотиев Коблов и Дарья Касполовна. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები გუგა (sic) **ერისტავის** ძე ტუაევი და სოფელ უხათში მცხოვრები Аминет Томаевна Батевна.

მარია, დაიბადა 7 იანვარს, მოინათლა 16 აპრილს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები მიხეილ ძამბოლის ძე ზაკიევი და აფინე ციცკას ასული. მიმრქმელი – კობის სამრევლოს მღვდელი ნესტორ მისისტოვი.

მიხაილი, დაიბადა 1914 წლის 1 ოქტომბერს, მოინათლა 1915 წლის 19 აპრილს. მშობლები: სოფელ აბანოში მცხოვრები გიორგი გრიგოლის ძე ცაბოლოვი და მარია თემორიკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ აბანოში მცხოვრები, კობის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი ვლადიმერ **ლევანის** ძე ცაბოლოვი.

მარია, დაიბადა 7 აპრილს, მოინათლა 24 მაისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები გიორგი აბეს ძე ცაბოლოვი და ნინოჩკა გიორგის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები ზაქარია ვასილის ძე აბაევი.

სიდონია, დაიბადა 10 აპრილს, მოინათლა 24 მაისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ივანე აბეს ძე ცაბოლოვი და სოფია ტომსორიკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ სტეფანწმინდაში მცხოვრები ლაზარე ივანეს ძე ქუშაშვილი.

ანტონი, დაიბადა 9 აპრილს, მოინათლა 25 მაისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სიმონ გიორგის ძე ტუავეი და სოლომია არტემის ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები გრიგოლ **ლევანის** ძე გუდიევის მეუღლე საპიათ ივანეს ასული.

ნიკალაი, დაიბადა 5 მაისს, მოინათლა 25 მაისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ვასილი კუდას ძე ტუავეი და **ბაბილო** (sic) სტეფანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები პოლი (sic) გიორგის ასული კასავეა.

ალექსი, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 14 ივნისს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები სტეფანე ალექსანდრეს ძე კუსავეი და ირინე გიორგის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები ხასაკო ბერდოს ძე აბავეი.

მარია, დაიბადა 15 მაისს, მოინათლა 14 ივნისს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ვლადიმერ სტეფანეს ძე ცაბოლოვი და ოლიჩკა ბერდას ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები კირიმ ნიკოლოზის ძე სუხიევი.

ილარიონ, დაიბადა 5 ივნისს, მოინათლა 14 ივნისს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები თემირკან გრიგოლის ძე ზაგაგოვი და სოფია როსტომის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები ნიკალაი **გლახას** ძე კასავეი.

ხარიტონი, დაიბადა 3 ივნისს, მოინათლა 14 ივნისს. მშობლები: სოფელ ნოგაკაში მცხოვრები გიორგი გატის ძე აბავეი და სონა გიორგის ასული. მიმრქმელი – ქ. ვლადიკავკაზში მცხოვრები გაბრიელ ბეჩირის ძე ბულაცოვი.

ნიკალაი, დაიბადა 1 ივნისს, მოინათლა 30 ივნისს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ალექსანდრე კასპოლატის ძე გუდიევი და **ბაბაღე** დრის ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ალიხან ნალიკოს ძე აბავეი.

ფატიმა, დაიბადა 6 ივნისს, მოინათლა 16 ივლისს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები ესტატე ნიკოლოზის ძე კარავეი და ჩაბა ალიმირზას ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები პავლე იოსების ძე გუდიევი.

ლიცა¹ (sic), დაიბადა 5 ივნისს, მოინათლა 19 ივლისს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ილია (ინუს) **ლევანის** ძე ტუსავეი და რიფა (sic) მიხეილის ასული. მიმრქმელი – გორის მაზრის სოფელ მეტეხში მცხოვრები მიხეილ გარსევანის ძე Татанашвили [თათანაშვილი].

პავლე, დაიბადა 28 ივლისს, მოინათლა 23 აგვისტოს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ივანე გიორგის ძე კასავეი და ოლგა ხასაკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები იოსებ გაუსას ძე გუდიევი.

ლევ, დაიბადა 3 თებერვალს, მოინათლა 29 აგვისტოს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები არტემ (გაგი) **ლევანის** ძე სალბიევი და მაშო **სანდროს** ასული. მიმრქმელი – სოფელ აჩხოტში მცხოვრები ხადჟუმარ მიხეილის ძე ბედოევი.

მარგარიტა, დაიბადა 1 სექტემბერს, მოინათლა 6 სექტემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ვლადიმერ ივანეს ძე ტუავეი და ნინა გაპას (?) ასული. მიმრქმელი – თელავის მაზრის სოფელ ვარდისუბანში მცხოვრები იოსებ ილიას ძე სუმბაძე და სოფელ კობში მცხოვრები ანდრია მისოსტოვის მეუღლე ლუბა თემირბალის ასული.

ბორისი, დაიბადა 1 ოქტომბერს, მოინათლა 15 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები სტეპკო ნიკოლოზის ძე კარავეი და პეპე (sic) ზაურბეგის ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები თემირკან ზაგაგოვის მეუღლე სოფია როსტომის ასული.

¹ ქალის სახელია.

ევგენია, დაიბადა 5 ნოემბერს, მოინათლა 15 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები სოსლანბეგ ვასილის ძე გუდიევი და თოთრიძან (sic) ბიზიკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები ელენა ბიდოს ასული აბაევა.

მარია, დაიბადა 13 ნოემბერს, მოინათლა 16 ნოემბერს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ილია **გლახას** ძე გუდიევი და **ნინო** Татиевна. მიმრქმელი – სოფელ ნოგოვში (sic) მცხოვრები Солтан Бигаев Агаев.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ კობში მცხოვრები დიმიტრი მიხეილის ძე თაკაევი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, კაიშაურის სამრევლოს სოფელ ქუმლისციხეში მცხოვრები მარია მიტკას ასული ჯავაევა. 16 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები გაგი სალბიევი, სოფელ აღმასიანში მცხოვრები ალექსანდრე კასპოლის ძე ჯახაევი¹. ჯვარი დაიწერეს 29 იანვარს.

სასიძო, სოფელ უხათში მცხოვრები ალექსანდრე კასპოლატის ძე ტუაევი. 25 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ უხათში მცხოვრები **ბაბაღე ლევანის** ძე კუსაევა. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ უხათში მცხოვრები ალექსანდრე დიმიტრის ძე ტუაევი, სოფელ უხათში მცხოვრები თემირიკო გაგის ძე კობლოვი; სასძლოს მხრივ, სოფელ უხათში მცხოვრები **სანდრო** ბატაევი და სოფელ ბაზილანში მცხოვრები მიხაილ ზაკიევი. ჯვარი დაიწერეს 4 მაისს.

სასიძო, სოფელ აღმასიანში მცხოვრები დავით კირიმის ძე ჯახაევი. 28 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, კაიშაურის სამრევლოს სოფელ ქუმლისციხეში მცხოვრები მატრონა სოსიკოს ძე კოკაევა. 22 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ბაიდარში მცხოვრები ვლადიმერ ციციკას ძე ბიდაროვი, სოფელ აჩხოტში მცხოვრები კაურბეკ ტამსირის ძე ბედოევი. სასძლოს მხრივ, სოფელ ქუმლისციხეში მცხოვრები საველი დულას ძე და სოფელ ქუმლისციხეში მცხოვრები ძოძი (?) გაგოს ძე აბაევი. ჯვარი დაიწერეს 30 ივლისს.

სასიძო, სოფელ აღმასიანში მცხოვრები დავით ტოტის ძე გაჯიევი. 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ნოგოვში მცხოვრები მარიკო (sic) მიხეილის ასული ბეროზოვა. 19 წლის. პირველი ქორწინება². ჯვარი დაიწერეს 22 ოქტომბერს.

გარდაცვალებულთათვის

„დაიკრძალნენ სოფლის სასაფლაოზე.“

ოქროყანაში მცხოვრები აბრაამ დავითის ძე ზაგაგოვი გარდაიცვალა 2 თებერვალს, დაიკრძალა 4 თებერვალს. 49 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის გახეთქვით.

ოქროყანაში მცხოვრები სანიატ (სიდონია) მიხეილის ასული გუდიევა გარდაიცვალა 10 მარტს, დაიკრძალა 12 მარტს. 16 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექით.

მნაში მცხოვრები სტეფანე ალექსანდრეს ძე კუსაევის ასული დატკა (sic) გარდაიცვალა 13 მარტს, დაიკრძალა 13 მარტს (sic). 7 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყივანახველა.

შავარდენში მცხოვრები ბეჟან ჯამბოლას ძე სოტიევის ქალიშვილი სერაფიმა გარდაიცვალა 16 მარტს, დაიკრძალა 17 მარტს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყივანახველა.

შავარდენში მცხოვრები კისილა კოკაევი გარდაიცვალა 15 მარტს, დაიკრძალა 17 მარტს. 48 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექით.

¹ სასძლოს მხრიდან მოწმეები არ წერია.

² მოწმეები არ წერია.

ალმასიანში მცხოვრები დიმიტრი კასპოლას ძე ჯახაევის ასული ანასტასია გარდაიცვალა 28 მარტს, დაიკრძალა 29 მარტს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყივანახველა.

შავარდენში მცხოვრები გიგოლ კოკაევი გარდაიცვალა 1914 წლის 15 სექტემბერს, დაიკრძალა 1915 წლის 30 აპრილს (sic). 52 წლის¹.

კობში მცხოვრები ვასილ ეგორის ძე ტუაევის ქალიშვილი ძიგონა გარდაიცვალა 7 მაისს, დაიკრძალა 8 მაისს. 13 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალმანკით.

ალმასიანში მცხოვრები ესტატე ნიკოლოზის ძე კარაევი გარდაიცვალა 6 მაისს, დაიკრძალა 8 მაისს. 12 წლის².

ალმასიანში მცხოვრები გიორგის დამბოლის ძე ზაკიევის ვაჟი ნიკალაი გარდაიცვალა 7 მაისს, დაიკრძალა 8 მაისს. 1 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყივანახველა.

უხათში მცხოვრები ეგორ სიმონის ძე სამოვის ქალიშვილი ვერა გარდაიცვალა 11 მაისს, დაიკრძალა 12 მაისს. 5 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყივანახველა.

უხათში მცხოვრები აბრაამ დიმიტრის ძე ტუაევი გარდაიცვალა 12 მაისს, დაიკრძალა 13 მაისს. 36 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხანგრძლივი ავადმყოფობით.

ოქროყანაში მცხოვრები ბეკი კასპოლას ძე გუდიევის ვაჟი ვლადიმერი გარდაიცვალა 26 მაისს, დაიკრძალა 28 მაისს. 8 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ტიფი.

ოქროყანაში მცხოვრები გიორგი ენადიკოს ძე გუდიევის ასული ქსენია გარდაიცვალა 28 ივნისს, დაიკრძალა 29 ივნისს. 8 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალში დაიხრჩო.

კობში მცხოვრები ვასგე ბასაევის ძე კასაევის მეუღლე გიგი გარდაიცვალა 30 ივლისს, დაიკრძალა 31 ივლისს. 72 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხანგრძლივი ავადმყოფობით.

ალმასიანში მცხოვრები ნიკალაი სტეფანეს (ციცორის) ძე აბაევი გარდაიცვალა 10 აგვისტოს, დაიკრძალა 12 აგვისტოს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფილტვების ანთებით.

შავარდენში მცხოვრები უსიბი კარაევის ძის საპიევის ვაჟი ვლადიმერი გარდაიცვალა 15 აგვისტოს, დაიკრძალა 16 აგვისტოს. 2 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყივანახველა.

უხათში მცხოვრები გიორგი აბეს ძე ცაბოლოვი ქალიშვილი გრონკა (?) გარდაიცვალა 28 სექტემბერს, დაიკრძალა 30 სექტემბერს. 8 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყივანახველა.

ალმასიანში მცხოვრები ზაქარია ვასილის ძე აბაევის ვაჟი ალექსანდრე გარდაიცვალა 10 ოქტომბერს, დაიკრძალა 12 ოქტომბერს. 10 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფილტვების ანთებით.

უხათში მცხოვრები გიორგი აბეს ძე ცაბოლოვის ქალიშვილი ლიზა გარდაიცვალა 17 ოქტომბერს, დაიკრძალა 19 ოქტომბერს. 5 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყივანახველა.

ალმასიანში მცხოვრები ზაქარია ვასილის ძე აბაევის ვაჟი დავითი (კაზბეკი) გარდაიცვალა 24 ოქტომბერს, დაიკრძალა 26 ოქტომბერს. 12 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფილტვების ანთებით.

ალმასიანში მცხოვრები ზაურბეგ ტოტოს ძე ზაკაევის დედინაცვალი გუბზა (sic) გარდაიცვალა 11 ნოემბერს, დაიკრძალა 14 ნოემბერს. 90 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხანგრძლივი ავადმყოფობით.

მნაში მცხოვრები ხასაკო ბერდიკის ძე აბაევის დედა ბაბი გარდაიცვალა 1915 წლის 16 აგვისტოს, დაიკრძალა 14 ნოემბერს (sic). 70 წლის. გარდაცვალების მიზეზი – დაიხრჩო.

¹ გარდაცვალების მიზეზი არ წერია.

² გარდაცვალების მიზეზი არ წერია.

აღმასიანში მცხოვრები სტეფანე ზაურბეგის ძე ზაკაევის ქალიშვილი სოფია გარდაიცვალა 22 დეკემბერს, დაიკრძალა 23 დეკემბერს. 6 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლეით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №92

**ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი
1916 წელი**

**მღვდელი ნესტორ სოტიევი და წიგნის მკითხველი იოსებ ოგბაიძე
დაბადებულთათვის**

ანასტასია, დაიბადა 2 იანვარს, მოინათლა 7 იანვარს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები გიორგი დიმიტრის ძე ტუაევი და მარია კირიმანის ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები ტემირ გაგის ძე კობლოვი.

ლავრენტი, დაიბადა 1915 წლის 9 დეკემბერს, მოინათლა 1916 წლის 7 იანვარს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები აბრაამ დაუტის ძე სამოვი და Ануфка Буткаева. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები ახბოლატ ტასოს ძე ბუკლოვი.

ვიქტორი, დაიბადა 20 თებერვალს, მოინათლა 28 თებერვალს. მშობლები: კობის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი, სოფელ აბანოში მცხოვრები ვლადიმერ **ლევანის** ძე ცაბოლოვი და ევგენია გაბრიელის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები პავლე იოსების ძე გუდიევი.

დიმიტრი, დაიბადა 15 თებერვალს, მოინათლა 29 თებერვალს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები სოლომონ დიმიტრის ძე კარაევი და ქსენია ასანას ასული. მიმრქმელი – სოფელ ვლადიკავკაზის ოლქის სოფელ აბატიკაჰში (sic) მცხოვრები ივანე **ლევანის** ძე ბესლევკოვი და კობში მცხოვრები ნიკოლოზ კოკაევის ასული ვერა.

ფატიმა, დაიბადა 10 თებერვალს, მოინათლა 7 მარტს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ალექსი (ასახმათ) კუცლის ძე სალბიევი და სოფია¹. მიმრქმელი – სოფელ თოღოთში მცხოვრები ალექსანდრე ტეკოს ძე ფიდაროვი.

ზაქარია, დაიბადა 2 მარტს, მოინათლა 10 მარტს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ალექსანდრე ნიკოლოზის ძე კოკაევი და **ბაბაღე** Глеиха. მიმრქმელი – სოფელ კარეულში (sic) მცხოვრები ადამი გაბოს ძე ფრიდონაშვილი.

ანასტასია, დაიბადა 5 მარტს, მოინათლა 10 მარტს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები დავით ვანუზის ძე კოკაევი და სონა ციცორის ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოგაკაჰში მცხოვრები გიორგი გატის ძე აბაევი.

ეკატერინა, დაიბადა 5 მარტს, მოინათლა 12 მარტს. მშობლები: სოფელ ნოგაკაჰში მცხოვრები გრიგოლი (მონას (sic) სებას ძე აბაევი და ლიზა პავლეს ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოგაკაჰში მცხოვრები პავლე სამოვი.

მიხეილი, დაიბადა 5 მარტს, მოინათლა 12 მარტს. მშობლები: სოფელ ნოგაკაჰში მცხოვრები გიორგი ბიგას ძე აგაევი და მართა კუბას ასული. მიმრქმელი – თერგის ოლქის სოფელ ხუმაღანში მცხოვრები ტატარხან ტოტრის ძე ბედოევი.

ტატიანა, დაიბადა 6 მარტს, მოინათლა 14 მარტს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები თეოდორე დიმიტრის ძე ცაბოლოვი და მარია გიორგის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები ხასაკო აბაევის მეუღლე სოფია გიგოს ასული.

¹ მამის სახელი არ წერია.

ლავრენტი, დაიბადა 7 მარტს, მოინათლა 16 მარტს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ქრისტოფორე დავითის ძე კუსაევი და მარია ძაგოს ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები ადამ სტეფანეს ძე ცაბოლოვი.

ეკატერინა, დაიბადა 9 მარტს, მოინათლა 16 მარტს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები თომა (ასლამურზა) დავითის ძე კუსაევი და ამინეტ გიორგის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები სალომია ტოტრაჯის ასული კოკაევა.

ნინა, დაიბადა 1 აპრილს, მოინათლა 13 აპრილს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები მიხეილ ვასილის ძე აბაევი და ანნა ლევანის ასული. მიმრქმელი – ქ. ვლადიკავკაზში მცხოვრები გაბრიელ ბეჩირის ძე ბულაცოვი.

ფილიპე, დაიბადა 5 აპრილს, მოინათლა 24 აპრილს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები კონსტანტინე Kokaev Akaev და სოფია გულის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები კასპოლა ჯახაევის მეუღლე ოლგა ბაირის ასული.

ანნა, დაიბადა 15 აპრილს, მოინათლა 25 აპრილს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები დავით კირილის ძე ჯახაევი და მატრონა სისკას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები ივანე გიორგის ძე კასაევი.

ფოტინია, დაიბადა 6 აპრილს, მოინათლა 25 აპრილს. მშობლები: სოფელ ბაიდარში მცხოვრები ვლადიმერ ციცრას ძე ბიდოროვი (sic) და მარია გიორგის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები ნიკალაი აბაევის ქვრივი ტასო პარსას ასული.

ოლგა, დაიბადა 5 თებერვალს, მოინათლა 16 აპრილს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები გიორგი გუსას ძე კოკაევი და ბაბუცა (sic) ტეგოს ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები ასლანბეგ ცაბოლოვის მეუღლე მაგდა დოლეტმირზას ასული.

ნინა, დაიბადა 17 აპრილს, მოინათლა 3 მაისს. მშობლები: სოფელ აბანოში მცხოვრები დიმიტრი მუსას ძე ბიზიკოვი და ზალიკო კარას ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები სოლომონ დიმიტრის ძე კარაევი და მარია მისისტოვა.

ანნა, დაიბადა 19 აპრილს, მოინათლა 3 მაისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ბუციკი დუსის ძე აბაევი და რიფა (sic) რევაზის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები გიორგი ვასილის ძე კასაევი.

ლუბა, დაიბადა 2 მაისს, მოინათლა 15 მაისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ალექსი მიხეილის ძე ტაკაევი და ევა კარას ასული. მიმრქმელი – სოფელ უხათში მცხოვრები საკო ბატაევი.

ნიკალაი, დაიბადა 17 მაისს, მოინათლა 15 ივნისს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები ტატრიჟან (დავით) ვასილის ძე აბაევი და სოფია სიმონის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები სოლომია გრიგოლის ასული აბაევა.

ბორის, დაიბადა 29 მაისს, მოინათლა 9 ივლისს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ნიკალაი გიგოლის ძე სუხიევი და სოფია ცორას ასული. მიმრქმელი – სოფელ რესში მცხოვრები ხამაჯან კუსაევის მეუღლე ზარადა ალიმენის ასული და ოქროყანაში მცხოვრები Дто Akaev.

მარია, დაიბადა 25 მარტს, მოინათლა 11 ივლისს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები ისააკ სიმონის ძე ბაბიევი და დარია ძამბოლათის ასული. მიმრქმელი – ქ. ვლადიკავკაზში მცხოვრები გოსადა კასპოლატის ასული კოკაევა.

სერგეი, დაიბადა 2 ივლისს, მოინათლა 11 ივლისს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები უსიბი (sic) კარასას ძე საპიევი და Сапетка Буцаева. მიმრქმელი – ქ. ვლადიკავკაზში მცხოვრები გოსადა კასპოლატის ასული კოკაევა.

მარია, დაიბადა 18 ივნისს, მოინათლა 11 ივლისს. მშობლები: სოფელ შავარდენში მცხოვრები დიმიტრი ვასილის ძე არჯინოვი და ნინა ციცკას ასული. მიმრქმელი – სოფელ შავარდენში მცხოვრები ბეჟან საპიევის მეუღლე ჟენია გიბას ასული.

ნიკალაი, დაიბადა 2 მაისს, მოინათლა 14 აგვისტოს. მშობლები: სოფელ ბაიდარში მცხოვრები ვლადიმერ დიმიტრის ძე ბიდაროვი და ოლგა ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – სოფელ სტეფანწმინდაში მცხოვრები დიმიტრი პავლეს ძე ღუდუშაური.

გაბრიელი, დაიბადა 17 მაისს, მოინათლა 21 აგვისტოს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ადამ სტეფანეს ძე ცაბოლოვი და სონა ადამის ასული. მიმრქმელი – სოფელ მნაში მცხოვრები აბო კასაევის მეუღლე **თეკლე** პაცოს ასული.

ანდრია, დაიბადა 15 ივლისს, მოინათლა 16 აგვისტოს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები აბო (კისტანეი) გუტის ძე კასაევი და **თეკლე** პაცოს ასული. მიმრქმელი – კობის მღვდელი ნესტორ სოტიევი.

ივანე, დაიბადა 5 აგვისტოს, მოინათლა 21 აგვისტოს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ხასაკო (ვასილი) ბერდიკის ძე აბაევი და სოფია გიგოს ასული. მიმრქმელი – კაიშაურის სამრევლოს სოფელ მუგურეს (sic) მცხოვრები იოსებ გლახას ძე წამალაძე (sic).

მარია, დაიბადა 3 აგვისტოს, მოინათლა 21 აგვისტოს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები სოსან (კონსტანტინე) კისილის (ალექსის) ძე კოკაევი და **თეკლე** ეგორის ასული. მიმრქმელი – კაიშაურის სამრევლოს სოფელ მუგურეს (sic) მცხოვრები იოსებ გლახას ძე წამალაძე (sic).

ალექსანდრა, დაიბადა 3 აგვისტოს, მოინათლა 22 აგვისტოს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ტეკრ (sic) (მიხეილ) ელზარიკოს ძე კარაევი და სახტი სტეფანეს ასული. მიმრქმელი – კობის სადგურის მეზუფეტე თებრონია რომანის ასული ბაკურაძე.

ვლადიმერ, დაიბადა 6 სექტემბერს, მოინათლა 25 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები დავით გიგოს ძე გუდიევი და სიდო Гегева. მიმრქმელი – სოფელ ნოიკავში მცხოვრები ნიკალაი სებას ძე აბაევი.

ლავრენტი, დაიბადა 3 სექტემბერს, მოინათლა 25 სექტემბერს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები გიორგი **ვანოს** (Ваноев) ძე გუდიევი და **ნატა** ციცილას ასული. მიმრქმელი – სოფელ შავარდენში მცხოვრები უსიბი საპიევი.

ვლადიმერი, დაიბადა 1 ოქტომბერს, მოინათლა 14 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები ტემბოლატ (გიორგი) თედოს ძე აბაევი და მარია ივანეს ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები სოლომონ კოკაევის მეუღლე ქსენია აფანასის ასული.

ელიზავეტა, დაიბადა 23 ოქტომბერს, მოინათლა 9 ნოემბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები გრიგოლი (გიორგი) ზაურბეგის ძე ტუაევი და ნატალია აფაკოს ასული. მიმრქმელი – კობის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი ვლადიმერ **ლევანის** ძე ცაბოლოვი.

მარია, დაიბადა 3 იანვარს, მოინათლა 21 ნოემბერს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები გაბრიელ (დაბო) გრიგოლის ძე ურტაევი და სოფია კასპოლატის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაიდარში მცხოვრები ვლადიმერ დიმიტრის ძე ბაიდაროვი.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ სნოში მცხოვრები ალექსი გიორგის ძე ღუდუშაური. 26 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები ეკატერინე თეკოს ასული კარაევა. 19 წლის.

პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ სნოში მცხოვრები გიორგი ღუდუშაური, ალექსანდრე ღუდუშაური. სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები: გიორგი კარაევი, ბეცი აბაევი. ჯვარი დაიწერეს 1 ივნისს.

სასიძო, ქ. ვლადიკავკაზში მცხოვრები ლევან ივანეს ძე აბაევი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აღმასიანში მცხოვრები ანნა ზაურბეგის ასული ზაკაევა. 22 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, ქ. ვლადიკავკაზში მცხოვრები: ა. ცორაევი, ქ. ვლადიკავკაზშივე მცხოვრები ბეკმირზა ტაკაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ზაქარია ზაკაევი, სოფელ აღმასიანში მცხოვრები ილია გაჯიევი. ჯვარი დაიწერეს 22 ივლისს.

სასიძო, სოფელ აბანოში მცხოვრები გაბრიელ ძახოს ძე ცაბოლოვი. 29 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ უხათში მცხოვრები ანნა ძაკას ასული ტუაევა. 21 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ აბანოში მცხოვრები: **ალეკო** ხასაკის ძე ცაბოლოვი, აბანოში მცხოვრები სერგეი გრიგოლის ძე¹. სასძლოს მხრივ, სოფელ უხათში მცხოვრები: **ალეკო** ტუაევი, სოფელ აბანოში მცხოვრები ასლანბეგ ბიზიკოვი. ჯვარი დაიწერეს 22 ივლისს.

სასიძო, სოფელ აბანოში მცხოვრები გაბრიელ გრიგოლის ძე ცაბოლოვი. 30 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ ნოგაკაში მცხოვრები მაკა მიხეილის ასული ბეროზოვა. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ აბანოში მცხოვრები: გაბრიელ ჯახოს ძე ცაბოლოვი, სოფელ ტეფში მცხოვრები ალექსანდრე კალაგოვი. სასძლოს მხრივ, სოფელ ნოგაკაში მცხოვრები ნიკიფორე ბეროზოვი, სოფელ კეტრისში მცხოვრები მათე კოკაევი. ჯვარი დაიწერეს 22 სექტემბერს.

სასიძო, სოფელ უხათში მცხოვრები ალექსანდრე ნალიკოს ძე კუსაევი. 20 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ უხათში მცხოვრები ევა ტომას ასული ბატაევა. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ უხათში მცხოვრები Kayper Cаситков Кониов, სოფელ კეტრისში მცხოვრები ნესტორ კოკაევი, სასძლოს მხრივ, სოფელ უხათში მცხოვრები არსენ ბატაევი, სოფელ აღმასიანში მცხოვრები ილია გაჯიევი. ჯვარი დაიწერეს 10 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

აღმასიანში მცხოვრები ელიზბარ სმაილის ძე აბაევი გარდაიცვალა 6 იანვარს, დაიკრძალა 8 იანვარს. 72 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხანგრძლივი ავადმყოფობით.

კობში მცხოვრები პისი ტუაევის მეუღლე მარია გარდაიცვალა 12 იანვარს, დაიკრძალა 14 იანვარს. 67 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლექით.

ნოგაკაში მცხოვრები ბიბო აგაევი გარდაიცვალა 24 იანვარს, დაიკრძალა 25 იანვარს (sic). 75 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხანგრძლივი ავადმყოფობით.

მნაში მცხოვრები ვლადიმერ სტეფანეს ძე ცაბოლოვი გარდაიცვალა 15 თებერვალს, დაიკრძალა 17 თებერვალს. 27 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლექით.

შავარდენში მცხოვრები ისააკ სიმონის ძე ბაბიევი გარდაიცვალა 6 მარტს, დაიკრძალა 7 მარტს. 46 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლექით.

ოქროყანაში მცხოვრები თემირყან ზაგაგოვის დედა ელისა გარდაიცვალა 7 მარტს, დაიკრძალა 9 მარტს. 57 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალმანკით.

¹ გვარი არ წერია.

კობში მცხოვრები ტემბოლა მისოსტოვის დედა დისო გარდაიცვალა 9 აპრილს, დაიკრძალა 12 აპრილს (sic). 53 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლექით.

მნაში მცხოვრები ადამ სტეფანეს ძე ცაბოლოვი გარდაიცვალა 15 აპრილს, დაიკრძალა 16 აპრილს. 45 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალმანკით.

მნაში მცხოვრები სტეფანე კუსაევის დედა გიგი გარდაიცვალა 1 იანვარს, დაიკრძალა 20 მაისს (sic). 62 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლექით.

მნაში მცხოვრები ნიკალაი სუხიევის მეუღლე სოფია გარდაიცვალა 20 მაისს, დაიკრძალა 31 მაისს (sic). 50 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მშობიარობაზე (Во время рождения ребенка).

ალმასიანში მცხოვრები ტატარკაი (sic) (დავით) ვასილის ძე აბაევი გარდაიცვალა 10 ივლისს, დაიკრძალა 12 ივლისს. 38 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ეგზემა.

უხათში მცხოვრები ლევან ივანეს ძე ტუსაევის დედა კუცინა გარდაიცვალა 28 აგვისტოს, დაიკრძალა 31 აგვისტოს. 72 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხანგრძლივი ავადმყოფობით.

თოლგოთში მცხოვრები ციცკა თაკაევი გარდაიცვალა 28 სექტემბერს, დაიკრძალა 30 სექტემბერს. 66 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გაციებით.

ალმასიანში მცხოვრები გიორგი ძამბოლის ძე ზაკიევის მეუღლე ნინა გარდაიცვალა 1 ნოემბერს, დაიკრძალა 2 ნოემბერს. 43 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მშობიარობაზე.

ოქროყანაში მცხოვრები მიხეილ ცოპანის ძე გუდიევი გარდაიცვალა 17 ნოემბერს, დაიკრძალა 19 ნოემბერს. 82 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ყაბზობით.

ოქროყანაში მცხოვრები ჯახო ჩელემეტის ძე არჩინოვი გარდაიცვალა 6 დეკემბერს, დაიკრძალა 10 დეკემბერს. 74 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობა.

უხათში მცხოვრები კონსტანტინე ლევანის ძე კობლოვი გარდაიცვალა 17 დეკემბერს, დაიკრძალა 19 დეკემბერს. 37 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ჭლექით.

ფონდი 489, ანაწერი 50, დოკუმენტი №93

ხევის უჩასტკის, კობის საბლადოჩინოს წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნი 1917 წელი

**მღვდელი ნესტორ სოტიევი, ოქტომბრის თვიდან კობის ეკლესიის მღვდლად იხსენიება
ალექსანდრე მისოსტოვი, წიგნის მკითხველი ვასილ სოტიევი**

დაბადებულთათვის¹

ქრისტოფორე, დაიბადა 12 აპრილს, მოინათლა 17 აპრილს. მშობლები: სოფელ ქვემო უხათში მცხოვრები გიორგი აბეს ძე ცაბოლოვი და სოფია გიორგის ასული. მიმრქმელი – სოფელ კობში მცხოვრები აბრამ ბატრაჯის ძე ტუსიევი (sic).

დიმიტრი, დაიბადა 3 აპრილს, მოინათლა 17 აპრილს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ვლადიმერ ციცის ძე აბაევი და სონა სოლომონის ასული. მიმრქმელი – მღვდელ ალექსანდრე მისოსტოვის მეუღლე ოლგა დიმიტრის ასული.

ევდოკიმ, დაიბადა 1 მაისს, მოინათლა 25 მაისს. მშობლები: სოფელ ნოგაკაში მცხოვრები სოსლან დუდარის ძე ძლიევი და სალიმატ ჩეხოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ნოგაკაში მცხოვრები სება აბაევის მეუღლე სალომე ბარეს ასული.

¹ დოკუმენტის პირველ ორ გვერდზე ნაწერი აღარ იკითხება.

ანდრეი, დაიბადა 20 მაისს, მოინათლა 25 მაისს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები მუსა (მიხეილ) ისმაილის ძე კოკაევი და **მარო** ძარახის ასული. მიმრქმელი – სოფელ ბაიდარაში მცხოვრები ლიზა სავის ასული ბიდაროვა.

ალექსანდრე, დაიბადა 4 მაისს, მოინათლა 25 მაისს. მშობლები: სოფელ ნოგაკში მცხოვრები ასახმატ კასპოლის ძე სამოვი და პეპო გიგოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები სოსლანბეგ ვასილის ძე გუდიევი.

ალექსანდრე, დაიბადა 15 სექტემბერს, მოინათლა 25 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები ივანე ანდრეის ძე ტუაევი და სონია მიხეილის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები სოსიკო გაუსის ძე გუდიევი.

ხაზბი (ხარიტონ), დაიბადა 27 სექტემბერს, მოინათლა 25 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები გიორგი ტეკოს ძე კარაევი და ზაფერინა (?) ძატეს ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები სიმონ ივანეს ძე აბაევი და მარია ვლადიმერის ასული მისოსტოვა.

მალვა (მალიკო), დაიბადა 7 ოქტომბერს, მოინათლა 15 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ კობში მცხოვრები დიმიტრი კასპოლის ძე კასაევი და ქსენია ვაპოს ასული. მიმრქმელი – კობის მღვდლის ალექსანდრე მისოსტოვის მეუღლე ოლგა დიმიტრის ასული მისოსტოვა.

სიმეონი, დაიბადა 6 ოქტომბერს, მოინათლა 16 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები კირიმ **ნიკოლოზის** ძე (Николосов) სუხიევი და ტასო ალექსანდრეს ასული. მიმრქმელი – სოფელ მუგურში მცხოვრები თედო გლახას ძე წამალაძე.

ნინა, დაიბადა 3 ოქტომბერს, მოინათლა 16 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ნიკალაი **გლახას** ძე კასაევი და მამო მიხეილის ასული. მიმრქმელი – სოფელ მუგურში მცხოვრები თედო გლახას ძე წამალაძე.

ივანე, დაიბადა 12 სექტემბერს, მოინათლა 17 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები პორფირ (ბეკი) პრის ძე ბიდიხოვი და ნატალია სლანბეგის ასული. მიმრქმელი – კობის სამრევლოს მღვდელი ნესტორ მაქსიმეს ძე სოტიევი.

მარია, დაიბადა 14 აგვისტოს, მოინათლა 17 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები სოსლან ალექსანდრეს ძე კოკაევი და **თეკლე** ეგორის ასული. მიმრქმელი – სოფელ მუგურში მცხოვრები თედო გლახას ძე წამალაძე.

ზალეკა (ზინაიდა), დაიბადა 7 აგვისტოს, ოქტომბერს, მოინათლა 17 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები ეგორ (გრიგოლი) ბერდიკოს ძე აბაევი და გაგუტა დოხციკოს ასული. მიმრქმელი – სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ქსენია ივანეს ასული გუდიევა.

ხრისტაფორ, დაიბადა 10 ოქტომბერს, მოინათლა 18 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ უხათში მცხოვრები ალექსანდრე დიმიტრის ძე ტუაევი და ლიცა (sic) ასლამბეგის ასული. მიმრქმელი – კობის სამრევლოს მღვდელი ნესტორ სოტიევი (sic).

სერგეი, დაიბადა 1 ოქტომბერს, მოინათლა 19 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ აღმასიანში მცხოვრები იოსებ კოკას ძე აბაევი და ლიცა ილასის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები ზაქარია ვასილის ძე აბაევი.

ოლგა, დაიბადა 25 აგვისტოს, მოინათლა 20 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ მნაში მცხოვრები მიხეილ ბერდიკოს ძე აბაევი და ძიგა გრიგოლის ასული. მიმრქმელი – სოფელ ნიხურში (sic) მცხოვრები თედო გლახას ძე წამალაძე.

რაისია, დაიბადა 15 აგვისტოს, მოინათლა 25 ოქტომბერს. მშობლები: სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ნიკალაი კასპოლის ძე გუდიევი და მარია ეგორის ასული. მიმრქმელნი – სოფელ ზაკას მცხოვრები ნიკალაი ბისალის ძე აბაევი და კობში მცხოვრები ნატალია ივანეს ასული მისოსტოვა.

პაველ, დაიბადა 17 დეკემბერს, მოინათლა 25 დეკემბერს. მშობლები: კობის პრიხოლის მღვდელი ნესტორ მაქსიმეს ძე სოტიევი და დარია კასპოლის ასული. მიმრქმელი – სოფელ აღმასიანში მცხოვრები ნატალია სიმონის ასული გუდიევა.

ჯვარდაწერილთათვის

სასიძო, სოფელ უხათში მცხოვრები პეტრე (ახბალატი) თასოს ძე ბუკლოვი (sic). 21 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აღმასიანში მცხოვრები ელენა ნიკოლოზის ასული აბაევა. 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ ნოგაკაში მცხოვრები მონასე (sic) აბაევი, სოფელ უხათში მცხოვრები ალექსანდრე ტუაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ აღმასიანში მცხოვრები პაველ ზაკიევი, დავით აბაევი. ჯვარი დაიწერეს 4 ივნისს.

სასიძო, სოფელ აღმასიანში მცხოვრები სერგეი ვლადიმერის ძე ზაკიევი. 23 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აღმასიანში მცხოვრები სალომია გრიგოლის ასული აბაევა. 17 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, ქ. ვლადიკავკაზში მცხოვრები ახმატ ბაცოს ძე და ნიკალაი ბიტაროვები; სასძლოს მხრივ, სოფელ აღმასიანში მცხოვრები გიორგი ზაკაევი და ილია გაბლიევი. ჯვარი დაიწერეს 18 ივნისს.

სასიძო, სოფელ აღმასიანში მცხოვრები ილია ტოტის ძე გოჯიევი. 18 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ კობში მცხოვრები ოლგა ვასილის ასული ტუაევა. 20 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, ბესარიონ გრიგოლის ძე აბაევი, სიმონ კოგას ძე აბაევი. სასძლოს მხრივ, სოფელ კობში მცხოვრები ბორის ტუაევი და ნასკი ტუაევი. ჯვარი დაიწერეს 7 ივლისს.

სასიძო, სოფელ აბანოში მცხოვრები სერგეი გრიგოლის ძე ცაბოლოვი. 26 წლის. პირველი ქორწინება. სასძლო, სოფელ აღმასიანში მცხოვრები **ნუცა** კირიმანის ძე ჯახაევა. 18 წლის. პირველი ქორწინება. თავმდებნი: სასიძოს მხრივ, სოფელ აბანოში მცხოვრები: გიორგი ცაბოლოვი, ნიკალაი სიმონის ძე ბულაცოვი. სასძლოს მხრივ, სოფელ აღმასიანში მცხოვრები პავლე ჯახოვი, ვლადიმერ კარაევი. ჯვარი დაიწერეს 8 ნოემბერს.

გარდაცვალებულთათვის

აღმასიანში მცხოვრები პავლე ზაურბეგის ძე ზაკაევის ქალიშვილი **მუმანიკი** (sic) გარდაიცვალა 6 იანვარს, დაიკრძალა 7 იანვარს. 3 წლის¹.

ოქროყანაში მცხოვრები ციცკა ძაკოს ძე გუდიევი გარდაიცვალა 13 მარტს, დაიკრძალა 16 მარტს. 55 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის გახეთქვით.

მნაში მცხოვრები კუდა აბაევი გარდაიცვალა 20 მარტს, დაიკრძალა 25 მარტს (sic). 86 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

უხათში მცხოვრები გიორგი ცაბოლოვის მეუღლე სოფია გიორგის ასული გარდაიცვალა 12 აპრილს, დაიკრძალა 13 აპრილს (sic). 38 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მშობიარობაზე.

უხათში მცხოვრები **სანდრო** ბატაევის დედა **ქეთო** გარდაიცვალა 13 მაისს, დაიკრძალა 15 მაისს. 72 წლის. გარდაცვალების მიზეზი – მოხუცებულობით.

¹ გარდაცვალების მიზეზი არ წერია.

ალმასიანში მცხოვრები თეოდორე აბაევის მეუღლე მაშა (sic) გარდაიცვალა 15 მაისს, დაიკრძალა 18 მაისს. 33 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალმანკით.

ოქროყანაში მცხოვრები დიმიტრი კასპოლის ძე გუდიევი გარდაიცვალა 14 ივნისს, დაიკრძალა 17 ივნისს. 17 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გულის დაავადებით.

ალმასიანში მცხოვრები ზაურბეგ ზაკაევის მეუღლე მარია მიხეილის ასული გარდაიცვალა 25 სექტემბერს, დაიკრძალა 27 სექტემბერს. 51 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გაციებით.

ოქროყანაში მცხოვრები კასპოლ გუდიევი გარდაიცვალა 10 ოქტომბერს, დაიკრძალა 12 ოქტომბერს. 68 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ხანგრძლივი ავადმყოფობით.

ოქროყანაში მცხოვრები ხასაკ ბიდიხოვის მეუღლე ნატო თედოს ასული გარდაიცვალა 13 ოქტომბერს, დაიკრძალა 15 ოქტომბერს. 47 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ქლექით.

შავარდენში მცხოვრები ალექსანდრე გრიგოლის ძე არჯინოვი გარდაიცვალა 10 ნოემბერს დაიკრძალა 12 ნოემბერს. 18 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ციმბირის წყლულით.

ოქროყანაში მცხოვრები სერგეი პეტრეს ძე გუდიევი გარდაიცვალა 13 ნოემბერს დაიკრძალა 14 ნოემბერს (sic). 15 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფილტვების ანთებით.

ოქროყანაში მცხოვრები ნიკალაი მოსეს ძე კოკაევი გარდაიცვალა 14 ნოემბერს დაიკრძალა 16 ნოემბერს. 65 წლის. გარდაცვალების მიზეზი – გაციებით.

ოქროყანაში მცხოვრები დავით ვანდის ძე კოკაევის მეუღლე სონა ციცრის ასული გარდაიცვალა 19 ნოემბერს დაიკრძალა 20 ნოემბერს. 35 წლის. გარდაცვალების მიზეზი – ფილტვების ანთებით.

შავარდენში მცხოვრები გიორგი არჯინოვის მეუღლე მარინე სილას ასული გარდაიცვალა 17 დეკემბერს, დაიკრძალა 18 დეკემბერს. 53 წლის. გარდაცვალების მიზეზი – წყალმანკით.

ტერმინების განმარტება

ასტავნოი სალდატი (Отставной солдат) – ძვ. სამსახურიდან გადამდგარი ჯარისკაცი (რუსულ-ქართული ლექსიკონი).

ბლადოჩინი – მამამთავარი, კეთილმოწყესიერების დამცველი, სამღვდლოთა შორის დეკანოზი ან მღვდელი (რუსულ-ქართული ლექსიკონი).

ბნელა – ავიზნე, ეპილეფსია – (ქათული ენის განმარტებითი ლექსიკონი)

გულის ჭიდილი – დაავადება, გამოწვეული გულის კუნთის სისხლნაკლებობით, რომელიც სხვადასხვა ნიადაგზე ვითარდება (ქათული ენის განმარტებითი ლექსიკონი)

დამზრალი – ყინვისაგანა მომწვარი, მოყინული; გაყინული, დაზრული (ქათული ენის განმარტებითი ლექსიკონი)

კვეთებული – ძვ. შეტევითი (ქათული ენის განმარტებითი ლექსიკონი)

ლოგინობა – მშობიარობა (ქათული ენის განმარტებითი ლექსიკონი)

მღებიარე – ლოგინად ჩავარდნა, მძიმე ავადმყოფობა (ქათული ენის განმარტებითი ლექსიკონი)

მუცელა – ყვანა, სენი (სულხან-საბა)

მჭამელი – წყლული კირჩხიბი (საბა); კანის, ტყავის, ძვლის დამაზიანებელი ავადმყოფობა, ძვლის მჭამელა, კანის მჭამელა, (ქათული ენის განმარტებითი ლექსიკონი) 1. კიბო, სიმსივნე, 2. წითელი ქარი (მოხ. ლექს.)

მჭვალი, ჭვალი, მჩხვლეტავი ტკივილები გვერდში (ან მკერდში) (ქათული ენის განმარტებითი ლექსიკონი); მსჭოლი, ჭვალი, ძლიერი ტკივილი (მოხ. ლექსიკონი).

მჯდომი – შიგანში დიდი მუწუკი (სულხან-საბა).

პრიჩეტნიკი (Причетник) – ძვ. მედავითნე. წიგნის მკითხველი (რუსულ-ქართული ლექსიკონი)

საოფლე – ძვ. იგივეა, რაც ფიტი. შენიშნულია, რომ ხოლერა, ჭირი, საოფლე და სხვა ავი ავადმყოფობანი ტყის ახლოს ნაკლებად ხოცვენ მცხოვრებლებსა (ი. გოგებაშვილი) (ქათული ენის განმარტებითი ლექსიკონი) **იხ. სახადი.**

სახადი – სააადი, სენი; შავი ჭირი, საოფლე სენი, ტიფი (მოხ. ლექს.) 1. გადამდები სენი, რომელიც ერთხელ მოხდის შემდეგ აღარ ემართებათ, 2. იგივეა რაც ტიფი (ქათული ენის განმარტებითი ლექსიკონი)

სილი – ჭველების სენი, სენია უშველებელი (საბა.)

სისხა – მუცელა, დიზენტერია, სისხლზე ყვანა, სისხლზე გასვლა (მოხ. ლექს.).

სტანცია (Станция) – სადგური (რუსულ-ქართული ლექსიკონი)

სტარშინა (Старшина) – ძვ. მამასახლისი (რუსულ-ქართული ლექსიკონი)

სტატსკი სოვეტნიკი (Статский советник) – მე-5 კლასის სამოქალაქო ჩინი ძველ რუსეთში (რუსულ-ქართული ლექსიკონი)

სურავანდი – ავადმყოფობა, რომელსაც იწვევს ავითამინოზი, კერძოდ ნაკლებობა C ვიტამინისა, რომელსაც შეიცავს ბოსტნეული, ახალი ხორცი, რძე, ხილი; იცის სისუსტე, სისხლჩაქცევები ქსოვილებში და ორგანოებში, სისხლნაკლებობა, ნუნების ანთება, კბილის დაცვენა და ა.შ. (ქათული ენის განმარტებითი ლექსიკონი)

უპრავლენის პისეცი (Управление Писец) – სამმართველოს გადამწერი (რუსულ-ქართული ლექსიკონი)

ფერდის ქარი – თიაქარი, ფუში (მოხ. ლექს.).

ქუნთრუმა – სენია, წიტელას ჰგავს (სულხან-საბა)

ღვიძლის ხურება – იხ. ხურება.

ყელისჭირვება – ყელჭირვება, ქუნთრუმა (მოხ. ლექს.).

ყვავილი – სენი (სულხან-საბა)

შაკიკი – რიგით თავის ტკივილი დროსა და დროზე (სულხან-საბა).

შირიმი – ბუშტისა და თირკმლის ქვა (სულხან-საბა).

ჩიხოტკა, ჩეხოტკა – ჭლექი (მოხ. ლექს.)

წითელი ქარი – კანის ავადმყოფობა (მოხ. ლექს.).

წყლული – 1. ჭრილობა, იარა. 2. ჩიქროვანი იარა; ციმბირის წყლული, ერთგვარი ინფექციური დაავადება საქონლისა, ადამიანზეც გადადის (ქათული ენის განმარტებითი ლექსიკონი)

ხორვილა/ხოლერა/ხორელა/ხოლოვერა – მოარული სენი, შავი ჭირი, ქოლერა (მოხ. ლექს.). (ქათული ენის განმარტებითი ლექსიკონი)

ხუნაგი/ხუნათი – იგივეა, რაც დიფტერია (ქათული ენის განმარტებითი ლექსიკონი); სასის გასივება, სასის ჩამოსვლა (საბა).

ხურება/ხურვება – 1. შეხურება, სიცხის მომატება რაიმე ავადმყოფობის დროს, ცხელება. 2. ძვ. იგივეა რაც ფიტი (ქათული ენის განმარტებითი ლექსიკონი)

ჯდომა (ჯდომისაგან) – შინაგანში დიდი მუწუკი (სულხან-საბა).

(sic) – ლათ. „ასე“. ტექსტში (უპირატესად ციტატაში) ან არეებზე გაკეთებული, ფრჩხილებში ჩასმული წარწერა, რომელიც მიუთითებს ტექსტში მოცემული ადგილის მნიშვნელობასა და უტყუარობაზე (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=10&t=5356>)

4. კამერალური აღწერები და საოჯახო სიები – მოკლე მიმოხილვა და დოკუმენტები

XIX საუკუნის თრუსოს¹ მოსახლეობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დაცული რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებულ „კამერალურ აღწერებსა“ და „საოჯახო სიებში“. აღნიშნული დოკუმენტები საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ თრუსოში მაცხოვრებელთა ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა, ოჯახების სტრუქტურა, განვსაზღვროთ მათი სოციალურ-ეკონომიკური თუ დემოგრაფიული მდგომარეობა, მიგრაციული პროცესები და ა.შ.

საქართველოს სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ რუსეთის იმპერიამ დაიწყო ფისკალური რეფორმების განხორციელება. საქართველოში გენერალ პავლე ციციანოვის მიერ 1803 წელს გამოცემული ცირკულარის შესაბამისად დაიწყო ქვეყნის პირველი სტატისტიკურ-ეკონომიკური შესწავლა და მოსახლეობის კამერალური აღწერა. კამერალური აღწერების მიზანს, მოსახლეობის ქონებრივი მდგომარეობის დაზუსტება, სულადობრივი დაბეგვრა და სამხედრო სამსახურისათვის გასაწევ პირთა განსაზღვრა შეადგენდა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის აღწერები 1804, 1816, 1831, 1842, 1860, 1873 და 1886 წლებში ჩატარდა. აქედან პირველი ორი – 1804 და 1816 წლების – აღწერები მხოლოდ კომლობრივი ხასიათის იყო, მასში მოცემულია ოჯახის უფროსის ვინაობა და ოჯახში შემავალი წევრების რაოდენობა. თითოეული კომლის აღწერისას აღნიშნულია მათი სოციალურ-ეკონომიკური და სულადობრივი მონაცემები, ეროვნება, მათ მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო, საბატონო ან საეკლესიო სახნავ-სათესი მიწის ფართობი. პირუტყვისა და წარმოებული მარცვლეულის რაოდენობა, თითოეული კომლის საქმიანობა. გადასახადების ფორმები და რაოდენობა. 1831 წლიდან ჩნდება ოჯახის წევრების აღრიცხვა სახელების, მათი ასაკისა და სქესის მინიშნებით, მეორენაირად ასეთ სიებს საოჯახო სიებსაც უწოდებენ. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქალების აღრიცხვა მხოლოდ 1831 და 1886 წლების აღწერებში გვხვდება, სხვა დანარჩენ აღწერებში, ასაკის განურჩევლად, მხოლოდ მამაკაცები არიან აღრიცხულნი.

1831 წლის აღწერებს თან ერთვის გარკვეული კითხვარები. დუშეთის მაზრის მთის უბნის მოსახლეობის აღწერების მიხედვით ეს კითხვებია: რა სარწმუნოების არიან; რითი არიან დაკავებული, წელიწადში რა სახის და რაოდენობის გადასახადს იხდიან; მიწის ნაკვეთი რამდენი აქვთ, აქვთ თუ არა წისქვილი. გლეხები რომელ კატეგორიას მიეკუთვნებიან – სახაზინო, საბატონო თუ საეკლესიოს.

1842 წლის აღწერებში ეს კითხვარები კიდევ უფრო ფართოვდება და იგი 7 გრაფისგან შედგება. კერძოდ მასში მოცემულია: 1. რა სარწმუნოებისაა; 2. მკვიდრია თუ მომთაბარე; 3. სულ რამდენი სახნავია; მარცვლეულის რა სახეობები მოჰყავთ; 4. [სოფელში] რამდენი და რა სახის პირუტყვი ჰყავთ; 5. მაზრის ქალაქამდე რა მანძილია; 6. უბნის მსაჯულის ადგილსამყოფლამდე რა მანძილია; ბოლო მე-7 გრაფაში მოცემულია – განსაკუთრებული შენიშვნები სოფლების თაობაზე (ამ გრაფაში დაზუსტებულია მოსახლეობა რა სახის სამეურნეო საქმიანობითაა დაკავებული, სახნავ-სათესი მიწა თუ არის მათ მფლობელობაში, ეკონომიკურად როგორ მდგომარეობაში იმყოფებიან, აქვთ თუ არა ტყე, თუ არა აქვთ შეშას საიდან ეზიდებიან, სოფელი როგორაა გაშენებული, აქვთ თუ არა სასწავლებლები, საზოგადოებრივი სახლები ან სახანძრო იარაღები).

¹ თრუსოში ვგულისხმობთ, კობის ქვაბულის, მნისა და საკუთრივ თრუსოს ხეობების სოფლებს.

1860 წლის დუშეთის მაზრის მთის ოლქის ხევის უბნის მოსახლეობის აღწერებში მოცემულია მხოლოდ მაცხოვრებელთა ეროვნება, სარწმუნოება, მათი სოციალური მდგომარეობა და მიწა, რომელსაც გლეხი ამუშავებდა, ვის საკუთრებაში იყო.

1804, 1816, 1831, 1842 და 1860 წლებში ჩატარებული აღწერებით ძირითადად მოხდა საბატონო, სახაზინო და საეკლესიო მიწების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ბოლო ორი, 1873 და 1886 წლების, აღწერები კი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა წინა პერიოდში ჩატარებული აღწერებისაგან, რადგან გრაფები კიდევ უფრო გაფართოვდა, დაზუსტდა და ბევრად დახვეწილი სახე მიიღო.

1873 წლის კამერალური აღწერები დაყოფილია 11 გრაფად, რომელიც სამ – რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზეა შედგენილი: „1. ნომრები კომლთა რიგზე; 2. ნომრები, რომელთა ქვეშაც ჩაწერილნი არიან უკანასკნელ აღწერაში; 3. დასახელება ქალაქისა ან სოფლისა, ან ელისა, წოდება მოხარჯე პირთა, სახელები, მამის სახელები და გვარები მოხარჯე პირთა მამრობითისა სქესისა; 4. შობითგან რამდენის წლისა არიან; 5. ახსნა (ჩვენება) მომატების უკანასკნელის აღწერის აქეთ; 6. ერთიანად რიცხვი სულთა კომლში; 7. რომლის სარწმუნოებისა არის; 8. რა ჩამომავლობისა; 9. რა ხელობას აწარმოებს; 10. ხომ არ ასრულებს რომელსამე განსაკუთრებულ სამსახურს და სხვა შემთხვევითი განმარტება. 11. ახსნა დაკლებისა, რომელიც შესაძლოა მოხდეს აღრიცხვისა და სხვა შემთხვევათა გამო შემდეგის კამერალნის აღწერის წარმოებამდე“.

მომდევნო, ბოლო აღწერა, რომელიც 1886 წელს ჩატარდა, ცნობილია „საოჯახო სიების“ სახით. ეს აღწერა წინა აღწერასთან შედარებით უფრო მეტად დახვეწილი და მრავალი ინფორმაციის შემცველია, აღწერას დამატებული აქვს რამდენიმე კითხვარი და შეადგენს 19 გრაფას: „1. რიგითი ნომერი ჯალაბობისა, ანუ მოსახლეობისა; 2. ნომერი 1873 წლის აღწერის მიხედვით; 3. წოდება (გვარი), სახელი, მამის სახელი, მამრობითი სქესისა და მათი მიმართულება ან დამოკიდებულება ოჯახის უფროსის მიმართ. შემდეგ მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 გრაფებში მოცემულია ოჯახის მამრობითი და მდედრობითი სქესის წევრების წლოვანება (მაგალითად: 4. გრაფა – წელიწადი, თვე და დღე მეტრიკული წერილით; 5. წლოვანება აღნიშნული კამერალის აღწერაში; 6. ვარაუდათ, ასე შეხედვით, რამდენი წლისანი არის; 7. რამდენის არის 1 იანვარს 1886 წელს; 8. წლოვანება მდედრობითი სქესისა მხოლოდ ქრისტიანთ ოჯახის უფროსის ჩვენებით); მე-9 გრაფა შეიცავს კითხვარს – რომელი თემისაა (ანუ ეროვნება); 10. სარწმუნოება; 11. შინაური ენა, რომელზედაც ლაპარაკობენ. 12. რა ენაზე იცის წერა-კითხვა; 13. იცის თუ არა რუსული (სახელმწიფო ენა); 14. სად მიუღია სწავლა და სად სწავლობს; 15. წოდება; 16. მამულის მფლობელობისა; 17. რა ხელობისაა და რა საქმეს ადგია; 18. ვაჭრობაში [თუ არის ჩართული]; და ბოლოს, მე-19 გრაფაში – აღნიშვნა თუ რომელიმე მოემატა ან დააკლდა სიის შედგენის შემდეგ“.

თითოეული წლის აღწერებში შეჯამებულია სოფელში მაცხოვრებელი მამრობითი და მდედრობითი სქესის სულადობრივი რაოდენობა და აღნიშნულია მათი ეროვნება.

1886 წლის საოჯახო სიებს დამატებული აქვს ოჯახის (ძმების, ბიძაშვილების) გაყრის ცნობები და ზოგიერთ შემთხვევაში დაფიქსირებულია ოჯახის სრული შემადგენლობის ან მისი რომელიმე წევრის მიგრაცია თუ სად და როდის გადასახლდნენ.

ჩვენი კვლევის მიკრორეგიონის, თრუსოს, მნის ხეობების და მათთან ერთად კობის ქვაბულის სოფლები XIX საუკუნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის (1802-1803 წწ.) შემადგენლობაში შედიოდა. 1803 წლიდან – დუშეთის მაზრა ანანურის მაზრად გადაკეთდა, ხოლო 1821 წლიდან კვლავ დუშეთის მაზრა

ეწოდა. 1840 წელს მაზრების რეორგანიზაციის შედეგად თრუსო ღუშეთის მაზრის „მთის უბნის“ შემადგენლობაში შევიდა.

1804, 1816, 1831 და 1842 წლების ღუშეთის მაზრის კამერალურ აღწერებში სოფლები გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით არის შედგენილი. მოსახლეობის აღრიცხვა ძირითადად იწყება ხევის უკიდურესი ჩრდილოეთით მდებარე სოფელ გველეთიდან და მთავრდება ხევის სამხრეთით მდებარე ბოლო სოფელ ბიდარის ჩათვლით. წიგნში წარმოდგენილი სოფლების ნაწილი, კერძოდ: თოლგოთი, (ქვემო და ზემო) უხათი, კობი, აღმასიანი, ახალსოფელი (იგივე Наокави/Новакави/Новакови), შავარდენი (შევარდენი), ოქროყანა (ოქროსყანა), მნა და ბიდარა (ბაიდარა) „ხევის ხეობის“ სოფლებშია აღრიცხული. „ხევის ხეობის“ სოფლების მოსახლეობის აღწერის შემდეგ, მოდის „თრუსოს ხეობის“ შემდეგი სოფლები: ქეთრისი (Катерси/Кетерс/Кетрисი), აბანო (Абано), სავატისი (Саватиси), დალაგდესი ანუ ქვემო დენცი (Далагдес или Квемоденцс), მიდაკაგდესი ანუ ზემო დენცი (Мидакагдес или Земоденцс), ყარათყავი (Караткави/Караткава), ბურმასიკი (Бурмасек/Бурмасик), ცოცოლთა (Цоцолта/Чочола), გიმარა (Гимара/Гамара/Джимара), ტეპი (Тепи), რესი (Реси), სივრატა (Сиврата/Сивровта), ჯახაგორი (Джахагори/Джакагори).

1860, 1873 წლების კამერალურ აღწერებსა და 1886 წლის საოჯახო სიებში სოფლები ანბანურ რიგს მიჰყვება და ღუშეთის მაზრის ბარისა და მთის სოფლები ერთმანეთისგან არ არის გამოიჯნული.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1804 და 1816 წლების კამერალური აღწერებისაგან განსხვავებით, 1831 და 1842 წლების აღწერებში თრუსოს სოფლები უფრო სრულყოფილადაა აღწერილი, სოფლები ერთ დოკუმენტშია აღრიცხული და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით არის წარმოდგენილი.

მიუხედავად იმისა, რომ კამერალური აღწერები საინტერესო ინფორმაციას იძლევა XIX საუკუნის მოსახლეობის ეთნიკური, რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური ყოფის თუ სტატისტიკის დასადგენად, მაინც არ შეიძლება მათ ნაკლოვანებებზე არ მივუთითოთ. დოკუმენტებში გაპარულია მრავალი უხეში შეცდომა. ზოგიერთ აღწერაში გამოტოვებულია სოფლები, მაგალითად: 1804 წლის აღწერაში სოფლები მნა და ბიდარა გამორჩენილია. ბიდარა ასევე არ არის 1831, 1842 და 1886 წლების აღწერებშიც¹. 1816 წლის აღწერაში მთლიანად თრუსოს ხეობის სოფლებია გამორჩენილი; 1886 წლის საოჯახო სიაში არ არის შეტანილი ასევე თრუსოს ხეობის სოფელი სივრატა².

მთელი რიგი უხეში შეცდომებია დაშვებული თრუსოს ტოპონიმისა და ონომასტიკაში. მაგალითად: 1831 წლის აღწერაში ქეთრისის (Кетрисი) შემთხვევაში წერია ქეთერსი (Кетерс); იმავე წლის აღწერაში წერია ჯერ სოფელი ბურმასეკი (Бурмасек), ხოლო ბოლოს – ბურმაკეკი (Бурмакек); 1831 წლის აღწერაში სოფელ სუატისის ნაცვლად წერია ჯერ სავატისი, სოფლის ბოლოს კი – სევატისი; იგივე სოფელი 1842 წლის აღწერაში გვხვდება სავატისის სახელითაც, ხოლო 1860 წლის აღწერაში – ავატისის ფორმით. 1831 წლის აღწერაში გვხვდება სოფელი Караткав-ი, სოფლის ბოლოს წერია Карадкав-ი. 1860 წლის აღწერაში ქვემო უხათის ნაცვლად წერია სოფელი ქვემო უხოტი (Нижние Ухоти), იმავე წლის აღწერაში წერია სოფელი სივრატა (Сиврата) და სოფლის ბოლოს, შემაჯამებელ გრაფაში –

¹ ჩვენი აზრით, 1886 წელს სოფელი ბიდარა მოსახლეობისგან დაცლილი უნდა ყოფილიყო და ამ მიზეზით ის არ არის შეტანილი საოჯახო სიაში.

² სოფელ სივრატასთან დაკავშირებით იგივე მოსაზრება გვაქვს, 1873 წლის აღწერის მიხედვით სოფელი 4 კომლისგან შედგებოდა, სავარაუდოდ 1886 წელს იგი გაუკაცრიელებული უნდა ყოფილიყო.

სავრავი. იგივე სოფელი 1873 წლის აღწერაში გვხვდება სივროვტა და სივრავტის ფორმითაც და ა. შ. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

უხეში შეცდომებია დაშვებული თრუსოს მოსახლეობის გვარებისა და სახელების რეგისტრაციაშიც, ერთია და იგივე პიროვნებები სხვადასხვა წლების აღწერებში გვხვდება განსხვავებული გვარის და სახელის ფორმით. ზოგიერთ აღწერაში გამოტოვებულია პიროვნებები, ზოგჯერ კი მთელი ოჯახიც. ასაკობრივ შეუსაბამოებს ვხვდებით წინა და შემდეგი პერიოდის აღწერების შედარებისას.

რაც მთავარია, შეცდომებია დაშვებული თრუსოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის განსაზღვრაში. მაგალითად, 1804 წლის სოფელ შავარდენში მაცხოვრებლებს უწერია რომ არიან სახაზინო ქართველები; ხოლო შემდეგი 1831, 1860, 1873 და 1886 წლების აღწერებში იგივე გვარები უკვე ოსებად არიან რეგისტრირებულნი. გამონაკლის წარმოადგენს 1842 წლის აღწერა, სადაც შავარდენში მცხოვრებნი ოსებად და ქართველებად არიან გაფორმებულნი; ასეთივე მდგომარეობა გვაქვს სოფელ ოქროყანის შემთხვევაშიც, 1804 წლის აღწერაში სოფელში ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა, შემდგომი დროის აღწერებში მითითებულია, რომ ოქროყანაში მხოლოდ ოსი ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობს, იგივე სოფლის მკვიდრთ 1886 წლის საოჯახო სიაში ყველას ეროვნება ქართველი უწერია, ხოლო სოფლის ბოლოს, შემაჯამებელ გრაფაში, ეთნიკური – ოსი.

1842 წლის აღწერის თანახმად სოფელ მნაში ქართველი და ოსი სახაზინო გლეხები ცხოვრობდნენ. ხოლო 1831, 1860, 1873 და 1886 წლების აღწერებში მნის ყველა მაცხოვრებელი ეთნიკურ ოსებს არიან მიკუთვნებულნი. 1886 წლის საოჯახო სიაში სოფელ ალმასიანის მოსახლეობას თავში, ეროვნების გრაფაში, უწერია ოსი, ხოლო ბოლოს, სოფლის კომლობრივ და სულადობრივ შემაჯამებელ გრაფაში უწერია ქართველი.

აღწერებში გაპარული უხეში შეცდომები გარკვეულწილად შემდგენელ/გადაამწერთა გულგრილობით შეიძლება აიხსნას, მაგრამ მთავარი მიზეზი, მაინც კომუნიკაციის პრობლემა უნდა ყოფილიყო. თავდაპირველად კამერალური აღწერები ქართულ ენაზე უწარმოებიათ და შემდეგ უთარგმნიათ რუსულად; ქართული ენის არ მცოდნე რუსი მოხელეებისთვის სირთულეს ქმნიდა ქართული და ოსური სახელების, გვარებისა და ტოპონიმების გადატანა ქაღალდზე. როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი წლის აღწერებში თრუსოს ხეობის რამდენიმე სოფელი რუსული ენის შესატყვისი ფორმითაა გადაკეთებული-დამახინჯებული. დამახინჯებულია არა მარტო სოფლის სახელწოდებები, მაცხოვრებელთა სახელები და გვარები, არამედ, გამოტოვებულია კომლები და ზოგჯერ მთლიანად სოფლებიც. აღნიშნულ შეცდომებს თვით გადაამწერებიც ხვდებოდნენ და შემდეგი დროის აღწერებში უთითებდნენ ამ ნაკლოვანებებზე. 1842 წლის აღწერებში ვხვდებით გვიანი დროის მინაწერებს. მაგალითად, გამორჩენილი კომლების ან ცალკეული პიროვნებების გვერდით გაკეთებულია გვიანდელი ჩანაწერები, რომ „გამორჩენილია“.

შეცდომების მიუხედავად კამერალური აღწერები და საოჯახო სიები მაინც ძვირფას ინფორმაციას შეიცავს XIX საუკუნის თრუსოს მოსახლეობის ვინაობის, დემოგრაფიის, სოციალური ჯგუფების, ოჯახების სტრუქტურის და მიგრაციული პროცესების შესასწავლად.

წიგნში წარმოდგენილი საარქივო მასალები, რომლებიც საქართველოს ეროვნულ საისტორიო ცენტრალურ არქივშია დაცული, ქვეყნდება პირველად. დოკუმენტების გარკვეული ადგილები ვთარგმნეთ ქართულად; თრუსოს ტოპონიმებთან დაკავშირებით სოფლებს ჯერ ქართული შესატყვისი დაუწერეთ (მაგალითად კეტრისის შემთხვევაში დაწერეთ ქეთრისი, ტოლგოტის ნაცვლად – თოლგოთი, უხატის ნაცვლად – უხათი,


ცოცოლტას შემთხვევაში დავწერეთ ცოცოლთა და ა.შ. ვისარგებლეთ მეტრიკული წიგნების ქართული ხელნაწერებით) და იქვე, ფრჩხილებში რუსული, დედნისმიერი ფორმაც მივუწერეთ. რუსულად დავტოვეთ თრუსოს მაცხოვრებელთა ონომასტიკა, იმ მიზეზით, რომ სხვადასხვა წლების აღწერებში ერთი და იგივე პიროვნებები განსხვავებული გვარის და სახელის ფორმით გვხვდება და ამასთანავე, რუსულიდან ქართულად მათი გადმოტანა კიდევ მეტ უზუსტობას გამოიწვევდა.

კამერალური აღწერები იწყება ადრეული, 1804 წლიდან და მთავრდება ბოლო, 1886 წლის საოჯახო სიით. 1804 და 1816 წლების აღწერები დოკუმენტების ფოტოპირებით გვაქვს წარმოდგენილი, ხოლო 1831, 1842, 1860, 1873 და 1886 წლების აღწერებში თრუსოს სოფლები დავალაგეთ გეოგრაფიული თანმიმდევრობით (ამ შემთხვევაში ვისარგებლეთ 1831 და 1842 წლების აღწერებით).

სოფლების აღწერებს ვიწყებთ ჩვენი საკვლევი მიკრორეგიონის, კობის ქვაბულის ჩრდილოეთიდან (სოფელ თოღგოთიდან) სამხრეთის მიმართულებით (სოფელ ბიდარის ჩათვლით), ხოლო თრუსოს ხეობის სოფლების აღწერა მოცემულია აღმოსავლეთიდან (სოფელ ქეთრისიდან) დასავლეთის მიმართულებით (ბოლო სოფელ სივრატას ჩათვლით).

ტექსტებს, სადაც ტოპონიმები და ონომასტიკა შეცვლილი ფორმითაა მოცემული და არ არის ჩვენი შეცდომა, გვერდით მივუწერეთ ლათინური განმარტება (sic), იგივე ნიშანი დავსვით მოსახლეობის ეროვნებისა და ქართული წარმოშობის გვარებთან დაკავშირებით. ცუდი კალიგრაფიისა და დამახინჯებული ონომასტიკის გამო ზოგიერთი ადგილების წაკითხვა სადაც სრულყოფილად ვერ მოხერხდა, დავუსვით (?) ნიშანი. ხოლო სახელები, რომლებიც საქართველოში იყო გავრცელებული, გამოვყავით ბოლდით. ტექსტში გაკეთებული ჩვენი კომენტარები ჩავიტანეთ სქოლიოში.

1804 წლის კამერალური აღწერა



Список Церемоний и Службъ въ храме

| Службы | | |
|--------------------|-----|---------------------|
| 1. Служба | 28. | 21. Миссина. — 41 |
| 2. Дрво. | 28. | 22. Крест. — 41 |
| 3. Топрени. | 29. | 23. Чина. — 42 |
| 4. Церемония Чинга | 29. | 24. Сина. — 4 |
| 5. Паниени. | 31. | 25. Маваргени. — 4 |
| 6. Наркени. | 32. | 26. Орхони. — 4 |
| 7. Аканиси. | 32. | 27. Аканиси. — 1 |
| 8. Аспикомо. | 33. | 28. Кирмиски. — 1 |
| 9. Сно. | 33. | 29. Дхармиски. — 37 |
| 10. Ариени. V | 35. | 30. Амурени. — 4 |
| 11. Ари. | 35. | 31. Уре. — 4 |
| 12. Найбени. | 36. | 32. Муре. — 1 |
| 13. Мани. | 36. | 33. Бени. — 4 |
| 14. Тарбани. | 36. | 34. Берени. — 1 |
| 15. Кайсани. | 37. | 35. Кир. — 1 |
| 16. Нармиски. | 38. | 36. Кермиски. — 1 |
| 17. Тармиски. | 38. | 37. Сиани. — 1 |
| 18. Миски. | 39. | 38. Бугени. — 1 |
| 19. Кирмиски. | 39. | 39. Чиниани. — 1 |
| 20. Канони. | 40. | 40. Кермиски. — 1 |

| | | | |
|-------------------|------|-------------------|------|
| 135. Mannana | 92. | 157. Supraua | 109. |
| 136. Koberaci | 92. | 158. Kopruma | 110. |
| 137. Ungyuefi | 93. | 159. Conesmeji | 111. |
| 138. Gyuceni | 94. | 160. Cogerypa | 111. |
| Yucuse Myco. | 161. | Carapeta | 112. |
| 139. Kamepsi | 97. | 162. Lopa | 113. |
| 140. Adano | 97. | 163. Koproxi | 113. |
| 141. Kbeumi-genye | 98. | 164. Akargaba | 114. |
| 142. Zeumi-genye | 98. | 165. Uamaraokapu | 114. |
| 143. Karamkabi | 98. | 166. Nabienkapu | 114. |
| 144. Tyrmaciuk | 99. | 167. Muxekandkapu | 115. |
| Korola | 99. | 168. Kapelantkapu | 115. |
| Caupara | 100. | 169. Nepiama | 115. |
| Memo | 100. | 170. Kugenaumkapu | 116. |
| Pesu | 100. | 171. Dorocma | 116. |
| Cabamui | 101. | 172. Menkamkapu | 116. |
| Difarekapu | 101. | 173. Torocma | 116. |
| Mesu | 101. | 174. Locumca | 117. |
| Otmucsi | 102. | 175. Oxupi | 117. |
| Uromai | 103. | 176. Zadosmu | 117. |
| Araurapu | 104. | 177. Yuxaema | 118. |
| Acebi | 106. | 178. Beruca | 118. |
| Locumkansi | 107. | 179. Cabapmeji | 118. |

| № | Селение | Владельцы | Земли | Дни | Ана | Котки | Плати | Всего |
|----|-----------------------|-----------|-------|-----|---------------------------|-------|-------|-------|
| 21 | Селение Каменное | | | | | | | |
| | Молооты | | | | | | | |
| 1 | В Кемб Ситам Ка | | | | | | | |
| | Венные Овтинны | | | | | | | |
| 1 | Горам Хоеро ивни | 1 | 2 | 4 | Земли 4 дни Ана 10 кот | | | |
| | цов | | | | маттиав Камасе 1 1/2 бара | | | |
| 2 | Етай Сафарии иви | 1 | 1 | 1 | маттиав 1 1/2 бара 1 1/2 | | | |
| | ли графов | | | | маттиав 1 1/2 бара 1 1/2 | | | |
| 3 | Кабин Таки ив: графов | 1 | 2 | 2 | Земли 10 дней Ана 20 кот | | | |
| | | | | | маттиав таке все ка | | | |
| | Итого в селении | 3 | 5 | 7 | Земли 40 дней Ана 14 кот | | | |
| | молоотов | | | | маттиав таке все ка | | | |
| 22 | Селение Каменное | | | | | | | |
| | Коби | | | | | | | |
| | В Кемб Ситам Ка | | | | | | | |
| | Каменное Овтинны | | | | | | | |
| 1 | Камава Майметав | 1 | 3 | 4 | Земли 5 дни Ана 3 кот | | | |
| | тавай ивни | | | | маттиав 1 1/2 бара 1 1/2 | | | |
| 2 | Чинали Майкара иви | 1 | 7 | 5 | Земли 10 дней Ана 20 кот | | | |
| | ли Грота | | | | маттиав таке все ка | | | |
| 3 | Ого Сатаи ивни | 1 | 2 | 1 | Земли 6 дней Ана 3 кот | | | |
| | тавай | | | | маттиав таке все ка | | | |
| 4 | Ана Каминга ивни | 1 | 3 | 2 | Земли 2 дни Ана 2 кот | | | |
| | тавай | | | | маттиав таке все ка | | | |
| 5 | Вума тавай ивни | 1 | 6 | 4 | Земли 3 дни Ана 3 кот | | | |
| | | | | | маттиав таке все ка | | | |
| 6 | Ого Мобин ивни | 1 | 2 | | Земли 3 дни Ана 3 кот | | | |
| | тавай | | | | маттиав таке все ка | | | |
| 7 | Арава Сати иви | 1 | 3 | 2 | Земли 5 дней Ана 7 ко | | | |
| | ли Камасе | | | | маттиав таке все ка | | | |
| 8 | Оморо тавай иви | 1 | 3 | 2 | Земли 6 дней Ана 3 кот | | | |
| | ли | | | | маттиав таке все ка | | | |
| | Итого в селении | 8 | 20 | 20 | Земли 40 дней Ана 14 кот | | | |
| | Коби | | | | маттиав таке все ка | | | |

[illegible]

| | | | |
|----|--|--------|--|
| 2 | Михай Радн Швини Завров — | 1 2 3 | Земли 4 дни Ака 20 ко пенъ Мелниці 1/2 пш тисъ Заманъ Барана Мавардени Барана Слад Воско! Еженка Сима тисъ Барана св Ежен косиб Кабада 1/2 Вес 5 1/2 |
| | Итого въ семени Амеласаръ — | 2 6 7 | Земли удобной Варей Ака 40 коптень Мелни ца 1/2 пшатиш подати Всего Ка — 10 1/2 |
| 25 | Семенс Кавенное Мавардени Въ Кемв Ситтис Кавенное Ерзине | | |
| 1 | Хоро Май Швини ба Бсовъ — | 1 2 3 | Земли 1 день Ака 40 ко пенъ Мелниці 1/2 пшатиш Хамана! Еженков Мавар дени! Барана СладВоско Еженка Сима Ситтис Барана св Ежен косиб Всего Ка — 4 1/2 40 1/2 |
| 2 | Самв баде Швини ба Бсовъ — | 1 1 1 | Земли 1 день Ака 20 ко пенъ Мелниці 1/2 пш тисъ торе, Вес — 4 1/2 40 1/2 |
| 3 | Ерзина баде Швини ба Бсовъ — | 1 2 2 | Земли 1 день Ака 40 ко пенъ Мелниці 1/2 пш тисъ торе, Вес — 4 1/2 40 1/2 |
| 4 | Мабил Силура Швини Зам — | 1 1 1 | Земли 1 1/2 дни Ака 20 ко пенъ Калсены 35 ко пш тисъ Мелниці торе, Ка — 3 1/2 40 1/2 |
| | Итого въ семени Мавардени — | 4 8 7 | Земли удобной 1/2 дни Ака 120 1/2 коптень Мел ница 1/2 пшатиш подати, Всего Ка — 17 1/2 45 1/2 |
| 26 | Семенс Кавенное ОКРОКАНЫ Въ Кемв Ситтис Кав Венное Ерзине | | |
| 1 | Намвай Радхаба до ма Швини Бада — | 1 2 2 | Земли 4 дни Ака 25 ко пенъ Мелница 1/2 торе тисъ Мелница 1/2 торе Всего тисъ, Вес — 4 1/2 40 1/2 |
| 2 | Урта Силура Швини Арзине — | 1 3 2 | Земли 2 дни Ака 20 ко пенъ Мелница 1/2 пш тисъ подати Ерзине Ерз по Хоровъ адведно по Барану и Еженку это Всего тисъ, Вес — 4 1/2 30 1/2 |
| | Викрищенское Святино Шо Кемв Швини Еу джа — | 1 6 10 | Земли 1 день Ака 50 ко пенъ Мелниці 1/2 пш тисъ Каланы 35 ко Ма вардени! Барана СладВоско Еженка Сима Ситтис Барана св Ежен косиб Кабада 1/2 Вес Ка 4 1/2 35 1/2 |

| | | | |
|---|--|-------|--|
| 24 | Солта Семья Швими Еу гя — | 1 3 3 | Земли 1 денъ Ака 25 ко пенъ селеннхъ 1/2 мис тинъ Каманъ 35 ^{ко} мис Барденъ 1 Барана Садъ 2 адъ 1 денъ 1 Селеннхъ 1 Барана 1 денъ 1 Кадъ да 12. Всего ке — 4 ^ч 35 ^{ко} |
| 5 | Солта Семья Швими Еу — | 1 5 2 | Земли 1 денъ Ака 25 ко пенъ селеннхъ 1/2 мис тинъ Каманъ 35 ^{ко} мис Барденъ 1 Барана Садъ 2 адъ 1 денъ 1 Селеннхъ 1 Барана 1 денъ 1 Кадъ да 12. Всего ке — 4 ^ч 35 ^{ко} |
| 6 | Солта Семья Швими Еу — | 1 3 2 | Земли 1 денъ Ака 25 ко пенъ селеннхъ 1/2 мис тинъ Каманъ 35 ^{ко} мис Барденъ 1 Барана Садъ 2 адъ 1 денъ 1 Селеннхъ 1 Барана 1 денъ 1 Кадъ да 12. Всего ке — 4 ^ч 35 ^{ко} |
| 7 | Солта Семья Швими Еу — | 1 3 1 | Земли 1 денъ Ака 25 ко пенъ селеннхъ 1/2 мис тинъ Каманъ 35 ^{ко} мис Барденъ 1 Барана Садъ 2 адъ 1 денъ 1 Селеннхъ 1 Барана 1 денъ 1 Кадъ да 12. Всего ке — 4 ^ч 35 ^{ко} |
| 8 | Солта Семья Швими Еу — | 1 2 1 | Земли 1 денъ Ака 25 ко пенъ селеннхъ 1/2 мис тинъ Каманъ 35 ^{ко} мис Барденъ 1 Барана Садъ 2 адъ 1 денъ 1 Селеннхъ 1 Барана 1 денъ 1 Кадъ да 12. Всего ке — 4 ^ч 35 ^{ко} |
